

არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი
გელათის მეცნიერებათა აკადემია

მისეილ ქურდიანი

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები

ა. არაბული ს რედაქციითა და წინასიტყვაობით



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2007

ნაშრომის სათაური „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები“ გაპირობებულია იმ ფაქტით, რომ ამა თუ იმ ენობრივ ჯგუფთან თუ ცალკეულ ენათა ერთ ოჯახად მიჩნევის საფუძველი მათ შორის კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა დადგენა და წინამდებარე მონოგრაფია იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის სწორედ ასეთი საფუძვლის წარმოჩენას ისახავს მიზნად:

მასში ისტორიულ-შედარებითი მეთოდის თანამიმდევრული, მკაცრი და კორექტული გამოყენებით დამტკიცებულია აფხაზურ-ადიღური, ბასკურ-ქართველური და ნახურ-დაღესტნური ენობრივი ჯგუფების ურთიერთ ნათესაობა და მათი კუთვნილება ენათა იბერიულ-კავკასიური ოჯახისადმი.

ნაშრომი საეტაპო არა მხოლოდ თავისი შედეგების თვალსაზრისით: მასში პირველად თანამედროვე დიაქრონიული ენათმეცნიერების მოთხოვნათა დონეზე ერთმნიშვნელოვნად არის დადგენილი ენათა იბერიულ-კავკასიური ოჯახის არსებობა და შემადგენლობა, არამედ კვლევის მეთოდოლოგიის თვალსაზრისითაც: ნებისმიერი თეორიული დებულება, ფორმულირება, შედარებისა თუ რეკონსტრუქციის პროცედურა, საბოლოო დასკვნები მკაცრად ვერიფიცირებადი.

ნაშრომი ახალ პერსპექტივებს სახავს იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წინაშე: ის თანაბრად საინტერესო იქნება კავკასიოლოგიისა და ბასკოლოგიის სფეროში მომუშავე ენათმეცნიერთა, ისტორიკოსთა, ეთნოლოგთა და ზოგადი ლინგვისტიკის სპეციალისტათვის.

ISBN 978-9941-13-048-9

© მიხეილ ქურდიანი

ARN. TSCHIKOBAVA INSTITUT DER SPRACHWISSENSCHAFT
GELATI AKADEMIE DER WISSENSCHAFTEN

MICHEIL KURDIANI

**GRUNDLAGEN
DER IBERISCH-KAUKASISCHEN
SPRACHWISSENSCHAFT**

unter Redaktion und mit Vorwort von A. A r a b u l i



DIE TBILISSER STAATLICHE UNIVERSITÄT 2007

ARN. CHIKOBAVA INSTITUTE OF LINGUISTICS
GELATI ACADEMY OF SCIENCES

MIKHEIL KURDIANI

**BASIS OF IBERIAN-CAUCASIAN
LINGUISTICS**

Editing and in introduction after A. A r a b u l i



TBILISI STATE UNIVERSITY, 2007

ს ა რ ჩ ე ვ ი

*შემაჯამებელი ნაშრომი იბერიულ-კავკასიურ ენათა
ნათესაობის თეორიაში – ავთანდილ არაბული ...19*

ტრანსკრიფცია ...73

იბერიულ-კავკასიური ენები და დიალექტები ...83

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ...91

შ ე ს ა ვ ა ლ ი ...113

ისტორიულ-შედარებითი ენთმეცნიერების საკვანძო
საკითხები და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

- 0.1. სინქრონიულ ბგერათშესატყვისობათა დიაქრონიაში
ასახვის (resp. პოვნეირების) ჰოლოგრამული პრინციპი ...115
- 0.2. ბგერათშესატყვისობანი და ენობრივ ერთეულთა
კლასიფიკაციის პრობლემა ...125
- 0.3. ბგერათშესატყვისობანი და ენობრივ ერთეულთა
კვალიფიკაციის პრობლემა ...140
- 0.4. ბგერათშესატყვისობათა რანჟირება მათი
მტკიცებულებითი ძალის მიხედვით ...155

- 0.5. ბგერათშესატყვისობათა სინქრონიული სისტემების იმპერატიული მნიშვნელობა დიაქრონიული რეკონსტრუქციებისას ...**165**
- 0.6. ბგერათშესატყვისობები, როგორც დიაქრონიული რეკონსტრუქციების ერთადერთი შესაძლო საფუძველი ...**176**
- 0.7. ინდუქციური და დედუქციური მიდგომების რანჟირება კომპარატივისტიკაში მათი მტკიცებულებითი ძალის მიხედვით ...**179**
- 0.8. დივერგენციისა და კონვერგენციის პროცესების არათანაბარი მნიშვნელობა ისტორიულ-შედარებითი მეთოდის თვალსაზრისით ...**187**
- 0.9. ბგერათშესატყვისობათა თვისობრივი გამიჯვნისათვის პოზიციური და კომბინატორული ფონეტიკური პროცესებისა და ინდივიდის მეტყველების თავისებურებათაგან ...**220**

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ენობრივი ნიშნის მორფემატული თეორია და ფუძეთქმნადობის მოდელები იბერიულ-კავკასიურ ენებში

- 1.1. ენობრივი ნიშნის მორფემატული თეორია ...**231**
 - 1.1.1. ენობრივი ნიშნის რაობისათვის ...**232**
 - 1.1.2. ენობრივი ნიშნის სემიოტიკური იერარქიის კორექციისათვის ...**253**
- 1.2. ძირეულ და აფიქსალურ მორფემათა სტრუქტურები და კანონიკური კომბინაციები იბერიულ-კავკასიურ ენებში ...**260**
 - 1.2.1. ფუძეთქმნადობის მოდელები აფხაზურ-ადიღურ ენებში ...**269**

- 1.2.2. ფუძეთქმნადობის მოდელები ნახურ-დადესტნურ ენებში ...**291**
- 1.2.3. ფუძეთქმნადობის მოდელები ქართველურ ენებში ...**308**
- 1.2.4. ფუძეთქმნადობის მოდელები ბასკურში ...**352**
- 1.3. ფუძეთქმნადობის მოდელების მნიშვნელობა შედარებითი მეთოდის პოზიციიდან ...**361**

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება ისტორიულ-შედარებითი მეთოდის შუქზე

- 2.1. ქართველური და დადესტნური ენების ნათესაობის დასაბუთება ...**379**
 - 2.1.1. დადესტნურ-ქართველური ბგერათმესატყვისობები ლატერალთა რიგში ...**386**
 - 2.1.2. დადესტნურ-ქართველური ბგერათმესატყვისობები სიბილანტთა რიგში ...**408**
 - 2.1.3. დადესტნურ-ქართველური ბგერათმესატყვისობები დენტალურ ხშულთა რიგში ...**417**
- 2.2. ქართველური და აფხაზური ენების ნათესაობის დასაბუთება ...**421**
 - 2.2.1. აფხაზურ-ქართველური ბგერათმესატყვისობები დენტალურ ხშულთა რიგში ...**425**
 - 2.2.2. აფხაზურ-ქართველური ბგერათმესატყვისობები სიბილანტთა რიგში ...**429**
 - 2.2.3. აფხაზურ-ქართველური ბგერათმესატყვისობები ლატერალთა რიგში ...**432**

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა ისტორიულ-შედარებითი მეთოდის შუქზე

- 3.1. ქართველური და ბასკური ენების ნათესაობის დასაბუთება ...**439**
- 3.2. ბასკური ენის ადგილი იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის ...**482**
- 3.3. საერთო-ბასკურ-ქართველური ენის კონსონანტური სისტემა ...**491**
 - 3.3.1. საერთო-ბასკურ-ქართველური კონსონანტური სისტემის ტრანსფორმაცია ბასკურში ...**495**
 - 3.3.2. საერთო-ბასკურ-ქართველური კონსონანტური სისტემის ტრანსფორმაცია საერთო-ქართველურში ...**498**

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის დასაბუთებათა დამატებითი ვერიფიკაცია ...**501**

- 4.1. დალესტნურ-ქართველური და ბასკურ-ქართველური ბგერათშესატყვისობების ურთიერთვერიფიკაცია ლატერალთა რიგში ...**503**
- 4.2. დალესტნურ-ქართველური და ბასკურ-ქართველური ბგერათშესატყვისობების ურთიერთვერიფიკაცია სიბილანტურ აფრიკატთა რიგში ...**516**
- 4.3. აფხაზურ-ქართველური და ბასკურ-ქართველური ბგერათშესატყვისობების ურთიერთვერიფიკაცია დენტალურ ხშულთა რიგში ...**518**

- 4.4. აფხაზურ-ქართველური და ბასკურ-ქართველური ბგერათშესატყვისობების ურთიერთვერიფიკაცია სიბილანტურ აფრიკატთა რიგში ...527
- 4.5. დაღესტნურ-ქართველური და ბასკურ-ქართველური ბგერათშესატყვისობების ურთიერთვერიფიკაცია კანონზომიერებულობის თვალსაზრისით ...530
- 4.6. ბგერათშესატყვისობათა ვერიფიკაცია ენათა იბერიულ-კავკასიური ოჯახის სამივე ჯგუფის მასალაზე ლატერალთა რიგში ...532
- 4.7. ერთი ბგერათშესატყვისობის მაგალითი იბერიულ-კავკასიურ ენებში ...538
- 4.8. იბერიულ-კავკასიურ ბგერათშესატყვისობათა ვერიფიკაცია ძირეულ და აფიქსალურ მორფემათა კომბინაციაში შემავალ ელემენტთა რაოდენობის მიხედვით ...541

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე
ლექსიკურ სესხებათა მიმართულების დადგენისათვის
ფუძე-ენათა ქრონოლოგიურ დონეზე ...551

თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე
იბერიულ-კავკასიურ ენათა შედარებითი
ლექსიკონები ...611

- 6.1. იბერიულ-კავკასიური ენის სემანტიკური ლექსიკონი ...625
- 6.2. ბასკურ-ქართველური ეტიმოლოგიური ლექსიკონი ...661

ძ ი რ ი თ ა დ ი დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი ...699

ბოლო სიტყვა ...729

დანართი

**იბერიულ-კავკასიურ ენათა შედარებითი შესწავლის
ისტორია თავის უმთავრეს მომენტებში ...743**

ბიბლიოგრაფია ...829

საძიებლები:

1. საერთო-იბერიულ-კავკასიური

სემანტიკების ...913

2. არქეტიპთა და სიტყვა-ფორმათა ...919

3. პირთა ...999

Addenda et Corrigenda ...1029

INHALTSVERZEICHNIS

Zusammenfassende Arbeit in der Theorie der Verwandtschaft von iberisch-kaukasischen Sprachen – Awtandil Arabuli ...49

Transkription ...73

Iberisch-kaukasische Sprachen und Dialekte ...83

Vorwort ...91

Einführung ...113

Schlüsselfragen der historisch-vergleichenden Methode und iberisch-kaukasische Sprachwissenschaft

- 0.1. Hologrammisches Prinzip der Abbildung (resp. des Vorhandenseins) der synchronischen Lautentsprechungen in der Diachronie ...115
- 0.2. Lautentsprechungen und das Klassifikationsproblem von sprachlichen Einheiten ...125
- 0.3. Lautkomplexe und das Qualifikationsproblem von sprachlichen Einheiten ...140
- 0.4. Rangierung von Lautentsprechungen nach ihrer Beweiskraft ...155
- 0.5. Imperativische Bedeutung der synchronischen Systeme von Lautentsprechungen bei diachronischen Rekonstruktionen ...165
- 0.6. Lautentsprechungen als die einzig denkbare Grundlage bei diachronischen Rekonstruktionen ...176
- 0.7. Rangierung der induktiven und deduktiven Methoden in der

- Komparatistik nach ihrer Beweiskraft ...179
- 0.8. Ungleichmäßige Bedeutung der Divergenz- und Konvergenzprozesse hinsichtlich der historisch-vergleichenden Methode ...187
- 0.9. Zur qualitativen Abgrenzung der Lautentsprechungen von den positionellen und kombinatorischen phonetischen Prozessen und den Besonderheiten der Sprache eines Individuums ...220

Kapitel 1

Morphematische Theorie des sprachlichen Zeichens und Stammbildungsmodelle in den iberisch-kaukasischen Sprachen

- 1.1. Morphematische Theorie des sprachlichen Zeichens ...231
- 1.1.1. Zum Wesen des sprachlichen Zeichens ...232
- 1.1.2. Zur Korrektur der semiotischen Hierarchie des sprachlichen Zeichens ...253
- 1.2. Strukturen und regelrechte Kombinationen der Grund- und affixalen Morpheme in den iberisch-kaukasischen Sprachen ...260
- 1.2.1. Stammbildungsmodelle in den abchasisch-adygeischen Sprachen ...269
- 1.2.2. Stammbildungsmodelle in den nachisch-dagestanischen Sprachen ...291
- 1.2.3. Stammbildungsmodelle in den kartwelischen Sprachen ...308
- 1.2.4. Stammbildungsmodelle im Baskischen ...352
- 1.3. Bedeutung der Stammbildungsmodelle aus der Perspektive der vergleichenden Methode ...361

Kapitel 2

Iberisch-kaukasische Sprachwissenschaft im Lichte der historisch-vergleichenden Methode

- 2.1. Begründung der Verwandtschaft von kartwelischen und dagestanischen Sprachen ...379

- 2.1.1. Dagestanisch-kartwelische Lautentsprechungen in der Lateralenreihe ...**386**
- 2.1.2. Dagestanisch-kartwelische Lautentsprechungen in der Sibilantenreihe ...**408**
- 2.1.3. Dagestanisch-kartwelische Lautentsprechungen in der Reihe der dentalen Verschlusslaute ...**417**
- 2.2. Begründung der Verwandtschaft von kartwelischen und abchasischen Sprachen ...**421**
 - 2.2.1. Abchasisch-kartwelische Lautentsprechungen in der Reihe der dentalen Verschlusslaute ...**425**
 - 2.2.2. Abchasisch- kartwelische Lautentsprechungen in der Sibilantenreihe ...**429**
 - 2.2.3. Kartwelische-abchasisch-adygeische Lautentsprechungen in der Lateralenreihe ...**432**

Kapitel 3

Baskisch-kaukasische Hypothese im Lichte der historisch-vergleichenden Methode

- 3.1. Begründung der Verwandtschaft der kartwelischen und baskischen Sprachen ...**439**
- 3.2. Stelle des Baskischen zwischen iberisch-kaukasischen Sprachen ...**482**
- 3.3. Das Konsonantensystem der baskisch-kartwelischen Gesamtsprache ...**491**
 - 3.3.1. Transformation des gesamt-baskisch-kartwelischen Konsonantensystems im Baskischen ...**498**
 - 3.3.2. Transformation des gesamt-baskisch-kartwelischen Konsonantensystems im Gesamt-kartwelischen ...**498**

Kapitel 4

Zusätzliche Verifikation der Verwandtschaftsbegründungen von iberisch-kaukasischen Sprachen ...501

- 4.1. Gegenseitige Verifikation der dagestanisch-kartwelischen und baskisch-kartwelischen Lautentsprechungen in der Lateralenreihe ...503
- 4.2. Gegenseitige Verifikation der dagestanisch-kartwelischen und baskisch-kartwelischen Lautentsprechungen in der Reihe der Sibilantaffrikate ...516
- 4.3. Gegenseitige Verifikation der abchasisch-kartwelischen und baskisch-kartwelischen Lautentsprechungen in der Reihe der dentalen Verschlusslaute ...518
- 4.4. Gegenseitige Verifikation der abchasisch-kartwelischen und baskisch-kartwelischen Lautentsprechungen in der Reihe der Sibilantaffrikate ...527
- 4.5. Gegenseitige Verifikation der abchasisch-kartwelischen und baskisch-kartwelischen Lautentsprechungen hinsichtlich der Gesetzmäßigkeit ...530
- 4.6. Verifikation der Lautentsprechungen am Material aller drei Gruppen der iberisch-kaukasischen Sprachfamilie in der Lateralenreihe ...532
- 4.7. Beispiel einer Lautentsprechung in iberisch-kaukasischen Sprachen ...538
- 4.8. Verifikation der iberisch-kaukasischen Lautentsprechungen nach der Zahl der in die Kombination der Grund- und affixalen Morpheme eingehenden Elemente ...541

Kapitel 5

Zur Bestimmung der Richtung der lexikalischen Entlehnungen auf der chronologischen Ebene der Grundsprachen ...551

Kapitel 6

Vergleichende Wörterbücher der iberisch-kaukasischen Sprachen ...611

- 6.1. Semantisches Wörterbuch der iberisch-kaukasischen Sprache ...625
- 6.2. Etymologisches Wörterbuch der baskisch-kartwelischen Sprache ...661

Wichtigste Schlussfolgerungen ...715

Nachwort ...729

Beilage

Geschichte der vergleichenden Forschung von iberisch-kaukasischen Sprachen in ihren wichtigsten Punkten ...743

Bibliographie ...829

Register von:

- 1. gesamt-iberisch-kaukasischen Semantemen...913
- 2. Archetypen und Wortformen...919
- 3. Personen...999

Addenda et Korrigena ...1029

შემაჯამებელი ნაშრომი იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის თეორიაში

1955 წელს¹ ცნობილმა გერმანელმა ქართველოლოგმა გერჰარდ დეტერსმა გამოაქვეყნა სპეციალური კრიტიკული წერილი „არსებობდა თუ არა სახელთა კლასები ყველა კავკასიურ ენაში?“ (კრ. "Corolla Linguistica", Wiesbaden, 1955). ეს იყო საგანგებო რეპლიკა ქართველ კავკასიოლოგთა მცდელობაზე, — იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის იდეისათვის მკვიდრი საფუძველი პირველ რიგში სპეციფიკური მორფოლოგიური ინვენტარის სტრუქტურული და ფუნქციური საერთოს გამოვლენით შეექმნათ, რამდენადაც ამ ენათა შორის ფონეტიკური შესატყვისობების დადგენა, თვით ენობრივი ჯგუფების დაუმუშავებლობისა თუ სხვა მიზეზების გამო, არცთუ ახლო და მისაწვდომ პერსპექტივად აღიქმებოდა.

აღნიშნული წერილი რომ მხოლოდ კლას-ნიშნებით ამ („იბერიულ-კავკასიურში“ ნაგულისხმევი) ენების ისტორიული ერთიანობის საკითხს არ ეხებოდა და მისი მიზანი რომ, საზოგადოდ, „იბერიულ-კავკასიური“ ენობრივი ერთიანობის იდეის (პიპოთეზის)

¹ უფრო აღრინდელ მოსაზრებებს კავკასიურ ენათა ურთიერთმიმართების შესახებ, რომლითაც წინამდებარე მონოგრაფიის ავტორი საკმაოდ ნათლად წარმოაჩენს, ჩვენი მხრივ, იმის გამო ვუვლით გვერდს, რომ ისინი არსებითად წინ უსწრებენ ქართული კავკასიოლოგიური სკოლის ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბებას.

გაწილება იყო, ეს საკმაოდ დაუფარავად არის გამოკვეთილი პირველსავე აბზაცში:

„სამი კავკასიური ენობრივი ჯგუფის გენეტიკური ნათესაობის საკითხი უდავოდ ურთ-ერთი ყველაზე მწვავეა კავკასიოლოგიაში. ეს ენები მონათესავენი არიან თუ მხოლოდ ენათა ჯგუფს შეადგენენ, რომელსაც მაშინ ირანული ოსურიც და თურქული ყარაჩაულ-ბალყარულიც მიეკუთვნება? ამ კითხვის პასუხზეა დამოკიდებული, თუ რა უფლებით ვილაპარაკებთ „იბერიულ-კავკასიურ ენებზე“, როგორც ეს მიღებულია ქართულ ენათმეცნიერებაში“ (გვ. 148).

მომდევნო აბზაცში მკვლევრის მიერ მთელი კატეგორიულობით დასმული ენათა ნათესაობის პრობლემა არსებითად გულისხმობდა მკაცრ „განაჩენს“ იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის იდეისადმი — ლამის არაკორექტულ ჟესტს „აკრძალვისას“ იმ დასკვნის გათვალისწინებით, რომელსაც მკვლევარი წერილში გვთავაზობს; კერძოდ, მეცნიერის სამართლიანი მითითებით, „ენათმეცნიერებისათვის ენათა ნათესაობის ერთადერთი საბუთია ბგერათა შესატყვისობის არსებობა“; შემდეგ ავტორი ავლენს სკეპტიციზმს „სტრუქტურული თანხვედრების“ მიმართ და აღნიშნავს: „მსგავსებანი ენის აგებულების მხრივ მხოლოდ ერთი ნიშანია ნათესაობისა — დადებითი ან უარყოფითი. ენის სტრუქტურაში დიდი განსხვავებების დროს საერთოდ აღარ იწყებენ ნათესაობის ძიებას“ (გვ. 148).

უთუოდ ზედმეტია ამ შემთხვევაში ამ დებულებათა ლოგიკურ-კრიტიკული განსჯა. აქ მთავარი ის არის, რომ მეცნიერი დასაწყისიდანვე ამოცანის ერთი გარკვეული ასპექტით არის მოტივირებული და, ქართველ ენათმეცნიერთა მიერ (ივ. ჭავჭავაძე, არნ. ჩიქობავა, გ. როგავა....) კლასის ექსპონენტებთან დაკავშირებით ცალკეული გამოკვლევების მისეულ კრიტიკასაც რომ აღარ შეეგნოთ,

მოსალოდნელი და გასაგებია მისი დასკვნა: „მაშასადამე, ჭერჭერობით იმ აზრზე უნდა შევჩერდეთ, რომ სახელთა კლასები აქვს მხოლოდ აღმოსავლეთ კავკასიურ ენებს; ამ კლასთა სისტემის მიხედვით ის უახლოვდება ბურუშასკის, შორდება ორ დანარჩენ კავკასიურ ენათა ჯგუფს“ (გვ. 157).

დასტურად იმისა, რომ გერმანელმა ქართველოლოგმა საკმაოდ მკვეთრად წარმოაჩინა მითითებულ ენათა ჯგუფების ტიპოლოგიური განსხვავება, მაგრამ, ამავე დროს, მათს ურთიერთ- და გარე მიმართებებს ვერანაირი პოზიტიური პასუხი ვერ გასცა, კიდევ ერთი ამონარიდის მოხმობა იქნება აუცილებელი:

„აღმოსავლეთ კავკასიურ ენებში სახელთა ფლექსია ხდება კლასების მიხედვით, ზმნა უპირაა, დასავლეთ კავკასიური ენები უფრო ლაბილურია, პოლისინთეზური, პოლიპერსონალური ზმნით და ფლექსიის გარეშე ან ფლექსიის მხოლოდ ჩანასახით. რაც შეეხება სამხრეთ კავკასიურ ენებს, მე არ მიმაჩნია გამართლებურად, როცა ფ. ნ. ფინკი თავის მსოფლიო ენათა ტიპოლოგიაში მათ მიაკუთვნებს განსაკუთრებულ ენობრივ ტიპს — „ჯგუფური ფლექსიის“ ტიპს. მე მათ ტიპოლოგიურად დასავლეთ კავკასიურ ენებსა და ინდოევროპულ ენებს შორის დავაყენებდი: ისინი (ტიპის მიხედვით) ინდოევროპიზებული (sic! ა.ა.) დასავლეთ კავკასიური ენებია, თუმცა გასარკვევი რჩება საკითხი, საქმე მხოლოდ „სტადიურ“ განვითარებას ეხება, მარი-მეშჩანინოვისებური გაგებით, თუ უნდა ვირწმუნოთ ინდოევროპული სუპერსტრატის არსებობა? საერთოდ სავარაუდოა თუ არა გაუცხოება, როდესაც არ დარჩენილა რეალური კვალი ენის ლექსიკაში?“ (გვ. 148-149).

გ. დეეტერსის ამ მკირე მოცულობის წერილის ძირითად დებულებებს ესოდენ ვრცლად ვიმოწმებთ, უპირველეს ყოვლისა, იმის წარმოსაჩენად, რომ ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში, რაც ეს

„რეპლიკა“ გამოქვეყნდა, პოლარიზებული სიტუაცია („ძალთა განლაგება“) იბერიულ-კავკასიური ჰიპოთეზის გარშემო მაინცდამაინც არ შეცვლილა არც პოზიტიური და არც ნეგატიური ასპექტით. ალბათ ამისი გამოხატულებაა ისიც, რომ გამოჩენილი გერმანელი ქართველოლოგის ამ სტატიის „აქტუალიზება“ სულ ახლახან მოხდა „ენათმეცნიერების საკითხებში“ (№ 2, 2002) გამოქვეყნებული მისი ქართული თარგმანით (საიდანაც ვიმოწმებთ ამჯერად მას).

ამდენად, თუ მითითებულ პოზიციას გარკვეულ აზრობრივ რეზიუმედ ვთარგმნით, „სტრუქტურულ თანხვედრათა“ აქცენტირება ენათა ნათესაობის ძიების დროს მიჩნეულია ამ ნათესაობის დამადასტურებელი ნამდვილი არგუმენტების (სისტემური და რეგულარული ბგერათშესატყვისობების) დეფიციტის მიმანიშნებლად, ან მათი ჰეშმარიტი მეცნიერული მნიშვნელობის შეუფასებლობად.

მართლაც, რა იყო მიზეზი ძირეულ კავკასიურ (resp. პალეოკავკასიურ) ენათა ნათესაობის კვლევის დასაწყისშივე, როდესაც ამ ნათესაობის ფუნდამენტური პრინციპები ყალიბდებოდა, არსებითი ყურადღების გადატანა ამ ენების გრამატიკული სტრუქტურების ისტორიულ შეხვედრათა და მსგავსებათა თავისთავად საინტერესო ასპექტებზე (რომელთაც, თავის მხრივ, უმნიშვნელო ადგილი არ უკავია ენათა ნათესაობის ისტორიული სურათის წარმოსაჩენად, ოღონდაც — ამ ნათესაობის შესაბამისი მეთოდითა და მასალით დასაბუთების შემდგომ)?

ივ. ჭავჭავაძის საფუძველმდებელი მონოგრაფია ამ, კერძოდ, ამოსავალ გრამატიკულ მონაცემთა დადგენა-შედარების თვალსაზრისით — „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ — რომ არ შეიძლება ბგერათფარდობის კანონზომიერებათა შეუფასებლობად ან უგულვებელყოფად ჩაითვალოს ენათა ისტორიულ-შედარებით კვლევაში, ეს ჩანს თვით ამ ფუნდამენტური

ნაშრომის წინასიტყვაობაში:

„ენათმეცნიერული თვალსაზრისით დაწერილს ასეთ გამოკვლევას, რასაკვირველია, უნდა წინ ქართველური და კავკასიური ენების ფონეტიკა ჰქონოდა წაძლოილი (ხაზგასმა ჩვენია — ა.ა.). თავდაპირველად ასეც მქონდა განზრახული... მაგრამ... რაც უფრო წინ მიდიოდა სიტყვათა ანალიზი და მათი თავდაპირველი აღნაგობის მიგნება ხერხდებოდა, სულ უფრო და უფრო ვრწმუნდებოდით, რომ წინათ წმინდა ფონეტიკურ მოვლენად მისაჩნევი ბევრ შემთხვევაში ნამდვილად მორფოლოგიური მოვლენის ანარეკლი ყოფილა. თუმცა ეს ერთი შეხედვით თითქოს პარადოქსულს შთაბეჭდილებას ახდენდა, მაგრამ თანდათან დავრწმუნდი, რომ ისევე, როგორც მორფოლოგიის გასარკვევად ფონეტიკაა საჭირო, შეუმცდარი ფონეტიკის შექმნაც მორფოლოგიის გაუთვალისწინებელიც შეუძლებელი ყოფილა. ქართველურ-კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნების საკითხის გადასაჭრელად — კი უმთავრესი მნიშვნელობა მორფოლოგიური აღნაგობის გამორკვევას აქვს, რომლის მიგნების შემდეგაც ფონეტიკური მოვლენებიც ბევრჯელ სულ სხვანაირად წარმოგვიდგება“ (გვ. XV-XVI).

ამდენად, ივ. ჯავახიშვილს ენათა ნათესაობის ფონეტიკური საფუძვლების ძიების მნიშვნელობა სათანადოდ ჰქონდა შეფასებული. თუ რამდენად კრიტიკულად ეკიდებოდა იგი ენათა ნათესაობის მეცნიერული კვლევის ამოცანებს, ეს ჩანს იმ საკმაოდ მკაცრი შეფასებიდანაც, რომლითაც იგი საკუთარ დამოკიდებულებას გვიმუქავნებს ძირეული კავკასიური ენების შესწავლის იმდროინდელი მდგომარეობის მიმართ:

„არც ერთ მეცნიერს, რომელსაც კი მეცნიერების წინაშე თავისი თავის პასუხისმგებლობა ესმის, უფლება არა აქვს სთქვას, რომ კავკასიური ენების ნათესაობის ჰიპოთეზისათვის ჯერჯერობით ოდ-

ნავად მაინც დამაჭერებელი არამც თუ საფუძველი, არამედ დებულებაც კი არსებობდეს, ამიტომ ეს აზრი უფრო რწმენას მიაგავს, ვიდრე სამეცნიერო, თუნდაც სამუშაო ჰიპოთეზას“ (იქვე, გვ. 91).

ცხადია, არც იდეური და არც მეთოდოლოგიური თვალსაზრისით შემთხვევითი არ იყო ის, რომ ახლად დაარსებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მომავალ მოღვაწეობას მისმა დამაარსებლებმა და, უპირველესად — ივ. ჯავახიშვილმა, ერთ-ერთ ძირითად მიზნად დაუსახეს საერთო კავკასიური კულტურისა და ისტორიის კვლევა. ივ. ჯავახიშვილი ამას არაერთგზის აღნიშნავდა; მაგალითად:

„ტფილისის უნივერსიტეტის, რომლის ბრწყინვალე მომავალიც აკად. ნ. მარას სწამდა, „მეცნიერების მსოფლიობის“ სრული შეგნებაჲდა მიუხედავად, არავითარი არც პრეტენზიები და არც წადილი არა ჰქონია, „ერთობილათ მთელი კავკასიის უნივერსიტეტათ“ იტყეს. მაგრამ მაინც უკვე 1918 წ., დაარსების პირველი დღითგანვე, თავის მიზნადა და მოვალეობად, ქართულისა და ქართველურის გარდა, კავკასიური ენებისა და კულტურის, ისევე, როგორც მახლობელი აღმოსავლეთის, მეცნიერული შესწავლა ჰქონდა დასახული“ (თხზულებანი, ტ. X, 1992 წ., გვ. 78).

კავკასიის აბორიგენ ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევის მნიშვნელობასა და თანამედროვე მდგომარეობას, მათ შორის — ივ. ჯავახიშვილის ღვაწლს ამ თვალსაზრისით, პრინციპულად და პარტუზუნულად აფასებდა არნ. ჩიქობავა, კერძოდ, იგი არაერთგზის აღნიშნავდა, რომ შედარებითი მეთოდით კვლევა-ძიება კავკასიური რთული ენობრივი სამყაროს შესასწავლად იყო გამიზნული, რადგანაც კავკასიოლოგიის პირველმკვალავი ხედავდა, რომ მხოლოდ ქართველური მასალის ანალიზით უძველესი ისტორიის აღდგენა შეუძლებელი ხდებოდა და „ამისათვის ე. წ. კავკასიური ერებისა და

ენების ეთნოგრაფიული და ლინგვისტური მასალების გამოყენება მაინც აუცილებლად საჭირო“ იყო („თავდაპ. ბუნება და ნათ.“, გვ. XI).

იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობისაა არნ. ჩიქობავას ორი შემაჯამებელი მონოგრაფია: „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია“ (1965 წ.) და „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“ (თბ., 1979 წ.). ენათა შედარებითი შესწავლის სფეროში ალბათ იშვიათია ისეთი ყოვლისმომცველი განმაზოგადებელი შრომა, როგორსაც ეს უკანასკნელი სახელმძღვანელო წიგნი წარმოადგენს და მით უფრო საყურადღებოა ის, რომ იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერული სკოლის მეთაური XX საუკუნის ბოლო ოცწლეულისათვის არსებულ მდგომარეობას წარმოდგენილი თეორიის განვითარების მხოლოდ გარკვეულ ეტაპად სახავს. ჯერ ერთი, და ეს არსებითია, იგი სრული ობიექტურობით აღნიშნავს, რომ „ენობრივი სისტემების სტრუქტურულ-ტიპოლოგიური შესწავლა ვერ გასწევს ისტორიულ-შედარებითი კვლევა-ძიების მაგივრობას, ვერ ჩაენაცვლება მას“ (გვ. 10, ხაზგასმა ჩვენია — ა.ა.), ხოლო შემდეგ იბერიულ-კავკასიური ენების შედარებითი კვლევის სფეროში არსებულ მდგომარეობას ამგვარად აფასებს:

„იბერიულ-კავკასიურ ენათა მეცნიერული ისტორია სრულად რომ დამუშავდეს, საჭიროა: ჯერ ერთი, ყველა იბერიულ-კავკასიური ენა — სამწერლო იქნება ის თუ უმწერლო — მეცნიერულად აიწეროს; შემდეგ — ოთხივე ჯგუფის (ქართველურისა, აფხაზურ-ადიღურისა, ნახურ-ქისტურისა და დაღესტნურის) ისტორიულ-შედარებითი გრამატიკები და ლექსიკონები დამუშავდეს; დაბოლოს: ერთობლივ იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა და საერთო ძირთა ისტორიული ლექსიკონი შედგეს.

პირველი ამოცანა ამჟამად არსებითად გადაჭრილია: თითქმის ყველა ენის აღწერითი ანალიზი, ზოგი უფრო სრული, ზოგიც მოკლე, უკვე მოგვეპოვება. მეორე რიგის ამოცანა ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი (რაც ამ მხრივ არის გაკეთებული, ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი). ძირითადია მესამე ამოცანა. მის გადასაწყვეტად საჭირო პირობები ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება. ამ ამოცანის გადაწყვეტა მომავლის საქმეა“ („იკე-ს შესავალი“, გვ. 11).

აქ სრულიად აშკარად იკვეთება ის პასუხისმგებლობა, რასაც სკოლის წინამძღვარი იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის მკვლევართ აკისრებდა. ამავე დროს, მეცნიერი უთუოდ ითვალისწინებდა კავკასიური ძველი ენების იმ უნიკალურ მდგომარეობასაც, როდესაც ამ ენათა ნათესაობის განსაკუთრებული ხანდაზმულობა სრულიად აშკარად ჩანდა (ყოველ შემთხვევაში, ქართველური ენების დიფერენციაციის პერიოდს ბევრად უსწრებდა წინ) და, თანაც, ამ ოთხი ჯგუფის სამ ათეულამდე ენისაგან მხოლოდ ერთს მოეპოვებოდა ძველი წერილობითი წყაროები და ისტორიულ ლექსიკურ (ძირეულ) შეხვედრათა დოკუმენტირება მხოლოდ შინაგანი რეკონსტრუქციის მონაცემებზე შეიძლება ყოფილიყო დაფუძნებული. ამავე დროს, იბერიულ-კავკასიური თეორიის ადებტი აშკარად ითვალისწინებდა იმასაც, რომ ამ შემაჯამებელი წიგნის გამოსვლის დროისათვის (1979 წ.) შექმნილი იყო არცთუ სახარბიელო გარე თუ შიდა იდეოლოგიური ატმოსფერო და თვით ნათესაობის იდეის მიმდევართაც ასე თუ ისე დასჩნეოდათ ეჭვისა თუ გაუბედაობის ელფერი. უთუოდ ამიტომაც ურთავდა ავტორი იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ზემომოყვანილ შეფასებას საკმაოდ ვრცელ სქოლიოს (სწორედ ამის გათვალისწინებით მოვიხმობთ მას მთლიანად):

„ცალკეულ ენათა და ენათა ჯგუფების მთლიანი შესწავლა არ ნიშნავს, თითქოს, სანამ ეს სამუშაო არ დამთავრებულია,

უადგილო და გაუმართლებელი იყოს ცალკეული საკითხების შესწავლა ორი, სამი (თუ ყველა ოთხი) ჯგუფის მასალის გათვალისწინებით. ერთი არ გამორიცხავს მეორეს: ნ. ტრუბეცკოის გამოკვლევები მოწმობს, რომ ცალკეული საკითხების კვლევამ რამდენიმე ჯგუფის ენათა მასალაზე ფასეული შედეგი შეიძლება მოგვცეს. იგულისხმება: მისი — „კონსონანტების სისტემა აღმოსავლურ-კავკასიურ ენებში“, 1931; „ლატერალური თანხმოვნები ჩრდილო-კავკასიურ ენებში“, 1922; „ლექსიკური ფარდობანი ჩრდილო-კავკასიურ ენებში“, 1930; „შენიშვნები ზმნების დაბოლოებათა შესახებ აღმოსავლურ კავკასიურ (ჩაჩნურ-დაღესტნურ) ენებში“, 1929... იხ. აგრეთვე: უ. დიუმეზილის „ჩრდილო-კავკასიურ ენათა შედარებითი გრამატიკის შესავალი“, 1933; ივ. ჯავახიშვილის „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“, 1937.

რა თქმა უნდა, ასეთ გამოკვლევებში ბევრი კონკრეტული საკითხი სადაო იქნება, მაგრამ სადაოს ყველა წინასწარი სამუშაოს შესრულებაც არ გამორიცხავს“ („იკვ-ს შესავალი“, გვ. 11).

ვფიქრობთ, წარმოდგენილი მოსაზრებები უთუოდ არ იძლევა იმის კატეგორიულ საფუძველს, რომ ე. წ. იბერიულ-კავკასიური ენების ურთიერთნათესაობის მკვლევარნი ან მეცნიერულ უსაფუძვლობასა და უზუსტობაში, ან, მით უფრო, მეთოდის მოთხოვნათა გაუთვალისწინებლობაში დავადანაშაულოთ (თუ ამ მხრივ ცალკეული გამონაკლისები და გადაცდომები არსებობს, ასეთებისაგან არც რომელიმე სხვა საენათმეცნიერო სკოლა ყოფილა დაზღვეული).

უფრო მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ არნ. ჩიქობავას, როგორც ისტორიულ-შედარებითი მეთოდის პრინციპულ და განუხრელ

მიმდევარს, ეჭვი არასდროს შეჰპარვია იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის იდეის პერსპექტიულობაში: „იბერიულ-კავკასიურ ენათა ერთიანობა მეცნიერულად ხელშესახებია ამ ენათა ოთხივე ჯგუფის შესწავლის საფუძველზე“, — წერდა იგი „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავლის“ დასკვნით დებულებებში“ (გვ. 303-304).

ამავე დროს, ქართული კავკასიოლოგიური სკოლის მეთაური ერთი პრინციპული მოთხოვნის (მეთოდური პრინციპის) საფუძველზე თითქმის დაუძლეველ ბარიერს უმზადებდა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერული თეორიის მიმდევართ და არცთუ ახლო მომავალში გადაჰქონდა უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტის შესაძლებლობა. აი, ის მკაცრი პირობაც — სხვა მხრივ თითქოს ნათელი ვითარების ფონზე:

„რაც უფრო შორს ვიხედებით წარსულში, მით უფრო მეტია საერთო.“

დღის წესრიგში დგება ლექსიკის შედარება და კანონზომიერ ფარდობათა საკითხი.

ჯერ-ჯერობით ასეთი ფარდობა არაა დადგენილი არა თუ ქართველურსა და მთის იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის, არამედ თვით ამ უკანასკნელთა შორისაც...

შესატყვისობის დადგენა ჭირს ერთი და იმავე ჯგუფის ენათა შორისაც.

მიზეზი მარტივია: შესადარებელ სიტყვებს იღებენ იმ სახით, რაც მათ დღეს აქვს, „ისტორიული გაერთმნიშვნელიანების“ გარეშე...

ცხადია, ასეთი შედარება, როგორც წესი, ჯერ ცალკეული ჯგუფის შიგნით უნდა წარმოებდეს, შემდეგ კი — ჯგუფებს შორის“ („იკეს შესავალი“, გვ. 225-226).

შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ეს აღმოჩნდა ის უმთავრესი პრინციპი, რისი დაძლევაც უპირველეს აუცილებლობად იქცა იმ მემკვიდრეობიდან, რომლის მეცნიერული საფუძვლიანობის დასაბუთებაც დაისახა მიზნად. ქართველური და კავკასიური ენების გამოცდილმა მკვლევარმა, პროფესორმა მიხეილ ქურდიანმა.

მაგრამ, სანამ წინამდებარე მონოგრაფიის ავტორის მეთოდოლოგიურ პრინციპებს შევხებოდეთ, რამდენიმე წინასწარი სიტყვა თვით შედარებითი მეთოდის შესახებ.

არნ. ჩიქობავა არაერთგზის უსვამდა ხაზს იმას, რომ ენების შესწავლა ჭეშმარიტ მეცნიერებად (ენათმეცნიერებად) აქცია ამ სფეროში ისტორიულ-შედარებითი მეთოდის დამკვიდრებამ. მას შემდეგ ენათა კვლევის სხვა — არანაკლებ მნიშვნელოვანი — მეთოდებიც დაინერგა. რაც მთავარია, ენათმეცნიერებაში მეთოდური საფუძვლიანობა შესაბამისი კვლევის აუცილებელ პირობად მიიჩნევა. რაც უფრო მკაცრი და თანამიმდევრულია მეთოდი, მით უფრო მკვიდრია შედეგები, რომლებიც მის საფუძველზე მიიღება, და მით უფრო ნაკლებ შესაძლებლობას იძლევა ის, რომ ასპარეზი მოჩვენებითმა, ფსევდომეცნიერულმა ცდებმა დაიკავოს. ამ თვალსაზრისით უთუოდ ნიშანდობლივია ის, რომ ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების სფეროში ადგილის დამკვიდრება მხოლოდ ფაქიზმა მეცნიერულმა ძიებებმა შეძლო. აქ ყალბმა ფსევდომეცნიერულმა არსებითად ვერ იბოგინა. ყველა — არათუ კერძობითი, არამედ პრინციპული — ცთომილება უმალვე გამოვლავნდა და შეფასდა.

ამიტომაც ყველაფერი ფასეულია, რაც ამ სფეროში შეიქმნა; პარადოქსია, მაგრამ — თვით შეცდომებიც კი.

რა განაპირობებდა მეთოდის ამ „შინაგან დაცულობას“

უთუოდ ის, რომ მეთოდი ვერიფიცირებადი — მისი შე-

დღეების შემოწმება შეიძლება. რისი შემოწმებაც შეუძლებელია, მასში მეცნიერება ვერ დაიმკვიდრებს. კაცობრიობის ისტორიამ არაერთი შთამბეჭდავი იდეის (ჰიპოთეზის) არსებობა იცის, რისი მეცნიერულ თეორიად რეალიზაციაც არ მოხერხდა მისი არავერიფიცირებადობის გამო (სხვათა შორის, ეს ხელოვნური, არაბუნებრივი ტერმინი იქნება უკეთაც ასახავს ამგვარ იდეათა ნამდვილ ბუნებას).

როდესაც უდამწერლობო ენათა ასეთ შემადგენლობასა და ფუნდამენტური თეორიის საბოლოო დასაბუთების ასეთ ქრონიკულად გაჭიანურებულ კრიზისთან გვაქვს საქმე, მხოლოდ გარემოებათა და პერსონალურ უნარ-თვისებათა ბედნიერ დამთხვევას შეიძლება მივაწეროთ ის, რომ XXI საუკუნის დასაწყისში კვლავ შესაძლებელი აღმოჩნდა, ჭეშმარიტების დასადგენად მკაცრი მეცნიერული კრიტერიუმებით შემოწმებულ იყო იბერიულ-კავკასიურ ენათა შედარებითი კვლევის თეორიული მემკვიდრეობის ავკარგი.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მონოგრაფიის ავტორისთვის — პროფ. მიხეილ ქურდიანისათვის — მისი ხანგრძლივი მეცნიერული კვლევის ძირითადი შედეგების გამოქვეყნება მნიშვნელოვნად დაგვიანებულიც კი არის, ვინაიდან მის ამ ნაშრომს, წესით, გასული საუკუნის 90-იან წლებშივე უნდა ეხილა სინათლე (მაგალითად, ძირითადი სიბილანტური ბგერათშესატყვისობანი ქართველურ და ნახურ ენებს შორის წარმოდგენილ იქნა ჯერ კიდევ 1991 წელს:

ქართული *ძ — *ძ *ც — *ც *წ — *წ

(resp. ს./ქ. ა.ა.)

ზანური ჯ — ძ ნ — ც ჰ — წ

სვანური ჯ/ჟ<ჯ — ძ ნ/შ<ნ — ც ჰ — წ

ჩიჩნური ჟ(<ჯ) — ძ (ნ) — ც ჰ — წ

ენათმეცნ. ინსტ. XLIX სამეცნ. სესია, თბ., 1991, გვ. 34. მის მიერვე

დადგენილი იქნა ხმოვანთშესატყვისობანი საერთო-ნახურ-დაღეს-ტნურსა და საერთო-ქართველურს შორის: ენათმეცნ. ინსტ. LVII სამეცნ. სესია, თბ., 1998, გვ. 59-60 და ლატერალთა შესატყვისობანი ბასკურს, ქართველურსა და დაღესტნურ ენებს შორის ბ. ჯორბენაძის საზოგად. V სამეცნ. კონფერენცია, თბ., 1998, გვ. 37-40, ქართველურ-დაღესტნურ შესატყვისობათა სისტემური ხასიათი ლატერალთა რიგში კი დადგენილი იყო უფრო აღრეც — 1986 წელს; ენათმეცნ. ინსტ. ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნ. კონფერენცია, თბ., 1986, გვ.19-20 და სხვ.). ამ შედეგების გამთლიანებული წარმოდგენა, სამწუხაროდ, სუბიექტურ თუ ობიექტურ გარემოებათა გამო, დღემდე ვერ იქნა სასტამბო დონეზე მოგვარებული. მკითხველი შეატყობს, რომ აქ ჩამოთვლილ გამოკვლევათა ერთი ნაწილი არ არის ასახული მონოგრაფიის წინამდებარე გამოცემაში; ესეც ზემოხსენებულ გარემოებათა გამოა (ამის შესახებ ავტორისეული წინასიტყვაობის დამატებაშიც არის ლაპარაკი).

უმთავრესი პრინციპული ნიშანი, რომელიც მთლიანად განსაზღვრავს ავტორის მეცნიერულ პოზიციას, არის ყოველგვარი კომპრომისის გამორიცხვა ჭეშმარიტების ძიების გზაზე; მეცნიერი უკომპრომისოა თვით უდიდესი სამეცნიერო ავტორიტეტების წინაშეც კი — მისთვის არ არსებობს დებულება თუ აზრი, რომელიც უკრიტიკოდ, შემოწმების გარეშე იქნეს მიღებული. უთუოდ შესამჩნევია ის, რომ ამ მხრივ იგი უპირველესად მკაცრი და მომთხოვნია იმ სკოლის მამამთავართა და წარმომადგენელთა მეცნიერული შედეგების მიმართ, რომელთა მემკვიდრეობის შეჯამებასაც ემსახურება მისი ნაშრომი. ავტორის პოზიციას განსაზღვრავს რამდენიმე პრინციპული მეთოდოლოგიური მომენტი, რომელთა გარეშეც იგი უთუოდ ვერ დააღწევდა თავს ეპიგონობისა და თეორიული „წრეშეკრულო-

ბის“ საქმაოდ ცნობილსა და გამოცდილ ჩიხს.

პირველი მოთხოვნა, რასაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის თეორიის შესაფასებლად, და რასაც მკვლევარი, საზოგად. კომპარატივისტიკის შედეგების უცილობელ საზომად საზავს, არის ის, რომ ენების ნათესაობა შეიძლება მხოლოდ ფონემურ შესატყვისობათა საფუძველზე დამტკიცდეს. ავტორის ფორმულირებით: „კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათ-შესატყვისობათა სისტემის დადგენა ერთადერთი უეჭველი კრიტერიუმია ენათა ნათესაობის მტკიცებისას“ (გვ. 156). ენათა ისტორიული ერთობის სრული მასშტაბით წარმოსაჩენად, უეჭველია, დიდი მნიშვნელობა აქვს მათი ძირეული ამოსავალი სტრუქტურ-გრამატიკული თავისებურებების გამოვლენასაც, მაგრამ ისინი შემთხვევით ან უნივერსალისტურ ტიპოლოგიურ თანხვედრათა ფარგლებს გასცდებიან და ენათა ნათესაობის სასარგებლო არგუმენტების ძალას შეიძენენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ შეპირისპირებულ ენათა ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკის მკაცრი კანონები იქნება საბოლოოდ ჩამოყალიბებული, ანუ ენათა ნათესაობა შესაბამისი მეთოდით და მასალით იქნება დადგენილი.

და, აი, აქ ერთ უკომპრომისო და, ვფიქრობთ, სამართლიანსა და მეცნიერულად გამართლებულ გადაწყვეტილებას იღებს ავტორი იმ მეთოდოლოგიური ჩიხის დასაძლევად, რომელიც უპირველესად ისტორიულ-შედარებითი მეთოდის ერთგულების ნიშნად შეიქმნა იბერიულ-კავკასიური სკოლის ფარგლებში. კერძოდ, მ. ქურდიანმა აუცილებლად და ობიექტურად გარდაუვალად მიიჩნია დაეძლია ჰორცივისაგან მომდინარე ერთი ზემომოყვანილი. — სახელმძღვანელო — დებულება, რომელიც საერთო იბერიულ-კავკასიური შედარება-რეკონსტრუქციის სავალდებულო წინაპირობად საზავს ამ ენათა თითოეული ჯგუფის შიგნით რეკონ-

სტრუქტურული ერთეულების შეპირისპირებას. ეს მოთხოვნა მით უფრო დამაფიქრებელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ არნ. ჩიქობავა საკმაოდ ეჭვით უყურებდა რეკონსტრუირებულ მონაცემთა რეალურ მეცნიერულ ღირებულებას, მით უფრო, მათ თვითმიზნად დასახვას; რეკონსტრუირებული ერთეული ვერასოდეს იქნება უფრო ადეკვატური, ვიდრე რეალური ლექსემა, ცხადია, თუ ეს უკანასკნელი წარმომავლობით იმავე არქეტიპს უკავშირდება. რაც მთავარია, შეუძლებელია აღნიშნული დებულება წინამდებარე მონოგრაფიის ავტორს თუნდაც იმის გამო დაეტოვებინა რეაგირების გარეშე, რომ სხვაგვარად მთელი მისი შრომა გაუმართლებელი მცდელობა იქნებოდა ენათა ურთიერთმიმართების კვლევისა. ამდენად, ავტორის პოზიცია ასევე პრინციპულია: „რაც შეეხება სინქრონიაში არსებულ ენათა ურთიერთშედარებას არქეტიპთა წინასწარი რეკონსტრუქციის გარეშე, ან სინქრონიაში არსებულ ენათა მონაცემების შედარებას მკვლარი ენების წერილობით ფიქსირებულ მონაცემებთან თუ ფუძეენის ან შუალედური ფუძეენის რეკონსტრუირებულ ფაქტებთან, ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს მიჩნეული არაკორექტულად“ (გვ.124). შესაბამისად, ავტორი სახელმძღვანელო პრინციპად იღებს როგორც ჯგუფებს შიგნით გამოვლენილი სარეკონსტრუქციო მონაცემების, ისე ცალკეული ენების ცოცხალი ლექსიკური ერთეულების (ფუძეების) შედარების აუცილებლობას და არაერთგზის განამტკიცებს ფაქტობრივი მონაცემებით ისეთ დებულებას, როგორცაა, მაგალითად: „ნებისმიერი ჩრდილო-კავკასიური ჯგუფის (მთლიანად თუ მისი თუნდაც ერთი წარმომადგენლის) დიფერენცირებული ბგერათშესატყვისობის გამოვლენა სამხრეთ-კავკასიურ ანუ ბასკურ-ქართველურ ჯგუფთან საკმარისი პირობა იქნება ასეთი ფონემით შედგენილი ლექსემის ფორმალური თუ სემანტიკური რეკონსტრუქციისათვის საერთო იბერიულ-კავკასიური

ენის ქრონოლოგიურ დონეზე“ (თ. IV, გვ.502- 503).

ავტორს ამ პრინციპის უნივერსალურობა ეფექტურად აქვს დასაბუთებული კოორდინატთა სივრცის ანალოგიით, სადაც ნებისმიერი საკოორდინაციო წერტილი თანაბრად რელევანტურია კოორდინაციის ამგები ღერძის მიმართ. შესაბამისად, კოორდინაციის ისტორიულ სივრცეში, საკოორდინაციო წერტილად“ (კოორდინატად) შეიძლება მოაზრებული იქნეს ნებისმიერი ქრონოლოგიური და სივრცული გამოვლენის რეალური ენობრივი ერთეული, მათ შორის, ცხადია, კონკრეტული რეკონსტრუირებული მონაცემებიც — როგორც უკვე დაკარგული (არშემომნახული) რეალების ალტერნატივა.

მკვლევრის ეს უკუმპრომისობა ავტორიტეტებისა და „აპრიორული“ თეორიული პოსტულატების წინაშე არაერთ სხვა პოზიციასა და დებულებასაც ეხება და ის, ზოგადად, სრულიად საფუძვლიანია მეთოდოლოგიური თვალსაზრისით: „ნებისმიერი მეცნიერება კომპეტენტურია მხოლოდ მისი მეთოდის ფარგლებში, ამ ფარგლებს გარეთ ვარაუდების სფეროა“ (გვ.180). იმავე ბგერათშესატყვისობის თვალსაზრისით, ეს ეხება იმ ფაქტსაც, რომ იგი, მაგალითად, სრულიად ერთგულია სამეცნიერო სკოლისა, როდესაც იდენტური ბგერათშესატყვისობების მნიშვნელობას აღიარებს მხოლოდ მას შემდეგ და მხოლოდ იმ ფონზე, როცა უკვე არსებობს დიფერენცირებულ ბგერათშესატყვისობათა სისტემა.

კიდევ ერთი პრინციპი, რომელსაც ავტორი კომპარატივისტიკის და საკუთარი მეცნიერული კვლევის საფუძვლად აღიარებს, არის დამოკიდებულება დედუქციურ და ინდუქციურ მიდგომებთან. სრულიად თვალსაჩინოა, რომ ძალზე გავრცელებულია ცალკეული თეორიების კულტივირება მეცნიერებაში (ამა თუ იმ ქვეყნის მეცნიერებაში!) დედუქციური პრინციპით: ჯერ ზოგადი დებულება (დასკვნა) „მაქვს“ და შემდეგ ენობრივ ფაქტებს ვუსადაგებ მას.

ამგვარი მიდგომა საკმაოდ სერიოზული პრობლემაა თანამედროვე ენათმეცნიერებაში, თუმცა, არავინ უარყოფს, რომ, თავისთავად, დედუქციური დამოკიდებულება რაიმე მოვლენასთან ისეთივე გნოსეოლოგიური აქტია, როგორც თვით ამ მოვლენებზე ობიექტური დაკვირვება და დასკვნების გამოტანა შესაბამისი ანალიზის საფუძველზე. დედუქციური მიდგომები განსაკუთრებული პრობლემა აღმოჩნდა ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებაში, რომელშიც მისი არსებობის დასაწყისიდანვე არაერთი სერიოზული გადაცდომა მოხდა სწორედ ამ საფუძველზე (სხვას რომ თავი დავანებოთ, ენების ნათესაობის თითქმის ყველა დაუმტკიცებელი თეორია ამ ყაიდისა იყო). ამიტომაც მ. ქურდიანი პრინციპულად აცხადებს ინდუქციურ მიდგომას შედარებითი კვლევის, ენათა ნათესაობის დადგენის ერთადერთ ობიექტურ საფუძვლად: „კომპარატივისტიკა ინდუქციას ეყრდნობა: სისტემის მოთხოვნები და ტიპოლოგია რეკონსტრუქციისთვის მხოლოდ ვერიფიკაციის საშუალებაა და მას ვერ ჩაენაცვლება“ (გვ.182).

თავისთავად, ეს მეთოდოლოგიური მოთხოვნა შედარებითი ენათმეცნიერებისათვის გარდაუვალ ემპირიზმს ეფუძნება და ობიექტურად, სანამ საქმე პოპულარული თეორიების დაუძლეველ გავლენაზე მიდგებოდეს, იმდენად აშკარაა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ „მოდრაობის“ აუცილებლობა, რომ პრობლემის არსში ჩაუხედავი კაცი ვერც კი წარმოიდგენს, რატომ დასჭირდა კიდევ ერთხელ მეცნიერებას, ასეთი სერიოზული ყურადღება დაეთმო ამ მოვლენისათვის.

ერთი სიტყვით, მიხეილ ქურდიანმა მეცნიერულ პრინციპად დაისახა, განსაკუთრებულად მკაცრი ყოფილიყო იმ მეთოდის მოთხოვნათა ფარგლებში, რომელიც ენათა ნათესაობის დადგენის ერთადერთ გზას წარმოადგენს, და, რაც მთავარია, ეს მომთხოვნელობა უპირველესად სამამულო სამეცნიერო სკოლისა და საკუ-

თარი პოზიციებისა და მონაცემებისადმი წარემართა.

მარტო ის რად ღირს, რომ ამ ვრცელ მასალაში ასახვა ვერ პოვა არაერთმა საყურადღებო დაკავშირება — ეტიმოლოგიამ, რომელთაც რამდენადმე მაინც ვერ დააკმაყოფილეს შემოწმების მკაცრი პირობები. მათი შემოტანით საერთო ლექსიკონი გაიზრდებოდა, მაგრამ თეორიული სანდოობის ხარისხი შემცირდებოდა.

ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ მკვლევარმა — მართლაც ბედნიერი კანონზომიერებით — მიაგნო იმ აუცილებელ გზას, რომელიც არსებულ ეტაპზე შესაძლებელს გახდიდა, სრულიად გარკვეული პასუხი მიეღო წარმოდგენილ პრობლემასთან დაკავშირებით.

ეს ფაქტი შეიძლება მივაკუთვნოთ იმგვარ გამორჩეულ შემთხვევათა რიგს, როდესაც ინდივიდუალური გონების გამონათება თითქოს უმარტივესად ხსნის გარემოებათა და პრობლემათა ურთულეს ხლართს.

ასეთ „ჯადოსნურ კვერთხად“ მოგვევლინა მკვლევრის ხელში მეცნიერულ მოცემულობათა იმანენტური ვერიფიკაციის მეთოდი.

ყველა ჰუმბარტი მეცნიერული კვლევის შედეგი ვერიფიკაციას, ანუ სისტემურ შემოწმებას ექვემდებარება (უნდა ექვემდებარებოდეს) და ამაში საგანგებო აღნიშვნის ღირსი არაფერი იქნებოდა, თუ არა ის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რაც ვერიფიკაციის მეთოდს ისტორიულ-შედარებითი კვლევის ფარგლებში ენიჭება. და ავტორის მეცნიერული მიგნების მთელი ღირსებაც იმაში მდგომარეობს, რომ მან არსებითად სისტემის შიგნიდან დაინახა (აღმოაჩინა) მეთოდის არცთუ საიდუმლო გასაღები.

საქმე ის არის, რომ ვერიფიკაციის სისტემური აუცილებლობა თვით ისტორიულ-შედარებითი მეთოდის წიაღში არსებობს და არსებითად შესაბამისი კვლევის თანმხლები პროცესია; სხვაგვ-

რადაც შეიძლება ითქვას: ეს მეთოდი შედარებით იწყებს ისტორიული საიდუმლოს გახსნას და ვერიფიკაციის პროცედურებით ამკვიდრებს შემუშავებულ ჰიპოთეზას.

უფრო კონკრეტულად:

როდესაც მკვლევარი ორ შესადარებელ ერთეულს შორის რაღაც წარმომავლობით კავშირს ხედავს — კაც-ი კოჩ-ი, უკვე ამავე კავშირის საჩვენებლად ადგენს დიფერენცირებულ ელემენტთა ფარდობას: ა ო, ც ჩ; შემდეგ ამ მიმართებებში უფრო რთულად, მაგრამ კანონზომიერად ჯდება სვან. ჳაშ „ქმარი“. კონკრეტული რეკონსტრუქციისათვის ეს ფარდობა სრულიად თვითკმარია. მაგრამ ასეთი იზოლირებული მიმართება ჯერ კიდევ არ იძლევა იმ დასკვნის საშუალებას, რომ ის კანონზომიერი და ჳეშმარაგია.

იმისათვის, რომ კონკრეტული ჰიპოთეტური მიმართება (სავარაუდოდ კორესპონდენციათა მინიმალური შემთხვევა) ფარდობათა ზოგად კანონად იქცეს, უნდა მოხდეს მისი არსებითად ჯვარედინი — შემოწმება: ჯერ ერთი, უნდა შემოწმდეს მისი რეგულარობა, მეორეც — ამავე გზით დადგინდეს მისი სისტემური კანონზომიერება.

პირველ შემთხვევაში მოწმდება, რამდენად არის რეგულარული ფონემურ ფარდობათა ის ფორმულები, რომელიც შესადარებელი მინიმალური წყვილის ურთიერთმიმართებამ წარმოაჩინა: ა ო და ც ჩ. ამავე — დიფერენცირებულ — კომბინაციაში, წინამდებარე მონოგრაფიის ავტორს სრულიად არგუმენტირებული დებულებით, კანონიერი ძალა აქვს იდენტურ ბგერათფარდობასაც: კ კ.

რეგულარობა გულისხმობს იმას, რომ ფარდობა ქართ. ც ზან. ჩ და მისთ. უნდა დაცული იყოს ყველა ძირეულ (საერთო წარმომავლობის) სიტყვათმიმართებაში.

რამდენადაც წინამდებარე ნაშრომი ენათა დიფერენციაციის გან-

საკუთრებულ სიძველეს და, შესაბამისად, საერთო მონაცემთა ერთობ იშვიათ შემთხვევებს წარმოაჩენს, ბარემ აქვე უნდა ითქვას, რომ რეგულარობის ხარისხის განმსაზღვრელი რაოდენობრივი კრიტერიუმი არ არსებობს: თუ შეპირისპირებულ წყვილთა რაოდენობა ორია, რეგულარობის ფარგლები ორ შემთხვევას მოიცავს, თუ ათი წყვილი დადასტურდა ასეთი — ათს და მისთ.

ბგერათშესატყვისობათა კანონების დასადგენად მაინც ფრიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ მიმართებათა სისტემურობის დადგენა-შემოწმებას. სწორედ სისტემურობა აბათილებს ყოველგვარ ეჭვს, რომელიც კი შეიძლება ჯერ კიდევ არსებობდეს კონკრეტულ ფონემურ მიმართებათა რეგულარობის თვალსაზრისით.

შესატყვისობათა სისტემური ხასიათი გულისხმობს შემდეგს:

თუკი ერთი ენის [ც] ფონემა ძირეულ მასალაში რეგულარულად შეესაბამება მეორე ენის [ჩ] ფონემას, მაშინ, სხვა ხელისშემშლელ ფაქტორთა არსებობის შემთხვევაში, მოსალოდნელია (უკეთეს ვალდებულოა), რომ პირველის შესაბამისი სამეულის წევრი ფონემები [ძ] და [წ] ასევე შეესაბამებოდნენ მეორე ენის შესაბამისი შიშინა სამეულის დანარჩენ ორ წევრს [ჭ] და [ჭ].

ასევე მოსალოდნელია, რომ ფონემურ პარადიგმათა სისტემური მიმართების ფარგლები კიდევ უფრო გაფართოვდეს და ყოველი ახალი ფარდობითი პარადიგმის დადგენა დამატებით განამტკიცებს შესამოწმებელ ფორმულათა კანონზომიერებას.

ენათა ნათესაობის შედარებითი კვლევის აქ წარმოდგენილი ელემენტარული წესები, ვფიქრობთ, ნათლად წარმოაჩენს იმას, რომ საერთო მონაცემთა ისტორიული დერივაციაციის ფონემურ კანონზომიერებათა დადგენა არსებითად ჰიპო-

თეატრ ფარდობათა სისტემური შემოწმების (ვერიფიკაციის) აუცილებელ პროცედურებს ექვემდებარება.

აი, რატომ ვამბობთ, რომ იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის საკმაოდ ხანდაზმული თეორიის ჭეშმარიტი ღირებულების დასადგენად მკვლევარმა ყველაზე უფრო ადეკვატური და იმანენტური მეთოდი აირჩია მეთოდი, რომელიც თვით კომპარატივისტიკის სულს გამოხატავს — როდესაც უარსებითეს მიზნად დაისახა როგორც წინამორბედ მკვლევართა საკმაოდ მდიდარი და არაერთგვაროვანი მემკვიდრეობის, ისე საკუთარი ცალკეული ძიებების მრავალმხრივი (ყოველმხრივი) შემოწმება. და ამით არსებითად გადაწყვიტა მწყობრი სისტემის აგება იმ ფრაგმენტებისაგან, რომელთა მხოლოდ თავმოყრაც კი, პრინციპულ პოზიციასთან ერთად, დიდ მეცნიერულ ერთგულებასა და რწმენას გულისხმობდა.

ავტორი თავიდანვე განსაზღვრავს, რომ „ვერიფიკაციას (შემოწმებას) სამი საფეხური აქვს: ვერიფიკაცია მასალით, ვერიფიკაცია სისტემის მოთხოვნით და ვერიფიკაცია ტიპოლოგიით“ (გვ.115) და ყველა შესაბამის ასპექტს სრული საფუძვლიანობით იკვლევს საკუთარ ნაშრომში. ამაში დაინტერესებული მკითხველი თავადაც დარწმუნდება, როდესაც თითოეული ამ პრობლემატიკის გამოძიების და ნათელყოფის ვრცელ პასაჟებს გაეცნობა. ჩვენი მხრივ, ამ საკითხებზე აღარ შევჩერდებით, რადგან შესავალი სიტყვა დეტალიზებით არ გაჭიანურდეს.

რაც მთავარია, ამ ნაშრომით მკვლევარმა შეძლო მეცნიერულად საფუძვლიანი და თეორიის თვალსაზრისით გამამყვეტი სიტყვა ეთქვა იბერიულ-კავკასიურ ენათა ძირეული მონაცემების შედარებითი შესწავლის სამი ძირითადი ასპექტით:

ა) ფონემურ კორესპონდენციათა რეგულარული და სისტემური

პარადიგმა;

- ბ) საერთო ისტორიული ლექსიკონის (ლექსემათა ჯგუფების) დადგენა;
- გ) სარეკონსტრუქციო (და — რეკონსტრუირებულ) ფუძეთა სტრუქტურული ბუნების განსაზღვრა.

უნდა აღინიშნოს, რომ შემოთავაზებული სრულმასშტაბიანი ვე-რიფიკაციის მეთოდის გამოყენებით განსაკუთრებით პრინციპული გარღვევა მოხდა ენათა ნათესაობის დადგენის ფუნდამენტური ას-პექტის — რეგულარული და სისტემური ბგერათშესატყვისობების — დადგენის მიმართულებით. მართალია, ამ თვალსაზრისით არსე-ბობდა ფრიად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი მონაპოვრები ცალკეულ ენათა ჯგუფებსა და ცალკეულ კონსონანტურ კლასებს შორის და რეგულარობისა და სისტემურობის პრინციპულ მოთხოვ-ნებსაც საკმაოდ დამაჯერებელი ერთეული ილუსტრაციები მოეპოვე-ბოდა; მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ იბერიულ-კავკასიურ ენათა კვლევის ისტორიაში პირველად გაიმართა ამ ენებისათვის დამახასი-ათებელი მდიდარი კონსონანტური სისტემის შესატყვისი კორესპონ-დენციების სრული პარადიგმა და ამ სისტემის ცალკეული კლასები — მათი რეფლექსების დადგენის თვალსაზრისით — გადამოწმებულ იქნა, ასე ვთქვათ, ჯვარედინი ვერიფიკაციის გამოყენებით ცალკეულ ენობრივ ჯგუფებს შორის.

აი, ეს — კორესპონდენციათა ჯვარედინი შემოწმება — ურთულესი გზა მეცნიერულ ჭეშმარიტებასთან მისვლისა — ასე-ვე უნდა იქნეს მიჩნეული ამ ნაშრომის უმნიშვნელოვანეს მიღწევად. კერძოდ: ის, რაც მიღებულია, როგორც შედეგი, ერთი მხრივ, დაღესტნურ-ქართველური და, მეორე მხრივ, ბასკურ-ქართველური ენების მონაცემთა შეპირისპირების შედეგად, ურთიერთვერიფიკაცი-ის პროცედურას გადის დაღესტნურ-ქართველური და ბასკურ-ქარ-

თველური ბგერათშესატყვისობების შეპირისპირების საფუძველზე და, თავის მხრივ, ბასკურ-ქართველურ-დაღესტნურ მონაცემთა შეპირისპირების შედეგები შეეხამება ქართველურ-აფხაზურ ენათა შედარებითი ფონეტიკის მონაცემებს... ეს რთული პროცედურა, ცალკეულ საერთო ძირეულ ლექსემათა უეჭველ დადგენასთან ერთად, იძლევა ამ ენათა დიფერენციაციის, ანუ ფონემურ კორესპონდენციათა, საკმაოდ მწყობრ სურათს. უნდა ითქვას, რომ ფონემური დიფერენციაციის ფორმულათა სისტემური ილუსტრირებით ეს ნაშრომი მართლაც სანიმუშოა.

როგორც ითქვა, იბერიულ-კავკასიურ ენათა ბგერათშესატყვისობების ერთიან სისტემაში არსებითად ყველა კონსონანტური კლასი მოექცა. მართალია, მათ შორის ზოგიერთი, თავისი ფონემური ბუნების გამო, არადიფერენცირებად ანუ იდენტურ შესატყვისობათა რიგს განეკუთვნება, მაგრამ, რაც მთავარია, კომპარატივისტიკის თვალსაზრისით მეტად შთამბეჭდავი შედეგები გვეძლევა ისეთ სპეციფიკურ კლასში, როგორიც არის სიბილანტთა რიგი. განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება ისტორიული ფონეტიკის თვალსაზრისით საერთო იბერიულ-კავკასიური ენების დონეზე ლატერალთა რიგის ვერიფიკაციის შესაძლებლობას და სხვ.

როდესაც ასეთი სიღრმის რეკონსტრუქციები მიმდინარეობს, მონაცემთა ფონემურ სურათთან ერთად, ცხადია, დიდად საყურადღებოა ის პოსტულირებული სემანტემებიც, რომლებიც, გარდა კონკრეტულ ლექსემათა გენეზისის საკითხისა, ჩვენთვის იმის წარმოდგენის საშუალებასაც ქმნიან, თუ რა გეოგრაფიულ-კულტურულ არეალში მიმდინარეობდა ამ ენათა ერთობის დაშლა და დამოუკიდებელი ფორმირება. ეს კი, ბუნებრივია, შესაბამისი ხალხის წინარე სამშობლოს პრობლემას უკავშირდება.

რაც მთავარია, ამ ფონზე სერიოზულად დაისმის ამ ენების პირვანდელ ძირ-ფუძეთა ფორმირების საკითხი, ანუ აუცილებელი ხდება წარმოდგენა ფუძეთქმნადობის იმ სურათისა, რამაც შესაძარებელ ლექსემათა დღეს მოღწეული ვითარება განაპირობა. კერძოდ, სრულიად აშკარაა, რომ როდესაც სხვადასხვა ოჯახის ენათა და რეკონსტრუირებულ ერთეულთა შეპირისპირებისა და მისი შედეგების ვერიფიკაციის საკითხი დაისმის, აუცილებელ პირობად წარმოდგება — შემუშავდეს შესაპირისპირებელ ერთეულთა სტრუქტურული „გაერთმნიშვნელიანების“ პრინციპები.

ამ მოთხოვნის აუცილებლობას განაპირობებს ის, რომ ემპირიულ მონაცემთა და მეცნიერულ წარმოდგენათა შეჯერების ამ (ყოველ) კონკრეტულ ეტაპზე თავს იჩენს მათი დიდი არაერთგვაროვნება. კერძოდ, შეიძლება შემაჯამებელი კვლევისათვის დამაბრკოლებელი აღმოჩნდეს არაერთი სერიოზული გარემოება:

- ა) განსხვავებულია თეორიული საფუძვლები ლექსიკურ ძირთა გენეზისისა და მათი ამოსავალი სტრუქტურის შესახებ;
- ბ) არაერთგვაროვნება იჩენს თავს თვით ერთი ჯგუფისა თუ ერთი ოჯახის ენათა მონაცემების კომპარატივისტული შეპირისპირების დროს;
- გ) განსხვავებულია ფუძეთა და ძირთა სტრუქტურული სეგმენტაციის მონაცემები ენათა ოჯახების შეპირისპირების დროს რეკონსტრუირებულ ერთეულთა დონეზე;
- დ) განსხვავება იჩენს თავს თვით ამა თუ იმ ენის რეალური მონაცემების საეტიმოლოგიო სეგმენტაციის დროს;
- ე) მით უფრო რთულდება საქმე, როდესაც შეპირისპირებით „პანორამაში“ ერთვება როგორც რეალური ენობრივი მონა-

- ცემები, ისე რეკონსტრუირებული ერთეულები;
- ვ) ამოსავალი თეორიული პოსტულატებისა თუ ელემენტარული კომპეტენციის გამომდინარეობა იჩენს თავს ფუძის მაწარმოებელ (წარმოქმნელი) ელემენტების ისტორიულ-ფუნქციურ ინტერპრეტაციაში;
 - ზ) არაერთგვაროვანია მიდგომა დადგენილი ეტიმონური მნიშვნელობის „განაწილებისა“ ფუძის რეკონსტრუირებულ სტრუქტურაში.

შესაძლებელი როი იყოს, ეს სურათი მთელი ემპირიული კონტექსტით წარმოგვედგინა, უფრო ნათლად წარმოჩინდებოდა, რა ძნელად დასაძლვეი დილემების წინაშე იდგა ავტორი.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მკვლევრის წინაშე დასმული ამოცანა ამ ასპექტით არსებითად მოითხოვდა ისტორიულ ძირფუძეთა სტრუქტურის ფონომორფოლოგიური საფუძვლების შექმნას, შეიძლება ვთქვათ, რომ ავტორმა მეტად კრიტიკული და საფუძვლიანი შრომა გასწია მის ხელთ არსებულ ნაირგვარ მონაცემთა დალაგებისათვის. ისიც შეიძლება ითქვას, რომ მონოგრაფიის ეს თავი არსებითად ერთი დამოუკიდებელი ნაშრომია, რომელსაც უდავო თეორიული მნიშვნელობა აქვს ისტორიულ-შედარებითი კვლევის სფეროში. პრაქტიკულად შეუძლებელია, მასში დასმულსა და გადაწყვეტილ ყველა საკითხსა და პრობლემას შევეხოთ, ოღონდ ის კი აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ავტორი მეტად მყარსა და არგუმენტირებულ პოზიციას აყალიბებს, საზოგადოდ, ფუძეთა სტრუქტურის ფორმირებისა და მათი პირვანდელი მოტივირებულობის საკითხში. კერძოდ, საგულისხმოა, რომ, მკვლევრის პოზიციით, ენობრივი ერთეულის მოტივაციის შესაძლებლობა სწორედ ფუძის სინთეზის პრობლემას უკავშირდება.

რაც მთავარია, მონოგრაფიის ეს მნიშვნელოვანი მონაკვეთი უთუოდ ფასეული გზამკვლევი და სახელმძღვანელო იქნება იბერიულ-კავკასიურ ენათა მომავალ მკვლევართათვის.

როგორც ითქვა, ავტორმა ამ ფუნდამენტურ ნაშრომში კომპარატივისტიკის იბერიულ-კავკასიური ენების სახელით ცნობილი ენები და ენობრივი ჯგუფები როგორც თითოეული ამ ჯგუფის წყვილად ურთიერთშეპირისპირებით, ისე — ამის შედეგად მიღებული სრული (ჯვარედინი) ურთიერთვერიფიკაციით და, ამ საკითხის „ხანდაზმულობისა“ და შესადარებელ ენათა ისტორიულ-კულტურული და დემოგრაფიული არაერთგვაროვნების პირობაზე, საკმაოდ მწყობრი სურათი მიიღო, იმდენად, რომ ეს ნაშრომი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს მეცნიერული კომპარატივისტიკის ჭეშმარიტად ამოუწურავ შესაძლებლობებში.


შეიძლება ითქვას, ამ მონოგრაფიის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ახალ პარადიგმასთან — თვისობრივი გაგებით — იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში.

ამ მიმართებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბასკურს, რამდენადაც თვით იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ადექტათვისაც კი ბასკური ამ პრობლემისაგან საკმაოდ განზემდგომ ენად აღიქმებოდა. და ობიექტურობისათვის უნდა ითქვას: რომ არა დიდი მეცნიერული ერთგულება და თავდადება ზოგიერთი მკვლევარისა (კერძოდ, აქ უპირველესად ცნობილი პოლონელი ლინგვისტი იან ბრაუნი იგულისხმება, მისი შემაჯამებელი ნაშრომით: *Euscaraucasicca, Warszawa, 1998*), შესაძლებელია მ. ქურდიანის ამ ნაშრომს და, შესაბამისად, ენობრივი ოჯახის შემადგენლობას, ობიექტურად ეს ენა (ამ ენის მონაცემები) დაჰკლებოდა.

რაც მთავარია, სწორედ ბასკურის მონაცემები (და არა მხოლოდ ის) აძლევს მკვლევარს შესაძლებლობას, ენათა დიფერენ-


ზ ₀	z ₀	ლაბიალიზებული ზ
ზ'	z'	სისინ-შიშინა (შუა სიბილანტური რიგის) ზ (საერთო-ქართველურისათვის *ზ ₁)
ზ ₀ '	z ₀ '	სისინ-შიშინა ლაბიალიზებული ზ
თ	t	
თ	ᵐ	ინტენსიური თ (თ' t'/t')
თ ⁰	t ⁰	ლაბიალიზებული თ
თ ^ა	t ^ა	პრერუპტივი თ
ი	i	
ი ^ნ	i ^ნ	გრძელი ი
ი ^ნ	i ^ნ	ნაზალიზებული ი (ი ^ნ)
ი ^რ	i ^რ	ფარინგალიზებული ი (ი ^რ)
ი ^ნ	i ^ნ	გრძელი ნაზალიზებული ი (ი ^ნ)
ქ	k	
ქ ⁰	k ⁰	ინტენსიური ქ
ქ ^ნ	k ^ნ	პალატალიზებული ქ
ქ ⁰	k ⁰	ლაბიალიზებული ქ
ღ	l	
ღ ^ნ	l ^ნ	მჟღერი ლატერალური სპირანტი
ღ ^რ	l ^რ	არაინტენსიური ყრუ ლატერალური სპირანტი
ღ ^ნ	l ^ნ	ინტენსიური ყრუ ლატერალური სპირანტი
ღ ^რ	l ^რ	არაინტენსიური ყრუ ლატერალური აფრიკატი
ღ ^ნ	l ^ნ	ინტენსიური ყრუ ლატერალური აფრიკატი
ღ ^ნ	l ^ნ	პალატალიზებული (რბილი) ლ
ღ ^რ	l ^რ	აბრუპტიული ლატერალური სპირანტი

ლა	ლ _ა	ინტენსიური ლ
მ	m	
მ'	m'	
ნ-	n-	პალატალიზებული (რბილი) ნ (ბასკური ტრანსკრიფციით n')
ნ	n	
ნ'	n'	
ნ ^ა	n ^a	გრძელი ნ
ნ ^ბ	n ^b	ნაზალიზებული ნ (ნ ^ბ)
ნ ^{ა ბ}	n ^{a b}	ფარინგალიზებული ნ (ნ ნ ^ბ)
ნ ^ა	n ^a	პალატალიზებული ნ
ნ ^ა	n ^a	გრძელი პალატალიზებული ნ
ნ ^ა	n ^a	გრძელი ნაზალიზებული (ნ ^ა ^ბ)
ნ ^ა	n ^a	მოკლე დახურული ნ
ნ ^ა	n ^a	მოკლე ღია ნ
პ	p	
პ'	p'	ფარინგალიზებული პ
პ ^ა	p ^a	ლაბიალიზებული პ
პ	p	
პ ^ა	p ^a	ველარიზებული პ
პ'	p'	პალატალიზებული პ
პ ^ა	p ^a	ლაბიალიზებული პ
რ	r	
რა	ra	ინტენსიური რ (ბასკური ტრანსკრიფციით i)
რ'	r'	
ს	s	

ს _ა	s _ა	ინტენსიური ს
ს´	s´	სისინ-შიშინა (შუა სიბილანტური რიგის) ს (საერთო-ქართველურისათვის *ს ₁)
ს ^o	s ^o	სისინ-შიშინა ლაბიალიზებული ს
ს´	s´.	
ს ^o	s ^o	
ტ	t	
ტ´	t´	არაინტენსიური გლოტალიზებული ლატერალური აფრიკატი
ტ ^ა	t ^ა	აინტენსიური გლოტალიზებული ლატერალური აფრიკატი
ტ ^o	t ^o	ლაბიალიზებული ტ
უ	u	
უ	ū	გრძელი უ
უ	ũ	ნაზალიზებული უ (უ ^ნ)
უ	ũ	ფარინგალიზებული უ (უ ^ა უ ^ა)
უ	ū	პალატალიზებული უ
უ	ũ	გრძელი ნაზალიზებული უ (უ ^ნ)
უ	ũ	გრძელი პალატალიზებული უ
უ	w	
უ	w´	
ფ	p	
ფ _ა	p _ა	ინტენსიური ფ
ფ´	p´	
ფ´	p´	ფარინგალიზებული ფ
ფ´	p´	პრერუპტივი ფ
ქ	k	

ქ	ka	ინტენსიური ქ (ქ' k)
ქ'	k'	ფარინგალიზებული ქ
ქ̄	k̄	პალატალიზებული ქ
ქ ^ა	k ^ა	ინტენსიური პალატალიზებული ქ (ქ' k')
ქ ^ა	k ^ა	ლაბიალიზებული ქ
ქ ^ა	k ^ა	ინტენსიური ლაბიალიზებული ქ (ქ' k')
ღ	γ	
ღ	γ	მჟღერი უველარული აფრიკატი
ღ̄	γ̄	მჟღერი წინაველარული სპირანტი (პალატალიზებული ღ)
ღ'	γ'	ფარინგალიზებული ღ
ღ ^ა	γ ^ა	ლაბიალიზებული ფარინგალური ღ
ყ	q	
ყ	qa	ინტენსიური გლოტალიზებული აფრიკატი უველარული რიგისა
ყ̄	q̄	პალატალიზებული ყ
ყ ^ა	q ^ა	ლაბიალიზებული ყ
ყ'	q'	ფარინგალიზებული ყ
ყ ^ა	q ^ა	ლაბიალიზებული ფარინგალური ყ
შ	ʃ	
შ ^ა	ʃ ^ა	ინტენსიური ყრუ ალვეოლარული სპირანტი
შ ^ა	ʃ ^ა	
შ̄	ʃ̄	პალატალიზებული შ (ბასკური ტრანსკრიფციით ʃ')
ჩ	ç	
ჩ ^ა	ç ^ა	ლაბიალიზებული შ
ჩ ^ა	ç ^ა	ინტენსიური ყრუ არაგლოტალიზებული ალვეო-

		ლარული აფრიკატი
ჩა	ჩა	ინტენსიური ჩ (ჩ' ც')
ჩაა	ჩაა	
ჩ°	ჩ°	ლაბიალიზებული ჩ
ჩ [~]	ჩ [~]	პალატალიზებული ჩ (ბასკური ტრანსკრიფციით ც')
ც	ც	
ცა	ცა	ინტენსიური ყრუ არაგლოტალიზებული პოსტდენტალური (სისინა) აფრიკატი ც ც
ც°	ც°	ლაბიალიზებული ც
ც'	ც'	სისინ-შიშინა (შუა სიბილანტური რიგის) ც (საერთო-ქართველურისთვის *ცი)
ც°	ც°	სისინ-შიშინა ლაბიალიზებული ც
ც'	ც'	პრერუპტივი ც
ძ	ძ	
ძ°	ძ°	ლაბიალიზებული ძ
ძ'	ძ'	სისინ-შიშინა (შუა სიბილანტური რიგის) ძ (საერთო-ქართველურისთვის *ძი)
წ	წ	
წა	წა	ინტენსიური გლოტალიზებული პოსტდენტალური (სისინა) აფრიკატი წ წ
წ°	წ°	ლაბიალიზებული წ
წ'	წ'	სისინ-შიშინა (შუა სიბილანტური რიგის) წ (საერთო-ქართველურისთვის *წი)
ჭ	ჭ	
ჭა	ჭა	ინტენსიური გლოტალიზებული ალვეოლარული აფრიკატი ჭ ჭ

ც ⁻	ც ⁻	
ც ⁰	ც ⁰	ლაბიალიზებული ც
ც ⁻	ც ⁻	პალატალიზებული ც
ხ	ხ	
ხ ⁰	ხ ⁰	ინტენსიური უველარული სპირანტი
ხ ⁻	ხ ⁻	არაინტენსიური წინაველარული სპირანტი (პალატალიზებული ხ)
ხ ⁻ ა	ხ ⁻ ა	ინტენსიური წინაველარული სპირანტი
ხ ⁰	ხ ⁰	
ხო	ხო	ლაბიალიზებული ხ
‘ხ	‘ხ	
‘ხო	‘ხო	ფარინგალური არაპალატალიზებული სპირანტი
ხო ⁰	ხო ⁰	ფარინგალურ ლაბიალიზებული სპირანტი
ჟ	ჟ	
ჟ	ჟ ⁰	ინტენსიური არაგლოტალიზებული უველარული აფრიკატი
ჟ ⁰	ჟ ⁰	ლაბიალიზებული ჟ
ჟ ⁻	ჟ ⁻	პალატალიზებული ჟ
ჟ ⁰	ჟ ⁰	ფარინგალიზებული ჟ
ჟ ⁰	ჟ ⁰	ლაბიალიზებული ფარინგალური ჟ
ჭ	ჭ	
ჭ ⁰	ჭ ⁰	ველარიზებული ჭ
ჭ ⁰	ჭ ⁰	
ჭ ⁻	ჭ ⁻	პალატალიზებული ჭ
ჭ ⁰	ჭ ⁰	ლაბიალიზებული ჭ

ჰ	h	
ჰ	h	ყრუ ფარინგალური სპირანტი
ჰ ₀	h ₀	ლაბიალიზებული ჰ
ჰ	h	
ჟ	ა	
ჟ ₀	ა ₀	ლაბიალიზებული ჟ
ც	'	
ც ₀	' ₀	ყრუ ხორხისმიერი მსკდმოი ლაბიალიზებული ც
ჯ	ა	უკანა წარმოების არალაბიალური ვიწრო ხმოვანი
ჯ	ა	გრძელი ჯ
ღ	d	მყდერი ინტერდენტალური სპირანტი
ფ	f	ყრულაბიალური სპირანტი
ფ'	f'	
ფ	f	ყრუ კბილბაგისმიერი მკვეთრი სპირანტი

ცხრილი № 2

ბასკური ანბანის სპეციფიკური გრაფემების ტრანსკრიფცია

გრაფემა	ლათინური ტრან- სკრიფცია	ქართული ტრან- სკრიფცია	შენიშვნა
tt	t'	თ'	პალატალიზებული თ
dd	d'	დ'	პალატალიზებული დ
n̄	n'	ნ'	პალატალიზებული ნ
rr	r'/ra	რა	ინტენსიური (გემინირებული) რ
ll	l'	ლ'	პალატალიზებული ლ
tz	c	ც	
ts	č	ჩ	(დასავლურ გამოთქმაში ც)
tx	č'	ჩ'	პალატალიზებული ჩ
z	s	ს	
s	š	შ	
x	š'	შ'	პალატალიზებული შ

იბერიულ-კავკასიური ენები და დიალექტები

(შემოკლებათა სია)

1. აფხაზურ-ადიღური

1.1. აფხ.-ადიღ. = აფხაზურ-ადიღურ ენათა ჯგუფი

1.1.1. აფხ.-აბაზ. = აფხაზურ-აბაზური ენა

აფხ. = აფხაზური (დიალექტთა აფხაზური წრე)

აბაზ. აბაზური (დიალექტთა აბაზური წრე)

1.1.2. აბჟ. აბჟურული დიალექტი (აფხაზ.)

აშხ. აშხარული დიალექტი (აბაზ.)

ბზიფ. = ბზიფური დიალექტი (აფხაზ.)

ტაპ. = ტაპანთური დიალექტი (აბაზ.)

1.2.1. ადიღ. = ადიღური ენა

ჩერქ. ჩერქეზული (ადიღურ-ყაბარდოული) ენები

ყაბ. = ყაბარდოული ენა

1.2.2. აბაძეხ. = აბაძეხური დიალექტი (ადიღ.)

ბესლან. ბესლანური დიალექტი (ყაბ.)

ბჟედულ. = ბჟედულური დიალექტი (ადიღ.)

დიდ. ყაბ. დიდყაბარდოული დიალექტი (ყაბ.)

თემირგ. = თემირგოული (|| ჰემგუური) დიალექტი (ადილ.)

მოზდ. = მოზდოკური დიალექტი (ყაბ.)

შაფს. = შაფსულური დიალექტი (ადილ.)

ჰემგ. = ჰემგუური (|| თემირგოული) დიალექტი (ადილ.)

1.3.1. უბიხ. = უბიხური ენა

2. ბასკურ-ქართველური

2.1. ბასკ.-ქართვ. = ბასკურ-ქართველურ ენათა ჯგუფი

2.1.1. ბასკ. = ბასკური ენა

ეუსკ. = ეუსკარული (|| ბასკური) ენა

2.1.2. ბისკ. = ბისკაიური დიალექტი

გიპუსკ. = გიპუსკოური დიალექტი

ზემ. ნავ. სამხ. = ზემონავარული (სამხრული) დიალექტი

ზემ. ნავ. ჩრდ. = ზემონავარული (ჩრდილოური) დიალექტი

ლაბ. = ლაბურდული დიალექტი

სულ. = სულეტური დიალექტი

ქვ. ნავ. აღმ. = ქვემონავარული (აღმოსავლური) დიალექტი

ქვ. ნავ. დას. = ქვემონავარული (დასავლური) დიალექტი

2.1.3. აკვ. = აკვიტანური ენა

2.2. ქართვ. = ქართველურ ენათა ქვეჯგუფი

2.2.1. ზან. = ზანური ენა

მეგრ.-ლაზ. = მეგრულ-ლაზური (|| ზანური) ენა

მეგრ.-ჭან. = მეგრულ-ჭანური (|| ზანური) ენა

მეგრ. = მეგრული (დიალექტთა მეგრული წრე)

ლაზ. = ლაზური (დიალექტთა ლაზური წრე)

ჰან. = ჰანური (დიალექტთა ჰანური || ლაზური წრე)

2.2.2. ათინ.-ართ. = ათინურ-ართაშნული დიალექტი (ლაზ.)

ვიწ.-არქ. = ვიწურ-არქაბული დიალექტი (ლაზ.)

ზუგდ.-სამ. = ზუგდიდურ-სამურზაყნოული დიალექტი (მეგრ.)

მარტვ.-სენ. = მარტვილურ-სენაკური დიალექტი (მეგრ.)

ხოფ.-ჩხალ. = ხოფურ-ჩხალური დიალექტი (ლაზ.)

2.3.1. სვან. = სვანური ენა

2.3.2. ბზ. = ბალსზემოური დიალექტი

ბქვ. = ბალსქვემოური დიალექტი

ლნტ. = ლენტეხური დიალექტი

ლშხ. = ლაშხური დიალექტი

ჩოლ. ჩოლურული დიალექტი

2.4.1. ქართ. = ქართული ენა

ახ. ქართ. = ახალი ქართული ენა

ძვ. ქართ. = ძველი ქართული ენა

2.4.2. აჭარ. = აჭარული დიალექტი

გურ. = გურული დიალექტები

გუდ. გუდამაყრული დიალექტი

ზემ. გურ. = ზემო გურული დიალექტი

ზემ. იმ. = ზემო იმერული დიალექტი

ზემ. ინგ. = ზემო ინგილოური დიალექტი

ზემ. რაჭ. ზემო რაჭული დიალექტი

თიან. = თიანური დიალექტი

- თუშ. = თუშური დიალექტი
ინგ. = ინგილოური დიალექტები
იმერ. = იმერული დიალექტები
იმერხ. = იმერხეული || შავშური დიალექტი
კახ. კახური დიალექტი
ლეჩხ. ლეჩხუმური დიალექტი
ლივ. ლივანური დიალექტი
მაჭ. მაჭახლური დიალექტი
მესხ. მესხური დიალექტი
მთარაჭ. = მთარაჭული დიალექტი
მთიულ. = მთიულური დიალექტი
მოხ. = მოხევეური დიალექტი
რაჭ. = რაჭული დიალექტები
ტაო = ტაოური დიალექტი
ფერ. = ფერეიდნული დიალექტები
ფშავ. ფშავური დიალექტი
ქართლ. ქართლური დიალექტი
ქვ. გურ. ქვემო გურული დიალექტი
ქვ. იმ. = ქვემო იმერული დიალექტი
ქვ. ინგ. ქვემო ინგილოური დიალექტი
ქვ. რაჭ. = ქვემო რაჭული დიალექტი
შავშ. = შავშური || იმერხეული დიალექტი
ხევს. = ხევსურული დიალექტი
ჯავახ. = ჯავახური დიალექტი

3. ნახურ-დაღესტნური

3.1. ნახ.-დაღ. = ნახურ-დაღესტნურ ენათა ჯგუფი

3.1.1. ნახ. = ნახურ ენათა ქვეჯგუფი

- 3.1.2. ვიანახ. = ვაინახური (|| ჩეჩნურ-ინგუშური) ენა
ჩეჩნ.-ინგუშ. = ჩეჩნურ-ინგუშური ენა
ბაცბ. = ბაცბური (|| წოვა-თუშური) ენა
წოვათუშ. = წოვა-თუშური ენა
- 3.1.3. აჯ. = აჯიური დიალექტი
ბარ. = ბარის დიალექტი
ინგუშ. = ინგუშური დიალექტი
ქისტ. ქისტური დიალექტი
შარ. = შაროული დიალექტი
ჰებ. = ჰებერლოური დიალექტი
- 3.2.1. დად. = დადესტნურ ენათა ქვეჯგუფი
ხუნდ.-ანდ.-დიდ. = ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა წრე
ლაკ.-დარგ. = ლაკურ-დარგულ ენათა წრე
ლეზგ.-ალბ. = ლეზგიურ-ალბანურ ენათა წრე
- 3.2.2. ხუნდ. = ხუნძური ენა || ენები (ხუნდ.-ანდ.-დიდ.)
ხუნდახ. = ხუნდახური ენა (ხუნდ.-ანდ.-დიდ.)
ტოხ. = ტოხური ენა (ხუნდ.-ანდ.-დიდ.)
ჰად. = ჰადაქოლოური ენა (ხუნდ.-ანდ. დიდ.)
ანდ. = ანდიური ენა (ხუნდ.-ანდ.-დიდ.)
ბოთლიხ. = ბოთლიხური ენა (ხუნდ.-ანდ.-დიდ.)
ლოდობ. = ლოდობერიული ენა (ხუნდ.-ანდ.-დიდ.)
ტინდ. = ტინდიური ენა (ხუნდ.-ანდ.-დიდ.)
ჰამალ. ჰამალალური || ჰამალური ენა (ხუნდ.-ანდ.-დიდ.)
ბაგვალ. = ბაგვალალური || ბაგვალური ენა (ხუნდ.-ანდ.-დიდ.)
ავარ. = ავარული (|| ხუნძური) ენა (ხუნდ.-ანდ.-დიდ.)

- კვანად. = კვანადინური (|| ბავგვალალური) ენა (ხუნდ.-ანდ.-დიდ.)
კარატ. = კარატიული ენა (ხუნდ.-ანდ.-დიდ.)
ახვ. = ახვანური ენა (ხუნდ.-ანდ.-დიდ.)
დიდ. = დიდური (|| ცეზური) ენა (ხუნდ.-ანდ.-დიდ.)
ხვარშ. = ხვარშიული ენა (ხუნდ.-ანდ.-დიდ.)
ჰინუხ. = ჰინუხური ენა (ხუნდ.-ანდ.-დიდ.)
ბეეიტ. = ბეეიტური (|| კაპუტური) ენა (ხუნდ.-ანდ.-დიდ.)
კაპუტ. = კაპუტური (|| ბეეიტური) ენა (ხუნდ.-ანდ.-დიდ.)
ჰუნზიბ. = ჰუნზიბური (|| ნახადური) ენა (ხუნდ.-ანდ.-დიდ.)
ნახად. = ნახადური (|| ჰუნზიბური) ენა (ხუნდ.-ანდ.-დიდ.)
ლაკ. = ლაკური ენა (ლაკ.-დარგ.)
დარგ. = დარგული ენა (ლაკ.-დარგ.)
ლეზგ. = ლეზგიური ენა (ლეზგ.-ალბ.)
აღულ. = აღულიური ენა (ლეზგ.-ალბ.)
მუხად. = მუხადური (|| რუთულიური) ენა (ლეზგ.-ალბ.)
რუთ. = რუთულიური (|| მუხადური) ენა (ლეზგ.-ალბ.)
წახ. = წახური (|| წახურული) ენა (ლეზგ.-ალბ.)
კრიწ. = კრიწული (|| ჭეკური) ენა (ლეზგ.-ალბ.)
ჭეკ. = ჭეკური (|| კრიწული) ენა (ლეზგ.-ალბ.)
ბუდუხ. = ბუდუხური ენა (ლეზგ.-ალბ.)
ხინალუდ. = ხინალუდური ენა (ლეზგ.-ალბ.)
უდ. = უდიური ენა (ლეზგ.-ალბ.)
არჩ. = არჩიბული ენა (ლეზგ.-ალბ.)
ალბ. = ალბანური (|| ძვ. უდიური) ენა (ლეზგ.-ალბ.)

- 3.2.3. ანდალ. = ანდალალური დიალექტი (ხუნდ.)
ანწუხ. = ანწუხური დიალექტი (ხუნდ.)
აღმოს. = აღმოსავლური დიალექტი (ხუნდ.)

- ბათლ. = ბათლიხური დიალექტი (ხუნდ.)
ჰიდ. = ჰიდური დიალექტი (ხუნდ.)
დას. = დასავლური || სალათაური დიალექტი (ხუნდ.)
ზაქათ. = ზაქათალური დიალექტი (ხუნდ.)
კარახ. = კარახული დიალექტი (ხუნდ.)
კახიბ. = კახიბური დიალექტი (ხუნდ.)
სალათ. = სალათაური || დასავლური დიალექტი (ხუნდ.)
მიარს. = მიარსული დიალექტი (ბოთლიხ.)
ზიბარხ. = ზიბარხალური დიალექტი (ლოდობ.)
ტოკიტ. = ტოკიტინური დიალექტი (კარატ.)
ჩრდ.-ახვ. = ჩრდილო-ახვახური დიალექტი (ახვ.)
სამხ.-ახვ. = სამხრულ-ახვახური დიალექტი (ახვ.)
ინხოკვ. = ინხოკვარული დიალექტი (ხვარშ.)
ვიცხ. = ვიცხინური დიალექტი (ხვარშ.)
ყუმუხ. = ყუმუხური დიალექტი (ლაკ.)
ვიხლ. = ვიხლიური დიალექტი (ლაკ.)
ბალხ. = ბალხარული დიალექტი (ლაკ.)
ამტიკ. = ამტიკულური დიალექტი (ლაკ.)
ხიურკ. = ხიურკინული დიალექტი (დარგ.)
ახუშ. = ახუშური (აჟუშური) დიალექტი (დარგ.)
წუდახ. = წუდახარული დიალექტი (დარგ.)
ხაიდაკ. = ხაიდაკური დიალექტი (დარგ.)
ყუბაჩ. = ყუბაჩური დიალექტი (დარგ.)
არბუკ. = არბუკული || ყუბაჩური დიალექტი (დარგ.)
უღბულ. = უღბულანური || ყუბაჩური დიალექტი (დარგ.)
ურახ. = ურახული დიალექტი (დარგ.)
მუირ. = მუირინული დიალექტი (დარგ.)
ვართ. = ვართაშნული დიალექტი (უღ.)

- ნიჯ. = ნიჯური დიალექტი (უდ.)
კიურ. კიურინული დიალექტი (დარგ.)
სამურ. = სამურული დიალექტი (დარგ.)
ყუბ. = ყუბური დიალექტი (ლეზგ.)
შაიტლ. შაიტლიური დიალექტი (დიდ.)
შაფიხ. = შაფიხური დიალექტი (დიდ.)
საგად. = საგადიური დიალექტი (დიდ.)
თლიად. = თლიადალური დიალექტი (ბეჟიტ.)
ხაჩარ. = ხაჩარხოტული დიალექტი (ბეჟიტ.)
სამხ. თაბ. = სამხრულ თაბასარანული დიალექტი (თაბ.)
ჩრდ.თაბ. ჩრდილო თაბასარანული დიალექტი (თაბ.)
კოშან. კოშანური დიალექტი (ადულ.)

წინასიტყვა

როდესაც ჟურნალმა „Вопросы языкознания“ (1954, №3 — 1956, №1) დისკუსია მოაწყო იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესახებ, მასში ჩაბმული თუ ჩათრეული აღმოჩნდა მსოფლიო სახელის მქონე, თუ ასეთი სახელის მოპოვების მსურველი, მრავალი მეცნიერი (დისკუსიაში ჩართვის თანამიმდევრობის მიხედვით: ე. ბოკარიოვი, ვ. გეორგიევი, ი. დიაკონოვი, ი. ღუნაევსკაია, ს. კაკაბაძე, ქ. ლომთათიძე, ი. ზიცარი, არნ. ჩიქობავა).

დისკუსიამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, მაგრამ მის მსვლელობაში ერთმნიშვნელოვანი პასუხი ვერ გაეცა ვერც ერთს ორი უმთავრესი სადისკუსიო საკითხიდან:

ა) იბერიულ-კავკასიური ენების (აფხაზურ-ადიღური, ნახურ-დაღესტნური და ქართველური) ერთმანეთთან ნათესაობის შესახებ, და

ბ) იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის შესახებ წინა თუ მცირე აზრისა ან ხმელთაშუაზღვისპირეთის ენებთან (შუმერული, ელამური, ხათური, ხური-ურარტული...) და ბასკურთან — ე. წ. ხეთურ-იბერიული ჰიპოთეზა...

ორივე ამ საკითხთან დაკავშირებით დისკუსიის თითოეული მონაწილე იმავე აზრზე დარჩა, რაც მას დისკუსიის დაწყებამდე ჰქონდა და, რაკი იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის სასარგებლოდ ქეთევან ლომთათიძის გარდა (ლომთათიძე 1955 79) წმინდა კომ-

პარატივისტული არგუმენტები არავის ჰქონდა მოყვანილი, ეს არგუმენტები კი ყურადღებისა და კვალიფიკაციის გარეშე დარჩა, შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს არც შერყეულა ნ. ტრუბეცკოის მიერ 1924 წელს გამოთქმული მოსაზრება: ჩრდილოკავკასიურ ენათა ნათესაობა სამხრეთკავკასიურ (ქართველურ) ენებთან „არც თავისთავად არის ცხადი და არც მეცნიერულად დამტკიცებული“ (ტრუბეცკოი 1924 327).

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ქ. ლომთათიძის სადისკუსიო სტატიაში მოხმობილი, მის მიერ დადგენილი ქართველურ-აფხაზურ-ადიღური და ტოგო გუდავას მიერ დადგენილი ქართველურ-დაღესტნური ბგერათშესატყვისობებისთვის სათანადო კვალიფიკაციის მიუცემლობა, გარდა ამ დისკუსიის მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის ნიშანდობლივი „ორატორული სიყრუისა“, კიდევ ორმა ფაქტორმა განაპირობა:

პირველი ფაქტორი, ერთი შეხედვით, ობიექტურია: ბგერათშესატყვისობები ორივე შემთხვევაში დადგენილი იყო ისტორიულ-შედარებითი მეთოდის პოზიციიდან არაკორექტულად, მეთოდის მკაცრი მოთხოვნების დაუცველად. ჯერ ერთი — ერთმანეთთან შედარებული აღმოჩნდა უშუალოდ სინქრონიაში თანაარსებულ ენათა (ქართული, ზუნძური, აფხაზურ-ადიღური, ზანური, სვანური) მონაცემები, თითოეული ენობრივი ჯგუფის (ქართველურის, აფხაზურ-ადიღურის, დაღესტნურის) ფუძე-ენობრივი მდგომარეობის (არქეტიპების) წინასწარი რეკონსტრუქციის გარეშე; მეორე — შედარებისათვის აღებული იყო მხოლოდ ძირები, ისიც — ცალთანხმოვნინანი ძირები, და თანაც ისეთ სიტყვებში, რომელთა სემანტიკა (ძირისა და გრამატიკული ინვენტარის გამიჯვნა) არც ცხადი იყო, არც უდავო და ზოგჯერ, არც შესაძლებელი; მესამე — მიკვლეული ბგერათშესატყვისობები მათი არასისტემური

ხასიათის გამო აღიქმებოდნენ იზოლირებულ, არაკანონზომიერ, არარეგულარულ მოვლენებად. ყოველივე ზემოთქმულს მინიმუმამდე დაჰყავდა მათი მნიშვნელობა და ფასეულობა იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის დადგენის საქმეში.

მეორე ფაქტორი სუბიექტური იყო: ის მოკრძალებული ეჭვები, რომელიც ისტორიულ-შედარებითი მეთოდის უნივერსალურობის მიმართ გამოთქვა ანტუან მეიემ ოსლოში 1924 წელს წაკითხული ლექციების ცნობილ ციკლში, უკვე საბოლოოდ გაქარწყლებული გახლდათ იმ თვალსაჩინო მიღწევებით, რომელიც მის გამოყენებას მოჰყვა სხვადასხვა სისტემის ენების მიმართ (მათ შორის — ბლუმფილდის მიერ ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელთა ენებისათვის) და ეს უკვე საყოველთაოდ აღიარებული მეთოდი მხოლოდ იბერიულ-კავკასიური ენების მკვლევართა შორის იწვევდა გამუდმებულ მსჯელობას იბერიულ-კავკასიურ ენათა „სპეციფიკურობის“, მათი შეუდარებლად მდიდარი კონსონანტიზმის გამო ბგერათშესატყვისობათა დადგენის „უფრო რთული ხასიათის“ და, აქედან გამომდინარე, თვით კომპარატივისტული „მეთოდის დაზუსტების აუცილებლობის“ შესახებ, ხოლო ამ „სირთულეთა“ და „სპეციფიკურობათა“ საილუსტრაციოდ, ჩვეულებრივ, ისეთი მაგალითები მოიხმობოდა ხოლმე, რომლებიც მეთოდის კორექტული გამოყენებით სრულიად დამაკმაყოფილებლად იხსნებოდნენ ან ფონეტიკური პროცესებით (კომბინატორულით თუ პოზიციურით), ან ფუძე-ენის სხვადასხვა ფონემის რეფლექსად ცნობით, ან ნასესხობით და სხვ., რაც ოპონენტებს მეთოდის არასრულყოფილად ფლობაში იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის მომხრეთა დადანიშაულების საბაბს აძლევდა და დამაჯერებლობას უკარგავდა დიდი ძალისხმევის შედეგად გამოვლენილ უეჭველ მაგალითებსაც კი. ამ ხასიათის ხარვეზებისაგან, სამწუხაროდ, არც ზემოხსენებული სადისკუსიო სტატია აღმოჩნდა დაზღვეული.

თუმცა დისკუსიამ შედეგი მაინც მოიტანა და ეს შედეგი იყო იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობისადმი ნიჰილისტური განწყობილების გაძლიერება სხვა ენობრივი ოჯახების მკვლევარ კომპარატივისტებს შორის, რომელთაც თავად არ მიუწვდებოდათ ხელი არც ქართველურ და არც მთის კავკასიურ ენათა მასალაზე. მათი ასეთი განწყობის სტაბილურობას უზრუნველყოფდა ქართველური და კავკასიური ენების ავტორიტეტული მკვლევრების ერთი ჯგუფის პერიოდული განცხადებები იბერიულ-კავკასიური ენების შინა ნათესაობის ჭერჭერობით დაუმტკიცებლობისა თუ დაუსაბუთებლობის შესახებ. მხოლოდ ფაქტის კონსტატაციის პრეტენზიის მქონე ასეთი განცხადებების სიხშირე გამოწვეული იყო მათი ქვეტექსტით: არ დამტკიცდა აქამდე, არ დამტკიცდება არასოდეს! იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ კავკასიოლოგთა თბილისური სკოლის მთელი ძალისხმევა მხოლოდ აქეთ, ე. ი. კომპარატივისტული მეთოდით ქართველური და კავკასიური ენების ნათესაობის დამტკიცებისაკენ იყო მიმართული, მაგრამ ამ ძალისხმევას არანაირი შედეგი არც აქამდე მოჰყოლია და არც შემდეგში მოჰყვებოდა, რაკი თითქმის ყველა კავკასიური ენა მონოგრაფიულად უკვე შესწავლილი ჰქონდათ, შედარებისათვის საკმარისი ენობრივი მასალაც უკვე გამოვლენილი, ხელჩასაჭიდი კი თითქოს არაფერი ჩანდა.

ყველაზე შეუწყნარებელი მეცნიერებაში ორმაგი სტანდარტებია. სამწუხაროდ, მკაცრი მეცნიერული მეთოდის იმ მომხრეებს, რომლებსაც ნიჰილისტური დამოკიდებულება მხოლოდ იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის დამტკიცების არცთუ მრავალრიცხოვანი ცდების მიმართ უჩნდებოდათ, რატომღაც ავიწყდებოდათ მეთოდოლოგიური სიმკაცრის დაცვის სავალდებულოობის მოთხოვნა, როდესაც ქართველური ენები, ვთქვათ, ნოსტრატულ ენათა

ოჯახის უეჭველ წევრად ცხადდებოდა სემიტურ-ქამიტურ, ინდო-ევროპულ, ურალურ, დრავიდულ და ალთაურ ენებთან ერთად, უდროოდ გარდაცვლილი ვლადისლავ ილიჩ-სვიტიჩის (1934-1966) მიერ და მის სადიდებლად ეპითეტებსაც არ იშურებდნენ (დადებითი რეცენზიების სია იხ. ილიჩ-სვიტიჩი 1984 7).

ქართველური და კავკასიური ენების სპეციალისტებისათვის, ვისაც ნოსტრატული ენების შედარებითი ლექსიკონის ეს სამტომეული ერთხელ მაინც აუღია ხელში, აშკარაა, თუ რამდენად არაკორექტულად, მეთოდოლოგიური ასპექტით, და არაპროფესიულად, მასალის ფლობის თვალსაზრისით, იქნა გამოყენებული ქართველურ ენათა მასალა ნოსტრატული ჰიპოთეზის შესაქმნელად (იხ. აგრეთვე: ფოჩხუა 1974 335-342). ასეთივე სურათი ჩანს სხვა, მაგ., სემიტო-ქამიტური (ლევინი 1995 5 და შმდ.) თუ დრავიდული (ანდრონოვი 1982) ენების მონაცემებთან დაკავშირებითაც.

ილიჩ-სვიტიჩის მიერ დადგენილი ე. წ. ნოსტრატული ბგერათშესატყვისობების დაზუსტება სცადა ა. რ. ბომჰარდმა, მაგრამ მან ეს ფაქტობრივად იმავე მასალაზე დაყრდნობით გააკეთა და შედეგიც, ბუნებრივია, ანალოგიური აღმოჩნდა (ბომჰარდი 1990).

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტური მიზეზების საფუძვლად დადებული პრინციპების თითქოსდა თავისთავადი სიცხადის, უეჭველობისა და საყოველთაოდ უაპელაციოდ გასაღებულობისა, მოდით, ჩვენ თვითონ მაინც გადავამოწმოთ, თუ რამდენად ადეკვატური და უნივერსალური არიან ისინი რეალურად.

თავად ვლადისლავ ილიჩ-სვიტიჩი არცთუ უსაფუძვლო გაღიზიანებით აღნიშნავდა:

„საინტერესოა, რომ გარე (ენობრივი ოჯახის გარე — მ.ქ.) შედარებათა საკითხების დამუშავებაში, ამ პერიოდში თითქმის არ მონაწილეობენ ინდო-ევროპეისტები (ვგონებ, პ. პედერსენის გამოკლე-

ბით). ინდო-ევროპეისტიკაში, ნეოგრამატიკოსების დროიდან მოყოლებული და 30-40-იან წლებამდე, გაბატონებულია რამდენადმე უგულვებელყოფითი დამოკიდებულება გარე შედარებათა მცდელობებისადმი, როგორც დილექტანტური შრომებისადმი, რომლებიც არ არიან დაფუძნებულნი ზუსტ მეთოდებზე. მსგავსი თვალსაზრისი, საფუძველჩაყრილი XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში, როდესაც ინდო-ევროპული კომპარატივისტიკა წარმოადგენდა ფაქტობრივად კომპარატივისტიკის ერთადერთ დამუშავებულ დარგს საერთოდ, უკვე ა. მეიეს დროს იქცა მეცნიერების დამამუხრუჭებელ ანაქრონიზმად“ (ილიჩ-სვიტიჩი 1971 40).

ინდო-ევროპეისტთა მოთხოვნები, წაყენებული კომპარატივისტული მეთოდის ზუსტად და მკაცრად გამოყენებისადმი ამჟამად ისევე აქტუალურია, უფრო სწორად, აქტუალურია როგორც არასდროს, რადგან არათუ დილექტანტურმა, არამედ, საერთოდ, მეცნიერებისაგან განსმდგომმა ჰიპოთეზებმა შემოადწიეს სამეცნიერო მიმოქცევაში, მეტიც, ისინი ზოგჯერ სპეციალური სახელმძღვანელოების გვერდებზე ხვდებიან.

პირადად მე ენის მონოგენეზისური თეორიის მომხრე ვარ და სრულიად ბუნებრივად მიმაჩნია, რომ ენათა ოჯახების ურთიერთნათესაობის პრობლემა პრინციპულ მეცნიერულ პრობლემად იყოს აღიარებული და მისი კვლევა ინტენსიურად წარმოებდეს, მაგრამ იმავდროულად, სრულიად შეუწყნარებლად მივიჩნევ ამ პრობლემის გადაწყვეტის მცდელობებს კომპარატივისტული მეთოდის გამოყენების სიზუსტისა და სიმკაცრის შესუსტების ხარჯზე და, მით უმეტეს, შემდეგ ასეთი „კვლევის“ შედეგების გამოცხადებას ობიექტურ ჭეშმარიტებად.

ჯერ კიდევ 1924 წელს ოსლოში წაკითხული ლექციების ციკლში ა. მეიე წუხდა:

„... მეთოდები, წარმატებით გამოყენებული ინდო-ევროპული ენების კვლევისას, ყველგან ერთნაირად როდია გამოსადეგი. საჭიროა დაფიქრება კვლევის მეთოდოლოგიაზე, შემოწმება ჩვენი მეთოდების სისწორისა და ცდა **მკაფიობისა და სიზუსტის მოთხოვნათა დაქვეითების გარეშე** (ხაზგასმა ჩემია — მ.ქ.) მათი გავრცელებისა ახალ ფართო არეებზე.

მეთოდის გადასინჯვა (იგულისხმება — გამკაცრების მიმართულებით მ.ქ.) მით უმეტეს აუცილებელია, რომ ბოლო დროს ბევრმა ენათმეცნიერმა წამოაყენა ცუდად დასაბუთებული ჰიპოთეზები. ახალი ეტიმოლოგია ძალიან ბევრია, მაგრამ მათი უმრავლესობა იმ რიგისაა, რომ მათში შეუძლებელია აღმოაჩინო რაიმე, მტკიცებულების საწყისიც კი“ (მეიე 1954 9).

XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე ასეთი ფანტასტიკური თეორიების ლომის წილი სწორედ ენათა ოჯახებს შორის ნათესაობაზე მოდის, ასეთ ენობრივ ოჯახებს „მაკროოჯახებს“ ან „ფილუმებს“ უწოდებენ. „ფილუმი“ ბერძნული წარმოშობის სიტყვაა, ის „ტომს“ / „გვარს“ ნიშნავს და ტერმინოლოგიურად იმავე სემანტიკურ ჯგუფს განეკუთვნება, რასაც „ოჯახი“. ბუნებრივია, რომ ოჯახები გვარებად (resp. ტომებად) იყვნენ გაერთიანებულნი და, ისიც ბუნებრივია, რომ ტომის შიგნით ნათესაობა უფრო შორეული ქრონოლოგიისა იყოს, ვიდრე ოჯახის შიგნით, მაგრამ ამ ნათესაობის დადგენისათვის მეთოდოლოგიური შეღავათების დაშვება ფაქტობრივად თვით ნათესაობის დამტკიცებაზე უარის თქმას ნიშნავს.

„ნოსტრატული თეორიის“ (როგორც იდეა, ასევე ტერმინი „ნოსტრატული ენები“ ეკუთვნის ჰოლგარ პედერსენს) გარდა, რომელიც, როგორც ცნობილია, ერთ ფილუმში მოიაზრებს ძველი სამყაროს ექვს ენობრივ ოჯახს: სემიტო-ჰამიტურს, ქართველურს, ინდო-ევროპულს, ურალურს, დრავიდულს, ალთაურს (ილიჩ-სვიტი-

ჩი 1971-1984), არსებობს „ბორეული ჰიპოთეზა“, რომელიც ერთ ფილუმად აერთიანებს: ინდო-ევროპულ, ურალურ და ალთაურ ენებს. ამ ჰიპოთეზის ავტორს ნ. ანდრეევს, ბორეალური წინარე ენის არსებობა დამტკიცებულად მიაჩნია მას შემდეგ, რაც მან გააანალიზა აღრეული ინდო-ევროპული პრაენის რეკონსტრუირებული 203 ძირეული სიტყვა და შეადარა რა ისინი ურალური (resp. უგრო-ფინური) და ალთაური ენების სიტყვებს, განაცხადა:

„გამოირკვა, რომ 203 ძირეული სიტყვიდან 198 არის როგორც ურალური, ასევე ალთაური წარმოებული ფორმების შემადგენლობაში, ხოლო დარჩენილი ხუთი პოვნიერია, უკიდურეს შემთხვევაში, ერთში მაინც ამ ორი ენობრივი ჯგუფიდან“ (ანდრეევი 1986 3).

განსაკუთრებით პოპულარულია ფილუმების იდეა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ კი, სტენფორდის უნივერსიტეტში, რომლის პროფესორები ჯ. გრინბერგი, ჯ. ბენტსონი და მ. რულენი ძირითადად სწორედ მსოფლიო ენათა ოჯახების ფილუმებად გაერთიანებით არიან დაკავებული.

ასეთ ფილუმად არის აგრეთვე წარმოდგენილი დენე-კავკასიური ენობრივი ერთობა, რომელიც ჩრდილო კავკასიის ენებს ჩრდილო ამერიკის ნა-დენე ენებთან მონათესავედ განიხილავს.

ინდო-ევროპეისტიკის მკაცრი მეთოდებიდან შორსმდგომი ადამიანები ასეთი ფილუმების შექმნას XX საუკუნის დასაწყისიდანვე ცდილობდნენ და, ცხადია, ამ საქმეში ყველაზე ნაკლებ შესწავლილი და მასალობრივად მათთვის ნაკლებად ხელმისაწვდომი ენებით მანიპულირებდნენ.

მათთვის, ამ მხრივ, კავკასიური ენები და ბასკური ერთგვარი კლონდაიკი იყო ახალი ჰიპოთეზების წამოსაყენებლად.

ჯერ იყო და დინ უორთმა (D. Worth) დაუტკავშირა ერთმანეთს ბასკური და პალეოციმბირული, შემდეგ კი კ. ულენბეკმა, რომელიც

ყოველგვარ ახალ ჰიპოთეზას უჭერდა მხარს, აღმოაჩინა „სრული პარალელიზმი“ თავდაპირველად ბასკურ ზმნასა და ჩუქჩურ ზმნას შორის, შემდეგ კი ეს „სრული პარალელიზმი“ გაავრცელა ჩუქჩურის მონათესავე კორიაკულ და კამჩადალურ ენებზე. კარლ ბოულდამ კი ბასკურ და პალეოციმბირულ ენათა შედარებაში კავკასიური ენებიც ჩართო. ცხადია, ამას აღფრთოვანებით შეხვდა კ. ულენბეკი: „ჩვენ ჯერ კიდევ ცოტა რამ ვიცით ჩუქჩურ-კორიაკულ-კამჩადალური ჯგუფის გარე ნათესაობის შესახებ. იქნებ აღმოჩნდეს საბოლოო ჯამში, რომ ეს ჯგუფი კავკასიური ენების განშტოებას წარმოადგენს. ჩუქჩურისა და ბასკურის თანხედენები ნებას გვაძლევენ ჩავრთოთ ისინი ბასკურისა და კავკასიურის შედარებითს შესწავლაში“, — წერდა ის 1946 წელს.

ჩართეს კიდევ ე. ლევიმ (E. Lewy) წამოაყენა ჰიპოთეზა, რომლის თანახმად ბასკური, კავკასიური, ჩუქჩური და ზოგი სხვა ნაკლებ შესწავლილი ენა, ენათა იმ დიდი ფილუმის კუნძულოვანი გადმონაშთებია, რომელიც დანარჩენ ტერიტორიებზე შთანთქმულ იქნა ენათა ოთხი ახალი ოჯახის მიერ. რად ღირს მართო ამ ოთხი ახალი ოჯახის ლევისეული კლასიფიკაცია: ინდო-ევროპული, ინდო-ჩინური (sic.), ურალურ-ალთაური და სემიტური (ლაფონი, 1976 74-76; ტოვარი, 1980 35-36).

ყველაზე შორს ამ გზაზე პროფ. ს. სტაროსტინი წავიდა, რომელმაც ჯერ ჩრდილოკავკასიური და ენისეური ენების ნათესაობა „დაამტკიცა“ (სტაროსტინი, 1982 144-237), მათ შორის ბგერათშესატყვისობათა „აღმოჩენით“, შემდეგ კი ისინი სინო-ტიბეტურ ენათა ოჯახებთან ერთად ერთ ფილუმში გააერთიანა, ცხადია, ასევე „ბგერათშესატყვისობათა დადგენის“ გზით.

თავს უფლებას მივცემ თავი შევიკავო ს. სტაროსტინის „კომპარატივისტული“ მოღვაწეობის კვალიფიკაციისაგან და მის შესაფა-


სებლად ისტორიულ-შედარებითი მეთოდის სიმკაცრის აღიარებული დამცველი, პროფ. ბაქარ გიგინეიშვილი დავიმოწმო:

„ეტიმოლოგიური დაკავშირებანი და რეკონსტრუირებული ფორმები სრულიად ფანტასტიურია და შორს სცილდება როგორც ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების, ისე, საზოგადოდ, მეცნიერული ანალიზის მეთოდებს. შედარებითი ენათმეცნიერება ეტიმოლოგიურ შეპირისპირებებს ემყარება, მათს ბაზაზე ადგენს იგი ბგერათშესატყვისობათა ფორმულებს. ხოლო დასაკავშირებელ ფორმათა ანალიზი თუ თვითნებურია, სემანტიკური მხარე კი მხოლოდ ასოციაციებზე დაფუძნებული, კარგს ვერას მივიღებთ. პირიქით, ენათმეცნიერების ეს უზუსტესი დარგი მეცნიერების სრულ პროფანაციად იქცევა. სწორედ ასეთი სურათი იხატება ჩვენს წინს. სტაროსტინის ნაშრომთა (რომელთა უმრავლესობა თეზისების სახითაა) გაცნობისას. საოცარი არევა-დარევა და ქაოსი შეიტანა მან ჩრდილოკავკასიურ ენათა შედარებითს შესწავლაში, რომელთაგან რამდენადმე კარგად არცერთს არ იცნობს“ (გიგინეიშვილი 1990 14).

ამ შეფასების განმეორება უცვლელად და უგამონაკლისოდ შეიძლება ს. სტაროსტინის შემდეგდროინდელ ნაშრომებზე, მათ შორის, ს. ნიკოლაევიან თანაავტორობით 1994 წელს მოსკოვში ინგლისურ ენაზე გამოცემული 1408 გვერდიანი „ჩრდილო-კავკასიურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის“ შესახებ (იხ. აგრეთვე ნიკოლსონი 1997 20).

თუ რა კატასტროფულ დონემდლა მისული თანამედროვე ლინგვისტიკაში მკაცრი მეცნიერული მეთოდების უგულვებელყოფა და რაოდენ საყოველთაო ხასიათს ატარებს ეს ტენდენცია, კარგად ჩანს სამეცნიერო—პოპულარული გამოცემის — „მსოფლიო ენათა ატლასის“ მაგალითზე, სადაც ასეთი გენეალოგიური ცხრილია გამო-

ქვეყნებული:



(კომრი 1998 52)

ნიკოლაი ტრუბეცკოიმ ფილუმების ე. წ. „დიდი ენობრივი ოჯახების“ სავარაუდო წევრთა ნათესაობის მტკიცებასთან დაკავშირებით, ლინგვისტთა III საერთაშორისო კონგრესზე (რომი, 1933), ასე გამოხატა თავისი სკეფსისი:

ვეჭვობ, რომ ოდესმე შესაძლებელი გახდეს, დამაჯერებლად და უნაკლოდ (მეცნიერული თვალსაზრისით) დამტკიცდეს ნათესაობა ინდოევროპულისა სემიტურთან, ურალურთან ან ჩრდილკავკასიურ ენებთან. ამასთან, მე მესმის „ნათესაობა“ მაინცდამაინც მისი პირდაპირი, ანუ **გენეალოგიური მნიშვნელობით**“ (ტრუბეცკო 1987 61).

ნ. ტრუბეცკოის ამ გამოსვლის („ნათესაობის პრობლემა დიდ ენობრივ ოჯახთა შორის“) კომენტარებში ვიაჩ. ვს. ივანოვი წერს:

„ტრუბეცკოის შენიშვნების ფასეულობა ამ შემთხვევაში იმაში მდგომარეობს, რომ მან მიათითა ზოგიერთ პრინციპულ სიძნელეზე, რომლებიც შეიძლება დაბრკოლებად ქცეულიყო შედარებისთვის და სპეციალურად უნდა ყოფილიყო დათქმული“ (ტრუბეც-

კოი 1987 420).

მაგრამ იგივე ვიაჩ. ვს. ივანოვი თვლის, რომ „ილიჩ-სვიტიჩის ნოსტრატულ ენათა ლექსიკონში თავმოყრილია დიდი ლექსიკური მასალა, რაც უფლებას იძლევა არიდებულ იქნეს ტრუბეცკოის ეს არსებითი სიტყვისგება“ (ტრუბეცკოი 1987 420).

სრულიად არ მიმაჩნია შეუძლებლად მომავალში ენობრივ ოჯახთა ფილუმებად გაერთიანება მათ შორის კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობების დადგენის გზით, მაგრამ დღეს არც ერთი ენობრივი ფილუმის არსებობა არ არის მეცნიერულად დამტკიცებული, მათ შორის არც ენათა ე. წ. ნოსტრატული ფილუმისა, და ილიჩ-სვიტიჩის ლექსიკონიც მხოლოდ ამყარებს ტრუბეცკოის სკეფსისს.

ცალსახად უნდა ითქვას, რომ სადღეისოდ არც ერთ ენობრივ ფილუმში შემავალ ენათა ოჯახების ნათესაობა ისტორიულ-შედარებითი მეთოდის დაცვით არ არის დამტკიცებული (სემიტურ-ჰამიტური იგივე აფრ-აზიური ენათა ოჯახია და არა ფილუმი) — მიუხედავად ამისა, როგორც ვთქვი, გამოკვლევების რიცხვი განუხრელად იზრდება, ისევე როგორც მათი გავლენა თანამედროვე ენათმეცნიერებაზე, რაც სერიოზულ საფრთხეს ქმნის ზუსტი და მკაცრი მეცნიერული მეთოდების დისკრედიტაციისა და თვით ლინგვისტიკის, როგორც მეცნიერების დარგის, პროფანაციისა (იხ. აგრეთვე ჰოლი 1987).

1979 წელს, როდესაც ლინგვისტიკისათვის ეს საბედისწერო საფრთხე ჯერ კიდევ თითქოს თვალსაჩინო არ იყო, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავლის“ წინასიტყვაობაში აკად. არნოლდ ჩიქობავა წერდა:

„თანამედროვე თეორიულ ენათმეცნიერებას არსებითი საკითხების გაგებაში დიდი სიჭრელე ახასიათებს. ყველა თავისი სამრეკლო-

დან რეკავს, მასთან ისე, რომ მეტწილად ცხადი არ არის, რასაც რეკავს და რისთვის რეკავს. გაურკვეველობას ამ საკითხებში არამცირედი ზიანი მოუყენებია წარსულში იბერიულ-კავკასიური ენების მეცნიერული შესწავლის საქმისათვის“ (ჩიქობავა 1979 3).

როგორც ზემოთ ვთქვი, არსებობდა იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის მეცნიერული კვლევისათვის საზიანო თუ დამაბრკოლებელი არაერთი გარემოება — როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური. ობიექტურ მიზეზთა შორის ერთ-ერთი სწორედ თეორიული ენათმეცნიერების არსებით საკითხებში გაურკვეველობას უკავშირდება.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდის შემქმნელებად, ჩვეულებრივ, სამ ენათმეცნიერს ასახელებენ. ესენი არიან: დანიელი რასმუს ჭრისტიან რასკი (1787-1832) და გერმანელები: ფრანც ბოპი (1791-1867) და იაკობ გრიმი (1785-1863). რუსული ტრადიციით ამ სამეულს მეოთხე ენათმეცნიერით, კერძოდ, ალექსანდრ ვოსტოკოვიტ (ნამდვილი გვარი — ოსტენეკ, 1781-1864) ავსებენ.

ამ სამეულიდან ერთი, კერძოდ, ფრანც ბოპი, ისტორიულ-შედარებითი მეთოდის შექმნაში „უბრალოა“ და მისი მოხვედრა მეთოდის შემქმნელთა სიაში სამწუხარო გაუგებრობას უნდა მიეწეროს.

1816 წელს მაინის ფრანკფურტში ფრანც ბოპმა გამოსცა წიგნი: „სანსკრიტის უღვლილების სისტემის შესახებ ბერძნული, ლათინური, სპარსული და გერმანული ენების უღვლილების სისტემებთან შედარებით“ ამ წიგნმა ცხადყო საკვლევად აღებული ენების ნათესაობა, ხოლო ბოპს მსოფლიო აღიარება მოუტანა, ის 1822 წელს პრუსიის აკადემიის წევრად აირჩიეს. 1833-1852 წლებში ბერლინში გამოიცა მისი კაპიტალური „შედარებითი გრამატიკა სანსკრიტისა, ზენდისა, სომხურისა, ბერძნულისა, ლათინურისა, ლიტვურისა, ძველი სლავურისა, გუთურისა და ბერძნულისა“ (მეორე გადამუშავე-

ბული გამოცემა 1857-1861).

პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ ენათა ნათესაობის „ცხად-ყოფა“ და დამტკიცება სულაც არ არის ერთი და იგივე, ფრანც ბოპს არა მარტო არ დაუდგენია არც ერთი ბგერათმესასტყვისობა (მეთოდის თვალსაზრისით კი სწორედ და მხოლოდ ბგერათმესასტყვისობებს აქვთ მტკიცებულებითი ძალა), არამედ ვერც კი გაიგო და გაიცნობიერა მეთოდის არსი და მნიშვნელობა. მისთვის უცხო და უსარგებლო აღმოჩნდა რასკისა და გრიმის აღმოჩენები.

იმ ფაქტმა, რომ 1847 წელს ფრანც ბოპმა ინდო-ევროპულ ენებს ქართულიც მიათვალა (ბერლინში გამოცემულ წიგნში „კავკასიური წვევრები ინდოევროპულ ენათა ოჯახისა“), ხოლო მოგვიანებით ინდო-ევროპულ ენად მალაიურიც გამოაცხადა, თვალსაჩინო გახადა მისი სრული გაუთვითცნობიერებლობა იმ მეთოდის არსში, რომლის შემქმნელადაც ის ცხადდებოდა.

აი, როგორ აფასებდა ბოპის წვლილს ისტორიულ-შედარებითი მეთოდის შექმნაში ამ მეთოდის აღიარებული მეტრი ანტუან მეიე:

„ის თითქმის მარტოოდენ მორფოლოგიით იყო დაკავებული, ხოლო მორფოლოგიაში — სიტყვათცვალებადობის ანალიზით, მაგრამ უგულებელყოფდა ფონეტიკური ევოლუციისა და მისი კანონების შესწავლას; ის არ იკვლევდა არც ფორმათა გამოყენებას, არც წინადადების სტრუქტურას. ბოპის შემდეგ რჩებოდა მკაცრად გათვალისწინება თითოეული ენის განვითარების, აგება ისტორიული ფონეტიკის, ფორმათა გამოყენების თეორიის, წინადადების თეორიის, მკაცრი კანონების დადგენისა და განსაკუთრებით ფორმათ-წარმოშობის დედუქციური დასკვნების დაძლევა, რაშიც ბოპი იყო ძველი იდეების მიმდევარი, და არავითარ შემთხვევაში ახლის საფუძვლის ჩამყრელი“ (მეიე, 1938 450-451).

დიდი ფრანგი ლინგვისტი ლუსიენ ტენიერი (1893-1954) კიდევ

უფრო მკაცრია ფრანც ბოპის ღვაწლის შეფასებაში:

„ვილჰელმ ჰუმბოლდტი — უმაღლესი კლასის ენათმეცნიერია, გენიალური ინტუიციით, რომელსაც თანამედროვე ლინგვისტიკამ ჯერ კიდევ ოდნავადაც ვერ მიაგო საკადრისი პატივი, იმ დროს როდესაც ბოპი, შედარებითი გრამატიკის დამფუძნებელი, ცაში ჰყავთ აყვანილი. მეიე, საქმის ასეთ მდგომარეობას სამართლიანად თვლიდა, რაც სულ ცოტა პარადოქსულად გამოიყურება, თუ მივიღებთ მხედველობაში ამ ორი მეცნიერის ნაშრომთა შედარებით მნიშვნელობას. აზროვნების ისტორიაში ჰუმბოლდტი, შილერისა და გოეთეს მეგობარი, უეჭველად დგას ბოპზე გაცილებით მაღლა, რომელიც არასდროს არ ამადლებულა კარგი ვიწრო სპეციალისტის დონის ზევით. ყველა, ვისაც აქვს თუნდაც რაიმე წარმოდგენა XIX საუკუნის გერმანული აზრის განვითარებაზე, სამართლიანად გაოცდება, როცა გაიგებს, რომ ისეთი ყოვლისმომცველი მოაზროვნე, როგორიც ჰუმბოლდტია, ღრმა შემეცნებათა მფლობელი სხვადასხვა დარგებში, მაღალი სამეცნიერო კულტურით აღბეჭდილი მეცნიერი, იერარქიულ კიბეზე დაყენებულია უფრო დაბლა, ვიდრე ბოპი, შედარებითი გრამატიკის უბრალო სპეციალისტი, რომელიც გერმანული აზრის ისტორიაში თითქმის შეუმჩნეველია. ადრე თუ გვიან ლინგვისტები გარდაუვლად მიაგებენ სრული სამართლიანობით ჰუმბოლდტს, ადამიანს, რომელიც გოეთეს მიღებული ჰყავდა მისთვის ინტელექტუალურად ახლობელ ადამიანთა წრეში, და მართლაც სრულიად სხვა მასშტაბის მოაზროვნე იყო, ვიდრე ბოპი“ (ტენიერი 1988 23).

ელემენტარული სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ლუსიენ ტენიერის ეს შეფასება რამდენადაც ობიექტურია ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის მიმართ, იმდენადვე სუბიექტურია ფრანც ბოპის მიმართ. ამას ისიც ცხადყოფს, რომ ტენიერის პათოსი ძირითადად

ენება ბოპის ადგილს, ტენიერის აზრით, დაუმსახურებლად მაღალს, გერმანული აზროვნების ისტორიაში (სადაც, ჩემი ღრმა რწმენით, ჰუმბოლდტს თანასწორი არ ჰყავს) და არა მის, მისგან დამოუკიდებლად გაზვიადებულ, როლს ისტორიულ-შედარებითი მეთოდის შექმნის საქმეში, მეტიც, თავად ტენიერიც ბოპს „შედარებითი გრამატიკის დამფუძნებელს“ უწოდებს.

შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ უარვეყო ან დავამცირო ბოპის უეჭველი მეცნიერული მიღწევები, ჩემი მიზანი მხოლოდ ის არის, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას: ისტორიულ-შედარებითი მეთოდის შექმნაში ფრანც ბოპს წილი არ უღევს.

თავად ფრ. ბოპის დადანაშაულება ამაში უსამართლო და უსაფუძვლო იქნება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ სწორედ მისმა მაგალითმა და ავტორიტეტმა სერიოზული ზიანი მიაყენა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების განვითარებას, დააბრკოლა ისტორიულ-შედარებითი მეთოდით ამ ენების კვლევის საქმე.

1955 წელს სადისკუსიო სტატიაში არნოლდ ჩიქობავა წერდა:

„...ინდო-ევროპულ ენათა ნათესაობა დამტკიცებულად ითვლება 1816 წლიდან, როდესაც გამოქვეყნდა ფ. ბოპის ნაშრომი: „სანსკრიტის უღვლილების სისტემის შესახებ ბერძნული, ლათინური, სპარსული და გერმანული ენების უღვლილების სისტემებთან შედარებით“ (ჩიქობავა 1955 69).

1965 წელს „იბერიულ-კავკასიური ენების შესწავლის ისტორიაში“ არნოლდ ჩიქობავა წერდა:

„ინდო-ევროპულ ენათა ნათესაობა ფრ. ბოპმა დაადგინა ზმნის ფორმანტების შედარებით (ფონეტიკური კანონზომიერებები შემდგომშილა დაადგინეს), ე. ი. მორფოლოგიური ინვენტარის ისტორიული ურთიერთობის გარკვევის გზით. ასეთივე გზა ჩანს ყველაზე საიმედო და პერსპექტი-

ული იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-გენეზისური ურთიერთობის კვლევისას“ (ჩიქობავა 1965 395-396).

1966 წელს ის აზოგადებს ამ თვალსაზრისს:

„ისტორიულ-შედარებითმა ენათმეცნიერებამ წინ წამოსწია სიტყვის მორფოლოგია როგორც ენათმეცნიერების მნიშვნელოვანი დარგი: ისტორიულ-შედარებითი ანალიზის დროს სიტყვის ფორმას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა (ენათა ისტორიულ-გენეტიური ურთიერთობის საკითხის გადაწყვეტისას)“ (ჩიქობავა 1966 171).

1979 წელს „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალში“ არნოლდ ჩიქობავა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ფრ. ბოპის დამსახურებას:

„ინდო-ევროპულ ენათა ნათესაობა ცხადი გახდა ფრ. ბოპის შრომაში ზმნისეულ ფორმათა შედარებით (1816 წ.) ისე, რომ არც ერთი ფონეტიკური შესატყვისობა დადგენილი არ ყოფილა“ (ჩიქობავა 1979 256).

ფრანც ბოპის არარსებული დამსახურების გაფეტიშებამ ისტორიულ-შედარებითი მეთოდის შექმნასა და ინდო-ევროპული ენების ნათესაობის დადგენასა თუ ცხადყოფაში, და ბოპის მაგალითის გამოცხადებამ ყველაზე საიმედო და პერსპექტიულ გზად იბერიულ-კავკასიური ენების ისტორიულ-გენეზისური ურთიერთობის კვლევისას, გარკვეული საენათმეცნიერო დოქტრინის ხასიათი მიიღო.

მართალია, არნოლდ ჩიქობავა თვითონვე ხაზგასმით წერდა ჭერ კიდევ 1946 წელს, რომ:

„...ვერც მორფოლოგიური სტრუქტურა, ვერც ბგერითი შედგენილობა, ვერც შინაგანი ფორმა (კალკი) ნაწარმოები სიტყვისა, ფრაზისა თუ სინტაქსური კონსტრუქციისა ნათესაობის რკვე-

ვისას დასაყრდენი ვერ იქნება.

მთავარია მსგავსება, — კანონზომიერი მსგავსება, — **მორფოლოგიურ ინვენტარში, ფორმანტების ბგერით შედგენილობაში** და გარკვეული სიტყვების **ძირთა ბგერით შედგენილობაში**“ (ჩიქობავა 1983 252).

მაგრამ, როგორც 1965 წლის განცხადებიდან ჩანს, **ზმნის ფორმანტების** შედარებაში ის ბგერათშესატყვისობათა დადგენას სულაც არ გულისხმობდა: „ინდო-ევროპულ ენათა ნათესაობა ფრ. ბოპმა დაადგინა ზმნის ფორმანტების შედარებით (ფონეტიკური კანონზომიერებანი შემდგომში დაადგინეს)...“ (ჩიქობავა 1965 395-396) და იქვე, მორფოლოგიური კვლევის პრიორიტეტად აღიარების შემდეგ, მკვლევარი განაგრძობს: „ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს ფონეტიკურ კანონზომიერებათა ძიებას, ძირეული მასალის შედარებით ანალიზსა და ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის დამუშავებას“ (ჩიქობავა 1965 396).

აქ თვალნათლივ ჩანს მორფოლოგიური კვლევის დომინანტობა ფონეტიკურზე, რომელიც კვლევის „არ-გამოსარიცხ“ ამოცანად არის დასახული.

ფაქტია, რომ ქართველურ ენათა შედარებით ფონეტიკის ძირითადი პრინციპების ჩამომყალიბებელი მეცნიერი იბერიულ-კავკასიურ ენათა კვლევისას აქცენტს არა ამ ფუნდამენტურ საკითხზე, არამედ მორფოლოგიურ მსგავსებაზე აკეთებდა.

ფრანც ბოპის მაგალითის გარდა, არნ. ჩიქობავას ამ პრინციპულ პოზიციას აკად. ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისიც განაპირობებდა:

„...თანდათან დავრწმუნდი, რომ ისევე, როგორც მორფოლოგიის გამოსაკვლევად ფონეტიკაა საჭირო, შეუმცდარი ფონეტიკის შექ-

მნაც მორფოლოგიის გაუთვალისწინებლად შეუძლებელი ყოფილა. ქართველურ-კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნების საკითხის გადასაჭრელად უმთავრესი მნიშვნელობა მორფოლოგიური აღნაგობის გამორკვევას აქვს, რომლის მიგნების შემდეგაც ფონეტიკური მოვლენებიც ბევრჯელ სულ სხვანაირად წარმოგვიდგება“ (ჯავახიშვილი 1937 XV-XVI).

და ეს მაშინ, როდესაც ისტორიულ-შედარებითი მეთოდის პოზიციიდან მორფოლოგიური ინვენტარი და, მათ შორის — „ზმნის ფორმანტები“, იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც მათში პოენიერი იქნება კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისობები, რომლებსაც აფიქსალური მორფემები ისევე სისტემურად უნდა ავლენდნენ, როგორც ძირეული მორფემები, შესატყვისობათა ნებისმიერი დარღვევის კომპინატორული ან პოზიციური ახსნით.

ამრიგად, ენათა ნათესაობის დამტკიცებისათვის მორფოლოგიის მონაცემებს არანაირი მტკიცებულებითი ძალა არ გააჩნია. ერთადერთი და გადამწყვეტი კრიტერიუმი შესადარებელ ენებს შორის კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობათა სისტემის დადგენა ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მკაცრი გამოყენებით.

ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი, რომელიც ჯერ კიდევ 1821 წელს გამოქვეყნებულ, ბასკური ენისადმი მიძღვნილ ნაშრომში, ფრანც ბოპისაგან განსხვავებით, კატეგორიულად მოითხოვდა ეტიმოლოგიური კვლევის დაფუძნებას „ნამდვილი ბგერითი ნათესაობის დადგენაზე წესთა ზუსტი სისტემის შესაბამისად“ (ჰუმბოლდტი 1985 351), წერდა:

„... სხვადასხვა ცნობილ ენათა ნათესაობის დადგენა, რასაც ერთადერთს შეუძლია დაასაბუთოს მათი სწორი გენეალოგია, არის ენის ზოგადი შესწავლის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნილება“ (ჰუმბოლდტი 1908 629).

წინამდებარე წიგნი სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი მოთხოვნების პასუხია: მასში დადგენილი და დასაბუთებულია იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობა.

დაბოლოს:

ავტორი საგებლობს შესაძლებლობით, მადლობა მოახსენოს თავის კოლეგებსა და მეგობრებს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს **ავთანდილ არაბულს**, რომელმაც „გარდაუხდელი გული“ დამდო ამ წიგნის რედაქტორობით, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატებს: **ამირან ლომთაძეს**, რომლის ინიციატივითა და თანადგომით წინამდებარე მონოგრაფია წიგნად იცემა, და **ვახტანგ მაღრაძეს**, რომელმაც კორექტურის მთელი სიმძიმე გაიზიარა ავტორთან ერთად და მასზე მეტადაც; და წიგნის რეცეზენტებს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს **ალექსანდრე მაჰოშეტოვს**, და ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, ბასკოლოგ **მედეა (დოდო) ღლონტს** — წიგნისა და ავტორის ყოველმხრივი მხარდაჭერისა და ყოველდღიური გამხნეებისათვის.

20.06-28.07. 1998

თბილისი

P.S. წიგნი, რომლის წინასიტყვაობაც აქ არის წარმოდგენილი, 1998 წელს ვერ გამოიცა: მონოგრაფიის სრულად აწყობილი ტექსტი ვირუსმა გაანადგურა უცხო ენათა ინსტიტუტის გამომცემლობაში. გადარჩა მხოლოდ საკორექტუროდ გამზადებული ამონაბეჭდები.

წიგნის წინამდებარე გამოცემა კი მისი რედაქტორის, პროფესორ **ავთანდილ არაბულისა** და ბატონ **ლევან ვაშაკიძის** თაოსნობით და ძალისხმევით გამოდის.

სამწუხაროდ, წინამდებარე მონოგრაფიის გამოცემას ვერ მოესწრო მისი მხურვალე გულშემატკივარი, თანამედროვეობის თვალსაჩინო კავკასიოლოგი, დაღესტნის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი **ალექსანდრე მაჰომეტოვი** (აბდულმაჟიდ მაჰომედოვი), ვისგანაც ამ წიგნის ავტორი თავს დაეაღებულად თვლის როგორც კოლეგა და როგორც ადამიანი.

ნაშრომის რთული ტექსტის კომპიუტერული უზრუნველყოფა ითავეს ქალბატონებმა **რუსუდან გრიგოლიამ** და **რუსუდან პაპიაშვილმა**, კორექტურის სიმძიმე ხელახლა იტვირთა პროფესორმა **ვანტანგ მალრაძემ**. ავტორი მათ გულწრფელ მადლობას უხდის.

ამ სამადლობელი სიტყვების გარდა ავტორს 1998 წლის ტექსტისთვის არსებითად არაფერი შეუმატებია. ის იმედოვნებს, რომ მომავალში კოლეგათა შენიშვნებისა და რჩევების გათვალისწინებით შეძლებს წიგნის ახალი, შევსებული და შესწორებული რედაქციის გამოცემას.

5 მარტი

2005

თბილისი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების საკვანძო საკითხები და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

0.0. ისტორიულ-შედარებითა მეთოდმა მოძღვრება ენის შესახებ ბრძენთა დედუქციური მსჯელობიდან (resp. ფილოსოფოსთა გონებამახვილური ვარჯიშიდან) მეცნიერებად აქცია. ისეთივე ზუსტ მეცნიერებად, როგორც საბუნებისმეტყველო დისციპლინებია, ვთქვათ, ფიზიკა ან ქიმია.

ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიულ-შედარებით მეთოდში მისი ვერიფიკირებადობა ანუ შემოწმებადობაა — სწორედ ეს განსაზღვრავს მისი მეცნიერულობის ხარისხს.

ვერიფიკაციას სამი საფეხური აქვს: ვერიფიკაცია მასალით, ვერიფიკაცია სისტემის მოთხოვნებითა და ვერიფიკაცია ტიპოლოგიით.

მხოლოდ ამ სამივე საფეხურის ვერიფიკაციის გატარების შემდეგ შეგიძლია დანამდვილებით იცოდე, რამდენად სანდოა შენ მიერ ჩატარებული შედარება თუ არქეტიპის რეკონსტრუქცია.

ცხადია, დროთა განმავლობაში მეთოდიც იხვეწება, ახალი მასალაც ვლინდება, რაც იწვევს შედეგების კორექტირებას, ეს ბუნებრივი და გარდაუვალი პროცესია, რომელიც, სხვათა შორის იმასაც აკონტროლებს, რამდენად იყო მიახლოებული შენეული რეკონ-

სტრუქტურა სინამდვილეს.

ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლება ჭეშმარიტების დადგენის გზაზე დიდი მასწავლებლებისა და შეურყეველ ავტორიტეტთა დედუქციური მიდგომებია პრინციპული საკითხებისადმი, მით უმეტეს, თუ მასწავლებლებზე არანაკლებ სახელოვანი და ავტორიტეტული მოწაფეები ექვმიუტანლად იღებენ ამ დასკვნებს, როგორც „უკანასკნელი ინსტანციის ჭეშმარიტებას“

ამიტომ ისეთ ზუსტ მეცნიერებაშიც კი, როგორიც კომპარატივისტიკაა, გროვდება გადაუჭრელი საკითხები, საექვო მიდგომები და დასკვნები, დაუსაბუთებელი აკრძალვები თუ დაშვებები, აპრიორული თეორიები და ა. შ.

გროვდება სადავო საკითხები, რომლებიც ცალსახა პასუხებს მოითხოვენ კომპარატივისტული მეთოდის პოზიციიდან.

1978 წლის 24 ივლისს „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავლის“ წინასიტყვაში აკად. არნ. ჩიქობავა წერდა:

„ცხადია, „შესავალი“ მხოლოდ დადგენილის გადმოცემით ვერ შემოიფარგლებოდა; ავტორი სადაო საკითხებს თავს არ არიდებდა; პირიქით, ცდილობდა ნათლად ჩამოეყალიბებინა ეს სადაო, გაერკვია მისი სათავე და დაესახა მისი გადაწყვეტის გზები.

ამას მოითხოვს იბერიულ-კავკასიურ ენათა მეცნიერული შესწავლის ინტერესები“ (ჩიქობავა 1979 6).

ამას მოითხოვს ზოგადად ენათმეცნიერებისა და, საერთოდ, ნებისმიერი მეცნიერების ინტერესები...

მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ამას მოითხოვს არნოლდ ჩიქობავა არა მარტო საკუთარი თავისგან, არამედ თავისი სხვადასხვა თაობის მრავალრიცხოვანი მოწაფისგანაც.

მე, ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში, ვასრულებ დიდი მასწავლებლის დავალებას.

0.1. სინქრონიულ ბგერათშესატყვისობათა დიაქრონიაში ასახვის (resp. პოენიერების) ჰოლოგრამული პრინციპი

ვალტერ პორციგი მიეცა მიერ 1924 წელს ოსლოში წაკითხული და მომდევნო წელს წიგნად გამოცემული ლექციების ციკლის, „შედარებითი მეთოდი და ისტორიული ენათმეცნიერება“, რეცენზიაში წერდა, რომ ინდოევროპეისტიკაში არავის მოუვა თავში აზრად, უშუალოდ შეადაროს ერთმანეთს, ვთქვათ, ახალი სპარსული ენა და ინგლისური, და რომ ამის ნაცვლად მიმართავენ შესაბამისი ჯგუფური ფუძე-ენის მდგომარეობის წინასწარ რეკონსტრუქციას (პორციგი 1928: 263).

პორციგის ეს გამონათქვამი (შედარებაში, ცხადია, ცნობილი გერმანელი ენათმეცნიერი კომპარატივისტიკას გულისხმობს და არა, ვთქვათ, ტიპოლოგიურ ან რაიმე სხვაგვარ შედარებას) მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ ინდო-ევროპეისტიკაში ამ სამოცდაათი წლის წინათაც მაღალ დონეზე ყოფილა კომპარტივისტიკა. ხოლო რაც შეეხება თვით გამონათქვამის სიმართლესთან სიახლოვეს, ეს მხოლოდ ერთი შეხედვითაა უდავო და ისიც გარკვეული დაშვებით და გარკვეულ ეტაპზე.

შეიძლება, და ალბათ ასეც იყო, რომ 1928 წლისთვის ინდო-ევროპეისტიკაში მოიხსნა აუცილებლობა ერთი ენობრივი ოჯახის სხვადასხვა ჯგუფის სინქრონიაში თანაარსებული ენების ერთმანეთთან შედარებისა, და მათ ნაცვლად უკვე რეკონსტრუირებული ჯგუფობრივი არქეტიპები უდარდებოდა ერთმანეთს, მაგრამ განა თვით ამ ენობრივი ოჯახის, ინდო-ევროპეისტიკის, გამოყოფასა და მასში შემავალი ენების ნათესაობის განსაზღვრას ასევე ცალკეული და სხვადასხვა ჯგუფის ენების (მათ შორის სინქრონიაში თანაარსებული-

საც) უშუალო შედარება არ დაედო საფუძვლად, 1816 წელს, რას-მუს რასკის მიერ, ყოველგვარი წინასწარი რეკონსტრუქციების გარეშე?

მე ამ საკითხზე ყურადღებას იმიტომ კი არ ვამახვილებ, რომ რაიმე ანაქრონისტული ცდების გამართლების სურვილი მამოძრავებს, ანდა არ მესმის, რამდენად უფრო კორექტულია მეთოდის თვალსაზრისით და რამდენად უფრო სანდო ჩგუფში შედარებათა შედეგად რეკონსტრუირებული არქეტიპების შედარება და უკვე ჩგუფებსშორისი შედარების საფუძველზე ფუძე-ენისეული არქეტიპების რეკონსტრუქცია, ვიდრე სხვადასხვა ჩგუფის ცალკეული ენების მასალის უშუალო ურთიერთშედარება. არა, ეს საკითხი ჩემთვის უაღრესად პრინციპული მნიშვნელობისაა, რამდენადაც უშუალოდ არის დაკავშირებული ისტორიულ-შედარებით მეთოდთან, მის ადეკვატურ ინტერპრეტაციასთან.

ჩემი პოზიცია ასეთია, თუ ორი ენა ერთმანეთის ნათესავია, ანუ ერთი ენობრივი ოჯახის წევრია, მაშინ მათ შორის უეჭველად უნდა არსებობდეს ბგერათმესატყვისობანი, იმისაგან დამოუკიდებლად, ისინი ერთი ჩგუფის წევრები არიან თუ არა.

რაკი ბგერათმესატყვისობანი დგინდება ძირითადი ლექსიკური ფონდის ანალიზის შედეგად, ხოლო ბგერათმესატყვისობანი უნდა იყოს კანონზომიერი და რეგულარული, ეს კანონზომიერება და რეგულარულობა გარდაუვლად გამოვლინდება ფუძე-ენიდან ნამემკვიდრე ლექსიკაში ამ ოჯახის ნებისმიერ ორ წევრს შორის, დროითი ღერძის ნებისმიერ სინქრონიულ ჰრილში (ამ სინქრონიულ ჰრილთა ჯამი უნდა იქნეს კიდევ განხილული, როგორც დიაქრონია).

სხვაგვარად რომ ვთქვათ, სინქრონიაში თანაარსებული მონათესავე ენები (ერთი ქვეჩგუფის, ერთი ჩგუფის, ერთი ოჯახის) უნდა ავლენდნენ ბგერათმესატყვისობებს ერთმანეთს შორის ცალ-ცალკეც,

ქვეჯგუფური თუ ჯგუფური რეკონსტრუქციების გარეშეც, უფრო მეტიც, ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მკაცრი გამოყენებით უნდა გამოვლინდეს ერთ სინქრონიულ ჭრილში არსებული მონათესავე ენების კორესპონდენციები ერთმანეთის დიაქრონიულ ჭრილებში რეკონსტრუირებადი მდგომარეობისადმი, ისევე როგორც საკუთარი ქვეჯგუფური, ჯგუფური და ოჯახური ფუძე-ენებისადმი.


ავილოთ თუნდაც ვ. პორციგის მიერ ნახსენები თანამედროვე (ახალი) სპარსული და ინგლისური ენები. ორივე მათგანი ინდო-ევროპულ ენათა ოჯახის წევრია, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული მათგანი მიღებულია დროსა და სივრცეში ინდო-ევროპული ფუძე-ენის ფონოლოგიური სისტემის არაერთჯერადი სისტემური ტრანსფორმაციის შედეგად და თითოეული ამ ტრანსფორმაციის დროს, რაკი ის სისტემურ ხასიათს ატარებდა — ვიღებდით ფონოლოგიური სისტემის ისეთ ცვლილებებს, რომელთა კანონზომიერი და რეგულარული ხასიათი თვალსაჩინო იყო.

ზემოთქმულიდან შეიძლება გამოვიყვანოთ წესი:

თუ რომელიმე, ვთქვათ — A, სისტემის ცვლა მიმდინარეობს ორი, ვთქვათ B და b, მიმართულებით, და ორივე მიმართულებით ცვლა სისტემურ ხასიათს ატარებს, მაშინ ეს სისტემური ცვლები, მათი ტრანსფორმირების ყველა ეტაპზე იქნებიან მკაცრ, სისტემურ შესატყვისობაში არა მარტო ამოსავალ სისტემასთან, არამედ ერთმანეთთანაც.

ეს წესი რომ უგამონაკლისოა, ამისი ერთ-ერთი დასტური თვით სინქრონიაში თანაარსებული ენების მეშვეობით ფუძე-ენის რეკონსტრუქციაა, რის დროსაც ხდება ტრანსფორმაციათა მართვა საწინააღმდეგო (უკუ) მიმართულებით.


ავაგოთ კოორდინატთა სივრცე — ფუძე-ენის (A) ერთი ნებისმიერი ფონემისათვის:



კოორდინატთა სივრცეზე AB ან Ab ღერძიდან გავლებული ნებისმიერი წრფე გადაიკვეთება მეორე ღერძიდან გავლებული წრფით, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, კოორდინატთა სივრცეზე ნებისმიერად აღებული წერტილიდან თუ დავუშვებთ წრფეებს ერთდროულად AB ან Ab ღერძებზე, მაშინ ჩვენ მივიღებთ ფუძე-ენის ფონემის საძიებელ რეფლექსებს, რაკი ჩვენ თითოეული ღერძის სახით გვაქვს ფუძე-ენის მიმართ ფონემურ შესატყვისობათა სისტემა, ასევე კოორდინატთა სივრცეში ჩვენ შეგვიძლია წრფეების გადაკვეთის ადგილებში (ფაქტიურად სივრცის ნებისმიერ წერტილში) დავადგინოთ შესატყვისობები AB ან Ab ღერძებზე განლაგებულ ენებს შორის.

მაგალითად:

საერთო-ინდო-ევროპული



ეს ნიშნავს, რომ ფუძე-ენიდან ნამემკვიდრევე ლექსიკაში, სადაც ფუძე-ენაში იყო p^*/ph^* , ინგლისურში ყველგან იქნება f , ასევე f იქნება იმავე სიტყვებში სპარსულშიაც. თუმცა სპარსულსა და ინგლისურს ფუძე-ენიდან ნამემკვიდრევი p^*/ph^* -ს შემცველი ლექსიკა სხვადასხვა ოდენობით შემორჩათ, მათი რიცხვი მაინც საკმარისი იქნება იმის დასადგენად, ფუძე-ენის სხვა ფონემების შემცველ და ასევე სისტემურად ტრანსფორმირებულ (იქნება ეს „სპონტანური“ ცვლილებები თუ ასევე სისტემური ხასიათის მქონე პოზიციური ან კომბინა-

ტორული ფონეტიკური პროცესები) დანარჩენ ლექსიკურ მასალასთან ერთად, რომ დავადგინოთ ბგერათშესატყვისობები ახალ სპარსულსა და ინგლისურს შორის და ვცნოთ ეს ორი ენა ერთმანეთის ნათესავად.

ცხადია, ყველა სიტყვა, რომელშიც *f* ფიგურირებს ინგლისურსა და სპარსულში ფუძე-ენის *p*/*ph* ფონემის შემცველი ლექსიკიდან, არ არის შემორჩენილი, ზოგი ნასესხებია, ზოგიც *f* ფონეტიკური პროცესების შედეგად მიღებული ინოვაციაა საკუთრივ ინგლისური ან სპარსული ენების ქრონოლოგიურ დონეზე, მაგრამ ის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ორივე ენაში ფორმალური და სემანტიკური ნიშნით შედარებისა და დაკავშირების საშუალებას იძლევა, მათი საერთო მემკვიდრეობაა ფუძე-ენიდან მომდინარე. ამ მემკვიდრეობის გამიჯვნა ნასესხობათა და ინოვაციათაგან კომპარატივისტული მეთოდისთვის გადაუწყვეტ ამოცანას არ წარმოადგენს.

ინგლისურისა და სპარსულის ნათესაობა მაშინაც დამტკიცდებოდა, მთელი ინდო-ევროპული სამყაროდან მხოლოდ ეს ორი ენა (ან ნებისმიერი სხვა ორი ენა) რომ შემორჩენილიყო. ერთი ეგ არის, ამ ორი ენის შედარების საფუძველზე სულ სხვა რეკონსტრუქციებს მოვახდენდით.

ისევე, როგორც ამას სამართლიანად წერდა აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა ინდო-ევროპული ფუძე-ენის რეკონსტრუქციებთან დაკავშირებით: „ავგ. შლაიხერს შესაძლებლად მიაჩნდა ინდო-ევროპულ პრაენაზე მოთხრობაც კი დაეწერა, რამდენიმე სტრიქონიანი გაბმული ტექსტით („ცხენი და ცხვარი“).

ამ ორმოცდაათიოდე წლის წინ ანატოლიაში ძველი მკვდარი ინდო-ევროპული ენები აღმოაჩინეს (თიხის ფირფიტებზე). ყველაზე მეტი მასალა ინდო-ევროპული ენის ნესიტურ-ხეთურისა იყო. ანატოლიის ინდო-ევროპულ ენათა ჩვენებამ თვალსაჩინოდ შეცვალა

წინათ გავრცელებული შეხედულება ინდო-ევროპული წინარეების ფონეტიკისა და მორფოლოგიის საკითხებზე.

„ცხენი და ცხვარი“ ახლა რომ დაეწერათ, მოთხრობა სხვაგვარი გამოვიდოდა; მაგრამ ახლა ინდო-გერმანულ ენათა სპეციალისტები ასეთი მოთხრობების დაწერას მიზნად აღარ ისახავენ, თუმც წინარეების ვარსკვლავიან ამოსავალ ფაქტებს ჯერ კიდევ ფართო ასპარეზი ურჩება“ (ჩიქობავა 1979: 40-41).

ცალსახად უნდა ითქვას, რომ ენათა ნათესაობის დადგენა და ფუძე-ენის ქრონოლოგიური დონის ენობრივი ფაქტების რეკონსტრუქცია კომპარატივისტიკის ერთმანეთთან გარდაუვლად დაკავშირებული, მაგრამ მაინც განსხვავებული, და თანაც, სხვადასხვა რიგის ამოცანებია.

„ზოგადი ენათმეცნიერების კურსში“ დაფიქსირებულია ფერდინანდ დე სოსიურის სიტყვები: „რეკონსტრუქცია შესაძლებელია მხოლოდ შედარების გზით, და, თავის მხრივ, შედარებას არა აქვს სხვა მიზანი, გარდა რეკონსტრუქციისა. თუ არ გვინდა, რომ ჩვენ მიერ რამდენიმე ფორმას შორის დადგენილი შესატყვისობები გამოდგნენ უნაყოფონი, ჩვენ უნდა მოვათავსოთ ისინი დროით პერსპექტივაში და მივიღეთ მათი ერთიანი პრაფორმის დადგენამდე“ (სოსიური 1977: 255).

ჩემი პოზიცია ასეთია: ისევე, როგორც რეკონსტრუქცია, ენათა ნათესაობის დადგენაც შესაძლებელია მხოლოდ შედარების გზით და, თავის მხრივ, შედარებას აქვს არა ერთი მიზანი — პირველი: ენათა ნათესაობის დადგენა, ანუ მათ შორის კანონზომიერი და რეგულარული ბეგრათშესატყვისობების გამოვლენა და, მხოლოდ ამის შემდეგ, მეორე: რეკონსტრუქცია, ანუ პრაფორმების (resp. არქეტიპების) დადგენა. რიგით მესამე, მაგრამ მნიშვნელობით ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა ისტორიულ-შედარებითი კვლევისა ასე აქვს

დახასიათებული ემილ ბენვენისტს: „შეიძლება საბოლოო ანგარიშით გამოირკვეს, რომ კომპარატივისტიკის მთავარ ამოცანად უნდა იქცეს სწორედ ქრონოლოგიის დადგენა“ (ბენვენისტი 1955: 26).

რაც შეეხება სინქრონიაში არსებულ ენათა ურთიერთშედარებას არქეტიპთა წინასწარი რეკონსტრუქციის გარეშე, ან სინქრონიაში არსებულ ენათა მონაცემების შედარებას მკვდარი ენების წერილობით ფიქსირებულ მონაცემებთან თუ ფუძე-ენის ან შუალედური ფუძე-ენების რეკონსტრუირებულ ფაქტებთან, ეს არაავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს მიჩნეული არაკორექტულად.

ვ. პორციგი არ იყო ერთადერთი, რომელიც ასეთ აკრძალვას აყენებდა. იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში ასეთივე უკომპრომისო იყო აკად. არნოლდ ჩიქობავას პოზიცია:

1938 წელს „ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონის“ შესავალში ის წერდა:

„შესადარებელი მოვლენები ან უნდა წარმოგვიდგენდნენ განვითარების ერთსა და იმავე საფეხურს, ან უნდა იქნენ დაყვანილი ერთ საფეხურამდის. ეს ისევე აუცილებელია, როგორც აუცილებელია წილადთა შეკრება-გამოკლებისას, წილადთა სიდიდის შედარებისას, მათი გაერთმნიშვნელიანება; $\frac{3}{7}$ და $\frac{2}{7}$ შეიძლება ერთმანეთს პირდაპირ მივუმატოთ, გამოვაკლოთ, შევუდაროთ (რომელია მეტი, ნაკლები), — რადგანაც ისინი ერთმნიშვნელიანები არიან; მაგრამ $\frac{3}{7}$ და $\frac{3}{11}$ ერთმანეთს ვერ შევუდარებთ, ვერ შევკრებთ... მხოლოდ იმის მიხედვით, რომ მათ მრიცხველები ერთნაირი აქვთ: აუცილებელია მათი გაერთმნიშვნელიანება“ (ჩიქობავა 1938: 1-2; იგივე იხ. აგრეთვე — ჩიქობავა 1983: 264).

1976 წელს კრებულში „ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური ჰი-

პოთეზა“ ის კვლავ იმეორებდა:

„ენათა შედარება, ამრიგად, ადვილიც არის და ძნელიც — იმის მიხედვით, ზედა ფენებს ვადარებთ თუ სიღრმისეული ვითარების გარკვევას ვისახავთ მიზნად.

ზედაპირის მოვლენათა მიხედვით მსჯელობა ისტორიული ვითარების შესახებ დაახლოებით იმ რიგისა იქნებოდა, რომ გვეთქვა:

$\frac{7}{100}$ მეტია, ვიდრე $\frac{2}{3}$ -იო... არითმეტიკაში ასეთ რამეს არ იტყვიან, ენათმეცნიერებაში ასეთი რამ ითქმის...“ (ჩიქობავა 1976: 104).

1979 წელს „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალში“ ის კიდევ ერთხელ მიმართავს თავის საყვარელ შედარებას ლინგვისტური ფაქტებისას წილადებთან:

„შესატყვისობათა დადგენა ჭირს ერთი და იმავე ჭგუფის ენათა შორისაც.

მიზეზი მარტივია: შესადარებელ სიტყვებს იღებენ იმ სახით, რაც მათ დღეს აქვს, „ისტორიული გაერთმნიშვნელიანების“ გარეშე (რაც იმას უდრის $\frac{7}{11}$ და $\frac{23}{51}$ შევეუდართო ერთმანეთს და ვამტკიცოთ, მეორე წილადი პირველზე დიდიაო — მრიცხველითაც, მნიშვნელითაც)“ (ჩიქობავა 1979: 257).

„ისტორიული გაერთმნიშვნელიანება“ აქ ცალსახად ნიშნავს არქტიპთა რეკონსტრუქციას.

ჩემი პოზიცია, ნებისმიერი ცოცხალი ენის შედარების კორექტულობის შესახებ მისივე ოჯახის, ასევე, ნებისმიერ ცოცხალ ან მკვდარ მაგრამ, წერილობით დაფიქსირებულ თუ რეკონსტრუირებულ ფუძე-ენის ფაქტთან, ემყარება კომპარატივისტიკის გამოცდილებას და იმ რეალობას, რომ როგორც პოლოგრამა სრულად აისახება თავის ნამსხვრევებში, ბგერათშესატყვისობები ავლენენ თავს

ფუძე-ენის და შემდგომ შუალედური ფუძე-ენების დიფერენციაციის დიაქრონიული ჰრილის ყველა მონაკვეთში — როგორც ეს ცხადად ვაჩვენე ზემოთ ინგლისური და სპარსული ენების შედარებისას.

აკად. არნ. ჩიქობავა წერდა: „ინდო-ევროპულ ენათაგან რომ მხოლოდ ირლანდიური (კელტური), პოლონური (სლავური) და სომხური შემოგვრჩენოდა, არა თუ ინდო-ევროპულ ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის შედგენა გაჭირდებოდა, არამედ თვით ამ (ინდო-ევროპულ) ენათა ნათესაობის საკითხიც დამაჯერებელი ვერ იქნებოდა.

ანალოგიურ სიძნელეს ვხვდებით ბასკურ-კავკასიურ (ეუსკარო-კავკასიურ) ენათა წარსულის კვლევისას“ (ჩიქობავა 1976: 108).

მე მესმის, რომ ირლანდიურზე, პოლონურსა და სომხურზე დაყრდნობით შექმნილი ინდო-ევროპული ენების შედარებითი გრამატიკა და არქექტიპთა რეკონსტრუქცია იქნებოდა ძნელი და შედეგიც არაადეკვატურად და პრობლემატურად წარმოსახავდა ინდო-ევროპული ფუძე-ენის სისტემას, მაგრამ თვით ამ ენათა ნათესაობის დამტკიცება და მათი მიკუთვნება ერთი ენობრივი ოჯახისადმი კომპარატივისტიკის თვალსაზრისით გადაუჭრელი პრობლემა არ იქნებოდა.

სწორედ ამიტომ ნაშრომის დასაწყისში ნახსენები ცდები ბგერათშესატყვისობათა დადგენისა ცალკე ქართველურს, აფხაზურსა და ადიღურს (ქ. ლომთათიძე), ცალკე ქართველურსა და ხუნძურს (ტ. გუდავა) შორის არაკორექტულად არ უნდა ყოფილიყო მიჩნეული მხოლოდ იმის გამო, რომ ზღებოდა შედარება სინქრონიაში თანაარსებული სხვადასხვა ჯგუფის ენებისა, მით უმეტეს, რომ ეს შედარებები მიზნად ისახავდა მხოლოდ ამ ენათა ნათესაობის დადასტურებას (რაც, როგორც ზემოთ გამოჩნდა, მსგავსი შედარების დროს სრულიად მიღწევადი მიზანია) და არა არქექტიპების რეკონსტრუქციას, რისთვისაც მსგავსი შედარება საკმარისი არანაირად არ არის.

0.2. ბგერათშესატყვისობანი და ენობრივ ერთეულთა კვალიფიკაციის პრობლემა

თამაზ გამყრელიძე და გივი მაჭავარიანი 1965 წელს წიგნის „სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, საერთოქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია“ შესავალში წერდნენ ქართველურ ენათა კლასიფიკაციის ტრადიციული სქემის შესახებ, რომელიც ნიკო მარიდან (მარი 1910) იღებს სათავეს და რომელიც სიბილანტთა რიგში არსებული შესატყვისობების მიხედვით ყოფდა ქართველურ ენებს „სისინა“ (ქართული) და „შიშინა“ (ზანური) შტოებად:

„თუ არსებული შეხედულებებიდან ამოვალთ, უნდა დავუშვათ, რომ დიფერენციაციის პირველ საფეხურზე საერთო-ქართველური ენობრივი არეალი გაიყო ორ ქვე-არეალად — „სისინა“ და „შიშინა“ არეალებად. „სისინა“ არეალის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს ისტორიული ქართული, შიშინა არეალი კი, თავის მხრივ, ორად გაიყო და სათავე მისცა ზანურ და სვანურ ენებს.

მაგრამ ამ შემთხვევაში აუხსნელი გვრჩება არსებობა მრავალრიცხოვანი მორფოლოგიური და ლექსიკური იზოგლოსებისა, რომლებიც საერთო სიახლეებს წარმოადგენს და აერთიანებენ ქართულსა და ზანურს საპირისპიროდ სვანურისა.

ამ საერთო სიახლეების საფუძველზე გ. დეეტერსი იძლევა სხვაგვარ სქემას ქართველურ დიალექტთა მიმართებისა, რომლის მიხედვითაც საერთო-ქართველურ ენას ყველაზე ადრე გამოეყო სვანური, როგორც დამოუკიდებელი ენობრივი ერთეული, უფრო გვიან ქართულ-ზანური ერთიანობის დაშლის შედეგად ჩამოყალიბდა საკუთრივ ქართული და მეგრულ-ჭანური.

ქართველურ დიალექტთა კლასიფიკაცია და მათ შორის გენეტურ მიმართებათა განსაზღვრა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ შევაფასებთ ცალკეულ ენებს შორის არსებულ ფონოლოგიურ და მორფოლოგიურ-ლექსიკურ იზოგლოსებს. თუ გადამწყვეტ მნიშვნელობას მივანიჭებთ სიბილანტთა შესატყვისობის კრიტერიუმს, უნდა დავუშვათ ზანურ-სვანური ერთიანობა, საპირისპიროდ ქართულისა; თუ მორფოლოგიურ და ლექსიკურ კრიტერიუმებს დავმყარებთ, უნდა დავასკვნათ, რომ გ. დეეტერსის სქემა უფრო ადეკვატურად ასახავს ობიექტურად არსებულ მიმართებებს ისტორიულ ქართველურ ენებს შორის“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 5-6).

ზემოთქმულის შემდეგ აღარ იწვევს გაკვირვებას შემდეგი განცხადება:

„ფონეტიკურ-ფონოლოგიური პროცესები, მიუხედავად მთელი თავისი მნიშვნელობისა, არ შეიძლება მივიჩნიოთ ერთადერთ და გადამწყვეტ კრიტერიუმად მონათესავე ენათა და დიალექტთა კლასიფიკაციისას“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 6).


ცალსახად უნდა ითქვას, რომ ისტორიულ-შედარებითი მეთოდის პოზიციიდან საკითხი აქ არაადეკვატურად არის დაყენებული; რას ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა, შესატყვისობებს თუ მორფოლოგიურ-ლექსიკურ იზოგლოსებს, ამას წყვეტს არა მეცნიერი, არამედ ფუძე-ენის დიფერენციაციის პრინციპი, რომელიც სწორედ კანონზომიერი და რეგულარული ფონეტიკური (resp. ფონოლოგიური) რეფლექსების სახით ვლინდება დიფერენციაციის შედეგად წარმოშობილ ენებში.

ენათა ნათესაობის დადგენის ერთადერთი და გადამწყვეტი კრიტერიუმია მათ შორის კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათმესატყვისობათა პოენიერება. მორფოლოგიასა და ლექსიკურ იზოგლოსებს ენათა ნათესაობის დადგენის ან ამ ნათესაობის ხარისხის

განსაზღვრისთვის არანაირი მტკიცებულებითი ძალა არ გააჩნიათ.

მორფოლოგიური და ლექსიკური პრინციპის შემოტანა კომპარატივისტიკაში საკლასიფიკაციოდ ეწინააღმდეგება მეთოდის სიმკაცრეს, რომლისთვისაც ბგერათშესატყვისობათა ჩვენება რელევანტურია, მორფოლოგიური და ლექსიკური იზოგლოსებისა — ქარბი.

ბგერათშესატყვისობათა სისტემაზე დაყრდნობით საერთო-ქართველური ენის დიფერენციაციისა და ქართველურ ენათა ურთიერთმიმართების სქემა შეიძლება ასეთი სახით იქნეს წარმოდგენილი:



სადაც: ა — საერთო-ქართველური ენა; აბ — სვანურ-ზანური ენობრივი ერთობა; ბგ — სვანური, ბდ — ზანური, აე — ქართული.

ისტორიულ ქართველურ ენათა კომპარატივისტული კვლევა უდავოს ხდის საერთო-ქართველური ენის ფონოლოგიურ სისტემაში სიბილანტურ სპირანტთა და აფრიკატთა სამი რიგის რეკონსტრუქციას, სადავო შეიძლება მხოლოდ ამ რიგების ინტერპრეტაცია იყოს (მაჭავარიანი 1960, წერეთელი 1965... შდრ. პოლაკი 1955, კლიმოვი 1960, შმიდტი 1962, წინამდებარე ნაშრომში გ. მაჭავარიანისეული ინტერპრეტაციაა წარმოდგენილი, თუმცა თავად სამი რიგის სხვაგვარ კვალიფიკაციას არ გამოვრიცხავ).

ქართველურ ენათა კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა ძირითადი ფორმულები შეიძლება შემდეგი ცხრილის

სახით იქნეს წარმოდგენილი:

1	2	3	4	5
საერთო- ქართველური	ქართული	საერთო- სვანურ- ზანური	ზანური	სვანური
*ა		*ა	ო	ა
*ე	ე	*ე		ე
*ი	ი	*ი		ი
*ო	ო	*ო	ო	ო
*უ	უ	*უ	უ	უ
*ბ	ბ	*ბ	ბ	ბ
*ფ	ფ	*ფ	ფ	ფ
*პ	პ	*პ	პ	პ
*ღ	ღ	*ღ	ღ	ღ
*თ	თ	*თ	თ	თ
*ტ	ტ	*ტ	ტ	ტ
*ძ	ძ	*ძ	ძ	ძ
*ც	ც	*ც	ც	ც
*წ	წ	*წ	წ	წ
*ჭ	ჭ	*ჭ	ჭ	ჭ
*ხ	ხ	*ხ	ხ	ხ
*ძ ₁	ძ	*ჯ	ჯ	ჯ/ე
*ც ₁	ც	*ჩ	ჩ	ჩ/უ
*წ ₁	წ	*კ	კ	კ/უ
*ზ ₁	ზ	*ყ	ყ	ყ
*ს ₁	ს	*შ	შ	შ
*ჯ	ჯ	*ძგ	ძგ/ჯგ	სგ
*ჩ	ჩ	*ცქ	ცქ/ჩქ	უგ

*ც	ც	*წკ	წკ/ჭკ	შკ
*ც	ც	*ზგ	ზგ/ჟგ	—
*შ	შ	*სქ	სქ/შქ	სგ/შგ
*გ	გ	*გ	გ	გ/ჯ
*ქ	ქ	*ქ	ქ	ქ/ჩ
*კ	კ	*კ	კ	კ/ჭ
*ღ	ღ	*ღ	ღ	ღ
*ხ	ხ	*ხ	ხ	ხ
*ვ	ვ	*ვ	*ვ/ხ	ვ
*ყ	ყ	*ყ	ყ/ც	ყ
*ჰ	ჰ	*ჰ	ჰ	ჰ
*მ	მ	*მ	მ	მ
*ნ	ნ	*ნ	ნ	ნ
*რ	რ	*რ	რ	რ
*ლ	ლ	*ლ	ლ	ლ
*ჟ	ჟ/ვ	*ჟ	ჟ/ვ	ჟ

(შენიშვნა: საერთო-ქართველური *ყ ფონემის რეკონსტრუქციისათვის იხ. გულავა 1964 და შენგელია 1996).

ამ ფორმულათა დარღვევის ყველა შემთხვევას აქვს პოზიციური ან კომბინატორული ახსნა (მაგ., ქართ. ა: სვან: ზან. ა — სიტყვის ბოლოკიდურა პოზიციაში. იხ. კლიმოვი, მაჭავარიანი 1966, შდრ. ფუტყარაძე 1990, ქართ. ა: სვან. უ: ზან. უ(>ი) — ლაბიალურ ფონემათა მეზობლობაში და სხვ. იხ. ფენრიხი, სარჯველაძე 1990)

რაც შეეხება ქართ. -თ: სვან. -შდ.: ზან. -თ ბგერათშესატყვისობებს, ვემხრობი მოსაზრებას მისი საერთო-ქართველური ბგერათკომპლექს *ს,თ-დან მომდინარეობის შესახებ. (იხ. აგრეთვე, მაჭავარიანი 1965, გიგინეიშვილი 1987, შდრ. ი. მელიქიშვილი 1981).

საერთო-ქართველური ენა გაიყო (დაიშალა) ორ: აბ (დასავლურ) და აე (აღმოსავლურ) არეალად, რომელთაგან არც ერთში უცვლელად არ ასახულა (არ გაგრძელებულა) ფუძე-ენის ფონოლოგიური სისტემა (შდრ. ჩიქობავა 1948, ლომთათიძე 1993, აგრეთვე ჯანაშვილი).

აე არეალი (ისტორიული ქართულის გავრცელების ზონა) მივიღეთ საერთო-ქართველური ენის სიბილანტთა სამი რიგის ორ რიგად ტრანსფორმაციის შედეგად:

ე.ი. მოხდა ფონოლოგიური სისტემის „გასისინება“, საერთო-ქართველური ენის შუა-სიბილანტური რიგის წინ გადაწევა.

საერთო-ქართველური \longrightarrow ქართული

- | | | |
|-----------------------------------|-------------------|-------------------------------|
| 1. წინა-სიბილანტური (სისინა) | \longrightarrow | 1. წინა-სიბილანტური (სისინა) |
| 2. შუა-სიბილანტური (სისინ-შიშინა) | \longrightarrow | 2. უკანა-სიბილანტური (შიშინა) |
| 3. უკანა-სიბილანტური (შიშინა) | \longrightarrow | 2. უკანა-სიბილანტური (შიშინა) |

აბ-არეალში (ისტორიული სვანურისა და ზანურის გავრცელების ტერიტორიაზე) შენარჩუნებულ იქნა სამი რიგი, მაგრამ მოხდა მისი ფონოლოგიური ტრანსფორმაცია:

საერთო-ქართველური \longrightarrow სვანურ-ზანური

- | | | |
|-----------------------------------|-------------------|---|
| 1. წინა-სიბილანტური (სისინა) | \longrightarrow | 1. წინა-სიბილანტური (სისინა) |
| 2. შუა-სიბილანტური (სისინ-შიშინა) | \longrightarrow | 2. უკანა-სიბილანტური (შიშინა) |
| 3. უკანა-სიბილანტური (შიშინა) | \longrightarrow | 3. წინა-სიბილანტური (სისინა) ⁺
წინაველარული ხშული |

ე.ი. მოხდა შუა-სიბილანტური რიგის უკან გადაწევა — „გაშიშინება“, ხოლო უკანა-სიბილანტური (შიშინა) რიგის შესატყვისად მივიღეთ კომპლექსები (მაჭავარიანი 1965), რომელთა სისინა წევრი სპორადულად განიცდიდა გაშიშინებას. გაშიშინებისათვის (ძგჯგ,

ცქ>ჩქ, წკ>ჭკ, ზგ>ჟგ, სქ>შქ) ხელისშემშლელი პოზიცია უნდა ყოფილიყო: 1) სისინა კომპლექსით, 2) რ+სისინა კომპლექსი... ხელისშემწყობი კი: სისინა კომპლექსითი (სადაც ი ფუძისეულია). გაშიშინების ტენდენცია ზანურში, რომელსაც არტიკულაციის უკან „გადაწევის“ ორი ეტაპი აქვს გავლილი, ჯერ თანხმოვნების (სვანურ-ზანური ერთობის საფუძველი) და შემდეგ ხმოვნების (საკუთრივ ზანურის გაფორმების საფუძველი), უფრო ძლიერი ჩანს, ვიდრე სვანურში (შდრ. ქართ. ვაშლ-ი: სვან. უისგუ: ზან. უშქურ-ი; ქართ. შუა: სვან. სგა: ზან. შქა...) (ქურდიანი 1987 შდრ. გამყრელიძე 1959 და კარტოზია 1989 ე. წ. გამყრელიძე-კარტოზიას წესი).

დასავლეთის არეალის ენა (სქემაზე აბ) უნდა განისაზღვროს, როგორც „სვანური ტიპის“ სვანურ-ზანური ენობრივი ერთობა, რადგან სქემის აბ ქრონოლოგიურ მონაკვეთში (ისევე, როგორც აე მონაკვეთში) გადაწევები შეეხო მხოლოდ თანხმოვანთა სისტემას და შენარჩუნებულ იქნა საერთო-ქართველური ენის ვოკალური სისტემის მოდელი (წინა წარმოება). შუა-სიბილანტური რიგის პოვნეიერების ან ტრანსფორმაციის მიხედვით, შეიძლება პირობითად აღვნიშნოთ ქართული, როგორც სისინა ენა, ხოლო სვანურ-ზანური ერთობა და საკუთრივ სვანური და ზანური ენები, როგორც შიშინა (ნ. მარის ტრადიციის თანახმად) იმ განსხვავებით, რომ ფუძე-ენის ვოკალურ მოდელთან მიმართების ნიშნით გვექნება — სისინა-ა — ენა (ქართული), შიშინა-ა ენა (სვანურ-ზანური ერთობა და საკუთრივ სვანური) და შიშინა-ო ენა (ზანური). ამ თვალსაზრისით, საერთო-ქართველური ფუძე-ენა დახასიათდება როგორც სისინ-შიშინა-ა ენა.

მნიშვნელოვანი ქრონოლოგიური ნიშანსვეტია სვანურ-ზანური ერთობის დაშლა (გაყოფა) შიშინა-ა (სვანურ) და შიშინა-ო (ზანურ) ენებად, როდესაც ზანურში (სქემაზე ბდ) მოხდა ხმოვანთა არტიკულაციის უკან „გადაწევა“.

დანარჩენ ფონეტიკურ პროცესთა აბსოლუტური უმრავლესობა ხდებოდა საკუთრივ ისტორიულ ქართველურ ენებში და მათი რეკონსტრუქცია არ ხერხდება არც სვანურ-ზანური ენობრივი ერთიანობის და არც საერთო-ქართველური ენის დონეზე.

ამდენად, საერთო-ქართველური ენობრივი სისტემის ნებისმიერი იერარქიული დონის არქეტიპების რეკონსტრუქციისათვის საკმარისია მათი ფონეტიკური შესატყვისობების დაძებნა სისინა-ა (ქართულ) და ორიდან ერთ-ერთ შიშინა ენაში (შდრ. კლიმოვი 1964). მხოლოდ სვანური (შიშინა-ა) და ზანური (შიშინა-ო) ენების მასალის შეპირისპირებით არქეტიპები აღდგება სვანურ-ზანური ერთიანობის ხანისათვის (თუ საქმე არა გვაქვს კომპლექსთან: სიბილანტი + წინაველარული ხშული, რომლის პოენიერება ლექსემაში მის საერთო-ქართველურ დონეზე რეკონსტრუქციას ხდის შესაძლებელს)

ზემოთქმულიდან გამომდინარე — სვანური არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ნარევი ენა (იხ. ონიანი 1989, შდრ. მარი 1911, ჩიქობავა 1948, ლომთათიძე 1993), გამოსარიცხია მასში ადილური სუბსტრატის არსებობის ჰიპოთეზაც — სვანური, როგორც ქართველური ენა, ავლენს კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათმესატყვისობებს სხვა ქართველურ ენებთან და მხოლოდ და მხოლოდ მათთან. ის ამ ენობრივი ჯგუფის უეჭველი და უმნიშვნელოვანესი (ფუძე-ენის ფაქტების რეკონსტრუქციის თვალსაზრისით) წევრია.

კომპარატივისტიკის პოზიციიდან, მეგრული და ლაზური (ჭანური) ერთი ენის ორი დიალექტია (ჩიქობავა 1936), როგორც მაგ. გურული და ხევსურული, და არა ორი ენა (შდრ. მარი 1910, კლიმოვი 1964, ფენრიხი, სარჯველაძე 1990...). ორ ენად მათი გამოცხადება მხოლოდ სხვა საენათმეცნიერო დისციპლინის — სოციოლინგვისტიკის პოზიციიდან შეიძლება (მარი 1915) და ისიც — პირობითად (ქურდიანი 1996), ხოლო ერთი მეცნიერების იმანენტური კანონებით განპირობებული დეფინიციის (ან ტერმინის) მეორე დის-

ციპლინაში გამოყენება, მეთოდის თვალსაზრისით, არაკორექტულია (ენის ცნება საკუთრივ ლინგვისტიკასა და სოციოლინგვისტიკაში იდენტური არაა).

ენათა ნებისმიერი კლასიფიკაცია და ენობრივი ერთეულისთვის **ენის** კვალიფიკაციის მიცემა უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ მეტოლოლოგიური იმანენტიზმის პრინციპებს და ანგარიშს არ უნდა უწევდეს მომიჯნავე დარგებში მიღებული ენის დეფინიციას, მართებულს თითოეული მათგანისათვის მათი სპეციფიკიდან გამომდინარე და მით უმეტეს არ უნდ იყოს დამოკიდებული ექსტრალინგვისტურ ფაქტორებზე.

ენათა გენიალოგიურ კლასიფიკაციაში მიღებული პრინციპები ენისა და დიალექტის გამიჯვნისა უნდა იყოს უგამონაკლისო და თანაბრად ვარგისი როგორც ცოცხალი ასევე მკვდარი ენებისათვის — ასეთი კი მხოლოდ კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა პოვნეირებაა.

კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა რამდენი სისტემაც (resp. პარადიგმაც) არსებობს — იმდენი ენაა ენობრივ ჯგუფსა თუ ოჯახში — ქართველურ ენათა ჯგუფში ასეთი სისტემა სამია: სისინა — ა ენა (ქართული), შიშინა — ა ენა (სვანური) და შიშინა — ო ენა (ზანური) — შესაბამისად ენაც სამია, ამ სისტემათაგან თითოეულის შიგნით არსებული ვარიანტები სრულიად ეტევიან საკუთარი სისტემის რელევანტურ მახასიათებლებში.

ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ცალსახად შეიძლება დავასკვნათ რომ მოაბიტელებს, ფინიკიელებსა და ებრაელებს ჰქონდათ განსხვავებული თვითიდენტიფიკაცია, ისინი არა მარტო აღიქვამდნენ ერთმანეთს სხვადასხვა ხალხებად არამედ ერთმანეთის მოსისხლე მტრებიც იყვნენ — ამის მიუხედავად მოაბიტური ფინიკიური და ებრაული ერთი — ქანანური ენის დიალექტებს წარმოადგენენ, თუ კილოკავებს არა. ასევე ერთი ენის — აქადურის დია-

ლექტებზე მეტყველებდნენ ერთმანეთის დაუძინებელი მტრები ბაბილონელები და ასურელები (ნინევიელები), ისევე როგორც თანამედროვე ევროპაში — ერთი ენის დიალექტებზე მეტყველი ხორვატები, სერბები და ბოსნიელები დაუნდობლად რომ ყლეტენ ერთმანეთს.

თითოეული ამ ხალხის მეტყველების იდენტიფიკაცია ერთ ენად — ქანაანურად, აქადურად თუ სერბო-ხორვატულად (resp. ხორვატო-სერბულად) კომპარატივისტული თვალსაზრისით არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს, დამოუკიდებლად იმისაგან მათ რა სოციოლინგვისტური სტატუსი ჰქონდათ ან აქვთ.

სამაგიეროდ ასევე არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს ვთქვათ ქანაანური და აქადური ენებისთვის ორი განსხვავებული ენის კვალიფიკაციის მიცემისა სემიტურ ენათა ოჯახის შიგნით და მათი მიკუთვნება ამ ოჯახის ორი სხვადასხვა ჯგუფისათვის ქანანურისა — დასავლური, ხოლო აქადურისა — ჩრდილოური.

საქართველოს შესახებ არანაირი ინფორმაციის არმქონე, მაგრამ ისტორიულ-შედარებით მეთოდში გათვითცნობიერებულ კომპეტენტურ და არაანგაჟირებულ ნებისმიერ ლინგვისტს, თუნდაც მხოლოდ ქართველურ ენათა ფოლკლორული ტექსტების ანალიზით დაუბრკოლებლად და ცალსახად შეუძლია გამოყოფს ზუსტად სამი (და არა ერთი ან ოთხი) მისთვის უცნობი ენა, მოახდინოს მათი დიალექტების დაჯგუფება (იმის შესაბამისად თუ როგორი სისავსით იქნება მისთვის მიწოდებული დიალექტურ ტექსტთა შემცველი ტექსტების კორპუსი) დიალექტური წრეების მიხედვით და გააკეთოს ეს ოდენ ლინგვისტური პარამეტრებით.

კომპარატივისტული მეთოდის წყალობით ენათმეცნიერება იქცა ზუსტ მეცნიერებად ისეთივე ზუსტ მეცნიერებად როგორც საბუნებისმეტყველო დისციპლინებია, და დავა ამა თუ იმ ოჯახის რომელიმე ჯგუფში შემავალი ენების რაოდენობის შესახებ შეიძლება ასახავდეს მხოლოდ საკითხის შესწავლის თუ შეუსწავლელობის

დონეს ან მკვლევართა ექსტრალინგვისტურ ინტერესებს, მაგრამ არამც და არამც ენობრივ რეალობას.


სოციოლინგვისტური თვალსაზრისით დღეს ლაზური საქართველოში ქართული ენის სოციოლინგვისტური დიალექტია, თურქეთში თურქულის. თურქეთის ლაზისტანში არის მცდელობა ლაზურის (ვიწურ-არქაბულის და / ან ათინურ-ართაშნულის) სამწერლობო ფუნქციით აღჭურვისა — ამგვარი (მორიგი) მცდელობის შედეგიანად დასრულების შემთხვევაში ლაზური სოციოლინგვისტური პოზიციიდან ენის სტატუსს მიიღებს, მაგრამ, საკუთრივ ლინგვისტიკის და ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის პოზიციიდან ის მაინც მხოლოდ და მხოლოდ იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ბასკურ-ქართველური ჯგუფის ქართველური ქვეჯგუფის ზანური ენის ლაზურ დიალექტურ წრედ დარჩება და მას სხვა კვალიფიკაცია არ და ვერ მიეცემა.

საერთო-ქართველური ენის დიფერენციაციის წინამდებარე სქემა თვალსაჩინოდ განსხვავდება არსებული სქემებისაგან (მარი 1910, დეეტერსი 1930, ჩიქობავა 1948, შმიდტი 1962, წერეთელი 1965, ლომთათიძე 1993); იგი ემყარება ბგერათშესატყვისობათა სისტემას, როგორც ენათა ნათესაობის დადგენის, მონათესავე ენათა ურთიერთმიმართების გარკვევისა და ფუძემენის „რეკონსტრუქციის“ ერთადერთ უეჭველ კრიტერიუმს.

ნ. მარის (1910) სქემასთან, რომელიც 7(!) ქართველურ (მარის მაშინდელი ტერმინოლოგიით — იაფეტურ) ენას მოიცავს (როგორც ისტორიულს, ასევე ჰიპოთეტურს), ჩემ მიერ შემოთავაზებულ სქემას იმდენად ცოტა საერთო აქვს, რომ განსხვავებებზე ყურადღების გამახვილება არც ღირს.

ბ. მარის სქემა


ГЕНЕАЛОГИЧЕСКАЯ ТАБЛИЦА ЯФЕТИЧЕСКИХ ЯЗЫКОВ



გ. დეეტერსის (1930) სქემისაგან, რომელიც ერთი განცხადების თანახმად, „იღეს თითქმის უცილობლად არის გაზიარებული“, ქურდიანის სქემა განსხვავდება: ა) ზანურის არა ქართულ-ზანური, არამედ სვანურ-ზანური ერთიანობისაგან გამოყოფით (რითაც მოიხსნა სირთულე სხვადასხვა ქრონოლოგიურ დონეზე სიბილიანტთა არტიკულაციის ორჯერ (ჯერ — სვანური, შემდეგ — ზანური) ერთი და იმავე ფონოლოგიური ნიშნით (გაშიშინება) გადაწევის ახსნისა ტიპოლოგიური მონაცემებით — ტოხურისა და ჭადაქოლურის მაგალითზე; ბ) მეთოდის სიმკაცრით, რადგან ემყარება მხოლოდ ფონოლოგიურ იზოგლოსებს და მტკიცებისათვის არ საჭიროებს ლექსიკურ-მორფოლოგიური იზოგლოსების მოხმობას, რაც არა მარტო არაკორექტულია, მეთოდის თვალსაზრისით, არამედ არც უტყუა-

რია, როგორც ეს ქართველურ ენათა მორფოლოგიისა და ლექსიკის ისტორიულ-შედარებითი კვლევის თანამედროვე ეტაპმა ცხადყო (ე. ოსიძე, მ. სუხიშვილი და სხვ.; მათ შორის, თვით ამ სქემის მომხრეთა შრომებმაც: ონიანი 1978, 1989; ჩანტლაძე 1998; ფენრიხი, სარჯველაძე 1990...;) გ) მეგრულისა და ლაზურის (ჭანურის) ორ ენად მიჩნევის შესახებ იხ. ზემოთ.

გ. დეეტერსის სქემა:




გ. დეეტერსის სქემასთან დაკავშირებით აკად. ქ. ლომთათიძე შენიშნავს: „ბოლო დროს ფართო გავრცელება ჰპოვა ქართველურ ენათა დიფერენციაციის ჯერ კიდევ მ. ჯანაშვილის მიერ შემოთავაზებული და შემდგომ გ. დეეტერსის მიერ განვითარებულმა სქემამ“ (ლომთათიძე 1993).

მოსე ჯანაშვილის სქემა იხ.: Richard Erckert, Die Sprachen des kaukasischen Stammes, Wien, 1895, Teil 2: 287.


არნ. ჩიქობავას (1948, მისი სქემა იხ. შარაძენიძე 1952 304) და ქ. ლომთათიძის (1993) სქემისაგან ჩემი განსხვავდება იმით, რომ ისტორიულ ქართულს არ მიიჩნევს საერთო-ქართველურის უშუალო

გაგრძელებად, რომელშიც დაცულია ფუძე-ენის ფონოლოგიური სისტემა; არნ. ჩიქობავას სქემისაგან ჩემეულს ზანურისა და სვანურის ურთიერთმიმართებაც განასხვავებს: მასთან ზანურის პირველადობაა აღიარებული, წინამდებარე სქემასა და ქ. ლომთათიძესთან კი — სვანურ-ზანური ერთობაა დაშვებული.

არნ. ჩიქობავას სქემა




ქ. ლომთათიძის სქემა



კ.პ. შმიდტის (1962) მიხედვით, საერთო-ქართველური ენა ზანური (ან ზანურ-სვანური ე. ი. „შიშინა“) ტიპისა გამოდის, გ. წერეთლის (1965) მიხედვით კი — სვანურ-ზანური ერთობის ტიპისა. წინამდებარე სქემისაგან ისინი განსხვავდებიან როგორც ფუძე-ენის ფონოლოგიური სისტემის ინტერპრეტაციით, ასევე, აქედან გამომდინარე, ისტორიული ქართველური ენების ურთიერთმიმართების ახსნის ხასიათითაც.

რაც შეეხება ქართულ-ზანური ფონოლოგიური, მორფოლოგიური და ლექსიკური იზოგლოსების თვალსაჩინო სიახლოვეს, ეს ქართულ-ზანური ერთიანობის ჰიპოთეზით ან მხოლოდ მათი ენობრივი კონტაქტის უწყვეტობით არ აიხსნება და მიზეზი ამ უწყვეტი კონტაქტის წყალობით ენობრივი კავშირის ჩამოყალიბებაში უნდა ვეძებოთ:



0.3. ბგერათშესატყვისობანი და ენობრივ ერთეულთა კვალიფი-კაციის პრობლემა

ნებისმიერ ფონეტიკურ პროცესს აქვს თავისი მოქმედების დრო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფონეტიკურ კანონთა მოქმედება შეზღუდულია გარკვეული ქრონოლოგიური ჩარჩოთი.

ეს დებულება ვრცელდება ე. წ. სპონტანურ ფონეტიკურ პროცესებზეც, რომელთა შედეგად ხდება ერთი-ენის დიფერენციაცია რამდენიმე ახალ ენად; მაგ.: საერთო-ქართველური ფუძეენის დიფერენციაცია ისტორიულად დადასტურებულ ქართველურ ენებად.

საერთო-ქართველური ფუძეენის დიფერენციაციისა და ფუძეენის ტიპოლოგიის რამდენიმე მოდელი არსებობს, მაგრამ როგორც არ უნდა ყოფილიყო საერთო-ქართველური ფუძე-ენა ტიპოლოგიურად:

- ა) სისინა — ანუ ქართულის იდენტური (არნ. ჩიქობავა): *კაც-ი;
- ბ) სისინ-შიშინა — ანუ ისტორიულად დადასტურებული სამივე ქართველური ენისგან განსხვავებული ტიპის (გ. მაჭავარიანი): *კაც-ი;
- გ) შიშინა-ა — ანუ ტრანსფორმაციამდელი სვანურის (resp. სვანურ-ზანური ენობრივი ერთობის) ტიპის (კ.პ. შმიდტი, გ. წერეთელი): *კაჩ-ი.

და სხვ.

ყველა ამ შემთხვევაში იგულისხმება ენობრივი ერთობიდან ანუ ფუძე-ენიდან გაშიშინების გზით ზანურ-სვანურის გამოყოფა (არნ. ჩიქობავა), ან ფუძე-ენის ტრანსფორმაცია სისინა და შიშინა ენებად.

შესაბამისად, მოხდა ქართულის გასისინების ან ზანურ-სვანურის გაშიშინების გამომწვევი სპონტანური ფონეტიკური პროცესები, მაგრამ — ერთჯერადი თუ მრავალჯერადი?

„სვანურის“ ტიპის (შიშინა) ფუძე-ენის დაშვებისას, ცხადია, ერთჯერადი — მოხდა „გასისინება“ და მივიღეთ ქართული.

„ქართულის“ ტიპის (სისინა) ფუძე-ენის დაშვებისასაც — ერთჯერადი: მოხდა „გაშიშინება“ და მივიღეთ ზანურ-სვანური.

სხვა ტიპის (სისინ-შიშინა) ფუძე-ენის დაშვებისას? რაც ერთხელ შუა-სიბილანტური რიგის გაშიშინების შედეგად მივიღეთ სვანური, შემდეგ ე. წ. ქართულ-ზანური ერთიანობა, მეორეჯერაც იმავე ნიშნით დაიშალა, ანუ სპონტანური პროცესი შუა სიბილანტური რიგის გაშიშინებისა განმეორდა?

ცხადია, ამ კითხვაზე ერთადერთი მეცნიერული პასუხი არსებობს — არა! ეს პასუხი შესანიშნავად მოეხსენებათ ზანურ-ქართული ენობრივი ერთიანობის დამცველებს, მაგრამ მათ აქვთ ტიპოლოგიური მაგალითი არა თუ ერთი ენის დიალექტებს შორის, არამედ ერთი დიალექტის ორ თქმას შორის ქართულ-ზანურის ტიპის შესატყვისობათა არსებობისა.

აკად. არნ. ჩიქობავა წერს: „მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც ბგერათა კანონზომიერ ფარდობას ადგილი აქვს ერთი და იმავე ენის დიალექტებს შორის, ე. ი. ისეთ ერთეულებს შორის, რომელთაც ცალკე ენებად არავინ თვლის. მეტი კიდევ, ბგერათშესატყვისობას შეიძლება ადგილი დაუჩრჩეს ერთი დიალექტის ორ კილოკავს (resp. თქმას) შორის“ (ჩიქობავა 1979: 76).

ასეთი დიალექტების მაგალითად არნ. ჩიქობავა ასახელებს დარგული ენის ურახული ტიპის დიალექტებსა და წუდახარული ტიპის დიალექტებს, ხოლო კილოკავთა (თუ თქმათა) ნიმუშად ხუნძური ენის ანწუხური დიალექტის თქმებს — ტოხურსა და ჭადაქოლოურს.

სანამ საკუთრივ ტოხურისა და ჭადაქოლოურის ლინგვისტური სტატუსის განსაზღვრის კრიტერიუმებზე იქნება მსჯელობა, ცალსახად უნდა განისაზღვროს ე. წ. ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობა.

ნობის ლინგვისტური არსი და სახე. ეს, მით უმეტეს მნიშვნელოვანია, რადგან მას ზოგჯერ გადაჭარბებული მნიშვნელობა ენიჭება:

„პრინციპული მნიშვნელობისაა გ. კლიმოვის მეთოდი. მან ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნა საერთოქართველური და ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქათა რეკონსტრუქციები, რითაც ახალი ეტაპი შექმნა ქართველური ლექსიკის შესწავლის ისტორიაში“ (ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 12).

ეს განცხადება საქართველოში კომპარატივისტული კვლევის დონის ცალსახა მაჩვენებელია: გ. კლიმოვის მიერ საერთო-ქართველური და ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქათა რეკონსტრუქციების მკვეთრად გამიჯვნა რაიმე კომპარატივისტულ კრიტერიუმს კი არ ეფუძნება, რაიმე პრინციპულ ინტერპრეტაციას ბგერათშესატყვისობებისა, რომელიც ამ ორი ეპოქის მკვეთრად გამიჯვნის უფლებასა და საშუალებას მოგვცემდა, არამედ, როგორ დაუჯერებლადაც არ უნდა უღერდეს ეს — ერთი და იმავე კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობების შემცველი ლექსიკური ერთეულების პოვნეირების ან ვერპოვნის ფაქტს სვანურში, ერთ-ერთ შიშინა ენაში.

ასე მარტივად — თუ ლექსიკური ერთეული პოვნეირია მხოლოდ ქართულსა და ზანურში, ის აღდგება „ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის“, ხოლო თუ პოვნეირია სვანურსა და რომელიმე ერთ-ერთ ქართველურ ენაში, აღდგება „საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონეზე“.

ან რომელიმე ძირი ავლენს კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობებს სამივე ქართველურ ენაში, მაგრამ ფუძედ (სახელურად, ზმნურად თუ მიმღეობურად) გაფორმებული აღმოჩნდება აფიქსალური მორფემებით მხოლოდ ქართულსა და ზანურში — გ. კლიმოვი ძირს კი აღადგენს საერთო-ქართველურ დონეზე,

მაგრამ ფუძეს — არა, თუნდაც იგივე აფიქსები სვანურშიც პოვნიერი იყოს, ოღონდ სხვა ლექსემაში.

და ეს პრინციპის გამო — ქართულ-ზანურმა ენობრივმა ერთობამ ხომ აპრიორულად უნდა გამოავლინოს მეტი მორფოლოგიური სიახლოვე, მეტი საერთო იზოგლოსა.

ასე აქცევს ხოლმე მკვლევართა ერთი ნაწილი ხარვეზებს თავის ცოდნასა თუ განათლებაში მეცნიერების პრობლემად.

საერთო-ქართველური და ქართულ-ზანური ქრონოლოგიური დონის გ. კლიმოვისეული რეკონსტრუქციები მეცნიერულად შეუწყნარებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

ა) **თანხმოვნებში:** საერთო-ქართველური ფუძე-ენისეული კონსონანტური სისტემის რეფლექსები სვანურსა და ზანურს აქვს აბსოლუტურად იდენტური (საკუთრივ სვანურში მომხდარი დეზაფრიკატიზაციის პროცესის გათვალისწინებით) და ერთნაირად უპირისპირდება ქართულს:

საერთო-ქართველური	ქართული	სვანურ-ზანური
1. წინა სიბილანტური რიგი (სისინა)	წინა სიბილანტური რიგი (სისინა)	წინა სიბილანტური რიგი (სისისნა)
2. შუა სიბილანტური რიგი (სისინ-შიშინა)	წინა სიბილანტური რიგი (სისინა)	უკანა სიბილანტური რიგი (შიშინა)
3. უკანა სიბილანტური რიგი (შიშინა)	წინა სიბილანტური რიგი (შიშინა)	კომპლექსი: სისნა შიშინა სიბილანტები + წინაველარული ხშულები

შესაბამისად: გამონაკლისის გარეშე ყველა არაიდენტური კონ-

სონანტური შესატყვისობა რომელიც პოვნიერია ქართულსა და სვანურს ან ქართულისა და ზანურს შორის არის ასახვა საერთო-ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციისა სიბილანტური რიგების ტრანსფორმაციის მიხედვით და თანაბრად აიყვანება საერთო-ქართველური ფუძე-ენის ქრონოლოგიური დონის არქეტიპებამდე.

არ არსებობს არც ერთი არაიდენტური შესატყვისობა (მით უმეტეს იდენტური) კონსონანტთა კლასში რომელიც ზანურს გამოემუშავებინოს სვანურისგან დამოუკიდებლად და მას შემდეგ რაც ზანური და სვანური ცალ-ცალკე ენებად ჩამოყალიბდნენ ან თუნდაც ჰიპოთეტური ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის პერიოდში და ამდენად გამოდგებოდეს ორი ქრონოლოგიური დონის: საერთო-ქართველურისა და ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის პოსტულირებისათვის.

ბ) **ხმოვნებში:** საერთო-ქართველური ფუძე-ენისეული ვოკალური სისტემის რეფლექსები ქართულსა და სვანურს აქვს აბსოლუტურად იდენტური (საკუთრივ სვანურში მომხდარი ფონეტიკური პროცესების გათვალისწინებით) და ერთნაირად უპირისპირდება ზანურს:

საერთო-ქართველური	ქართულ-სვანური	ზანური
*ა	ა	ო
*ე	ე	ა

შესაბამისად: გამონაკლისის გარეშე ყველა არაიდენტური ვოკალური შესატყვისობა რომელიც პოვნიერია ქართულსა და ზანურს ან სვანურსა და ზანურს შორის არის ასახვა საერთო-ქართველური ფუძე-ენიდან ნამემკვიდრევი *ა და *ე ხმოვნების არტიკულაციის უკან გადაწევისა ზანურში და უპრობლემოდ აიყვანება საერთო-ქართველური ფუძე-ენის ქრონოლოგიური დონის არქეტიპებამდე.

არ არსებობს არც ერთი არაიდენტური შესატყვისობა ვოკალთა

კლასში (კომბინატორული პროცესების გათვალისწინებით) რომელიც ზანურს გამოემუშავებინოს ცალკე ქართულისა და ცალკე სვანურის მიმართ და ამდენად გამოდგებოდეს ორი ქრონოლოგიური დონის: საერთო-ქართველურისა და ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის პოსტულირებისთვის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე: ნებისმიერი ძირი რომელიც ავლენს არაიდენტურ კანონზომიერ და რეგულარულ შესატყვისობებს როგორც თანხმოვანთა ასევე (ან) ხმოვანთა კლასში „სისინა“ (resp. ქართულ) და ნებისმიერ (resp. ერთ-ერთ) „შიშინა“ (სვანურ ან ზანურ) ენას შორის უპრობლემოდ რეკონსტრუირებულ უნდა იქნეს საერთო-ქართველური ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე.

გ) თუ ბგერათშესატყვისობათა შემცველი ძირები გამოვლენილი იქნება მხოლოდ „შიშინა“ ენებში („შიშინა-ა“ ენა — სვანურსა და „შიშინა-ო“ ენა ზანურში) — ქართულის მიმართ არაიდენტური შესატყვისობების პოვნიერების შემთხვევაში ძირი რეკონსტრუირდება საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონეზე. ეს პირველ რიგში უგამონაკლისოდ ეხება ქართულის შიშინა ფონემების შესატყვისად სვანურსა და ზანურში კომპლექსების (სიბილანტი+უკანაენისმიერი ხშული) პოვნიერების შემთხვევებს.

ერთადერთი დაბრკოლება საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონეზე მხოლოდ შიშინა ენებში გამოვლენილი ძირის რეკონსტრუქციისა შეიძლება იყოს ოდენ იდენტურ კონსონანტურ ბგერათშესატყვისობათა შემცველ ძირში არაიდენტური ხმოვანთშესატყვისობის არსებობა, მაგ: სვან. შა-ჟ ზან შუ-[ი] „რა“ და ა. შ. ასეთ შემთხვევებში ძირის რეკონსტრუქცია, ჩემი თვალსაზრისით უეჭველია მხოლოდ სვანურ-ზანური ენობრივი ერთიანობის ქრონოლოგიურ დონეზე.

დ) ფუძეებში: ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის ქრო-

ნოლოგიური დონის პოსტულირება ფუძეების დონეზე ხდება, როგორც ზემოთაც ვთქვი იმ შემთხვევებშიც, თუ რომელიმე აფიქსალური მორფემა გვხვდება სამივე ქართველურ ენაში, მაგრამ მისი კომბინაცია კონკრეტულ ძირთან, პოვნიერთან ასევე სამივე ქართველურ ენაში, დაფიქსირებულია მხოლოდ ქართულში და ზანურში. სამაგალითოა ამ მხრივ გ. კლიმოვის მიერ *ს₁ჟ — „სმა“ ძირის რეკონსტრუქცია საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონეზე (კლიმოვი 1964 173) ხოლო *ს₁ჟ-ამ / *ს₁ჟ-მ „სმა“ ფუძისა მხოლოდ ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის დონეზე (კლიმოვი 1964: 173), მიუხედავად იმისა, რომ *-ამ / *-მ თემისნიშანი მას თავადვე აქვს რეკონსტრუირებული საერთო-ქართველური ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე (კლიმოვი 1964 44).

სწორედ იმიტომ რომ ამ კომბინაციის საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონეზე რეკონსტრუქციის შესაძლებლობის უარყოფას სჭირდება მეტი არგუმენტი, ვიდრე მის დაშვებას ოდენ ჰიპოთეტური ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის დონეზე — გ. კლიმოვის მთელი ეს მსჯელობა „რეკონსტრუქციის ორი განსხვავებული ქრონოლოგიური სიბრტყის“ შესახებ, როდესაც „ერთი მხრივ აღდგებიან საერთო-ქართველური ფუძეები და აფიქსები, მეორე მხრივ კი — მხოლოდ ქართულ-ზანური“ (კლიმოვი 1964 16) — კვაზიმეცნიერულია.

ასევე კვაზიმეცნიერულია მსჯელობა იმის შესახებ თითქოს: „ქართულ-ზანური ერთიანობის პოსტულირება ხერხდება პირველ რიგში მრავალრიცხოვანი მორფოლოგიური და ლექსიკური იზოგლოსების საფუძველზე, რომლებიც აერთიანებენ ამ ორ ქართველურ დიალექტს, საპირისპიროდ სვანურისა, და მიუთითებენ მათს საერთო განვითარებაზე სვანურის ფუძე-ენიდან გამოყოფის შემდეგ“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965 10).

ამ მრავალთაგან ჩამოთვლილია 8 (sic. მ. ქ.) „საერთო ქართულ-ზანური მორფოლოგიური ინოვაცია“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965 10), რომელთაგან ამჟერად მხოლოდ ორს შეეცხებთ:

ინოვაცია №3:

„*-ებ სუფიქსის გამოყენება ზმნაში როგორც აწმყოს თემის მაწარმობებელი მორფემის ერთ-ერთი პროდუქტიული ალომორფისა:

ქართ. ა-ქ-ებ-ს; ა-გ-ებ-ს;

მეგრ. ჩხონ-აფ-ა „ცხონება“; თან-აფ-ა „თენება“ („აღდგომა“);

მდრ. აგრეთვე -აფ სუფიქსი მეგრულ-ჭანურში, როგორც კაუზატივის ერთ-ერთი მაწარმობებელი:

მეგრ. ო-ჭარ-აფ-უან-ს, ჭან. ო-ჭარ-აფ-ამ-ს „აწერინებს“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965 10).

ვფიქრობ ***-ებ** (||-ეფ) სუფიქსის გამოყენება სულაც არ არის „საერთო ქართულ-ზანური ინოვაცია“ -ებ (||-ეფ) სუფიქსის კვალი პოვნიერია სვანურშიც:

ზან. ბირ-აფ-ა || ბირ-ა „სიმღერა“

სვან. ბილ-ებ-ა || ლა-ბრ-მწლ „სიმღერა“ / „სამღერი“

სვანური სიტყვა-ფორმა შემორჩენილია ცნობილ სვანურ სიმღერაში „ბილება“. მასში -ებ- ძირს შეხორცებულთ, გაქვავებულთ აფიქსის სახით არის შემორჩენილი და ის კანონზომიერად შეესატყვისება ზან. -აფ < *-ებ სუფიქსს. საინტერესოა რომ ეს ძირი ქართულში სადღეისოდ არ არის პოვნიერი და თვით სიტყვაც (როგორც ძირი ასევე სუფიქსიც) მხოლოდ ზანურსა და სვანურში გვხვდება.

რედუცირებული ხმოვნით არის წარმოდგენილი -ებ სუფიქსი სხვა სვანურ სიტყვებში. მაგ.:

ხ-ა-გ-ბ-ე < *ხ-ა-გ-ებ-ე

„არჭობს“, „აცვამს“, „ასობს“

შდრ. ქართ. ა-გ-ებ-ს „id“;
გ-ებ-ა „აცმა“, „წამოგება“
ზან. ო-გ-აფ-ს < *ო-გ-აბ-ს „id“.
გ-აფ-ა < *გ-აბ-ა „აცმა“, წამოგება“
და სხვ.

ინოვაცია №8:

„მიძღობათა (resp. ნაზმნარი აღიექტივთა) სუფიქსური წარ-
მოების ფართო გავრცელება:

ქართ. შვ-ილ-ი მეგრ.-ჭან. სქ-ირ-ი;

ქართ. ტფ-ილ-ი : მეგრ. ტიბ-უ, ჭან. ტუბ-უ;

ქართ. კმ-ელ-ი მეგრ.-ჭან. ხომ-ულ-ა“

(გამყრელიძე, მაჭავარიან 1965 11).

ეს დებულებაც სვანური მასალის არასაკმარის ცოდნაზეა დამ-
ყარებული, მოვიყვან რამდენიმე მაგალითს:

ქართ. პოხ-ილ-ი „გამოკვებილი“ სვან. პოხ-ილ „ღორის ქონი“;

ქართ. ცმ-ელ-ი „ქონი“ : ზან. ცემ-უ „ცხიმი“, „ქონი“

სვან. ცემ-ილ „ღორის მუცლის ქონი“

ქართ. თხ-ელ-ი ზან. თითხ-უ სვან. დგთხ-ელ „თხელი“

რვა ე. წ. ინოვაციიდან ორის საკითხი ეს წუთთა მოიხსნა და
ორივე „ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის“ ქრონოლოგიური
დონიდან საერთო-ქართველური ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე
იქნა გადატანილი.

დარჩენილი ექვსი „იზოგლოსის“ ბედიც სვანური მასალის შემ-
დგომ ჩვენებაზეა დამოკიდებული — ის რაც ქართულ-ზანურ
საერთო ინოვაციად ჩანდა ზემოთმოყვანილ მაგალითების მიხედვით
სვანურში ფუძე-ენოვანი რელიქტი აღმოჩნდა, ქართულმა და ზა-
ნურმა კი ამ აფიქსების პროდუქტიულობა ენობრივ კავშირად ჩამო-
ყალიბების წყალობით შეინარჩუნეს.

რელიქტის სახით არის შენარჩუნებული სვანურში კიდევ ერთი „ქართულ-ზანური მორფოლოგიური იზოგლოსა“ — ნარ-თანიანი მრავლობითის **ნ** სუფიქსი, რომელიც დომინანტურია ძველ ქართულში, ორობით რიცხვს აწარმოებს ხევსურულში და მხოლოდ ნაცვალსახელთა მრავლობითობას აწარმოებს ზანურში (resp. ლაზურში) ფენრიხი, სარჯველაძე, 1990 235):

ქარ. ყუერ-ი

ზან. ყვაჯ-ი / ყვაჯ-ი „id“

სვან. ყურ-ნ-ჲ-ჲ „id“.

სადაც **ნ** ორობითის სუფიქსი უნდა იყოს შდრ. ქართ. ყუერ-ნ-ი. თამაზ გამყრელიძე და გივი მაჭავარიანი „სისინა“ (resp. ქართული) და „შიშინა“ (resp. ზანური) „დიალექტების“ ენობრივი ერთიანობის ასახსნელად მიმართავენ, როგორც ვთქვი, ტოხურისა და ჰადაქოლოურის თანაარსებობის მაგალითს ერთ ენობრივ კონტინუუმში.

მაგრამ არსებობს კითხვა, რომელიც ცალსახა პასუხს საჭიროებს: თუ ენა გაიყო სიბილანტთა რიგების გასისინება-გაშიშინების სპონტანური ერთჯერადი ფონეტიკური პროცესის შედეგად, ამ პროცესის მოქმედების შეწყვეტის შემდეგ ხომ გამოირიცხულია იმავე რიგის შესატყვისობათა წარმოქმნა? შესაბამისად, ყოველი ახალი ნასესხობა ერთი ენიდან მეორეში ან ორივეში რომელიმე სხვა ენიდან ხომ აღარ მოგვეცემს შესატყვისობებს და ენაში იფუნქციონირებს ზიარი და არა დიფერენცირებული ფორმით; ცხადია, ისეთი გამოწვევის თუ უნიკუმის გათვალისწინებით რომ, ვთქვათ ქართულმა ისესხოს არაბულიდან — **სალამ**-ი „მშვიდობა“, ხოლო ზანურმა იგივე სიტყვა ებრაულის აშკენაზური წარმოთქმიდან — **შოლომ**-ი, რომელიც ქართ. **ას**-ი ზან. **ოშ**-ი შესატყვისობის იდენტურ წყვილს შექმნის და ორგანულად ჩაეწერება ქართულ-ზანურ ბგერათმე-

სატყვისობათა სისტემაში. ყველა სხვა შემთხვევაში ნებისმიერი ზანურ-ქართული გადიფერენცირებული შესატყვისობა, თუნდაც მარტო ხმოვანთშესატყვისობის შემცველი, ავა საერთო-ქართველურ დონეზე, მათ შორის — აფიქსალური მორფემებიც. მაშინ რას იძლევა პრინციპულსა და ფასეულს ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის რეკონსტრუქცია?

პასუხიც ასეთივე ცალსახა იქნება — არაფერს, გარდა ჯანაშვილ-დეეტერსის სქემის გადარჩენის წინასწარგანწირული მცდელობისა.

ამავე სქემის გადარჩენის მცდელობას ემსახურება ლაზურისა და მეგრულის დამოუკიდებელ ენებად წარმოჩენის სურვილიც, რომელიც სრულ წინააღმდეგობაშია ისტორიულ-შედარებითი მეთოდის პრინციპებთან.

აკად. არნ. ჩიქობავა წერდა: „ჰანურს სხვაგვარი შესატყვისები რომ ჰქონდეს და მეგრულს კიდევ სხვაგვარი, ჰანურისა და მეგრულის ერთ ენად (ერთი ენის ორ დიალექტად) მიჩნევა გაჭირდებოდა, მაგრამ ჰანური და მეგრული ერთი და იმავე შესატყვისით გამოდის ქართული ბგერის ფარდად“ (ჩიქობავა 1979: 76).

კომპარატივისტიკაში ეს ერთადერთი რელევანტური და სანდო კრიტერიუმია.

ენობრივ ოჯახში თუ ჯგუფში იმდენი ენაა, ბგერათშესატყვისობათა რამდენი პარადიგმაც არის პოვნირი.

ქართველურ ენათა ჯგუფში ბგერათშესატყვისობათა სამი პარადიგმაა: ქართული, სვანური, ზანური; ენაც შესაბამისად სამია და არა — ოთხი.

ნახურ-დაღესტნურ ენათა ნახურ ჯგუფში ბგერათშესატყვისობათა ორი პარადიგმაა:

ჩეჩნურ-ინგუშური (ვაინახური)	წოვა-თუშური (ბაცბური)
ბ	პ
ღ	ტ
გ	კ
ძ (>ზ/ც)	წ
ჭ	ჭ
ა	ა

და სხვ.

თანხმოვანთკომპლექსებში —

სთ	სტ
ლხ (>რხ)	თხ

და სხვ.

შესაბამისად ნახურ ენათა ქვეჯგუფში კომპარატივისტიკის პოზიციიდან სულ ორი ენა უნდა გამოიყოს: ჩეჩნურ-ინგუშური (resp. ვაინახური) და წოვა-თუშური (resp. ბაცბური).

თუ მონათესავე ენათა რაოდენობის განსაზღვრისას ბგერათმესატყვისობათა პარადიგმების რაოდენობიდან უნდა ამოვიდეთ, მაშინ არა მარტო ერთი ენის სტატუსი უნდა მიეცეს ისტორიულ-შედარებითი მეთოდის პოზიციიდან იმ ენობრივ ერთეულებს, რომლებსაც იდენტური პარადიგმა აქვთ ბგერათმესატყვისობებისა, არამედ ენის სტატუსი უნდა მიიღონ იმ ენობრივმა ერთეულებმა, რომლებიც პარადიგმატულად უპირისპირდებიან ერთმანეთს კანონზომიერი და რეგულარული ბგერათმესატყვისობების სისტემით, და ეს გაკეთდეს დამოუკიდებლად იმისაგან, ამ ენობრივ ერთეულებს „ცალკე ენებად“ თვლის ვინმე თუ არა.

არც იმასა აქვს მნიშვნელობა, ამ ენობრივ ერთეულთა ფონეტიკური დიფერენციაცია ჩვენს თვალწინ მოხდა, თუ ათასწლეულებს ითვლის.

მთავარია, რომ სპონტანური ფონეტიკური პროცესები უკვე დასრულდა და ფუძე-ენაში პოვნიერი მთელი ლექსიკა, ნასესხობათა ჩათვლით, უკვე გადიფერენცირებულია. მაგ., ტოხური — სურათ: ჰადაქოლოური — შურათ < სურათ (არაბ.), შდრ. ქართ. სურათ-ი (ასევე არაბული ნასესხობა).

ენება „ენა“ და „დიალექტი“ სოციოლინგვისტიკაში განისაზღვრება ენობრივი ერთეულის ფუნქციონირებით. თუ ის სახელმწიფო ან ოფიციალური, სამწერლობო და ა. შ. ენის ფუნქციით არის აღჭურვილი, ეს ერთეული — ენაა, თუნდაც კომპარატივისტიკის პოზიციიდან რეალურად დიალექტს წარმოადგენდეს. მაგ., აღმოსავლურ სლავური ენის დიალექტები — რუსული, ბელორუსული, უკრაინული და რუსინული სოციოლინგვისტიკის თვალსაზრისით ენებია და, პირიქით, ქართული სახელმწიფო ენის სოციალინგვისტური დიალექტებია არა მარტო ზანური, სვანური, არამედ — წოვა-თუშურიც...

კომპარატივისტული პოზიციიდან ენა ბგერათშესატყვისობათა დამოუკიდებელი პარადიგმით უნდა მიემართებოდეს მონათესავე ენებს.

ამიტომ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში ხუნძური ენის ანწუხური დიალექტების კილოკავებად ერთხმად მიჩნეული ტოხური და ჰადაქოლოური (ჩიქობავა, ცერცვაძე 1962; ცერცვაძე 1948) კომპარატივისტიკის პოზიციებიდან კვალიფიცირებულნი უნდა იქნენ, როგორც ენები — მათ შორის არსებობს კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა სისტემა, ბგერათშესატყვისობათა ასეთივე (მკაცრად კანონზო-

მიერი და რეგულარული) სისტემა დასტურდება თითოეულ მათგანსა და ხუნძური ენის ხუნძახურ დიალექტს შორის. აქედან გამომდინარე, ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ არა ხუნძური ენის, არამედ ხუნძური ენების შესახებ (ისევე, როგორც ვლაპარაკობთ ანდიური ენებისა და დიდოური ენების შესახებ).

ამ ბგერათშესატყვისობათა ძირითადი ფორმულები შეიძლება შემდეგი ცხრილის სახით იქნეს წარმოდგენილი (სიმოკლისათვის დავიმოწმებ მხოლოდ „დიფერენცირებულ“ ერთეულებს და ისიც — საერთო-ხუნძური დონის რეკონსტრუქციების გარეშე).

ხუნძახ.	ტოხ.	ქადაქ.
ა	ო	ო
ე	ა	ა
ც	ს	შ
ს	ს	შ
შ	შ	ს
შა	შა	სა
წ	წ	ჭ
ქა	ქა	წ
ჩა	ჩა	ც
ჭ	ჭ	ც
ჭ	ძ	ჭ
ა	ჯ	თ
ა	თ	თ
ა	ა	ა
ა	ა	ა

რეგულარულ და კანონზომიერ ბგერათშესატყვისობათა წარმოდგენილი სისტემა რელევანტური ნიშანია კომპარატივისტიკის პო-

ზიციებიდან ხუნძახურის, ტოხურისა და ჰადაქოლოურისათვის ენების კვალიფიკაციის მისაცემად (სამივე ენობრივი ერთეულის ფონოლოგიურ სისტემათა შორის არსებულ თვალსაჩინო განსხვავებათაგან დამოუკიდებლად, რაც თავისთავად საგულისხმო მომენტია, მაგრამ მეთოდის თვალსაზრისით ჰარბი).

ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ქვეჯგუფში ხუნძური ენები წარმოდგენილი იქნებიან მინიმუმ სამი ენით (რომელთა ასეთი სტატუსი, კომპარატივისტიკის თვალსაზრისით, უეჭველია): ხუნძური (ან ხუნძახური) ენა, ტოხური ენა და ჰადაქოლოური ენა (ქურდიანი 1996 ა).

ამდენად, სრულიად უსაფუძვლოა:

ა) დიალექტებს შორის, და მით უფრო, ერთი დიალექტის ფარგლებში, კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობების დაშვება. ასეთი შესატყვისობები მხოლოდ მონათესავე ენებს შორის არსებობენ (შდრ. ჩიქობავა 1979);

ბ) ქართულ-ზანურ-სვანურის ბგერათშესატყვისობათა ინტერპრეტაცია, როგორც შედეგისა საერთო-ქართველური ენის ფარგლებში დიალექტური დაპირისპირებისა — ტოხურ-ჰადაქოლოურის „ტიპოლოგიური მონაცემების ფონზე“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965).

კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა სისტემის დადგენა ერთადერთი უეჭველი კრიტერიუმია ენათა ნათესაობის მტკიცებისას.

კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა არსებობა სანდო კრიტერიუმია მონათესავე ენათა და დიალექტთა გამიჯვნისას (თუ მონათესავე ენობრივ ერთეულებს შორის არსებობს ბგერათშესატყვისობათა სისტემა, ისინი ერთმანეთთან მიმართებაში ენებია, თუ ასეთი სისტემა არ არსებობს — დიალექტები).

ნებისმიერი „მეორადი“ „შესატყვისობები“ არამონათესავე ენებს შორის (მაგ., ნასესხობები რუსულიდან საერთო-ხუნძურში, რომლებიც კანონზომიერ და რეგულარულ შესატყვისობებს იძლევიან ხუნძურ ენაში, ვთქვათ, ტოხურსა და ჭადაქოლოურში) თვისობრივად განსხვავდებიან მონათესავე ენათა შორის არსებული „პირველადი“ შესატყვისობებისაგან, რაც თავს იჩენს როგორც რეკონსტრუქციის პროცედურის დროს, ასევე შემდეგ — ფუძე-ენების შედარებისას (მეიე 1954; ჰოლი-უმცროსი 1972; ვაინრაიხი 1972; შდრ. კომპარატივისტიკის პოზიციიდან შეუწყნარებელი ჰიპოთეზა ენათა ალოგენეტური ნათესაობისა, წერეთელი 1968).

0.4. ბგერათშესატყვისობათა რანჟირება მათი მტკიცებულებებითი ძალის მიხედვით

აკადემიკოსი გიორგი წერეთელი 1965 წელს, თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის წიგნის „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, საერთო-ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია“ წინასიტყვაობაში წერდა:

„ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული იყო მცდარი შეხედულება, თითქოს ისეთი კანონზომიერი მიმართებანი, რომელნიც ფონეტიკური მხრივ ცოტად თუ ბევრად „იდენტურ“ ერთეულებშია გამოხატული (მაგ. /ს/ /ს/, /ზ/:/ზ/, /ც/ /ც/, /წ/ /წ/, /ქ/ /ქ/, /ჭ/ /ჭ/, /ფ/ /ფ/, /მ/ /მ/, /ნ/ /ნ/ და სხვ.), შესატყვისობა არ არის, იმ საბუთით, რომ „იდენტური“ შესატყვისობად ვერ ჩაითვლება, რომ ეს მხოლოდ „გაუდიფერენცირებელი მასალაა“ და რომ „ამ შემთხვევებში ჩვენ გვაქვს დამთხვევა და არა

შესატყვისობა“.

ამ მტკიცებას რომ დავუჯეროთ, მაშინ უნდა უარვყოთ სქემა

/A/

/*A/

/A/

ე. ი. ინდოევროპული ხმულებისათვის დადგენილი ისეთი შესატყვისობანი, როგორიცაა, პროტო-ინდოევროპული /*p/, /*t/, /*k/, /*b/, /*d/, /*g/ ბერძნ. /p/, /t/, /k/, /b/, /d/, /g/; ლათ. /p/, /t/, /k/, /b/, /d/, /g/; (მაგ., ბერძნ. patēr, ლათ. pater; ბერძნ. treis, ლათ. trēs; ბერძნ. he-katón, ლათ. centum; ბერძნ. beltí'ón, ლათ. dē-bilis; ბერძნ. déka, ლათ. decem; ბერძნ. génos, ლათ. genus) შესატყვისობად ვერ ჩაითვლება. ასეთი თვალსაზრისი კი მიგვიყვანდა მონათესავე ენათა შორის ფონოლოგიურ შეფარდებთა რეგულარობის უარყოფამდე, რაც არსებითად ნიშნავს იმ პრინციპების უარყოფას, რომლებზედაც შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერება არის დაფუძნებული“ (წერეთელი 1965: 011-012).

ავტორი იქვე, სქოლიოში, ხაზგასმით ასახელებს ამ მცდარი შეხედულების ავტორს: „ასე, მაგ. არნ. ჩიქობავა ალ. ცაგარელს ნაკლად უთვლის, რომ შესატყვისობათა დადგენისას იგი აღნიშნავს არა მარტო „დიფერენცირებულ“ ერთულებს, არამედ იმასაც, რაც „გაუდიფერენცირებელ“ მასალაშია მოცემული. თვით არნ. ჩიქობავას ცხრილებში ასეთი შესატყვისობანი, რა თქმა უნდა, ამოღებულია“ (წერეთელი 1965: 011).

ავტორს მხედველობაში აქვს არნ. ჩიქობავას მიერ 1938 წელს „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონის“ შესავალში გამოთქმული აზრი ალ. ცაგარლის შესახებ:

„ქართულისა და მეგრული ბგერების (და მით ჭანურისაც!) შესატყვისობანი პირველად ალ. ცაგარელმა დაადგინა (იხ. მისი

„Мингрельские этюды. Вып. II. Опыт фонетики мингрельского языка“. С-ПБ. 1880, გვ. XI + 92)...

ეკვივალენტის (შესატყვისის) დადგენისას ავტორი აღნიშნავს არა მარტო იმ შესატყვისობას, რომელსაც დიფერენცირებული მასალა გვაძლევს, არამედ იმასაც, რაც საერთო მასალაშია მოცემული; მასთან, შემდგომ ცვლილებათა (უკვე მეგრულის ნიადაგზე რომ მოხდა, ანდა, ქართულმა განიცადა) საკითხს, აგრეთვე, სემასიოლოგიურ გადახრათა შესაძლებლობას, ანგარიში არ ეწევა.

ასე, მაგ., ჯ-ს შესახებ ალ. ცაგარელი წერს:

„მეგრ. ჯ შესატყვისება ქართ. ჯ-ს, ძ-ს, რ-ს, დ-ს, ც-ს, ხ-ს“...

მაგალითებად მოყვანილია:

ა. ჯიკი — ჯირკი, ჯარი — ჯავრი...

ბ. ჯოლორი — ძაღლი, ჯვეში, — ძველი, ჯიმა — ძამია, ჯერღვი — ძარღვი, ჯიმაღი (ჯიმა+ღიღი) — ბიძია, სინჯა — სიძე...

გ. ხუჯი — მხარი, ყუჯი — ყური, ლეჯი — ლორი, ხოჯი — ხარი, პიჯი — პირი, ქომონჯი — ქმარი...

დ. ხინჯი — ხიდი.

ე. ჯიხა — ციხე.

ვ. ჯა — ხე (იხ. ხსენებ. გამოკვლ. § 38, გვ. 64).

აქედან მხოლოდ ბ და გ მუხლებს აქვს მნიშვნელობა შესატყვისობის თვალსაზრისით; ა-ში მოცემული მაგალითები საერთო მასალას შეიცავს; ხინჯის ჯ მეორეულია, — დ-სგან არის მიღებული; ჯი-ხა იმას გვაფიქრებინებს, რომ ქართ. ციხე < ძიხე და არა იმას, რომ მეგრ. ჯ ქართულ ც-ს შესატყვისება; ჯა არ შეიძლება შევეუღაროთ ხე-ს; ჯა-ს შესატყვისი ძელი ერთგვარი სემასიოლოგიური გადახრის ნიმუშს გვაჩვენებს. ერთი სიტყვით, შედარების ზოგადი პრინციპები დაცული არ არის.

მაგრამ ამგვარი (§§ ვ, ე, დ, გ) მასალაც რომ გამოვიციხოთ,

დავინახავთ, რომ ალ. ცაგარლის ამ გამოკვლევაში ყველა მეგრული ბგერაა განხილული და მეგრულისა და ქართულის ბგერების კანონზომიერ შესატყვისობათა საკითხი გადაჭრილია“ (ჩიქობავა 1938: 10-11).

აშკარაა, რომ ამ მოსაზრებათა ზემომოყვანილი შეფასება არც ადეკვატურია და არც კორექტული.

არნ. ჩიქობავა საერთო მასალაში გულისხმობს არა ფუძე-ენიდან ნამემკვიდრევე „იდენტურ“ შესატყვისობებს, არამედ ერთი ენიდან მეორეში ნასესხებ მასალას და როდესაც ის წერს: „ა-ში მოცემული მაგალითები საერთო მასალას შეიცავს“. ეს მართლაც ასეა. ზანურ ჭ-ს ანლაუტში ცალსახად უნდა შეესატყვისებოდეს ქართული ძ, ხოლო ქართულ ჭ-ს ზანურში შეესატყვისება ძგ/ჯგ. „ჯიკი ჯირკი“, „ჯარი ჯავრი“-ს ტიპის მაგალითებში კი გვაქვს ჯ ჯ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აქ დამოწმებული სიტყვები ან ერთმა ენამ ისესხა მეორისაგან, ან ორივემ — მესამე ენიდან.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში არა, მაგრამ კომპარატივისტიკის პოზიციიდან შეუწყნარებელი ტერმინი (და ცნება) „გაუდიფერენცირებელი მასალა“, აღნიშნული მნიშვნელობით, მართლაც, პოენიერია კავკასიოლოგთა თბილისური სკოლის წარმომადგენელთა (მათ შორის არნ. ჩიქობავს) ნაშრომებში და თანაც მისი არსებობის უფლებებისა და გამოყენების მართლზომიერების თეორიული არგუმენტების მოხმობით:

„ქართული ც'ს რომ ზანური ჩ შეესატყვისება, ქართულ ა'ს რომ ზანური ო შეესატყვისება — კაცი — კობი — ამის საფუძველი, რა თქმა უნდა, ამ ენათა გენეზისური კავშირია; მაგრამ ამ რიგის ფაქტს სრულებით არ წარმოადგენს იმავე ქართულ ფუძეში გამოვლენილი კ, რომელიც უცვლელად მეორდება ზანურში; აქ არსებითად შესატყვისობაზე ლაპარაკი არ შეიძლება — შე-

სატყვისობა შესაძლებელია არსებობდეს ორ (და მეტ) ფაქტს შორის, აქ კი ჩვენს წინაშეა ერთი და იგივე, გაუდიფერენცირებელი მასალა: ერთ ფუძეში აღმოჩნდა, ერთი მხრით, გაუდიფერენცირებელი მასალა, მეორე მხრით — გადიფერენცირებული შესატყვისი“ (ფოჩხუა, 1974 330-331).

და ამ სიტყვების ავტორი, თვალსაჩინო და ავტორიტეტული ლინგვისტი თეორეტიკოსი, პროფ. ბიძინა ფოჩხუა, იქვე, სქოლიოში აზუსტებს თავის მოსაზრებას:

„ამიტომ კაცისა და კოჩის ურთიერთობა წარმოგვიდგება:

არა ასე:	{	კ კ ა ო ც ჩ (ი) (ი)	არამედ ასე:	{	კ ა ც (ი) ო ჩ (ი)
----------	---	---------------------------------------	-------------	---	----------------------------

როდესაც გაუდიფერენცირებელ ოდენობებს ახასიათებენ როგორც შესატყვისობებს, ამით უგულვებელყოფენ იმ ფუნდამენტური მნიშვნელობის ფაქტს, რომ ენა უწყვეტობაა, კონტინუუმი“ (ფოჩხუა 1974 331).

აქ აუცილებელია ერთი ზოგადლინგვისტური სიტყვისგება:

პროფ. ბ. ფოჩხუა მხოლოდ ქართველურ ენებს რომ გულისხმობდეს თავის თეზისში „ენა უწყვეტობაა, კონტინუუმი“—ო, მისი პოზიცია გასაზიარებელი არა, მაგრამ გასაგები იქნებოდა, რადგან ის იზიარებდა აკად. არნ. ჩიქობავას თვალსაზრისს ქართველურ ენათა დიფერენციაციის საკითხში, ანუ ემხრობოდა აზრს, რომ ზანური ენა წარმოიშვა საკუთრივ ქართულისაგან, ამ უკანასკნელის უწყვეტი განვითარების ერთ-ერთ ეტაპზე (იხ. შესავალი, §0.2.), მაგრამ სინამდვილეში, მისთვის ქართული და ზანური ენების ურთიერთმიმართება მხოლოდ საბაზისა შორსმომავალი თეორიული განზოგადებისთვის და ჩემი შენიშვნაც სწორედ ამ თეორიული პოსტულატის

სრული მეცნიერული უსაფუძვლობით არის გამოწვეული, მით უმეტეს, რომ იგი სრულიად დამსახურებულად სანიმუშოდ აღიარებულ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოში არის გამოთქმული.

იმ „ფუნდამენტური მნიშვნელობით ფაქტს, რომ ენა უწყვეტობაა, კონტინუუმი“ არანაირი შეხება არა აქვს ბგერათშესატყვისობების პრობლემასთან (გაღიფერენციკრებულნი იქნებიან ეს შესატყვისობები თუ გაუღიფერენციკრებულნი) იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ „ენა უწყვეტობა, კონტინუუმი“ დროის სასრულ მონაკვეთში — მისი, როგორც ცოცხალი ენის ფუნქციონირების ქრონოლოგიურ ფარგლებში ანუ მის სიკვდილამდე, რისი ერთ-ერთი ფორმაც მისი დიფერენციაციაა მონათესავე ენებად — ამის შემდეგ ის წყვეტს არსებობას და ადგილს უთმობს მისი დიფერენციაციის გზით წარმოქმნილ ენებს, რომელთაგან არც ერთის ფონოლოგიური სისტემა არ არის უცვლელი გაგრძელება ფუძე-ენის ფონოლოგიური სისტემისა, რომლის დიფერენციაციის პროცესში, მასში პოვნირი მთელი მასალა სრულად მაგრამ სხვადასხვაგვარად (როგორც იდენტური ასევე არაიდენტური ბგერათშესატყვისობების სახით) გაღიფერენცირდა ამ ახალ ენათაგან თითოეულში, შესაბამისად ტერმინი „გაუღიფერენცირებელი მასალა“ ყოველგვარი *raison d'être*-ს არის მოკლებული.

რაკი გაირკვა, რომ ფუძე-ენა „უწყვეტობას, კონტინუუმს“ წარმოადგენდა მხოლოდ მისი სიკვდილის განმავლობაში და მისმა სიკვდილმა სათავე დაუდო ახალ ენებს ანუ ახალ კონტინუუმებს, ისიც ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ თითოეულს ამ ახალ ენათაგან აქვს საკუთარი და არა ზიარი ფუძე-ენასთან ან ერთმანეთთან ფონოლოგიური სისტემა და განხილული მაგალითიდან რომ ამოვიღეთ, ქართული ენის კ არის მხოლოდ და მხოლოდ ქართული ენის ფონოლოგიური სისტემის წევრი და არამც და არამც იგივე ოდენობა,

რაც საერთო-ქართველური ფუძე-ენის *კ ან ზანურის კ, რომლებიც თავის მხრივ ასევე ოდენ თავისი ენის ფონოლოგიური სისტემის წევრები არიან და ამდენად სხვადასხვა ოდენობებს წარმოადგენენ. ამიტომ:

ს./ქართვ. *კ ქართ. კ ზან. კ
და ა. შ.

თუმცა ვიმეორებ, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არნ. ჩიქობავა არანაირ კრიტიკას არ იმსახურებდა. კერძოდ ქართ. კაც-ი ზან. კოჩ-ი ლექსემასთან დაკავშირებით კი ის სრულიად სამართლიანად წერდა:

„ეს ერთი იმ ფუძეთაგანია, რომელიც ხმოვან-თანხმოვანთა კანონზომიერი შესატყვისობის ნიმუშს გვაწვდის ქართულისა და ზანურის შედარებისას. მასთან არც ქართულს და არც ზანურს არ განუცდია შემდგომი ცვლა: მათში მოცემული ვარიანტები დაგვჩაწინანდელი სახით“ (ჩიქობავა 1938 43).

მაგრამ შეიძლება კრიტიკის კონკრეტული ობიექტი არასწორად ან ტენდენციურად იყოს შერჩეული, სამაგიეროდ, სწორი, უალტერნატივო გამოდგეს თეორიული თვალსაზრისი:

„მონათესავე ენების ფონემათა კანონზომიერი მიმართებანი დიაქრონიულ უნივერსალიებს ეკუთვნიან და გამოიხატებიან ფორმულით „(X) X ∈ L ...“ ე. ი. „ყველა X-ისათვის, თუ X არის ენა, მაშინ...“ (მისთვის დამახასიათებელია კანონზომიერი მიმართება მონათესავე ენასთან). უნივერსალიათა კატეგორიას ეკუთვნის დებულე-ბა, რომ „ყველა ენა იცვლება“, მაგრამ სავალდებულო არ არის ყველაფერი „იცვლებოდეს“ ენაში. პირიქით, როგორც წესი, ცვლილებანი ფონოლოგიური სისტემის მხოლოდ ერთ ნაწილზე ვრცელდება, მაშინ, როდესაც მეორე ნაწილი „უცვლელი“ რჩება.

ცვლილებათა სახეობანი მრავალრიცხოვანია არა მარტო ენათა

სხვადასხვა ტიპებში, არამედ თვით ერთი ენის ფარგლებშიც, მაგრამ „შეცვლილიც“ („გადიფერენცირებული“) და „უცვლელიც“ („გაუდიფერენცირებელი“) თანაბრად კანონზომიერ მიმართებაში იმყოფებიან წინაპარ ენასთან, — მაშასადამე, ერთმანეთის მიმართაც, თუ საქმე ეხება საერთო წყაროდან მომდინარე მასალას და არა ლინგვისტური თუ ექსტრალინგვისტური ფაქტორებით გამოწვეულ ინოვაციებს“ (წერეთელი 1965: 012).

აკადემიკოს გ. წერეთლის მსჯელობა სწორია, მაგრამ არა — ჰეშმარიტი და, აი, რატომ:

რაკი კომპარატივისტიკის პირველი რიგის ამოცანა ენათა ნათესაობის დადგენაა, რისი ერთადერთი გზაც კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა გამოვლენაა, ბუნებრივად ჩნდება კითხვა: ყველა რიგის შესატყვისობას თანაბარი მტკიცებულებითი ძალა აქვს თუ არა?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად შეიძლება ქართველურ ენათა ფონოლოგიური სისტემა შემდეგი ნიშნის მიხედვით იქნეს კლასიფიცირებული:

A კლასი

ბგერები (ფონემები), რომლებიც გადიფერენცირებულ შესატყვისობებს იძლევიან ქართულსა და ზანურში

ა, ე
ძ, ც, წ
ჩ, ჩ, ჯ
ზ, ს
შ, შ

B კლასი

ბგერები (ფონემები), რომლებიც გაუდიფერენცირებელ შესატყვისობებს იძლევიან ქართულსა და ზანურში

ი, ო, უ
ბ, ფ, კ
დ, თ, ტ
გ, ქ, კ
პ, ყ
ლ, ხ, ჯ
მ, ნ, რ, ლ, ჟ

პასუხი ასეთი იქნება: A კლასში შემავალი ფონემების ნებისმიერი კანონიკური კომბინაცია მტკიცებულებითი ძალის მატარებელია.

ამ ბგერათა კომბინაციით მიღებული სიტყვები უპრობლემოდ და სრული უეჭველობით შეიძლება რეკონსტრუირებულ იქნენ საერთოქართველური ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე.

B კლასში შემავალი ფონემების ვერც ერთი კომბინაცია ვერ იქნება მტკიცებულებითი ძალის მატარებელი და ამ ბგერათა კომბინაციით მიღებული სიტყვების რეკონსტრუქცია საერთო-ქართველური ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე იქნება პრობლემური და საეჭვო. მაგ.:

ქართ.	დიდ-ი	ზან.	დიდ-ი
	თოკ-ი		თოკ-ი
	კოდ-ი		კოდ-ი
	კუდ-ი		კუდ-ი
	ნოდ-ა		ნოდ-ა
	ბურ-ვ-ა		ბურ-უ-ა
	ჟორ-ვ-ა		ჟორ-უ-ა ჟორ-უ-ა
	თხიფ-ვ-ა		თხიფ-უ-ა
	ხოკ-ვ-ა		ხოკ-უ-ა

და სხვ.

ოდენ **B** კლასში შემავალ ფონემათა კომბინაციით შედგენილი სიტყვების პრობლემა ის კი არ იქნება, რომ ისინი არარეგულარულ და არაკანონზომიერ შესატყვისობებად კვალიფიცირდებიან, არამედ ის, რომ შეუძლებელი იქნება იმისი დადგენა, ისინი ფუძე-ენიდან არიან მემკვიდრეობით მიღებული ორივე ენაში, თუ გვიანდელ ნასესხობებს წარმოადგენენ (ერთი ენიდან მეორეში, თუ ორივეში — რომელიმე მესამე ენიდან).

რაც შეეხება **A** და **B** კლასში შემავალი ფონემების ურთიერთკომბინაციებს, მათ უმრავლესობას ექნება მტკიცებულებითი ძალა, მაგრამ ნაკლები, ვიდრე ოდენ **A** კლასში შემავალი ფონემებისას, რადგან ასეთი კომბინაცია არ გამოირიცხავს ისეთ ვარიანტებს, როდესაც შეიძლება ერთად მოხვდნენ ისეთი ფონემები, რომლებსგანაც შედგენილ სიტყვას მტკიცებულებითი ძალა არ ექნება. მაგ.:

ქართ.	ცუდ-ი	ზან.	ცუდ-ი
	წკირ-ი		წკირ-ი
	ძუძუ		ძუძუ
	წკა		წკა
	ძგიბ-ვა		ძგიბ-უ-ა
	ზოხ-ვა		ზოხ-უ-ა

და სხვ.

ჩემი პოზიცია ასეთია: მიუხედავად იმისა, რომ ე. წ. იდენტური შესატყვისობები ისეთივე რეგულარული და კანონზომიერი ხასიათისანი არიან, როგორც ე. წ. გადიფერენცირებულნი, მათი მტკიცებულებითი ძალა განსხვავებულია, ამიტომ ენათა ნათესაობის მტკიცების დროს ორიენტაცია სწორედ ამ უკანასკნელებზე (და მათ კომბინაციებზე „იდენტურ“ ბგერათშესატყვისობებთან) უნდა იქნეს აღებული.

წინამდებარე ნაშრომშიც, რომელიც მიზნად ისახავს დაამტკიცოს იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობა, ოპერირება, როგორც წესი, გადიფერენცირებული მასალით ხდება და არა იმიტომ, რომ ავტორი ე. წ. იდენტურ შესატყვისობებს არ მიიჩნევს რეგულარულად ან კანონზომიერად, არამედ მასალის მტკიცებულებითი ძალის წარმოჩენის მიზნით, ბგერათშესატყვისობათა რანჟირების ზემოშემოთავაზებულ პრინციპებიდან გამომდინარე.

05. ბგერათშესატყვისობათა სინქრონიული სისტემების იმპერატიული მნიშვნელობა დიაქრონიულ რეკონსტრუქციებისათვის

„იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალში“ აკად. არნ. ჩიქობავას აქვს სპეციალური პარაგრაფი მიძღვნილი იბერიულ-კავკასიური ენების თავდაპირველი სისტემის ინტერპრეტაციათა განხილვისათვის: „კონსონანტიზმის ამოსავალი რთული სისტემის ვარაუდი“ (ჩიქობავა 1979: 73-75), სადაც ის წერს:

„ამოსავალში კონსონანტიზმის რთულ შედგენილობას ვარაუდობს არა ერთი ავტორი... ქართველური ენებისათვის პრერუპტივების არსებობას გულისხმობდა გ. როგავა (იხ. §10); სისინ-შიშინა სპირანტთა და აფრიკატთა ორმაგი წყვილები „საერთო ქართველურში“ ამოსავალია ვაცლავ პოლაკისათვის:

ს — ს ზ — ზ ც — ც ძ — ძ

შ — შ ე — ე ჩ — ჩ ჯ — ჯ (ხაზგასმულები მას მთავრული ასოებით აქვს აღნიშნული: s, S, ზ, ო, ო - z, Z, ზ, ო - c, C, ც, ო - j, J, ო).

სისინათა და შიშინათა საგანგებო სერიათა ვარაუდი საერთო-ქართველურში ძალიან აადვილებს თანხმოვანთა შესატყვისობათა ახსნასო, — წერს ვ. პოლაკი.

შესატყვისობათა ახსნა ამის გარეშეც არ გაძნელებოდა, თუ შესაძარბელი ფაქტების ისტორიას მოვიკითხავდით (ცხელ — ზან. ჩხე ც :ჩ; მაგრამ: ცხენ — ზან. ცხენ. აქ ერთი და იგივე ფუძე გვაქვს, ზანურში შეთვისებული — კონტაქტის პროცესში! — ქართული სიტყვა და არა განსხვავებული ც „საერთო ქართულისა“).

ვ. პოლაკის აზრი სხვა ზოგადი საკითხის გაგებაშიც თავისებურია: „საერთო ქართველური“ უფრო დაცულია ზანურში, ვინემ ქართულშიო.

ზანურის მეტ სიძველეს ფაქტობრივი ვითარება — არც ფონეტიკაში, არც მორფოლოგიაში — მხარს არ უჭერს.

სისინათა და შიშინათა უფრო რთულ სისტემას ქართულში ძველად (საერთო-ქართველურში) ვარაუდობენ, აგრეთვე, კ.პ. შმიდტი და გ. მაქავარიანი.

საფუძველი იგივეა: შესაძარბებელ ოდენობათა ისტორიის გაუთვალისწინებლობა (მაგალითი — აქვე ზემოთ), ე. ი. იმ ცვლილებათა გაუთვალისწინებლობა, რაც მოხდა დიფერენციაციის შემდეგ მონათესავე ენებში, კერძოდ, მათი კონტაქტისა და ერთურთზე გავლენის შედეგად“ (ჩიქობავა 1979: 73-74).

ცხადია, არნ. ჩიქობავა მართალია, როდესაც ქართ. ცხენ: ზან. ცხენ-ის მაგალითზე დაუშვებლად თვლის საერთო-ქართველურში განსხვავებული ც-ს რეკონსტრუქციას, ეს სიტყვა მართლაც ნასესხებია ქართულიდან ზანურში, სადაც დაკარგული ლექსემის: ჩხენ-ი < *ჩხან-ი (უძლათის გზით) რეკონსტრუქცია შესაძლებელია დასავლეთ საქართველოში პონიერი ტოპონიმის ჩხენ-იში („ცხენ-ის-ი“) მეშვეობით (შდრ. აღმოსავლურ ქართული ტოპონიმი სა-ცხენ-ის-ი).

მაგრამ ვ. პოლაკის ერთი ან, თუნდაც, რამდენიმე მაგალითის (იხ. მაქავარიანი 1965: 59-61) მცდარობის გამოვლენა როდი ნიშნავს ამოსავლად კონსონანტთა რთული სისტემის ვარაუდის მცდარობის დამტკიცებას, მის რომელიმე ინტერპრეტაციაში.

აკად. არნოლდ ჩიქობავა ამოდის დედუქციური მეთოდიდან, ის საერთოდ თვლის, რომ, როგორც ხმოვანთა, ასევე, თანხმოვანთა სისტემა, ამოსავალში იყო მარტივი და მათი გართულება შედარებით გვიანი მოვლენაა.

დედუქციაზე დაფუძნებული დასკვნის საწინააღმდეგო ჩვენებას იძლევა ბგერათმესატყვისობათა სისტემა, რომელიც ავლენს იმ

ტიპის ფაქტებს, სათანადო კვალიფიკაციის გარეშე რომ არ შეიძლება დატოვება.

რაკი სისინა სიბილანტურ შესატყვისობათა სისტემა:

ქართ.	ზან.	სვან.	ს./ქართვ.
ძ	ჯ	ჯ/>ჟ	*ძ
ც	ჩ	ჩ/>შ	*ც
წ	ჭ	ჭ/>ჭ,ღ :	*წ
ჭ	ჟ	ჟ	*ჭ
ხ	ჰ	ჰ	*ხ

დავას არ იწვევს და რეკონსტრუქციაც საერთო-ქართველური ფონოლოგიური არქეტიპებისა კანონზომიერად ითვლება, განსახილველი რჩება სისინა სიბილანტთა შესატყვისობების ქართველურ ენებში პოვნიერი მეორე რიგი:

ქართ.	ზან.	სვან.	ს./ქართვ.
ძ	ძ	ძ	*ძ
ც	ც	ც	*ც
წ	წ	წ	*წ
ჭ	ჭ	ჭ	*ჭ
ხ	ხ	ხ	*ხ

შესატყვისობათა ამ რიგის ვერიფიკაციისას ერთი მომენტი უნდა გავითვალისწინოთ — ქართველური ენები დიფერენცირებულ შესატყვისობებს ავლენენ მხოლოდ: ვოკალებიდან — ა-სა და ე-ში და ისიც შემდეგი ფორმულით: ქართ. ა ზან. ო სვან. ა და ქართ. ე ზან. ა სვან. ე; კონსონანტებიდან კი — სიბილანტებში,

როგორც აფრიკატებში, ასევე სპირანტებში, მაგრამ ძირეულ მორფემებში სხვადასხვა რიგის სიბილანტთა თანაარსებობა მკაცრად არის აკრძალული.

შესაბამისად, ქართ. სისინა ზან. სისინა სვან. სისინა რიგის ვერიფიკაციისათვის გვრჩება ერთადერთი საშუალება — ზანური ვოკალიზმი.

ვერიფიკაციის პროცედურა ასეთია:

ქართ.	ა	:სვან.	ა	ზან.	ო
	ფ		ფ		ა

d 1.1.	ქართ.	ძეკ-ი	ზან.	ძაკ-ი
		„უბრალო“,		„მარტივი“, „უბრალო“
		„უსულო“		„ჩვეულებრივი“

1.2.	ქართ.	ძენძ-ვა	ზან.	ძანძ-უ-ა
------	-------	---------	------	----------

1.3.	ქართ.	ბაძე-ი	ზან.	ბუძე-ა
		„ეკლიანი		„ეკლები წაბლის
		მცენარე“		ქერქზე“

და სხვ.

ვ 2.1.	ქართ.	ცენ-ვა	ზან.	ცან-უ-ა
--------	-------	--------	------	---------

2.2.	ქართ.	ცეც-ებ-ა	ზან.	ცაც-აფ-ი
		„ბრმის პირუტყვის		ცაც-უ-ა
		სვლა“ (საბა)		„ჩუმიად სვლა“,
				„მიპარვა“.

- 2.3. ქართ. ქაც-ვი ზან. ქუც-ი „ქაცი“
და სხვ.
- წ 3.1 ქართ. წათხ-ი ზან. წუთხ-ე
„მლაშე“, „მლაშე“
„შრატი“
სვან. წათხ < *წათხ-ი
„მეავე“, „მწარე“, „შრატი“.
- 3.2. ქართ. წამ-ი ზან. წუმ-ი
ძვ. „წუთი“ „წუთი“, „წამი“
ახ. „წამი“
სვან. წამ < *წამ-ი
„წამი“
- 3.3. ქართ. წკებ-ლ-ა ზან. წკაბ-ულ-ი
„წკებლა“
- 3.4. ქართ. წკვარამ-ი ზან. წკურუმ-ი
„წყვდიადი“, „სიბნელე“ „წყვდიადი“, „სიბნელე“
„უფსკრული“ „უფსკრული“
და სხვ.
- ზ 4.1. ქართ. ზარ-ი ზან. ზორ-ი
„საყვრის ხმა“
- 4.2. ქართ. ზებ-ვ-ა ზან. ზაბ-უ-ა
„ცემა“ „ცემა“

4.3. ქართ. ზელ-ა	ზან. ზალ-ა
სა-ზელ-ი	„ზელა“
და სხვ.	ო-ზალ-ი
	„საზელი“
ს 5.1. ქართ. სამ-ი	ზან. სუმ-ი
სვან. სემ-ი < *სამ-ი	„სამი“
შდრ. სამ-ჟ „სამს“	
5.2. ქართ. ხალ-ი	ზან. სოლ-ი
„დამრეცი“	„დამრეცი“
5.3. ქართ. სუე	ზან. ხუა
„ფრთა“	„ფრთა“
5.4. ქართ. სხეპ-ვა	ზან. სხაპ-უა
„ხტომა“	„ხტომა“, „ცეკვა“
5.5. ქართ. ას-ულ-ი	ზან. ოს-ურ-ი
„ქალიშვილი“	„ქალი“, „ცოლი“
სვან. ას-უმ < *ას-ულ-ი	„ქალიშვილი“
„ქალიშვილი“	
5.6. ქართ. ლეს-ვა	ზან. ლას-უა
	„ლესვა“, „ხეხვა“

5.7. ქართ. მესერ -ი ზან. მასარ-ი
„მარგილი“
სვან. მესერ „მესერი“
და სხვ.

არა დედუქცია, არა „თანხმოვანთა შესატყვისობათა ახსნის გაადვილების“ სურვილი, არამედ ისტორიულად დადასტურებულ ენათა შორის შესატყვისობათა გარკვეული რიგის პოვნეიერება წარმოდგენს მიზეზს ფუძე-ენაში სიბილანტთა სამი რიგის ვარაუდისა.

გ. როგავა წერდა: „მენიშნულია, რომ უდავოდ ერთიანი წარმოშობის ფუძეებში გვაქვს კანონზომიერი შესატყვისობა ხმოვნებში, თანხმოვნებში კი მოსალოდნელ შესატყვისობას არ აქვს ადგილი — ქართ. სამ-ი ზან. ხუმ-ი (ჩვეულებრივ ზანურისა და სვანურის მონაცემები ემთხვევა ქართულისას)“ (როგავა 1962 3).

ერთადერთი ახსნა ამ ტიპის მაგალითებისა, რაკი ნასესხობები გამოირიცხა, ხმოვანთა შესატყვისობების არსებობის გამო, შეიძლება იყოს ფუძე-ენაში არაშიშინა სიბილანტთა ორი რიგის არსებობის დაშვება.

ფუძე-ენაში სიბილანტთა სამი რიგის დაშვების საწინააღმდეგო არგუმენტად არ არის საკმარისი ისტორიულად დადასტურებულ ენებში ხმაბაძვითი (ონომატოპოეტური) და პერიფერიული, ემოციურად შეფერილი ლექსიკიდან სისინ-შიშინა ღუბლეტების დამოწმება, რადგან ისინი ყველა ამ ენაში, ჩვეულებრივ, დამოუკიდებლად არიან განვითარებული, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ამ ტიპის სიტყვების შიშინა ვარიანტები სვანურსა და ზანურში კანონზომიერ შესატყვისობებს არ იძლევიან კონსონანტური ჯგუფების სახით (სიბილანტი + ჰომოგენური წინაველარული ხშული).

ცხადია, სამეცნიერო ფანტასტიკის დონეზე, იმის დაშვებაც

შეიძლება, რომ სიბილანტთა ე. წ. იდენტური შესატყვისობების, შემცველი ყველა სიტყვა ქართულიდან იყო ნასესხები საერთო-სვანურ-ზანურ ფუძე-ენაში, რომლის დიფერენციაციის შედეგად სვანურ და ზანურ ენებად მივიღეთ ზანურში პოვნიერი არაიდენტური ხმოვანთშესატყვისობები.

საერთო-ქართველურ დონეზე რომ წინა სიბილანტური და შუა სიბილანტური რიგის თანხმოვნები არა მხოლოდ ფონეტიკურად, არამედ ფონოლოგიურადაც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, ამაში დარწმუნება ძნელი არ იქნება თუ ფონემის განსაზღვრის ნ. ტრუბეცკოის მეორე წესს მივმართავთ, რომლის თანახმადაც:

„თუ ორი ბგერა პოვნიერია ერთსა და იმავე პოზიციაში და ამა-თანავე არ შეუძლიათ ჩაენაცვლონ ერთმანეთს ისე, რომ არ შეცვალონ სიტყვის მნიშვნელობა ან არ დაამახინჯონ ისე რომ მისი ცნობა შეუძლებელი გახდეს, მაშინ ეს ბგერები წარმოადგენენ ფონეტიკურ რეალიზაციებს ორი სხვადასხვა ფონემისა“ (ტრუბეცკოი 1960: 55).

სხვაგავარად რომ ვთქვათ, თუ წინასიბილანტური და შუასიბილანტური რიგის ფონემებს დისტინქციური ანუ სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია გამოუვლინდებათ საერთო-ქართველურში, მაშინ ისინი სხვადასხვა ფონემები იქნებიან. ამის დასასაბუთებლად კი საჭიროა ე. წ. მინიმალური წყვილების დადასტურება:

წინა-სიბილანტური რიგი

*ზ

*ს

*ძ

*ც

*წ

შუა-სიბილანტური რიგი

*ზ₁

*ს₁

*ძ₁

*ც₁

*წ₁

	*ზ	*ზ ₁
*ზ	ს./ქართვ. *ზარ-	
	ქართ. ზარ-ი	
	ზან. ზორ-ი „საყვირის ხმა“	

*ზ ₁	ს./ქართვ. *ზ ₁ არ-	
	ქართ. მ-ე-ზარ-ებ-ა	
	სვან. მ-ა-ჟარ „მწყინდება“	

და სხვ.

	*ს	*ს ₁
	ს./ქართვ. *ას ₁ -ულ	
*ს	ქართ. ას-ულ-ი	
	ზან. ოს-ურ-ი	
	სვან. ᾠკ'ას-უმ	

	ს./ქართვ. *ას ₁ -ი	
*ს ₁	ქართ. ას-ი	
	ზან. ოშ-ი	
	სვან. აშ-ი ^რ	
	ან	

	ს./ქართვ. *სარ- / *სრ-	
*ს	ქართ. სარ-ი	
	ზან. (ლაზ.) ი-სიჯ-ი < *ი-სირ-ი „id“	
	(მეგრ.) ი-სგ ^რ -ი < *ი-სგრ-ი „შუბი“	
	ზან. სირ < სრ სუპერაციით (CS>CVS)	

ს./ქართვ. *ს₁არ-

- *ს₁ — ქართ. მო-ს₁რ-ვა „ამოწყვეტა“
ზან. (მეგრ.) ეკო-შირ-უ „ამოწყვეტა“
(ლაზ.) ფ-შირ-აფ „ვცვეთ“
ზან. შირ < შრ სუპერაციით (CS>CVS)

ან

ს./ქართვ. *ს₁ტ-

- *ს₁ — ქართ. მ-ე-ს₁ტ-ა „მყავდა“
სვან. ლ-ა-ს₁ტ „იყო“

ს./ქართვ. *ს₁ტ-

- *ს₁ — ქართ. ვ-ს₁ტ-ამ
ზან. (მეგრ.) ბ-შ₁ტ-ნ-ქ „id“
(ლაზ.) ფ-შ₁ტ-მ „id“
სვან. მ-ი-შ₁ტ-ა „მისვამს“
და სხვ.

*ც

*ც₁

ს./ქართვ. *ტყეც-

- *ც — ქართ. ა-ტყეც-ვა „კანის დახეთქვა“
ზან. ტყეც-უ-ა „გაპობა“, გახეთქვა“

ს./ქართვ. *ტყეც₁-

- *ც₁ — ქართ. ტყეც-ა „დარტყმა“
ზან. ტყაჩ-უ-ა „id“

ან

ს./ქართვ. *ფუც-

- *ც — ქართ. ფუც-უნ-ა „ნამცეცი“
ზან. ფიც-ი < *ფუც-ი „id“

ს./ქართვ. *ფუცი-

- *ც — ქართ. ფუცი-ი „ფიცი“
ზან. ფუჩი-ი „id“
და სხვ.

*ძ

*ძ₁

ს./ქართვ. *ძალ-

- *ძ — ქართ. მ-ძალ-ე
ზან. ძულ-ე „id“
ს./ქართვ. *ძალ-ალ-ი
*ძ₁ — ქართ. ძალ-ლ-ი
ზან. ჯოდ-ორ-ი „id“
და სხვ.

*წ

*წ₁

ს./ქართვ. *წუელ-

- *წ — ქართ. წუელ-ი „ჩალის ნამცეცი“
ზან. წუ „ბზა“
სვან. წუ-ი „id“

ს./ქართვ. *წუელ-

- *წ₁ — ქართ. წველ -ა „მოწველა“, „წველა საზომი“
ზან. ჰვალ-უ-ა „მოწველა“
ჰვალ-ა „წველა საზომი“
და სხვ.

ამ ოპოზიციათა რიცხვის გაზრდა უპრობლემოდ არის შესაძლებელი, ერთადერთი, რაც ამ მაგალითებთან დაკავშირებით შეუძლებელი ჩანს, ეს ოპოზიციის ახსნა ფაკულტატური ფონეტიკური


პროცესებით და ზანურ-სვანური სისინა ფორმების აყვანა მათი შინა ოპოზიციური წყვილების არქეტიპებთან, როგორც ზიართან.

0.6. ბგერათშესატყვისობები, როგორც დიაქრონიული რეკონსტრუქციების ერთადერთი შესაძლო საფუძველი

„იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალში“ აკად. არნოლდ ჩიქობავას აქვს პარაგრაფი „შესატყვისობათა ერთი მაგალითი დალესტნურ ენებში“ (ჩიქობავა 1979 80-85), რომელშიც მას მოჰყავს „ძმა“ ფუძის ვარიანტები დალესტნურ ენებში და მიზნად ისახავს გაარკვიოს: „ეს რეფლექსები ისტორიულად რა მიმართებაშია ერთმანეთთან, შეიძლება თუ არა ისინი ერთ ქრონოლოგიურ სიბრტყეზე მოვაქციოთ?“

ერთი ქრონოლოგიური დონისა აქ ჩანს -ძი და ცჳი, დარგულულში რომა გვაქვს და ანდიურ ენათა წყებაში (ახვახ., კარატ., ტინდ., ბოთლ., ღოდობ.) რომ მეორდება (ხუნძ. ცჳ < ცჳი).

ყველა სხვა ვარიანტს ეს ორი ძირითადი უღვეს საფუძველად:



ამრიგად, ყველაზე ძველი ვარიანტებია (ვა)-ცჳი და (ვუ)-ძი... რა არის უფრო ძველი ცჳი თუ ძი? როგორ მივიღეთ ერთი მეორისგან (ანდა ორივე — რალაც მესამისგან)?“ (ჩიქობავა 1979: 81).

ამის შემდეგ წიგნში კომპარატივისტული კვლევის ნაცვლად მოყვანილია ორი არგუმენტი. ერთი ეფუძნება ტიპოლოგიას:


„მელერის (ძ) ფარდობა მაგარ მფშვინავ აფრიკატთან (ცა) დასტურდება დარგულ დიალექტებში: მელერი (ძ) ურახული ტიპის დიალექტისაა, მაგარი მფშვინავი აფრიკატი მას შეესაბამება წუღახარული ტიპის დიალექტთა ოთხეულ რიგში: ურახ. ც-ძ-წ — წუღახ. ც-ცა-წ“ (ჩიქობავა 1979: 81).

მეორე არგუმენტი დედუქციაზეა დაფუძნებული: „მაგარი ფშვინვიერი (ცა) მელერისგან მიღებულად ითვლება (ნ. ტრუბეცკოი)... საერთოდაც მაგარი თანხმოვნები მეორეული ჩანს“ (ჩიქობავა 1979: 81).

ამ ორ არგუმენტზე დაყრდნობით ხდება ამოსავალი ვითარების პოსტულირება:

„ამრიგად „ძმის“ აღმნიშვნელ ფუძეში დალესტნურ ენებს ძირეულ თანხმონად ძ- (მელერი აფრიკატი) ჰქონია“ (ჩიქობავა 1979: 81-82).

შესაბამისად, სქემამ ასეთი სახე მიიღო:




ასეთია დედუქციაზე დაფუძნებული დასკვნა, ინდუქციაზე დაყრდნობით კი სხვა დასკვნა კეთდება:

შესატყვისობათა სისტემა, დადგენილი ამ ბგერათა შემცველი სხვა ძირების მიხედვით, მაგ.: „ზამთარი“, „წყარო“, „რეცხვა“ და სხვ., საერთო-დალესტნური ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე სპეციალისტებს კანონზომიერად აღადგენინებს ძლიერ არაგლოტალიზებულ ფშვინვიერ აფრიკატს *ცა-ს:

ს./დაღესტნური *ც^ა ხუნძ. ც^ა ანდ. ც^ა ახვან. ც^ა დიდ. ს: დარგ. ძ / ც^ა ლაკ. სა არჩ. ს/შ ლეზგ. ზ (ლჟ ლგ) თაბ. ?/ჩ ალ. ც/ჩ რუთ. ?/შ წახ. ც/ჩ უდ. ?/ჩ ხინ. ც^ა (გიგინეიშვილი 1977 95, 142-160).

შესაბამისად, სქემა ასეთ სახეს მიიღებს:



როგორც შედარების, ასევე რეკონსტრუქციის დროს, გადამწყვეტი კომპარატივისტიკის პრინციპების მკაცრი დაცვაა. ტიპოლოგია მხოლოდ ვერიფიკაციის საშუალებაა და მისით კომპარატივისტული კვლევის ჩანაცვლება არაკორექტულია, თუმცა, სამწუხაროდ, ამისი თვალსაჩინო მაგალითები თანამედროვე ინდო-ევროპეისტიკაშიც მოიპოვება.

ნებისმიერი მეცნიერება კომპეტენტურია მხოლოდ მისი მეთოდის ფარგლებში, ამ ფარგლებს გარეთ ვარაუდების სფეროა.

ენათმეცნიერება მეცნიერებად აქცია ისტორიულ-შედარებითმა მეთოდმა. ეს მეთოდი თავისი სიზუსტით არ ჩამოუვარდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მეთოდებს. სხვა საკითხია, რამდენად მკაცრად ხდება მისი გამოყენება.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდი კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობებს ავლენს შესადარებელ ენებს შორის და აღგენს მათ ნათესაობას, განსაზღვრავს მათი ნათესაობის ხა-

რისხს (საფეხურს) და სხვ. ამ მეთოდის მეშვეობით დგინდება ისიც, ორი მონათესავე ენობრივი ერთეული ერთმანეთის მიმართ ენაა, თუ დიალექტი.

0.7. ინდუქციური და დედუქციური მიდგომების რანჟირება კომპარატივისტიკაში მათი მტკიცებულებითი ძალის მიხედვით

ლოგიკური აზროვნების ევროპულ სისტემაში ინდუქციური მეთოდის შემოღებას სოკრატეს (ძვ. წ. 470/469-399) სახელს უკავშირებენ.

რაც შეეხება დედუქციურ მეთოდს მის შემქმნელად თავს მთელი კატეგორიულობით აცხადებს არისტოტელე (ძვ. წ. 384-322), პირველ და ერთადერთ შემქმნელად: „რაც შეეხება მოძღვრებას სილოგიზმის შესახებ, ჩვენ ვერ ვპოვეთ ვერაფერი ისეთი, რაც ჩვენამდე იქნებოდა ნათქვამი, და იძულებული ვიყავით თვითონ შეგვექმნა იგი, რასაც დიდი დრო და ძალა დავახარჯეთ“ (არისტოტელე 1978 593).

მანც ვფიქრობ, დედუქციურ მეთოდს არისტოტელემდეც ჰყავდა თავისი შემქმნელი თუ შემომღები და, თანაც, არანაკლებ სახელოვანი, ვიდრე არისტოტელე, თუმცა ნაკლებად ისტორიული, უფრო მითოლოგიური პიროვნება — პროკრუსტე.

ყბადაღებული „პროკრუსტეს სარეცელი“ — დედუქციური მეთოდის ფუნქციონირების თვალსაჩინო მაგალითია.

ფილოსოფიაში ინდუქციური და დედუქციური მეთოდები თანასწორუფლებიანნი, თანაბრად მნიშვნელოვანნი და თანაბრად ფასეულნი არიან.

რაც შეეხება კომპარატივისტიკას, აქ მათ განსხვავებული მტკიცებულებითი ძალა და, შესაბამისად, განსხვავებული ღირებულება აქვთ.

კომპარატივისტიკა ინლუქციას ეყრდნობა: სისტემის მოთხოვნები და ტიპოლოგია რეკონსტრუქციისთვის მხოლოდ ვერიფიკაციის საშუალებაა და მას ვერ ჩაენაცვლება.

თუმცა, კომპარატივისტიკის ისტორია ინლუქციის დედუქციით ჩანაცვლების არაერთ მაგალითს იცნობს.

სამოცდაათიანი წლების დასაწყისში, შემდგომში ცნობილმა ქართველოლოგმა და კომპარატივისტმა, ჰაინც ფენრიხმა სცადა დაედგინა კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობები დალესტნურ ენათა ხუნძურ-ანდიურ-დიდლოური ქვეჯგუფის ხუნძურ-ანდიურ ენებსა და ქართველურ ენებს შორის (ფენრიხი 1972: 669-673; ფენრიხი 1973: 246-259).

როგორც ზემოთ ვთქვი, მონათესავე ენებმა ნებისმიერ ქრონოლოგიურ კრილში უნდა მოგვეცნენ შესატყვისობები და, თანაც, არა მხოლოდ ჯგუფებისათვის რეკონსტრუირებული არქეტიპების შედარებისას, არამედ ნებისმიერ შემთხვევაში: მაგ., ზანური უნდა იძლეოდეს, გნებავთ, ავლენდეს, კანონზომიერ და რეგულარულ შესატყვისობებს, როგორც საერთო-ქართველურ ფუძე-ენასთან, ვთქვათ:

ს / ქ	ზან.
*ა	ო
*ე	ა
*ძ	ძ
*ც	ც
*წ	წ
*ზ	ზ
*ს	ს

*ძ	ჯ
*ც	ჩ
*წ	ჭ
*ზ	ჟ
*ს	შ
*ჯ	ძგ/ჯგ
*ჩ	ცქ/ჩქ
*ჭ	წკ/ჭკ
*ჟ	ზგ/ჟგ
*შ	სქ/შქ

და სხვ.

ასევე ქართულთან:

ქართ.	ზან.
ა	ო
ე	ა
ძ	ძ/ჯ
ც	ც/ჩ
წ	წ/ჭ
ზ	ზ/ჟ
ს	ს/შ
ჯ	ძგ/ჯგ
ჩ	ცქ/ჩქ
ჭ	წკ/ჭკ
ჟ	ზგ/ჟგ
შ	სქ/შქ

და სხვ.

ასევე საერთო-სვანურ-ზანურ ენასთან და სვანურთან, დამოუკიდებლად იმისა, შედარება ხდება ცოცხალ ენასთან თუ რეკონსტრუირებულთან.

სხვა საკითხია, როგორი ინტერპრეტაცია მიეცემა შემდეგ ამ შესატყვისობებს ფუძე-ენის ფონოლოგიური სისტემის რეკონსტრუქციის თვალსაზრისით, თორემ ენათა ნათესაობის დადგენის თვალსაზრისით ასეთი შედარება აბსოლუტურად კორექტულია.

ამიტომ პროფ. ფენრიხის მცდელობა, ამ მხრივ, სრულიად შესაწყნარებელია.

დასახელებულ გამოკვლევებში ავტორმა ქართველურ და ხუნძურ-ანდიურ ენათა შორის შემდეგი შესატყვისობების ცხრილი დაადგინა:

ქართველური	ხუნძურ-ანდიური
*ს	*ს ₀
*ს ₁	*ს
*ზ	*ზ
*ზ ₁	*ზ
*ჟ(?)	*ჟ
*შ	*შ/*შ ₀
*ც	*ც ₀
*ც ₁	*ც
*წ	*წ ₀
*წ ₁	*წ
*ჩ	*ჩ/*ჩ ₀
*ჭ	*ჭ/*ჭ ₀
*გ	*გ
*ქ	*ქ/*ქ ₀

*კ	*კ/*კა
*ვ	*ვ/*ვა
*ყ	*ყ/*ყა
*თხ	*ტ' (ფენრიხთან L)
*ტყ	*ტ'ა (ფენრიხთან L:)

(3. ფენრიხი ინტენსიურობის აღსანიშნავად იყენებს არა ზ-ს არამედ :-ს)

პირველი, - რაც ამ ცხრილის მნახველს თვალში ეცემა, ეს შესატყვისობათა ხაზგასმით იდენტური ხასიათია (გარდა კომპლექსთა შესატყვისობებისა) საერთო-ქართველურის სისინა (წინა რიგის) და სისინ-შიშინა (შუა რიგის) სიბილანტებს ხუნძურ-ანდიურში შეესატყვისება ასევე სისინა სიბილანტები — ინტენსიური (resp. ძლიერი) წინა რიგისას და სადა (resp. სუსტი) შუა რიგისას, ხოლო შიშინა (უკანა რიგის) სიბილანტებს ასევე შიშინა — სადაცა და ინტენსიურიც. ანალოგიური სიტუაცია ფიქსირდება ხშულებშიც: საერთო-ქართველურ ხშულთა მეხუთე და მეექვსე სამეულებს ხუნძურ-ანდიურში შეესატყვისება ამავე ბგერათა სადა და ინტენსიური ვარიანტები (ცხადია, ფარინგალური მჟღერი ხშულის გამოკლებით).

მორე, რაც ასევე თვალშისაცემია, ეს არის იდეალური, უგამონაკლისო დისტრიბუცია საერთო-ქართველურში რეკონსტრუირებული სისინა და სისინ-შიშინა სიბილანტთა შესატყვისობებისა ხუნძურ-ანდიურში, სადაც პირველს წყვილში ყოველთვის ინტენსიური ადევკვატი აქვს კორელატად, მეორეს კი — სადა.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რა ქრონოლოგიური დონის მოვლენა უნდა იყოს სიბილანტთა სამი რიგი იბერიულ-კავკასიურ ენებში და თუ ის ასეთი ძველია, ასე ცალსახად როგორ აისახა დაღესტნურ ენებში, მაშინ როდესაც, ვთქვათ, ქართველურ ენებშიც კი

მას ცალსახა ასახვა არ გააჩნია და ფუძე-ენაში მისი რეკონსტრუქცია ზანურისა და სვანურის ჩვენებას ეყრდნობა.

მაგრამ ეს დედუქციური, აპრიორული მსჯელობაა და მასზე სა-
ნდო პასუხი მხოლოდ შესატყვისობათა დადგენისათვის შერჩეული
მასალის ვერიფიკაციამ უნდა გასცეს:

ს./ქართველური *ს ს./ზუნძურ-ანდიური *სა

ქართ. სუნთქ-ვა ხუნძ. სუნთ-იზე

„სუნთქვა“

„უნოსვა“ (ფენრიხი 1972: 672)

ეს პირველივე მაგალითი არღვევს ზემომოტანილი ცხრილის
მოჩვენებით სიმწყობრეს, რადგან საერთო-ქართველურ დონეზე აღ-
დგება არა წინა სიბილანტური *ს, არამედ შუა სიბილანტური *ს₁.

საქმე ისაა, რომ ქართველურ ენებში არსებობს ე.წ. ნ/რ და ნ/ლ
ალტერნაცია, რომელიც განასხვავებს ზმნურ (ზ) და სახელურ
(რ და ლ) ძირებს (არაბული 1997):

ზმნური ძირი

სახელური ძირი

1.1. ვან-

ვარ-ი

1.2. ქან-

ქარ-ი

1.3. ძუნ-

ძუირ-ი

1.4. სტუნ-

სტუირ-ი

და სხვ.

2.1. ძინ-

ძილ-ი

2.2. ძან-

ძალ-ი

2.3. ქორწინ-

ქორწილ-ი

2.4. ლუნ-

ლულ-ი

2.5. ცუნ-

ცუილ-ი

2.6. კბენ-/კბინ-

კბილ-ი

2.7. სუნ-

სულ-ი

და სხვ.

ამჯერად გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს იმას, ოპოზიცია სუნ-: სულ-ი საერთო-ქართველური ფუძეენის დროინდელია, თუ უკვე საკუთრივ ქართული წარმონაქმნი სულ-იდან, მთავარი და გადამწყვეტი ის არის, რომ: სიტყვა სუნთქვა კომპოზიტია და მისი პირველი ნაწილი არის სუნ-, რომელიც სწორედ სულ-ის ალტერნანტი გახლავთ, ხოლო სულ-ს მოეპოვება კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისი ზანურშიც: შურ-ი „სული“ და სვანურშიც: ლი-შურ-იელ „ამოხვრა“ რაც იმის მაუწყებელია, რომ საერთო-ქართველურ ენაში ამ ძირის ინიციალური თანხმოვნის რეკონსტრუქცია უნდა მოხდეს არა წინასიბილანტური /*ს/ სახით, როგორც ეს წარმოდგენილ ქართველურ: ხუნძურ-ანდიურ შესატყვისობაშია, არამედ შუასიბილანტური /*ს/ სახით, რაც ცხადყოფს წარმოდგენილი შესატყვისობის არაკანონზომიერებას, არაფერი რომ არ ვთქვათ შესადარებლად მოხმობილი ხუნძური ძირის სავარაუდო ნასესხობაზე ქართულიდან.

ასევე ვერ უძღვებს ვერიფიკაციას ქართველურ: ხუნძურ-ანდიურ შესატყვისობათა მეორე რიგიც:

ს./ქართველური *ს₁ ს./ხუნძურ-ანდიური *ს

ქართ. სოლ-ი	ანდ. სოლ „კბილი“
„სოლი“	ბოთლ. სალუ „id“
	ტინდ. სალუ „id“
	ჭამალ. სალჷ „id“
	ბაგვალ. სალ „id“

გარდა იმისა, რომ სრულიად გაუგებარია, საიდან დაასკვნა მკვლევარმა, რომ ქართული სოლ-ი < ს./ქართვ. *სოლ-ი-დან, რად-

გან ამ სიტყვის შესატყვისობები ქართველურ ენებში პოზიციური არ არის, არც საერთო-ზუნძურ-ანდიურ და არც საერთო-დალესტნურ დონეზე „კბილ“-ის აღმნიშვნელ ძირში *ს ფონემის რეკონსტრუქცია არ არის სავარაუდო.

ეს სიტყვა წარმოადგენს ერთ-ერთ ილუსტრაციას დალესტნურ ენათა შემდეგი ბგერათშესატყვისობისა.

საერთო-დალესტნური /*ც/ ხუნძ. ც ანდ. ს ახვ. ჩ დიდ. ს დარგ. ც ლაკ. ც არჩ. ს ლეზგ. ს/ც თაბ. ს/ც აღ. ს/ც რუთ. ს/ც წახ. ს/ც უდ შ/ს ხინ. ც.

ეს ბგერათშესატყვისობა კი ასეა რეალიზებული „კბილ“-ის აღმნიშვნელ ლექსემაში:

ხუნძ. ცა „კბილი“ ანდ. სოლ „id“ ახვ. ჩილო „id“ ხვარშ. ხელ „id“ დარგ. ცულა „id“ არჩ. სო-თ „id“ ლეზგ. სას (რედუბლ) „id“ თაბ. ხელეჟ „id“ აღ. სილეჟ „id“ :უდ. ულ-უხ „id“ ხინ. ცულ-ოზ (გიგინეიშვილი 1977 70 და 89).

ამ ორი მაგალითის ანალიზითაც თვალნათლივ ჩანს, რომ ცხრილი აპრიორულ ხასიათს ატარებს, ის დედუქციური კონსტრუქტია, რომელიც ცდილობს გარკვეული თვალსაზრისის (ამ შემთხვევაში — საერთოქართველურ დონეზე სიბილანტთა სამი რიგის არსებობის) სასარგებლოდ მოახდინოს მასალის მობილიზება. თუ რამდენად მართებულად აკეთებს ამას ავტორი, ამისი ვერიფიკაციის შედეგები იხ ზემოთ. შესაბამისად ქართველურ დალესტნური (resp. ხუნძურ-ანდიური) შესატყვისობების ზემომოყვანილ ცხრილს არანაირი მტკიცებულებითი ძალა არ გააჩნია.

კომპარატივისტიკის პოზიციიდან მნიშვნელობა, თანაც პრინციპული, პ. ფენრიხისეული დაკავშირებებიდან ფაქტობრივად აქვს მხოლოდ ქართვ. *თხ ხუნძ. ანდ. ტ'-ს და მასზე თავის ადგილას მექნება ლაპარაკი.

მიზეზი იმისა, რომ ქართველური და დაღესტნური შესატყვისობების დადგენის მცდელობა ამ კონკრეტულ შემთხვევაში მარცხით დამთავრდა, მდგომარეობდა არა შედარების პრინციპში — დარღვბოდა ცოცხალი ენები და არა რეკონსტრუირებული ერთეულები, არამედ ისტორიულ-შედარებითი მეთოდის არაკორექტულ და არაადეკვატურ გამოყენებაში: შესატყვისობათა დადგენას განაპირობებდა არა მასალა, არამედ — თვალსაზრისი.

0.8. დივერგენციისა და კონვერგენციის პროცესების არათანაბარი მნიშვნელობა და ხვედრითი წონა ისტორიულ-შედარებითი მეთოდის თვალსაზრისით

1968 წელს ჟურნალში «Вопросы языкознания» (№3; 3-18) გამოქვეყნდა აკადემიკოს გიორგი წერეთლის სტატია «О языковом родстве и языковых союзах», რომელიც მანამდე — 1967 წლის 19 ოქტომბერს მოხსენდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილების სესიას.

ამ სტატიაში გ. წერეთელი ცდილობდა ჩამოეყალიბებინა ენათა ე. წ. ალოგენეტური ნათესაობის თეორია, რომელსაც უნდა გამოეყლინა და აეხსნა ენათა კონვერგენციის შესაძლებელი შედეგები.

ენათა კონვერგენციის პროცესთა გათვალისწინებაზე მსჯელობა, აკად. ნიკო მარიდან მოყოლებული, ქართული საენათმეცნიერო სკოლების ერთ-ერთ მახასიათებლად იქცა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ უცხოელები, განსაკუთრებით, დასავლეთევროპელი მეცნიერები ამ საკითხზე ნაკლებ ამახვილებდნენ ყურადღებას, პირიქით, შეიძლება

ისინი ამ საკითხზე, კონვერგენციის გზით ენათა დანათესაებებაზე (ფრანგ. l'affinité linguistique, რუს. лингвистическое сродство) მეტსაც წერდნენ (იხ. შარაძენიძე 1982: 110-141), მაგრამ რაკი იქ კომპარატივისტული კვლევის მიღწევები ძალიან თვალსაჩინო იყო, კონვერგენციის პრობლემებზე წმინდა თეორიულ მსჯელობებს ისტორიულ-შედარებითი მეთოდის არც კომპრომეტაცია შეეძლო და არც ამ მეთოდით კვლევის დაბრკოლება.

სხვადასხვა წარმოშობის ენათა კონტაქტების ანუ კონვერგენციის გზით დანათესაების იდეა, მათ შორის კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობების სისტემის ჩამოყალიბების ჩათვლით, გ. წერეთლამდეც არაერთხელ გამოთქმულა მეცნიერებაში, მაგ., ინდო-ევროპული ენების მაგალითზე ე. პოლივანოვის (პოლივანოვი 1928), ნ. ტრუბეცკოის (ტრუბეცკოი 1939), ვ. პიზანის (პიზანი 1958) და სხვათა მიერ.

ნ. ტრუბეცკოი 1939 წელს გერმანულ ენაზე გამოქვეყნებულ სტატიაში, „ფიქრები ინდო-ევროპულ პრობლემაზე“, წერდა:

არ არსებობს, კერძოდ, არავითარი საფუძველი, რაც გვაიძულებს ვივარაუდოთ ერთიანი ინდო-ევროპული პრაენა, რომლისგანაც თითქოს განვითარდა ყველა ინდო-ევროპული ენა. ასეთივე საფუძვლიანობით შეიძლება ნავარაუდღევი იქნეს განვითარების პირიქითი სურათიც, ანუ ნავარაუდღევი იქნეს რომ ინდო-ევროპულ შტოთა წინაპრები არ იყვნენ ერთმანეთის მსგავსნი და მხოლოდ დროთა განმავლობაში მუდმივი კონტაქტის, ურთიერთგავლენისა და ურთიერთსესხების წყალობით მნიშვნელოვნად დაუახლოვდნენ ერთმანეთს, თუმცა არა ისე, რომ სრულიად თანხვედომოდნენ ერთმანეთს“ (ტრუბეცკოი 1987 46).

თვით ისეთი მეტრის, როგორც ბოდუენ დე კურტენე იყო, დელუქციურმა მსჯელობებმა ამ თემაზე თითქმის უკვალოდ ჩაიარა ენათმეცნიერების ისტორიაში. ენათა ნათესაობის გვერდით ისიც გამოყოფდა ენათა დანათესაებას: ენათა ნათესაობის გვერდით ჩვენ უნდა მივიღოთ აგრეთვე მათი მოყვრობა / свойств („დანათესაება“ / «породнение») როგორც ურთიერთგავლენის შედეგი, თანაბრად, ისევე როგორც, არსებობის საერთო პირობები და ქრონოლოგიური თანამიმდევრობა ურთიერთ შემცვლელი თაობებისა“ (ბოდუენ დე კურტენე 1963, II: 112) და საგანგებო წერილიც კი დაბეჭდა 1901 წ. სათაურით „ყველა ენის ნარევი ხასიათის შესახებ“ (ბოდუენ დე კურტენე 1963, I: 362-372).

ივან ბოდუენ დე კურტენესაგან განსხვავებით საქართველოში, ისევე როგორც მეფის რუსეთსა თუ საბჭოთა კავშირში, აკად. ნიკო მარის გავლენა არა მარტო საენათმეცნიერო, არამედ ზოგადად სამეცნიერო წრეებზე, მეტი რომ არ ვთქვა, ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ნიკო მარი კი ყველა ენას განიხილავდა, როგორც შეჯვარების («скрещение») შედეგს:

„არ არის ქვეყანაზე ენა... რომელიც არ იქნებოდა შეჯვარებული, და ამ შეჯვარების გათვალისწინება გვიწევს“ (მარი III, 1934: 69).

ქართულ ლინგვისტიკაში სწორედ ნიკო მარმა და მისმა მოწაფეებმა დანერგეს ისეთი ცნებები, როგორიც არის მაგ.: „ფენა“ (слой). „ნარევი (შეჯვარებულ) ენებში“ სწორედ ამ ფენათა, ანუ სხვადასხვა ენიდან შეთვისებული მასალის გამოვლენა დადგა ყურადღების ცენტრში და ამას ის მეცნიერებებიც მიიჩნევდნენ ლინგვისტიკის ამოცანად, ვისაც მარის მომხრეობა ვერაფრით დაჰბრალდებოდა.

აკად. არნ. ჩიქობავა „ზოგადი ენათმეცნიერების“ II ტომში წერდა: „შედარების საკითხი თავისებურად დგას ნარევე ენაში. რატომ? იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია წამოვაცუნოთ ისეთი შესატყვისობანი, რომელთაც ძალა ექნებოდა მთელი ენობრივი მასივისათვის: მთლიანი ენობრივი მასივი ასეთ შემთხვევაში არც გამოიყოფა. ნარევე ენაში სიმძიმის ცენტრი ცალკეულ ფენათა გამოვლენაზე გადადის; ესაა ერთადერთი გზა, თუ გვინდა მოვიპოვოთ შედარებისთვის წინაპირობა, გავითვალისწინოთ შესადაარებელ ოდენობათა ისტორია. არ შეიძლება სვანური ვიკვლიოთ იმ წესით, რაც ასე ნაყოფიერია ქართულისა და ზანურის შედარებითი შესწავლისას. სვანურში უნდა გავარჩიოთ: 1. ზანური ფენა, 2. ძვ. ქართულის ერთ ინგრედიენტს დამთხვეული ფენა, 3. ადიღეური ფენა და 4. რაღაც იქს-ფენა, რომელიც თითქმის კანონზომიერ შესატყვისობაშია ქართულთან და ზანურთან: ამ ფენის არსებობაა საფუძველი იმისათვის, რომ ქართველურ ენათა წრეში სვანური, როგორც ცალკე წევრი, გამოვყოთ. ყველა სხვა ფენა სათანადო ერთეულებთან — ზანურთან, სვანურთან (აქ, ალბათ, ქართული უნდა ეწეროს — მ.ქ.), ადიღეურთან — დაკავშირებით უნდა იქნეს შესწავლილი“ (ჩიქობავა 1983:273).

ეს მსჯელობა იმის ნიმუშად მომაქვს, თუ როგორი სიფრთხილეა საჭირო ენათა ნარევეობაზე მსჯელობისას და მასში ფენების გამოყოფის მცდელობის შემთხვევაში. არნ. ჩიქობავას ამ წიგნის პირველი გამოცემა 1945 წელს გამოვიდა, ოცი წლის შემდეგ გამოქვეყნდა გ. მაჭავარიანის „საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა“ (1965), სადაც ცალსახად არის განსაზღვრული როგორც სვანური ენის სტატუსი ქართველურ ენათა ჯგუფში, ასევე ცალსა-

ხად დადგენილია სვანური ენის კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისობების სისტემა ქართულთან და ზანურთან, მაგრამ გადის კიდევ 19 წელი და საკითხი სვანური ენის ნარევობის შესახებ კვლავ იჩენს თავს „ზოგადი ენათმეცნიერების“ მეორე ტომის მეორე გამოცემაში.

იქვე ხაზგასმით წერია: „ნარევ ენათა შესწავლის მეთოდის დამუშავებული არაა“ (ჩიქობავა 1983:273), მაგრამ შემდეგ ავტორი აგრძელებს: „დიფერენციაციის პროცესში წარმოქმნილ მონათესავე ენებს ისტორიული ენათმეცნიერება წარმატებით სწავლობს შედარების გზით ბგერათა შესატყვისობების გამოვლენითა და გამოყენებით. ინტეგრაციის პროცესში წარმოქმნილ ნარევ ენათა შესწავლის გზები ისტორიულ ენათმეცნიერებას დასადგენი აქვს. ნარევ ენებში უნდა განვასხვავოთ ის შემთხვევები, როცა სხვადასხვა ოჯახის ენა ირევა ერთმანეთში იმ შემთხვევათაგან, როცა შერევას ადგილი აქვს თვით მონათესავე ენებს შორის. ამ ტიპის ნარევი ენის ანალიზს განსაკუთრებული სიძნელე ახლავს: წინანდელი ისტორიული ურთიერთობის გათვალისწინება ჭირს.

როგორც არ უნდა იყოს ვითარება, ერთი რამ ცხადია: ნარევი ენის შესწავლა ისტორიულ-შედარებითი გზით უნდა წარმოებდეს. ეს ძნელია, მაგრამ სიძნელე აუცილებლობას კი არ აქარწყლებს, არამედ მეტი სიმწვავეთ სვამს საკითხს და მიზნის შესაფერ ხერხთა დამუშავებას მოითხოვს“ (ჩიქობავა, 1983: 274).

ამ საკითხს არაერთხელ დაპბრუნებია თავად არნ. ჩიქობავა და მეტი სიმწვავეთაც დაუსვამს:

„ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება შეიქმნა მონათესავე ენათა შესწავლის პროცესში, ე. ი. ისეთ ენათა შესწავლის პროცეს-

ში, რომლებიც წარმოიშვნენ დიფერენციაციის (დივერგენციის) პროცესის შედეგად. ისტორიულ-შედარებითი მეთოდი მისი ამჟამინდელი სახით წარმოადგენს დივერგენციის პროცესის შესწავლის მეთოდს.

რაც შეეხება კონვერგენციის პროცესებს და მათ შედეგებს ენათა ისტორიულ წარსულში, ამ პროცესთა შესწავლა ჯერჯერობით მეტად უმნიშვნელო მასშტაბითაა შესაძლებელი: ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებას არ მოეპოვება მეთოდი კონვერგენციის პროცესთა შესასწავლად. ლინგვისტურ გეოგრაფიას, არეალურ ლინგვისტიკას მხოლოდ ნაწილობრივ შეუძლიათ შეავსონ ხარვეზი.

ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ნაკლი ის კი არ არის, რომ იგი დიაქრონიულია, არამედ ისაა, რომ იგი არ ასაკმარისად ისტორიულია: ის შეისწავლის ისტორიული განვითარების მხოლოდ ერთ ნაკადს. დივერგენციისა და კონვერგენციის პროცესები ერთდროულად მოქმედებენ ერთსა და იმავე ენაში, თითოეული მათგანის ხვედრითი წონა სხვადასხვა ისტორიულ პირობებში სხვადასხვაგვარია. ენის განვითარებაში ჩვენ გვაქვს ამ ორი პროცესის ტოლქმედი.

ორი ასეთი პროცესის მოქმედების შედეგთა განხილვას, რომლებიც ამასთანავე ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებიანაა. — მხოლოდ ერთი პროცესის თვალსაზრისით, ცხადია, ვერ ექნება პრეტენზია ადეკვატურად ასახოს ისტორიული პროცესი“ (ჩიქობავა 1966: 183-184).

ამავე აზრს კიდევ უფრო მეტი სიცხადითა და, თანაც, სწორედ ისტორიულ-შედარებით მეთოდთან მიმართებით აკად. არნ. ჩიქობავა კვლავ დაბეჭდვით იმეორებს „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალში“:

„ისტორიულ-გენეზისური საკითხების კვლევისას ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენება, როგორც ითქვა, აუცილებელია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი საკმარისი იყოს: ისტორიულ-შედარებითი მეთოდი ეფექტურ საშუალებად გვევლინება ენათა დიფერენციაციის (დივერგენციის) პროცესთა შესწავლისათვის მონათესავე ენათა განვითარებაში, მაგრამ დივერგენციის პროცესით არ ამოიწურება ენის განვითარება; იმავდროულად მოქმედებს ენათა ინტეგრაციის (კონვერგენციის) პროცესი; იგი საწინააღმდეგო მიმართულებისაა: ენის განვითარება ამ ორი — ერთიმეორის საწინააღმდეგო მიმართულების, პროცესის შედეგია.

რაც უფრო ძლიერია ენათა კონტაქტი და შესაბამისად დიდია კონვერგენციის პროცესის ხვედრი წონა (ასეა, მაგალითად, ჩვენს ენებში), მით უფრო შეზღუდულია ისტორიულ-შედარებითი მეთოდის ეფექტიანობა.

და მაინც, მასზე უკეთესი საშუალება ჯერჯერობით არ ჩანს (თუმცა ცდები არ გვაკლია: დიალექტთა გეოგრაფია, არეალური ლინგვისტიკა...) (ჩიქობავა 1979: 8, აგრეთვე: 84-85).

წინა შემთხვევისა არ იყოს, როდესაც ეს სიტყვები იწერებოდა, უკვე თორმეტი წლის გამოქვეყნებული იყო აკად. გ. წერეთლის სტატია, რომელიც, თავის მხრივ, ერთგვარ პასუხს წარმოადგენდა აკად. არნ. ჩიქობავას მიერ ენათმეცნიერთა გამოწვევაზე: **„ნარევი ენის შესწავლა ისტორიულ-შედარებითი გზით უნდა წარმოებდეს. ეს ძნელია, მაგრამ სიძნელე აუცილებლობას კი არ აქარწყლებს. არამედ მეტი სიმწვავეთ სვამს საკითხს და მიზნის შესაფერ ხერხთა დამუშავებას მოითხოვს“.**


აკად. გ. წერეთელი პრობლემის გადაწყვეტას ასე ხელავს:

„შეიძლება წარმოვიდგინოთ არსებობა ორი განსხვავებული ენისა X და Y (იხ. ნახ. 1), რომლებსაც ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთ, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ იზომორფულ მოვლენას (უნივერსალიათა რიგისა). თითოეული მათგანი შეიძლება დაიშალოს დივერგენციის პროცესის დროს სხვადასხვა ჯგუფებად, მაგალითად, $X > A, B$ და $Y > C, D$. ეს უკანასკნელნი, თავის მხრივ, იშლებიან, ერთის მხრივ, — E, F, G, H -ად და შემდგომ — E_1 და E_2, F_1 და F_2, H_1 და H_2 და ა. შ., მეორე მხრივ, Y ენის ჯგუფი იშლება $K, L; M, N$ -დ და შემდგომ, შესაბამისად K_1 და K_2, L_1 და L_2, M_1 და M_2, N_1 და N_2 .

განვითარების პროცესში, ერთ-ერთ სტადიაზე, K_1 ენის განშტოება R -მა შეიძლება განიცადოს H_2 ენის ძლიერი გავლენა. ამგვარად, R ენა, რომელიც წარმოადგენს შედეგს სწორხაზოვანი განვითარებისა $Y > C > K > K_1$ იმავდროულად განიცდის ინვენტარის დაფენას H_2 -სას, რომელიც H_2, H და B -ეს გზით X ენამდე აღის.

ამის შედეგად ენა (R) ნაწილობრივ ან თავის უმეტეს ნაწილში გამოავლენს, ერთი მხრივ, რეგულარულ შესატყვისობებს Y ჯგუფის ენებთან, მეორეს მხრივ კი — იქნება გარკვეულ კანონზომიერ კავშირში X ჯგუფის ენებთან. მაგრამ ენის განვითარების ამ ეტაპზე, მიუხედავად ორმხრივი კავშირებისა, ჯერ კიდევ არ შეიძლება ლაპარაკი R ენის ორმხრივ ნათესაობაზე. უგვიანესი დანაფენი, ნასესხობანი H_2 ენიდან, ადვილად შეიძლება იქნან გამოყოფილნი თავდაპირველი ინვენტარიდან, რომელიც აღის Y -მდე, და იმყოფება გარკვეულ რეგულარულ მიმართებებში ამ ჯგუფის ენებ-

თან.



(ნახ. 1)

განვითარების ასეთ საფეხურზე წავუსწარიტ ჩვენ არაბულის ძლიერი გავლენის ქვეშ მყოფ ზოგიერთ თურქულ (тюркские) და ირანულ ენებს, რომლებშიც არაბული ელემენტების რაოდენობა აღწევს მნიშვნელოვან ოდენობებს: ხანგრძლივი და უშუალო ზემოქმედება არაბულისა თავს იჩენს აგრეთვე მორფოლოგიასა და ფონოლოგიაზე, მაგალითად, ტაჯიკურისა და თურქმენულის ზოგიერთ თქმაზე.

მაგრამ **R** ენის უკვე შემდგომ განშტოებათა მეორე (**S**), და გან-

საკუთრებით, მესამე (T) და მომდევნო (T_1, T_2) თაობებში თავს იჩენენ, აგრეთვე, გარკვეული რეგულარული მიმართებები X ჯგუფის ენებთან, თუ, რა თქმა უნდა, R ენის მიერ ნასესხები მასალა შემორჩა მასში და არ გაქრა განვითარების პროცესში. მაგრამ ამ შესატყვისობებს ექნებათ რამდენადმე დიფუზიური და, ამასთანავე, სპორადული ხასიათი ენის იმ ნაწილთან შედარებით, რომელიც ადის Y ჯგუფამდე. სურათი შეიძლება კიდევ უფრო გართულდეს, თუ განვითარების შუალედური საფეხურები R S T -სა და T_1 - T_2 -ს შორის და ექვემდებარებიან ასეთსავე ძლიერ გავლენას ენათა მესამე ჯგუფის, მაგ. Z -ის, ან G_2 -ის მხრიდან, ან თავისივე ჯგუფის მონათესავე ენის, მაგ. L_2 -ის მხრიდან.

ამგვარად მიღებული იზომორფიზმი და ორივე ენისათვის დამახასიათებელი იზოგლოსები შექმნიან კიდევ ნათესაობას გვერდითი ხაზით T_1, T_2 ენებსა და X ჯგუფის ენებს შორის.

ამგვარად, ენებს, პირდაპირი გზით ამავალთ გარკვეულ ჯგუფთან, იმავდროულად კონვერგენტული განვითარების გზით უმყარდებათ ერთ ნაწილში ისეთივე, ან თითქმის ისეთივე კანონზომიერი მიმართებანი ენათა სხვა ჯგუფთან (ან ჯგუფებთან), როგორიც მონათესავე ჯგუფთან. ეს ენები ასეთი გზით ღგებნიან ერთმანეთის მიმართ სხვადასხვამხრივ გენეტიკურ კავშირში, რასაც ჩვენ ვუწოდებთ ალოგენეტურს (ფრანგ. *allogénétique*, ინგლ. *allogenic*)“ (წერეთელი 1968: 12-14).

მართალია, ამ საკმაოდ ვრცელ სტატიაში აკად. გ. წერეთელმა ასეთი დანათესავეების (რუს. *сродство*) ვერც ერთი მაგალითი ვერ მოიყვანა და დაკმაყოფილდა კომპარატივისტიკის პოზიციიდან ყოველგვარ მტკიცებულებით ძალას მოკლებული ანალოგიით:

„ზოგჯერ ენის ერთი და იგივე ელემენტიც კი შეიძლება ერთდროულად აღიოდეს სხვადასხვა წყარომდე. ასე, მაგალითად, ზემოთ მოხსენიებული ინგლისური რიცხვითი სახელები (twenty-four-ის მაგვარი და ა.შ.) ერთდროულად იმყოფებიან ალოგენეტურ კავშირებში როგორც გერმანულ რიცხვით სახელებთან (სიტყვები twenty და four), ასევე რომანულთან (რიცხვითი სახელის სტრუქტურა)“ (წერეთელი 1968: 14).

ამიტომ ამ კონკრეტულ შეუსაბამობაზე მსჯელობისაგან ამჯერად თავს შევიკავებ და შევხები მხოლოდ საკითხის არსებით მხარეს:

ნებისმიერ ორ ენას ენობრივი კონტაქტის დროს უყალიბდება ე.წ. ტრანსკრიფციის წესები, ანუ კანონზომიერება იმისა, თუ როგორ გადმოსცემს ერთი ენის ფონოლოგიური სისტემა მეორე ენიდან სიტყვის სესხების დროს ამ სიტყვის შემადგენელ ფონემებს, მათემატიკური ენით რომ ვთქვათ, დგინდება წესები იმისა, თუ როგორ აისახება ერთი სიმრავლე მეორე სიმრავლეზე:

ასეთი წესები დაადგინა, მაგალითად, ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობისათვის პროფ. მზია ანდრონიკაშვილმა: 1. სკვითურ-ალანურ-ოსური ბგერების გადმოცემისთვის ქართულში (ანდრონიკაშვილი 1966: 57-75), 2. პართული ბგერების გადმოცემისათვის სომხურსა და ქართულში (ანდრონიკაშვილი 1966: 159-167). 3. ფონეტიკური შესატყვისობანი საშუალ სპარსულსა და ქართულს შორის (ანდრონიკაშვილი 1966: 182-215) და სხვ.

მსგავსი წესები ცხადია, ფუძე-ენათა ქრონოლოგიურ დონეზეც იჩენდა თავს ენობრივი კონტაქტების შემთხვევაში და თეორიულად მართლაც მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, ფუძე-ენის დიფერენციაციის პროცესში ნასესხობათა კანონზომიერი ბგერათმე-

სატყვისობის სახით ასახვა ფუძე-ენის დიფერენციაციის შედეგად წარმოშობილ ენებში იმავდროულად ასეთივე კანონზომიერი შესატყვისობები გამოველინა გამსესხებელი ფუძე-ენის დიფერენციაციის შედეგად წარმოშობილ ენებში ფუძე-ენიდან მემკვიდრეობით მიღებულ და შესაბამისად კანონზომიერ და რეგულარული შესატყვისობებით წარმოდგენილ ანალოგიურ ძირებთან — ამდენად, მართლაც შეიძლებოდა ლაპარაკი ენათა დანათესაებაზე (გერმ. Affinität).

ამ დედუქციურ და აპრიორულ მიდგომას ენათა „დანათესაებათა“ შესაძლებლობისადმი მხარს არ უჭერს და არც შეიძლება უჭერდეს ემპირიული მონაცემები.

ნებისმიერ ენაში შეიძლება მიკვლეულ იქნეს სუბსტრატული, ადსტრატული ან სუპერსტრატული მოვლენები, ან სულაც სამივე ერთად, და, მიუხედავად, ამისა, ამ ენას ექნება კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობები მხოლოდ თავისი ენობრივი ოჯახის წევრებთან.

ამ შემთხვევაში არაფერს ვამბობ ენობრივ ოჯახთა ნათესაობის შესახებ ფილუმებს შორის, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნე, არც ერთი ოჯახთაშორისი შესატყვისობების სისტემა არ არის დადგენილი მეთოდის მთელი სიმკაცრის დაცვით.

საერთო-ქართველური, ინდო-ევროპული და საერთო-სემიტური ფუძე-ენები თანაარსებობდნენ დროში, მეზობლობდნენ სივრცეში და, შესაბამისად, ჰქონდათ ენობრივი კონტაქტები, რაც ორმხრივ სესხებაში გამოიხატებოდა — ამ ნასესხები ლექსიკის დიდი ნაწილი ფუძე-ენათა დიფერენციაციის შემდგომ წარმოშობილმა ისტორიულად დადასტურებულმა ენებმა დღემდე შეინარჩუნეს, ან წერილობით დააფიქსირეს თავიანთი ისტორიული განვითარების ერთ-ერთ ეტაპზე.

ინდო-ევროპულ ფუძე-ენაში არაერთი საერთო-სემიტური ნასესხობა იყო და ფუძე-ენის დიფერენციაციის შემდეგ წარმოშობილმა ენებმა ისინი მემკვიდრეობით მიიღეს ფუძე-ენიდან და თანაც ისეთივე გადიფერენცირებული ფორმით, როგორც ძირეული ლექსიკა და, თავის მხრივ, როგორც შუალედურმა ფუძე-ენებმა, გადასცეს უკვე თავისი დაშლის შემდეგ წარმოშობილ ენებს და ა. შ.

მაშასადამე, მივიღეთ იდეალური სიტუაცია, ერთი მხრივ, გვაქვს კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისობები სემიტურ ენებში, სადაც ეს სიტყვები ძირეული იყო, მეორე მხრივ, რაკი ისინი ფუძე-ენის დონეზე იყო ნასესხები, მოგვცეს კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისობები უკვე ინდო-ევროპულ ენებში და კომპარატივისტთა ამოცანა ისლა ყოფილა, ამ სიტყვების შედარებით გამოავლინოს რეგულარული და კანონზომიერი ბგერათშესატყვისობები უკვე სემიტურ და ინდო-ევროპულ ენებს შორის, რაც ამ ნასესხობათა დიდი რაოდენობის გამო ძნელი საქმე არც კი უნდა იყოს.

მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი შესატყვისობები ინდო-ევროპულსა და სემიტურ ენებს შორის არ ვლინდება, და ნოსტრატული თუ სხვა მსგავსი თეორიების მომხრეებს, ამის გამო, სერიოზული პრობლემები და დაბრკოლებები აქვთ.

ამას რამდენიმე პრაქტიკული მიზეზიც შეიძლება მოეძებნოს:

ჯერ ერთი, იმისათვის, რომ შესატყვისობათა რეგულარულობა დადგინდეს, აუცილებელია მინიმუმ სამი ერთეულის გამოვლენა, რაც იმას ნიშნავს, რომ:

ა) ერთმა ფუძე-ენამ მეორისგან უნდა ისესხოს მინიმუმ სამი სიტყვა, რომლებიც შეიცავენ რამდენიმე ერთსა და იმავე ხმოვანსა

და თანხმობას, რათა ფუძე-ენის დიფერენციაციის შემდეგ მათ ერთი და იგივე შესატყვისობები მოგვეცნ (ნაწილი გადიფერენცირებული. ნაწილი ე.წ. იდენტური) რეგულარული და კანონზომიერი სახით;

ბ) სესხებისას ამ ფუძე-ენამ მეორის ფონემები მათი შემცველი ყველა სიტყვის ხმარების დროს ერთნაირად უნდა გადმოიტანოს, ანუ — სტაბილური ტრანსკრიფციით და არა — ნებისმიერად, როგორც, მაგ., ქართულს რუსულის მარტივი ყრუები გადმოაქვს ხან შესაბამისი ფშვინვიერით, ხან მკვეთრით, და

გ) ამ ფუძე-ენას ისეთი ფონემების შემცველი სიტყვები უნდა ჰქონდეს ნასესხები, რომლებიც მისი დიფერენციაციის შემდეგ არაიდენტურ შესატყვისობებს გამოავლენენ, რადგან, როგორც ვთქვი, ოდენ იდენტური ბგერათშესატყვისობებით შედგენილ სიტყვას არანაირი მტკიცებულებითი ძალა არ გააჩნია.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს ნასესხობანი ფუძე-ენის დონეზე უნდა აკმაყოფილებდნენ საკმაოდ შეზღუდულ (resp. მკაცრ) აუცილებელ პირობებს და, თანაც, როგორც მსესხებელ ენაში, ასევე გამსესხებელშიც, სადაც ამ სიტყვებში დიფუნქციაციის შემდგომ არაიდენტური ბგერათშესატყვისობების შემცველობა იქნება სავალდებულო, როგორც მინიმალური მოთხოვნა.

ამ აუცილებელი პირობების დაკმაყოფილება კი, როგორც ირკვევა, საკმაო სირთულესთან არის დაკავშირებული.

ქართველურ ენებთან დაკავშირებით აქ რეალურად ასეთი სიტუაციაა: იმისათვის, რომ ნასესხობას საერთო-ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის შემდგომ მოეცა კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობები, აუცილებელი იყო შემდეგი გარემოების რეალიზაცია:

ნასესხები სიტყვა უნდა ასახულიყო საერთო-ქართველურ ფუძე-ენაში შუასიბილანტური (სისინ-შიშინა) ან უკანასიბილანტური (შიშინა) თანხმონით, რადგან მხოლოდ ეს თანხმონები იძლევიან გადიფერენცირებულ შესატყვისობებს ქართველურ ენებში და, შესაბამისად, ნათესაობის დასადგენად მხოლოდ სიბილანტთა ამ რიგების ჩვენებას აქვს დამოუკიდებელი მტკიცებულებითი ძალა.

ამ გარემოებისა თუ პირობის რეალიზაცია კი უდავოდ შეზღუდული იქნებოდა, რადგან:

მაგ., ინდო-ევროპული ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე სამი სისინა სიბილანტური სპირანტი აღდგება (გამყრელიძე, ივანოვი 1984, I: 116-139):

/*S/ სისინა ყრუ სპირანტი,

/*S̄/ სისინა ყრუ პალატიზებული (კომპაქტური) სპირანტი,

/*S̄' / სისინა ყრუ ლაბიალიზებული [კომპაქტური] სპირანტი,

და ამ სამი სისინა ყრუ სპირანტის ასახვა თხუთმეტ საერთო-ქართველურ სიბილანტში ინდო-ევროპულიდან საერთო-ქართველურში სიტყვის სესხების დროს გარკვეულ და შეზღუდულ კანონზომიერებას დაექვემდებარებოდა, ისევე, როგორც, პირიქითა სესხების დროს, როდესაც საერთო-ქართველური ფუძე-ენის თხუთმეტი სიბილანტის ასახვისათვის ინდო-ევროპულს სულ სამი ვარიანტი მოეპოვებოდა.

ინდო-ევროპულიდან სიბილანტის შემცველი სიტყვის სესხებისას, როგორც ზემოთ ვთქვი, მხოლოდ ის სიტყვები მოგვემდინენ შესატყვისობებს, რომელთა სისინა ყრუ სპირანტებიც საერთო-ქართველურის შუა-სიბილანტური ან უკანა-სიბილანტური რიგის

თანხმოვნებით აისახებოდნენ:

ს. ქართ.	ი-ე	ს. ქართ.
*d,	*S	*ჭ
*ც,	*Ṡ	*ჩ
*წ,	*S̄	*ჭ
*ზ,	*S ^o	*ჟ
*ხ,		*შ

რაც შეეხება წინა-სიბილანტურ რიგს, ის ქართველურ ენებში დიფერენცირებულ შესატყვისობებს არ იძლევა. ხოლო დიფერენცირებული შესატყვისობების მქონე ათ სიბილანტურ ფონემას, ცხადია, ყველა შესაძლებელი პოზიციური თუ კომბინატორული ვარიანტის რეალიზაციის პირობებშიც კი სამი ინდო-ევროპული სიბილანტი სრულად ვერ დატვირთავდა.

საერთო-ქართველური ფუძე-ენის გარდა არსებობდა კიდევ ერთი, ამჟერად უკვე შუალედური ფუძე-ენა — საერთო-სვანურ-ზანური. ამ შუალედური ფუძე-ენის დონეზე, სიტყვის სესხების შემთხვევაში მისი გადიფერენცირებულად ასახვის შანსი ფუძე-ენის დიფერენციაციის შედეგად წარმოშობილ ენებში კიდევ უფრო შეზღუდულია, რადგან აქ არაიდენტური შესატყვისობები მხოლოდ ხმოვნებში გვაქვს, ისიც სულ ორ ხმოვანში:

საერთო- სვანურ-ზანური	სვანური	ზანური
/*ა/	ა	ა
/*ე/	ე	ე

ყველა დანარჩენ შემთხვევაში, ისევე, როგორც საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონეზე, საერთო-სვანურ-ზანური შუალედური ფუძე-ენის დონეზეც, გაუდიფერენცირებელი მასალა გვექნება, რომელსაც ენათა ნათესაობისთვის არანაირი მტკიცებულებითი ძალა არ გააჩნია — არც გენეტიური ნათესაობისთვის და არც „დანათესავებისთვის“, ანუ „ენათა ალოგენეტური ნათესაობისთვის“.

ამას იმიტომ ვამბობ ასე ხაზგასმით, რომ გარდა წმინდა თეორიული არგუმენტებისა, საკუთრივ ენობრივი ფაქტებიც არ იძლევიან ფუძე-ენობრივი კონტაქტების შედეგად ფუძე-ენის დიფერენციაციის შემდგომ არაპომოგენური ენების დანათესავების დაშვების საფუძველს.


მაგრამ აკად. გ. წერეთლის თეორიისათვის, ისევე როგორც ენათა ნარეგობისა და კონვერგენციის პროცესებზე ორიენტირებული ნებისმიერი კონცეფციისათვის, ყველაზე მომაკვდინებელი არის არა მისი საწინააღმდეგო არგუმენტების არსებობა, არამედ არსებობა მისი საწინააღმდეგო ფაქტებისა.

ერთი ასეთი ფაქტი კი ისტორიულად არის დადასტურებული და, ამდენად, ვერიფიცირებადია:

თითქოს საგანგებოდ, გ. წერეთლის მიერ თავისი დებულების დასამტკიცებლად მოყვანილ სქემას იმეორებს ფრანგული და ოქსიტანური (resp. პროვანსული) ენების გენეალოგიური ხე, რომელიც ინდო-ევროპულ ფუძე-ენამდე ადის.

ხომ განსაკუთრებულად დიდ სიძნელედ ცხადდება მონათესავე ენების გავლენის ამოცნობა, მაგრამ ინდო-ევროპული ენები და მათი დიფერენციაციის ისტორია საკმაოდ კარგად არის შესწავლილი და ბგერათშესატყვისობათა თავისებურებანიც თითოეული ჯგუფისა თუ ქვეჯგუფისათვის სიზუსტის მაღალი ხარისხით არის დადგენილი.

აი ეს გენეალოგიური ხეც:



სადაც **W** – საერთო-ინდო-ევროპული ფუძე-ენაა, **X** საერთო-ინდო-ევროპულის **ბ** დიალექტური წრე, **Y** – საერთო-ინდოევროპულის **ა** დიალექტური წრე, **A** – არიულ-ბერძნულ-სომხური შუალედური ფუძე-ენა, **B** – ბალტო-სლავურ-გერმანული შუალედური

ფუძე-ენა, **C** — იტალო-კელტური შუალედური ფუძე-ენა, **D** — თოხარული ფუძე-ენა, **E** — ბერძნული ენა, **F** — სომხურ-არბული, **G** — ბალტურ-სლავური, **H** — გერმანული, **K** — იტალიკური, **L** — კელტური, **M** — თოხარული, **H₂** — დასავლურ-გერმანული, **K₁** — ლათინური, **R** — გალო-რომანული, **S** და **T** — გალო-რომანულის განვითარების ისტორიული ეტაპები, **T₁** — ფრანგული, **T₂** — ოქსიტანური.

ინდო-ევროპული ფუძე-ენის დიფერენციაციის რამდენიმე ვარიანტი არსებობს, ზემომოყვანილი თ. გამყრელიძისა და ვიაჩ. ივანოვის ვერსიას ეყრდნობა (გამყრელიძე, ივანოვი 1984, I: 399, 415), რომლის თანახმადაც ინდო-ევროპული ფუძე-ენა გაიყო ორ დიალექტურ **A** და **B** ზონად, ანატოლიური ენები **A** დიალექტურ ზონას **A** და **B** ზონების საბოლოო დიფერენციაციამდე გამოეყვნენ, ფუძე-ენის ბინარული დიფერენციაციის შემდეგ მივიღეთ ორი შუალედური ფუძე-ენა: **A**, რომელმაც თავისი შემდგომი დიფერენციაციით სათავე დაუდო თოხარულ და იტალო-კელტურ ენებს და **B**, რომელმაც თავისი შემდგომი დიფერენციაციებით სათავე დაუდო არიულ-ბერძნულ-სომხურ და ბალტო-სლავურ-გერმანულ ენებს.

ანუ ის ენობრივი შტოები, რომელთა საბოლოო (ამ ეტაპზე, განვითარების შედეგს წარმოადგენენ ფრანგული და ოქსიტანური ენები, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, დასავლურ-გერმანული ჯგუფი (თავისი ზემო- და ქვემოგერმანული განშტოებებით) ერთმანეთს უკვე საერთო-ინდო-ევროპული ფუძე-ენის დიალექტურ ზონებად გაყოფის ეტაპზე დაუპირისპირდა.

საფრანგეთის ტერიტორიაზე მცხოვრები კელტური ტომები — გალები, რომლებიც გალურ (resp. კელტურ) ენოვანნი იყვნენ, აღმოჩნდნენ დაპყრობილი ერთ-ერთი იტალიკური ენის (ლათინურის) მატარებელი რომაელების მიერ (ეს მათი არცთუ შორეული ენობ-

რივი ნათესავეები იყვნენ საერთო იტალო-კელტური შუალედური ფუძე-ენიდან), შემდეგ ამ მოსახლეობას შეერია ეთნიკურ დასავლელგერმანელთა ანგარიშგასაწვევი მასა, რომელთა ერთ-ერთმა ტომმა ფრანკებმა სახელი მისცეს ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულ სახელმწიფოსა და შემდეგ უკვე ერს, რომლის კონსოლიდაცია ლათინურის ვულგარული ვარიანტის — რომანულის — საფუძველზე დაიწყო. გალური სუბსტრატი, ლათინური და გერმანული სუპერსტრატი (მათ შორის აღმოსავლურგერმანულიც — გოთური ტომების მაგ. ბურგუნდიელთა ენის სახით) — გალო-რომანული ენის კონვერგენციის (ინტერფერენციის) პროცესის ინგრედიენტებს წარმოადგენდნენ. მაგრამ ლათინურმა ენამ გაიმარჯვა ამ პროცესში, გალო-რომანული ენა მისი პირდაპირი მემკვიდრე აღმოჩნდა დიფერენციაციის პირდაპირი ხაზით.

მეტი გავლენა, ვიდრე გერმანული ენებისა, გალო-რომანულ ენათა ჯგუფზე, კელტურისაც კი ვერ იქნებოდა. ამ ორი ხალხის ენებმა ითამაშეს სუბსტრატისა და სუპერსტრატის როლი გალო-რომანული ენის ჩამოყალიბებაში ხალხური ლათინურიდან, და შემდეგაც არ მოშლილა მათი პერმანენტული კონტაქტი არც გერმანულთან (როგორც ზემოგერმანულთან ასევე ქვემოგერმანულებთან: ჰოლანდიური და ინგლისური) და არც კელტურთან (ბრეტონული) და, ამის მიუხედავად, როგორც, ფრანგული, ასევე ოქსიტანური სხვა ინდო-ევროპული ენების მიმართ შესატყვისთა მხოლოდ ერთ რიგს ავლენენ — ეს ლათინურიდან ნამემკვიდრევი ანუ ლათინურის დიფერენციაციის შედეგად წარმოშობილი გალო-რომანული შუალედური ფუძე-ენის კანონზომიერი და რეგულარული რეფლექსებია, რომლითაც ამ უკანასკნელის დიფერენციაცია აისახა ფრანგულსა და ოქსიტანურში. და არც ერთი და არც მეორე გალო-რომანული ენა არ ავლენს გერმანული თუ კელტური ენებისათვის დამახასია-

თებელ ბგერათშესატყვისობებს და სხვა გერმანულ თუ კელტურ ენებთან მიმართებაში სწორედ და მხოლოდ იმ ბგერათშესატყვისობებს ავლენს, რომელიც ლათინური ენის დიფერენციაციის შედეგად მიღებულ ენას უნდა გამოეყვინა.

ახლა ორიოდ სიტყვა ინგლისური ენის შესახებ, რადგან ისიც არაერთხელ წარმოჩენილა ისტორიულ-შედარებითი მეთოდისადმი მეტ-ნაკლებად ნიპილისტურად განწყობილ თვალსაჩინო ენათმეცნიერთა ნააზრევში ე.წ. შერეული ენის ნიმუშად:

ივან ალექსანდროვიჩ ბოდუენ დე კურტენე 1904 წელს წერდა:

„ინგლისური ენა ეკუთვნის ორ ენობრივ ოჯახს (იგულისხმება ენობრივი ჯგუფი — მ. ქ.) — გერმანულს და, რამდენადმე ნაკლები ხარისხით, რომანულს“ (ბოდუენ დე კურტენე 1963 112).

საოცარია, მაგრამ 1966 წელს, მთელი 42 წლის შემდეგ თითქმის იმავეს იმეორებს ვიტორე პიზანი თავის სტატიაში „ინდო-ევროპული პრობლემისადმი“, სადაც ინგლისური (ისევე როგორც ზოგიერთი სხვა) ენა მიაჩნია „ენობრივი კავშირებიდან“ ცალკეული ენების მიღების შესაძლებლობის მისეული იდეის კონკრეტულ რეალიზაციად: ინგლისური ენა მიღებულია ანგლო-საქსურის, ფრანგულისა და ე.წ. ხალხური ლათინურის კომბინაციით.

ინგლისური ენა, შემდგარი გერმანული და ფრანგული ელემენტებისგან, ადვილად მიესადაგება, როგორც გერმანულ, ასევე რომანულ ენობრივ უნარებს. მე იმასაც კი ვიტყვოდი, რომ იმით, რაც ეხება „შინაგან ფორმას“, ის უფრო რომანულ ენებთან არის ახლო...“ (პიზანი 1966: 14).

რაკი ამ მსჯელობას ვ. პიზანი შემდეგ იმ სიადვილის აღნიშვნით აგრძელებს, რომელიც იტალიელთა (ანუ რომანულ ენათა წარმომადგენლების) მიერ ინგლისური ენის ათვისებაში ვლინდება, შეიძლებოდა, მისი სიტყვების არაცალსახა ინტერპრეტაცია ყო-

ფილიყო დასაშვები, მაგრამ ამის შანსს თავად ავტორი არ ტოვებს, როდესაც იქვე აცხადებს:

„საერთო ხაზებში ურთიერთობა ამ ენებს შორის სქემატურად შეიძლება შემდეგნაირად იქნეს გამოსახული:



ფრანგული



ინგლისური



გერმანული“

(პიზანი 1966 14).

და ამ დროს ვ. პიზანი ითვლება, და სამართლიანადაც, მეცნიერული ეტიმოლოგიის ერთ-ერთ მეტრად.

მსგავს მოსაზრებებთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ 1945 წელს „ზოგადი ენათმეცნიერების“, მეორე ნაწილის (ძირითადი პრობლემები) პირველ გამოცემაში, მაქს მიულერის ლინგვისტური კონცეფციის კრიტიკული ანალიზისას არნოლდ ჩიქობავა წერდა:

„ინგლისური ენის მკვლევრისთვის ინგლისის ისტორიის ცოდნა საჭიროა: შეიძლება ვთქვათ, რომ ეს ენა ჯერ კელტური იყო, მერე — საქსონური, ნორმანული და ინგლისური. მაგრამ რამდენადაც ინგლისურ ენაზე მიდგება საქმე, ვითარება იცვლება:

ყველა მათიანე რომ დაიწვას, ყველა თავის ქალა რომ მტვრად იქცეს, მაინც ინგლისური ენა, რომელზედაც ლაპარაკობს რომელიმე სოფლის ბიჭუნა, შედარებითი გრამატიკის საშუალებით გამოგვივლენდა თავის ისტორიას: რომ ის ფრიზულსა და ჰოლანდიურის მსგავსად ეკუთვნის ქვემოგერმანულ ენათა შტოს, რომ ზემოგერმანულთან ერთად ეს ენები ინდო-ევროპულ ენათა ოჯახში შედიან...“ (ჩიქობავა 1983 55).

ინგლისურ ენას, როგორც ინდო-ევროპული ოჯახის წევრს, ბაზისური ლექსიკის შედარებისას უგამონაკლისოდ, ნებისმიერ ინდო-

ევროპულ ენასთან გამოუვლინდება, კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობები, მაგრამ ეს ბგერათშესატყვისობები პოენიერი იქნება მხოლოდ იმ ლექსიკაში, რომელიც ინგლისურში ნამემკვიდრევი საერთო-გერმანული შუალედური ფუძე-ენის საერთო-ინდო-ევროპული ფონდიდან;

ინგლისურ ენას, როგორც ენათა ინდო-ევროპული ოჯახის გერმანული ენათა ჯგუფის წევრს, ექნება კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობები ამ ჯგუფის ნებისმიერ სხვა წევრთან: ა) საერთო-ინდო-ევროპული ფუძენიდან საერთო-გერმანულ შუალედურ ფუძე-ენაში ნამემკვიდრევე ლექსიკაში: ბ) საერთო-გერმანული შუალედური ფუძე-ენის დონეზე ნასესხებ ლექსიკაში.

ინგლისურ ენას, როგორც ენათა ინდო-ევროპული ოჯახის გერმანულ ენათა ჯგუფის ქვემოგერმანულ ენათა ქვეჯგუფის წევრს, ექნება, აგრეთვე, შესატყვისობები სხვა ქვემოგერმანულ ენებთან საერთო-ქვემოგერმანული შუალედური ფუძე-ენის ქრონოლოგიური დონის ნასესხებ ლექსიკაშიც.

ინგლისურ ენას არანაირი სხვა გერმანული ჯგუფის თუ ქვემოგერმანული ქვეჯგუფისთვის უცხო შესატყვისობები არ გამოუვლინდება არც კელტურ და არც ლათინურ ან მისგან მომდინარე რომანულ ენებთან.

ამიტომ მსჯელობა, ინგლისური ენის „დანათესავებაზე“ ინდო-ევროპულ ენებთან, მის წარმოშობაზე „ენათა კავშირიდან“ თუ „ნარეგობაზე“, რის შედეგადაც ის, თურმე, შეიძლება ერთდროულად ეკუთვნოდეს ენათა ორ ჯგუფს, მეცნიერულად შეუწყნარებელია.

სამართლიანია ამასთან დაკავშირებით არნ. ჩიქობავას შენიშვნა, რომ ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მეშვეობით „ენათმეცნიერი ინგლისურ ლექსიკაში შეიძლება გამოიყოს კელტური, ნორმანული,

ბერძნული და ლათინური მინარევი“ (ჩიქობავა 1983: 55).

ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩემი დასკვნა ასეთია:

ნარევი ენები იმ გაგებით, რომ რომელიმე ენა ერთდროულად შეიძლება ეკუთნოდეს ორ სხვადასხვა ენობრივ ოჯახს, როგორც ეს ი. ბოდუენ დე კურტენეს, ნ. მარს, გ. წერეთელსა და სხვებს აქვთ დაშვებული, ბუნებაში არ არსებობენ.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდის თვალსაზრისით, ნებისმიერი ენა მხოლოდ ერთი რიგის ბგერათშესატყვისობებს ავლენს თავისი მემკვიდრეობის (დიფერენციის) პირდაპირი ხაზით და ენათა არანაირი დანათესავება და გვერდითი ბგერათშესატყვისობები არც თეორიულად არის მოსალოდნელი და არც ფაქტებით დასტურდება.

ენათა დანათესავების ნებისმიერი თეორია კომპარატივისტიკის პოზიციიდან შეუწყნარებელია. მონათესავე ენებს შორის ბგერათშესატყვისობები განსაზღვრავენ მათ ადგილს ოჯახის შინა კლასიფიკაციაში. კომპარატივისტიკის პოზიციიდან ენათა კონვერგენციის პროცესები არარელევანტურია და, შესაბამისად, მისი გათვალისწინება თუ გაუთვალისწინებლობა ენათა ნათესაობის დადგენის საქმეში თანაბრად არაფრის მომცემია.

მკაცრი მეცნიერული მეთოდების, კერძოდ კი კომპარატივისტიკის მიმართ ნიჰილისტურად განწყობილი მკითხველისათვის გაუგებრობების გასაფანტავად, ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით დამატებით უნდა ითქვას შემდეგი:

ფუძე-ენის ქრონოლოგიური დონის ნასესხობები ფუძე-ენის დიფერენციაციის შედეგად წარმოშობილ ენებში ზუსტად ისეთივე რეგულარულ და კანონზომიერ ბგერათშესატყვისობებს ავლენენ, როგორსაც ენათა ამ ოჯახის დასაბამისმიერი ლექსემები.

მაგ.: ინდო-ევროპული ფუძე-ენის *d^hl^h ფონემა შემდეგი რეფლექსებით არის წარმოდგენილი მისი დიფერენციაციის შედეგად

წარმოშობილი ენობრივ ჯგუფებსა თუ კონკრეტულ ენებში:

A დიალექტური წრე: ანატოლიური $d^{h|}$: თოხარული ts : იტალიკური $t^h > \theta$ ლათინური f : კელტური d ;

B დიალექტური წრე: ბერძნული t^h (θ): ინდური dh : ირანული d/δ სომხურ $d^{h|}$: საერთო-გერმანული d/δ : ბალტო-სლავური d ;

იმავე კანონზომიერებით და რეგულარული ბგერათშესატყვისობებით არის წარმოდგენილი საერთო-სემიტურიდან საერთო-ინდო-ევროპული ფუძე-ენის მიერ ნასესხები ძირიც $*mVtk$ „ტკბილი“, დიფერენციაციის შემდეგ წარმოშობილ ინდო-ევროპულ ენობრივ ერთეულებში:

ს./ინდო-ევროპული $*med^{h|}u$ „თაფლი“, „მათრობელა ტკბილი სასმელი“ („რანგი“).

A დიალექტური წრე: კელტური (ძვ. ირლანდ.) mid „თაფლის სასმელი“ თოხარული-**B** mit (მოსალოდნელი იყო $mits$) „თაფლი“.

B დიალექტური წრე: ბერძნული $\mu\acute{\epsilon}\mu\theta$ „ტკბილი სასმელი“, „ღვინო“: ინდური (ძვ. ინდური) $madhu$ „თაფლი“, „მათრობელა სასმელი“: ირანული — ავესტ. $ma\theta u$ „თაფლი“, „ღვინო“: სპარს may „ღვინო“: ოს. myd „თაფლი“ სოგდ. $m\theta w$ „ღვინო“ გერმანული — ძვ. ისლ. $mj\theta\delta r$ „თაფლის სასმელი“ ძვ. ზ. გერმ. $metu$ „id“ ძვ. ინგლ. $meodu$ „id“ > ინგლ. $mead$ „id“ ბალტური — ლიტ. $medus$ „თაფლი“ ლატვ. $medus$ „თაფლი“, „სასმელი“ პრუს. $meddo$ „თაფლი“ ძვ. სლავ. $med\ddot{u}$ „თაფლი“ ძვ. რუს. $med\ddot{u}$ „თაფლი“ რუს. med „id“ და $medok$ „id“ (კნინ.).

ეს საერთო-სემიტური სიტყვა $*mVtk$ „ტკბილი“ შემდეგი რეფლექსებით არის წარმოდგენილი სემიტურ ენებში:

აქად. $mat\acute{x}u$ „ტკბილი“, „ტკბილი წვენის მომცემი მცენარე“: უგ-

არიტ. mtk „ტკბილი“ ძვ. ებრ. m-t-k „ტკბილობა“ (ზმნ.), mātoḵ „ტკბილი“ (სახ.): არამ. mʿtāk „id“ გეეზი metuḵ „id“.

სხვა ანალოგიური მაგალითი: ინდო-ევროპული ფუძე-ენის *tʰi ფონემა შემდეგი რეფლექსებით არის წარმოდგენილი მისი დიფერენციაციის შედეგად წარმოშობილ ენობრივ ჯგუფებსა თუ კონკრეტულ ენებში:

A დიალექტური წრე: ანატოლიური tʰ: თოხარული c იტალიკური t > ლათინური t: კელტური tʰi;

B დიალექტური წრე: ბერძნული t: ინდური t/th სომხურ tʰi საერთო-გერმანული θ: ბალტო-სლავური t.

ასევე არ განსხვავდება ინდო-ევროპული ფუძე ენის *tʰi ფონემის კანონზომიერი და რეგულარული რეფლექსების შემცველი დასაბამიერი ლექსიკისაგან საერთო-სემიტურიდან ნასესხები სიტყვაც *tawr „ხარი“.

ს./ინდო-ევროპული *tʰi auro „ველური ხარი“

A დიალექტური წრე: ლათ. taurus „ხარი“ ოსკ. ταυρομ „id“ უმბრ. turuf, toru „id“ გალური taruos „id“ საშ. ირლ. tarb „id“;

B დიალექტური წრე: ბერძნული ταυρος „ხარი“ ლიტ. taūras „ტური“ ძვ. სლავური. turu „ხარი“ ძვ. რუს. туръ „ტური“ ალბ. tarok „ხარი“ ძვ. ისლ. þjórr „id“.

ეს საერთო-სემიტური სიტყვა *tawr „ხარი“ შემდეგი რეფლექსებით არის წარმოდგენილი ისტორიულად დადასტურებულ სემიტურ ენებში:

აქად. šūr-u „ხარი“ უგარიტ. ṯr „id“ ძვ. ებრ. šōr „id“: არამ. tawrā „id“ არაბ. tawr-un „id“ სამხრ. არაბ. ṯwr „id“ ეთიოპ. sōr „id“.

არაერთი ანალოგიური მაგალითის მოყვანა შეიძლება, როდესაც ფუძე-ენის დონეზე ნასესხები სიტყვა ორივე, როგორც მსესხებელ, ასევე, გამსესხებელ ენებში, წარმოდგენილი იქნება რეგულარული და კანონზომიერი ბგერათშესატყვისობებით და სესხების მიმართულების დადგენას დამატებითი კვლევა დასჭირდება კომპარატივის-ტული მეთოდის შესაძლებლობათა ფარგლებში, მაგრამ ამის შესახებ საგანგებოდ ქვემოთ მექნება ლაპარაკი, აქ კი, კითხვა პირდაპირ უნდა დაისვას — საერთო-ინდო-ევროპულსა და საერთო-სემიტურ ფუძე-ენებს შორის განხორციელებულმა სიტყვათსესხებამ ამ ფუძე-ენათა მემკვიდრე ენებში ალოგენეტური ნათესაობა გააჩინა? არა და, ოჯახის ფუძე-ენიდან მოყოლებული, ამ სიტყვებმა რამდენი შუალედური ფუძე-ენა გამოიარეს და ბგერათშესატყვისობათა როგორი მწყობრი სისტემებით არიან წარმოდგენილი როგორც გამსესხებელ, ასევე, მსესხებელ ენათა ოჯახებში.

თუ ქრონოლოგიური თვალსაზრისით ასეთ შორეულ ფუძე-ენებზე ჭირს ლაპარაკი, ისეთი ფუძე-ენის აღებაც შეიძლება, რომლის დიფერენციაციაც ისტორიულ ეპოქაში მოხდა — ასეთი კი მარტო ლათინური როდია, საერთო-ადილური (ჩერქეზული) ფუძე-ენის დიფერენციაციასაც ადილურად და ყაბარდოულად ისტორიულ ეპოქაში ჰქონდა ადგილი. მათ შორის არაიდენტურ ბგერათშესატყვისობათა ასეთი სისტემა ჩამოყალიბდა:

ყაბარდოული	ადილური
ფ	ს
ჟ	ს
ზ	ფ
ბ	ფ
ჯ	ჩ
ძ	ც
გ	ქ

ვ ცო
ვ ჟო
ჟ ჩ / ჩა
წ ჭ / ჭა

და სხვ.

რაკი საერთო-ადილური ენის დიფერენციაცია ადილურად და ყაბარდოულად არა მარტო ისტორიულ ეპოქაში, არამედ არცთუ შორეულ ისტორიულ წარსულში მოხდა, საერთო-ადილურ ენაში არსებული მრავალრიცხოვანი ნასესხობები სხვადასხვა ენებიდან ბგერათშესატყვისობათა იმავე სისტემებში განაწილდნენ, რაშიაც საერთო-აფხაზურ-ადილური ენიდან ნამემკვიდრევი ლექსიკა. მაგ.:

ყაბარდოული ბ ადილური ფ

1. აფხაზურ-ადილური ფონდი:

1.1. ბანწ ფანწ

„ეკალი“, „ძეძვი“

და სხვ.

2. ირანული ნასესხობები:

1.2. ბაცწ ფაცწ

„გაზაფხულზე ნაპარსი მატყლი“, „ბუნგლია“

1.3. ბძგ ფცგ

„სატენი“

1.4. ბეწ ფჩწ

„კარი“, „ბჭე“

1.5. ბჟგ ფჩგ

„შუბი“

და სხვ.

2.1. აბჯ < *აბგ[~] აფჩ < *აფქ[~]
„მინა“

< ოს. { ავგ(ირონ.) } „მინა“, „ბოთლი“ < სპ. აფაქა „ჭურჭელი“
{ ავგგ(დიგორ.) }

2.2. ბაღმბარ ფაღმბარ
„წინასწარმეტყველი“
< სპ. ფეგამ-ბარ „id“

2.3. ბჟან ფჩანგ
„თხა“
< ქურთ. ბჯუნ „id“

ყაბარდოული ვ ადიღეური ც°

1. აფხაზურ-ადიღური ფონდი:

1.1. ვგ ც°გ
„ხარი“

და სხვ.

2. ირანული ნასესხობები:

2.1. ვენდ ც°ენდგ
„ყორანი“, „ჭილყვავი“

< ოს. სენტ / სუნტ „ყვავი“
და სხვ.

ყაბარდოული გ° ადიღეური ქ°

1. აფხაზურ-ადიღური ფონდი:

1.1. გ°აძ ქ°აძგ
„ხორბალი“

და სხვ.

2. ირანული ნასესხობები:

2.1. გ^ვან ქ^ვანგ

„ბელელი“, „ნალია“

< ოს. გონ

„ბელელი“, „ბელლის თვალი“

და სხვ.

3. თურქული ნასესხობები:

3.1. გ^ვაზან ქ^ვაზანგ

„გადაღლილი“,

„უჩვევი ფიზიკური შრომისაგან ქანცგაწვეტილი“.

< ნოდ. ქობენ „id“ ან თათრ. ქობონ „id“

3.2. გ^ვალმანდგნ ქ^ვგლგმდან

„თავსაფარი“

< ბალყ. გელუმენდი „შარფი“ < სპ. გალუ-ბანდ „ყელსახვევი“

და სხვ.

ყაბარდოული ჭ ადიღეური ჩ

1. აფხაზურ-ადიღური ფონდი:

1.1. ჭ^ვად <*გ^ვად ჩ^ვათგ <*ქ^ვათგ

„ქათამი“

და სხვ

2. ირანული ნასესხობები:

2.1. ჭ^ვათგ <*გ^ვათგ ჩ^ვათგ <*ქ^ვათგ

„ხმალი“, „მახვილი“

< ირან. სპარს. ქარდ. „დანა“ ან ფეხლ. ქართ „id“

და სხვ.

3. თურქული ნასესხობები:

3.1. ჭენასუ <*ჭენასუ ჩენასუ <*ჭენასუ
„ვერცხლისწყალი“

< ყუმუხ. გუნესუვ, გონესუვ „id“. ან ნოდ. ქონესუვ „id“
და სხვ.

ყაბარდოული ჟ ადიღური ჩ

1. აფხაზურ-ადიღური ფონდი:

1.1. ჟამ ჩამე
„ძროხა“
და სხვ.

2. ირანული ნასესხობები:

2.1. ჟან ჩან
„ცოცხალი“, „მოძრავი“

< სპარს. ჭან. „სული“
და სხვ.

3. თურქული ნასესხობები:

3.1. ჟანს' ჩანშე
„ღამე“

< ნოდ. ქემე „id“

3.2. ჟელან ჩელან
„სოფელი“, „თემი“, „ხალხი“

< ყარაჩ.-ბალყ. ჭეგელ
„შეკრება“, „თავმოყრა“, „საკრებულო“
და სხვ.

მსგავსი მაგალითების გამრავლება პრობლემას არ წარმოადგენს, ირანულისა და თურქულის გარდა, ყაბარდოულ-ადიღური ბგერათ-

შესატყვისობის ფორმულებში თავსდებიან არაბული და თვით რუსული ნასესხობანიც კი, მაგრამ ეს ფაქტი სულაც არ აპირობებს ადილური (ჩერქეზული) ენების ალოგენეტურ ნათესაობას ინდო-ევროპულ, თურანულ-მონღოლურ ან სემიტურ ენებთან და მათი ამოცნობა კომპარატივისტული მეთოდის გამოყენებით შეუძლებელი და გადაუჭრელი ამოცანა არ არის, ისევე როგორც ადილური ენების ადგილის განსაზღვრა აფხაზურ-ადილურ ენათა ჯგუფში თუ იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში.

თუ რამდენად ახალი ფორმაციისა აქ წარმოდგენილი ბგერათშესატყვისობათა ერთი ნაწილი, ჩანს იმ მაგალითებიდანაც, რომლებსაც ე. წ. „ძველი“ გამოთქმის ნიმუშები აქვთ დართული, საიდანაც ჩანს, რომ მათი უმრავლესობა სხვადასხვა ფონეტიკური პროცესების (მაგ., პალატალური აფრიკატიზაციის) ამსახველია:

ყბარდოული $\text{q} < \text{g}^{\text{~}}$

ადილური $\text{h} < \text{k}^{\text{~}}$

და სხვ.

ასეთი ფონეტიკური პროცესების კვალი ჩანს არა მარტო ენებში, არამედ ამ ენათა დიალექტებშიც, რასთან დაკავშირებითაც აკადემიკოსი არნ. ჩიქობავა წერდა:

„... დიალექტთა ისტორიულ განფენილობაში პროცესის სხვადასხვა საფეხურია წარმოდგენილი, სივრცეში დრო ჩანს — არქაიზმისა და ინოვაციის სახით.

ასეთი შესატყვისობა უნდა განვასხვავოთ იმ შესატყვისობებისგან, როცა ფარდი ბგერებიდან ერთი მეორისგან კი არ არის მიღებული, არამედ ორივე ბგერას მესამე, უწინარესი აქვს ამოსავლად“ (ჩიქობავა 1979 79).

ეს შენიშვნა სამართლიანია ენების მიმართაც. მაგ.:

ყაბარდოული	ადილეური
ბ	ფ < *ბ
ძ	ც < *ძ
ჭ° < *ს°	ს°

და სხვ.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდის დახმარებით ასეთი შემთხვევები იღებენ სათანადო ცალსახა კვალიფიკაციას და საგანგებოდ, ხაზგასმით, მინდა ვთქვა: ასეთი მაგალითების პოვნეირება კიდევ უფრო ამყარებს კომპარატივისტიკის, როგორც ზუსტი მეთოდის, ავტორიტეტს.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით ხდება არა მარტო ბგერათშესატყვისობების დადგენა, არამედ არქეტიპთა (პრაფორმათა) რეკონსტრუქციაც და როგორც შუალედურ ფუძე-ენათა (ქვეჯგუფის, ჯგუფის...) ასევე ოჯახის, ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე. ამ პროცედურის დროს ხდება ყველა დადგენილი ბგერათშესატყვისობის ვერიფიკაცია როგორც აბსოლუტური თუ რელატიური ქრონოლოგიის თვალსაზრისით, ასევე ამ შესატყვისობათა რეგულარობისა და კანონზომიერების მიხედვით — რაც პრინციპშივე გამორიცხავს ენათა ალოგენეტური ნათესაობის საკითხის დაყენებასაც კი, რადგან ფუძე-ენის ქრონოლოგიური დონის ნასესხობები თუმცა ორგანულად ჯდებიან მსესხებელი ფუძე-ენის დიფერენციაციის შემდგომ წარმოქნილ ბგერათშესატყვისობათა მწყობრ სისტემაში, მაგრამ ეს მწყობრი სისტემა არც ერთ ცნობილ შემთხვევაში არ ავლენს, და არც არის მოსალოდნელი, რომ ავლენდეს კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა სისტემას გამსესხებელი ფუძე-ენის დიფერენციაციის შემდგომ წარმოშობილ ენათა ბგერათშესატყვისობების მწყობრ სისტემასთან, რადგან თვით სიტყვათა სესხება ატარებს არასისტემურ და არალეგულარულ ხასიათს.

ფუძე-ენის დონეზე ნასესხები სიტყვები, თუმცა, ფუძე-ენის დიფერენციაციის შემდგომ ისეთივე ბგერათშესატყვისობებს გამოავლენენ, როგორც მსესხებელი ენის იმავე ფონემებით შედგენილი მკვიდრი, დასაბამიერი ლექსიკური ერთეულები, მაგრამ მათ, ისევე როგორც ამ უკანასკნელთ, არ ექნებათ კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობები სხვა, ამ შემთხვევაში, გამსესხებელი ფუძე-ენის იმ ფონემებთან, რომელთაგანაც არის შედგენილი ნასესხები სიტყვა გამსესხებელ ფუძე-ენაში. და შესაბამისად, ნებისმიერი ენა იქნება, ბგერათშესატყვისობათა ვერიფიცირებადი სისტემის თვალსაზრისით, ნათესაობაში მხოლოდ ერთი ენობრივი ოჯახის წევრ ენებთან. სწორედ ამიტომ არის ენათა შორის კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობების სისტემის დადგენა ენათა ნათესაობის დამტკიცების ერთადერთი, უალტერნატივო საშუალება.

0.9. ბგერათშესატყვისობათა თვისობრივი გამიჯვნისათვის პოზიციური და კომბინატორული ფონეტიკური პროცესებისა და ინდივიდის შეტყვევების თავისებურებათაგან

1944 წელს გამოიცა ქ. ლომთათიძის კაპიტალური მონოგრაფია „აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი (ტექსტებითურთ)“, რომელშიც ლინგვისტური თვალსაზრისით ერთი შეტად საინტერესო ფაქტი არის დაფიქსირებული.

ქ. ლომთათიძე წერს:

„წარმოშობით განსხვავებული ს⁰ შ⁰-ს და სხვათა გარჩევა მტკი-

ცედაა გატარებული კრასნოვოსტოჩნიში ყველას მეტყველებაში, ოღონდ სხვადასხვანაირია ამის გადმოცემის წესი:

ჩვენ ერთი ოჯახის წევრებში დავადასტურეთ დაახლოებით ოთხნაირი გადმოცემის წესი:

I. ლ-ს სისტემა (მთქმელი 61 წლისაა)

[ს° →] უ° უარა — თქვენ

[უ° →] სვ (→ ს) სვგ — კარი

[წ° →] კ° უოკუგ — ხვალ

[ტ° →] წვ (→ წ) უწვა! — შენ (მამაკაცი) დაჯექ!

[ზ° →] ე° ეგ — ძროხა

[ე° →] ზვ (→ ზ) ლგაზვ — ბერიკაცი

[ძ° →] ჯ° ზაჯუგ — ერთი ვინმე

[ღ° →] ძვ (→ ძ) ღეძუგლდ — ის (ადამ.) გაემართა

[ც° →] ჩ° ჩგ — ხარი

[თ° →] ცვ (→ ც) ცვა — თივა

II. ლ-ს დის ლ-ნ სისტემა (მთქმელი 62 წლის)

[ს° →] სვ სვარა — თქვენ [წ° →] წვ : უწვგ — ხვალ

[უ° →] სვ სვგ — კარი

[ტ° →] წვ უწვა! — შენ (მამაკაცი) დაჯექ!

[ზ° →] ზვ ზვგ — ძროხა [ძ° →] ძვ ზაძუგ — ერთი ვინმე

[ე° →] ზვ ლგაზვ — ბერიკაცი

[ღ° →] ძვ ღეძუგლდ — ის (ადამ.) გაემართა

[ც° →] ცვ ცვგ — ხარი

[თ° →] ცვ ცვა — თივა

III. ლ.ფ-ს ქალიშვილის ლ.თ-ს სისტემა (მთქმელი 17 წლის)

[ს°→] ს [°]	ს [°] არა — თქვენ	[წ°→] წ [°]	წ [°] : უოწ [°] გ — ხვალ
[შ°→] შ [°]	შ [°] გ — კარი	[ტ°→] ტ [°]	უტ [°] ა! — შენ (მამაკაცი) დაჯექ!
[ზ°→] ზ [°]	ზ [°] გ — ძროხა	[ძ°→] ძ [°]	ზაძ [°] გ — ერთი ვინმე
[ქ°→] ქ [°]	ლეგაქ [°] — ბერიკაცი	[ღ°→] ჯ [°]	ღჯაქ [°] გლდ — ის (აღამ.) გაემართა
		[ც°→] ც [°]	ც [°] გ — ხარი
		[თ°→] ჩ [°]	ჩაა — თივა

IV. ლ.ნ-ს შვილიშვილის გ.ა-ს სისტემა (მთქმელი 12 წლის)

[ს°→] ს [°]	ს [°] არა — თქვენ	[წ°→] წ [°]	წ [°] უოწ [°] გ — ხვალ
[შ°→] შ [°]	შ [°] გ — კარი	[ტ°→] ტ [°]	უტ [°] ა! — შენ (მამაკაცი) დაჯექ!
[ზ°→] ზ [°]	ზ [°] გ — ძროხა	[ძ°→] ძ [°]	ზაჯ [°] გ — ერთი ვინმე
[ქ°→] ქ [°]	ლეგაქ [°] — ბერიკაცი	[ღ°→] ჯ [°]	ღჯაქ [°] გლდ — ის (აღამ.) გაემართა
		[ც°→] ჩ [°]	ჩ [°] გ — ხარი
		[თ°→] ჩ [°]	ჩაა — თივა

აქ წარმოდგენილი სახეობები შემთხვევითი არ არის კრასნოვოსტონის მეტყველებისთვის. ხსენებული სისტემები ჩვეულებრივ დასტურდებოდა სხვა მთქმელებთანაც, ოღონდ ჩვენ ვერ შევნიშნეთ რაიმე კანონზომიერება მათს გამოყენებაში სოფლის სხვადასხვა კუთხეთა მიხედვით (სოფელი სამი მოზრდილი ნაწილისგან შედგება).

ერთი კი ცხადია: IV სისტემის გამოყენებაში აშკარად არის გა-

ბატონებული ასაკობრივი პრინციპი: ხსენებული დელაბილიზებული ბგერების შიშინა სახეობა განსაკუთრებით დამახასიათებელია მტკმელთათვის დაახლოებით 40-50 წლამდე. შემდეგ იწყება დანარჩენი, ამა თუ იმ სახეობის გამოყენება, თუმცა ცალკე ინდივიდის მეტყველებაში აღრევას ამ სახეობათა გამოყენებისას იშვიათად თუ შეიძლება ჰქონდეს ადგილი. გარკვეული სისტემა ყველა მეტყველის ენაში მტკიცედ არის დაცული. მკაცრადაა გარჩეული ს⁰ შ⁰ და სხვა მსგავს წყვილულ ბგერათა სხვადასხვა წარმომავლობა“ (ლომთათიძე 1944: 26-27).

როგორც ვთქვი, ფაქტი თავისთავად ძალიან საინტერესოა, უპირველეს ყოვლისა, სოციოლინგვისტური თვალსაზრისით, როგორც ასაკობრივად დიფერენცირებული ენობრივი ქცევა. არანაკლებ საინტერესოა ვიდრე, ვთქვათ, შუმერულ ენაში ემე-ქუ (კაცთა ენა) და ემე-სალი (ქალთა ენა), ანუ გენდერულად დიფერენცირებული ენობრივი ქცევა რომ ივარაუდება.

ასევე საინტერესოა ამავე ავტორის დაკვირვება ინდივიდის მეტყველების თავისებურებაზე: „ერთი და იმავე პირის ენაში ჩვენ თავის დროზე (ორმოციან წლებში) დადასტურებული გვაქვს როგორც ლაბიალიზებული, ისე დელაბილიზებული მათი სახეობები — დ⁰|| დ, თ⁰ || თ, ტ⁰ || ტ — ერთსა და იმავე ფუძეში“ (ლომთათიძე 1976: 156).

მაგრამ ახლა აკად. ქ. ლომთათიძის ეს დაკვირვებები იმიტომ კი არ გავიხსენე, რომ ისინი თავისთავად მნიშვნელოვანნი არიან მეცნიერებისთვის, არამედ იმიტომ, რომ ისტორიულ-შედარებითი მეტოდიისადმი ნიჰილისტურად განწყობილ წრეებში ქეთევან ლომთათიძის დაკვირვებას, კერძოდ, ერთი ოჯახის წევრებში დადასტურებულ განსხვავებულ წესებს ლაბიალიზებული ბგერების გადმოცემისას, ბგერათშესატყვისობათა კვალიფიკაცია ეძლევა, რაც, ნებისთ

თუ უნებლიედ, ბგერათშესატყვისობათა გადამწყვეტი როლის, როგორც ენათა ნათესაობის დადგენაში, ასევე მონათესავე ენობრივი ერთეულების ენად და დიალექტად კვალიფიკაციაში, დაკნინებასა და, საბოლოო ჯამში, კომპარატივისტული მეთოდის დისკრედიტაციას ემსახურება.

იქმნება კურიოზული სიტუაცია:

იბერიულ-კავკასიურ ენებს აღმოაჩნდათ შემდეგი სპეციფიკა — ბგერათშესატყვისობებმა თავი იჩინეს არა მარტო მონათესავე ენებს შორის (რაც, ბუნებრივია და ცხადია, ენათა სხვა ოჯახებსაც ახასიათებს), არამედ:

ა) დიალექტებს (კილოებს) შორის: მაგ. კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობების მაგალითებს პოულობენ დარგუული ენის ურახული ტიპის დიალექტებსა და წუდახარული ტიპის დიალექტებს შორის (გაფრინდაშვილი 1966 271-295);

ბ) თქმებს (კილოკავებს) შორის: მაგ. კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობების მაგალითებს პოულობენ ხუნძური ენის ანწუხური დიალექტის ორ თქმას ტოხურსა და ჭადაქოლოურს შორის (ცერცვაძე 1948 136-142);

გ) ერთი ოჯახის წევრ ინდივიდთა მეტყველებებს შორის: მაგ. კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობების მაგალითებს პოულობენ ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქის სოფელ კრასნი ვოსტოკის ბინადარ ეროვნებით აბაზა ლ.ფ-ს (66 წლის), მისი დის ლ.ნ-ს (62 წლის), მისი ქალიშვილის ლ.თ-ს (17 წლის) და მისი დის ლ.ნ-ს შვილიშვილის გ.ა-ს (12) წლის მეტყველებათა შორის.

პირველ ორ შემთხვევასთან დაკავშირებით მე დაფიქსირებული მაქვს ჩემი პრინციპული პოზიცია:

ენობრივ ერთეულებს შორის კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა პოზიციერება საკმარისი პირობაა კომპარატივისტიკის პოზიციიდან მათი სტატუსის ენად განსაზღვრისათვის.

რაც შეეხება მესამე შემთხვევას, მისი, როგორც ინდივიდთა ენობრივი ქცევის განხილვა კომპარატივისტიკის პოზიციიდან, არაკორექტულია, მისი კვლევა სოციოლინგვისტიკის პრეროგატივაა.

კომპარატივისტული კვლევის არეალში ეს მოვლენა მოხვდებოდა მაშინ, მას რომ სისტემური ხასიათი მიეღო თუნდაც ერთი თქმის ფარგლებში, ანუ ახალ თაობას მეტყველების ახალი სისტემა რომ დაემკვიდრებინა და არ გაეგრძელებინა ტრადიცია.

ივან ბოდუენ დე კურტენე წერდა:

„შერევა შეიმჩნევა უკვე ინდივიდუალური ენის განვითარებაში, ბავშვის მიერ თვითმყოფადი ინდივიდუალური ენობრივი ცხოვრების წარმოქმნისათვის აუცილებელი ენობრივი ასოციაციების ათვისებისას. ბავშვზე გავლენას ახდენენ გარშემომყოფნი, მისი მშობლები და სხვა ახლობელი პირები. თითოეულს ამ პირთაგან აქვს თავისი განსაკუთრებული ენა, აუცილებლად განსხვავებული, თუნდაც მხოლოდ მინიმალური ზომით, სხვა პირთა ენისგან. და აი, ამ სხვადასხვა ინდივიდუალურ ენათა გავლენით, ხდება ახალი ინდივიდუალური ენის წარმოქმნა, რომელშიც თითქმის ყოველთვის უთანხმოების (ვარიანტულობის — მ.ქ.) შემთხვევაში მიენიჭება უპირატესობა თავისებურებებს, უფრო ადვილად ათვისებადს და ნაკლები დაძაბვის მომთხოვნს.

[ასე, მაგალითად, თუ რუსულ ან პოლონურ ოჯახში თუნდაც მხოლოდ ერთი პირი გამოთქვამს \bar{Y} (\bar{u})-ს \bar{H} (\bar{t})-ს ნაცვლად, ან კი, უკანაენისმიერ („ხორხისმიერი“) p (r)-ს წინაენისმიერი p (r)-ს ნა-

ცვლად, ამ ოჯახის ბავშვებს უმეტეს შემთხვევაში გამოუვლინდებათ მიღრეკილება ასეთივე ბგერობრივი განწყობისადმი: ბავშვი ასევე დაიწყებს **Ÿa (üa)**-ს **Ja(ia)**-ს ნაცვლად და **pa (ra)**-ს (უკანაენისმიერი **p**-თი) ნაცვლად **pa**-სი (წინაენისმიერი **p**-თი)] (ბოდუენ დე კურტენე, 1963, I: 363-364).

მიაქციეთ ყურადღება, რომ ეს მოხდება ერთ ოჯახში და იქნება თაობებს შორის (resp. ასაკობრივი) განსხვავების მარკერი, ვიდრე კონვენციური ნორმა ამ განსხვავებას არ მოშლის ბავშვის ასაკის მატების კვალდაკვალ.

ჩემი დაკვირვებით, საქართველოში ყველა თაობაში იბადებიან ბავშვები, რომელთა კლასიფიკაცია დასაშვებია სიბილანტთა „გასისინების“ ან „გაშიშინების“ ნიშნით. ვთქვათ, სიტყვა „საშიშა“-ს გამოთქმის მიხედვით: „სასისია“ და „მაშიშა“, და თანაც თაობათა მონაცვლეობით ხან „გასისინების“ ტენდენციაა დომინანტური და ხან — „გაშიშინების“.

ეს არ არის მეტყველების დეფექტი. ეს ტენდენციის გამოვლენაა. სკოლა და ნორმატული ფონეტიკა ახდენს ამ ტენდენციათა დაქვემდებარებას ქართულის კონვენციური გამოთქმისათვის.

მაგრამ თუ წარმოვიდგენთ, რომ ზედიზედ რამდენიმე თაობის განმავლობაში ერთი და იგივე ტენდენცია იქნება დომინანტური, არ არის გამორიცხული ახალი კონვენციის ჩამოყალიბება, ხოლო თუ ეს ტენდენცია იქნება დომინანტური არა მთელი ენობრივი ტერიტორიის მასშტაბით, არამედ მის ერთ-ერთ რეგიონში და ახალი კონვენციის ჩამოყალიბებაც იქ მოხდება, მაშინ მივიღებთ ერთენოვანი სივრცის დიფერენციაციას ფონეტიკური ნიშნით ორ ენობრივ წრედ, სიბილანტთა გადაწევის ნიშნით:

A				B			
ენობრივი წრე				ენობრივი წრე			
I ვარიანტი		II ვარიანტი					
სიბილანტთა უკან		სიბილანტთა წინ					
გადაწევა		გადაწევა					
ძ	}	ძ	}	ძ	}		
ც		ც		ც			
წ		ჭ		წ		ძ	წ
ზ		ჩ		ზ		ც	ზ
ს		ჭ		ს		წ	ს
ჭ		შ		ჭ		ზ	ჭ
ჩ		შ		ჩ		ს	ჩ
ჭ				ჭ			ჭ
შ				შ			შ
შ				შ			შ

საკუთრივ ქართულს ეს ალბათ არ ემუქრება იმის გამო, რომ ის სამწერლო, სახელმწიფო ენაა, რომელსაც ნორმატიული ფონეტიკა არეგულირებს და ის, ამ მხრივ, სწორედ აღნიშნული მიზეზის გამო, საოცარ სტაბილურობას იჩენს ათასწლეულების მანძილზე.

სამაგიეროდ, ასეთ პროცესებს შეიძლება ადგილი ჰქონდეთ უმწერლობო ენებში. მაგ., საერთო, სვანურ-ზანურის დიფერენციაცია ალბათ სწორედ ასეთ ფონეტიკურ პროცესებს უკავშირდება:

სვანური	სვანურ-ზანური	საერთო	ზანური
		*ა	ა
		*ე	ა
		*ქ	
		*ც	
		*წ	
		*ფ	
		*ს	
ჭ	←	*ჭ	
ჩ	←	*ჩ	
ც/წ	←	*ც	
		*წ	
ს	←	*ძ / *ჭ	
შ	←	*ცქ / *ჩქ	
შქ	←	*წქ / *ქქ	
შს	←	*სქ / *შქ	
ბ	←	ბ	→ (ჭ)
ქ	←	ქ	→ (ჩ)
კ	←	კ	→ (ც)

} ზანური ენის ლაზური დიალექტური წრის ათინურ-ართაშნული დიალექტის ართაშნულ კილოკავში

მაგრამ ზოგჯერ რომელიმე ფონეტიკური პროცესი რამდენიმე თაობით არის შეზღუდული და ცვლილების გატარებას მთელი პა-

რადიგმის მასშტაბით ვერ ასწრებს — იწურება ფონეტიკური წესის, რომელიც გარკვეული ქრონომეტრაჟით არის განსაზღვრული, მოქმედების დრო.

მაგ., პალატალური სპირანტიზაციის პროცესი სვანურში ლ > შ (აუსლაუტში, სახელობითი ბრუნვის ნიშნის -ის გავლენით):

*ჭულ-ი > ჭუშ „წული“

*ჩულ-ი > ჩოშ „ცოლი“ > „coitus“

*ჭუელ-ი > ჭუეშ (შემოინახა ზანურმა) „ძველი“

*ჭუელ-ი > ჭუეშ „ხველა“

*ტილ-ი > ტიშ „ტილი“

*ქასულ-ი > ქასუშ „ასული“

რომელიც მთელ პარადიგმას ვერ გასწვდა უპრეცედენტო ხანმოკლეობის გამო. ან პალატალური აფრიკატიზაციის პროცესი ზანურში: რ > ჯ (იმავე პოზიციაში):

*ხორ-ი > ხოჯ-ი „ხარი“

*ფურ-ი > ფუჯ-ი „ფური“

*ყურ-ი > ყუჯ-ი „ყური“

*ყუარ-ი > ყვაჯ-ი „ყვერი“

*პირ-ი > პიჯ-ი „პირი“

*ფოფორ-ი > „ფოფოჯ-ი „ფაფარი“

და სხვ.

ეს პროცესები აისახნენ ენაში, მაგრამ აღმოჩნდნენ უღდეურნი შეიძლება იმის გამოც, რომ ახალ თაობაში ენამ მათ მიმართ ერთგვარი იმუნიტეტი გამოიშვა. ამგვარი პროცესების ახსნა შეიძლება პოზიციურად, კომბინატორულად და ა.შ. ისინი არ არიან სპონტანურნი, ამდენად მათთვის ბგერათშესატყვისობის კვალიფიკაციის მიცემა არაკორექტული იქნება.

აკად. ქ. ლომთათიძის მიერ მეოცე საუკუნის ორმოციან წლებში

უმცირეს ენობრივ ერთეულში (ინდივიდუალურ მეტყველებაში) შენიშნულმა ცვლილებებმა, როგორც შემდგომი პერიოდის სპეციალური ლიტერატურიდან შეიძლება დავასკვნათ, ვერ ჰპოვეს ასახვა (resp. გავრცელება) უფრო დიდ ენობრივ ერთეულებში (იხ. თუნდაც ლომთათიძე, კლიჩევი 1989 91-154), ანუ ვერ იქცნენ აბაზურის ფონოლოგიური სისტემის მახასიათებლებად და, ამდენად, მათი განხილვა ბგერათშესატყვისობის მაგალითებად არამართებულია.

თავად ქ. ლომთათიძე, ცხადია, შორს იყო ამგვარი ენობრივი ფაქტების კომპარატივისტული ინტერპრეტაციისგან და მათ, თავის კაპიტალურ მონოგრაფიაში სოციოლინგვისტური კვალიფიკაცია მისცა: „ აქ მხედველობაში გვაქვს, ერთი მხრივ, **ჩვენ მიერ ორმოციან წლებში ფიქსირებულ ენობრივ ფაქტთა დაყოფა მთქმელთა ასაკობრივ ფენათა მიხედვით** (ხაზგასმა ჩემია მ.ქ.). ცხადია, თუ ორმოციან წლებში რომელიმე კილოკავის 60-70 წლის მთქმელებში გავრცელებული იყო ესა თუ ის ფონეტიკური სახეობა, ან ფორმათა წარმოება, დღეს ამ თაობის შეცვლის გამო, სათანადო კილოკავში აღნიშნულ მოვლენებს ვეღარ დავადასტურებთ “(ლომთათიძე 1976 4).

თ ა ვ ი კ ი რ ვ ე ლ ი

ენობრივი ნიშნის მორფმატული თეორია და ფუძეთქმნადობის მოდელები იბერიულ-კავკასიურ ენებში

1.1. ენობრივი ნიშნის მორფმატული თეორია.

აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე 1972 წელს სტატიაში „ენობრივი ნიშნის „ნებისმიერობის“ პრობლემისათვის“ წერდა:

„ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემა შედარებითი ენათმეცნიერებისა და საერთოდ თეორიული ლინგვისტიკისა არის ენობრივი ნიშნის პრობლემა“ (გამყრელიძე 1972 33).

უდავოდ ანგარიშგასაწევი დებულებაა, მით უმეტეს — იბერიულ-კავკასიური ენების შედარებითი კვლევის თვალსაზრისით, რადგან ერთ-ერთ დაბრკოლებად და თანაც სერიოზულ დაბრკოლებად, გნებავთ — ხარვეზად, ამ ენათა ისტორიულ-შედარებითი მეთოდით კვლევისას სწორედ ენობრივი ნიშნის პრობლემისადმი არასათანადო ყურადღება უნდა იქნეს მიჩნეული.

მაგრამ ეს მხოლოდ ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ წინამდებარე მონოგრაფიაში მასზე საგანგებოდ მაქვს ყურადღება გამახ-

ვილებული; მეორე არანაკლებ სერიოზული მიზეზი ენობრივი ნიშნის პრობლემისათვის ესოდენი ადგილის დათმობისა კომპარატივისტულ ნაშრომში არის „ენობრივი ნიშნის“ არაცალსახა დეფინაცია თანამედროვე თეორიულ ენათმეცნიერებაში და, შესაბამისად, მისი რაობისადმი მიდგომათა თუ თვალსაზრისთა შეუწყნარებელი შინაგანი წინააღმდეგობრიობა; ეს ეხება ენობრივი ნიშნის როგორც სემიოტიკურ ასევე კომუნიკაციურ (resp. იერარქიულ) ე. წ. სამგანზომილებიან მოდელსაც.


ქვემოთ მე ვეცდები, შეძლებისდაგვარად ერთმნიშვნელოვნად და მწყობრად ჩამოვყალიბო ჩემი თვალსაზრისი ორივე ამ საკითხზე.

1.1.1. ენობრივი ნიშნის რაობისათვის.


როდესაც ფერდინანდ დე სოსიურმა შემოიტანა ცნება ენობრივი ნიშნისა და განაცხადა, რომ „ენობრივი ნიშანი აკავშირებს არა საგანსა და მის სახელს, არამედ ცნებასა და აკუსტიკურ ხატს“ (სოსიური 1977 99), იქვე განმარტა: „ენის სიტყვები ჩვენთვის არის აკუსტიკური ხატები... (სოსიური 1977 99).

სოსიური ასე ავითარებდა თავის აზრს:

„ენობრივი ნიშანი არის, ამგვარად, ორმხრივი ფსიქიკური რაობა, რომელიც შეიძლება გამოისახოს ასეთი სახით:



ორივე ეს ელემენტი უმჭიდროესად არის დაკავშირებული ერთმანეთთან და ისინი გულისხმობენ ერთიმეორეს. ვეძებთ აზრს ლათინური სიტყვისა arbor, თუ პირიქით, სიტყვას, რომლითაც რომელიღაც აღნიშნავდა ცნებას „ხე“, ცხადია, რომ მხოლოდ ამ ტიპის




შეპირისპირებანი მიგვაჩნია რეალობის შესატყვისად, და ჩვენ უკუვაგდებთ ყველა სხვა დაკავშირებას, რომელიც შეიძლება გაჩნდეს წარმოსახვაში“ (სოსიური 1977 99-100).

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ თეორიის საფუძვლები ჩვენ შეგვიძლია ვიპოვოთ ვილჰელმ ფონ ჰუმბოლტდთან, რომელიც წერდა: „სიტყვებად გაგებულ უნდა იქნენ ცალკეულ ცნებათა ნიშნები. სიტყვაში ყოველთვის ჰგებებს ორმაგი ერთობა — ბგერისა და ცნების“ (ჰუმბოლდტი 1984 90).

ენობრივი ნიშნის სოსიურისეული დეფინიციის პრობლემატურობა უკვე ამ ეტაპზე იჩენს თავს: თუ ენობრივი ნიშანი ცნებისა და აკუსტიკური ხატის განუყოფელ ერთიანობას გულისხმობს, ხოლო აკუსტიკური ხატი, თავის მხრივ, უდრის სიტყვას, არის თუ არა ეს სიტყვა ფორმაცვალებადი და იწვევს თუ არა სიტყვის ფორმაცვალება აკუსტიკური ხატის ცვლილებასაც ცნების უცვლელობის პირობებში?

იმ ენებში, სადაც მხოლოდ ფორმაუცვლელი სიტყვებია, მაგ., ჩინურში, ეს პრობლემა არ დგება; რაკი იქ სიტყვა ფორმაუცვლელია,

შესაბამისად, ცნებისა და აკუსტიკური ხატის ურთიერთმიმართებაც – მუდმივი:



მაგრამ იქ, სადაც ბრუნების განვითარებული სისტემა არსებობს, აკუსტიკური ხატი ცვალებადია სწორედ აკუსტიკური თვალსაზრისით, ანუ სიტყვა (აღმნიშვნელი) იცვლის ფორმას, ცნება (აღსანიშნი) კი უცვლელი რჩება, ყოველთვის ერთი და იგივეა. მაგ.:

ქართული

სახელობითი	ხე
მოთხრობითი	ხე-მ
მიცემითი	ხე-ს
ნათესაობითი	ხი-ს
მოქმედებითი	ხი-თ
ვითარებითი	ხე-დ
წოდებითი	ხე-ვ ხე-ო

დიდი გაბედულებაა საჭირო იმის სათქმელად, რომ ხე და ხის ან ხით ერთი და იგივე აკუსტიკური ხატია, ან რომ ცნებას „ხე“ მხოლოდ სახელობითი ბრუნვის ფორმა, ანუ მხოლოდ ეს აკუსტიკური ხატი აღნიშნავს.

ფორმაუცვლელი (resp. აკუსტიკურ ხატუცვლელი) არც ხის

ცნების აღმნიშვნელი ლათინური სიტყვაა — arbor:

ნომინატივი	arbor
გენეტივი	arbor-is
დატივი	arbor-i
აკუსატივი	arbor-em
აბლატივი	arbor-e
ვოკატივი	arbor

არადა სწორედ ეს ლათინური სიტყვა დაიმოწმა ფერდინანდ დე სოსიურმა, როდესაც აღსანიშნისა (resp. ცნებისა) და აღმნიშვნელის (resp. აკუსტიკური ხატის) ურღვევ კავშირს ასაბუთებდა.

როგორ მოხდა, რომ სოსიურმა უგულვებელყო ფორმის, ანუ აკუსტიკური ხატის ცვალებადობა?

აქ ანგარიშში ჩასაგდები არ არის სოსიურის ფრაზა: „სწორედ იმიტომ, რომ ენის სიტყვები წარმოადგენენ ჩვენთვის აკუსტიკურ ხატებს, არ ეგების მათ შემადგენელ „ფონემებზე“ ლაპარაკი“ (სოსიური 1977 99), რადგან აქ ერთი ფორმის შემადგენელი ფონემები იგულისხმება და არა განსხვავება ერთი სიტყვის სხვადასხვა ფორმის შემადგენელ ფონემებს შორის.

როგორ უცნაურადაც არ უნდა ჩანდეს, ერთი შეხედვით, ამ ფაქტის ჩემეული ახსნა, მაინც დარწმუნებით უნდა განვაცხადო, რომ მიზეზი ფერდინანდ დე სოსიურის მშობლიურ — ფრანგულ ენაშია პოვნირი.

ფრანგულ ენას ბრუნვები, ბრუნების პარადიგმა არ გააჩნია.

ჰუმბოლდტის თანახმად, ადამიანი ენობრივი არსებაა, ის ცხოვრობს მისი ენით აგებულ სამყაროში და „აზროვნება დამოკიდებულია არა უბრალოდ ენაზე ზოგადად — ის გარკვეულად გაპირობებულია აგრეთვე ყოველი ცალკეული ენით“ (ჰუმბოლდტი 1984 317).

ამ შემთხვევაში ის კონკრეტული ენა, რომელმაც განაპირობა სოსიურის აზროვნება, იყო ფრანგული.

ფერდინანდ დე სოსიური ცხოვრობდა იმ ენით აგებულ სამყაროში, სადაც ცნება და აკუსტიკური ხატი ერთმანეთთან იყო დაკავშირებული არა მხოლოდ ურღვევად, არამედ უცვლელადაც (იგულისხმება უცვლელი აკუსტიკური ხატი) და ეს იმდენად განაპირობებდა სოსიურის აზროვნებას, რომ, თუმცა მას თვალსაჩინოებისათვის მოჰქონდა არა ფრანგული — **arbre** „ხე“, არამედ ლათინური **arbor**, რომელსაც ბრუნების ექვსწევრიანი პარადიგმა ჰქონდა, იგი ქვეცნობიერად ფრანგულ ფორმაუცვლელ, უბრუნველ სახელს გულისხმობდა, როდესაც ცნებისა და აკუსტიკური ხატის ურღვევ ერთიანობაზე ესოდენ კატეგორიულად მსჯელობდა.

აკუსტიკური ხატის ცვალებადობა რომ ანგარიშგასაწევი მოვლენაა, ეს კარგად ჩანს იბერიულ-კავკასიური ენების მაგალითზეც, სადაც ე. წ. ძირითადი ბრუნვების გარდა არსებობს აგრეთვე ლოკატიური (თანდებულიანი) ბრუნვებიც (თვით ძირითად ბრუნვებში ორფუძიანობის პრინციპის მხედველობაში მიუღებლად), სადაც აკუსტიკური ხატი მნიშვნელოვან ტრანფორმაციებს განიცდის. მაგ.:

უდიური

სახელობითი	ხოდ „ხე
მოთხრობითი (ერგატივი)	ხოდ-როლონ
ნათესაობითი	ხოდ-როლო ^რ „მ“
მიცემითი	ხოდ-როლო ^რ „ხ“
აბლატივ-ინსტრუმენტალისი	ხოდ-როლოხო
კომიტატივი	ხოდ-როლოხოლან
ინესივ-ადესივი	ხოდ-როლოსტა

ალატივი	ხოდ-როლოჟ
სუპერესივი	ხოდ-როლოლ
კაუზატივი	ხოდ-როლონჯ'ენა'

კიდევ უფრო მნიშვნელოვანმა ფორმათცვლილებებმა შეიძლება იჩინონ თავი იმავე უდიურში სხვა აკუსტიკური ხატების შემთხვევაში; საილუსტრაციოდ მოვიტან მხოლოდ ე. წ. ძირითადი ბრუნვების ჩვენებებს:

სახ.	ბულ „თავი“
მოთხ.	ბ-ინ
ნათ.	ბ-ინ
მიც.	ბ-ე'ზ'

ბულ, ბინ და ბეზ ერთი და იგივე აკუსტიკური ხატი რომ არ არის, სადავო არ უნდა იყოს, თუმცა ერთსა და იმავე ცნებას აღნიშნავენ და ერთი და იმავე სიტყვის ფლექსიას (ფლექსიური პარადიგმის წევრებს) წარმოადგენენ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცნებისა და აკუსტიკური ხატის ურთიერთმიმართების სოსიურისეული ინტერპრეტაცია რევიზიას მოითხოვს, მით უმეტეს, რომ ასეთი რევიზიისთვის სხვა უფრო მნიშვნელოვანი არგუმენტებიც მოიპოვება.

სოსიური ამგვარად აგრძელებს მსჯელობას:

„ჩვენ გათავაზობთ შევინარჩუნოთ სიტყვა *ნიშანი* მთელის აღსანიშნავად და ჩავანაცვლოთ ტერმინები *ცნება* და *აკუსტიკური ხატი*, შესაბამისად, ტერმინებით *აღსანიშნი* და *აღმნიშვნელი*; უკანასკნელ ორ ტერმინს აქვს ის უპირატესობა, რომ აღნიშნავენ დაპირისპირებას, არსებულს როგორც თავად მათ შორის, ასევე

მთელსა და მთელის ნაწილებს შორის“ (სოსიური 1977 100).

ახლა დავსვათ კითხვა: რა არის აღსანიშნი და რა არის აღმნიშვნელი ენაში?

სოსიურის მიხედვით, აღსანიშნი არის **ცნება**, ხოლო აღმნიშვნელი **აკუსტიკური ხატი** ანუ **სიტყვა**. მათი ერთიანობა კი წარმოადგენს **ენობრივ ნიშანს**.

მე კი მიმაჩნია, რომ აღსანიშნი არის **მნიშვნელობა** ანუ **სემანტიკა**, ხოლო აღმნიშვნელი არის **მორფემა**. მათი ერთიანობა კი წარმოადგენს **ენობრივ ნიშანს**.

არსებობს თეორიული თვალსაზრისი, რომლის თანახმად საკითხის ჩემ მიერ შემოთავაზებული გადაწყვეტა, მეტიც, დაყენებაც კი შეუწყენარებელია:

„ნიშნის სისრულე დამოკიდებულია ნიშნის უნარზე, შეასრულოს *კომუნიკაციური ფუნქცია*. მაგრამ კომუნიკაციური ფუნქცია, რომელიც გამოკვეთილად მხოლოდ სრულ ნიშანს ახასიათებს, არ არის ნიშნის ერთადერთი ფუნქცია — ამ ფუნქციას საფუძვლად უდევს რეფერენტული ფუნქცია, ანუ ნიშნის უნარი, ჰქონდეს სიგნიფიკატი და დენოტატი. ნიშნის უნარს, დაასახელოს და ასახოს რეფერენტი, ეწოდება *ნომინაციური ფუნქცია*; ე. ი. ნიშანი არსებობს და ფუნქციონირებს ნომინაციურ და კომუნიკაციურ ფუნქციათა ურთიერთკავშირისა და ურთიერთგანპირობების საფუძველზე“ (ლებანიძე 1997).

ზემოთქმულიდან გამომდინარე:

„მორფემას „ჭერ კიდევ“ არა აქვს უნარი, იქონიოს ბევრად თუ ნაკლებად დამოუკიდებელი რეფერენტი. პირობითად მორფემას შეიძლება ვუწოდოთ „კვაზინიშანი“. სხვანაირად რომ ვთქვათ, მორფემას აქვს სემანტიკა, მაგრამ იგი ჭერ კიდევ ვერ ასრულებს ნომინაციის ფუნქციას“ (ლებანიძე 1997).

წარმოდგენილი თვალსაზრისი წინააღმდეგობაშია ნიშნის არა მარტო სოსიურისეულ დეფინიციასთან, კერძოდ, მის დებულებასთან, რომ „ენობრივი ნიშანი აკავშირებს არა ნივთს და მის სახელწოდებას, არამედ ცნებას და აკუსტიკურ ხატს“ (სოსიური 1977 99). როდესაც აცხადებს, „ნიშნის უნარს, დაასახელოს და ასახოს რეფერენტი, ეწოდება **ნომინაციური ფუნქცია**“, ანუ ნიშნის დეფინიციაში კვლავ შემოტანილია კავშირი ნივთსა (resp. საგანს, მოვლენას, ხდომილებასა) და მის სახელს შორის, ამჯერად — როგორც მისი ნომინაციური ფუნქცია (არაფერს ვამბობ ტერმინ „ასახოს“ გამოყენებაზე „აღნიშნოს“ ნაცვლად, რაც უეჭველად კალმისმიერი ცთომილებაა), შესაბამისად, მორფემა თუ ვერ (უფრო სწორად — არ) ასრულებს ნომინაციის ფუნქციას, ეს არ არის საკმარისი მისი გამოცხადებისთვის „კვაზინიშნად“, რადგან ნომინაციის ფუნქცია ენობრივი ნიშნისათვის არის არა **რელევანტური** ანუ არსებითი, არამედ — **ჭარბი**.

წარმოდგენილი თვალსაზრისი წინააღმდეგობაშია აგრეთვე ნიშნის დეფინიციასთან საკუთრივ კომუნიკაციური ლინგვისტიკის პოზიციიდან. კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში — ანუ ლინგვისტური სინთეზის დონეზე — ენობრივი ნიშანი მართლაც სიტყვაა (შემდეგ — წინადადება და ბოლოს — ტექსტი), მაგრამ არა იმიტომ, რომ მას აქვს უნარი დაასახელოს და ასახოს რეფერენტი, ანუ აქვს ნომინაციის ფუნქცია (იხ. ქვემოთ შენიშვნა დამხმარე სიტყვასთან დაკავშირებით), არამედ იმიტომ, რომ ის **საკომუნიკაციო ერთეულია**, საწყისი ერთეული: პირველი და ნამდვილი (resp. სრული) **ნიშანი**.

მორფემა კი ლინგვისტური ანალიზის ერთეულია და სინთეზის დონეზე, ანუ კომუნიკაციის აქტში, დამოუკიდებლად, არაკომბინირებული სახით, არ მონაწილეობს; შესაბამისად, კომუნიკაციურ

ლინგვისტიკაში მსჯელობა მორფემაზე როგორც ნიშანზე (დადებითი თუ უარყოფითი თვალსაზრისით) არაკორექტულია, რადგან ის კომუნიკაციური ლინგვისტიკის ერთეული არ არის.

თანამედროვე ლინგვისტიკაში ასეთი მიდგომა მიჩნეულია სოსიურისეული ე. წ. სემიოტიკური ლინგვისტური იმანენტიზმის გადალახვად და, შესაბამისად, ახალ ეტაპად ნიშნის თეორიის განვითარებაში. სოსიურისეული იმანენტიზმის ქვეშ ჩვეულებრივ იგულისხმება ის საყოველთაოდ გახმაურებული ფრაზა რომლითაც სრულდება „ზოგადი ლინგვისტიკის კურსი“:

„ლინგვისტიკის ერთადერთ ჭეშმარიტ ობიექტს წარმოადგენს ენა, განხილვადი თავის თავში და თავისთვის“ (სოსიური 1977 268).

თავს ვალდებულად ვთვლი განვაცხადო, რომ ენობრივი ნიშნის ნებისმიერი თეორია უნდა აკმაყოფილებდეს ლინგვისტური იმანენტიზმის მოთხოვნებს (იქნება ეს სემიოტიკური ლინგვისტიკა, კომუნიკაციური ლინგვისტიკა თუ სხვ.) და ასეც არის. ქვემოთ, როდესაც მსჯელობა შექნება ენობრივი ნიშნის სემიოტიკური იერარქიის შესახებ, საგანგებოდ აღარ აღვნიშნავ იმას, რომ ჩემთვის ეს თეორია ლინგვისტური იმანენტიზმის ორი თვალსაზრისის გადაკვეთაზეა განფენილი — სოსიურისეულისა (resp. სემიოტიკურისა) და ჰუმბოლდტისეულის (resp. ანთროპოცენტრულის) და არაწინააღმდეგობრივ ხაისათს ატარებს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კომუნიკაციურ ლინგვისტიკას აქვს საკუთარი ლინგვისტური (კომუნიკაციურ-ლინგვისტური) იმანენტიზმი და ნიშნის ე. წ. სამგანზომილებიანი თეორია მის მიმართ არაწინააღმდეგობრივია და მხოლოდ მის ფარგლებში აქვს თავისი *raison d'être*. კომუნიკაციური ლინგვისტიკა ლინგვისტიკის სინთეზური დონის დარგია ხოლო სოსიურისეული ლინგვისტიკა ე. წ. სემიოტიკური ლინგვისტიკის ანალიზურ დონეს განეკუთვნება; ამ-

დენად, ლინგვისტიკის ამ ორ დარგს შორის არსებობს ტერმინთა გარდაუვალი და აუცილებელი, მეტიც, სავალდებულო შეუსაბამობა. ამაზე ქვემოთ საგანგებოდ მექნება მსჯელობა. აქ კი დამატებით ვიტყვი, სიტყვის — როგორც ნიშნის — განსაზღვრისათვის ნომინაციური ფუნქციის საკმარისობის შესახებ თვით კომუნიკაციური ლინგვისტიკის პოზიციიდან.

ზემოთ მოხსნილ იქნა მორფემის ნიშნად თუ „კვაზინიშნად“ მიჩნევისა და განხილვის პრობლემა კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში, მისივე საკუთარი იმანენტიზმის პოზიციიდან, ახლა რაც შეეხება იმ დებულებას, თითქოს „მორფემას „ჭერ კიდევ“ არა აქვს უნარი, იქონიოს ბევრად თუ ნაკლებად დამოუკიდებელი რეფერენტი“, ის კომუნიკაციური ლინგვისტიკის პოზიციიდან შეუწყნარებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

1) რეფერენტი ლინგვისტიკაში გამოიყენება ტერმინ *დენოტატის* სინონიმად და ნიშნავს *აღსანიშნს*, უფრო ზუსტად, მის იმ ასპექტს, რომელიც ენის დონეზე მოიცავს ყველა იმ საგანსა თუ მოვლენას, რომლებიც რეალობაში (სინამდვილეში) შეესაბამებიან მოცემულ კონცეპტს, ანუ ადამიანის გარემომცველი სამყაროს იმ ცალკეულ ერთეულს, რომელზედაც პროეცირდება ამ კონკრეტულ შემთხვევაში ენობრივი სტრუქტურა.

ასეთი კი შეიძლება იყოს ის, რისი აღნიშვნაც ხდება არა მარტო სიტყვით (*resp.* ლექსიკურად), არამედ მორფემებითაც (*resp.* გრამატიკულად); მაგ., სიმრავლე (რაოდენობა), სქესი, დრო და ა. შ.

2) დამოუკიდებელი ლინგვისტიკაში გამოიყენება ჩვეულებრივ სიტყვასთან (*sic*) მიმართებაში, როგორც ანტონიმი ტერმინისა *დამბმარე*.

საყოველთაოდ მიღებული განმარტების თანახმად, დამოუკიდებელ სიტყვებს აქვთ ნომინაციის ანუ სახელდების ფუნქცია, რასაც ისინი

ცალ-ცალკე ასრულებენ და შეუძლიათ ცალკე გამონათქვამის შექმნა.

დამოუკიდებელი სიტყვების კვალიფიკაცია მინიჭებული აქვთ: არსებით, ზედსართავ და რიცხვით სახელებს, ზმნებს და ზმნიზედათა გარკვეულ ნაწილს.

დამხმარე სიტყვებს ნომინაციის ფუნქციის შესრულება, ამ თვალსაზრისის თანახმად, მხოლოდ დამოუკიდებელ სიტყვებთან ერთად შეუძლიათ და მათ გარეშე ვერ ქმნიან ცალკე გამონათქვამს.

დამხმარე სიტყვების კვალიფიკაცია ენიჭებათ: ნაწილაკებს, კავშირებს, არტიკლებს, წინდებულებსა და თანდებულებს.

რაც შეეხება სუბსტიტუტებს ანუ ნაცვალსახელებს და დეიქტურ სიტყვებს, მათ ამ საკლასიფიკაციო სისტემაში საბოლოო კვალიფიკაცია ჯერ კიდევ არა აქვთ მიცემული.

ამიტომ საკუთარი ამოსავალი დებულებების მიმართ წინააღმდეგობრივია მსჯელობა:

„სიტყვა არის იერარქიული თვალსაზრისით პირველი ერთეული, რომელსაც სრულად აქვს ნომინაციური ფუნქცია, რაც იმას ნიშნავს, რომ სიტყვას ძალუძს დაასახელოს სინამდვილის გარკვეული სეგმენტი (სუბსტანცია: საგანი, მოვლენა, თვისება...) და რამდენადმე ასახოს ამ სეგმენტის სტრუქტურა თავის საკუთარ სტრუქტურაში“ (ლებანიძე 1997).

თუ სიტყვები იყოფიან *დამოუკიდებლად* და *დამხმარედ*. და მათგან დამხმარე სიტყვებს ნომინაციის ფუნქციის შესრულება მხოლოდ დამოუკიდებელ სიტყვებთან ერთად შეუძლიათ და ვერ ქმნიან ცალკე გამონათქვამს, გამოდის, რომ, ამ თვალსაზრისის ამოსავალი დებულებებიდან გამომდინარე, ყველა სიტყვა არ ყოფილა ნიშანი და, შესაბამისად, სიტყვის ცალსახად გამოცხადება ენობრივ ნიშნად კორექტულად ვერ ჩაითვლება.

ზემოთქმული უკვე საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ ეჭვი

იქნეს შეტანილი იმ კატეგორიული და პრინციპული პოზიციის სიმწყობრეში, რომელიც სწორედ ამ მახასიათებლის მიხედვით გამოირიცხავს მორფემის ნიშნად მიჩნევის შესაძლებლობას (აქ ტერმინ *მორფემას* ნიშნის აღსანიშნად ვიყენებ ენობრივი ნიშნის იერარქიული თეორიის თანახმად, სადაც მასში, ისევე როგორც ტერმინ *სიტყვაში*, იგულისხმება არა მხოლოდ აკუსტიკური ხატი, არამედ ცნებაც, ანუ აღმნიშვნელიც და აღსანიშნიც. ამაზე დაწვრილებით ქვემოთ მექნება მსჯელობა).

მაშასადამე, როდესაც პირველ სრულ ანუ ნამდვილ ნიშნად ცხადდება *სიტყვა*, რაკი მას აქვს „დამოუკიდებელი რეფერენტი“ ირკვევა, რომ ეს განცხადება ანგარიშს არ უწევს სიტყვის ზემოთმოყვანილ საკლასიფიკაციო სქემას, რომელიც სიტყვებს აძლევს დამოუკიდებელი და დამხმარე სიტყვების კვალიფიკაციას, ისევე როგორც არ უწევს ანგარიშს სიტყვის ფორმათვალებას.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ენობრივი ნიშნის თითოეულ დეფინიციას აქვს თავისი „მართებული არე“.

ტერმინი „მართებული არე“ ქართულ მეცნიერებაში შემოიტანა გრიგოლ რობაქიძემ და ეს ტერმინი აღნიშნავს ისეთ სემანტიკურ ველს ან კონტექსტს, სადაც რაიმე ოდენობას (სიტყვას, საგანს, ხდომილებას...) ცალსახა, ერთადერთი, მხოლოდ *ad hoc* მართებული, რელევანტური და არაინტერპრეტირებადი მნიშვნელობა აქვს.

ტერმინი „ნიშანი“ კი კომუნიკაციურ და სემიოტიკურ (*resp.* კომპარატივისტულ) ლინგვისტიკაში სულაც არ ნიშნავს ერთსა და იმავეს. ისევე როგორც ტერმინი „ენა“ სხვადასხვა შინაარსის შემცველია, ვთქვათ, კომპარატივისტიკასა და სოციოლინგვისტიკაში — პირველში ის განისაზღვრება მონათესავე ენობრივ ერთეულთა მიმართ ბეგრათშესატყვისობათა საკუთარი სისტემის მქონებლობით, მეორეში კი საზოგადოებაში ფუნქციონირების სტატუსის მიხედვით.

ერთი სამეცნიერო დისციპლინის ანუ მართებული არის შიგნით ტერმინს არ შეიძლება ჰქონდეს პოლისემიური მნიშვნელობა, ხოლო ორ სამეცნიერო დისციპლინას, მით უმეტეს, ორ სხვადასხვა მეცნიერებას (resp. მართებულ არეს) შორის ტერმინს არ შეიძლება, ან, უფრო ზუსტად, არ უნდა ჰქონდეს სინონიმური მნიშვნელობა.

მანანა ჭირაქაძის თანახმად: „...ტერმინი, ლექსემის იმ მრავალი მნიშვნელობიდან, რაც მის შინაგან ფორმას შეადგენს, მიემაგრება ერთს (უმეტეს შემთხვევაში — ახლად შექმნილი ცნების აღმნიშვნელს), რომელიც ღირებულებას იძენს მნიშვნელობათა მხოლოდ ერთ სისტემაში, ერთ დარგობრივ კონტექსტში. ამ კონტექსტის მიღმა სიტყვა კარგავს თავის ტერმინულ მნიშვნელობას და იქცევა ლექსემად“ (ჭირაქაძე 1995 35).


შესაბამისად: ტერმინის ჰემმარიტი შინაარსი ამოცნობადია მხოლოდ მისი ad hoc მართებული არის მიხედვით.

კომუნიკაციური ლინგვისტიკა და სემიოტიკური (resp. კომპარატივისტული) ლინგვისტიკა კი სწორედ ორი სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინა ანუ სხვადასხვა მართებული არეა — შესაბამისად, ტერმინ ნიშანი-ს დეფინიცია მათ განსხვავებული აქვთ და ამ დიფერენციაციის გაუთვალისწინებლობა მსჯელობას არაკორექტულ ხასიათს ანიჭებს, რადგან რეალურად საქმე ეხება არა სხვადასხვა თვალსაზრისებს ერთისა და იმავეს შესახებ, არამედ სხვადასხვა სისტემის ელემენტთა შიდასისტემური ღირებულების დადგენას.

ზოგადი (resp. სემიოტიკური, კომპარატივისტული) ლინგვისტიკის მართებულ არეში — ნიშანი მორფემაა.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ეს კლასიფიკაცია და კვალიფიკაციები არ წარმოადგენენ უნივერსალიებს. რადგან, როგორც ზემოთაც ვთქვი, არის ენები, მაგ. ჩინური, რომლის მიმართაც წარმოდგენილი სქემა არც კორექტულია და არც ადეკვატური.

მეორეც, იმ ენებში, სადაც სიტყვათა ფორმაცვალება გვაქვს, ჩვეულებრივია (და არა უნივერსალური) შემდეგი მოდელი:



ფორმაცვალებადი სიტყვებიდან ყველაფერი, რაც იბრუნვის — სახელია, ყველაფერი, რაც იულვლის — ზმნა (შესაბამისად, ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოყენებული, ტერმინი **სახელზმნა** ნონსენსია როგორც ქართველური, ასევე სხვა ისეთი ტიპის ენებისთვის, სადაც არ მოიპოვება ენობრივი ერთეული, რომელიც ერთდროულად იქნებოდა როგორც ბრუნების, ასევე უღვლილების პარადიგმის წევრი); მაგრამ რაკი ბრუნებაც და უღვლილებაც მხოლოდ ფორმაცვალებაა და არა სიტყვააცვალება, ბრუნებისა თუ უღვლილების პარადიგმათა რომელი აკუსტიკური ხატით განსხვავებული ერთეული უნდა იქნეს მიჩნეული რეფერენტად? ეს განსაკუთრებით ეხება ზმნას, რადგან ის განსხვავებით სახელისაგან, რომელსაც შეიძლება წრფელობითი ბრუნვა ჰქონდეს, გაუფორმებლად პოენიერი არასოდეს იქნება უღვლილების პარადიგმაში.

ბრუნების მაგალითი ზემოთ მოვიყვანე; ახლა ზმნის პარადიგმას მივმართოთ; მაგ. უდიურის ბესუნ „კეთება“ ზმნის უღვლების სუ-

რათს მხოლოდითი რიცხვის პირველ პირში:

აწმყო	ბეს-ა-ზ ^რ უ ¹
ნამყო-უსრული	ბეს-ა-ზუ-მ
აორისტი I	ბი-ზ- ^რ უ ¹
აორისტი .II	ბე-ზ- ^რ უ ¹
გარდასული	ბე-ზუ-მ
მყოფადი	ბ-ალ-ზუ

ეს ხომ სხვადასხვა სიტყვა არ არის, ეს ერთი სიტყვის ფორმა ცვალებაა უღვლილების პარადიგმაში.

რა არის აღსანიშნი (რეფერენტი ანუ დენოტატი) გასაგებია — „კეთება“ ცნება უცვლელია, მაგრამ რომელია აღმნიშვნელი (სიგნიფიკატი), მაგ. ბესუნ თუ ბალზუ?

იბერიულ-კავკასიურ ენებში უღვლილების სხვადასხვა ტიპი არსებობს: კლასოვანი (ჩეჩნურ-ინგუშურ და ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში); კლასოვან-პიროვანი (ბაცბურში და ლაკურ-დარგულუსა და თაბასარანულ ენებში); პიროვანი (ქართველურ ენებში, ბასკურში, ადიღურ ენებსა და უდიურში); არის პირისა და კლასის მიხედვით ფორმაუცვლელი ზმნაც (ლეზგიურსა და ალულურში) (ჩიქობავა 1979 162-184); მაგრამ, როგორც ვთქვი, ამ ენებში არ არსებობს საერთოდ ფორმაუცვლელი ზმნა; შესაბამისად, „დამოუკიდებელი სიტყვა“ (ამ შემთხვევაში ზმნა) სახელდებას ანუ ნომინაციას ახდენს არა ერთი აკუსტიკური ხაზით (resp. ფორმით), არამედ რამდენიმეთი.

აქედან გამომდინარე, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სიტყვა წარმოადგენს კომბინაციას ძირეული და აფიქსალური მორფემებისას, რომელთაგან თითოეულს აქვს თავისი დამოუკიდებელი რეფერენტი.

ამ შემთხვევაში (ad hoc) ტერმინი **დამოუკიდებელი** უნდა გავიგოთ შემდეგი მნიშვნელობით — ცალკე, გნებავთ საკუთარი და

მუდმივი რეფერენტი, რომელიც არ არის დამოკიდებული კომბინაციაში შემავალი სხვა მორფემების რეფერენტზე (აქ არ არის ლაპარაკი კომბინაციის ფორმალურ წესებზე).

როცა ვლაპარაკობ, არ არის დამოკიდებული — მეთქი, ვგულისხმობ იმას, რომ რეფერენტთა გარკვეულ ტიპებს შეიძლება განსხვავებული კომბინაციებიც ჰქონდეთ, მაგ., თუ ენაში არის განსხვავება მაგ., სულიერსა და უსულოს (resp. პიროვნებასა და არაპიროვნებას), განსაზღვრულისა და განუსაზღვრელის და ა. შ. ცნებათა შორის, მათ განსხვავებული პარადიგმები ექნებათ და, ცხადია, შეზღუდული კომბინაციებიც გარკვეული აკრძალვებით, მაგრამ თვითონ კომბინაციებში შემავალი ძირეული და აფიქსალური მორფემები არ იქნება ერთმანეთზე დამოკიდებული. ვთქვათ, ენა ასხვავებს გრამატიკულ კლასებს, მაგ. ხუნძური (მხოლოდითში):

- I კლასი (მამაკაცი. ვინ-კლასი) ვ-
- II კლასი (ქალი. ვინ-კლასი) ძ-
- III კლასი (და სხვა. რა-კლასი) ბ-

გვექნება:

- I ვ-ას ვ-უგო „ვაყიშვილი არის“ („ძეა“)
- II ძ-ას ძ-იგო „ქალიშვილი არის“ („ასულია“)
- III ბ-ას ბ-უგო „ნაშიერი (ცხოველისა) არის“

ვ, ძ და ბ აფიქსალური მორფემები ყოველთვის იქნება აღმნიშვნელი შესაბამისი კლასის და არ იქნება დამოკიდებული ძირეული მორფემის რეფერენტზე და პირიქით. მაგ.:

- I. ვ-აცო ვ-უგო „ძმა არის“ („ძმია“)
- II. ძ-აცო ძ-იგო „და არის“ („დაა“)
- III. ბ-აცო ბ-უგო „და ან ძმა (ცხოველის) არის“

და ა. შ.

ს- (<ს. ლად. *ს-) ძირეული მორფემა აღნიშნავს ნაშეირს, შვილს ანუ აღნიშნავს ცნებას დამოუკიდებლად კლასის ნიშნისაგან (აფიქსალური მორფემისაგან) — მისი კომბინაცია იძლევა: ვ-სთან „ვაჟიშვილს“, მ-სთან „ქალიშვილს“, ბ-სთან „რა კლასის ნაშეირს“ (სინქრონიაში როგორც წესი — ხბოს, მოზვერს).

ც- (<ს. ლად. ც*) ძირეული მორფემა აღნიშნავს შენი ნულოვანი დონის სისწლით ნათესავს, შენი დედ-მამის შვილს, მისი კომბინაცია იძლევა: ვ- აფიქსალურ მორფემასთან „ძმას“, მ-სთან „დას“, ბ-სთან დას ან ძმას რა კლასის არსებისას.

ვ(ვ), მ და ბ კლასის ნიშნები შეიძლება იმავდროულად სუფიქსებადაც მოგვევლინონ მაგ. ნაცვალსახელებში:

- I. ვ-უგო დო-ჟ „არის ის“ (კაცი)
- II. მ-იგო დო-მ „არის ის“ (ქალი)
- III. ბ-უგო დო-ბ „არის ის“ (არაპიროვნება)

და ა. შ.

ან ზმნიზედებში:

- I. ჟანი-ვ „შიგნით“ (კაცში)
- II. ჟანი-მ „შიგნით“ (ქალში)
- III. ჟანი-ბ „შიგნით“ (რაიმეში)

და ა. შ.

აქ კლასის ნიშანმა ადგილი შეიცვალა: პრეფიქსიდან სუფიქსად იქცა. აღნიშვნის პრინციპი კი უცვლელი დარჩა.

შესაბამისად, ყველა მორფემას, როგორც ძირეულს ისე აფიქსალურს, აქვს თავისი დამოუკიდებელი რეფერენტი ანუ დენოტატი თუ სიგნიფიკატი (აღსანიშნი) და თავისი აღმნიშვნელი.


ყოველივე ზემოთქმული სრულ შესაბამისობაშია ფერდინანდ დე სოსიურის მიერ წამოყენებულ ენობრივი ნიშნის ორივე პრინციპთან:

პირინციპი პირველი: ნიშნის ნებისმიერობა — „კავშირი,

რომელიც აერთებს აღმნიშვნელს აღსანიშნთან, ნებისმიერია;... იგივე აზრი ჩვენ შეგვიძლია უფრო მარტივად გამოვთქვათ: ენობრივი ნიშანი ნებისმიერია“ (სოსიური 1977 100).

პრინციპი მეორე: აღმნიშვნელის ხაზოვანი ხასიათი — „აღმნიშვნელი, წარმოადგენს რა თავისი ბუნებიდან გამომდინარე სმენით აღქმადს, განფენადია მხოლოდ დროში და ხასიათდება დროისაგან ნასესხები ნიშნებით: ა) მას აქვს განგრძობითობა და ბ) ამ განგრძობითობას აქვს ერთი განზომილება — ეს ხაზია“ (სოსიური 1977 103).

თანაც, და ეს ანგარიშგასაწევი არგუმენტია, თუ ამოვალთ დებულებიდან, რომ ენობრივი ნიშანი შეიძლება ასე გამოისახოს:




მაშინ უნდა მოვახდინოთ ფაქტის კონსტატაცია — ენობრივი ნიშანი არა მარტო ცალსახად ნებისმიერია (არაგაპირობებული), არამედ ასევე ცალსახად არამოტივირებულიც.

მოტივირებული ენობრივი ნიშნების კომბინაციაა.

კერძოდ, ჩვენ არ ვიცით მოტივაცია, რატომ აღნიშნავს ძირეული მორფემა კაც-ადამიანს, ან რატომ აღნიშნავს აფიქსალური მორფემა -ი სახელობით ბრუნვას (ეს მორფემა საკუთრივ ქართულში იგი ნაწევრიდან არის წარმოშობილი, ვარაუდობდა აკაკი შანიძე, სინამდვილეში კი მისი რეკონსტრუირება სახელობითი ბრუნვის

აფიქსად სრული უეჭველობით ხერხდება როგორც საერთო-ქართველური ფუძე-ენის, ასევე საერთო-ბასკურ-ქართველური ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეებზე), მაგრამ მოტივირებულია მათი კომბინაცია: **კაცი** და **ა. შ.**

ეს მით უმეტეს ითქმის ცალთანხმოვნიან ძირებზე. მაგ., რა თქმა უნდა, ქართველურ ენებში სრულიად ნებისმიერია და არამოტივირებული **თ-** ძირეული მორფემის კავშირი სინათლის სემანტიკასთან, მაგრამ აბსოლიუტურად მოტივირებულია მისი კომბინაციები აფიქსალურ მორფემებთან, რომელთა კავშირი, თავის მხრივ მათ მიერ აღნიშნულ სემანტიკასთან ასევე ნებისმიერი და არამოტივირებულია:



აქ მოყვანილი სიტყვებიდან ზოგი საერთო-ქართველური ქრონოლოგიური დონის კომბინაციაა, ზოგიც ჩვენს დროშია შექმნილი (მაგ., ახალი წელთაღრიცხვის XX საუკუნეში — ნათურა, ასანთი — ეს უკანასკნელი, გრიგოლ რობაქიძის თქმით, მისი ქმნილება) საერთო-ქართველური ქრონოლოგიური დონის მასალითა და კომბინაციის წესებით. მთავარია, რომ ადამიანმა, როგორც ენობრივმა არსებამ, იცის მორფემათა სემანტიკა და მათი კომბინაციების მოტივირებულობა, ამიტომ მას შეუძლია ნებისმიერი კომბინაციის ჩატარება, მაგ., ნასესხები სიტყვის ჩასმა ბრუნებისა თუ უღვლილების პარადიგმაში და ა. შ. შეუძლია საჭიროების შემთხვევაში დაუბრკოლებლად აწარმოოს, ვთქვათ, სახელიც კი ზმნის პირიანი ფორმიდან:

მრწამს მე > მრწამს-ი „რწმენის სიმბოლო“

არს ის > არს-ი „რაობა“, „არსება“

ხერთვის ის მას > ხერთვის-ი „შესართავი“,

„ნახევარკუნძული“, „კუნძული“

და ა. შ.

რაც ხორციელდება ზმნის პირიან ფორმაზე ბრუნვის ნიშნის დართვით. შეუძლია პირიქითაც, სახელიდან აწარმოოს ზმნა, მეტიც, მას ძალუძს დაუბრკოლებლივ მოახდინოს მისთვის უცნობი სემანტიკის ან სულაც სემანტიკის არმქონე სიტყვების კომბინირება ნაცნობ აფიქსალურ მორფემებთან, მაგ. ავანგარდისტულ ლექსში და დარწმუნებული იყოს რომ მკითხველისთვის შეიძლება პრობლემური აღმოჩნდეს ძირეული მორფემის სემანტიკის დადგენა, მაგრამ ლექსიკურ ერთეულთა კვალიფიკაციას (ფორმაცვალებადობის მქონე ენებში) უპრობლემოდ მოახდენს:

შარდალს შორდება ძილი

ძილდინა გაგულისდა

დღისური ქანდაძირი

მთვარეზე გასულისდა
გოგონა მოგონა ხანძარი
სოფელი მოფორა მოშარა
თან სურდა სურდული ზვანჯარი
თან შურდა შანდი და შროშანა

ქართველი ფუტურისტი პოეტის ნიოგოლ ჩაჩავას ეს ლექსი ზემოთქმულის დასადასტურებლად მოვიხმე; ასეთივე წარმატებით შეიძლებოდა როგორც სხვა ფუტურისტი თუ დადაისტი პოეტების ლექსის მოხმობა (ს. ჩიქოვანი, ვ. ხლებნიკოვი, ა. კრუჩინიჩი, ი. ზდანევიჩი და სხვ.) ასევე ფოლკლორული ტექსტების, ვთქვათ, შელოცვების, გათვლების და ა. შ. დამოწმებაც.

არცთუ იშვიათად როგორც ძირეულ, ასევე აფიქსალურ მორფემებს ახასიათებთ: ა) ალომორფების პოვნეირება; ბ) სინონიმურობა; გ) ომონიმურობა და ა. შ.

მორფემები ნებისმიერი, მაგრამ ცალსახა მარკერებია, ანუ ისინი წარმოადგენენ ფორმალურ თუ სემანტიკურ დეტერმინატივებს (resp. კლასიფიკატორებს), ხოლო მათი კომბინაციები მკაცრად მოტივირებულია, და, თავის მხრივ, ამ კომბინაციის მოტივირებულობაც მარკერის როლს ასრულებს.


მთავარი აქ ის არის, რომ სემიოტიკურ ლინგვისტიკაში ენობრივ ნიშნად მიჩნეული უნდა იქნეს არა ცნებისა და აკუსტიკური ხატის ერთიანობა, სადაც ენობრივ ნიშნად სიტყვა იგულისხმება, არამედ მნიშვნელობისა და აკუსტიკური ხატის ერთიანობა, სადაც მორფემა (ძირეული თუ აფიქსალური) გვევლინება, სიტყვა მიიღება მნიშვნელობათა და მორფემათა კომბინაციით.

ამ დაზუსტების პრინციპული ხასიათი მომდევნო მსჯელობაში იჩენს თავს.


1.1.2. ენობრივი ნიშნის სემიოტიკური იერარქიის კორექციისათვის.

ნიშნის სემიოტიკური მოდელი, რომელსაც ნიშნის სამგანზომილებიან მოდელადაც მოიხსენიებენ, ამერიკელი ფილოსოფოსის ჩარლზ პირსის (1839-1914) სახელს უკავშირდება, მოდელის რეანიმაცია კი — პირსის მიმდევარ ჩარლზ უილიამ მორისს.

მოდელს, ჩვეულებრივ, ასეთი გრაფიკული სქემის სახით გვთავაზობენ:



ან სამკუთხედის ფორმით წარმოადგენენ:



ან, უბრალოდ, ჰორიზონტალზე შემდეგი იერარქიული თანამიმდევრობით განლაგებენ:

სინტაქტიკა > სემანტიკა > პრაგმატიკა

ტერმინებს კი ასეთი დეფინიციები ეძლევათ:

სინტაქტიკა — გულისხმობს (resp. იკვლევს) ნიშნის მიმართებას სხვა ნიშანთან;

სემანტიკა — გულისხმობს (resp. იკვლევს) მიმართებას ნიშნის შიგნით აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის;

პრაგმატიკა — გულისხმობს (resp. იკვლევს) მიმართებას ნიშანსა და მის მომხმარებელს შორის.

იგულისხმება, რომ ხდება კვლევის ასპექტთა იერარქიული, საფეხურებრივი ამაღლება მარტივიდან რთულისაკენ, უსრულიდან სრულისაკენ.

ჭერჭერობით ამ სამივე ასპექტის ცალსახად შემცველი სემიოტიკურ სისტემათაგან ჩემთვის მხოლოდ ორია უეჭველი: ენა და ი-ძინი (ამ უკანასკნელის სემიოტიკური სრულფასოვნების გამოვლენა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატისა და სინოლოგის თ. ნაკაშიძის დამსახურებაა).

ემილ ბენვენისტი თვლიდა, რომ „ენა გვაძლევს ერთადერთ მაგალითს სისტემისა, რომელიც სემიოტიკურია ერთდროულად თავისი ფორმალური სტრუქტურითაც და თავისი ფუნქციონირებითაც“ (ბენვენისტი 1974 86); ი-ძინ-ის სახით გამოვლინდა უკვე მეორე ასეთი მაგალითი.

ჩემი კვლევის საგანი ენაა.

ენა ნიშანთა სისტემა (resp. ნებისმიერი ნიშანთა სისტემა).

ენობრივ ნიშანთა სემიოტიკური მოდელის იერარქიაში კი შეუწყნარებელი ჩანს სინტაქტიკის და სემანტიკის იერარქიული ურთიერთმიმართება, რასაც თეორიულ ლინგვისტიკაში, ჩვეულებრივ, ან უკომენტაროდ გვაწვდიან, როგორც ფაქტს, როგორც თავისთავად საგულისხმოს, ან, გრძნობენ რა ამ ლოგიკისტური თანმიმდევრობის არამართლზომიერებას, ლინგვისტური პოზიციიდან, ცდილო-

ბენ აბსურდული გამართლება მოუძებნონ, მაგალითად, ისეთი, როგორც პირადად მეც მაქვს მოსმენილი ლექციაზე ავტორიტეტული უფროსი კოლეგისაგან, თითქოს შეიძლება გვეკონდეს ან შეიძლება ხელოვნურად იქნეს შექმნილი ისეთი სისტემა თუ სისტემები, რომლებშიც იქნება ნიშანთა სინტაქტიკური მიმართებები, მაგრამ თვით ეს ნიშნები მოკლებულნი იქნებიან სემანტიკას.

აქ ცალსახად უნდა ითქვას შემდეგი:

ა) თუ ნიშანი (*ad hoc*. ენობრივი ნიშანი) არის განუყოფელი ერთობა ცნებისა და აკუსტიკური ხატისა, ანუ აღსანიშნისა და აღმნიშვნელისა — რასაც იკვლევს სემანტიკა. შესაბამისად, რაც არ წარმოადგენს ცნებისა და აკუსტიკური ხატის ანუ აღსანიშნისა და აღმნიშვნელის განუყოფელ ერთობას, ნიშანი არ არის და არც სემანტიკასთან ექნება რაიმე კავშირი.


ბ) თუ გვაქვს რაღაც, რაც ნიშანი არ არის, მისი მიმართების კვლევა მეორე რაღაცასთან რაც ასევე არ არის ნიშანი, არ შეიძლება იყოს სინტაქტიკის კვლევის სფერო, რადგან სინტაქტიკა იკვლევს ნიშნის მიმართებას სხვა ნიშანთან (*resp.* ნიშნებთან).

გ) როგორ შეიძლება არსებობდნენ ან ჩვენ როგორ შეიძლება შევექმნათ სისტემები, რომლებშიც იქნება ნიშანთა სინტაქტიკური მიმართებები, თუ თვით ეს ნიშნები მოკლებულნი იქნებიან სემანტიკას — თუ ისინი იქნებიან მოკლებულნი სემანტიკას ანუ არ ექნებათ აღსანიშნი და აღმნიშვნელი. ე. ი. ისინი არ წარმოადგენენ ნიშნებს, ხოლო არანიშნები სისტემად არც თავისით გაერთიანდებიან და ვერც ჩვენ ვაქცევთ მათ სისტემად.

ზემოთ მე საგანგებოდ მოვიყვანე ფუტურისტული ლექსი, რათა მეჩვენებინა, რომ მორფემათა კომბინაცია ცალსახად განსაზღვრავს სემანტიკას (ცხადია, მნიშვნელობის და არა შინაარსის თვალსაზრისით).

და, შეუძლებელია არსებობდეს ნიშანი, რომლის სემანტიკა არ გამჟღავნდება სხვა ნიშნებთან ურთიერთობაში ანუ სინტაქტიკურ დონეზე.

შესაბამისად, ენობრივ (და ი-ძინის) ნიშანთა სემიოტიკური იერ-არქია ასეთი სქემით უნდა იქნეს წარმოდგენილი:



ან:

სემანტიკა > სინტაქტიკა > პრაგმატიკა

სემანტიკა გაგებული უნდა იქნეს როგორც ნიშანი სოსიურისეული დეფინიციით, ანუ აღსანიშნისა და აღმნიშვნელის განუყოფელი ერთიანობა.

სინტაქტიკა — გაგებული უნდა იქნეს როგორც ენობრივი ღირებულება სოსიურისეული დეფინიციით.

იგივე თვალსაზრისი უდევს საფუძვლად ჰუმბოლდტის მტკიცებას, რომ „ენათა შორის სინონიმურობა არ არსებობს.


პრაგმატიკა — გაგებული უნდა იქნეს ჰუმბოლდტიანური ლინგვისტური ანთროპოლოგიის კონტექსტში — ადამიანი როგორც ენობრივი არსება (resp. ადამიანები, რომლებიც ცხვრობენ მათი ენით აგებულ სამყაროში).

ენობრივი ნიშნის კვლევის იერარქიული დონეები (resp. ხარისხები) ასე უნდა დალაგდეს:


1. სემანტიკა — ნიშანი (აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ურთიერთმიმართება):



2. სინტაქტიკა — ნიშნისა და ნიშნის (resp. ნიშნების) ურთიერთობა:



ეს სინტაგმატიკაში, პარადიგმატიკაში შეიძლება ამგვარი რეალიზაცია გვექონდეს:



3. პრაგმატიკა — ნიშნისა და ადამიანის (resp. ერის) ურთიერთმიმართება.

ენობრივი ნიშნის თეორიაში შემოტანილ იქნა „ნიშნის სის-

რულის“ ცნება, ეს ცნება ვითარდებოდა;

პირველ ეტაპზე სრულ ნიშნად გამოცხადებული იყო **სიტყვა** რაც, როგორც ვთქვი, სოსიურიდან მომდინარე ტრადიციას წარმოადგენდა.

მეორე ეტაპზე სრულ ნიშნად გამოცხადდა **წინადადება** (შესაბამისად, სიტყვა მიჩნეულ იქნა არასრულ ნიშნად, აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო არასრულ ნიშნად გამოცხადდა მორფემა). ამის საპირისპიროდ ემილ ბენვენისტი თვლიდა, რომ წინადადება არ არის ნიშანი, თუმცა შედგება ნიშნებისაგან.

მესამე ეტაპზე სრულ, მეტიც, საბოლოოდ სრულ ნიშნად გამოცხადდა **ტექსტი** (პეტერ ჰარტმანი), ტექსტის მომდევნო სრული ნიშნის არსებობა გამორიცხულია, მის შემდეგ ნიშნობრიობა იკარგება.

ამ თვალსაზრისის საფუძველზე ჩამოყალიბდა თეორიული ლინგვისტიკის თანამედროვე განსაზღვრა — როგორც კომუნიკაციური **ლინგვისტიკის**, რომელიც ნიშნის სემიოტიკური მოდელისა (ჰორიზონტალი) და ნიშნის სისრულის იერარქიის (ვერტიკალი) გადაკვეთაზე მოიაზრება (ლებანიძე 1998):

სინტაქტიკა > სემანტიკა > პრაგმატიკა: კომუნიკაციური
ლინგვისტიკა

ტექსტი

წინადადება

სიტყვა

ზემოთ, ვფიქრობ, ერთმნიშვნელოვნად ვაჩვენე ჩემი დამოკიდებულება, როგორც სინტაქტიკისა და სემანტიკის ადგილის განსაზღ-

ვრასთან დაკავშირებით სემიოტიკურ იერარქიაში და ამ იერარქიის კორექციის აუცილებლობის დასაბუთებაც წარმოვადგინე. ეს — რაც შეეხება პორიზონტალს, რაც შეეხება ვერტიკალს, ამასთან დაკავშირებითაც გამოვხატე ჩემი პოზიცია — კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში პირველი ნამდვილი ნიშანი სიტყვაა, მაგრამ სემიოტიკური ლინგვისტიკის დონეზე ერთადერთი ნიშანი არის მორფემა; მორფემა **სრული ნიშანია**, რადგან ის შეიცავს როგორც აღსანიშნს (მნიშვნელობას), ასევე აღმნიშვნელს (აკუსტიკურ ხატს) და, რაც მთავარია, ნიშანს მოეთხოვება იყოს აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ერთობლიობა, აღსანიშნის აღნიშვნა კი სულაც არ უდრის სახელდებას, ანუ ნომინაციას, და არც აუცილებლად გულისხმობს მას.

მატერიალურად მორფემა შეიძლება ემთხვეოდეს:

ა) **ფონემას** (ე. ი. წარმოდგენილი იყოს ერთი თანხმოვნის ან ერთი ხმოვნის სახით).

ბ) **სიტყვას** (როგორც ე. წ. იზოლირებულ ენებში, მაგ. ჩინურში, ასევე მორფოლოგიური კონსტრუქციის ენებში — უდეტრები).

ძირეული და აფიქსალური მორფემების კომბინაციამ შეიძლება მოგვცეს:

ა) **სიტყვა**

ბ) **წინადადება** (და არა მარტო ინკორპორაციულ ენებში)

ნებისმიერ შემთხვევაში ეს იქნება ნიშანთა კომბინაცია ანუ სინტაქტიკის საგანი. ქვემოთ იბერიულ-კავკასიურ ენათა ძირის სტრუქტურა და ფუძეთქმნადობა განხილული იქნება კომბინატორიკის (კომბინაციის წესების) პოზიციიდან ანუ სინტაქტიკური თვალსაზრისით, ზემოთჩამოყალიბებული ენობრივი ნიშნის მორფემატული თეორიის თანახმად. ყურადღება ძირითადად სახელურ ფუძეთქმნადობაზე იქნება გამახვილებული.

1.2. ძირეულ და აფიქსალურ მორფემათა სტრუქტურები და კანონიკური კომბინაციები იბერიულ-კავკასიურ ენებში

ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, რის გამოც იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის კომპარატივისტული დასაბუთების ისედაც მცირერიცხოვანი ცდები არცთუ დამაჭერებლად გამოიყურებოდა, შესაძარებელ ლექსიკურ ერთეულთა სეგმენტაციის მართლზომიერების სადავო ხასიათი იყო (რელატიური ქრონოლოგიისა თუ ქრონოლოგიური დონეების გამიჯვნის პრობლემებისადმი უყურადღებობასთან ერთად).

ესა თუ ის ავტორი ძირის სტრუქტურისა და ფუძეთქმნადობის პრობლემას წყვეტდა არა ინდუქციური, არამედ დედუქციური გზით, გარკვეულ, მისთვის აპრიორულად მისაღებ თვალსაზრისზე დაყრდნობით.

სხვადასხვა ავტორთან ეს თვალსაზრისები არა თუ განსხვავებული, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი იყო და თითოეული მათგანი ცდილობდა მის მიერ წინასწარ არჩეული სტრუქტურული მოდელისა და თვალსაზრისის დამადასტურებელი მაგალითები გამოეცხადებინა კანონიკურად და დომინანტურად, ხოლო დანარჩენი მასალისთვის არარელევანტურის კვალიფიკაცია მიეცა.

არადა არსებითად ენათა ნათესაობის ისტორიულ-შედარებითი მეთოდით კვლევის დაწყების დღიდანვე ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად იქცა შესაძარებელ ერთეულთა სტრუქტურული ურთიერთმიმართების საკითხი, რამდენადაც საკმაოდ არაერთგვაროვან სურათს წარმოადგენს არა მხოლოდ შესაძარებელ რეალურ ენობრივ ერთეულთა მორფო-ფონემური აგებულება, არამედ ასევე

ნაირგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა შინაგანი და შედარებითი რეკონსტრუქციის მონაცემები ისტორიულ ძირ-ფუძეთა ურთიერთმიმართების თვალსაზრისით.

ამდენად, შედარებითი კვლევის დროს მეცნიერულად საფუძვლიან სეგმენტაციასა და სტრუქტურულ ინტერპრეტაციას მოითხოვს ის მასალობრივი მონაცემები, რომლებიც ან ცოცხალი ენების რეალურ ლექსემებს წარმოადგენენ, ანაც (დამოუკიდებლად თუ ამ პირველებთან ერთად) ენობრივი ქვეჯგუფების დონეზე რეკონსტრუირებულ არქეტიპულ ერთეულებს.

ვითარებას უფრო ართულებს ის, რომ თანამედროვე მკვლევარს გამოყენება უხდება ცალკეული ოჯახისა და ჯგუფის ენათა ცალკეული მკვლევრების სულ სხვადასხვა თეორიულ პოსტულატებზე დაფუძნებული და ნაირგვარად სეგმენტირებული მონაცემებისა, რომელთა კრიტიკული განხილვა ზოგჯერ განუსაზღვრელი მასშტაბის კონკრეტულ ისტორიულ-მორფოლოგიურ (აგრეთვე — მორფონოლოგიურ) ექსკურსს მოითხოვს.

ინდო-ევროპული კომპარატივისტიკის ფუნდამენტურმა შედეგებმა, აგრეთვე სხვა ენობრივი ოჯახების შესწავლამ წარმოაჩინა რამდენიმე ისეთი ზოგადი კანონზომიერება, რომელთა გაუთვალისწინებლობა თანამედროვე შედარებითი კვლევის დროს ზღვაში უკომპასოდ შესვლას დაემსგავსებოდა. ამიტომაც სტრუქტურული ტიპოლოგიის გათვალისწინება კომპარატივისტული ოპერაციებისა თუ მიღებული შედეგების ვერიფიკაციის დროს ერთ-ერთ აუცილებელ მომენტად ისახება (იაკობსონი 1958 17-25).

რა ზოგადი კანონზომიერებანი მოითხოვს გათვალისწინებას ენათა შედარებითი კვლევის დროს?

1. სიტყვის ძირისა და ფუძის დერივაციული იერარქია ისტორიული სიტყვათქმნადობის პროცესში;

2. თითოეული ენის ლექსიკური ძირის ფონოლოგიური სტრუქტურის სპეციფიკა;
3. თანხმოვანთა კლასების როლი ძირეულ და აფიქსალურ მორფემათა შენებაში ერთგვაროვანი არ არის: ის ფონემები, რომლებიც ძირთა შენებაში მონაწილეობენ, თითქმის არ გვხვდება მორფემებში და — პირიქით;
4. ძირთა გახმოვანების (მარცვლოვნობის) ბუნება;
5. ფუძეთა სტრუქტურა და მათი შენების თავისებურება;
6. ძირეულ და აფიქსალურ მორფემათა სინტაგმატიკის მექანიზმები;
7. პრეფიქსულ და სუფიქსურ მორფემათა როლისა და ფუნქციის საკითხი პირვანდელ ფუძეთა შენებაში;
8. ძირეულ და აფიქსალურ მორფემათა სტრუქტურული ურთიერთმიმართების კანონები;
9. რედუქციის (მახვილის) როლი ისტორიულ ფუძეთა წარმოქმნის პროცესში;
10. ზმნურ და სახელურ ფუძეთა ურთიერთმიმართების პრობლემა.

ეს საკითხები, შეიძლება ითქვას, ინდო-ევროპულ ენათა ოჯახისათვის, მისი ჯგუფებისა და ქვეჯგუფებისათვის არსებითად გარკვეულია (ა. მეიე, ე. ბენვენისტი...). ძირ-ფუძეთა სტრუქტურის ძირითადი ასპექტები ასევე შესწავლილია ქართველური და სხვა ძირეულ-კავკასიური ენების მონაცემთა მიხედვით. მაგალითად, აი, რა ზოგად კანონზომიერებებს წარმოაჩენს ამ თვალსაზრისით ბ. ფოჩხუა თავის „ქართული ენის ლექსიკოლოგიაში“:

„თავკიდურად გამოსულ ბგერათა წყებაში იშვიათთა შორის თითქმის არც ერთი არაა მაწარმოებელი პრეფიქსი.

...ამ შემთხვევებშიაც (იგულისხმება აუსლაუტი მ. ქ.) ყველაზე

ნაკლები სიხშირის ბგერები მორფემებში (სუფიქსებში) არ მონაწილეობენ.

ხშირი ხმარების ბგერები მორფემებში (პრეფიქსებში, სუფიქსებში) გამოვლენილი ბგერებია...

საკუთრივ ლექსიკოლოგიურ ინტერესს (ე. ი. ინტერესს საგნობრივი მიმართებით დახასიათებისათვის) უშუალოდ შეიძლება შეიცავდეს მცირე სიხშირის ფონემები“ (ფოჩხუა 1974 72-73).

ამ ხასიათის დაკვირვებები საკმარისად დაგროვდა კავკასიოლოგიაში, თუმცა მათი თავმოყრა, შეჯერება და გამთლიანება ღღემდე მაინც ამოცანად რჩება.

საგულისხმოა, რომ როგორც ქართველური ენების, ისე მთის კავკასიურ ენათა მონაცემების ძირ-ფუძეთა სტრუქტურული ბუნების საკითხი უშუალოდ სწორედ იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ჩამოყალიბებას დაუკავშირდა. ამ თვალსაზრისით უპირველესად აღნიშნავენ ივ. ჭავჭავაძის ფუნდამენტური ნაშრომის ზოგად მნიშვნელობას — „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ (თბილისი, 1937), რომელშიც წარმოდგენილია ცდა სწორედ სტრუქტურული ბუნებით იქნეს დაკავშირებული ერთმანეთთან კავკასიის აბორიგენი ენების ძირეული ლექსიკური მასალა. აქ ბევრი ისეთი აფიქსური ელემენტი გამოაწვევდა ქართველურ ისტორიულ ფუძეებში (მაგ., ბა-ვმე-ი), რომელთა მიკვლევა ამგვარი შედარების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. თუმცა ეს დაკვირვებები მაინც უპირატესად მეცნიერული ზონდირების დონეზე დარჩა და თეორიად ვერ განმტკიცდა, რამდენადაც შედარების ვერიფიცირებად მხარეს, ანუ ფონოლოგიურ კანონზომიერებებს არ ეფუძნებოდა.

მეთოდის პრობლემა შემდეგშიც, ლამის ღღემდე, ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად რჩებოდა როგორც იბერიულ-კავკასიურ ენათ-

მეცნიერებაში საერთოდ, ისე ქართველოლოგიაშიც.

ეს, უპირველეს ყოვლისა, ძირის სტრუქტურისა და ფუძის აგებულების თეორიებში ვლინდებოდა და მას შემდეგ, რაც ბგერათშესატყვისობების სფეროში იბერიულ-კავკასიური ენების ცალკეულ ჯგუფთა შიდა შედარებებმა მეტ-ნაკლებად ცხადი გახადა, რომ კომპარატივისტიკის უნივერსალური კანონები ამ ენებზეც ისევე ვრცელდებოდა, როგორც მსოფლიოს ყველა სხვა ენათა ოჯახზე, „დაბრკოლების ქვად“ სწორედ ეს თეორიები იქცნენ.

1971 წელს ჟურნალში „Вопросы языкознания“ № 2 19-30 და № 3 34-48 გამოქვეყნდა აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის სტატია: „თანამედროვე დიაქრონიული ლინგვისტიკა და ქართველური ენები“, რომელიც წარმოადგენდა ვრცელ და შთამბეჭდავ პასუხს აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას სტატიაზე „ქართველურ ენათა მიმართების საკითხისათვის ინდოევროპული და ჩრდილო-კავკასიური ენებისადმი“ („Вопросы языкознания“ 1970, № 2 50-62). ეს იყო ნაგვიანევი კრიტიკული რეცენზია თ. გამყრელიძისა და გ. მაქავარიანის კაპიტალურ მონოგრაფიაზე: „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“ (თბ., 1965).

მოსალოდნელი იყო, რომ დისკუსიას არნ. ჩიქობავა ქართველურ ენათა ძირის სტრუქტურისა და ფუძეთემნადობის მექანიზმის ირგვლივ წარმართავდა და ახალ, მისთვის მიუღებელ, თვალსაზრისს ფუძის აგებულების საკუთარ, ჯერ კიდევ 1942 წელს წამოყენებულ თეორიას დაუპირისპირებდა, გამდიდრებულს ახალი არგუმენტებითა და ფაქტებით; მაგრამ, აუხსნელი მიზეზების გამო, ასე არ მოხდა და არნ. ჩიქობავამ დავის საგნად სხვა, ნაკლებ ვერიფიცირებადი სფერო აირჩია.

ასევე სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ ასეთ პრინციპულ პოლემიკაში აკად. არნოლდ ჩიქობავამ აპელირებისათვის არ

მიმართა პროფ. ტოგო გუდავას ქართველოლოგიისათვის საეტაპო, ნაშრომს „ზანური (მეგრულ-ჭანური) სრულხმოვნობის ახსნის ცდა“, რომელიც ჟერ კიდეც 1950 წელს იქნა გამოქვეყნებული.

ამ ნაშრომის მნიშვნელობა განსაკუთრებულია, რადგან მისი მთავარი დებულების: „აქცესიური მარცვალის ზანურში რედუქციას არ განიცდის, ე. ი. ზანურმა სრულხმოვნობა, როგორც წესი, მხოლოდ აქცესიურ მარცვლებში შემოინახა (დაყოფა ავტორისაა — მ.ქ.)“ (გუდავა 1950 467) გათვალისწინების შემთხვევაში ფაქტობრივად მოხსნილი იყო საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონეზე სონანტთა სისტემის არსებობის დაშვების საჭიროება.

შეიძლებოდა ტ. გუდავას წესის ფართო ინტერპრეტაცია იმ თვალსაზრისით, რომ ზანური სრულხმოვნობა აქცესიურ მარცვლებში ახსნილიყო არა მხოლოდ რედუქციის არგანხორციელების შედეგად მათში თავდაპირველი ხმოვნის შემონახვით, არამედ აგრეთვე აქცესიურ კომპლექსში, რომელიც ზანურისთვის არაკანონიკურია, თუმცა არა აკრძალული, სუბერაციის მიზნით ხმოვნის გაჩენით (ქუთელია 1986), რაზეც ერთგვარად მინიშნებულია ტ. გუდავას ნაშრომშივე: „ცხადია, რომ ზანური აქცესიურ კომპლექსებს გაუბრის“ (გუდავა 1950 465).

არადა საერთო-ქართველურში სონანტთა სისტემის დაშვების რეალური მიზეზი ხომ სწორედ ზანური სრულხმოვნობის ახსნის აუცილებლობა იყო.

სამაგიეროდ, აკად. თ. გამყრელიძე საპასუხო სტატიაში თავად შეეხო ძირის სტრუქტურისა და ფუძეთქმნადობის მექანიზმს ქართველურ ენებში და არნოლდ ჩიქობავას თეორიას ასეთი შეფასება მისცა:

„დებულებამ „იბერიულ-კავკასიურ“ ენათა გენეტიკური ერთობის

შესახებ და მისით გაპირობებულმა წარმართვამ ქართველურ ენათა შედარებითი შტუდიებისა ამ ნათესაობის დადგენაზე ის შედეგი გამოიღეს, რომ ყურადღება ქართველურ ენათა შიდა შედარების საკითხებიდან გადატანილ იქნა მათ გარე შედარებასა და შეპირისპირებაზე ჩრდილოკავკასიურ ენებთან — აქედან გამომდინარე ყველა მეთოდოლოგიური შედეგი.

განსაკუთრებული ადგილი ამ მიმართულების ნაშრომთა შორის უჭირავს ა. ს. ჩიქობავას მრავალმხრივ საინტერესო და ორიგინალურ მონოგრაფიას „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“, რომელმაც თავის დროზე დადებითი როლი შეასრულა სამამულო ქართველისტიკის შედარებით-ისტორიული შტუდიების სტიმულირებაში. მაგრამ იგივე წიგნი, მისი ავტორის უალრესი მეცნიერული ავტორიტეტისა და გავლენის გამოისობის შედეგად, იქცა ფაქტორად, რომელიც აბრკოლებდა ქართველისტიკის შემდგომ განვითარებას, მასში ახალი, მონოგრაფიაში გადმოცემულ შეხედულებათა სისტემისაგან განსხვავებული, იდეებისა და თვალსაზრისების გაჩენას: მთელი მომდევნო მუშაობა ამ სფეროში ძირითადად დაყვანილ იქნა მხოლოდ წიგნში ფორმულირებული დებულებების დაზუსტებასა და მათ ილუსტრირებაზე კონკრეტული ენობრივი მასალით.

ა. ს. ჩიქობავას დასახელებულმა მონოგრაფიამ ქართველური შედარებითი ენათმეცნიერება წარმართა ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა ჩრდილოკავკასიურებთან დამაახლოებელი, სტრუქტურული ნიშნების დადგენის გზით, რომლებიც თითქოს ქმნიან საფუძველს სამხრეთკავკასიური და ჩრდილოკავკასიური ენების ნათესაობის დასამტკიცებლად. ძირითადი ადგილი წიგნში უჭირავს ქართველურ ენებში გარმატიკულ კლასთა ნიშნების გამოყოფას და ქართველური ძირის ცალთანხმოვნიაობის პოსტულირებას ფუძის

საწყისი თანხმონის გრამატიკული კლასის ნიშნად თუ ბოლო-კიდური თანხმონის ეგრეთ წოდებულ სუფიქს-დეტერმინანტად გამოყოფის შედეგად.

მონოგრაფიაში გატარებულმა პრინციპმა, რომლის თანახმად ქართველურ ენათა შესადარებელ ფორმებს შორის მოიაზრება გრამატიკული ეკვივალენტობის მიმართებანი მათი ფონოლოგიურ დონეზე წინასწარი ანალიზის გარეშე, მიიყვანეს მისი ავტორი ქართველურ ფუძეებში რიგი ელემენტის გამოყოფამდე (ა. ს. ჩიქობავა თელის მათ გრამატიკულ კლასთა ექსპონენტებად), რომელნიც შეპირისპირებულნი არიან ჩრდილო კავკასიურ ენათა შესაბამის კლასის ნიშნებთან“ (გამყრელიძე 1972).

შეიძლება ვინმეს უფრო ლოგიკურად ჩაეთვალა ამ თემაზე მსჯელობა, ქვემოთ ქართველურ ენებში ფუძეთქმნადობის მოდელების განხილვისას გაშლილიყო, მაგრამ ამ თეორიებმა და დისკუსიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს საერთოდ იბერიულ-კავკასიური ენების ყველა ენობრივი ჯგუფის ფუძეთქმნადობის მოდელის დადგენაზე.

არნოლდ ჩიქობავა არა მხოლოდ თავისი დროის ენათმეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო, არამედ ქართველური და დაღესტნური ენების დიდი სპეციალისტიც, რომელმაც საგანგებო მონოგრაფიები მიუძღვნა კონკრეტულ ენებსა და დიალექტებს, გარდა ამისა, როგორც სამართლიანად აღნიშნავს აკად. თ. გამყრელიძე, მას მთელს კავკასიაში არსმენილი მეცნიერული ავტორიტეტი და გავლენა ჰქონდა, ის მძლავრი კავკასიოლოგიური სკოლის ლიდერი გახლდათ და, ცხადია, მისი თეორია ამ სფეროში კვლევის მიმართულების განმსაზღვრელ დოქტრინად იქნა აღქმული.

ქართველურ ენებში ფუძის აგებულების არნოლდ ჩიქობავასეული თეორიის გავლენითა და მიხედვით (და არა პირიქით) და-

მუშავდა ფუძეთექმნადობის მოდელები არა მარტო კლას-კატეგორიების მქონე ენებში (მაგ. დაღესტნურში — ი. ცერცვაძე 1954, ყ. მიქაილოვი 1964 და სხვ.) არამედ იმ ენებშიც მოხდა ფუძის ანალოგიური აგებულების პოსტულირება, რომლებსაც არც ახლა უჩანთ კლას-კატეგორიათა სისტემა და არც ფუძე-ენის დონეზე უხერხდებათ ასეთის რეკონსტრუქცია (მაგ. ადიღურში — გ. როგავა 1956 და სხვ.).

მეორე მხრივ, თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის ერთობლივ მონოგრაფიაში წამოყენებულ იქნა თეორია, რომლის თანახმად:

„... სტრუქტურები საერთო-ქართველური ძირეული და სუფიქსური მორფემებისა და მათი სინტაგმატური მიმართებები ემთხვევა იმ სტრუქტურებს, რომლებიც ინდოევროპულ ენაში გამოიყოფა. შეიძლება ითქვას, რომ საერთო-ქართველური მორფონოლოგიური სისტემა იზომორფულია ინდოევროპული მორფონოლოგიური სისტემისა“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965 378).

შეიძლება მოვანდინოთ ფაქტის კონსტატაცია, რომ თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის ერთობლივ მონოგრაფიას, მისი ავტორების უაღრესი მეცნიერული ავტორიტეტისა და გავლენის გამოიხდომით იგივე ბედი ერგო, რაც თავის დროზე არნ. ჩიქობავას ხსენებულ მონოგრაფიას და ამჯერად ქართველური შედარებითი ენათმეცნიერება წარიმართა ქართველურ ენებში ქართველურ ენათა ინდო-ევროპულთან დამახლოვებელი სტრუქტურული ნიშნების დადგენის გზით, რომლებიც თითქოს ქმნიან საფუძველს ქართველური და ინდო-ევროპული ენების ნათესაობის დასამტკიცებლად (მაგ. ი. მელიქიშვილი 1980 და სხვ.).

კემპარიტად — დიდ ხეს დიდი ჩრდილი აქვს.

კომპარატივისტიკის პოზიციიდან სავალდებულოა დადგინდეს ძირეულ და აფიქსალურ მორფემათა სტრუქტურები და კანონი-

კური კომბინაციები (ანუ ფუძეთქმნადობის მოდელები) იბერიულ-კავკასიურ ენებში, მათი ენობრივი ჯგუფების შიგნით არა დედუქციური, არამედ ინდუქციური გზით.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გამეორების თავიდან ასაცილებლად წინასწარ უნდა დაითქვას, რომ ფუძეთქმნადობის მოდელებზე მსჯელობისას აუცილებლად გასათვალისწინებელია განმოვანების სრული საფეხურის მქონე მორფემათა კომბინაციებში ძირულ ან აფიქსალურ მორფემათა ვოკალური შემადგენლის რედუქცია.

1.2.1. ფუძეთქმნადობის მოდელები აფხაზურ-ადიღურ ენებში

აფხაზურ-ადიღური ენების ძირის სტრუქტურისა და მისი კანონიერი კომბინაციების რამდენიმე თეორია არსებობს, ზოგიერთი მათგანი აშკარად გამოხატულ დედუქციურ ხასიათს ატარებს ანუ მისი ავტორის ზოგადი თვალსაზრისითაა გაპირობებული.

ასეთ თეორიათაგან უპირველეს ყოვლისა პროფ. ნიკოლაი იაკოვლევის (1892-1974) თეორია უნდა იქნეს დასახელებული.

იაკოვლევი, ამოდიოდა რა ზოგადი ევოლუციონისტური თვალსაზრისიდან, რომლის თანახმადაც განვითარება ხდება აღმავალი ხაზით მარტივიდან რთულისკენ, თვლიდა, რომ ძირის უძველესი სტრუქტურა ადიღურ ენებში დაცული იყო CV ტიპის ერთმარცხლიან სიტყვებში, მისი ტერმინოლოგიით — „სიტყვა-ძირებში“:

ნვ (nǎ) „თვალი“

ფვ (pǎ) „ცხვირი“

სვ (sǎ) „მე“

ღვ (dǎ) „ჩვენ“

იგი წერდა: „თანამედროვე ადილურ ენაში პირველადი სიტყვა-ძირები ამორფული ეპოქის პროდუქტია...“ (იაკოვლევი, აშხაბაფი 1941 216).

ავტორი ამ თეორიისა, რომელიც პირველად 1927 წელს გამოქვეყნდა, თვლიდა, რომ თანამედროვე ენების მრავალმარცვლიანი სიტყვები, სწორედ ასეთი ერთმარცვლიანი ღია ტიპის სიტყვა-ძირთა კომბინაციების შედეგად იყო მიღებული.

1941 წელს იაკოვლევის კონცეფცია ავტორის მიერ უკვე იაფეტური თეორიის კონტექსტში განიხილებოდა და CV ტიპის ერთმარცვლიანი სიტყვები გამოცხადებული იყო ერთელემენტური სიტყვების გადმონაშთებად, ანუ ისეთ სიტყვებად, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყვნენ კომბინაციაში შესული ოთხელემენტური სისტემის სხვა ელემენტებთან.

ამავე პოზიციაზე იდგა ნ. იაკოვლევი 1948 წელსაც.

ამ თეორიის სრული უსაფუძვლობა ჯერ კიდევ 1930 წელს ცხადყო ნ. ტრუბეცკომ: „შეიძლება მნიშვნელოვნად გაეზარდოს პირვანდელ ორმარცვლიან ფუძეთა რიცხვი დასავლურკავკასიურ ენებში. მაშასადამე, ნ. იაკოვლევის თვალსაზრისი, რომლის თანახმად დასავლურკავკასიური ენები (კერძოდ ადილური) თავდაპირველად მოიცავდნენ მხოლოდ ერთმარცვლიან ძირებს (ნ. იაკოვლევი. მასალები ყაბარდოული ლექსიკონისთვის. სსრკ-ს აღმოსავლეთის ხალხთა ენებისა და ეთნიკურ კულტურათა შემსწავლელი კომიტეტის გამოც. №6. მოსკოვი, 1927...) აუცილებელია გადაჭრით იქნეს უარყოფილი“ (ტრუბეცკო 1987 281-282). მოგვიანებით, 1949 წელს, ნ. იაკოვლევის თეორია არგუმენტირებულად და საბოლოოდ უარყო პროფ. გიორგი როგავამ (როგავა 1949 459-484).

მეცნიერთათვის დღეს საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ

ნ. იაკოვლევის მიერ თავისი თეორიის დასასაბუთებლად მოხმობილი „სიტყვა-ძირები“ ქრონოლოგიურად ჰეტეროგენური არიან. მაგ.: ნა (nā) „თვალი“ საერთო-ადილურ ქრონოლოგიურ დონეს განეკუთვნება და მისი არქეტიპის აღდგენა საერთო აფხაზურ-ადილურ დონეზე არ ხერხდება; სამაგიეროდ, უპრობლემოდ ხერხდება აფხაზურ-ადილურ დონეზე რეკონსტრუქცია სიტყვისა სა (sā) „მე“, რომელმაც CV ტიპის გაფორმება საერთო-ადილურში მიიღო:

ს. ადილური ს. აფხაზურ-ადილური
 სა (sā) < *სარა (*sara) „მე“

მეორე მხრივ, CV სტრუქტურის საერთო-ადილური სიტყვა გ^გ (g^g) „გული“ ასეთივე სტრუქტურისად გვევლინება მისი საერთო აფხაზურ-ადილურ ქრონოლოგიურ დონეზე რეკონსტრუქციის შემთხვევაშიც — *გ^გ (კუმახოვი 1981 257-259).

ეს თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ შედეგებამდე მიჰყავს ლინგვისტი თეორიათქმნადობის პროცესში დედუქციური მიდგომისა თუ უნივერსალურობის პრეტენზიის მქონე თვალსაზრისებისათვის უპირატესობის მინიჭებას და კომპარატივისტული მეთოდის უგულვებელყოფას.

მეორე თეორია, რომელსაც უდავოდ საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა აფხაზურ-ადილურ ენებში ძირის სტრუქტურისა და ფუძეთქმნადობის პრობლემის გარკვევის საქმეში, უკავშირდება პროფ. გიორგი როგავას სახელს. 1952 წელს თბილისში მან დაიწყო სადოქტორო დისერტაცია თემაზე „სახელის ფუძის აგებულებისა და გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ადილურ (ჩერქეზულ) ენებში“, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო მისი თეორია; 1956 წელს სადისერტაციო ნაშრომი ამავე სახელწოდებით გამოიცა წიგნად რუსულ ენაზე.

გ. როგავასეული თეორია ადილური ძირის სტრუქტურის შესახებ დიამეტრალურად განსხვავდებოდა ნ. იაკოვლევის თეორიისაგან.

თუ ნ. იაკოვლევი თვლიდა რომ, ნა (nā), ფა (pā), სა (sā) და სხვ. სიტყვები წარმოადგენდნენ „პირვანდელი სიტყვა-ძირების“ ნაშთებს, გ. როგავას თეორიის თანახმად, ისინი მეორადნი იყვნენ, მიღებულნი შედარებით რთული სტრუქტურის ფუძეთა ცვეთის შედეგად:

ის, რაც ამ ენებში ამჟამად წარმოდგენილია მარტივი სახით, ღია მარცვლის ტიპის ერთმარცვლიანი ფუძეების სახით (ნა „თვალი“, ფა „ცხვირი“, სპ „ხელი“ და ა. შ.), წარმოადგენენ შედეგს განვითარების რთული პროცესისა, რომელმაც გამოიწვია რიგი გრამატიკული კატეგორიების დაკარგვა და ამასთან ერთად ენის ფონეტიკური სახის ძლიერი შეცვლა“ (როგავა 1956 116).

მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ რამდენადაც გ. როგავას თეორია განსხვავდებოდა ნ. იაკოვლევის თეორიისაგან, იმდენადვე ჰგავდა არნ. ჩიქობავას თეორიას ქართველურ ენებში ფუძის აგებულების შესახებ.

გ. როგავას თეორიის თანახმად, ადილური (ჩერქეზული) ენების ფუძე დიაქრონიულ ჰრილში ასეთი სტრუქტურისა იყო:

კლასის ნიშანი + ძირი + დეტერმინატივი სუფიქსი

გ. როგავა ადილურ ენათა სინქრონიულ მასალაში პოულობდა გრამატიკული კლასის ნიშნებისა და დეტერმინატივი სუფიქსების გაქვავებულ ექსპონენტებს, რომელთა გამოწვევა მხოლოდ ეტიმოლოგიური ანალიზით იყო შესაძლებელი. ხოლო იქ, სადაც ისინი უკვალოდ იყვნენ გამჭრალნი, მათი აღდგენა შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდით (სისტემის მოთხოვნებით) ხდებოდა.

ადილურ ენებს (მათში უბიხურსაც ვგულისხმობ) ისევე, როგორც ქართველურ ენებს, კლას-კატეგორიები (გრამატიკული

კლასები) არა აქვთ. გ. როგავამ მათი რეკონსტრუქცია საერთო-ადილურში იმავე პრინციპებზე დაყრდნობით მოახდინა, რითაც ეს არნ. ჩიქობავამ გააკეთა საერთო-ქართველურში.

ფაქტობრივად გ. როგავამ მოახდინა არნ. ჩიქობავას თვალსაზრისის „შემოწმება“ ადილურ მასალაზე, ანუ ქართველური ენებივით კლას-კატეგორიების არმქონე ენათა ჯგუფზე, ისარგებლა იმავე მეთოდით და შედეგიც იგივე მიიღო, რაც არნ. ჩიქობავამ ქართველური ენებისათვის.

ეს კიდევ ერთი საგულისხმო მაგალითია დედუქციური მიდგომის გამოყენებისა ისტორიულ-შედარებითი კვლევისას, როდესაც თვალსაზრისი გულისხმობს და აპირობებს კიდევ შედეგს.

1975 წელს ა. კუიპერსმა გამოსცა „პროტოჩერქეზულ ძირთა ლექსიკონი“ და მოსალოდნელი იყო, რომ მასში ავტორს ჩამოეყალიბებინა ძირის სტრუქტურისა და ფუძის უძველესი აგებულების ახალი თეორია ადილური ენებისათვის, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა და არა თუ ძირის ახალი თეორიის წამოყენება არ მომხდარა, არამედ გაუგებარი დარჩა, რას გულისხმობდა ამ ცნებაში ლექსიკონის ავტორი, რადგან მან ლექსიკონში ადგილი დაუთმო სინქრონიულ დონეზეც კი გამჭვირვალე კომპოზიტებსაც:

ნაფჷ „სახე“ < ნჷ „თვალი“ + ფჷ „ცხვირი“

ნაპჷ „ქუთუთო“ < ნჷ „თვალი“ + პჷ „სარკველი“ / „სახურავი“
და სხვ.

ამ ტიპის კომპოზიტები ჩვეულებრივია ადილური ენებისთვის:

ნატჷ „შუბლი“ < ნჷ „თვალი“ + ტჷ „ზედა ნაწილი“ / „ზედაპირი“

ნაფჷ „ცრემლი“, < ნჷ „თვალი“ + ფსგ „წყალი“

ცაგ⁰ „ხელისგული“ < ცა „ხელი“ + გ⁰ „გული“

ლაფ (ადილ.), ლაფა (ყაბ.) „ფეხისწვერი“ < ლა „ფეხი“ + ფა „ცხვირი“ და სხვ.

1976 წელს თბილისში გამოიცა აკად. ქ. ლომთათიძის მონოგრაფიის „აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი“ I ტომი, რომელშიც აკად. ქეთევან ლომთათიძე საერთო-აფხაზურ (resp. საერთოაფხაზურ-აბაზურ) ძირთა და ფორმანტთა ამოსავალ ტიპად აღადგენს ღია ტიპის ცალთანხმოვნთან სტრუქტურას: თანხმოვანი + ხმოვანი (CV).

რაც შეეხება საერთო-აფხაზური ფუძის სტრუქტურას, ქ. ლომთათიძე წერს:

„თანხმოვანი-ხმოვნისაგან შემდგარ ძირებს წინ შეიძლება დართვოდა (რომელიც ხშირად შეხორცებულიცაა) ბაგისმიერი, დენტალური ან სხვა თანხმოვანი ელემენტი (წარმოშობით ისიც მარცვლოვანი).

ასეთი პრეფიქსული ბაგისმიერებია მაგ., მ, ბ, ფ (ა-მჰო „გზა“, ა-მცა „ცეცხლი“, აშჰენ „ზღვა“, აშჰო „დათვი“, ბჰბა „მშვიდი“, ა-ფსგ „სული“...). ბაგისმიერი ელემენტი ადვილად შეზრდია ფუძეს.

უფრო გაძნელებულია დენტალური თანხმოვნების კომპლექსებში შერჩენა. ხერხდება ვარაუდის დაშვება ზოგ ფუძეში. კერძოდ, თ (<*ღ) ჩამოშორებია თვ, თვ⁰ კომპლექსებს ა-ხამგ, ტაპ. ვამგ („ქურქი“), ა-ხა, ტაპ. ვა („ნაცარი“)...

ღ ჩამოშორებია *ღ⁰ კომპლექსს ვობა (ვბა) „ორი“ რიცხვით სახელში და სხვ.

აღნიშნული თავკიდური ელემენტები პრეფიქსული ბუნებისა

უნდა ყოფილიყო და როგორც სხვა მონათესავე ენებში — გრამატიკული კლას-კატეგორიის გამოხატვას ემსახურებოდა: (ლომთათიძე 1976 250).

ფუძეთქმნადობის საერთო-აფხაზურ მოდელში აკად. ქ. ლომთათიძე აღადგენს სუფიქსებსაც: „ნაწარმოებ ფუძეებში უნდა გვექნოდა სუფიქსური ელემენტებიც. მაგ.: -შა → -აა (ამაა, ტაბ. ამშა „სახელური“, ანაა „სატკივარი“...), -რა და სხვ.“ (ლომთათიძე 1976 250).

საერთო-აფხაზურ-აბაზურში გრამატიკული კლას-კატეგორიის აღმნიშვნელი პრეფიქსების გამოყოფის ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ფუძეთქმნადობის მოდელის პოზიციიდან, სუფიქსურ ელემენტებში სონორი თანხმოვნის პოზიციერება:

„მახვილის მოქმედების ნიადაგზე ძალზე დაზიანებული ჩანს სწორედ ეს სუფიქსური ნაწილი სიტყვისა, — ჯერ უმახვილოდ დარჩენილი ხმოვნის რედუქციით და შემდეგ აუსლაუტში მოხვედრილი თანხმოვნის მოკვეციტ (მაგ. აფხაზურში „დვრიტა“ შემორჩენილია, როგორც „აქა“-ს ისე აქარ (ბზ. აქარ)-ის სახით. ტაპანთურში (მახვილის შენარჩუნებით სავარაუდო ბოლო ხმოვანზე) შემონახული არის ამოსავალი სრულხმოვნიანი (და სრულთანხმოვნიანიც) ფუძე ცარა ამავე მნიშვნელობით, რაც ნათელს ზდის, რომ აქა მიღებულია^ა-ცარა || ^ა-ცარა-სგან...“ (ლომთათიძე 1976 250).

სონორი თანხმოვნის შემცველი ეს სუფიქსური ელემენტი თანხმოვანი + ხმოვანი (CV/SV) ტიპისა წარმოგვიდგება როგორც სხვა მონათესავე ენებში დეტერმინანტი სუფიქსი და, შესაბამისად საერთო-აფხაზური ფუძე გაფორმდებოდა როგორც:

კლასის ნიშანი + ძირი + დეტერმინანტი სუფიქსი

სტრუქტურულად:

CV + CV + CV(SV)

ან:

CV + C + VC (VS)

ანუ ის იქნებოდა იზომორფული ქართველურისათვის არნოლდ ჩიქობავას მიერ და მის კვალდაკვალ საერთო-ადილურისათვის გიორგი როგავას მიერ ნავარაუდევე მოდელისა.

აქვე ვიტყვი, რომ აკად. ქ. ლომთათიძის მიერ გამოთქმული მოსაზრება, თითქოს საერთო-აფხაზურში „ხმოვანს ცალკე ფონემური მნიშვნელობა არ ჰქონდა; იგი თანხმოვნის თანხმლები (დაყოფა ყველგან ავტორისეულია — მ.ქ.) იყო“ (ლომთათიძე 1976 248) და რომ ფუძე-ენის დონეზე „დგება საკითხი ამოსავალში შესაძლო ე. წ. „მონოვოკალური“ ტიპისა, ოღონდ — ამოსავალში და არა ამჟამად, თანაც ეს ხმოვანი ცალკე აღებული არ იყო ფონემა და ამდენად ადგილი არ ჰქონდა თანხმოვან-ხმოვნის დაპირისპირებას“ (ლომთათიძე 1976 249), მიუხედავად ავტორის უადრესი ავტორიტეტულობისა, შეუწყნარებელია როგორც ზოგადად თეორიული ლინგვისტიკის, ასევე კერძოდ კომპარატივისტიკის პოზიციებიდან.

თეორიული ლინგვისტიკის პოზიციიდან იგი შეუწყნარებელია არა მარტო იმიტომ, რომ ტიპოლოგიურად უგამონაკლისია და უდავო უნივერსალიათა კატეგორიას განეკუთვნება ოპოზიცია ხმოვანი: თანხმოვანი — „ენა „თანხმოვანი + ხმოვანი“ ტიპის შეთანხმების გარეშე წარმოდგენილია“ (ტრუბეცკოი 1960 278) და შეუძლებელია ენაში რაიმე ფონემას მიეცეს თანხმოვნის კვალიფიკაცია თუ ხმოვანი არ არის პოვნეირი, რადგან თანხმოვანი არსებობს და ასეთად აღიქმება მხოლოდ ხმოვანთან მიმართებაში, არამედ იმიტომაც რომ თუ ენაში ერთი ხმოვანია ანუ ენა „მონოვო-

კალურია“ მაშინ ის არა თუ ფონემა არ არის არამედ, საერთოდ არც არსებობს, რადგან, ილაპარაკო იმაზე, თითქოს რომელიმე ენაში არსებობს მხოლოდ ერთი ხმოვანი იგივეა, რომ განაცხადო მიკვლევულია ენა, სადაც არის ერთადერთი ბრუნვა თავისი ბრუნვის ნიშნით. ერთი ხმოვნის (დამოუკიდებლად იმისა ფონემის კვალიფიკაციას მივანიჭებთ მას თუ არა) დაშვება საერთო-აფხაზურ ფუძე-ენაში თანამედროვე დიქტომიური ფონოლოგიის პოზიციიდან ნიშნავს მასში საერთოდ ხმოვნის არსებობის უარყოფას, ხოლო ხმოვანი თანხმოვანი ოპოზიციის მოხსნა გულისხმობს თანხმოვანთა, როგორც ასეთთა, კვალიფიკაციის უარყოფასაც (იაკობსონი 1958 17-25; ჰალი 1970 და სხვ.).

თუმცა თუ მკაცრად მეცნიერულად მივუდგებით საკითხს, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს აკრძალვა სულაც არ არის აბსოლუტური. ტიპოლოგიას შეუძლია მეტად ან ნაკლებად დამაჯერებელი გახადოს ესა თუ ის რეკონსტრუქცია, მაგრამ თავად რეკონსტრუქციის მაგვირობას ვერ გასწევს და თუ სადღეისოდ არც აღწერილი და არც რეკონსტრუირებული არ არის ენა, რომელიც მონოვოკალური იქნებოდა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი ენის პოვნეირების შესაძლებლობა თეორიულად საერთოდ გამორიცხულია. მაგრამ ვიმეორებ, რომ თეორიული ლინგისტიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ასეთი კვალიფიკაციის მიცემა უკვე ცნობილი რომელიმე ენისათვის არაკორექტულია და ამდენად შეუწყნარებელი.

აკად. ქეთევან ლომთათიძე არა მარტო იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების, არამედ იმავდროულად ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომლის ნებისმიერი დასკვნა უუპველად ანგარიშგასაწევია, თუმცა ამ შემთხვევაში მისი ზემომოყვანილი დებულების გაზიარება არ მესახება შესაძლებლად ისევე, როგორც მისი შემდეგი მსჯელობისა:

„გ ხმოვნის თანამედროვე აფხაზურ-აბაზურში ფონემურობის განსაზღვრისას ისეთ დაპირისპირებულ წყვილებზე მითითება, როგორცაა:

აფხ. ათჲ „ჩირქი“, ათჲ „სავსე“; აწჲ „ვაშლი“, აწჲ „ჩხირი“, „შამფური“; აჰჲ „ახალგაზრდა“, აჰჲ „პირი“; ან აბაზ. ჯა „ნაცარი“, ჯჲ „ბეწვი“, „მატყლი“, ჰა „წვიმა“, ჰჲ „სახურავი“; შა „სპილენძი“, შჲ „ადამიანი“... არ მიგვაჩნია გადამწყვეტად“ (ლომთათიძე 1976: 43).

ჩემთვის ამ ოპოზიციურ წყვილთა ა გ არსებობის ფაქტი აფხაზურ-აბაზურში არის სწორედ საკმარისი და გადამწყვეტი ენაში მათი ფონემურობის დასადაგენად.

უფრო ქვემოთ ქ. ლომთათიძე წერს:

თანამედროვე აფხაზურ-აბაზურის ფონეტიკური სისტემისათვის გ ძირითადი ხმოვან-ფონემაა (დაყოფა ყველგან ავტორისაა — მ. ქ.) და მისი გამოთიშვა ენის ვოკალური სისტემიდან გაუმართლებელი იქნებოდა“ (ლომთათიძე 1976 44).

და ამ მსჯელობას შემდეგნაირად აგრძელებს:

„სხვა საკითხია ისტორიული ასპექტით განხილვა გ ხმოვნის საკითხისა აღნიშნულ ენებში. ისტორიული თვალსაზრისით ბუნებრივია დაისვას კითხვა მისი მეორეული წარმოშობის შესახებ.

კითხვის ასე დასმის შესაძლებლობას იძლევა შემდეგი:

მთელი რიგი ფაქტები იქითკენ მიაპყრობენ ჩვენს ყურადღებას, რომ ზომოდინარეა ა-სგან: სხვადასხვა დიალექტში და ერთსა და იმავე დიალექტშიაც სიტყვის სხვადასხვა ფორმაში ხშირად თავს იჩენს სწორედ ამოსავალი ა ხმოვანი გ-ს ადგილას“ (ლომთათიძე 1976: 44-45).

ვთქვათ ასეა მთელ რიგ ფაქტებში, ვთქვათ ასეა ფაქტების აბსოლუტურ უმრავლესობაში, მაგრამ არსებობს ზემომოყვანილი მი-

ნიმალური წყვილების გარდა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ზ არ გამოიყვანება ა-დან, რაც იმას ნიშნავს რომ ამ ორი ფონემის დაპირისპირებას დიაქრონიული ასპექტითაც სხვა, ლომთათიძისეულისაგან დიამეტრულად განსხვავებული, კვალიფიკაცია უნდა მიეცეს.

კომპარატივისტული მეთოდის პოზიციიდან ეს მოსაზრება შეუწყნარებელია, რადგან საერთო-აფხაზური ფუძე-ენა სულაც არ წარმოადგენს უთვისტომო ენას, ის საერთო-აფხაზურ-ადილური ფუძე-ენის დიფერენციაციის შედეგია, შესაბამისად, ის უნდა ავლენდეს და ავლენს კიდევ კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობებს საერთო-ადილურ ფუძე-ენასთან თუ ცოცხალ ადილურ ენებთან. ეს ვრცელდება აფხაზურ-აბაზურის ორივე საერთო-აფხაზურ-ადილური ფუძე-ენიდან ნამემკვიდრეც ხმოვანზე:

ხმოვანი ზ

ს./აფხაზ. ზ ს./ადილ. ზ

აფხაზ. ა-შზ „ფეტვი“ აბაზ. შზ „id“	}	{ ადილ. ძზ-გზ „id“ ყაბ. ხ ^ზ „id“
--------------------------------------	---	--

აფხაზ. ა-ცზ „ხარი“ აბაზ. ცზ ჩზ „id“	}	{ ადილ. ცზ „id“ ყაბ. ვზ „id“ და სხვ.
---	---	--

ხმოვნის იდენტურ შესატყვისობას ამ შემთხვევაში მტკიცებულე-ბითი ძალა აქვს, რადგან წარმოდგენილია თანხმოვანთა გადიფერენცირებულ შესატყვისობებთან კომბინაციაში.

ხმოვანი ა

ს./აფხაზ. ა	ს./ადილ. ა
აფხაზ. ა-მცა (<*ა-მა-ც-ა) „ცეცხლი“	ადილ. მას'ნ „id“ ყაბ. მაძ'ნ „id“
აბაზ. მცა (<*მა-ც-ა) „id“	
აფხაზ. ა-მშე <*ა-მაშა „დღე“	ადილ. მაძ'ნ „id“ ყაბ. მახ'ზ „id“
აბაზ. მშეგ <*მაშა	

ხმოვნის იდენტურ შესატყვისობას ამ შემთხვევაშიც თანხმოვანთა გადიფერენცირებულ შესატყვისობებთან კომბინაციაში მონაწილეობის გამო აქვს მტკიცებულებითი ძალა.

სხვა აფხაზურ-აბაზურ ხმოვნებს არ ვეხები, რადგან, როგორც აკად. ქ. ლომთათიძე წერს:

„აფხაზურ-აბაზურისათვის ძირითად ხმოვნებად დღეს უნდა ჩავთვალოთ ა და გ. მათი კომბინაციები უმთავრესად მ, ჟ ნახევარხმოვნებთან (ან სათანადო პალატალიზებულ და ლაბიალიზებულ თანხმოვნებთან) ქმნის ე ო ი უ (გრძელი სახეობებითურთ) სხვადასხვა დიალექტურ ერთეულში სხვადასხვა მასშტაბით“ (ლომთათიძე 1976 24).

ბგერათშესატყვისობებიდან გამომდინარე, საერთო-აფხაზურ დონეზე რეკონსტრუირდება მინიმუმ ორი ხმოვანი ა და ჯ და არ არსებობს არანაირი არც თეორიული და არც კომპარატივისტული საფუძველი საერთო-აფხაზურში „მონოვოკალიზმის“ დაშვებისა (ზოგადად „მონოვოკალიზმის“ თეორიისა და კერძოდ ქ. ლომთათიძის კონცეფციის შესახებ იხ. აგრეთვე: კუმახოვი 1981 89-106).

საერთო-აფხაზურ-აბაზური (resp. პრააფხაზური) ძირის სტრუქტ-

ტურის შესახებ თავისი თვალსაზრისი ჩამოყალიბებული აქვს ვ. ჩირიკბასაც:

„ძირეული მორფემების ძირითად მოდელებად პრააფხაზურში მიჩნეული უნდა იქნეს შემდეგი: VC, VC(C)V, CV, CVC, CVC(C)V, CCV. პოზიტივია ძირეულ მორფემათა სხვა სტრუქტურული ტიპებიც, მაგრამ ისინი წარმოადგენენ ძირითადად ან წარმოებულ წარმონაქმნებს, ან ნასესხობებს“ (ჩირიკბა 1994 350).

ისტორიულ-შედარებითი მეთოდის პოზიციიდან საერთო-ადილური და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საერთო-აფხაზურ-ადილური (resp. საერთო-დასავლურ-კავკასიური) ძირის სტრუქტურისა და ფუძეთქმნადობის შესახებ თეორია ჩამოაყალიბა პროფ. მუხადინ კუმახოვმა, რომლის 1964 წელს თბილისში დაცულ სადოქტორო დისერტაციაში: „ადილურ ენათა მორფოლოგია, სინქრონიულ-დიაქრონიული დახასიათება. I. შესავალი, სიტყვის სტრუქტურა, მეტყველების ნაწილთა სიტყვათწარმოება“, ფაქტობრივად უკვე დადგენილი იყო ფუძეთქმნადობის ძირითადი მოდელები როგორც სინქრონიაში, ასევე დიაქრონიაში.

1981 წელს მოსკოვში გამოდის მისი მონოგრაფია „ადილურ (ჩერქეზულ) ენათა შედარებით-ისტორიული ფონეტიკა“, სადაც დაწვრილებით არის აღწერილი ფუძეთქმნადობის მოდელები როგორც სინქრონიაში, ასევე დიაქრონიაში (ეს უკანასკნელი გადიფერენცირებულია საერთო-ადილურ და საერთო-აფხაზურ-ადილურ ქრონოლოგიურ დონეებად) და მოცემულია ამ რეკონსტრუქციათა თეორიული საფუძველი.

თეორიულ დებულებათაგან ყველა უდავოდ ვერ ჩაითვლება მაგალითად:

ა) ძირის დეფინიცია: „ე. კურილოვიჩის, ე. ა. მაკაევის და სხვ. კვალდაკვალ, ჩვენს მიერ ძირი განისაზღვრება როგორც დინამიკური

მოვლენა. ძირად ითვლება სიტყვის ის ნაწილი, რომელიც არ არის მოტივირებული ცოცხალი მორფოლოგიური პროცესით. იმ შემთხვევაში, თუ დაკარგულია კავშირი მაწარმოებელ და წარმოებულ ფორმას შორის, მაშინ ყველა წარმონაქმნი განიხილება როგორც ძირი“ (კუმახოვი 1981 261-262).

ეს დებულება რამდენიმე კითხვას ბადებს კომპარატივისტიკის და ზოგადად დიაქრონიული ლინგვისტიკის პოზიციიდან:

1. რას ნიშნავს: „ძირად ითვლება სიტყვის ის ნაწილი, რომელიც არ არის მოტივირებული ცოცხალი მორფოლოგიური პროცესით“. ძირის ასეთი დეფინიცია უნივერსალურია? პოენიერია თუ არა ცოცხალი მორფოლოგიური პროცესი მკვდარ ენებში? თუ არ (resp. აღარ) არის პოენიერი რა, იმ ენებში ძირი ვერ გამოიყოფა? მონათესავე ენების ჩვენება, მათთან შედარება ძირს ვერ გამოგვაყოფინებს? ეტიმოლოგიური ანალიზის, შინაგანი რეკონსტრუქციის, სისტემის მოთხოვნების და ა. შ. შედეგად სიტყვის სეგმენტაცია ვერ მოხერხდება? თუ ძირად მართლა ის უნდა იქნეს მიჩნეული, რასაც ამ ენაზე მეტყველი სინქრონიულ დონეზე ვეღარ ანაწევრებს, რაც მისთვის დეეტიმოლოგიზებულია? მაშ, საერთოდ რისთვის არსებობს დიაქრონიული ლინგვისტიკა და ისტორიულ-შედარებითი მეთოდი?!

2. რაკი სიტყვა ძირეული და აფიქსალური მორფემების კომბინაციაა, მათ შორის უნდა იარსებოს და არსებობს კიდევ კომბინაციის წესები, რომლებიც, სხვათა შორის მათი სტრუქტურების შეთავსებადობას არეგულირებს, მაგ., უშვებს მორფემათა ზღვარზე ისეთი ფონეტიკური კომბინაციებისა თუ პროცესების წარმოქმნას, მორფემის საზღვრებში რომ აკრძალულია და ა. შ. ამის გაუთვალისწინებლობა კი გამოიწვევს ძირად მიჩნეული ერთეულის მონაცემთა განზოგადებას და ძირის სტრუქტურაზე პრინციპულად

მცდარი შეხედულების დამკვიდრებას, განა შეიძლება, ასეთი „ძირის“ ანალიზი რომ კორექტულად ჩაითვალოს? განა მის მიხედვით რეკონსტრუირებული სტრუქტურა, როგორ მკაცრადაც არ უნდა დავიცვათ რეკონსტრუქციის პროცედურა ფუძე-ენოვანი რეალობის ადექვატური იქნება? და თუ ეს წინასწარ ვიცით, აქვს კი აზრი ასეთ რეკონსტრუქციას?!

ბ) ფუძე-ენის მონაცემთა ქრონოლოგიური ინტერპრეტაცია: „...ძირი როგორც ისტორიული კატეგორია გამუდმებით იცვლება და განიცდის სტრუქტურულ ცვლებადობას. ეს გარემოება, არსებითად, შეუძლებელს ხდის პრაენობრივი მდგომარეობისათვის ძირეული მორფემის სტრუქტურული გაფორმების მხოლოდ ერთი მოდელის ფორმირებას, რადგან პრაენის განვითარება ხორციელდება გარკვეული (ზოგჯერ ძალიან ხანგრძლივი) ისტორიული პერიოდის ჩარჩოში“ (კუმახოვი 1981 259).

ამ დებულებასთან დაკავშირებით ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას: კომპარატივისტიკაში ცალსახად არის გარკვეული, რის რეკონსტრუქციას ვახდენთ. ეს არის ფუძე-ენის მდგომარეობა მემკვიდრე ენებად მისი დიფერენციაციის უშუალოდ წინმსწრებ მომენტში.

ამიტომ არა აქვს აბსოლუტურად არანაირი მნიშვნელობა იმას, თუ დროის რა მონაკვეთში, მოკლეში თუ ძალიან ხანგრძლივში, ფუნქციონირებდა ფუძე-ენა, სულ ერთია, ჩვენ მისი რეკონსტრუქცია ისტორიულ-შედარებით მეთოდზე დაყრდნობით მხოლოდ მისი არსებობის უკანასკნელ მომენტში შეგვიძლია.

შესაბამისად ძირეული და აფიქსალური მორფემების სტრუქტურული გაფორმებისა და ფუძეთქმნადობის იმდენი მოდელი გვექნება, რამდენის აღდგენასაც შევძლებთ ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით.

მ. კუმახოვი საერთო-ადილურისტვის გამოყოფს ძირეულ მორფე-
მათათვის შემდეგ ტიპებს:

1. CV ნა „თვალი“, ფა „ცხვირი“, ბა „ბევი“ სა „მე“,
და „კაალი“, სა „ასი“ და სხვ.
2. CV₁ გ^ო „გული“, ცგ „მატყლი“, ლ^გ „ხორცი“, ლ^გ
„კაცი“, ზგ „ერთი“, ხგ „ექვსი“ და სხვ.
3. CCV ფსა „სული“, ბლა „მკერი“, ბჰა „ენა“, თჰა
„ღმერთი“, ბლა „გველი“, ფსა „ხე“ და სხვ.
4. CCV₁ თხ^გ „ხერხემალი“, ბჰგ „ძუკნა“, ფსგ „წყალი“, პწგ
„ტყუილი“, ბლა „შვიდი“ და სხვ.
5. CVCV ჰაჰა „სტუმარი“, ჰადა „გვამი“ და სხვ.
6. CV₁CV დგსა „ოქრო“, მგსა „დათვი“ უგსა „სახლი“, ნგბა
„მუცელი“ და სხვ.
7. CV₂CV :ბანა „ეკალი“, ჯანა „პერანგი“, მაჰა „მთვარე“, მაჰა
„დღე“, მაჰა „პატარა“, ბაჰა „მელა“, ს^აბა „რბილი“
და სხვ.
8. CVCV₁ მაჰგ „ტყე“, მს^გ „ფეტვი (მცენარე)“, შა^ახ^გ
„საიდუმლო“ და სხვ.
9. CV₁CV₁ წგსა „ადამიანი“ ბგჰგ „ძუძუ“, მგლა „ყინული“ და
სხვ.

სადაც: C — ნებისმიერი თანხმოვანია, V — ხმოვანი ა; V₁ —
ხმოვანი გ, V₂ — ხმოვანი ა (კუმახოვი 1981 262).

რეალურად საერთო-ადილურისტვის სულ ძირეულ მორფემათა
ორი ტიპი იკვეთება:

1. CV (C CV)
2. CVCV

სადაც: C — ნებისმიერი თანხმოვანია, V — ნებისმიერი ხმოვანი.
ამ ორ მოდელს რამდენიმე მოდიფიკაცია ექნება იმის მიხედვით
თანხმოვანი ჩქამიერია თუ სონორი:

1. CV

1.1. CV (თანხმოვანი + ხმოვანი)

1.1.1. CV ფვ „ცხვირი“, ჰვ „ახალი“, ბვ „ბევრი“, სვ „მე“, გვ²
„გული“, ცვ „მატყლი“ და ა. შ.

1.1.2. SV ნვ „თვალი“, ჟვ „შენ“, ლვ „ხორცი“ და ა. შ.

1.2. CCV (თანხმოვანთკომპლექსი + ხმოვანი)

1.2.1. CCV ფსვ „სული“, სჰვ „თავი“, ბჰვ „ენა“, ფსვ „წყალი“,
ბჰვ „ძუკნა“ და ა. შ.

1.2.2. CSV ბლვ „გველი“, ბლვ „შვიდი“ და ა. შ.

2. CVCV

2.1. CVCV ჰვჰვ „სტუმარი“, ჰვლვ „გვამი“, დგსვ „ოქრო“, სიაბვ
„რბილი“ შაზვ² „საიდუმლო“, წზვ² „აღამიანი“,
ბგძვ „ძუძუ“ და სხვ.

2.2. CVSV ბანვ „ეკალი“, განვ „პერანგი“

2.3. SVCV ნგბვ „მუცელი“, მგსვ „დათვი“, შაზვ „მთვარე“, შვ²
ზვ „ტყე“, მსვ² „ფეტვი (მცენარე)“ და სხვ.

2.4. SVSV ჟგნვ „სახლი“, მგლვ „ყინული“ და ა. შ.

ასეთად რეკონსტრუირდება ძირეულ მორფემათა ტიპები
საერთო-ადილურში, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ მ. კუ-
მახოვის მიერ საერთო-ადილურ დონეზე რეკონსტრუირებული ძირე-
ბის ერთი ნაწილი უფრო გვიანდელ ნასესხობას წარმოადგენს ვიდ-
რე საერთო-ადილური ფუძე-ენისთვის სავარაუდო ქრონოლოგიური
დონეა.

მაგ. ქართველურ ენათაგან უნდა იყოს ნასესხები უკვე დიფერენცირებულ ადილურ ენებში შემდეგი საერთო-ადილურად მიჩნეული ძირები:

1. ს'გნა „შიშის ქონა“; ყაბ. შგნან / ადილ. ს'გნან. ეს სიტყვა პ. ჭარაიამ დაუკავშირა ქართულ შინ- ფუძეს (ჭარაია 1912 53).

ადილურ ენებს ეს საერთო-ქართველური ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე რეკონსტრუირებადი ფუძეა. ს./ქართ. *შინ — ქართ. შინ-ებ-ა ზან. რსქინ-ი / სქინ-ი „შინება“ (როგავა 1956 86) აქვთ ნასესხები მისი ფუძედ გაფორმების შემდეგ. ქართველურ ენებში ის ცალთანხმოვნია ძირის სახითაც არის წარმოდგენილი:

ს./ქართ. *სი-ში ქართ. ში-ში < სი-ში სვან. სი-სგ „შიში“.

სი-ში-ში რომ სი- პრეფიქსია და არა ძირის შემადგენელი ნაწილი, მხარს უჭერს ფონოლოგიური წესი, რომლის თანახმად საერთო-ქართველურ ფუძე-ენაში აკრძალული იყო ერთი მორფემის ფარგლებში სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტურ თანხმოვანთა კომბინაცია (მაჭავარიანი 1965 80).

2. ჴგნა „სახლი,, „ოთახი“

ეს სიტყვა და აფხაზური ა-მუნე „სახლი“ პ. ჭარაიამ დაუკავშირა ქართულ სიტყვას ვან-ი „სადგომი“ (ჭარაია 1912 21), რომლის რეკონსტრუქცია შესაძლებელია საერთო-ქართველურ დონეზე: ს./ქართ. *ჴან-ი ქართ. ვან-ი ზან. ონ-ი (ტოპონიმი. შდრ. ქართ. ტოპონიმი ვანი, რამდენიმე, საქართველოს ტერიტორიაზე).

სიტყვა ვან-ი სპარსული წარმოშობისად არის მიჩნეული (van < * vahana ძირიდან vah „ყოფნა“, „ცხოვრება“. ანდრონიკაშვილი 1966 28-29), რაც დამაჭერებელი არ ჩანს. სიტყვა (resp. ტოპონიმი) ვანი უნდა იდგეს ურარტული ლურსმული წარწერების ^{KUR}Bi-a-ni-i (სხვა დაწერილობით ^{KUR}Bi-i-a-ni-i) უკან ალბათ ვანის ტბის

ირგვლივ განფენილი თვით ურარტუს ქვეყნის ადგილობრივ სახელწოდებაში ^{KUR}Bi-a-i-na / ^{KUR}Bi-a-na (^{KUR}Bianili) — სავარაუდოდ, ეს სიტყვა, რომელსაც სანდო ეტიმოლოგია არც ინდო-ევროპულში უჩანს და არც ხური-ურარტულში, სუბსტრატული, კერძოდ, ქართული წარმოშობის ნასესხობა უნდა იყოს ურარტულსა და სომხურში, ისევე როგორც აფხაზურ-ადიღურ ენებში.

ზემოთქმულიდან ასეთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს: მ. კუმახოვის თანახმად, რომ საერთო-აფხაზურ-ადიღური ენა ქრონოლოგიურად ქართველური ენების დიფერენციაციის შემდგომ ეტაპზე ჩანს გაყოფილი აფხაზურად და ადიღურად, რადგან მათში პონიერია ფუძე-ენის დონეზე რეკონსტრუირებადი სიტყვები, რომლებიც საკუთრივ ქართულიდან არის ნასესხები (იხ. აგრეთვე შაგიროვი 1977 II 96-97 და სხვ.).

რაც შეეხება აფიქსალურ მორფემებს საერთო-ადიღურში, მათი სტრუქტურა ასეთია (კუმახოვი 1989 57-80):

პრეფიქსები

CV — (თანხმოვანი + ხმოვანი)

1. CV — ზნ- ზიარობის აღმნიშვნელი პრეფიქსი

ადიღ. ზნლ' — ზნსზუ ყაბ. ზნლ' — ზნძოგუ „ქმარი-ცოლი“; ზნ— ზიარობის აღმნიშვნელი პრეფიქსი; ადიღ.-ყაბ. ლზუ „კაცი“, „ქმარი“, ადიღ. სზუ ყაბ. ძგუ „ქალი“, „ცოლი“ და სხვ.

2. SV — მგ — უარყოფის აღმნიშვნელი პრეფიქსი.

ადიღ. ყაბ. მგზუ — მგბუ „პერმაფროდიტი“, მგ — უარყოფის აღმნიშვნელი პრეფიქსი — მგ — პოსესიურობის პრეფიქსი: ადიღ. ყაბ. ხგუ „ხვალი“, ბგუ „ძუკნა“.

მგ — პოსესიურობის პრეფიქსი და სხვ.

სუფიქსები

1. -C (ოღენ თანხმოვნიანი)

ღერივაციული სუფიქსები

1.1. -C

-ლ

ფლექსიური სუფიქსები

1.2. -S:

-რ სახელობითი ბრუნვის ნიშანი

-მ ერგატივის ნიშანი

2. CV (თანხმოვანი + ხმოვანი)

2.1. -CV

ფლექსიური სუფიქსები

-*ღ'ნ მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი საერთო ადიღურში
(-ღნ/-/ -ჟნ /-ჟან/... ადიღურსა და ყაბარღოულში)

-*ღ'ჟ ვითარებითი ბრუნვის ნიშანი საერთო ადიღურში
(-ჟნ/-ღ'ჟ ადიღურსა და ყაბარღოულში)

ღერივაციული სუფიქსები

-ღ'ჟ (აფხაზ. -რჟ)

-ღგ

-ჟ'ჟ

-ჟ'ჟ

-ს'გ

-ღნ

-ბგ

-თნ

-ხ'გ

-ზნ

ღა სხვა, კიღევ სამ ათეულზე მეტი, ღერივაციული სუფიქსი.

2.2. -SV

ფლექსიური სუფიქსები

-მწ ერგატის ნიშანი მრავლობითში (საერთო-ადილურსა და ადილურში).

დერივაციული სუფიქსები

-მწ

-უგ

-უა

-რწ

-ლწ

-მწ და სხვა.

2.3. -CCV (თანხმოვანთკომპლექსი + ხმოვანი)

2.3.1. -CCV

-შხიწ

2.3.2. -CSV

-ბლწ

და ა. შ.

საერთო-ადილურ და აგრეთვე საერთოაფხაზურ-ადილურ ფუძე-
ნებში ძირეულ და აფიქსურ მორფემათა შემდეგი კომბინაციები
არის ნაპარაუდები:

ნ. იაკოვლეს მიერ:

ძირეული მორფემების სტრუქტურა — CV (|| SV)

მისი კომბინაციები CV_(ა) + CV_(ა)

გ. როგავასა (ადილურისთვის) და ქ. ლომთათიძის (აფხა-
ზურისთვის) მიერ:

ძირეული მორფემების სტრუქტურა — CV

აფიქსალური მორფემების სტრუქტურა:

პრეფიქსები CV (SV) — (კლასკატეგორიის ნიშანი)

სუფიქსები SV (CV) ან VS (VC) (დეტერმინანტი სუფიქსი)

კომბინაციები:

$$CV_{(ა)} + CV_{(ბ)} + SV_{(ა)}$$

$$CV_{(ა)} + CV_{(ბ)} + VS_{(ა)}$$

მოსალოდნელი შედეგი: ფუძის სტრუქტურა

$$CVC + VS (< CV + C + VS)$$

თავკიდურა ან ბოლოკიდურა ელემენტის ცვლით.

მ. კუმახოვის მიერ:

ძირეული მორფემების სტრუქტურა:

1. CV (|| SV) || CCV

2. CVCV (C და S ვარიანტული ჩანაცვლებით)

აფიქსალური მორფემების სტრუქტურა:

პრეფიქსები CV (|| SV) —

სუფიქსები -C || -CV (|| SV) || -CCV

კომბინაციები:

ძირეული მორფემის $CV_{(ბ)} + CV_{(ბ)}$

აფიქსალური მორფემების $CV_{(ა)} + CV_{(ა)}$

ძირეული და აფიქსალური მორფემები:

1) $CV_{(ა)} + CV_{(ბ)}$ ან $CV_{(ბ)} + CV_{(ა)}$

2) $CV_{(ა)} + CVCV_{(ბ)}$ ან $CVCV_{(ბ)} + CV_{(ა)}$

1.2.2. ფუძეთქმნადობის მოდელები ნახურ-დაღესტნურ ენებში

ნახურ-დაღესტნურ ენებში ძირის სტრუქტურის შესახებ იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში გაბატონებულია ცალთანხ-მოვნიანი, CV ტიპის, ძირის თეორია, ხოლო ფუძეთქმნადობისათვის კანონიკურად არის მიჩნეული მოდელი:

გრამატიკული კლასის ნიშანი+ძირი+დეტერმინანტი სუფიქსი

სტრუქტურულად:

$$CV + C \parallel CV + VC$$

ეს დიაქრონიაში.

რაც შეეხება სინქრონიას, მიჩნეულია, რომ ფუძემ შეიძლება განიცადოს ცვეთა და ამოსავალი კანონიკური მოდელი, მაგ.:

(ხუნძ.) ბე-ტ-ერ „თავი“

შემდეგ ტრანფორმაციებს დაექვემდებაროს:

ა) დაიკარგოს კლასის მაჩვენებელი, ხოლო ძირი და დეტერმინანტი სუფიქსი კი შენარჩუნებულნი იყვნენ, მაგ.:

(ხუნძ.) Ø-ც-ერ „მელია“

ბ) პოვნიერი იყოს მხოლოდ კლასის მაჩვენებელი და ძირი, მაგ.:

(ხუნძ.) რა-კ-Ø „გული“

გ) წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ძირი,

(ხუნძ.) წა + Ø „ცეცხლი“

შდრ. ახვ. ჰა-რი „id“

ან

(არჩ.) θ - α - θ „კული“

შდრ. (ხუნდ.) რა-ჭა- θ „id“ და (უდ.) θ - α -ილ „id“

პროფ. ილია ცერცვაძის მიერ დადგენილ ტრანსფორმაციის ამ მოდელებს (ცერცვაძე 1954) ყ. მიქაილოვმა მიუმატა კიდევ ერთი (მიქაილოვი 1964 33):

დ) პოვნიერია მხოლოდ დეტერმინანტი სუფიქსი, მაგ.:

(ხუნდ.-ანდალალ. კილოკავი) θ - θ - ინ „საქმელი ბალახის სახეობა“.

შდრ. (ხუნდ.) ტ-ინ „id“

კიდევ ერთი მაგალითი:

(წახ.) θ - θ -ულ' „თვალი“

(მუხ.) θ - θ -ულ „id“

შდრ. (უდ.) ფ-ულ „id“, (ხუნდ.) ბ-ერ „id“ და სხვ.

ცვეთისაგან ფუძის ყველაზე დაცული სტრუქტურული ელემენტი ძირია და მისი გაქრობა, როგორც ზემოთმოყვანილი მაგალითითაც ჩანს, მაშინ არის მოსალოდნელი, როდესაც მისი წინა ელემენტი (კლასის ნიშანი) არის გაცვეთილი, მაგრამ შეიძლება ძირის დაკარგვას ამ პირობის გარეშეც ჰქონდეს ადგილი და, როგორც შენიშნულია (ჯეირანიშვილი 1970 113), სიტყვაში დარჩეს მხოლოდ კლასის ნიშანი და დეტერმინანტი სუფიქსი, თავად ძირი კი უკვალოდ გაქრეს:

(უდ.) ბ- θ -ულ „თავი“

შდრ. (ხუნდ.) ბე-ტ-ერ „id“ და სხვ.

შესაბამისად უდიურში აღდგება *ბუ-ყ-ულ „თავი“ (ე. ჯეირანიშვილი).

ამას შეიძლება ე) მოდელი ეწოდოს. აქ პოვნიერია კლასის ნიშანი და დეტერმინანტი სუფიქსი, ძირი კი გამჭრალაია.

ყ. მიქაილოვის თანახმად, ხუნძურ (resp. დალესტურ) ენებში:

I. **გრამატიკული კლასის ნიშანი** შედგება ორი ელემენტისაგან, თანხმოვნისა (მთავარი) და ხმოვნისაგან (მეორეხარისხოვანი). ტიპი CV.

II. **ძირი** შედგება ცალი თანხმოვნისაგან. განსხვავებული შემთხვევების დროს ფუძე: ა) ნასესხებია, ბ) ატარებს ხმაბაძვით ხასიათს, გ) გაორმაგებულია და მხოლოდ გამონაკლისის სახით, ისტორიულად (გენეზისით) არის მრავალთანხმოვნიანი.

ძირეული შეიძლება იყოს ნებისმიერი თანხმოვანი, მაგრამ ბაგისმიერნი (წყვილბაგისმიერნი) და სონორები — მხოლოდ როგორც გამონაკლისი. ძირის ეს ერთი თანხმოვანი შეიძლება იყოს გემინირებული ან ლაბიალიზებული (ლაბიალური ელემენტით).

III. **სუფიქსი დეტერმინანტივი** — სუფიქსის სტრუქტურული ტიპია VC. და ეს C შეიძლება იყოს სონორი: **ლ, რ, მ, ნ ან ბ, დ, ხოლო V** ჩვეულებრივ — **ა, ე, ი** და იშვიათად — **ო ან უ**.

იმაში დასარწმუნებლად, რომ ნახურ-დალესტურ ენებში ცალ-თანხმოვნიანი CV ტიპის ძირი არ არის ერთადერთი კანონიკური სტრუქტურა, შეიძლება ერთი მხრივ, გამოყოფილ იქნეს ის ფონემები რომლებიც გრამატიკული კლასის ნიშნებად (მოქმედად თუ რელიქტურად) არის პოვნიერი ამ ენებში.

გრამატიკული კლასები (მხოლობითში)

	პიროვნება I (მამაკაცი)	ნიშნები ვ/ჟ(ა)	ვინ კლასი
არაპიროვნება	{	{	}
	}	}	
	ქალი II	მ(ა) <რ	რა კლასი
	არაგონიერი { III } IV } III	ბ(ა) >მ ფბ	
		დ(ა) >რ ლ	

მაგ. ჩეჩნურ-ინგუშურში:

არსებითი სახელი და ზმნა

I. ვაშა ვუ „ძმა არის“

II. ძაშა ძუ „და არის“

III. ბუყ ბუ „ზურგი არის“
(შდრ. ძუყ „წელი“)

IV. დუოგ დუ „გული არის“

ზედსართავი სახელი და ზმნა

ვოქჟა ვუ „დიდი არის“/

ძოქჟა ძუ „დიდი არის“/

ბოქჟა ბუ „დიდი არის“

დოქჟა დუ „დიდი არის“

და ა. შ.

ხუნძურის, რომელიც სამ გრამატიკულ კლასს განარჩევს, მაგალითები ზემოთ იყო მოყვანილი.

რაც შეეხება დეტერმინანტ სუფიქსებს, ისინი ძირითადად, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ყ. მიქაილოვი, ან სონორ თანხმობენებს მ ნ ლ რ შეიცავენ, ან ბ დ ზმულეებს.

შესაბამისად, გარდა ცალთანხმობიანი CV ტიპის ძირებისა,

შესაძლებელი ხდება გამოყოფთ CVC ტიპის სტრუქტურის ძირებიც შემდეგი პირობით: ა) ისინი არ უნდა შეიცავდნენ არც კლას-კატეგორიის ნიშნებად გამოყენებულ თანხმონებს, არც დეტერმინანტ სუფიქსებად გამოყენებულ თანხმონებს (როგორც პირველ, ასევე მეორე თანხმონად, რათა გამოირიცხოს რედუპლიცირებული ფუძის ცვეთის შედეგის მიჩნევა ძირად), ბ) ისინი არ უნდა შეიცავდნენ ერთსა და იმავე თანხმონს, რათა გამოირიცხოს რედუპლიკაცია, გ) მათ უნდა ჰქონდეთ კანონზომიერი და რეგულარული ბგერათ-შესატყვისობები მონათესავე ენათა შესაბამის ძირებთან, რათა გამოირიცხოს ნასესხობა.

ამ ოპერაციათა შედეგად უეჭველად ვლინდება CVC ტიპის სტრუქტურის ძირების არსებობა როგორც საერთო-დადესტნურ, ასევე საერთო-ნახურ-დადესტნურ ფუძე-ენებში, მაგ.:

*ზაჟ — „ღღე“, „ცა“

*მაჯ — „ქერი“

*თას — „გადაგდება“

და სხვ.

ის, რომ ზემოხსენებული ბგერები (resp. ფონემები) CVC ნახურ-დადესტნური სტრუქტურის პოენიერების დასადგენი პირობებიდან იქნა ამოღებული (ad hoc), სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათი მონაწილეობა ძირის (და არა ფუძის) შედგენაში საერთოდ არის გამორიცხული. საერთო-ნახურ-დადესტნური ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე რეკონსტრუირდება ამ თანხმონათა შემცველი ძირები, სადაც მათი აფიქსალური წარმოშობა სავარაუდო არ ჩანს, მაგ.:

*ჟაჩ „ვაშლი“

*შეებ „კოშკი“

*წუდ „წითელი“

*ხოდ „ქმარი“

და სხვ.

ისტორიულად დადასტურებულ იბერიულ-კავკასიურ ენებში გვხვდება დახურული VC ტიპის სიტყვებიც (ძირები), მაგ. დაღესტნურ ენათა ლეზგიური ქვეჯგუფის ენებში:

უდიური	წახური	მუხადური
იყ „ნაცარი“	ოს „შეშა“	უს შეშა“
ინ „რწყილი“	ერ „ვაშლი“	ან ვაშლი“
ეშ ვაშლი“	ოკ/ოყ „ბალახი“	უყ „ბალახი“
ეყ „ხორცი“	ებ „სისხლი“	ან „ნალი“
ელ „მარილი“	შთ „თაფლი“	ით „თაფლი“
აბ „ოფლი“	ულ „თვალი“	ულ „თვალი“
არ „მსხალი“	იფ „ღერღილი“	უკ „წვეთი“
და სხვ.	და სხვ.	და სხვ.

მონათესავე ენების მონაცემებთან შედარებისას ცხადი ხდება მათი უმრავლესობის წარმოშობა ცვეთის გზით. მაგ.:

უდიური

1. უდ. იყ „ნაცარი“

შდრ. არჩ. დი-ყ „id“ თაბ. რჷ-ჭა „id“ აღულ. რჷ-ჭა „id“

შესაბამისად: უდ. იყ < *დი-ყ

2. უდ. ინ „რწყილი“

შდრ. ხუნდ. ჰეტ „id“ ახვ. ჰანტი „id“ ლეზგ. ჰუთ (< *ჰუნთ)

„id“ მუხად. ჰით (< *ჰინთ) „id“ წახ. ჰინ (< *ჰინთ) „id“

შესაბამისად: უდ. ინ < *ჰინთ

3. უდ. ელ „მარილი“

შდრ. ლეზგ. ყალ „id“ თაბ. ყილ „id“ აღ. ყალ „id“.

მუხად. ყალ „id“ წახ. ყეჟ „id“...

შესაბამისად: უდ. ელ <*ყელ. და ა.შ.

წახური და მუხადური

1. წახ. ეჩ „ვაშლი“ მუხად. ნჩ „id“

შდრ. ხუნდ. მეჩ „id“ თაბ. ჟეჩ „id“ და სხვ.

შესაბამისად: წახ. ეჩ } <*ჟეჩ
 მუხად. ნჩ }

მუხადურის გრძელი ხმოვანი ინიციალური თანხმოვნის და-
 კარგვის კომპენსაციაა.

უდიური ეშ „ვაშლი“-ც ცხადია მიღებულია *ვეშ ფორმიდან.

2. წახ. ოყ/ოყ „ბალახი“ მუხ. უყ/უყუ „ბალახი“

შდრ. ლეზგ. ჟჷყ „ბალახი“

შესაბამისად წახ. ოყ < ოყ } <*ჟოყ
 მუხ. უყ }

3. წახ. ებ „სისხლი“

შდრ. ხუნდ. ბი „id“ არჩ. ბი „id“ ლეზგ. იჟი „id“

მუხად. აბრ || აბირ „id“.

შესაბამისად, წახ. ებ < *ბიჟირ.

სტრუქტურულად: ბი-ჟ-ირ (სხვაგვარი რეკონსტრუქცია იხ. ბ.
 გიგინეიშვილი 1977 138-139) და ა. შ.

როგორც ვნახეთ, VC მარცვლის ტიპის ძირები ნახურ-
 დადესტნურ ენებში ჰეტეროგენური წარმოშობისანი არიან, მათ
 შორის, გამონაკლისის სახით ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე
 რეკონსტრუირებადი არქეტიპიც გვხვდება მაგ.: *აწ „ათი“.

ძირის სტრუქტურის ვერიფიკაციის ერთ-ერთ საშუალებად იზო-
 მორფულ ერთეულთა ბრუნების სხვადასხვა პარადიგმის წევრობაა.

მაგ. უდიური:

ბულ „თავი“

ფულ „თვალი“

ქულ „ხელი“

ტულ „ყურძენი“

კულ „მიწა“

გულ „საცერი“ და სხვ.

ერთი შეხედვით იდენტური სტრუქტურისანი ჩანან, მაგრამ სხვადასხვაგვარად იბრუნვიან. მაგ.:

პირველი ტიპი

სახ. ტულ „ყურძენი“

ერგ. ტულ-ენ

ნათ. ტულლა^ნ

მიც. ტულლუ^ნ

ასევე იბრუნვიან: კულ „მიწა“, გულ „საცერი“ და სხვ.

მეორე ტიპი

სახ. ქულ „ხელი“

ერგ. ქ-ინ

ნათ. ქ-ინ

მიც. ქ-ე^ნ

ასევე იბრუნვიან: ფულ „თვალი“, ბულ „თავი“ და სხვ.

პირველი ტიპის ბრუნებაში CVC ტიპის ძირი ყველა ბრუნვაშია შენარჩუნებული, მეორე ტიპის ბრუნვებში კი CVC ტიპის ფუძე იშლება ცალთახმოვნიან ძირად და აფიქსალურ მორფემად:

ქ-ულ

ამ ძირის კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისობები

პოვნიერია სხვა დალესტნურ ენებშიც; მაგ.:

ხუნდ. ქუერ „ხელი“ ლაკ. ქა (< *ქუა) „id“ არჩ. ქულ „id“. შესაბამისად ხუნძური სიტყვის დაშლაც ხერხდება ძირეულ და აფიქსალურ მორფემებად.

ფულ „თვალი“ ფუძის შესაბამისი მასალა პოვნიერია ნახურ-დალესტნურ ენებში, აქ ასეთი სიტუაციაა:

დალესტნური ენები:

ხუნდ. ბერ „თვალი“ ჰუნზ. ჰარე „id“. დარგ. ჰული „id“ ლეზგ. ფილ „id“. თაბ. ულ „id“. აღულ. ულ „id“. მუხად. ულ „id“ წახ. ულ' (<*ფულ') „id“. ხინ. ფილ „id“.


ნახური ენები:

ჩეჩნ. ინგ. ბმარ-გ „id“ ბაცბ. ბმარ-კ „id“.


კომპარატივისტიკის პოზიციიდან არ არის ინტერესმოკლებული, რომ ნახური ენების აუსლაუტის გ/კ პოვნიერია დალესტნურ ენებშიც; მაგ. ანდ. ჰარ-კუ „id“ ჰამალ. ჰა-ჰა < *ჰარ-ჰა < *ჰარ-კა „id“.

ნახური ენების ჩვენებაზე დაყრდნობით ბ. გიგინეიშვილი საერთო-დალესტნურისთვის ანლაუტში აღადგენს ბჰ თანამიმდევრობას (გიგინეიშვილი 1977 138-139, შდრ. ცერცვაძე 1958 255).


შესაბამისად, აღდგება: *ბ-ჰ-არ არქეტიპი, რაც იმას ნიშნავს, რომ ძირეული აფიქსი შენარჩუნებულ იქნა დალესტნური ენებიდან ჰუნზიბურსა (ჰ-არ-ე) და დარგულში (ჰ-ულ-ი), სხვა ენებმა კი ის დაკარგეს:



რაც შეეხება აფიქსალურ მორფემებს ნახურ-დაღესტნურ ენებში, მათი სტრუქტურული ტიპებია:



თუმცა CV ტიპის აფიქსალური მორფემები არც თუ იშვიათად აუსლაუტშიც (დეტერმინანტი სუფიქსის ფუნქციით) გვხვდებიან. მაგ., უდიურში:



VC ტიპის აფიქსალური მორფემა აუსლაუტში შეიძლება კლასის ნიშანიც აღმოჩნდეს დაღესტნურ ენებში. მაგ. ხუნძურ არსებით.: I. ვ-ას-ავ „ვაეი“

II. ძ-ას-აძ „გოგონა“

I. ვ-აც-ავ „ძმა“

II. ძ-აც-აძ „და“

თუ ზედსართავ სახელებში:

I. ვ-ორთხ-ავ „მაღალი (კაცი)“

II. ძ-ორთხ-აძ „მაღალი (ქალი)“

III. ბ-ორთხ-აბ „მაღალი (რამე, არაპიროვნება)“

და ა. შ.

ამ სიტყვებში კლასის ორი ნიშანი იჩენს თავს (ანლაუტსა და აუსლაუტში), მაგრამ ეს ცალკე ექსკურსის თემაა.

ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიულ-შედარებითი მეთოდის თვალსაზრისით დაღესტნური ენების ჯერ შიდა ნათესაობის დადგენისა და შემდეგ სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებთან შედარებისას არის ნახურ-დაღესტნურ ენათა არა მარტო ძირეულ და აფიქსალურ მორფემათა სტრუქტურების დადგენა ან მათი კომბინაციის წესების გამოვლენა, არამედ თვით ამ კომბინაციათა მასალობრივი ინვენტარის ასორტიმენტის მრავალფეროვნების გათვალისწინება. მაგ.:

დაღესტნური ენებისათვის დადგენილია ბგერათშესატყვისობათა შემდეგი ფორმულა:

ხუნძ. კ ანდ. კ ახვ. კ დიდ. ყ დარგ. კ ლაკ. კ

არჩ. ყა ლეზგ. ყ აღ. ც მუხად ყ წახ. ყ უდ. ყ ხინ. კ.

(გიგინეიშვილი, 1977: 137-138).

აი, როგორი სიზუსტით არის იგი რეალიზებული „ორი“-ის აღმნიშვნელ ძირში:

ხუნძ. კი — „ორი“ ბოთლ. კე — „id“ ახვ. კე — „id“

დიდ. ყა — „id“ დარგ. კი — „id“ ლაკ. კი — „id“

არჩ. ყუჟე- (<*ყუჟე-) „id“ თაბ. ყრ — „id“

აღ. ცა — „id“ მუხად. ყვე — „id“ წახ. ყრ — „id“: უდ. პწ (<*ყუჟე) „id“ ხინ. კუ „id“.

ასეთივე სიზუსტით არის დაცული ეს კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობა „მძიმე“-ს აღმნიშვნელი ლექსემის ძირეულ მორფემაში. რაც შეეხება აფიქსალურ მორფემებს, რომლებიც ძირული მორფემასთან კომბინაციებში არიან წარმოდგენილი, მასალობრივად სხვადასხვანი არიან:

ხუნძ. ბა-კ-აბ „მძიმე“

ახვ. პო-კ-ორო „id“

დარგ. დი-კ-ილ „id“

ლაკ. კუ-საა „id“

არჩ. იაღ-ღუთ < *იაყ-ღუთ „id“

თაბ. ა-ყრ-რ „id“

არჩიბ. ტრ-ცა -ტ „id“

მუხად. ძუ-ყ-თგ „id“

წახ. მი-ყ-გნ „id“.


ძირეული და აფიქსალური მორფემების კომბინაციათა თვალსაზრისით დაღესტნურ ენებში ისეთი უეჭველი შემთხვევებია პოვნირი, როდესაც ერთი და იგივე ძირეული მორფემა სხვადასხვა აფიქსალურ მორფემებთან კომბინაციით სხვადასხვა სიტყვას ქმნის. მაგ.:

საერთო დაღესტნურ ცალთანხმოვნიანი ძირეული მორფემა წა, რომელიც ისტორიულად დადასტურებულ დაღესტნურ ენებში შემდეგი რეფლექსებით ვლინდება:

ხუნძ. წა ანდ. წა: ახვახ. წა დიდ. ც დარგ. ც (ურახ. დიალ.)

|| ზ (წუდახ. დიალ.): ლაკ. წ არჩ. წა ლეზგ. ტ/თ თაბ. წა აღ.

თს მუხად. დ/თ წახ. დ/თა/თ უდ. წ/ჭ ხინ. წ, ასე დიფერენცირდება სემანტიკურად:



„თაფლი“

- ხუნდ. ჰო-წა-ო „id“:
- ანდ. ჰუნ-წა-ი „id“:
- ახვ. უ-წა-ი „id“:
- დიდ. ნო-ც-ი „id“:
- ჰუნზ. ნუ-ც-უ „id“:
- დარგ.(ურახ.) უარ-ც-ა „id“:
- ლაკ. ნი-წ „id“:
- არჩ. იმ-წა „id“:

ლუზგ. უერ-თ „id“:

თაბ. მი-ჭა-უ

(**მი-წა-უ*) „id“:

- ად. უ-თა „id“:
- მუხად. ი-თ „id“:
- წახ. უ-თ „id“:
- უდ. უ-ჭ „id“:
- ხინ. ნუ-წ „id“

„ტკბილი“

- ხუნდ. ———
- ანდ. მი-წა-ა „id“:
- ახვ. მი-წა-ა „id“:
- დიდ. ———
- ჰუნზ. ———
- დარგ.(ურახ.) მუარ-ც „id“:
- ლაკ. ნა-წ-უ „id“:
- არჩ. ი-ზ-დუთ

(**იწა-დუთ*; შდრ. მოკლე ფორმა იწა) „id“:

ლუზგ. უერ-წ-ი (**უერ-ტ-ი* **უერ-თ-ი*) „id“:

თაბ. ———

- ად. ი-თა-ე „id“:
- მუხად. ი-თ „id“:
- წახ. უ-თა-უ „id“:
- უდ. მუ-ჭ „id“:
- ხინ. მი-წ „მეავე“.


პროფ. ბაქარ გიგინეიშვილი ამასთან დაკავშირებით წერს:

„ლექსემები „თაფლი“ და „ტკბილი“ წარმოქმნილია, ჩვენი აზრით, ერთი და იმავე ძირიდან: პირველი — *NV- პრეფიქსის მეშვეობით, მეორე კი — პრეფიქსით *მV-“ (გიგინეიშვილი 1977 107).

უდავოდ ასევე ერთი საერთო-დაღესტნური ცალთანხმოვნიანი ძირეული *ლ' მორფემის კომბინაციით სხვადასხვა აფიქსალურ მორფემებთან არის ნაწარმოები „მზისა“ და „დღის“ აღმნიშვნელი ლექსემები:

საერთო-დაღესტნური *ლ' შემდეგი რეფლექსებით არის წარმოდგენილი ისტორიულად დადასტურებულ დაღესტნურ ენებში:

ხუნძ. ყ/ლ ანდ. ყა/ლ ახვახ. ყა/ლ დიდ. ჳ დარგ. ლ'ყა (დიალექტთა მიხედვით) ლაკ. ყა/ლ: არჩ. ჳ ლეზგ. ყა/ლ თაბ. ლ': აღ. ლ მუხად. ლ წახ. ლ უდ. ლ:




წახ. უირგ-ღ „id“:
 უღ. ბე-ღ „id“
 ხინ. გნ-ყ „id“.

წახ. ძგ-ღ „id“:
 უღ. ძგ-ღ „id“:
 ხინ. ყ-წ „id“.

ასევე ერთი ძირეული მორფემის სხვადასხვა აფიქსალურ მორფემებთან კომბინაციის შედეგად მიმჩნია შემდეგი დაღესტნური რიცხვითი სახელები: ერთი მხრივ „ხუთი“ და „ექვსი“, მეორეს მხრივ „შვიდი“ და „რვა“.

საერთო-დაღესტნური *ლ^ა ასეთი რეფლექსებით არის წარმოშემდეგი ისტორიულად დადასტურებულ დაღესტნურ ენებში:


ხუნდ. ლ^ა ანდ. ლ^ა ახვახ. ლ^ა დიდ. ლ^ა დარგ. ლ^ა || გ || ქ^ა
 ლაკ. ხა არჩ. ლ^ა / ლ^ა ლეზგ. ლ^ა თაბ. წ: მუხად. ჰ || წ^ა
 წახ. ხ^ა უღ. ვ: ხინ. ქ;



(< *ლ ⁻ -ტა) „id“:	
თაბ. წ ⁻ -უ- „id“:	თაბ. ძირ-წ ⁻ -უ „id“:
ალ. ი-ძ-ა „id“:	ალ. ძერ-წ ⁻ -ი „id“:
(< * ი-წ-ტ-ა) „id“:	
მუხად. ჰ-უ „id“:	მუხად. ძი-წ ⁻ -გ „id“:
წახ. წ ⁻ -ო „id“:	წახ. -----
უდ. ვ-ო „id“:	უდ. უ-ვ „id“:
ხინ. ფ-წ ⁻ -უ (<*ფ-ჟ-უ) „id“.	ხინ. ზე-ჟ „id“

საერთო-დაღესტნური *ღ^ა (მედერი ლატერალური აფრიკატი) ისტორიულად დადასტურებულ დაღესტნურ ენებში ასეთი რეფლექსებით არის წარმოდგენილი:

ხუნდ. ტ^ა ანდ. ტ^ა ახვახ. ტ^ა დიდ. ლ^ა დარგ. გ || ჟ^ა || ჰ^ა
 ლაკ. ჟ^ა / ლ არჩ. ლ^ა ლეზგ. ჟ^ა / ლ⁻ თაბ. ლ⁻: ალ. მ / წ⁻ მუხად. მ / ჟ^ა / ხ^ა/₂ წახ. ღ / ლ უდ. ღ / ლ ხინ. კ;



არჩ. უი-ლ'-ი „id“:

ლეზგ. ერ-ი

(<*ერ-ლ'-ი) „id“:

თაბ. ურ-ლ'-უ- „id“:

აღ. დერ-ი

(< * დერ-დ-ი) „id“:

მუხად. დი-ხჷ-უ- „id“:

წახ. დი-ღ-გ „id“:

უღ. ვუ-ღ „id“:

ხინ. დი-კ „id“.

(<*მდე-ლ?) „id“:

არჩ. მე-ლ'-ე „id“:

ლეზგ. მჷ-ჷ-ჷ

(<* მჷ-ლ'-ჷ) „id“:

თაბ. მირ-ჷ-ი (<* მირ-ლ'-ი) „id“:

აღ. მუ-დ-ა „id“:

მუხად. მგ-დ-ე „id“:

წახ. მო-ლ-ჷ „id“:

უღ. მუ-ღ „id“:

ხინ. ინ-კ „id“.

სხვა ანალოგიური მაგალითები ერთი და იმავე ძირეული მორფემების სხვადასხვა აფიქსალურ მორფემებთან კომბინაციის გზით სხვადასხვა ფუძეთა (resp. ლექსემათა) წარმოშობისა, როგორც დაღესტნურ, ასევე ქართველურ ენებში, ქვემოთ მექნება ნაჩვენები, როდესაც დაღესტნურ-ქართველურ ბგერათშესატყვისობებზე ვისაუბრებ.

ეს მაგალითები თვალსაჩინო დასტურია იმისა, რომ იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-შედარებითი მეთოდით კვლევისას პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებას რომ ერთი და იგივე ძირი შეიძლება შედიოდეს კომბინაციაში სხვადასხვა აფიქსალურ მორფემებთან, რომელთა ასორტიმენტი საკმაოდ მრავალფეროვანია და, შესაბამისად, მონათესავე ენათა ძირებს შორის შეიძლება გამოვლინდეს კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისობა, მაგრამ შესადაარებელი სიტყვები შეიძლება სხვადასხვა ენაში სხვადასხვა აფიქსებთან კომბინაციებით იყვნენ შედგენილი.

სპეციალურ ლიტერატურაში ამას „დიუმეზილის ფენომენი“ ეწოდება: „უ. დიუმეზილს ეკუთვნის საგულისხმოდ დაკვირვება იმის შესახებ, რომ მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში ფორმანტებში არა გვაქვს ის შესატყვისობანი, რაც ძირეულ მორფემებში დასტურდება („დიუმეზილის ფენომენი“)“ (შენგელია, ჯანაშია 1979 404). ანალოგიური დაკვირვება ქართველური ენების მიმართ ეკუთვნის არნ. ჩიქობავას (ჩიქობავა 1938; ჩიქობავა 1942) და ლოგიკური იქნება იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების მასშტაბით ამ მოვლენას „დიუმეზილ-ჩიქობავას ფენომენი“ ეწოდოს.

წინამდებარე მონოგრაფიის ერთ-ერთ ამოცანას ამ ფენომენის ახსნაც წარმოადგენს.

1.2.3. ფუძეთქმნადობის მოდელები ქართველურ ენებში

ქართველურ ენათა ძირის სტრუქტურისა და ფუძეთქმნადობის მოდელების შესახებ რამდენიმე თეორიაა შექმნილი და ზოგიერთ მათგანს მთელი ეპოქა უკავშირდება ქართველოლოგიაში. ზემოთაც ვთქვი და ახლაც უნდა გავიმეორო, რომ ამ თეორიათა ერთი ნაწილი დედუქციურ მიდგომაზე იყო დაფუძნებული და მიმართული იყო ენობრივი ფაქტების გარკვეული თვალსაზრისის თანახმად ინტერპრეტაციისაკენ, თუმცა, ისიც უნდა ხაზგასმით ითქვას, რომ ამ თეორიებმა ხელი შეუწყვეს ქართველოლოგიის განვითარებას, ახალი იდეებითა და მიდგომებით გაამდიდრეს არა მარტო ქართველოლოგია, არამედ იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერებაც.

ამ თეორიების ანალიზი წინამდებარე ნაშრომში სავალდებულო და აუცილებელია არა იმდენად საკითხის ისტორიის პოზიციიდან,

რამდენადაც იბერიულ-კავკასიურ ენათა კომპარატივისტული კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე.

ქართველურ (აგრეთვე სხვა კავკასიურ) ენათა ძირეული ლექსიკის უძველესი სტრუქტურული ბუნების განსაზღვრის თვალსაზრისით მართლაც ფუძემდებლური მნიშვნელობისაა არნ. ჩიქობავას ნაშრომი „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“ (თბილისი, 1942).

ამ ნაშრომში ჩამოყალიბდა არაერთი ძირითადი დებულება როგორც ზმნისა და სახელის ფუძეთა ურთიერთმიმართების, ისე პირვანდელ ძირთა უძველესი აფიქსაციის (პრეფიქსებისა და სუფიქსების როლისა და დანიშნულების) და ამ მონაცემთა სტრუქტურული ბუნების შესახებ.

კერძოდ, ამ ნაშრომში ძირითადი დასკვნა ამგვარად გამოიკვეთა: „ქართველურ ენებში სახელთა ძირში ისტორიულად დასტურდება ცალი თანხმოვანი.

მას ფუძედ აყალიბებს:

ა. დეტერმინანტი სუფიქსისა და

ბ. გრამატიკული კლას-კატეგორიის პრეფიქსის დართვა. ამჟამად ერთიცა და მეორეც უფუნქციო ჩანს და ხშირ შემთხვევაში ძირსაა შეზრდილი“ (ჩიქობავა 1942: 262).

ამ ძირითადი დასკვნის სრულად წარმოდგენისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს მისი შინაარსის განმსაზღვრელ ცალკეულ დასკვნით დებულებებს:

„ფუძის დეტერმინანტი სუფიქსები შუქსა ჰფენენ ფუძის აგებულების მექანიკის არსებით მომენტებს.

დეტერმინანტი სუფიქსების გამოყოფა ააშკარავებს, რომ ერთმარცვლიანი მარტივი ფუძეები ქართული ლექსიკის ძირითად მასივს შეადგენს; ხშირად ძირი ერთ თანხმოვანს უდრის. ორმარ-

ცვლიანი (და მეტი მარცვლის შემცველი) ფუძე ყოველთვის კითხვას იწვევს: ხომ არა გვაქვს საქმე შედგენილ ან რთულ ფუძესთან.

ერთმარცვლიან ფუძეში ხმოვანი ან ძირისაა, ან დეტერმინანტ სუფიქსისა, გინა პრეფიქსისა“ (ჩიქობავა 1942 128).

„ერთმარცვლიან ფუძეში ხმოვნის ადგილმდებარება მახვილის ადგილსა და ბუნებას გვარკვევინებს“ (ჩიქობავა, 1942 128);

„სრულხმოვნობა მეორეული მოვლენა არაა, იგი ამოსავალი ვითარებაა“ (ჩიქობავა, 1942 129);

„თანხმოვანთყრილობა ქართულში მეორეულია (მისი მთავარი წყაროა დეტერმინანტ სუფიქსთა ზეგავლენით ფუძის შეკუმშვა!)“ (ჩიქობავა 1942 129).

ზმნისა და სახელის ფუძეთა პრინციპული ერთგვარობა-გაუდიფერენცირებლობა, ზმნის ფუძის სახელური წარმოშობილობა — დეტერმინანტი სუფიქსის მეოხებითაც თვალსაჩინო და ხელშესახები ხდება“ (ჩიქობავა 1942 131).

„ქართველური ენებისათვის ისტორიულად დამახასიათებელია გრამატიკულ კლასთა გარჩევა ისევე, როგორც მთის კავკასიური ენებისათვის (გრამატიკული კლასისა და არა — გრამატიკული სქესისა);

გრამატიკულ კლას-კატეგორიათა ნიშნებად ქართველურ ენებში პრეფიქსები გვქონდა, არსებითად ასეა ეს სხვა კავკასიურ ენებშიც“ (ჩიქობავა 1942 260).

როგორც ვხედავთ, ისტორიულ ამოსავლად მასშტაბური ანალიზისა და ამ დასკვნების საფუძველზე ჩანს ცალთანხმოვნიანი ძირი, რომელიც ფუძედ გარკვეული აფიქსაციის (დეტერმინანტები და კლას-ნიშნები) შეზრდით ყალიბდებოდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ერთმარცვლიანი ძირების არსებობაც ჩანს მისაღები (იხ. მსჯელობა მახვილთან დაკავშირებით).

ცალთანხმონიან ძირებს მიუთითებდნენ ამოსავლად მთის კავკასიური ენების მასალისთვისაც. მაგალითად, ჯერ კიდევ ნ. ტრუბეცკოი აღნიშნავდა, რომ ჩრდილოკავკასიური ენების ზმნური ძირი ერთი თანხმონისაგან შედგება, იქ კი, სადაც ეს წესი დარღვეულია, გაქვევებული პრეფიქსის ძირეულ ელემენტთან შეხორცების შედეგთან გვაქვს საქმე (ტრუბეცკოი 1924: 328 და შემდგ. ჩიქობავა 1942 267).

არნ. ჩიქობავამ შემდგომ აღნიშნული დებულებები განაზოგადა, როგორც იბერიულ-კავკასიურ ენათა საერთო ბუნებითი და სტრუქტურული თავისებურება:

„სახელური და ზმნური ფუძეები ამოსავალში გაუდიფერენცირებელი იყო (ზმნური ფუძე სახელური ბუნებისა იყო). ფუძის უმარტივესი სახე ისტორიულად ერთმარცვლიანი ჩანს; იგი შედგებოდა თანხმონისა და დეტერმინატიული სუფიქსისაგან. დეტერმინატიული სუფიქსები გამოვლენილია ქართველურ ენებში, ადიღურ ენებში, რიგ დაღესტნურ ენაში...

გრამატიკული კლასის კატეგორიები პრეფიქსებს წარმოადგენდნენ არსებით სახელებთან, ზმნებთან, ნაზმნარ სახელებთან...

იბერიულ-კავკასიური ენების ზმნურ და სახელურ ფუძეთა ისტორიული შედგენილობის ახლებური გაგება (კლასის ნიშანი + ძირეული თანხმონიანი + დეტერმინატიული სუფიქსი) შესაძლებლობას გვაძლევს გამოვავლინოთ ისტორიულად საერთო ელემენტები ლექსიკაში...

პრეფიქსაცია პირველადია, სუფიქსაცია კი — მეორეული“ (ჩიქობავა 1979 271-273).

იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახებისა, ცალკეული ქვეჯგუფებისა და ენების ძირეული მასალის ამოსავალი სტრუქტურის შესახებ აღნიშნული თვალსაზრისი არსებითად სახელმძღვანელო თეორიად

არის წარმოდგენილი იმ მკვლევართა ნაშრომებში, რომელთა კავკასიოლოგიური მოღვაწეობა თბილისურ სამეცნიერო სკოლასთან არის დაკავშირებული.

ამ თეორიასთან დაკავშირებით ცალსახად უნდა ითქვას შემდეგი ორი პრინციპული მომენტის შესახებ:

პირველი ეს გრამატიკული კლასების საკითხია ქართველურ ენებში: მიუხედავად იმისა, რომ ფაქტია, ქართველური ენების მიერ სამყაროს აღქმის სემანტიკური მოდელის საფუძვლად ვინ და რა კლასების ოპოზიციის დადება, სადაც ვინ კლასში შედის მხოლოდ პიროვნება, ყველა და ყველაფერი დანარჩენი კი მოქცეულია რაკლასში, ანუ არაპიროვნების კლასში (მათ შორის ბავშვიც, რომელიც უკვე ადამიანია, მაგრამ ჭერ კიდევ არ არის პიროვნება) — ეს ოპოზიცია ოდენ სემანტიკურია და არა მორფოლოგიური.

საერთო-ქართველური ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე გრამატიკულ კლასთა სისტემის არსებობა მატერიალურად არ მტკიცდება, მეტიც, თუკი სამხრეთკავკასიურ ენებში ასეთი კატეგორია ოდესმე არსებობდა, ის უკვე მოშლილი იყო არა თუ საერთო-ქართველურ, არამედ საერთო-ბასკურ-ქართველური ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზეც კი.

ამდენად, კლას-კატეგორიათა არსებობის ვარაუდს ქართველურ ენებში კომპარატივისტიკა ვერ ასაბუთებს.

მეორე საკითხი წმინდა მეთოდოლოგიურია: ბატონი არნოლდი იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის საკითხთან დაკავშირებულ სადისკუსიო სტატიაში წერდა ქართველური და, ზოგადად, იბერიულ-კავკასიური ენების შესახებ:

„პრეფიქსაცია, რომელიც ამჟამად წამყვან მორფოლოგიურ პრინციპს წარმოადგენს, სუფიქსაციის არსებობასაც არ გამორიცხავს. მაგრამ ყველგან, სადაც ხერხდება შესაბამისი ფორმების ის-

ტორიის აღდგენა, დასტურდება, რომ პრეფიქსაცია პირველადია, სუფიქსაცია კი — მეორეული (დაყოფა ყველგან ავტორისეულია — მ. ქ.); ენობრივი მასალის საფუძველზე შემოწმებული ეს ფორმულა ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს კონკრეტული ფაქტების შედარებითი ქრონოლოგიის დადგენისას.

კერძოდ, სუფიქსაცია ბრუნებაში მაშინ, როდესაც უღვლილებაში ძირითადად პრეფიქსაციაა წარმოდგენილი, იმით აიხსნება, რომ ისტორიულად იბერიულ-კავკასიურ ენებში ზმნა სახელზე ადრე გაფორმდა. გვიანდელი პერიოდის წარმოებებში სუფიქსაციის ხვედრითი წონის გაზრდა კი სხვაგვარი სისტემის ენათა გავლენის შედეგად უნდა მომხდარიყო“ (ჩიქობავა 1979: 273).

იბერიულ-კავკასიურ ენებში სუფიქსაციასთან შედარებით პრეფიქსაციის პირველადობის შესახებ განსხვავებული თვალსაზრისი, ჩემს ერთ ადრეულ ნაშრომშიც არის გატარებული („ზმნური სიტყვათწარმოების პრეფიქსული და სუფიქსური საშუალებანი ქართველურ და აფხაზურ-ადიღურ ენებში“, ქურდიანი, შენგელია 1990 82-83). ამჯერად უფრო ვრცლად შევჩერდები მასზე.

რას ნიშნავს პირველადი და მეორეული? ლინგვისტიკაში მსგავსი საკითხების რელატიური თუ აბსოლუტური ქრონოლოგიის დადგენის ერთადერთი საშუალება ისტორიულ-შედარებითი მეთოდია, ამ მეთოდით რეკონსტრუირებულ არქეტიპებში კი როგორც საერთო-ქართველური ფუძე-ენის, ისე საერთო-ნახურ-დაღესტნური თუ საერთო-იბერიულ-კავკასიური ფუძე-ენების დონეზე წარმოდგენილია როგორც პრეფიქსაცია, ასევე სუფიქსაცია, ანუ ყველა იმ ქრონოლოგიურ დონეზე, სადამდე ჩაღწევის უფლებასაც გვაძლევს ლინგვისტური კომპარატივისტიკის მეთოდი (ნებისმიერი მეცნიერება კი კომპეტენტურია მხოლოდ მისი მეთოდის ფარგლებში). პრეფიქსაცია და სუფიქსაცია თანაბრად რეკონსტრუირებადია.

გარდა ამისა, გამონაკლისის გარეშე, იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ყველა წევრის ფუძე-ენის დონეზე თანაბრად აღდგება როგორც ზმნის უღვლილები პარადიგმა, ასევე სახელის ბრუნების პარადიგმაც.

მაშ, საიდან ჩანს, რომ „პრეფიქსაცია პირველადია, სუფიქსაცია კი — მეორეული“, ან რომ „ზმნა სახელზე ადრე გაფორმდა“.

ჩემი მასწავლებლებისა და უფროსი კოლეგებისაგან მსმენია, თითქოს ქართველურ ენებში უთემისნიშნო ზმნები უფრო ძველია (პირველადია) თემისნიშნიან ზმნებთან შედარებით. ასეთი მსჯელობა სიმართლეს ჰგავს, მართლაც, ლოგიკურად ხომ ასეც უნდა მომხდარიყო; ლოგიკურად შეიძლება ეს მსჯელობა სწორია, მაგრამ ლინგვისტურად ის ჰემარატი არ არის, რადგან საერთო-ქართველურ დონეზე თემისნიშნიანი ზმნები ისეთივე წარმატებით რეკონსტრუირდება, როგორც უთემისნიშნონი, მაგ.:

ს ქართ.	ქართ.	ზან.
*წერ-ს	წერს	კარს
*წერ-ამ-ს	წერ-ამ-ს	კარ-უმ-ს

აი, ეს დასკვნა კი ნამდვილად შემოწმებულია ენობრივი მასალის საფუძველზე...

აკად. არნ. ჩიქობავამ საერთო-ქართველურ ფუძე-ენაში კლას-კატეგორიის აღმნიშვნელი პრეფიქსების გვერდით და მათთან ერთად დეტერმინანტი სუფიქსებიც გამოყო, როგორც სახელის ფუძის ამგები უძველესი ელემენტი — ასეთი იყო მისი კვლევის ინდუქციური დასკვნა, რომელიც დედუქციურმა თვალსაზრისმა გაანეიტრალა.

საერთო-ქართველურ ძირ-ფუძეთა სტრუქტურული ბუნების განსხვავებული სურათი იქნა ჩამოყალიბებული თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის კაპიტალურ მონოგრაფიაში „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში (თბილისი 1965). ქართველურ ფუძე-

თა ფორმირების ისტორიული მექანიზმების გამოსავლენად შექმნილ ამ ვრცელ გამოკვლევაში ამოსავალი ძირის მთავარ ტიპად CVC- მოდელია დასახელებული, ხოლო ფუძის შენების ძირითადი (სრულ) სტრუქტურა ასეთია: CV-CVC-VC.

კერძოდ, ავტორთა ძირითადი დასკვნები გვეუბნება:

„საერთო-ქართველური ძირეული მორფემის ძირითადი კანონიკური ფორმა განისაზღვრება CVC- ფორმულით, სადაც C სიმბოლო შეიძლება სონანტური ფონემის აღმნიშვნელი S სიმბოლოთი შეიცვალოს. მაშასადამე, გვაქვს CVC- და CVS-, SVC-, SVS- ფორმები მოკლე ხმოვნით C და S ელემენტებს შორის“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965 304).

„ზემოთ განხილული ძირეული მორფემები C- და S- სტრუქტურის საერთო-ქართველური ძირის შესაძლებელ სტრუქტურათა ერთ მცირერიცხოვან ჯგუფს ქმნიან და არ წარმოადგენენ ძირითად სტრუქტურულ ტიპს (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965 318).

საგულისხმოა, რომ ავტორები საგანგებოდ განიხილავენ იმ შესაძლებლობას, რასაც წინამორბედი თეორია გულისხმობდა — შესაძლებელია CVC- სტრუქტურა ცალთანხმოვნიანი ძირის შემდგომი გართულების შედეგი იყოს. დასკვნა საპირისპიროა:

„C- და S- სტრუქტურის ძირები უფრო ადრე არსებული ნორმალური CVC- (resp. CVS-) და SVC- (resp. SVS-) სტრუქტურის ძირთა გამარტივების შედეგად შეიძლება იყვნენ მიღებული“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965 319, სქოლიო).

ფუძეთა შენების ამგვარი სტრუქტურული მოდელი აშკარა ტიპოლოგიურ მსგავსებას ამჟღავნებს ინდო-ევროპულ ენათა ანალოგიურ მონაცემებთან, ამიტომაც ავტორები საგანგებოდ ამახვილებენ ყურადღებას ამგვარ სტრუქტურულ პარალელებზე (გამყრელიძე, მა-

ჭავჭავაძის 1965 365, 378) და ამ რიგის შედარება შემდგომაც არაერთგზის გახდა მკვლევართა ყურადღების საგანი. მაგალითად, ი. მელიქიშვილი საგანგებო პარალელს ავლებს ინდო-ევროპული ენების ბენვენისტიკულსა და ქართველური ენების გამყრელიძე-მაჭავარიანისეულ სტრუქტურულ მონაცემებს შორის:

„ძირისაგან სუფიქსით ორი მონათესავე ფუძე იწარმოება:

1. მახვილიანი ძირი სრული გახმოვანებით + სუფიქსი ნულოვან საფეხურზე, II. ძირი ნულოვან საფეხურზე + მახვილიანი სუფიქსი სრულ საფეხურზე“ (ბენვენისტი 1955 201).

ფუძის სტრუქტურის განმსაზღვრელი ეს წესი ერთდროულად განსაზღვრავს როგორც ძირის, ისე სუფიქსის ფორმას, ამდენად იგი მთელი სტრუქტურის ამგები წესია. ამ წესს პარალელი ეძებნება საერთო-ქართველურში (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965).

ქართული სალიტერატურო ენის ხანგრძლივი მწიგნობრული ისტორიით დადასტურებულ ზმნურ და სახელურ ფუძეთა აგებულება-წარმომავლობას საგანგებო მონოგრაფიები მიუძღვნა ფ. ერთელიშვილმა. მკვლევრის მეცნიერული დასკვნების ძირითადი თეორიული ბაზისი ის არის, რომ ენაში არსებულ ფუძეთა დიდი ნაწილის გენეზისი რედუპლიკაციის მექანიზმს უკავშირდება. მაგრამ აქ ჩვენთვის მაინც უფრო საყურადღებოა ის სტატისტიკური მონაცემები და ის დასკვნები, რომლებიც ავტორმა ერთობ მრავალრიცხოვანი მასალის ანალიზით მიიღო.

ძირითად დასკვნებში, კერძოდ, მკვლევარი გვეუბნება:

უნდა ვიფიქროთ, რომ ორმარცვლიანი ფუძეების აუსლაუტში დადასტურებული მარცვლები: ალ, ილ, ულ..., რომლებიც საკმაოდ ხშირად გვხვდება პირველად საწყისებში და ხშირად ამის გამო სუფიქსების შთაბეჭდილებას გვიქმნიან, რედუპლიციკირებული ძირების ბოლო სემანტეზია წარმომავლობით, ან მათი ანალოგიით გა-

ჩენილი სუფიქსებია“ (ერთელიშვილი 1970 311);

„ორმარცვლიანი ზმნური ფუძეების დიდი უმრავლესობა, წარმოშობით მაინც, რედუპლიცირებული ძირებია“ (ერთელიშვილი 1970 313);

„უმარცვლო ფუძეები მიღებულია მარცვლოვანი ფუძეებისაგან ხმოვნის (ან ხმოვნების) რედუქციის შედეგად“ (ერთელიშვილი 1970, 291-292).

რაც შეეხება ძირულ (ფუძეთა) სტრუქტურულ სტატისტიკას, საყურადღებოა ის, რომ, მაგალითად, ზმნურ ფუძეთა შორის დიდი უპირატესობით სარგებლობს ერთმარცვლიანი სტრუქტურები (სხვადასხვა ტიპისა) $\approx 58,8\%$, მაშინ, როცა ორმარცვლიანი ფუძეების ფარდობა საერთო რაოდენობასთან $\approx 34,6\%$ -ია, ხოლო უმარცვლო ფუძეებისა — მხოლოდ $2,1\%$; მათ შორის ცალთანხმოვნიანი ფუძე 14 ერთეულია დაძებნილი.

საინტერესო სურათია თვით ერთმარცვლიან ფუძეთა შიდა ნაირსახეობებში, მისი სამი წამყვანი ჯგუფი ასეთია: CCVC (ცვალ — ტიპი) $\approx 14,9\%$ -ია, CVC (ბად — ტიპი) $\approx 13,2\%$ და CVCC (რაცხ — ტიპი) $\approx 11,3\%$.

საგულისხმოა, რომ ერთმარცვლიან ფუძეებს შორის მხოლოდ CVC (სადაც C შეიძლება რამდენიმე თანხმოვანსაც უდრიდეს და სონორსაც) ტიპის სტრუქტურები არ არის; დასტურდება ხმოვნით დაწყებული და ხმოვნით დამთავრებული (ღია მარცვლის ტიპის) ფუძეებიც: გუ-, ტყუ-, არ-, ოწლ-...

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უმარცვლო ფუძეებში, ცალთანხმოვნიანთა გარდა, ისტორიულად ნავარაუდევია, როგორც ითქვა, ან ხმოვნის (ხმოვნების) რედუქცია, ანდა მარტივი თანხმოვნის გაკომპლექსება. მეტად საყურადღებო ადგილს იჭერს ლაბიალური ელე-

მენტის შემცველი მკვიდრი ძირები: გჷ-, წჷჷ-...

ამდენად, სრულიად აშკარაა როგორც ძირეულ მონაცემთა სტრუქტურული ნაირგვაროვნება, ისე ამ ემპირიული მასალის სტრუქტურულ-ისტორიული (გენეზისური) ინტერპრეტაციის დიდი არაერთგვაროვნება; არსებობს, ერთი მხრივ, სტრუქტურულად მრავალფეროვანი მასალა და, მეორე მხრივ, ამ მასალის სეგმენტაციის სერიოზული სირთულეები და საჭირო მეცნიერული ოპერაციებისათვის მნიშვნელოვნად განსხვავებული თეორიული საფუძვლები.

სწორედ ამიტომ ისახება ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად იბერიულ-კავკასიურ ენათა სხვადასხვა ქვეჯგუფის თუ ცალკეული ენების მეცნიერთა მიერ უკვე გაანალიზებულ თუ ჭერაც გასაანალიზებელ ერთეულთა სტრუქტურული გაერთმნიშვნელიანების ამოცანა, ანუ იმის თეორიული ჩამოყალიბება და ემპირიული კვლევის გზამკვლევად ქცევა, თუ რას ვიღებთ რეალურ ფუძეთა სეგმენტაციის პირობად — ასევე რეალურად არსებულ ენობრივ სტრუქტურას (მოქმედი დერივაციისა და ფლექსიის დონეზე), თუ ეტიმოლოგიურ სეგმენტაციას, რომელიც, თავის მხრივ, სრულიად სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს იმის მიხედვით, შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდს ემყარება ის თუ შედარებითი რეკონსტრუქციისას.

საერთო-ქართველური ენის ძირის სტრუქტურული მოდელის თვალსაზრისით უალრესად საყურადღებოა გივი მაჭავარიანის „საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა“ (თბილისი, 1965). ეს ნაშრომი მან 1966 წელს დაიცვა როგორც სადოქტორო დისერტაცია.

შედარებითი ქართველოლოგიისათვის ამ საეტაპო ნაშრომში CVC ტიპის ძირეული მორფემების შესახებ მან დაადგინა ერთი მორფემის ფარგლებში თანხმოვანთა განაწილების შემდეგი წესები:

„ხმოვნით გათიშული ცალკეული თანხმოვნების განაწილება მორფემის ფარგლებში ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს:

(1) თუ ძირეული მორფემა იწყება ლაბიალური (resp. დენტალური) თანხმონით და ბოლოვდება იმავე ლოკალური რიგის თანხმონით, მაშინ ორივე თანხმოვანი ერთსა და იმავე სერიას ეკუთვნის. სხვანაირად რომ ვთქვათ, დაუშვებელია /*ფაბ/, /*ფაპ/, /*პაფ/, /*ტად/, /*დატ/, /*თად/ და მსგავსი მიმდევრობანი.

(2) ერთი და იმავე მორფემის ფარგლებში დაუშვებელია ორი სიბილანტური თანხმოვანი, თუ ისინი ერთსა და იმავე ლოკალურ რიგს არ ეკუთვნიან: დასაშვებია /*ჭაჭუ/, მაგრამ დაუშვებელი /*ძაჭუ/, /*ძაჭუ/, /*ჭაწუ/, /*ჭაწუ/ მიმდევრობანი“ (მაჭავარიანი 1965 : 80).

იქვე სქოლიოში ის აზუსტებდა: „ამ წესს ძალა აქვს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ცალ თანხმოვანს ენაცვლება მიმდევრობა სიბილანტი + ველარი. შდრ. /*ძაცხუ/, /*ძეცხ-/ და მისთ.“ (მაჭავარიანი 1965 : 80). კოლექტიური მონოგრაფიის სქოლიოში კი ამ აკრძალვებს ველარული ხშულების შესახებ წესიც დაუმატა:

„CVC- სტრუქტურის ძირს გარკვეული შეზღუდვები ედება: იგი არ შეიძლება შედგებოდეს ერთი და იმავე რიგის ორი ხშული თანხმონისაგან: *გეკ-, *გექ-, *ქეგ-, *ქეკ- და სხვ. ტიპის ძირები გამოირიცხულია“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965 : 304).

საერთო-ქართველური ფუძე-ენისათვის CVC ტიპის ძირეულ მორფემათა კანონიკური სტრუქტურების გ. მაჭავარიანისეული წესების ვერიფიკაციასა და დაზუსტებას საგანგებო ყურადღება დაეთმო გამოკვლევაში, რომელშიც კუთვნილი ადგილი ეძღვნებოდა კომპარატივისტიკის თეორიულ პრობლემებსაც. მხედველობაში მაქვს 1978 წელს თბილისში გამოცემულ ჰაინც ფენრიხის „ენათა გენეტური ნათესაობის დასაბუთების კრიტერიუმები და ადრინდელი საერთო-ქართველური ფუძე-ენის ძირეულ მორფემათა სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი“, ეს იყო მის მიერ 1971 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ ენაზე დაცული სა-

დოქტორო დისერტაციის ტექსტი.

კომპარატივისტიკის პოზიციიდან არავერიფიცირებადი ტერმინის „ადრინდელი საერთო-ქართველური ფუძე ენის“ უხერხულობას ავტორი თავადაც გრძნობდა და ცდილობდა მისი გამოყენების გამართლებას:

„სახელწოდებას „ადრინდელ საერთო-ქართველურს“ ჩვენ იმიტომ ვიყენებთ, რომ ნაშრომში „გვიანდელ საერთო-ქართველურს“ კი არ ვიკვლევთ, სადაც /*ლ/, /*რ/, /*მ/, /*ნ/ სონანტებად წარმოგვიდგებიან, არამედ ქართველურის განვითარების უფრო ადრეულ საფეხურს, როდესაც ეს ფონემები ჯერ კიდევ მხოლოდ თანხმონებს წარმოადგენდნენ“ (ფენრიხი 1978 4 იხ. აგრეთვე გვ. 58).

როგორც ირკვევა, მთელი განსხვავება „ადრინდელ“ და „გვიანდელ“ საერთო-ქართველურ ფუძე-ენებს შორის მდგომარეობს მხოლოდ სონორთა კვალიფიკაციაში, ანუ გაზიარებული იქნება თუ არა მოძღვრება მათი სონანტური ბუნების, ანუ პოზიციისდა მიხედვით მათი ფუნქციონირებისა უმარცვლო ან მორცვლოვანი ელემენტის სახით.

რაკი ისტორიულ-შედარებითი მეთოდით შესაძლებელია ფუძე-ენის იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც წინ უსწრებდა მის დიფერენციაციას მონათესავე ენებად (უფრო ადრინდელი მდგომარეობის დადგენა მხოლოდ შინაგანი რეკონსტრუქციით არის შესაძლებელი). ყველა მეცნიერება კი კომპეტენტურია მხოლოდ საკუთარი მეთოდის ფარგლებში, რომლის იქითაც იწყება უადრესად ჰიპოთეტური და, რაც მთავარია, არავერიფიცირებადი ვარაუდების სფერო, ჰ. ფენრიხიც სწორედ ასეთ რიგს მიაკუთვნებს თავის ნაშრომს: „შედეგები, რომელნიც ჩვენ ქართველური მასალის ანალიზის საფუძველზე მივიღეთ, რასაკვირველია, ქართველოლოგიაში არსებულ რეკონსტრუქციათა სრული გათვალისწინებით, უეჭველია, მხოლოდ

უაღრესად ჰიპოთეტურად უნდა მივიჩნიოთ“ (ფენრიხი 1978 3-4) და „ვიმეორებთ, რომ ზემოთ წარმოდგენილი სურათი CVC ტიპის ადრინდელი საერთო-ქართველური ძირეული მორფემის თანხმოვანთა კომბინაციებისა უაღრესად ჰიპოთეტურია“ (ფენრიხი 1978: 112).

აქ, გარდა ავტორისეული თავმდაბლობისა და ერთგვარი რევერანსისა სონანტთა სისტემის შესახებ არსებული, იმ პერიოდში პრივილეგირებული თვალსაზრისისადმი (რომელსაც ის ფაქტობრივად უარყოფდა თავისი ნაშრომით და რომელთანაც დაპირისპირების გასანეიტრალებლად ტერმინ „ადრეულს“ იყენებდა), ჭეშმარიტების მარცვალაც ერია. ეს, სხვათა შორის, ცხადყო მისივე მომდევნო შრომებმა შედარებითი ქართველოლოგიის სფეროში. მაგ. პ. ფენრიხი წერს:

„ჩვენი აზრით, ადრინდელ საერთო-ქართველურში CVC ტიპის ძირეულ მორფემათა თანხმოვანთა შემდეგი კომბინაციები იყო გამორიცხული:

1. „კომბინაციები, სადაც ანლაუტი და აუსლაუტი იდენტურია (ბ-ბ, ფ-ფ, დ-დ და ა. შ.)“ (ფენრიხი 1978 110).

მოგვიანებით გამოცემულ წიგნში „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ მას საერთო-ქართველურ დონეზე აქვს რეკონსტრუირებული ეს „აკრძალული“ კომბინაციები (ფენრიხი, სარჩველად 1990)

ბ — ბ	*ბაბ- (: 41)
მ — მ	*მამ- (: 208)
ნ — ნ	*ნენ- (: 239-240)
ს ₁ — ს ₁	*ს ₁ ს ₁ - (: 287-288)
ტ — ტ	*ტუტ- (: 301)
ღ — ღ	*ღოღ- (: 352)

ჟ — ჟ *ჟჟ- (: 375)

წ — წ *წწ- (: 452)

ცხადია, საერთო-ქართველური ფუძე-ენის CVC ტიპის ძირეული მორფემების ანლაუტსა და აუსლაუტში იდენტური თანხმოვნების კომბინაციების მაგალითები ამით არ ამოიწურება, მაგრამ ეს ცალკე ექსკურსის თემაა.

ყველა აკრძალვა თანაბრად მკაცრი არ არის, მაგ. ის წერს, რომ პ-ს სხვა თანხმოვნებთან კომბინაციები CVC ტიპის ძირეული მორფემები სხვა მრავალთან ერთად პ — ხ კომბინაციის მაგალითიც არ დასტურდება და რომ „ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის რომ *პ ფონემა საერთო-ქართველურში ძალიან იშვიათად გვხვდება“ (ფენრიხი 1978 66).

„ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ უკვე მოყვანილია ამ კომბინაციის მაგალითი: *პოხ (ფენრიხი, სარჯველაძე 1990 248-249).

ზოგიერთ შემთხვევაში ეტიმოლოგიური ლექსიკონის ავტორი მხარს უჭერს ისეთ რეკონსტრუქციებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მის მიერ ძირეულ მორფემათა სტრუქტურისათვის დაწესებულ აკრძალვებს, მაგ.

„დ—თ ამ კომბინაციის მაგალითები არ დასტურდება“ (ფენრიხი 1978 66), ქვემოთ ის წერს, რომ საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონეზე გამოზიციხულია:

„ 3. დენტალური ხშულების კომბინაციები

(დ — დ, დ — თ, დ—ტ, თ — ტ და ა. შ.)“ (ფენრიხი 1978 110)

ეტიმოლოგიურ ლექსიკონში მან მოხსნა ეს კატეგორიული აკრძალვა:

*დათუ — (: 95)

*დუთე — (: 107)

თუმცა ჰქონდა ორი დასაშვები ვარიანტი ახსნისა, რომელიც მის აკრძალვებს არ ეწინააღმდეგებოდა:

(1) *დასითუ „დათვი“

*დუსითე „მთვარე“, „თვე“ (მაჭავარიანი 1965: 115-116)

მან ეს შესაძლებლობა უარყო, დაუჭირა რა მხარი შესატყვისობის ქართ. თ ზან. თ სვან. შდ < *შთ პოზიციური ახსნის მცდელობას (ი. მელიქიშვილი 1981 70-78).

მაშინ რჩებოდა ახსნის სხვა შესაძლებლობა:

(2) *და-თ-ვი

*დუ-თ-ე (ჩიქობავა 1942: 175-176)

სადაც დ — თ მიმდევრობა ერთი ძირის ფონემების კი არა ერთი ფუძის მორფემების კომბინაციას წარმოადგენს (ეთქვათ, არა აუცილებლად ამ პრეფიქსისთვის კლასის ნიშნის კვალიფიკაციის მიცემით), სხვა შემთხვევაში ხომ დაუჭირა 1978 წელს მხარი საერთო-ქართველურში *სიძე (გამყრელიძე-მაჭავარიანის რეკონსტრუქცია 133) სიტყვის „თავკიდური ს₁ (ს₁) ელემენტების პრეფიქსულ ხასიათზე“ გამოთქმულ მოსაზრებას იმ დებულების გამო, რომ CVC ძირეულ მორფემათა შორის არ დასტურდება ისეთი კომბინაციები, სადაც ანლაუტში და აუსლაუტში გვხვდება ალვეოლარული თანხმოვნები“ (ფენრიხი 1978 84).

მაგრამ აქ დ თანხმოვანი იყო, რომელიც გრამატიკული კლასის ექსპონენტად განიხილებოდა, რაც გარკვეული, იმ დროისთვის არაპოპულარული, თვალსაზრისის მხარდაჭერად შეიძლებოდა ყოფილიყო აღქმული.

1990 წელს ავტორი სიტყვა სიძე-ს (ამჯერად ფონოლოგიურად მართებული რეკონსტრუქციით *სიძე) უკვე უყოყმანოდ მიაკუთ-

ვნებს CVC ძირეულ მორფემათა ტიპს (ფენრიხი, სარჯველაძე 1990 272) და აღარ გაახსენდება საკუთარი რეპლიკა გ. მაჭავარიანის მისამართით:

„იგივე ავტორი წერს: „ერთი და იმავე მორფემის ფარგლებში დაუშვებელია ორი სიბილანტური თანხმოვანი, თუ ისინი ერთსა და იმავე ლოკალურ რიგს არ განეკუთვნებიან“ (მ, გვ. 80).

ჩვენი აზრით, ადრინდელ საერთო-ქართველურში დაუშვებელია CVC ტიპის ძირეულ მორფემებში ორი სიბილანტური თანხმოვანი, სულ ერთია, რომელ რიგს განეკუთვნებიან“ (ფენრიხი 1978 108).

მასში არსებული წინააღმდეგობებისა და უზუსტობების მიუხედავად, წიგნს უკვალოდ არ ჩაუვლია ქართველურ შედარებით ენათმეცნიერებაში, ისევე როგორც მისი ავტორისა და ზ. სარჯველაძის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონს“, რომელიც ქართულად (1990) და გერმანულად (1995) იქნა გამოცემული.

ზემოთ დასახელებულია და განხილულია ის საეტაპო მონოგრაფიები, რომლებიც უშუალოდ საერთო-ქართველური ძირეული და აფიქსალური მორფემების სტრუქტურას ეხება, მათ გარდა არსებობს მნიშვნელოვანი გამოკვლევები ამავე თემაზე, ცალკეული ქართველური ენის შესახებ, მაგ. ქართულის: ჰანს ფოგტი „ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა“ (თბილისი, 1961); თედო უთურგაიძე „ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა“ (თბილისი, 1976); იზაბელა ქობალავა „CVC ტიპის ძირთა ფონემური სტრუქტურისათვის ქართულში“ (1967); ზანურში: ნათელა ქუთელია „ლაზური ენის ფონემატური სტრუქტურა“ (1986), იზაბელა ქობალავა „ძირთა ფონემური სტრუქტურისათვის მეგრულში“ (1986) და სხვ., რომლებზეც წინამდებარე მონოგრაფიაში გასაგები მიზეზების გამო, საგანგებო ყურადღება არ არის გამახვილებული.

რაც შეეხება საერთო-ქართველური ენის ქრონოლოგიურ დონე-

ზე რეკონსტრუირებად ძირეული და აფიქსალური მორფემებისა და ფუძეთქმნადობის მოდელებს, რომლებიც ზემოთ იყო განხილული, ისინი, როგორც გამოირკვა, გარკვეულ ზოგად თვალსაზრისებზე არიან დამოკიდებულნი და უფრო დედუქციურ კონსტრუქტებს წარმოადგენენ, ვიდრე ინდუქციურს; შესაბამისად, ისინი ისეთი მასალით ოპერირებენ, რომელიც გამოსადეგია მათი თეორიული პოსტულატების დასასაბუთებლად თუ საილუსტრაციოდ, ან უპრობლემოდ და ეფექტურად იხსნება მოცემული თეორიის საფუძველზე.

ქვემოთ განხილული იქნება ნაშრომი, რომელიც ამ საერთო ტენდენციას არ დაქვემდებარება.

ზიარი ზმნური და სახელური ძირეული მასალის ანალიზის საფუძველზე ქართველურ ენებში ძირ-ფუძეთა ფორმირების განსხვავებული თვალსაზრისია წარმოდგენილი ავთანდილ არაბულის სადოქტორო დისერტაციაში „სახელისა და ზმნის დერივაციის ურთიერთმიმართების საკითხები“ (თბილისი 1997).

მისი ძირითადი დასკვნები შეეხება როგორც საანალიზო ფუძეთა პირველადი სემანტიკური მოტივაციის, ისე იმ დერივაციული მექანიზმების ჩვენებას, რომლებიც განაპირობებდა უძველეს ქართველურ ლექსიკურ ფუძეთა წარმოქმნას. კერძოდ, ავტორის შეფასებით:

1. საერთო ზმნურ და სახელურ ფუძეთა ამოსავალი ძირეული სემანტიკა ზმნური ჩანს; ამავე დროს, ეს სემანტიკა მინიმალურად შეიცავს ზმნურობის შინაარსს, რამდენადაც თვისებისა და მდგომარეობის გამოხატვას ემსახურება და, ამდენადვე, ადვილად ხდება სახელურ ფუძეთა მოტივაციის საფუძველი;

2. საერთო ზმნურ და სახელურ ფუძეთა პირველადი (უძველესი) დიფერენციაციის საფუძველს წარმოადგენს ლექსიკური შინაარსის ალტერნაცია, რომელიც ემყარება როგორც ხმოვანთა, ისე სონორთა მონაცვლეობას (ვად-/ვედ-, ვან-/ვარ-...) და რომელიც ამ

ეტაპზე მთლიანად ითავსებს დერივაციულ (ფუძეთწარმომქმნელ) ფუნქციას.

3. ივარაუდება, რომ საერთო-ქართველურში ხმოვნითი ალტერნაციის საფუძველზე, ერთი მხრივ, ჩამოყალიბდა ფლექსიური შინაარსის აბლაუტი, რომელმაც განვითარება უკვე დამოუკიდებელ ქართველურ ენებში მიიღო, ხოლო — მეორე მხრივ, თანხმოვნითი ალტერნაცია საფუძვლად დაედო ფუძის აუსლაუტის აღჭურვას სუფიქსური ფუნქციით და, შესაბამისად, -VS სტრუქტურის სახელურ დერივატთა წარმოქმნას.

ა. არაბულის ნაშრომი განსხვავებულია ზემოთ განხილული სხვა ნაშრომებისაგან არა მარტო თვალსაზრისის მხრივ, არამედ ამ თვალსაზრისის გამომუშავების მეთოდითაც; ის კი არ იშველიებს ემპირიულ მასალას თავისი პოსტულატების დასასაბუთებლად ან საილუსტრაციოდ, არამედ ემყარება ამ ემპირიული მასალის გამოწვლილვით ანალიზს.

აქედან გამომდინარე, ავთანდილ არაბული ვერ იზიარებს ვერც არნოლდ ჩიქობავას პოზიციას:

„ქართველურ ენებში სახელთა ძირში ისტორიულად დასტურდება ცალი თანხმოვანი.

მას ფუძედ აყალიბებს:

ა. დეტერმინანტი სუფიქსისა და

ბ. გრამატიკული კლას-კატეგორიის პრეფიქსის დართვა. ამჟამად ერთიცა და მეორეც უფუნქციო ჩანს და ხშირ შემთხვევაში ძირსაა შეზრდილი“ (ჩიქობავა 1942 262).

და ვერც თამაზ გამყრელიძისა და გივი მაჭავარიანისას:

„საერთო-ქართველური ძირეული მორფემის ძირითადი კანონიკური ფორმა განისაზღვრება CVC- ფორმულით, სადაც C სიმბოლო შეიძლება სონანტური ფონემის აღმნიშვნელი S სიმბოლოთი

შეიცვალოს. მაშასადამე, გვაქვს CVC- და CVS-, SVC-, SVS- ფორმები მოკლე ხმოვნით C და S ელემენტებს შორის“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965 304).

და წერს:


„ქართველურ ენებში მოქმედი ძირეული მორფემები ორ ძირითად სტრუქტურულ ტიპს იცნობს: CVC და C (C სიმბოლოში უნდა ვიგულისხმოთ როგორც ნებისმიერი თანხმოვანი, ასევე მყარი თანხმოვანთკომპლექსი — ჰარმონიული, ლაბიალური)“.





აქ ტერმინი „ნებისმიერი თანხმოვანი“, ცხადია, ნიშნავს C და S სიმბოლოს ქვეშ ნაგულისხმევ ნებისმიერ თანხმოვანს და არა CVC მორფემის ფარგლებში თანხმოვანთა ნებისმიერი კომბინაციის დაშვებას.


ა. არაბულის თეორიის თანახმად, ძირთა ალტერნაციით ფუძეთქმნადობის მექანიზმი ასე მუშაობს:

ძირის	ზმნა	სახელი
სტრუქტურა	ნ	რ/ლ




1. C: 1.1. C:










1.2. C + ტ:







1.3. C = CC (პარმონიული კომპლექსი):



2. CVC:



არა მაგალითების რაოდენობის გასაზრდელად, არამედ C-ს მოყვანილი ფონეტიკური მახასიათებლების ბაგისმიერთ შესავსებად მოვიხმობ არნ. ჩიქობავასეულ დაკავშირებას (ჩიქობავა 1938: 255):



ზემოთმოხმობილი მასალიდან თვალნათლივ ჩანს, რამდენად მნიშვნელოვან როლს შეიძლება თამაშობდნენ ხმოვნები ძირთაგან ფუძეთქმნადობის მოდელში; მაგ. ოპოზიციები:

ზმნა
*ძ-ინ-

სახელი
*ძ-ილ-

და

*ძ-ან-

*ძ-ალ-

ერთმანეთისაგან მხოლოდ ხმოვნური ელემენტით განსხვავდებიან, რომელიც მათ ერთმანეთისაგან ლამის დიამეტრულად განსხვავებულ სემანტიკას ანიჭებს.

ავთანდილ არაბულის აქ წარმოდგენილი თვალსაზრისი ახლებურ განვითარებას აძლევს, ერთი მხრივ, არნოლდ ჩიქობავასეულ გაუდიფერენცირებელ ფუძეთა და ფუძის პირველადი დეტერმინაციის იდეას, ხოლო მეორე მხრივ — ვარლამ თოფურიას მიერ წარმოჩენილ ხმოვანთმონაცვლეობას ზმნურ ფუძეთა გვარეობრივი დიფერენციაციის საფუძველში.

ძირითადი და პრინციპული განსხვავება არნ. ჩიქობავასა და ა. არაბულის თვალსაზრისებს შორის მდგომარეობს იმაში, რომ თუ არნოლდ ჩიქობავასთან ფუძეს აყალიბებს ძირეული და აფიქსალური მორფემების კომბინაცია C + VS, ანუ ფუძეთქმნადო-

ბის მოდელი ხორციელდება აფიქსაციით, ავთადილ არაბულთან CVS ძირიდან (სადაც $S = \mathfrak{N}$) ალტერნაციით (\mathfrak{N} რ) მიიღება CVS ფუძე (სადაც S რ) ისე, რომ ძირის CVS სტრუქტურა ნარჩუნდება, ძირიდან ალტერნაციით მიღებულ ფუძეს, ა. არაბული აღნიშნავს ზუსტად მორგებული ტერმინით — ძირ-ფუძე, მაგრამ როგორც უცნაურად არ უნდა უღერდეს, ჩემი აზრით, CVS ძირის ალტერნირებადი სემანტი (აუსლაუტი — VS) როგორც ფუძეთქმნადობის მოდელი ფუნქციონალურად არ განსხვავდება სუფიქსაციისაგან (ძირი CVS სადაც $S = \mathfrak{N}$ რ > ძირ-ფუძე, CVS; C + VS > CVS ფუძე), რადგან ორივე ეს სრულიად განსხვავებული მოდელი ფუძეთქმნადობისა — ალტერნაციაც და სუფიქსაციაც (resp. კომბინაცია) თანაბრად იძლევიან საშუალებას „ერთი ეტიმონური“ კონსონანტის დადგენისა: CVS სტრუქტურის ძირის ფუძედ გარდაქმნის ალტერნაციულ მოდელში — C(C V) მუდმივია (სტაბილური), S ცვლადი (ლაბილური).

ძირეული და აფიქსალური მორფემების კანონიკური სტრუქტურა და მათი კანონიკური კომბინაციების (ფუძეთქმნადობის) მოდელები საერთო-ქართველურ ფუძე-ენაში შეიძლება ასე იქნეს ჩამოყალიბებული:

1) ძირეული მორფემები

CVC და C (|| VC || CV)

2) აფიქსალური მორფემები

ა) სუფიქსები: VC || VS; V

ბ) პრეფიქსები: CV || SV; V

გ) ცირკუმფიქსები: C(V) || S(V) - VC || VS

C(V) || S(V) - V

3) კომბინაციები:

3.1.1.

$CVC_{(მ)} - V_{(ა)}$

$CVC_{(მ)} - VC \parallel VS_{(ა)}$

3.1.2.

$CV \parallel SV_{(ა)} - CVC_{(მ)} - V_{(ა)}$

$CV \parallel SV_{(ა)} - CVC_{(მ)} - VC \parallel VS_{(ა)}$

3.1.3.

$V_{(ა)} - CVC_{(მ)} - V - VC \parallel VS_{(ა)}$

3.2.1.

$C_{(მ)} - VC \parallel VS_{(ა)}$

$C_{(მ)} - V_{(ა)}$

$CC_{(მ)} - VC \parallel VS_{(ა)}$

$CC_{(მ)} - V_{(ა)}$

3.2.2.

$VC_{(მ)} - V_{(ა)}$

3.2.3.

$C(V)_{(ა)} - C_{(მ)} - V_{(ა)}$

$C(V)_{(ა)} - C_{(მ)} - VC \parallel VS_{(ა)}$

$C(V)_{(ა)} - CC_{(მ)} - V_{(ა)}$

$C(V)_{(ა)} - CC_{(მ)} - VC \parallel VS_{(ა)}$

და სხვ.

დამატებით უნდა ითქვას, რომ CV და CVC ძირეული სტრუქტურების გამიჯვნის ჭეშმარიტების დამატებითი ვერიფიკაციისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მათი კომბინაციები აფიქსალურ მორფემებთან.

მაგალითად:

ა) -ელ სუფიქსი უპრობლემოდ გამოიყოფა როგორც CVC ტიპის ასევე C ტიპის ფუძეებში:

კმ-ელ	შდრ.	გან-კმ-ა
ძნ-ელ		ძნ-იად
წნ-ელ		წნ-აჲ-ს
ქს-ელ		ქს-აჲ-ს
ცხ-ელ		სი-ცხ-ე
თხ-ელ		სი-თხ-ე
სჲ-ელ		სჲ-მა
წჲ-ელ		წჲ „ბზე“
წით-ელ		წით-ს

და სხვ.

შესაბამისად, აქ ყველგან -ელ ცალსახად სუფიქსს წარმოადგენს; რა ოდენობაა ის CVC (CVS) სტრუქტურისად მიჩნეული შემდეგ ერთეულებში:

ს/ქართ.	ქართ.	ზან
*სელ-ი	სელ-ი	ს-უ
*პელ-ი	ხელ-ი < პელ-ი	ხ-უ
*თელ-ი	თელ-ი	თ-უ
*წელ-ი	წელ-ი	წ-ჯ < *წ-უ
*წილ-ი	წილ-ი	ქ-უ

აქ ორი ახსნა არსებობს:

1. ქართ. -ელ- ზან. -უ „აფიქსები სხვადასხვაა ფონეტიკურად, შესატყვისობა მხოლოდ ფუნქციონალურია“ (ჩიქობავა 1938: 3-4)

2. ქართ. -ელ- ზან. -უ < *ოჲ < *აჲ < *ალ (გ. შმიდტი 1950 25-26; შდრ. კ.პ. შმიდტი 1962 113).

გ. შმიდტისეული ახსნა ძალიან გონებამახვილურია, მაგრამ ის უპასუხოდ ტოვებს ორ არსებით კითხვას:

ა) აუსლაუტის ყველა -უ მიღებულია ზანურში (და სვანურში) ფონეტიკური გზით თუ საერთო-ქართველურში შეიძლებაოდა ყოფილიყო ორი სხვადასხვა აუსლაუტი

მაგალითად:

ს./ქართ. ***-ელ**/*-**ღლ** ქართ. -**ელ**-/*-**ღლ**- ზან. -**ალ**>-**უ** და

ს./ქართ. ***-უ** ქართ. -**უ** ზან. -**უ**

რომლებიც ფუნქციურად თავისუფლად ჩანაცვლებადნი იქნებოდნენ უკვე ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე:

ბ) ქართ. -**ელ** ზან. -**უ** < ***ალ**

არის CVC / CVS ტიპის ძირეული მორფემის აუსლაუტი თუ VS ტიპის აფიქსი, თუ რეალიზდებოდა ორივე ამ პოზიციაში?

პირველ საკითხთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ***-უ** სუფიქსის არსებობა სავარაუდოა საერთო-ქართველურ ფუძე-ენაში:

ს./ქართ. ***ქართ-უ** ქართ. **ქართ-უ** (სიტყვაში **ქართ-უ-ელ-ი**):

ზან. **ქორთ-უ**

ს./ქართ. ***მ'ეგრ-უ** ქართ. ***ეგრ-უ** ზან. ***აგრ-უ** > **მ'არგ-უ**

(**მ-არგ-უ-ეთ-ი** / **მ-არგ-უ-ელ-ი** < (ზან.)

მ-არგ-უ + (ქართ.)-**ეთ-ი** და -**ელ-ი**

შდრ. **ეგრ-ის-ი** და **მ-ეგრ-ელ-ი** (ზან. **მ-არგ-ალ-ი** <

***მ-აგრ-ალ-ი** ან **მ-აგრ-ონ-ი** > ბერძ. **მაკრონი**)

სხვა მასალაზე დაყრდნობით აკად. არნ. ჩიქობავა წერს:

„... -უ აფიქსია. ეს აფიქსი სვანურსა და მეგრულ-ჭანურში შეინიშნება..., მაგრამ ქართულშიც მოსალოდნელია: ზოგ შემთხვევაში ქართულიც, მეგრულ-ჭანურიც და სვანურიც თანაბრად დაირთავს -უ || -უ-ს...“ (ჩიქობავა 1942 86).

ეს პრეფიქსები რომ, როგორც მორფოლოგიურად „სინონიმურნი“, ჩანაცვლებადნი იყვნენ, ჩანს შემდეგიდან:

ქართ. $\left\{ \begin{array}{l} \text{ქართ-უ} > \text{ქართ-ჟ-ელ-ი} \\ \text{ქართ-ლ-ი} > \text{ქართ-ლ-ელ-ი} \end{array} \right.$

შღრ. ქართ-ი > ქართ-ულ-ი (ენა)

რაც შეეხება მეორე საკითხს, მასთან დაკავშირებით უნდა ითქვას შემდეგი: ცალსახა პასუხის გაცემა ამ საკითხზე და ყველა მაგალითის ახსნა ამეამად არ მესახება შესაძლებლად, მაგრამ ზოგიერთი CVC / CVS ტიპის ძირად მიჩნეული მორფემის სეგმენტაცია C_(ფ)-VS_(ა) ფუძედ რეალური ჩანს ლინგვისტური ანალიზის შედეგად, მაგ.:

ს./ქართვ. *თელ-ი „გოჭი“ ქართ. თელ-ი „id“ ზან. თუ „id“ გ. კლიმოვი ცდილობს ამ სიტყვის დაკავშირებას ინდოევროპულთან (კლიმოვი 1994 114):

„ქართველური ფორმები შეიძლება შეპირისპირებულნი იქნენ კულტურული ნასესხობის უფლებით ინდო-ევროპულ ლექსემასთან *tel-, რომელიც „ხბო“-ს აღსანიშნავად გამოიყენება, რომლის გაგრძელებაც განსაკუთრებით ცხადად არის წარმოდგენილი აღმ. ლიტ. tēliās, სლავ. *telē „теленок“ „ხბო“-ში (მანი 1986 col. 1375-1376), ან ი.-ე. *tāl(< *teHl - ?)-თან „ახალგაზრდა ცხოველი ან მცენარე“ (პოკორნი 1959 1055).

ზანური ენის ჩვენებაზე დაყრდნობით: ლაზ. თილ-ა < *თულ უ<ი პროცესის შედეგად „id“ და მეგრ. თუ, მაგრამ თულ-ეფ-ი „გოჭები“, აუსლატის ლ ითვლება ძირისეულად *თელ- (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965 91; შღრ. ჩიქობავა 1938 87).

*თელ-ის სეგმენტაციას C_(ფ) - VS_(ა) ძირისეულ და აფიქსალურ

მორფემათა კომბინაციად მხარს უჭერს ორი არგუმენტი, ორივე კომპარატივისტული:

1. ქართველურ ენებში დადასტურებულია „ნაშიერის (ცხოველის ან ფრინველის)“ აღმნიშვნელი სიტყვა:

ს./ქართვ. *მა-რთ-ჟ-ე ქართ. მართჟ-ე ზან. (მეგრ. ლაზ.)

მოთ-ა „შვილიშვილი“, (ლაზ.) მოთ-ალ-ი „ნაშიერი“

სიტყვა ასე იწლება: მა — ე (ზან. მო — ა) ცირკუმფიქსია, შდრ.

მა-რჯ-ჟ-ე (ზან. მო-რძგ-ე-ი)

რაც შეეხება ძირს — ის ცალთანხმოვნამდე დაიყვანება:

რ-თ-ჟ შდრ. ზან. მო-თ-ალ-ი „ნაშიერი“

ეს ძირი გოჭის აღმნიშვნელ სიტყვას ვერ დაშორდება და ეგვევ ჩანს (ქ. ლომთათიძე):

ქართ. თ-ელ-ი „ნაშიერი (ღორის)“

ზან. *თ-ალ-ი (რმოთ-ალ-ი) „ნაშიერი“ /

თ-უ „ნაშიერი (ღორის)“

ასე რომ, დამოუკიდებლად იმისა ზანური:

თ-უ < *თ-ოჟ < თ-აჟ < *თ-ალ

ან კიდევ:

თ-უ < თ-უ (*მო-რ-თჟ-ა)

საერთო-ქართველურში ძირი ცალთანხმოვნიანად აღდგება *თ, ფუძე კი C(θ)-VS(ა) სტრუქტურისად: თ-ელ.

2. ამ ძირს აქვს კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისობა საერთო-აფხაზურში (ქ. ლომთათიძე):

ს/ქართვ. *თ(*თჟ) || *სთჟ / *ს'თჟ

აფხ. ს'ს (შ, უ)

ს/ქართვ. *თ-ელ-ი „გოჭი“

ს./აფხ. ს'-გ „id“

ქართ. თ-ელ-ი „id“

აფხ. ა-ს'-ს' „id“

ზან. თ-უ „id“

(ძირი რედუპლიცირებულია)

აფხაზური მხარს უჭერს ამ ძირის მიკუთვნებას ცალთანხმოვნია-
ნი CV სტრუქტურისადმი.

ბასკურ-ქართული შესატყვისობების ჩვენებით ეს ძირი უკვე ფუ-
ძის დონეზე რეკონსტრუირდება (ი. ბრაუნი):

ს/ქართვ. *თ ||*სთ / *სით ბასკ. ს

ს/ქართვ. *თ-ელ-ი „გოჭი“ ბასკ. სერაი (ს-ერა-ი) „ლორი“

ქართ. თ-ელ-ი „id“

ზან. თ-უ „id“

ეს ფაქტი (შესატყვისობათა არსებობა ფუძის დონეზე) მეტყვე-
ლებს ქართველურ-ბასკურის მეტ სიახლოვეზე ერთმანეთთან, ვიდ-
რე, ვთქვათ, თითოეული მათგანისა ცალ-ცალკე აფხაზურ-ადილურ-
თან (იქ შესატყვისობა მხოლოდ ძირის დონეზეა). საერთოდაც უნ-
და ითქვას, რომ ქართველურ ბასკური ბგერათშესატყვისობები
ფუძეს მოიცავენ სისტემურად, ქართველურ-ბასკური აფხაზურ-
ადილური კი მხოლოდ გამონაკლისების სახით და, ჩვეულებრივ, ძი-
რეული მორფემებით არის შემოფარგლული.

ზემოთმოყვანილი ანალიზი (ქართველურ-აფხაზურ-ადილური და
ქართველურ-ბასკური ბგერათშესატყვისობების სისტემასა და მათი
ნათესაობის დასაბუთებას წინამდებარე მონოგრაფიის მომდევნო
თავები ეთმობა) ცხადყოფს არა მარტო *თელ- „გოჭი“ სიტყვის შე-
დგენილ ხასიათს, არამედ ისიც, რომ ეს სიტყვა სწორედ საერთო-
ქართველური ფუძე-ენიდან არის ნასესხები საერთო-ინდო-ევროპულ
ფუძე-ენაში, რადგან ეს ფუძე რეკონსტრუირდება საერთო-ბასკურ-
ქართველურ დონეზე; ძირის სახით კი საერთო-იბერიულ-კავკასიური
ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე, ორივე ეს ფუძე-ენა (როგორც
საერთო-ბასკურ-ქართველური, ისევე საერთო-იბერიულ-კავკასიური)
წინ უსწრებს ინდო-ევროპული ფუძე-ენის არსებობისთვის დადგენი-
ლი ქრონოლოგიური ჩარჩოს ქვედა შესაძლებელ ზღვარს.

მონათესავე ენათა ბგერათშესატყვისობების ჩვენების გარეშე, ოდენ მორფოლოგიურ ანალიზზე დაყრდნობას, მით უმეტეს, ანალოგიის მოშველებას, არანაირი მტკიცებულებითი ძალა არა აქვს. ქართულ ენათმეცნიერებაში ცნობილია შემთხვევა, როდესაც ანალოგიის პრინციპით მოხდა სეგმენტაცია ებრაულიდან ბერძნული გზით ქართულში ნასესხები სახელისა **სალომე**:

სა-ლომ-ე „ლომისთვის განკუთვნილი“

შდრ.სა-კალმახ-ე


სა-ქათმ-ე

სა-ლორ-ე

სა-მგლ-ე და სსვ.

ქართული თელ-ი სიტყვის სეგმენტაციაც და მისი კუთვნილების დამტკიცებაც იბერიულ-კავკასიური სამყაროსადმი გაჭირდებოდა მისი ძირეული თანხმონის გაუდიფერენცირებლობის გამო (ქართ. თ ზან. თ), რომ არა გადიფერენცირებული ბგერათშესატყვისობების პოვნიერება ბასკურსა და აფხაზურში, ამ უკანასკნელის ჩვენებამ კი მხარი დაუჭირა ძირის მიკუთვნებას ცალთანხმონიანი ტიპისადმი.

CV ტიპის ძირები იმავე ფუძეთქმნადობის მოდელებში შედიან, როგორშიც CVC ტიპისა, მეტიც CVC ტიპის ფუძეებიც ასევე იქცევიან. მაგ.:



მიმღეობა შეიძლება ნაწარმოები იყოს ერთი მოდელით, დამოუკიდებლად იმისა, რა ოდენობა მონაწილეობს კომბინაციაში:

ძირი	ფუძე		
	- CV-	- CVC-	- CVS-
1.1. მ-ზ-ე	2.1. მ-წღ-ე	3.1. მ-ვწ-ე < *მ-ვან-ე	
მ-ნ-ე	მ-კუახ-ე	და სხვ.	
მ-ღ-ე	და სხვ.		
მ-წ-ე			
მ-შუ-ე			
მ-წუ-ე			
1.2. მე-ფ-ე	2.2. მე-ჭაჭუ-ე	3.2. მე-ვრ-ე < *მე-ვარ-ე	
მე-ას-ე	და სხვ.	და სხვ.	
და სხვ.			

ერთი და იგივე ძირი CV ან CVC ტიპისა შეიძლება სხვადასხვა აფიქსალურ მორფემასთან შევიდეს კომბინაციაში:

CV: ქართ. { წუ-ერ-ი
 წუ-ეტი-ი < *წუ-ელ-ი შდრ. ღუ-ელ-ი
 ჭუ-ელ-ი

და ამას სრული იზომორფიზმი ჰქონდეს მონათესავე ენაში
 ზან. წუ-ა(ნ)ჟ-ი < *წუ-არ-ი „id“
 წუ-ა(ნ)დ-ი „id“

შეიძლება ასეთ იზომორფიზმს ადგილი არც ჰქონდეს:

ქართ. { მო-ყვ-არ-ე
 მო-ყვ-ას-ი
 შდრ. *ყუ-არ და ყვ-ას ფუძეები

ყვარ:

ქართ. მ-ი-ყვ-არ-ს ზან. მ-ი-ც-ორ-ს

ყვ-არ-ობ-ა ც-ორ-ოფ-ა

მაგრამ **ყვ-ას** ფუძის ისეთი იზომორფული შესატყვისობები, როგორც **ყვ-არ** აღმოჩნდა, სხვა ქართველურ ენებში გამოვლენილი არ არის.

ამ შემთხვევაში მთავარია, რომ **მო-ყვ-ას-ის** მეშვეობით **ყვარ-** ფუძიდან **ყვ** ძირის გამოყოფა გახდა შესაძლებელი, რასაც მონათესავე ენათა სათანადო ძირების შედარების კორექტულობისათვის აქვს მნიშვნელობა.

არ არის გამორიცხული **ყვ- (< ყუ)** ძირის შემდგომი სეგმენტაციაც, თუ დამტკიცდება მისი კავშირი საერთო-ქართველურ ***ყ-/*ყუ-** ძირებთან და ***ყაუ-** ფუძესთან:

1.1. ყ: ქართ.: ყ-ო
 ვ-ი-ყ-ოფ-ი
 გან-ყ-ო
 შე-ყ-ო

ზან.: (ლაზ.) ყ-უ „ყო“
 დო-ყ-უ „გააკეთა“
 (მეგრ.) ი-ც-უ „იყო“, „მოხდა“
 (მეგრ.) მიღე-ც-ონ-უ } „წაიყვანა“
 (ლაზ.) მინი-ც-ონ-უ }

სვან.: მ-ა-ყ-ა „მყავს“
 ი-ყ-ი „იყვანს“


1.2. ყუ/ყვ: ქართ.: ყვ-ან-ს „ჰყავს“
 ყვ-ელ-ი „ყველი“
 ყვ-ეს „ჰქნეს“, „გააკეთეს“
 ზან.: ცუ-ნ-ს „ჰყავს“

(მეგრ.) ცვ-ალ-ი } „ყველი“
 (ლაზ.) ყვ-ალ-ი }
 (ლაზ.) მე-ყვ-აფ-ერი-ი „მაწონი“
 სვან.: ლი-ყუ-ელ „გაყოფა“
 ლი-ყ-ელ-ე < *ლი-ყვ-ელ-ე
 „ყველის ამოყვანა“

1.3. ყაჭ/ყავ ქართ.: ვ-ყავ „გავაკეთე“

ზან. (ლაზ.): უ-ყოფ-უნ „ჰყავს“

ა. არაბულის წესის თანახმად, ალტერნაციის გზით:



ზმნური ფუძე ყვ-ან ყვ-ელ- სახელური ფუძე
 აგრეთვე: ყვე-; ყოლ-,
 ყოფ-; ყავ-
 (ა. არაბული)

და ა. შ.

მონათესავე ენებში ფუძის წარმოქმნისას ყოველთვის როდი ხდება ერთი და იმავე მოდელების გამოყენება, ზოგჯერ რომელიმე მოდელი ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში არ რეალიზდება ან ყოველთვის ვერ ხერხდება რეალიზებულ მოდელთა უგამონაკლისო გამოვლენა და აღწერა. მაგ. CVC ტიპის *ცხოჭ- ძირი ქართულსა და ზანურში:

ქართ.	ზან.
1.1. { ცხოვ-ნ-ებ-ა { ცხოვ-რ-ებ-ა	{ ჩხო-ნ-აფ-ა „id“

- 1.2. $\left\{ \begin{array}{l} \text{ცხოვ-არ-ი} \\ \text{ცხოვ-ელ-ი} \end{array} \right. \quad \left\{ \begin{array}{l} \text{შხ-ურ-ი} < * \text{ჩხ-ურ-ი} \text{ „id“} \\ \text{ჩხო-უ} < * \text{ჩხუ-უ} \text{ „ძროხა“} \end{array} \right.$

სადაც ცხოვ-ნ-ებ-ა / ცხოვ-რ-ებ-ა წყვილის აბსოლუტურ შე-სატყვისად ჩხო-ნ-აფ-ა „ცხოვნება“ რეალიზებულია ცხოვრების შე-სატყვისობა კი არა.

დაბოლოს, ცალთანმომინიანი ძირების ერთი ინტერპრეტაციის შესახებ ქართველურ ენებში.

როგორც ვთქვი, კავკასიური ენებიდან კლას-კატეგორიის ნიშნე-ბი აღდგება მხოლოდ ნახურ-დაღესტნური ფუძე-ენის ქრონოლოგი-ურ დონეზე, საერთო-აფხაზურ-ადიღური და საერთო-ქართველური, მეტიც, საერთო-ბასკურ-ქართველური ფუძე-ენის დონეზე გრამატი-კულ კლასთა ექსპონენტები არ რეკონსტრუირდებიან.

ქართველურ ენებში იყო მცდელობა (ვ. თოფურია 1942), ასე-თად მიეჩნიათ დ სიტყვებში:

ღე-გ

თ-ქუ < *ღ-ქუ

და ამ ფაქტისათვის მიეცათ ნახურ-დაღესტნურ ენებში ფუნქციონი-რებადი კლასოვანი უღვლილების კვალის კვალიფიკაცია ქართვე-ლურ ენებში, საკმაოდ მწყობრი არგუმენტაციით:

ღე-გ გარდაუვალი ზმნაა. მასში სუბიექტის გრამატიკული კლასია აღნიშნულიო.

თ-ქუ < *ღ-ქუ გარდამავალი ზმნაა, მასში უახ-ლოესი ობიექტის გრამატიკუ-ლი კლასი აღინიშნებაო.

ამჟამად ისინი მიჩნეულია არასეგმენტირებად ძირებად და მათი არქეტიპები ასეა რეკონსტრუირებული საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონეზე:

***ღებ- / *ღ-**

ქართ. ღებ- / ღ- აღ-ვ-ღებ; და-ღ-ა; ღ-ომ-ა-მ;
და-ა-ღ-ინ-ებ-ს; და-ვ-ა-ღ-ერ...

მეგრ. ღგ- ღო-ღგ-უ „დაღგა (მან ის)“; ღგ-უმ-ა „დაღგმა“, ღგ-
უნ „ღგას“; ვ-ო-ღგ-ინ-ან-ქ „ვაღგენ; ვაყენებ“; ქო-ღო-ვ-ო-
ღგ-ინ-ი „გავაჩერე“

ლაზ. ღგ- ღო-ღგ-ინ-უ „დაღგომა; გაჩერება“; ქო-ღო-ღგ-უ
„დაღგა (მან ის)“; ვარ ღი-ღგ-ინ-ენ „არ დაიდგომება“;
ო-ღგ-იმ-უ „დაღგმა“

(ფენრიხი, სარჯველაძე 1990 98-99).

***თქუ-**

ქართ. თქუ-/თქუ ვ-თქუ; თქუ-მ-ა; თქუ-მ-ულ-ი... (ძვ. ქართ.)
ვ-თქვ-ი; თქ-მ-ა; თქ-მ-ულ-ი (ახ. ქართ.)...

მეგრ. თქუ-/თქ- თქუ-მ-უ-ა „თქმა“; თქ-უ- „თქვა“...

ლაზ. თქუ-/თქ- თქუ-ალ-ა „თქმა“; ი-თქუ-ენ „ითქმის“; თქ-უ
„თქვა“; ო-თქ-უ „სათქმელი“; ნო-თქუ „ნათქვამი“

სვან. ქუ- ხ-ჰ-ქუ „უთხრა“; ხ-ო-ქუ-ა „უთქვამს“, ქა ო-ქუ-ი
„ითქმის“; ლ-ქუ-ისგ „თქმა“; მუ-ქუ-ისგ „მთქმელი“
(ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 153-154).

მაგრამ საქმე, როგორც ჩანს, ასე მარტივად არ წყდება, ჯერ კიდევ 1938 წელს არნოლდ ჩიქობავამ მიუთითა თქვა ზმნის დუბლეტზე და მისი ამგვარი სეგმენტაცია დაუშვა:

„ამ ზმნის ძირი მხოლოდ -ქვ უნდა იყოს (შდრ. სვ. ლი-ქვ-ისგ და ჰ-რ-ქუ-ა || რ-ქუ-ა ძვ. ქართულისა)“ (ჩიქობავა 1938 283).

ამჟამად ეს ძირიც არასეგმენტირებადად არის მიჩნეული; მისი არქეტები ასეა რეკონსტრუირებული საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონეზე:

***რექუ- / *რქუ**

- ქართ. რქუ- / რქუ- ვა-რქუ „ვეთხარი“; ჰ-რქუ-ა „უთხრა“;
 ჰ-რქუნი-ან „ეწოდება“; რქუ-მა „თქმა“...
 სვან. რექ- / რქუ რქუ „თქვა“; რუქ-არ „ვთქვი“;
 რექ-ა „სთქვი“ და სხვ.

(ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 256)

არადა სახეზეა ოპოზიციური წყვილები, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან დ და რ პრეფიქსებით (რაკი ეს ფონემები ნახურ-დაღესტნურ ენებში გრამატიკული კლას-კატეგორიის ნიშნების ფუნქციითაც არიან აღქურვილი, რაიმე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად კიდევ ერთხელ უნდა განვაცხადო, რომ საერთო-ქართველურ დონეზე გრამატიკული კლასები და მათი ნიშნები არ რეკონსტრუირდება და, შესაბამისად, არც მე ვეძებ მათ გაქვავებულ ექსპონენტებს ქართველური ენის ფუძეთა სტრუქტურაში):

1. დე-გ- / დ-გ-: რ-გ-
2. თ-ქუ-ა < *დ-ქუ-ა რ-ქუ-ა
3. ტ-ყუ-ნ-ა < *დ-ყუ-ნ-ა რ-ყუ-ნ-ა

და სხვ.

რაც შეეხება *რგ-ი ძირს, რომელიც რეკონსტრუირდება საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონეზე, ამჟამად არასეგმენტირებად ძირად არის მიჩნეული:

***რგ-**

- ქართ. რგ- და-ჰ-ნე-რგ-ავ-ს; რგ-ა-ვ; ნე-რგ-ი...
 მეგრ. რგ- რგ-უ-აფ-ა „რგვა“; ქგ-და-რგ-უ „დარგო“, ო-რგ-უ-ან-ს „რგავს“; ნა-რგ-ი „დარგული“ ნო-რგ-ი „ნერგი“...
 ლაზ. რგ- ო-რგ-აფ-უ „დარგვა“; დო-ბ-ო-რგ-ი „დავრგე“;
 ქი-დო-რგ-უ „დარგო“; დო-რგ-ამ-ს „დარგავს“ და სხვ.

(ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 254)

ვგვევ გ ძირი რომელიც გვაქვს დე-გ / დგ-სა და რ-გ-ში უნდა გვეკონდეს ზანურ გე-რე-ში, რაც „ადამიანის დგომას“ ნიშნავს („აკოჩ-ქ გერე“ — კაცი დგას; შდრ. „ჟუდე დგგ“ — სახლი დგას).

დ-ს რეალიზაცია კომბინატორულია:

$$\begin{array}{l}
 \text{დ} + \left\{ \begin{array}{l} \text{გ} = \text{დგ} \\ \text{ქ} = \text{თქ} \\ \text{კ} = \text{ტკ} \end{array} \right. \quad \text{და} \quad \text{დ} + \left\{ \begin{array}{l} \text{ლ} \quad \text{დღ} \\ \text{ხ} \quad \text{თხ} \\ \text{ყ} = \text{ტყ} \end{array} \right.
 \end{array}$$

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დეგ- / დგ- რგ-; თქუ- / რქუ- და ტყუ- / რყუ- ფუძეებს წარმოადგენენ და ისინი სეგმენტირებას ექვემდებარებიან.

აკად. არნ. ჩიქობავას მიერ მაგალითების ფაქტობრივი არქონის პირობებში ნავარაუდევია ფუძეთქმნადობის საერთო-ქართველური მოდელის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ დადესტნურ და ქართველურ ენათა შორის კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათმე-სატყვისობათა დადგენის შემდეგ, შესაძლებელი გახდა მსჯელობა ამ ენებს შორის ფუძის სტრუქტურის იზომორფულობის შესახებ. მაგ.:

საერთო-დადესტნური *ტ'
„თხელი“

ანდ. ბე-ტ'-ერ-ა „id“

ახვ. ბა-ტ'-არ-ო „id“

დარგ. ბუ-კ-ულ-ა „id“

საერთო-ქართველური *თხ

სვან. დგ-თხ-ელ „id“

ზან. თი-თხ-უ

<*დი-თხ-უ „id“

ქართ. თხ-ელ-ი

<*დი-თხ-ელ-ი „id“

და სხვ.

ბგერათმესატყვისობის კანონზომიერებისა და რეგულარულობისათვის შდრ.:

„სახურავი“ || „მწვერვალი“

ანდ. ტ'-ომ „სახურავი“ „თავი“ სვან. თხ-უმ „მწვერვალი“

ჭუნზ. ტ'-ამ-ე „id“

ქართ. თხ-ემ-ი

<*თხ-ამ-ი „id“.

(ა>ე უმლაუტით);

და სხვ.

საერთო-დაღესტნური *წ საერთო-ქართველური *სთ
„მგელი“ || „დათვი“

ანდ. ბა-წ-ო „მგელი“

სვან. და-შდ-ჟ

<*და-შთ-ჟ „დათვი“

ახვ. ბა-ჭ-ა „id“

ზან. თუ-წ-თ-ი

დიდ. ბო-წ-ი „id“

<*დუ-თ-ი „id“.:

ქართ. და-თ-ჟ-ი „id“

და სხვ.

ბგერათშესატყვისობის კანონზომიერებისა და რეგულარულობისათვის შდრ.:

ხუნძ. აწწ „ათი“

ქართ. ათ-ი „id“

ლაკ. აწ- „id“

ზან. ვით-ი <*ოთ-ი „id“

დარგ. ჟიწ „id“.:

(თავი უმლაუტით)

არჩ. ჟაწ-ა „id“

სვან. ძეშდ <*ძეშთ „id“

თაბ. ძიწ-უ „id“.:

მუხად. ძიწ-უ „id“

უდ. ვიწ „id“

და სხვ.

თუმცა წინამდებარე მონოგრაფიაში მე პრინციპულად არ მაქვს მოხმობილი ოდენ იდენტურ ბგერათშესატყვისობათა მაგალითები ქართველურ და დაღესტნურ ენათა შორის, რადგან როგორც ზემოთ ვთქვი, მათ მტკიცებულებითი ძალა მხოლოდ გადიფერენცირებულ ე. წ. არაიდენტურ შესატყვისობებთან კომბინაციაში მოხვედრის შემთხვევაში აქვთ, მაგრამ ამჯერად დავარღვევ ამ პრინციპს მხოლოდ და მხოლოდ ფუძეთქმნადობის მოდელთა იზომორფულობის ნათელსაყოფად და არამც და არმც ასეთი ბგერათშესატყვისობების მაგალითთა დემონსტრირების მიზნით:

საერთო-დაღესტნური *ღ	საერთო-ქართველური *ღ
ხუნძ. ბა-ყ „მზე“	„მზე“ „ღღე“
დიდ. ბუ-ყ „id“:	ს./ქართ. *ღე-ღ „ღღე“
ლაკ. ბარ-ღ „id“	ქართ. დ-ღ-ე „id“
არჩ. ბარ-ჭ „id“:	ზან. დ-ღ-ა „id“
უდ. ბე-ღ „id“:	სვან. რლა-ღღე „id“
	<*ღე-ღ
	და სხვ.

ან ასეთი მაგალითი:

საერთო-დაღესტნური *ქ	საერთო-ქართველური *ქ	
	„ჭამა“	
	*ღ-ქ-	
ლაკ. ბუ-ქ-ან	ქართ. *თ-ქ-არ-	ქართ. თ-ქვ-ეფ-ა
ქ-ან-ან	<*ღ-ქ-არ-	თ-ქვ-ლ-ეფ-ა
(<*ბუ-ქ-ან-ან) „id“:	თ-ქ-რ-ომ-ა	<*ღ-ქვ-ეფ-ა
დარგ. ბე რ-ქ-ჟ-ის	„ბევრის ჭამა“	„უშნოთ, ხმაურით
დირ-ქ-ჟ-ის	ზან. რთ-ქ-ორ-უ-ა	ჭამა“

ბუ-ქ-ეს „id“	<*დ-ქ-ორ-უ-ა „id“	ზან. თ-ქვ-აფ-უ-ა
არჩ. ბუ-ქ-მუს	(დქ > თქ ზემოთ-	<*დ-ქჷ-აფ-უ-ა „id“
ქ-უმ-მუს	მოყვანილი წესის	
<*ბუ-ქ-უმ-მუს „id“	თანახმად იხ.	
	*დ-ქუ-ა > თ-ქუ-ა)	და სხვ.

(სიტყვამ მოიტანა და ეგვეე ძირი რაც ქართულშია თ-ქ-უ-ა რ-ქ-უ-ა დაღესტნურ ენებშიც არის პოვნიერი: ლაკ. უ-ჭ-ინ (<* უ-ქ-ინ) „თქმა“ ხინ. ლი-ქ-რი „id“ ეს მაგალითი კიდეც იმიტომ მომყავს, რომ გამოვრიცხო რ-ქ-მ-ა ფუძის სესხების დაშვება ინდო-ევროპული ენებიდან შდრ. речъ „სიტყვა“, „მეტყველება“, рѣк — „ამბობდა“, на-рек-л-и „დაარქვეს“).

ბუნებრივია გაჩნდეს კითხვა: რატომ უპირისპირდება ასეთი ხაზგასმული რეგულარულობით დაღესტნურ ენათა პრეფიქსი ბ || ბV, რომელიც ცალსახად არის მიჩნეული ყველა ზემოთმოყვანილ მაგალითში ნივთის (resp. არაპიროვნების) კლასის მარკერად, ქართველურ ენათა ფუძის სტრუქტურაში პოვნიერ, გაურკვეველი და-ნიშნულების პრეფიქსს დ || დV, როგორც არაიდენტური ასევე იდენტური შესატყვისობების მქონე ძირულ მორფემათა კომბინაცი-აში, ფუძის შემდეგი იზომორფული სტრუქტურის პირობებში? მაგ.:

დეტერმინანტი პრეფიქსი + ძირი + დეტერმინანტი სუფიქსი

CV_(აფიქს.)+ C_(ძირ.)+ VS_(აფიქს.)

კლასის ნიშნების რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით ჩემი პრზიცია ზემოთ ცალსახად გამოვხატე და აქაც გავიმეორებ: არა თუ საერთო-ქართველურ არამედ უკვე საერთო-ბასკურ-ქართველურ ი ფუძე-ენის დონეზე კლასის ნიშანთა სისტემა, ისევე როგორც კლასოვანი (ანუ თუნდაც კლასოვან-პიროვანი) უღვლილებისა რეკონსტრუქციას არ ექვემდებარება არც შედარებითი და არც შინა-განი რეკონსტრუქციის გზით.


ცალსახა პასუხი ამ კითხვაზე არ მაქვს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ქართველურ-დაღესტნური კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისობების დადგენის ფონზე ახალ გააზრებასა და მნიშვნელობას იძენს, პროფ. გივი მაჭავარიანის დაკვირვება:

„სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ნაკვთები, რომლებიც ქართველურ ენებს აახლოებენ ჩრდილო-კავკასიურთან, უეჭველად ადიან ღრმა სიძველემდე, იმ დროს როდესაც ინდოევროპული ნაკვეთები საერთო-ქართველური ლინგვისტური ტიპისა განეკუთვნებიან უფრო მოგვიანო ქრონოლოგიურ პლასტს“ (მაჭავარიანი 1968 3).

დაღესტნურ-ქართული ფუძეთქმნადობის მოდელთა იზომორფულობა ერთგვარ ლინგვისტურ რელიქტთა თუ რუდიმენტთა რიგს უნდა განეკუთვნოს.

და ბოლოს:

საერთო-ქართველური ქრონოლოგიური დონის რეკონსტრუქციებისათვის გასათვალისწინებელია ზანურისთვის (განსაკუთრებით მეგრული დიალექტური წრისათვის) დამახასიათებელი ტენდენცია (resp. ფონოტაქტიკა) — მისთვის არაკანონიკური მიმდევრობების (resp. კომპლექსების) სუპერაცია მათი ძირისა და ფუძის სტრუქტურის ტრანსფორმაციის გზით. მაგ.:

1.  SC (მეტათეზისით)
CVS (პროთეტული ხმოვნის ჩართვით)

(კონსონანტი + სონორი)

1.1. CS > SC :

- | | |
|------------------|------------------------------------|
| ქართ. სრ-იალ-ი | ზან. რს-იოლ-ი < *სრ-იოლ-ი „ტრიალი“ |
| ქართ. მ-ეგრ-ელ-ი | ზან. მ-არგ-ალ-ი < *მ-აგრ-ალ-ი „id“ |
| ქართ. გლ-ოვ-ა | ზან. რგ-უ-ალა < *გლ-უ-ალ-ა „id“ |

1.2. CS > CVS


ქართ. ზმ-ან-ებ-ა ზან. ზიმ-აფ-ა „id“

ქართ. წნ-ელ-ი ზან. ჰინ-უ < *ჰნ-უ „id“

ქართ. შრ-იტ-ვა ზან. შქირ-იტ-უა < *შქრ-იტ-უა „id“
და სხვ.

არის მესამე გზაც CS კომპლექსის მოშლა მისი კონსონანტური (ქართ. ბლაგუ-ი ზან. ლუგ-ა < *ბლუგ-ა „ჩლუნგი“) ან სონორი (ქართ. ბლუყ-უნ-ი ზან. ბუყ-ინ-უ-ა < *ბლუყ-ინ-უ-ა „გაუგებარი ლაპარაკი“) შემადგენლის დაკარგვით.

2.



(ოდენ კონსონანტური კომპლექსი)

2.1. CC > SC :

ქართ. სა-გზ-ალ-ი ზან. (მეგრ.) ო-რზ-ოლ-ი
< *ო-გზ-ოლ-ი „id“

ქართ. სა-გდ-ულ-ი ზან. (მეგრ.) უ-რდ-ულ-ი
< *ო-გდ-ულ-ი „id“
(კ. დანელია)
და სხვ.

2.2. CC > CVC :

ქართ. კბ-ილ-ი ზან. კიბ-ირ-ი „id“
და სხვ.

საერთო-ქართველური ძირის რეკონსტრუქციის თვალსაზრისით ყურადსაღებია, რომ პროთეტული ხმოვნის როლში გამოდის მხო-

ლოდ ის ხმოვანი, რომელიც ქართველურ ენებში არ იძლევა დიფერენცირებულ შესატყვისობებს, კერძოდ -ი:


ს./ქართვ.	ქართ.	სვან.	ზან.
*ა	ა	ა	ა (ბაგისმიერებთან — უ)
*ე	ე	ე	ა

შესაბამისად, მისი რეკონსტრუქცია ფუძე-ენის ქრონოლოგიურ ძირებში გამართლებულია მარტო იმ შემთხვევაში, როცა ის პოვნიერია ქართულსა და სვანურში, ან თუნდაც მხოლოდ ერთ-ერთ მათგანში. ყველა სხვა შემთხვევაში საერთო-ქართველურში უნდა მოხდეს ზანურში წარმოდგენილი ხმოვნის კანონზომიერი და რეგულარულ შესატყვისობის რეკონსტრუქცია.

1.2.4. ფუძეთქმნადობის მოდელები ბასკურ ენაში

ბასკურ ენაში ფონემატური სტრუქტურის შესახებ არსებულ გამოკვლევათაგან უნდა აღინიშნოს, მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში კარლ ულენბეკის „ბასკური ლექსიკის ძველი ფენები“ (1942, 1946, ფრანგული თარგმანი — 1947) და რენე ლაფონის „შენიშვნები ბასკური ძირის შესახებ“ (1950), მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში კი ლუის (კოლდო) მიჩელენას კაპიტალური გამოკვლევები რომლებშიც იყო მცდელობა ძირის განსხვავებული ტიპების აღწერისა და მათი კანონიკური სტრუქტურების დადგენისა, როგორც სინქრონიაში ასევე დიაქრონიაში.

ასეთი ძირითადი ტიპებია:



გაც (gatz)	ცარ (tzar)	მენ (men)	მოც (motz)
„მარილი“	„ბოროტი“	„დამყოლი“	„მოკლე“
და სხვ.	და სხვ.	და სხვ.	და სხვ.

ბასკურში იშვიათად, მაგრამ გვხვდება ოდენ ხმოვნებისაგან შედგენილი სიტყვებიც VV ტიპისა. მაგ.:

ოა (oa)

„წადი“

ია (ia)

„თითქმის“

ოი (oi)

„ღრძილი“

და სხვ.

ამ ტიპის ძირები არაპომოგენური წარმოშობისანი არიან არა მხოლოდ არქეტიპთა სტრუქტურის, არამედ ტრანსფორმაციული მოდელის თვალსაზრისითაც.

ბასკურში პოენიერია აგრეთვე ცალთანხმოვნიანი ძირები VCV ტიპისა:

1. VCV

1.1. VCV

ოჰი (ohi) „ჩვევა“

ოგი (ogi) „პური“

ოზო (otso) „მგელი“

ოთი (oti) „კალია“

1.2. VSV

ორო (oro) „ყველაფერი“

ორე (orre) „ღვია“

ორი (orri) „ფურცელი“

ამა (ama) „დედა“

ოთე (ote) „კურდღლისცოცხა“	ამუ (amu) „ნემსკავი“
ასა (aza) „კომბოსტო“	ელე (ele) „სიტყვა“
აჰო (aho) „პირი“	ერე (erre) „ცხოზა“
ეტცი (etzi) „ზეგ“	ილე (ile) „თმა“
იჰი (ihi) „ლელქაში“	ურაუ (urru) „ხშირი“
უდა (uda) „ზაფხული“	უმე (ume) „ბავშვები“
და სხვ.	და სხვ.

მათი უმრავლესობაც არაჰომოგენური წარმოშობისა ჩანს და ამოსავალი ვითარების რეკონსტრუქცია აქაც არაერთგვაროვან სურათს მოგვცემს როგორც სტრუქტურულად, ასევე ეტიმოლოგიურად.

რენე ლაფონი წერს:

„ბასკური ისეთი ენაა, რომელშიაც სიტყვების ანალიზი არ არის გაძნელებული, აფიქსები, რომლებიც დაერთვის ან ძირს ან ფუძეს, ან სხვა აფიქსები, ადვილად გამოიყოფა. მიუხედავად ამისა, რიგ შემთხვევაში ძირზე, ფუძეზე, ან რომელიმე აფიქსზე სხვა ნიშნის დართვამ ფონეტიკური ცვლილებები გამოიწვია, რამაც, თავის მხრივ, არაწესიერი ფორმების გაჩენას შეუწყო ხელი. მაგრამ დიალექტური მონაცემებისა და განსხვავებული ტექსტების შედარება ზოგჯერ შესაძლებელს ხდის ალვადგინოთ უფრო ძველი ფორმები, რომლებშიაც აფიქსები რეგულარულად მიერთვის ამოსავალ ან აფიქსიან ფორმებს.

ულვლილება მიმართავს როგორც პრეფიქსებს, ასევე სუფიქსებს, ბრუნება კი — მხოლოდ სუფიქსებს. მორფოლოგიური ელემენტები, გამოყენებული ულვლილების დროს, განსხვავდება ბრუნებისათვის გამოყენებული ელემენტებისაგან. დერივაცია ძირითადად სუფიქსების საშუალებით ხორციელდება; პრეფიქსები აქ მხოლოდ უმნიშვნელო როლს ასრულებენ“ (ლაფონი 1976 32).

ეს ამოსავალ მდგომარეობას არ გულისხმობს:

„ძველად პრეფიქსებითა და სუფიქსებით იწარმოებოდა როგორც ზმნა, ასევე სახელი. შემდეგ სახელებში პრეფიქსაცია გადავარდა და დარჩა მხოლოდ სუფიქსაცია როგორც სიტყვათწარმოების და სიტყვათცვალებადობის საშუალება, ზმნის სტრუქტურაში კი შენარჩუნებულ იქნა ორივე — პრეფიქსული დერივაციაც და აფიქსაციაც“ (ბრაუნი 1984 58-59).

ბასკური ძირებისა და ფუძეების ანალიზი და არქექტიპების დადგენა შესაძლებელია როგორც გრამატიკული გზით (სინქრონიაში), ასევე, უკვე, კომპარატივისტული მეთოდითაც (დიაქრონიაში)

მაგალითად, ბასკურის ერთ-ერთი უმთავრესი მარტივი (ე. წ.) სინთეტური) ზმნა — ეგონ (egon) „ყოფნა“

მისი ფუძე ასე იშლება:

ე-გონ (e-go-n)

ბასკური პიროვანი უღვლილების პარადიგმის აწმყო დროში პირების მიხედვით გამოიყოფა CV ტიპის გო (go) ძირი:

I პირი ნა-გო (na-go) „ვ-არ“

II პირი ჰა-გო (ha-go) „ხ-არ“

III პირი და-გო (da-go) „არ-ს“

რომლის დაკავშირება შეიძლება ნაცვალსახელურ ძირთან

გუ (gu) (ჩვენ). ოპოზიცია — ნი (ni) „მე“ გუ (gu) „ჩვენ“,

რაც ანალოგიას პოეულობს ქართველურ ენათა მასალასთან:

„...საინტერესოა უმარცვლო (ცალთანხმოვნიაანი) ძირების ჩვენება: კერძოდ, აისახება თუ არა მათშიც ზმნისა და სახელის ურთიერთმიმართების წარმოდგენილი სურათი და თუ აისახება, რა ენობრივი საშუალებებით არის ეს მიღწეული?

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს, ერთი მხრივ, გარკვეული ანომალიური ბუნების (დეფექტური) ზმნები ver-

ba subsistendi და verba habendi რიგისა, მეორე მხრივ კი — გარკვეული ნაცვალსახელური (და ზმნისართული) ძირები, პირველ რიგში — იმის გამო, რომ ცალთანხმოვნის ძირების მნიშვნელოვანი ნაწილი ამ ჯგუფში იყრის თავს, მეორეც — შეინიშნება გარკვეული შინაგანი კავშირი ამ ორი ჯგუფის მონაცემებს შორის.

ნაშრომში ქართველურ ენათა მონაცემების გათვალისწინებით ძირითადად განხილულია სამი ზმნისა და სამი ნაცვალსახელის პარალელური ძირეული მონაცემები.

კერძოდ, ზმნებისათვის:

[გ] ქართ. ჰ-გ-იეს ზან. მგმო-გ-გ „მაცვია“ სვან. ლგ-გ „დგას, არის“;

[რ] ქართ. ა-რ-ს ზან. რ-ე(ნ) „არის“ სვან. ა-რ-ი „არის“;

[ვ] ქართ. უ-ვი-ს ზან. მი-ლუნ „მაქვს“ სვან. მუ-ლუ-ა „მაქვს“ (გ. როგავა)

ნაცვალსახელებში:

[გ] ქართ. ი-გ-ი სვან. ე-ჟ-ა „იგი“;

[რ] ქართ. რ-ა სვან. ძა-რ „ვინ“;

[ვ] ქართ. ვი-ნ ზან. ში-ნ; აგრეთვე ზან. მუ „რა“; სვან. მა-ე „რა“.

აღნიშნული მასალობრივი და სემანტიკური მომენტების გათვალისწინებით ივარაუდება, რომ ძირეული მასალა [გ],[რ],[ვ] ზმნებსა და ნაცვალსახელებში საერთოა. კერძოდ:

[გ] ჰ-გ-იეს, ე-გ-ო — ი-გ-ი, ე-გ-ე.

[რ] ა-რ-ს — რ-ა.

[ვი] უ-ვი-ს — ვი-ნ“ (არაბული 1997)

ძალიან საინტერესო ანალოგიაა (შდრ. აგრეთვე სვანურის კუთვნილებით ნაცვალსახელთა ოპოზიცია ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით: ნაე (ჩვენ) მაგრამ გუ-შ-გუ-ე (ჩვენ — ინკლ.): ნ-იშ-გუ-ე

(ჩვენ. — ექსკლ.).

იან ბრაუნი ერთმანეთს უკავშირებს კიდევ ამ ძირებს:

ქართვ. გ(ჟ) „ყოფნა“ ბასკ. ე-გო-ნ (e-go-n) „id“

(ბრაუნი 1998 84).

აქ შეიძლებაოდა სტრუქტურული და პარადიგმატული ანალოგიის (თუ გენბავთ იზომორფიზმის) გარდა შესატყვისობაზეც ყოფილიყო ლაპარაკი, რომ არა ბგერათშესატყვისობათა ოდენ იდენტური ხასიათი, რომელსაც, როგორც ზემოთ ვთქვეი, მტკიცებულებითი ძალა მხოლოდ არაიდენტურ შესატყვისობებთან კომბინაციის შემთხვევაში აქვს.

რაც შეეხება ფუძეთქმნადობის მოდელს, ის პრინციპულად არ განსხვავდება კლას-კატეგორიის ნიშანთა არმქონე იბერიულ-კავკასიური ენების მოდელთაგან, რომლებზეც ზემოთ იყო ლაპარაკი.

ბასკურს ქართულივით ახასიათებს ოდენხმოვნისანი პრეფიქსები

მაგ. ე-ქარ (e-kar) „წალბა“

ი-ბილ (i-bil) „სვლა“

ითვლება რომ ე (e) და ი (i) ძველი, საკუთრივ ბასკური პრეფიქსებია“ (ბრაუნი 1984 72).

ისევე, როგორც უდიურში, ბასკურშიც შეიძლება დაიკარგოს ძირისეული თანხმოვანი, აფიქსალური კი დარჩეს. მაგ.:

ნი ნ-ა-ის (ni n-a-iz) „მე ვარ“

ჰი ჰ-ა-ის (hi h-a-iz) „შენ ხარ“

ჰურ დ-ა (hur d-a) „ის არის“

სადაც -ს (-z) ელემენტი არის -სა (-za) ძირის, რომელშიც „ყოფნა“, „ქონას“ აღნიშნავს თანხმოვნური ნაწილი; შდრ. ფუძე ი-სა-ნ (i-za-n), ხოლო მესამე პირში მხოლოდ ამ პირის აღმნიშვნელი დ (d) პრეფიქსია დარჩენილი, ძირისეული -ს- (-z-) კი გამქრალია.

მაშასადამე:

ბასკური ძირეული სტრუქტურებიდან

C (CV) და CVC

ფუძე ასეთი მოდელით იწარმოება:


1. **C(CV)_(ა) - C(CV)_(ბ) - CV (SV)_(ა)**

სადაც **C** შეიძლება აღნიშნავდეს **CC** კომპლექსსაც: **სქ (zk), შქ (sk)...**

2. **C(CV)_(ა) - CVC_(ბ) - CV (SV)_(ა)**

იმ დაზუსტებით, რომ, როგორც ვთქვი, აფიქსების სახით შეიძლება ოდენ ხმოვნები იყვნენ წარმოდგენილნი.

ბასკურში ერთი და იმავე ძირეული მორფემის კომბინაციით სხვადასხვა აფიქსალურ მორფემებთან მიიღება სხვადასხვა სიტყვა. მაგ.:




ორივე სიტყვის ფუძეთქმნადობითი მოდელი იდენტურია:

C(V)_(ა) - C_(ბ) - VS_(ა)

ან კიდევ:

***გ / *g**



ესეც ერთი და იგივე ძირეული მორფემა ჩანს სხვადასხვა აფიქსალურ მორფემებთან კომბინაციის შედეგად სხვადასხვა ფუძედ (resp. სიტყვად) გაფორმებული. ამ ფუძეებს ი. ბრაუნი შესაბამისად ქართულ დღე <*ღე-ღ „დღე“ და ბღჳარ<*ბე-ღ-ჳ-არ „სამხრეთი“ სიტყვებს უკავშირებს (ბრაუნი 1998 90), ისევე, როგორც ბასკურ სიტყვას გაუ / gau „ღამე“ (ჩემი აზრით ამავე *გ / *გ ძირის დერივატს) ქართულ ღამე-სთან (ბრაუნი 1998 62), მის მიერვე დადგენილი კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობის ქართვ. ღ ბასკ. გ / ჰ საფუძველზე.

განსხვავებას ძირის სხვადასხვა აფიქსებთან კომბინაცია ქმნის.

ბასკურში პოენიერია სიტყვები რომლებიც პარალელურად სხვადასხვა აფიქსით იწარმოებიან თუმცა მათი სემანტიკა ამითი არ იცვლება. მაგ.:

ღე-თაგინ / le-tagin } „ეშვი“
 ბე-თაგინ / be-tagin }
 და სხვ.

ბასკური ძირის შესახებ, როგორც ვთქვი, არსებობს რამდენიმე თვალსაზრისი, არსებობს აგრეთვე პროტო-ბასკური და პრე-პროტო-ბასკური ძირის სტრუქტურის რეკონსტრუქციის რამდენიმე

მცდელობა, მათ შორის უახლესი ხოსება (იოსება) ლაკარას ეკუთვნის (ლაკარა 1995 189-202).

ლაკარას თანახმად პრე-პროტო-ბასკური ძირი მონოსილაბური ბუნების იყო, საპირისპიროდ პროტო-ბასკურში და შემდგომ სტადიებზე პოენიერი პოლისილაბურობისა:

„ჩვენ დასაბამიერი ლექსიკონი (the native lexicon) ანალიზზე მოვახდინეთ ფოკუსირება, რომელიც ნაკლებ შესწავლილია და უფრო ძნელიც, მაგრამ გვაწვდის ინფორმაციას უფრო ძველი ფონოლოგიური და მორფოლოგიური ფაქტების შესახებ. ამ ანალიზის შედეგად ჩვენ დავასკვნით რომ პროტო-ბასკური მარცვალი (syllable) იყო CVC, უფრო შეზღუდული, ვიდრე ეს იყო ნავარაუდები მიჩელენას (1979) მიერ, რომელიც უშვებდა CVRST-ს“ (ლაკარა 1995 202).

ამ ფორმულაში R= რეზონანტს ე. ნაზალს ან ლიკვიდს, S= სიბილანტს, T= ბაგისმიერ ხშულს.

1.3. ფუძეთქმნადობის მოდელების მნიშვნელობა შედარებითი მეთოდის პოზიციიდან.

აკად. ნიკო მარი 1912 წელს, მის მიერ რედაქტირებულ, პეტრე ჭარაიას ნაშრომში შენიშნავდა:

„არ შეიძლება ფუძის შედარებით-ისტორიული ანალიზის ნაცვლად მოვახდინოთ მისი ანატომიური დანაწევრება, დამყარებული ნებისმიერად გამოსაყოფი ნაწილების გარეგნულ ბგერით მსგავსებაზე“ (ჭარაია 1912 36).

და ამ ჭეშმარიტებას აღიარებდა ენათმეცნიერი, რომელიც თავის პრაქტიკაში არასოდეს ერთგულობდა სიტყვის თუ ფუძის სემანტიკის მის მიერვე დეკლარირებულ პრინციპებს არც ისტორიულ-შედარებითი მეთოდისა და თვით ენათა გენეტიური ნათესაობის უარყოფის შემდეგ და არც მანამდე, როდესაც ქართველური (resp. იაფეტური) და სემიტური ენების ნათესაობის დასამტკიცებლად ცდილობდა კომპარატივისტიკის გამოყენებას.

ზემოთ აღვნიშნე, რომ ფრანც ბოპს უსამართლოდ მიაწერდნენ ისტორიულ-შედარებითი მეთოდის შექმნას, ამ საქმეში ის „უბრალო“ იყო რასმუს რასკისა და იაკობ გრიმისაგან განსხვავებით (კომპარატივისტიკის შემქმნელთა შორის რუსული ლინგვისტური ტრადიცია მათთან ერთად ალექსანდრ ვოსტოკოვსაც, იგივე ოსტენეკსაც ასახელებს, რაც რუსების პრინციპული პოზიციის გამოვლინებაა მეცნიერებისა და ტექნიკის ნებისმიერ დარგში) და ფრანც ბოპი არათუ ამ მეთოდის შემქმნელი, მისი გამცნობიერებელი და გამზიარებელიც კი არ ყოფილა, განსხვავებით ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტისაგან, რომელსაც, მართალია, ენათა შედარებისას ბგერათა გადაწვევის ფონეტიკური კანონები არ დაუდგენია, მაგრამ რასკისა და გრიმისაგან დამოუკიდებლად მიხვდა ბგერათა შესატყვისობების დადგენის აუცილებლობას ენათა ნათესაობის მტკიცებისა და არქეტიპების რეკონსტრუქციისათვის.

აღრე დაწერილ, მაგრამ 1821 წელს გამოქვეყნებულ თავის ყველაზე კომპარატივისტულ ნაშრომში: „ესპანეთის მკვიდრი მოსახლეობის შესახები გამოკვლევების შემოწმება ბასკური ენის მეშვეობით“ ჰუმბოლდტი წერდა:

„ესპანური გეოგრაფიული სახელწოდებების ბასკური წარმოშობის მტკიცებისას ძალიან ბევრია დამოკიდებული ეტიმოლოგიურ პრინციპებზე, რომლითაც ხელმძღვანელობენ მკვლევრები. თუმცა

იმათ, ვინც ასტარლოს და ეროს მისდევენ, როგორც მე ვგონებ, კი შესძლეს მიედწიათ ზოგიერთ სწორ დასკვნამდე ძველი ენების და კერძოდ ბასკური ენების ბუნების შესახებ, მაგრამ შემდეგ მათ მოახდინეს ამ დასკვნათა ექსტრაპოლირება და გამოიყენეს ისინი იმგვარად, როგორიც არ იწვევს ნდობას და არ შეუძლია მიგვიყვანოს რაიმე სანდო შედეგებამდე. მათ მიერ მიღებული სისტემა დაფუძნებულია ასტარლოს მიერ შემოთავაზებულ ზოგად მიდგომაზე ბასკური ენისადმი. ამ ავტორის თანახმად, ბასკურ ენაში ყველა ასოს და ყველა მარცვალს აქვს საკუთარი მნიშვნელობა, რომელიც თხზვისასაც ნარჩუნდება. შესაბამისად, ყველა სიტყვა შეიძლება დანაწევრდეს შემადგენელ ელემენტებად და, თანაც, ისეთი განსაზღვრულობით, რომ, მაგალითად, ორი ასოსაგან შედგენილ სიტყვაში, პირველი აღნიშნავს გვარეობით, მეორე კი სპეციფიურ ნიშანს საგნისას, ანდა პირველი აღნიშნავს მფლობელს, მესაკუთრეს, მეორე კი — შიგთავსს, კუთვნილს“ (ჰუმბოლდტი 1985 350).

და საგანგებოდ შენიშნავდა პედრო დე ასტარლოს მეთოდთან დაკავშირებით:

„... მისი მეთოდის დახმარებით შეიძლება გავაანალიზოთ ისეთი ძირებიც კი, რომლებიც თვალთახედვის ყველა სხვა კუთხით წარმოდგებიან როგორც დაუნაწევრებელი ელემენტები. დაბოლოს, თვით მნიშვნელობები მიეწერებათ ბგერებს უკიდურესად ფხიზელი ენობრივ შედარების საფუძველზე კი არა, არამედ ზოგადი ცნებებიდან და წარმოდგენებიდან, ზოგჯერ სრულიად განსაკვიფრებელთაგან გამომდინარე“ (ჰუმბოლდტი 1985 354).

და რომ ასტაროლასა და მისი მიმდევრების (ერო და სხვ.) მიერ ბასკურ სიტყვათა სემანტიკა ცხადად „უჩვენებს მთელ ორკოფულობას ნებისმიერობასა და ავანტიურიზმსაც კი ასეთი პრაქტიკისა, თუ ის არ ეფუძნება ნამდვილი ბგერითი ნათესაობის დადგე-

ნას წესთა ზუსტი სისტემის შესაბამისად (ხაზი ჩემია — მ. ქ.)“
(კუმბოლდტი 1985 351)

თუ რამდენად სახიფათოა სიტყვათა და ფუძეთა ნებისმიერი სეგმენტაცია, კარგად ჩანს შემდეგი მაგალითიდანაც:

აკად. არნ. ჩიქობავა წერს ზანური კითი-სა და ქართული თი-თი-ს შედარებისას:

„ძირეულია -თ-; მეორდება ქართულში; ჰანურში, მეგრულში მას წინ უძღვის სხვა ძირი, საფიქრებელია იგივე, რაც აკა-ში გვაქვს: აკა — ერთი (აფხაზ. აკგ — ერთი: Услар., Абх. ж.გვ. 141, 77); კითი — ერთი თი-თი (?). სწორი უნდა იყოს ის მოსაზრება, რომელსაც ზოგი მკვლევარი აყენებს, როცა ხუ-თ-ში, ერ-თ-ში თი-თის აღმნიშვნელ ძირს ვარაუდობს“ (ჩიქობავა 1938: 61).

კით- ძირის ამგვარ სეგმენტაციას, ანუ CV(თ)+C(თ) ტიპის სტრუქტურად მის მიჩნევას, მხარი დაუჭირა აკად. ქ. ლომთათიძემ და აფხაზური სიტყვა 'ა'-კ-გ-ს „თითი“ ანალოგიურად დაანაწევრა.

შედეგად ის მივიღეთ, რომ CVC სტრუქტურის ძირთა შორის შესატყვისობის ნაცვლად ქართ. კით-: აფხაზ. კგს, მივიღეთ C ტიპის ცალთანხმოვნიან ძირთა შესატყვისობა: ქართლ. თ აფხ. ს/ს.

მეთოდის გამოყენების სიმკაცრის თვალსაზრისით არანაკლებ სახიფათოა საპირისპირო ტენდენციებიც, როდესაც ცალთანხმოვნიან C/CV ტიპის ძირებს წარმოადგენენ ფუძის CVC (< CVS) სახით და არაკორექტულად თვლიან შესატყვისობის პოვნიერებას მხოლოდ ერთი თანხმოვნის სახით. მაგ.:

„რეკონსტრუირებადი ჩვეულებრივ ქართულ-ზანური არქექტიპი *ლორ- ხასიათდება დასაბამინდელი არადესკრიფციული ფუძეებისათვის იშვიათი ვოკალიზმით. ამის მიუხედავად, ცნობილია მეცნიერებაში მხარდაუჭერელი ცდა სიტყვის ახსნისა ქართველურ ნიადაგზე, რომლის თანახმად თავკიდურა თანხმოვანი აქ ძირეულია, ხოლო

ორ (ზანურ ენაში -ეჭ) — სუფიქსი (ჩიქობავა 1938: 82, იგივე 1942 82). ამდენად, არაღამაჭერებელია მისი შეპირისპირება ჩრდილოკავკასიურ ენათა არსებითად განსხვავებულ მასალასთან“ (კლიმოვი 1994 151).

ლორ-ს კლიმოვი თავად, ისევე როგორც თელ-ს „გოჭი“ (კლიმოვი 1994 112-114) ინდო-ევროპეიზმად მიიჩნევს ქართველურ ენებში, მაგრამ ეს ცალკე ექსკურსის თემაა და მასზე აქ არ შევჩერდები, მთავარია იმ საკითხის გარკვევა, მართლაც ასე არაღამაჭერებელია ამ ძირისა თუ ფუძის შეპირისპირება ჩრდილო-კავკასიურ ენათა მასალასთან მეთოდოლოგიური თვალსაზრისით?!

რაც შეეხება „ლორის“ აღმნიშვნელ სიტყვას, ის ასეთი სტრუქტურისაა ნახურ-დაღესტნურ ენებში:

$CV_{(ა)} - C_{(ფ)} / CV_{(ფ)}$

დიდ. ბე-ლ^ა-ო

არჩ. ბო-ტ^ა

უდ. ბო-ყ

და ა. შ.

ბგერათშესატყვისობა დიდ. ლ^ა არჩ. ტ^ა უდ. ყ დაღესტნურ ენებში კანონზომიერ და რეგულარულ ხასიათს ატარებს, ზ ყველგან გრამატიკული კლასის ნიშანია, შესაბამისად, გვრჩება ცალთანხმოვნინანი ძირი, რომელიც უდარდება ქართველური ენების C ტიპის ($C_{(ფ)} + SV_{(ა)}$) ჩიქობავა 1938 82) ან CSV ტიპის (გამყრელიძე, მაკვარიანი 1965) ძირს.

პირველ შემთხვევაში, ე. ი. თუ ქართველური ძირი ცალთანხმოვნინანია (C), მაშინ შედარება კორექტულია, მეორე შემთხვევაში, ე. ი. თუ ძირი CVC/ CVS სტრუქტურისაა, შედარება არაკორექტულად უნდა იქნეს მიჩნეული.

თანამედროვე ეტაპზე ამ სიტყვის სეგმენტაცია ქართველურ

ენებში არ ხერხდება, მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს ცალსახად, რომ ის წარმოშობითაც CVS ტიპის ძირია.

თვით ქართველურ ენათა შედარებითი კვლევის პოზიციიდანაც პრობლემატურია, რადგან შედგება ე. წ. ოდენ იდენტური ბგერათ-შესატყვისობებისაგან:

ქართ. ღ	ზან. ღ
ქართ. ო	ზან. ო
ქართ. რ	ზან. რ

ზან რ > ჯ აუსლაუტში პალატალური აფრიკატიზაციის შედეგია, ანუ წარმოადგენს პოზიციური ფონეტიკური პროცესის რეალიზაციას და არა სპონტანურისას. გადასვლა *ო > ე ზანურში აუხსნელი არ არის (ფენრიხი, სარჯველაძე 1990 351).

ანალოგიური სტრუქტურის სხვა სიტყვებაც ასევე პრობლემატურნი არიან კომპარატივისტიკის პოზიციიდან მტკიცებულებითი ძალის მქონებლობის თვალსაზრისით ოდენ იდენტური შესატყვისობათა შემცველობის გამო:

ქართ. გორ-ი	ზან. გოჯ-ი	(შდრ. ქართ. გორ-ა	ზან. გოლ-ა)
ქართ. ქორ-ი	ზან. ქირ-ი	< *ქურ-ი	< *ქორ-ი

და სხვ.

მოხმობილ სიტყვებში სემანტიკა ამ შემთხვევაში არც ალტერნაციის ა. არაბულისეული წესით ხერხდება და რჩება ერთადერი გზა ღორ- სიტყვაში ძირის სტრუქტურის დადგენისა. ეს კომპარატივისტული გზაა:


თუ ქართველურ და დაღესტნურ მასალას შორის გამოვლინდება კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობა, მაშინ ცალსახად შეგვეძლება იმის თქმა, ღორ- ძირია თუ ფუძე, ანუ ისტორიულ-შედარებითი კვლევა მყარ კრიტერიუმად მოგვევლინება სტრუქტურის კვლევისთვისაც და სესხების მიმართულების დასადგენადაც: ინდო-ევროპულიდან ქართულში თუ პირიქით. იგივეს თქმა შეიძლება თელ- „გოქის“ შესახებაც.

წინამდებარე მონოგრაფია სწორედ ამ საკითხების გარკვევას ისახავს მიზნად.

ფუძეთქმნადობის მოდელის დადგენა კორექტული შედარებისთვის რელევანტური მნიშვნელობისაა და მას შემდეგ, რაც ალტერნაციის ა. არაბულისეული წესით (ა. არაბული 1997) შესაძლებელი გახდა CVC / CVS ტიპისად მიჩნეული არაერთი ძირის კვალიფიკაცია ფუძეებად და მათში ცალთანმოგნიანი ძირების გამოყოფა, მივიღეთ სიტყვის სეგმენტაციის ვერიფიკაციის სამი გზა:

- 1) ძირულ და აფიქსალურ მორფემათა კომბინაციის მოდელების კანონიკა (სისტემის მოთხოვნები);
- 2) ალტერნაციის წესი (შინაგანი რეკონსტრუქცია);
- 3) კომპარატივისტული მეთოდი(შედარებითი რეკონსტრუქცია).

შინაგანი რეკონსტრუქციისათვის არა აქვს მნიშვნელობა შესაძარბელი სათანადო ძირის არსებობა-არარსებობას მონათესავე ენებში. მაგ., ალტერნაციის მექანიზმი მოქმედებს ზანურშიც ისევე, როგორც სხვა ქართველურ ენებში, მაგრამ მასში პოვნიერი ყველა ძირისთვის როდი არის მიკვლეული შესატყვისი ქართულსა და სვანურში. მაგ.:



ამ ეტაპზე ცალსახად იმის თქმაც კი ჭირს, ეს ძირისეული ხ სხვა ქართველურ ენათა ხ-ს შეესატყვისება თუ ჳ-ს, ეს ამ ენებში შესაბამისი ძირების პოზიციების შემდეგ დადგინდება.

მთავარია, რომ ამ შემთხვევაშიც ფუძის სეგმენტაცია სრული უქვევლობით არის მომხდარი და შედარებისათვის დაბრკოლება მოხსნილია.

ძირისა და ფუძის გამიჯვნის უაღრესად მნიშვნელოვან კრიტერიუმს ქართველურ ენებში წარმოადგენს აგრეთვე ძირეულ მორფემათა ფონოლოგიური სტრუქტურა ანუ თანხმოვანთა შეთავსებადობა CVC ტიპის ძირებში, რადგან თუ საერთო-ქართველური ფუძეების ქრონოლოგიურ დონეზე აღდგება რომელიმე აკრძალული კომბინაცია, ეს იმისი მაჩვენებელი იქნება, რომ აღდგენილი ოდენობა ფუძეა და არა ძირი.

რაკი ძირის შიგნით აკრძალული ფონემატური კომბინაცია, ქართველურ ენებში, სავსებით დასაშვებია ფუძის შიგნით, მორფემათა მიჯნაზე.

შესაბამისად თუ CVC ტიპის ძირის ფონოლოგიური სტრუქტურა საერთო-ქართველური ფუძე-ების ქრონოლოგიურ დონეზე გამორიცხავს შემდეგ კომბინაციებს:

„(1) თუ ძირეული მორფემა იწყება ლაბიალური (resp. დენტალური) თანხმოვნით და ბოლოვდება იმავე ლოკალური რიგის თანხ-

მოვნიტ, მაშინ ორივე თანხმოვანი ერთსა და იმავე სერიას ეკუთვნის, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დაუშვებელია /*ფაბ/, /*პაფ/, /*ტად/, /*დატ/, /*თად/ და მსგავსი მიმდევრობანი.

(2) ერთი და იმავე მორფემის ფარგლებში დაუშვებელია ორი სიბილანტური თანხმოვანი, თუ ისინი ერთსა და იმავე ლოკალურ რიგს არ ეკუთვნიან: დასაშვებია /*ჯაჭტ/, მაგრამ დაუშვებელია /*ძაჭტ/, /*ძაჭტ/, /*ჯაწტ/, /*ჯაწტ/ მიმდევრობანი“ (მაჭავარიანი 1965 80. იხ. აგრევე ფენრიხი 1978 110-112).

მაშინ ამგვარი აკრძალული კომბინაციის შემცველი CVC ტიპის ოდენობა წარმოადგენს არა CVC ტიპის ძირს, არამედ აფიქსალური და ძირეული მორფემების კომბინაციას, რომელშიც ძირი ცალსახად ცალთანხმოვნიანია. მაგ.

ს./ქართ. *სიშ-ი ქართ. სიშ-ი > შიშ-ი „id“ სვან. სიხგ. „სი-ძლელილი“ > *„შიში“.

საერთო-ქართველური ფუძეების დონეზე რეკონსტრუირებადი ეს ოდენობა *სიშ-, ეწინააღმდეგება გივი მაჭავარიანის მიერ დადგენილ მეორე წესს: „ერთი და იმავე მორფემის ფარგლებში დაუშვებელია ორი სიბილანტური თანხმოვანი, თუ ისინი ერთსა და იმავე ლოკალურ რიგს არ ეკუთვნიან“ (მაჭავარიანი 1965 80).

აქედან გამომდინარე, *სიშ- განხილულ უნდა იქნეს, არა როგორც ძირი, არამედ როგორც ფუძე:

*სი-შ-ი

ეს კი საშუალებას იძლევა *შ ძირი გამოყოფილ იქნეს *შინ „შინება“ ფუძეშიც:

ს./ქართვ. *შინ-ი „ქართ. შინ- ზან. (მეგრ.) რსქინ-ი < სქინ-ი // (ლაზ.) ცქინ- < *სქინ- „მუქარა“, „შეშინება“ (შლდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 1990 382-383), რომელიც ასე დაიშლება: *შ-ინ-ი, სადაც -ინი- სუფიქსი იქნება (-ინ- სუფიქსის შესახებ. იხ. ფენ-

რიხი, სარჯველაძე 1990 164).


შინ- ფუძე საკუთრივ ქართული ენიდან არის ნასესხები, საერთო-ადილურში, რის გამოც ის კანონზომიერ და რეგულარულ შესატყვისობებს ავლენს ყაბარდოულსა და ადიღურს შორის:

ს./ადილ.: *შენა „შინება“, ყაბ. შენან „id“: შენან „id“ (კუმახოვი 1981: 262; შაგიროვი 1977 143).

ყაბ. შ: ადილ. შ ბგერათშესატყვისობა კანონზომიერი და რეგულარულია:

ყაბ.	ადილ.
შგღ	შგღგ „მარილი“
შგდ	შგდგ „ვირი“
შგრ	შგრ „ბარტყი“ და სხვ.

როგორც ჩანს, ქართველურ ენებში შ ძირი სხვა ფუძეებსაც ქმნიდა სხვადასხვა აფიქსალურ მორფემებთან კომბინაციით:



ჭერ კიდევ პ. ჭარაია უკავშირდება ერთმანეთს მეგრ. შქ-ურ- „შინება“ და აფხაზურ ა-შარა (აბაზ. შარა) „შინება“ სიტყვებს ერთმანეთს (ჭარაია 1912 53).

მაგრამ სე-შ-ე არ არის ერთადერთი სადაც *სი- საერთო-

ქართველურ პრეფიქსი (აფიქსალური მორფემა) გამოიყოფა გ. მაკვარიანის ზემოთმოყვანილი მეორე წესის თანახმად:

ს./ქართვ. *სიძე „სიძე“: ქართ. სიძე „id“ ზან. (ლაზ.) სიჯა, (მეგრ.) სინჯა < *სიჯა „id“: სვან. ჩიუე < *სიჯე „id“

რაკი CVC ტიპის ძირში აკრძალულია *ს — *ძ მიმდევრობა, შესაბამისად:

***სი-ძი-ე**

ანუ სტრუქტურულად ის იქნება იმავე ტიპისა, რაც: **სი-თხ-ე**
მაშასადამე, **სი-ძე** ჩაჯდება ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმინთა შემდეგ სტრუქტურულ ჯგუფში, რომელიც **სი-** პრეფიქსით არის ნაწარმოები და სემანტიკურად ქორწინების გზით შექმნილ ნათესავს აღნიშნავს:

სი-დედ-რ-ი („შექმნილი დედა“)

სი-მამ-რ-ი > (დიალ.) **სი-მავ-რ-ი** > **სი-მავ-რ-ი** („შექმნილი მამა“)

სი-ძე („შექმნილი ძე“)

არსებობს განსხვავებული ვარაუდიც: „სიდედრ-სიმამრ ტერმინთა რთულ ფუძეში საფიქრებელია მონაწილეობდა თვით **სიძე** სიტყვის ფუძე და ისინი აღნიშნავდნენ „სიძის-დედის-მსგავსს“, „სიძის-მამის მსგავსს“ (ამ მხრივ საყურადღებოა ქართულ დიალექტებში „სიდედრ“ ტერმინის ფართო მნიშვნელობით გამოყენება“ (ლომთათიძე 1983 23).

საყურადღებოა, რომ დედუქციური მიდგომით აკად. არნოლდ ჩიქობავამ ისეთივე სეგმენტაცია მოახდინა სიტყვებისა **სიში** > **შიში** (ჩიქობავა 1942 231) და **სიძე** (ჩიქობავა 1938 35-36 და ჩიქობავა 1942 226), როგორც წინამდებარე ნაშრომშია წარმოდ-

გენილი ინდუქციური მიდგომითა და შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდის გამოყენებით.

აღნიშნული გარემოება კიდევ ერთხელ გვაბრუნებს ქართველოლოგიის ერთ ისეთ პრობლემასთან, რომლის შესახებაც არნოლდ ჩიქობავას მიერ ჩვენი საუკუნის ოცდაათიან-ორმოციან წლებში გამოთქმული თვალსაზრისი ხმაურიან გადასინჯვას დაექვემდებარა სამოციან წლებში (ტოგო გუდავა, გეორგი კლიმოვი, გივი მაჭავარიანი) და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მიკვლევულ იქნა ამ სადისკუსიო მოვლენის ოპტიმალური ახსნა.

საქმე ეხება ერთ ანომალურ შესატყვისობას ქართველურ ენებში:


ქართ. ს/ძ	ზან. ზ/დ	სვან. ზ	ს./ქართვ.?
1) სისხ-ლი	(მეგრ.) ზისხ-ირ-ი / (ლაზ.) დიცხ-ირ-ი „id“	ზისხ „id“	
2) ცაცხუ	(მეგრ.) ცუცხვ-ათ-ი (ტოპონიმი) (ლაზ.) დუცხუ „id“	ზესხ-რა „id“	
3) შეშა	დიშქა „id“	—	
4) ძეძუ	(ლაზ.) დაძ-ი „id“	—	
5) ცეცხ-ლი	დაჩხ-ირ-ი „id“	—	

საერთო-ქართველურ დონეზე მათი არქეტიპების რეკონსტრუქ-

ქციის ორი ვარიანტი არსებობს:

ა) არნ. ჩიქობავა

ბ) ტ. გუდავა / გ. კლიმოვი /
გ. მაჭავარიანი



ტოვო გუდავასა და გივი მაჭავარიანის თანახმად აქ წარ-
მოდგენილი არქეტიპებიდან ქართული ფორმები გამოიყვანება რე-
გრესიული ასიმილაციით, ხოლო ზანური ფორმები რეგრესიული ან

ფოლოგიურ შესატყვისობაშია და ნივთის კატეგორიის მაჩვენებელს წარმოადგენენ (ჩიქობავა 1942 170-173) სხვაგვარად რომ ვთქვათ დ არაპიროვნების კლასის ნიშნად არის მიჩნეული.

არნოლდ ჩიქობავას აზრით დ ს პრეფიქსთა დაპირისპირება საერთოქართველურ დონის მოვლენაა, რადგან „ამ დ-ს სპორადულად ქართულშიც ვპოვებთ“ (ჩიქობავა 1942 173), მეტიც „დ-პრეფიქსი საერთო მონაცემია ქართველურისა და სხვა კავკასიური ენებისთვის (ვგულისხმობთ, პირველ ყოვლისა, ჩაჩურსა და დაღესტნურ ჯგუფებს). ეს „საერთო“ შესაძლოა რომელიმე ერთი ენის კუთვნილება იყოს და მისგან მიეღოს, როგორც ქართველურ, ისე ზემოხსენებულ ენებს“ (ჩიქობავა 1942 259), თუმცა არნ. ჩიქობავასვე (დაზუსტებით: „ქართველური ენებისათვის ნივთის კატეგორიის დიფერენციაცია ჩვენ გამორიცხულად მივიჩნით: სათანადო პრეფიქსები სხვადასხვა დიალექტური წრისად ვცანით“ (ჩიქობავა 1942 259), ხოლო „ნივთის კატეგორიის ძირითადი ნიშანი ქართველური ენებისათვის ს-, ლ-, (ნ-) ჩანს“ (ჩიქობავა 1942 259).

როგორც ცალსახად, ხაზგასმით და არაერთხელ აღვნიშნე კლას-კატეგორიის ნიშნები არა მარტო საერთო-ქართველურ, არამედ საერთო-ბასკურ-ქართველურ ფუძე-ენებში არ რეკონსტრუირდება, ამდენად აქ კლას-კატეგორიის საკითხს აღარ შევეხები, მაგრამ ცალსახად უნდა განვაცხადო:

ტ. გუდავას, გ. მაჭავარიანის, რეკონსტრუქციებს, გაზიარებულს ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის მიერ აქვთ ერთი მეტისმეტად სერიოზული პრობლემა — ისინი ეწინააღმდეგებიან საერთო-ქართველური ფუძე-ენის ქრონოლოგიური დონის CVC ტიპის ძირის ფონოლოგიურ სტრუქტურას. დადგენილს ამავე მეცნიერთა, კერძოდ კი გ. მაჭავარიანისა (1965) და ჰ. ფენრიხის (1978) მიერ, რომლის თანახმად როგორც ზემოთ ვაჩვენე, სხვადასხვა ლოკალური

რიგის სიბილანტთა კომბინაციები: *dVც; *dVშ; ზVსხ; dVც და ა. შ. აკრძალულია და შესაბამისად მათი რეკონსტრუქციაც არაკორექტული ამოსავალი თეორიული პოსტულატების პოზიციიდან.

ამ წინააღმდეგობიდან თავისუფალია არნ. ჩიქობავას თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც ეს CVC ტიპის სტრუქტურები წარმოადგენს ფუძეს და არა ძირს.

ამდენად:

1. *სე-ცხ-ლ-ი და ა.შ. — კანონზომიერად რეკონსტრუირდება რადგან *სVც; კომბინაცია და შ. პოვნიერია მორფემათა ზღვარზე და არა ერთი მორფემის ფარგლებში.

2. რაკი ფუძე-ენის ძირეული მორფემებისათვის აკრძალული კომბინაციების რეკონსტრუირებული ფორმები შეიცავენ ან-ლაუტსა და აუსლაუტში ისეთ სიბილანტებს, რომლებიც ისტორიულად დადასტურებულ ქართველურ ენებში არ არის პოვნიერი და არც რეკონსტრუირდებიან ფუძე-ენის ქრონოლოგიური დონისათვის, როგორც პრეფიქსები ან სუფიქსები მაგ. *ძ, *ზ, *ც, *ცი, *შ და ა. შ. ამდენად მათი კომბინაციებით შედგენილი არაკანონიკური მორფემები განხილულ უნდა იქნეს როგორც:

ა) კომპოზიტები (მაგ. როგორც *ძიწნა < *ძელ + წნ- (ზმნა: წნ-ავ-ს) ჩიქობავა 1942: 33)...

ბ) *დ > ძ < $\begin{matrix} \text{ზ} \\ \text{ც} \end{matrix}$ პროცესის შედეგი:

ყოველ შემთხვევაში ასეთი ახსნა ნაკლებ პრობლემატური ჩანს. თუმცა ეს უკვე ცალკე ექსკურსის თემაა.

ენათა შედარების დროს უნდა გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი აუცილებელი პირობები:

1) ენათა ნათესაობის ხარისხიდან გამომდინარე, შეიძლება ბგერათშესატყვისობები გამოვლინდნენ ოდენ ძირის ან უკვე ფუძის დონეზე

2) ენათა ნათესაობის ხარისხისგან დამოუკიდებლად, ბგერათშესატყვისობების გამოვლენა ოდენ ძირის დონეზე შეიძლება მეტყველებდეს მონათესავე ენების მიერ ფუძეთქმნადობის სხვადასხვა მოდელის არჩევაზე ზოგადად ან კერძოდ — ამ შემთხვევაში.

3) ყოველ ძირს ფუძეთქმნადობისათვის აქვს აფიქსალური ინვენტარის საკმაოდ ფართო ასორტიმენტი, დაწყებული ალტერნაციის მექანიზმიდან, დამთავრებული ფლექსიური თუ დერივაციული კომბინაციებით, ამიტომ შესაძლებელია ასეთი ვარიანტების არსებობა; ბგერათშესატყვისობები მონათესავე ენათა შესადარებელ ერთეულებს შორის ვლინდება:

ა) ფუძის დონეზე;

ბ) ძირეული მორფემის დონეზე; მაგრამ აფიქსალური ინვენტარი განსხვავებულია, თუმცა, თავის მხრივ, ეს აფიქსალური მორფემები ავლენენ კანონზომიერ და რეგულარულ შესატყვისობებს მონათესავე ენის სხვა აფიქსებთან, რომლებიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში ფუძეთქმნადობის კომბინაციაში არ მონაწილეობენ;

გ) ძირეული მორფემების დონეზე, მაგრამ აფიქსალური ინვენტარი მასალობრივად განსხვავებულია როგორც ფუნქციით, ასევე გენეტიკურად (ინოვაციები, ნასესხობები და ა. შ.).

მთავარი ის არის, რომ მონათესავე ენებში პოვნის საერთო-ფუძე-ენიდან ნამემკვიდრევი ძირეული და აფიქსალური მორფემები აუცილებლად უნდა ავლენდნენ კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობებს, ასეთი ბგერათშესატყვისობები შეიძლება ვლინდებოდეს ფუძის დონეზეც ანუ კომბინატორული მოდელის

რეალიზაციის შედეგებში, მაგრამ ეს შესაძლებელია და არა აუცილებელი, რადგან მონათესავე ენებს ფუძეთქმნადობის მოდელებიდან, ანუ ძირეულ და აფიქსალურ მორფემათა დასაშვები პოტენციური კომბინაციებიდან სხვადასხვა არაიდენტური ვარიანტის რეალიზაციის საშუალების არჩევანი ჰქონდათ და ახორციელებდნენ კიდევ — შესაბამისად, შედარების კორექტულობა მთლიანად არის დამოკიდებული სეგმენტაციის ადეკვატურობაზე.

იმისი აუცილებელი გათვალისწინებით, რომ ენობრივი ოჯახის საერთო თუ შუალედური ფუძე-ენები ფართოდ იყენებდნენ ერთისა და იმავე ძირეული მორფემის კომბინაციებს სხვადასხვა აფიქსალურ მორფემასთან, ან ალტერნაციის მექანიზმს, ფუძეთქმნადობის პროცესში ერთი სემანტიკური ველის შიგნით ლექსიკური და გრამატიკული კორელატების შესაქმნელად, რომლებიც არათანაბარი რაოდენობით არის შემორჩენილი ისტორიულად დადასტურებულ ენებში.

ამდენად, თუ ერთი ენობრივი ჯგუფის ან ოჯახის შემადგენელ ენათა შედარებისას, შესადარებელ ენებში მიკვლეულ იქნა: ა) კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობებით წარმოდგენილი ერთი და იგივე ძირეული და აფიქსალური მორფემები; ბ) ძირეული და აფიქსალური მორფემების კომბინაციათა ერთი და იგივე წესები, მაგრამ რომელიმე კონკრეტული კომბინაცია რეალიზებული აღმოჩნდება არა ყველა შესადარებელ ენაში, მისი რეკონსტრუქცია შესაბამისი ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე განხილულ უნდა იქნეს სინამდვილესთან მაქსიმალურად მიახლოებულ აღბათობად.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება ისტორიულ-შედარებითი მეთოდის შუქზე

2.1. ქართველური და დაღესტნური ენების ნათესაობის და საბუთება

ენათა ნათესაობის ერთადერთი უეჭველი კრიტერიუმი მათ შორის კანონზომიერი და რუგულარული ბგერათშესატყვისობების პოვნობაა.

ბგერათშესატყვისობები დგინდება ენათა ძირითადი ლექსიკური ფონდის (და გრამატიკული ინვენტარის — ასეთის არსებობის შემთხვევაში) ისტორიულ-შედარებითი მეთოდით კვლევის გზით.

კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობების გამოვლენა წარმოადგენს კომპარატივისტიკის რიგით პირველი, მნიშვნელობით კი ერთ-ერთი უმთავრესი (თუმცა — არა ერთადერთი), ამოცანის გადაწყვეტას — ენათა ნათესაობის დადგენას. კომპარატივისტიკის მომდევნო ასევე, ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს — რეკონსტრუქცია მოცემული ენობრივი ოჯახის ფუძე-ენისა და ა. შ.

ზემოთ, შესავალში, ენათა ნათესაობის დადგენის ხელისშემწელებელ ობიექტურ მიზეზთაგან პირველის ანალიზისას დადგინდა, რომ ვ. პორციგისეული აკრძალვა, სინქრონიაში თანაარსებული ენების ურთიერთშედარებისა, აბსოლუტური არ არის, იგი ძალაში რჩება მხოლოდ ერთ პუნქტში, რომელიც უშუალოდ რეკონსტრუქციებს უკავშირდება, რაც შეეხება ენათა ნათესაობის დადგენას, ამ პუნქტში პორციგისეული შეზღუდვები მოიხსნა, როგორც არაჰემიპარიტი და არაკორექტული.

მეორე მიზეზი, როგორც ფიქრობენ, კიდევ უფრო უნივერსალურ და შეუვალ პრინციპს ეყრდნობა.

1924 წლის ოსლოს ლექციებში ანტუან მეიემ ხაზგასმით განაცხადა: „თუ მსგავსი შედარებისას აღმოჩნდება არა ოთხი ბგერითი ელემენტი, რომლებსაც აქვს ზუსტი შესიტყვისობები, არამედ მხოლოდ სამი, მაშინ მტკიცებულება იქნება ნაკლებდამაჯერებელი; მხოლოდღა ორი ელემენტის პოვნისას იგი გახდება არამყარია, ხოლო თუ მკვლევრის განკარგულებაში აღმოჩნდება შესატყვისობის მქონე მხოლოდ ერთი ბგერა, შესატყვისობათა სანდობა თითქმის არარამდე დავა. ამიტომ ენათმეცნიერები, რომლებიც ოპერირებენ მოკლე ძირისეული ელემენტებით. ხოლო ზოგჯერ (ანაწევრებენ რა ძირს) მათი ნაწილებით, წინასწარ ისპობენ საძიებელ მტკიცებულებათა მიღწევის საშუალებას. საიმედო შეიძლება იყოს დაკავშირება მთელი სიტყვებისა, რომლებსაც გარკვეული გრძლივობა აქვთ. შეპირისპირებას, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ ერთ ან ორ ძირეულ თანხმობას, არ აქვს მტკიცებულებითი ძალა, თუ მას არ ამაგრებენ განსაკუთრებული გარემოებანი“ (მეიე, 1954, 36-37).

მეიეს ამ წესსაც, რომელსაც ყველაზე ხშირად გვანხსენებენ ხოლმე იბერიულ-კავკასიური ენების კომპარატივისტული კვლევის შეფასებისას, აქვს თავისი „მართებული არე“ (გრიგოლ რობაქიძისე-

ული ტერმინი), სადაც ის უდავო ჰემმარიტებაა, მაგრამ აქვს, (და ამას, როგორც ბოლო ფრაზიდან ჩანს, გრძნობდა თვით მეიეც) ისეთი „არეც“, სადაც მისი რეალიზაცია პრობლემატურია.

პრობლემატურობაში ვგულისხმობ არა მეთოდის სიმკაცრის საზიანო რაიმე შეღავათების დაშვებას, არამედ იმას, რომ რომელიმე წესი შეიძლება სწორი იყოს გარკვეული, კონკრეტული შემთხვევისათვის, მაგრამ არა ზოგადად და არა ყოველთვის.

მეიეს ეს წესიც მოიცავს შემთხვევებს, რომელთა მიმართაც ის უდავოა, მაგრამ მისეული აკრძალვები ყოველთვის როდია უდავო და მართლზომიერი მეთოდის მკაცრი და კორექტული გამოყენების თვალსაზრისით.

რა თქმა უნდა, თუ ავიღებთ რომელიმე ენის სიტყვას, ვთქვათ CVCV სტრუქტურისას ანუ ოთხ ბგერით ელემენტისას (C-თი ტრადიციულად აღვნიშნოთ ნებისმიერი კონსონანტი და V-თი ნებისმიერი ვოკალი) და ამ სიტყვას (დავუშვათ, რომ იგი სეგმენტაციას არ ექვემდებარება) შევადარებთ სხვა ენის ასეთივე ან მსგავსი სტრუქტურისა და სემანტიკის სიტყვას და მათ შორის მხოლოდ ერთი თანხმონური ან მხოლოდ ერთი ხმონური შესატყვისი აღმოჩნდება, ან თუნდაც ორი ან სამი, მაგრამ რომელიმე ელემენტი მაინც აუხსნელი და არქექტიპამდე აუყვანელი დარჩება ან, თუ, მითუმეტეს, შესადარებლად ავიღებთ განსხვავებული სტრუქტურის, ვთქვათ, ცალთანხმონიან VC ან CV სტრუქტურის სიტყვას, რომლის სეგმენტაციაც V—C ან C—V-დ ხერხდება და მათ მხოლოდ ხმოვანი ან მხოლოდ თანხმონიანი აღმოაჩნდებათ შესატყვისი — მეიეს სიტყვების ჰემმარიტებაში, რომ ასეთი თავისთავად არაკორექტული და იზოლირებული დაკავშირების დამაჭერებლობა, სანდოობა და მტკიცებითი ძალა ნულის ტოლია, ეჭვის შეტანა შეუძლებელი იქნება.

მაგრამ ახლა ავიღოთ სხვა შემთხვევა, როდესაც ცალთანხმონი-

ანი შესატყვისობები სისტემის წევრები იქნებიან, ანუ ჩვენ დავადგენთ ბგერათშესატყვისობებს, ვთქვათ, ორი ან მეტი ენის, ოთხ ბგერით ელემენტიან არასეგმენტირებად (ან იდენტურად სეგმენტირებად) სიტყვებს შორის, პარალელურად იმავე ზუსტ შესატყვისობებს ჩვენ გამოვავლენთ სამ ბგერითელემენტიან სიტყვებში მათი ერთმანეთთან შედარებისას, და იმავდროულად შევადარებთ ერთმანეთს ორ ბგერითელემენტიან (ანუ ცალთანხმოვნიან) სიტყვებს, რომლებიც შეიცავენ ჩვენ მიერ დადგენილ ზუსტ, ე. ი. კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობებს, განა ამ ცალთანხმოვნიან ძირებს ან სწორი სეგმენტაციის შედეგად გამოყოფილ „მხოლოდ ერთ ან ორ ძირეულ თანხმოვანს“, თუ ის ჩვენს მიერ კორექტულად დადგენილი სისტემის შემადგენელი ნაწილია, „არ აქვს მტკიცებულებითი ძალა“? განა სისტემა არ უნდა იქნას მიჩნეული ცალთანხმოვნიან ძირებში ბგერათშესატყვისობათა „გამამაგრებელ განსაკუთრებულ გარემოებად“?!

ამიტომ, როდესაც მეიეს ზემოციტირებულ სიტყვებიდან გამომდინარე კეთდება დასკვნა, რომ ერთ-ერთ „ობიექტურ დაბრკოლებას გენეტიკური მტკიცებულების გზაზე შეადგენს ძირეული და აფიქსალური მორფემების მცირეთანხმოვნიანი სტრუქტურა, ტიპური ორივე ჩრდილოკავკასიური ჯგუფისათვის“ (კლიმოვი, 1986, 116), არსებობს სერიოზული საფუძველი ამ დასკვნის სამართლიანობაში ეჭვის შესატანად.

ყველა იბერიულ-კავკასიურ ენაში არის მრავალკონსონანტიან (სეგმენტირებად თუ არასეგმენტირებად) სიტყვათა საკმარისი რაოდენობა ბგერათშესატყვისობათა დასადგენად — მეიეს მოთხოვნების შესაბამისად, რაც შეეხება კონსონანტთა სიმცირეს ძირეულ თუ აფიქსალურ მორფემებში მათი შესატყვისობების უეჭველობის გარანტია უკვე თავად სისტემაა, რომელიც მრავალთანხმოვნიან და

ცალთანხმოვნიან სიტყვებს ერთ კომპლექსში გააერთიანებს და მტკიცებულების თანაბარ ძალას მიანიჭებს კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობების გამოვლენის შემთხვევაში.

ასე რომ, მხოლოდ ის ენათმეცნიერები ისპობენ წინასწარვე საძიებელ მტკიცებულებათა მიღწევის საშუალებას, რომლებიც ოპერირებენ მხოლოდ მოკლე ძირისეული ელემენტებით, და ისიც იზოლირებულად, ის ენათმეცნიერები კი, რომლებიც ცალკეულ ბგერათშესატყვისობათა დადგენისას ავლენენ მათ სისტემურ ხასიათს და ამ სისტემის ფარგლებში მიუჩენენ კუთვნილ ადგილს როგორც გარკვეული გრძლიობის მქონე, ასევე ცალთანხმოვნიან მთელ სიტყვებს, მეთოდის სიმკაცრისა და კორექტულობის დაცვით ყოველთვის მიაღწევენ საძიებელ მტკიცებულებებს.

მაშასადამე, ობიექტურ მიზეზთაგან მეორის ანალიზისას დადგინდა, რომ ა. მეიესეული აკრძალვაც არ არის აბსოლუტური, იგი ძალაში რჩება მხოლოდ ერთ პუნქტში, რომელიც იზოლირებულ და არაკორექტულ შედარებებს უკავშირდება, რაც შეეხება ცალთანხმოვნიანი სიტყვებისა თუ ძირების შედარებას, ამ პუნქტში მეიესეული შეზღუდვები მოიხსნა როგორც არაჰემმარიტი და არაკორექტული, ცალთანხმოვნიანი ძირებისათვის ნიშანდობლივი ალბათობის ბგერათშესატყვისობის სისტემური ხასიათით დაძლევისა და კომპენსაციის გზით.

რაც შეეხება მესამე ობიექტურ მიზეზს, მასზე დაწვრილებით ქვემოთ მექნება საუბარი კონკრეტული ენობრივი მასალის ანალიზის თანხლებით.

დიაქრონიული ლინგვისტიკის საბოლოო მიზანიც, ენობრივ ტრანსფორმაციათა რელატიური ქრონოლოგიის დადგენასთან ერთად, მოცემული ოჯახის ფუძე-ენის აღწერაა (იმ სინქრონიულ ჰრილში, რომელიც უშუალოდ უსწრებდა წინ მისი — როგორც

ენობრივი ერთობის — რღვევას.

მაგრამ, ჯერ ერთი, ფუძე-ენის ფონოლოგიური სისტემის, გრამატიკული მოდელისა და ლექსიკური ფონდის პრაფორმების (არქექტიპების) რეკონსტრუქცია და აღწერა ხორციელდება, ჩვეულებრივ, გარკვეულ თეორიულ ბაზისზე დაყრდნობით და სწორია არსებითად მხოლოდ ამ კონკრეტული თეორიისა თუ ჰიპოთეზის პოზიციებიდან. მაგრამ არა ჭეშმარიტი (იხ. ინდო-ევროპული ფუძე-ენის რეკონსტრუქციები, ერთის მხრივ, ე. წ. ტრადიციული, მეორე მხრივ, გლოტალური თეორიების თანახმად).

წინამდებარე გამოკვლევა მიზნად ისახავს მხოლოდ კომპარატივისტიკის პირველი ამოცანის გადაწყვეტას — ენათა ნათესაობის დადგენას ერთადერთი უქვევლი კრიტერიუმის — ამ ენებს შორის კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობების გამოვლენის გზით.

ბგერათშესატყვისობათა გამოვლენისათვის ენათა ორ ჯგუფს შორის, როგორც ზემოთ ვთქვით, პრინციპულად მნიშვნელოვანი და სასურველია, თუ აუცილებელი არაა, შედარდეს ძირითადი ლექსიკის ის ნაწილი, რომელთა კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობები უკვე დადგენილია თითოეული ამ ჯგუფის შიგნით. თანამედროვე კომპარატივისტიკაში, ჩვეულებრივ, მხოლოდ ასეთი შედარება ითვლება კორექტულად.

ვიდრე ქართველურ-დაღესტნურ ბგერათშესატყვისობებზე გადავიდოდე, რაც წინამდებარე გამოკვლევის პრაქტიკული ასპექტის ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილია, მინდა შევეხო ქართველურ და ნახურ-დაღესტნურ ბგერათშესატყვისობებს ხმოვანთა კლასში. ერთმანეთს ამ შემთხვევაში ვუდარებთ რეკონსტრუირებულ არქექტიპებს, რომელთა რეკონსტრუქციის კორექტულობა და სანდოობა ცალცალკე თითოეული ჯგუფისათვის არ უნდა იწვევდეს იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის იდეის ყველაზე შეურთიგებელი და უკომ-

პრომისო ოპონენტების ექვსაც კი.

საერთო-ნახურ-დალესტნური ხმოვანი ფონემა *ა-სთვის შეიძლება გამოვავლინოთ ორი კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობა საერთო-ქართველურში *ა (რომელსაც, თავის მხრივ, აქვს შემდეგი კორესპონდენციები ს./ქართვ. *ა > ქართ. ა; სვან. ა; ზან. ო) და *ე (შესაბამისად: ს./ქართვ. *ე > ქართ. ე; სვან. ე; ზან. ა).

ნახურ-დალესტნური ქართველური

*ა	:	*ა
*კარ-ი „შეგროვება“		*კარ(-აბ)- „id“.
*ჯან „თხრა“		*ჯან- „ხვნა“
*ჯარ-ი „მხარი“		*მ-ჯარ- „id“.
*ჭამ- „ღეჭვა“		*ჭამ- „ჭამა“.
*ტაც- „ხარი“		*ტაც- „ჭიხვი“
*მავ- „ქერი“		*მახ- „ხორბლის ჭიში“ და სხვა.

*ა	:	*ე
*დად- „ღედა“		*დედ- „id“.
*თას- „გადაგდება“		*თეს- „თესვა“
*ძაძ- „ეკალი“		*ძედ-ჟ „ეკლებიანი, დატოტვლი, ბუჩქოვანი მცენარე“
*სარ- „ღამე, საღამო“		*სერ- „id“.
*ნანა „ღედა“		*ნენა „id“

და სხვ.

მოხმობილი საერთონახურ-დალესტნური ფორმების როგორც ფონეტიკური, ასევე სტრუქტურული სიახლოვე ქართულთან თვალში საცემია. ცხადია, აგრეთვე ხმოვანთა კლასში ბგერათშესატყვისობათა კანონზომიერება და რეგულარულობა.

მაგრამ წინამდებარე გამოკვლევის მიზანი არის არა საერთო-ნახურ-დაღესტნური და საერთოქართველური რეკონსტრუირებული არქეტიპების შედარება, არამედ ქართველურ და დაღესტნურ ენათა შორის ბგერათშესატყვისობათა ერთიანი სისტემის დადგენა.

2.1.1. დაღესტნურ-ქართველური ბგერათშესატყვისობები ლატერალთა რიგში

1953 წლის 13 ივნისს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის IV (X) სამეცნიერო სესიაზე გამოჩენილმა ქართველმა ენათმეცნიერმა, ქართველურ და დაღესტნურ ენათა მკვლევარმა ტოგო გულდავამ (1922-1976) წაიკითხა მოხსენება: „ტ ლატერალის გენეზისისთვის ხუნძურ-დიდოურ ენებში“. მომდევნო წელს ეს მოხსენება „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ VI ტომში გამოქვეყნდა სტატიის სახით, სათაურით: „ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ტ ლატერალის გენეზისისა და ქართველურ ენებში მათი ფონეტიკური შესატყვისის შესახებ“ (გვ. 55-56, რუსული რეზიუმე გვ. 61-65).

როგორც სათაურიდანაც ჩანს, ამ ნაშრომში ავტორი ძირითადად ორ მიზანს ისახავდა: პირველი — გაერკვია ტ^ა (ტ. გულდავასეული ტრანსკრიფციით — ტა) ლატერალის წარმომავლობა და მეორე — გამოევლინა მისი კანონზომიერი შესატყვისი ქართველურ ენებში.

პირველი საკითხის კვლევამ ტ. გულდავა მიიყვანა დასკვნამდე, რომ ტ^ა ლატერალი მიღებული უნდა იყოს უკანაენისმიერი კ-ს რი-

გის ბგერებიდან. რაც შეეხება მეორე საკითხს, სტატიის ავტორის აზრით, ხუნძურ-ანდიურ ენათა ტ'ს ლატერალის კანონზომიერი შესატყვისი „უნდა იყოს ქართული ყსჴვ“ (გუდავა, 1954 57), რაც კიდევ უფრო განამტკიცებს აზრს ტ'ს-ს მეორეულობისა და მისი უკანაენისმიერი წარმომავლობის შესახებ.

ამავე სტატიაში ტ. გუდავამ გამოთქვა კიდევ ერთი, ფრიად საყურადღებო მოსაზრება იმის შესახებ, რომ „როგორც ჩანს ქართველური ენები ტ'ს-ს შესატყვისობების მიხედვით, არსებითად დაღესტნის ისეთ ენათა რიგში დგებიან, როგორიცაა, მაგალითად, ლაქურ-დარგული და ლეზგიური ენები“ (გუდავა, 1954 58).

ამ გამოკვლევის განსაკუთრებული მნიშვნელობა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერებისათვის ავტორს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „დადასტურებულ ბგერათშესატყვისობას (ქართ. ყ(ვ) ხუნძ. ტ') პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც საქმე ეხება კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისობის დადგენას იბერიულ-კავკასიურ ენათა ორ სხვადასხვა ჯგუფს შორის (ქართველური ენები — დაღესტნური ენები)“ (გუდავა, 1954 58).

ხუნძურ-ანდიური ტ': ქართველური ყსჴვ შესატყვისობის საილუსტრაციოდ ტ. გუდავას ათი მაგალითი ჰქონდა მოხმობილი და იქვე შენიშნავდა, რომ საილუსტრაციო მაგალითთა რაოდენობა ამით არ ამოიწურებოდა:

ხუნძ. რო-ტ'ა-ი „სიყვარული“ — შდრ. ქართ. უ-ყვ-არ-ს, მეგრ. უ-ჴ-ორ-ს (დარგ. ი-გი-ის || ი-ჩა-ის || დი-ქა-ა, არქ. ტ'ა-ან).

ხუნძ. რა-ტ'ა-ა „ძვალი“ — შდრ. ქართ. ყვ-ლი-ვ (აგრეთვე ბა-ყვ-ბო-ყვ-), ჭან. ყვ-ილ „ძვალი“ (აფხზ. ბა-შ, წახურ. ბარ-კვ, დარგ.

ლი-გ-ა || ლი-გ⁻-ა || ლი-ქა-ა, ლაქ. ლი-ჩა-ა, არჭ. ლე-კკ-ი/ლე-კა-ი).

ბოთლიხ. ჰი-ტ⁻-აუ „თქვა“ — შდრ. ქართ. სი-ტ-ყვ-ის (აგრეთვე ტ-ყუ-ის, ყვ-ედ-რა, მეგრ. სა-ც-ალ-ე „საყვედური“), სვან. ყ-გლ-ე „ამბობს“.

ხუნდ. რა-ტ⁻ა „მიწა“ (შდრ. აგრეთვე ტ⁻ა „ქვეშ“ ლოკატიური სეროის ნიშანი) შდრ. ქართ. ყ-ან-ა, მეგრ. ცვ-ან-ა (არჭ. ნო-ყვ „მიწა“).

არჭ. და-ტ⁻ა „კარი“ — შდრ. სი-ტ-ყვ-ა, ქართ. კ-არ-ი, სვან. ყ-ორ (აგრეთვე ლეზგ. რა-კარ, აღულ. რა-კკ/რა-კა, ტაბას. რა-კ, რუთულ. რა-ქ, ჯეკ. რი-ქ-ი, წახურ. ა-ქქ-ა/ა-ქა-ა).

ხუნდ. ტ⁻აბ-ი-ზე „დარტყმა“ შდრ. ქართ. და-რ-ტყ-მ-ა, სვან. ლი-ყ-ერ.

ხუნდ. ტ⁻ა-ინ „ზამთარი“ (-ინ ლეტერმინანტი სუფიქსია) ქართ. ყ-ინ-ულ-ი, მეგრ. ც-ინ-ი „ყინული“, „ცივი“, ჰან. ყ-ინ-ი (|| ც-ინ-ი || ინ-ი) „სიცივე“, „ცივი“ ([18] გვ. 190). ამავე ძირს შეიცავს ლაქ. კი-და დარგ. ცინი „ზამთარი“. სემანტიკური გადახრა, რაც ქართველურსა და დაღესტნის ენებს შორის დასტურდება, ადვილი ასახსნელია.

ხუნდ. რუ-ტ⁻ა „იდაყვი“ (რუ — გრამატიკული კლასის გაქვევებული ნიშანია) — შდრ. ქართ. ი-და-ყვ-ი || ნი-და-ყვ-ი, მეგრ. დუ-ც-ი ← დუ-ცვ-ი, ჰან. დუ-რ-ყუ ← დუ-რ-ყვ-ი ([18], გვ. 59).

ხუნდ. ტ⁻ა-ან „ბაყვი“ (-ან ლეტერმინანტი სუფიქსია), — შდრ. ქართ. ბა-ყვ-ი.

ხუნდ. ცატ⁻აუ „კვერნა“ — ქართ. ციყვ-ი.

და რამდენიმე სხვა“ (გუდავა, 1954, 57-58).

1986 წლის 20 მარტს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტთა და ახალგაზრდა

მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო კონფერენციაზე ამ სტრიქონების ავტორმა წაიკითხა მოხსენება „ქართველურ-დაღესტნური ბგერათშესატყვისობისათვის“ (ქურდიანი, 1986).

ეს მოხსენება მიზნად ისახავდა იმის ცხაყოფას, რომ ტ. გუდავას მიერ გამოვლენილი ბგერათშესატყვისობა იყო არა იზოლირებული ხასიათისა, არამედ წარმოადგენდა სისტემის ნაწილს.

ტ. გუდავას ზემომოყვანილი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქართველური ენები ხუნძურ-ანდიური ტ'ს — ინტენსიური გლოტალიზებული ლიტერალური აფრიკატის შესატყვისობის (ყვლყვ) მიხედვით არსებითად ლაკურ-დარგულული და ლეზგიური ენების რიგში დგებიან, ეყრდნობოდა ტ'ს-სთვის უკანაენისმიერი შესატყვისობების არსებობის ფაქტს როგორც ქართველურ, ასევე დაღესტნის ამ ენებში.

მაგრამ კავკასიოლოგი კომპარატივისტებისათვის კარგად იყო ცნობილი აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ხუნძურ-ანდიურ ენათა „რთული წარმომავლობის“ ტ'ს ლატერალს ლაკურ-დარგულულსა და ლეზგიურ ენებში აქვთ არა ერთი, არამედ ორი კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ შემთხვევაში ხუნძურ-ანდიურსა, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, ლაკურ-დარგულულ და ლეზგიურ ენებს შორის ვლინდება არა, უბრალოდ, ფუძენის ერთი ფონემის ერთი რეფლექსი, არამედ რეფლექსთა სისტემა. და ბუნებრივია, დადგა კითხვა: ქართველური ენები ამ მხრივაც ხომ არ ავლენენ ანალოგს ლაკურ-დარგულულ და ლეზგიურ ენებთან?!

კომპარატივისტული მეთოდის მკაცრი და კორექტული გამოყენების გზით გამოვლინდა ხუნძურ-ანდიური ტ'ს ლატერალის მეორე კანონზომიერი და რეგულარული ფონეტიკური შესატყვისიც ქართველურ ენებში — ლ.

ხუნძურ-ანდიური ენების ტ'ა ინტენსიური გლოტალიზებული ლატერალური აფრიკატის მეორე შესატყვისის გამოვლენამ ქართველურ ენებში ცხადყო ტ. გუდავას მიერ დადგენილი ბგერათმესატყვისობის არა იზოლირებული ხასიათი, არამედ სისტემური.

სისტემურობის გამოვლენამ, თავის მხრივ, გამოორიცხა ყოველგვარი შემთხვევითობა, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონოდა ბგერათმესატყვისობის, თუნდაც კანონზომიერისა და რეგულარულის, იზოლირებული ხასიათის შემთხვევაში.

ქართველურ-დაღესტნური ბგერათმესატყვისობები ამ გამოკვლევის შემდეგ, რომელმაც დაადასტურა მათი არა მხოლოდ კანონზომიერი და რეგულარული, არამედ აგრეთვე სისტემური ხასიათი, იძენენ უკვე არა დაშვების, არამედ ამ ენათა გენეტიური ნათესაობის მტკიცების ძალას.

ქართველურ და დაღესტნურ ენათა შორის ქვემოთ წარმოდგენილი ბგერათმესატყვისობათა სისტემა ეყრდნობა ტ. გუდავას (1954) და მ. ქურდიანის (1986) მიერ დადგენილ კანონზომიერებებს.

საერთო-დაღესტნური *ტ'ა ძლიერი გლოტალიზებული ლატერალური აფრიკატის რეფლექსები დაღესტნის ისტორიულად დადასტურებულ ენებში ასეა წარმოდგენილი:

ხუნძ. ტ'ა ანდ. ტ'ა ახვ. ტ'ა დიდ. ლ'ა დარგ. ც || გ
 ლაკ. კ არჩ. ტ'ა ლეზგ. კ / ქ თაბ. ქა აღ. ქა
 მუხად. გ / ჯ წახ. გ / ქა უდ. ყ ხინ. კ / ქა.

1.0. საერთო-დაღესტნური *ტ'ა საერთო-ქართველური *ყ

1. 1. „ზამთარი“ || „სიცივე“ || „ყინული“

ტ'ა

„ზამთარი“

„ყინული“

დაღ.

ხუნძ. ტ'აინ „id“:

ანდ. ტ'აინუ „id“:

ჰუნ. ლ'აინ „id“:

დარგ. ცინი

(ურახ. დიალ) „id“:

ლაკ. კინთ „id“

ხინ. კინ-აუ „id“:

დიდ. ელ'ანუ „id“:

ჰინუხ. ელ'ანი „id“:

ხვარშ. ელ'ანუ „id“:

კაპუქ. ლ'აინე „id“

(ლეზგიური ჯგუფის მასა-
ლასთან დაკავშირებით იხ.
გიგინეიშვილი 1977 111).

დაღ.

დარგ. მი-ც (ურახ.) ||

მი-გ (წუდახ.)

„id“:

ლაკ. მი-კ „id“:

არჩ. მუ-ტ'ა- (სიტყვაში მუ-ტ'ა
„მყინვარი“ სიტყვა-სიტყვით:
„ყინულ-ხორცი“, „ყინულის
მასა“? (იხ. გიგინეიშვილი
1977 110)

ლევზ. მურ-ქ - (ერგ. ბრ.
მურ-ქ-შადი) „id“:

თაბ. მე-რ-ჟა „id“:

ალ. მე-რ-ჟა „სეტყვა“:

მუხად. მგ-ქ „ყინული“:

წახ. მგ-ქ „id“:

ხინ. მი-კ „id“

*ყ

„სიცივე“ || „ზამთარი“

„ყინული“

ს.ქართვ. *ყინ-უ-ა:

ქართ. ყინ-ვა:

ზან. ყინ-ი ||

ყინ-ი „ცივი“,

ო-ყინ-უ ||

ყინ-უ-ა „ყინვა“,

ინუ-ვა

<*ყინუ-ვა „ზამთარი“

(ლაზ. დიალ.).

ს.ქართვ. *ყინ-ელ-ი || *ყინ-ულ-ი

ქართ. ყინ-ელ (ძვ.)

ყინ-ულ (ახ.):

ზან. ყინ-ურ-ი ||

ცინ-ერ-ი „id“.

ვფიქრობ, ეს ერთი ძირია, (resp. ძირეული მორფემა), როგორც დალესტნურში ასევე ქართველურში, რომელიც სხვადასხვა ფუძეებად გაფორმდა სხვადასხვა აფიქსალურ მორფემებთან კომბინაციის გზით.

ხუნდ. ტ^ა-ინ „ზამთარი“ და ქართვ. *ყ-ინ „სიცივე“ / „ზამთარი“ ყურადღებას იქცევენ იმით, რომ აქ ძირეული მორფემები, რომელთა შორის კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისობებია პოვნიერი, ერთნაირ აფიქსალურ მორფემებთან არიან შესულნი კომბინაციაში, ასე რომ შესატყვისობა აქ თავს იჩენს უკვე ფუძის დონეზე.

1.2. „მიწა“ || „ნიადაგი“

დალ. ხუნდ. რატ^ა „მიწა“:

დიდ. რილ^აყუ „მიწა,

მდელო, ველი“:

ლეზგ. ნაყე „მიწა“:

ბუღუხ. ნოყ „ნიადაგი,

ს.ქართვ. *ყ-ან-ა „მიწა“:

ქართ. ყანა ძვ. ქართ. „მიწა,

აგარაკი, ველი, ყანო-ბირი“;

ახ. ქართ. „თავთავიანი

კულტურების ან სიმინდის

თიხა“:

ნათესი“:

ზან. ყონა||ცონა „სახნავ-სათესი
მიწა ნათესი“:

1.3. „სიყვარული“ || „ნდომა“

დად. ხუნძ. ბო-ტ‘ა-იზე:

ს.ქართვ. *ყუ-არ-:

არჩ. ტ‘ან-ქეს „id“:

ქართვ. ქართ. სი-ყუარ-ული-ი:

ულ. ბუ-ყ-სუნ „id“.

ზან. ყორ-ოფ-ა || ცორ-ოფ-ა „id“

1.4. „ძვალი“

დად. ხუნძ. რა-ტ‘ა-ა:

ს.ქართვ. *ყუ-ილ-ივ:

ანდ. რო-ტ‘აი; „id“:

ქართვ. ქართ. ყვლ-ივ-ი < ყულ-
ივ-ი „[მვრის] ძვალი“:

ახვ. რა-ტ‘აი; „id“:

ზან. ყუილ-ი||ცუილი „ძვალი“ ||
„მკლავი“.

კაპუკ. (თლიად.) ლ‘აორა
(<*როლ‘ა); „id“:

თაბ. მი-რ-ქა „id“:

აღ. ი-რ-ქა „id“:

ულ. უყყენ; „id“:

ხინ. ინ-კ; „id“.

1.5. „ბაყვი“ (თედოს ძვალი)

1.6.

დად. ხუნძ. ტ‘ა--ან „ბაყვი“

ს.ქართვ. *ბა-ყ-ჴ-ი:

(-ან დეტერმინანტი
სუფიქსი)

ქართ. ბაყუ-ი „მუხლის ზეი-
თი“ (ს.ს. ორბელიანი)

ზან. ბოყვი „id“

1.6. „იდაყვი“

დად. ხუნდ. რუ-ტ'ა „იდაყვი“ ს./ქართვ. *და-ყჷ-ი:
 ქართ. ი-და-ყვი || ნი-და-ყვი:
 ზან.(ლაზ.) დუ-ყუ || დუ-რ-ყუ
 < *დუ-რ-ყვი „id“:
 (მეგრ.) დუ-ც-ი
 < *დუ-ყ-ი < *დუ-ყვი „id“:

1.7. „ციყვი“

დად. ხუნდ. ცატ'ჷუ || ციტ'ჷუ ს./ქართვ. *ციყჷ-ი
 „კვერნა ქართ. ციყვი „id“:
 ანდ. სატ'ჷუ „id“

და სხვ.

ეს სამი უკანასკნელი საგანგებოდ მომყავს იმის საილუსტრაციოდ, რომ, როდესაც ენათა ორ ჯგუფს შორის დადგინდება კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა სისტემა, შემდეგ თუ რომელიმე სიტყვას ერთ-ერთი ჯგუფისას აღმოაჩნდება იგივე კანონზომიერი კორესპონდენციები მეორე ჯგუფის თუნდაც მხოლოდ ერთ ენაში პოვნიერ სიტყვასთან მას მტკიცებულებითი ძალა გააჩნია.

ამ დებულებას ქვემოთ არაერთხელ დავიმოწმებ პირობითად ქურდიანის წესის სახელწოდებით.

2.0. საერთო-დაღესტნური *ტ'ა საერთო-ქართველური *დ

2.1. „უღელი“

დად	ხუნდ. რ-უტ ^ა :	ს.ქართვ. *უღ-ელ-ი
	ანდ. რ-უტ ^ა ო; „id“:	ქართ. უღ-ელ-ი „id“:
	ახვ. რ-უტ ^ა -ე; „id“:	სვან. უღ-ჟ-ა „id“:
	ლაკ. რ-უტ. „id“:	ზან. უღ-უ „id“
	ლეზგ. უიქ, „id“:	
	თაბას. მ-ურჟ-ად; „id“:	
	არჩ. ოტ ^ა ; „id“:	
	უდ. ოყ. „id“.	

2. 2. „ხორცი“

დად.	ანდ. რიტ ^ა ი:	ქართვ. ს.ქართვ. *ლე-ღ-ჟ-ი
	დიდ. რელ ^ა ; „id“:	„ხორცი“:
	ლაკ. დიკ; „id“:	ქართ. ლელ-ჟ-ი „ლეღვი“,
	ლეზგ. მაქ; „id“:	„რბილობი“, *„ხორცი“:
	თაბას. მიქ; „id“:	სვან. ლელ-ჟ „ხორცი“:
	არჩ. ატ ^ა ; „id“:	ზან. ლუღ-ი<*ლად-ჟ-ი
	უდ. მეყ; „id“:	„ლეღვი“, „რბილობი“
აგრეთვე:	ბოთლიხ რიტ ^ა ი; „id“:	
	ხვარშ. ლილ ^ა ; „id“:	(შდრ.: „სვანური ლეღვ <
	დარგ. დიგ; „id“:	ლადვ (ხორცი) არაა ქარ-
	აღულ. მაქ; „id“:	თველური წარმომავლობის
	მუხად. მაქ. „id“:	სიტყვა: იგი სვანურში აღი-
	ბუღუხ. მექ; „id“:	ღური ენებიდან ჩანს შე-
	ხინ. ლჰჟა „id“	თვისებული. შდრ. საერთო-
		ადიღური ლ'გლია — კომ-

პოზიტში — ადიდ. ლ'გლძ — ლ'გბუ „ხორცის კერძები“ (ზედმიწ. „ხორცი-შე-ბოლილი + ხორცი-შემწვა-რი“) როგავა, 1985 37).

ამ მაგალითში ყურადღებას იქცევს მსგავსება ანდიურ-დიდოურ, ხინალულურ და ქართველურ პრეფიქსებს შორის.

2.3. „ღორი“

დად.	დიდ. ბე-ღ'-ო;	ქართვ. ს./ქართვ. *ღ-ორ-ი
	ლაკ. ბურკ; „id“:	ქართ. ღორ-ი; „id“:
	ლეზგ. ტაქ; „id“:	ზან. ღეჯ-ი
აგრეთვე:	არჩ. ბო-ტ'ა; „id“:	< *ღოჯ-ი
	უდ. ბო-აყ; „id“:	< *ღორ-ი „id“.
	ჭინუხ. ბო-ღ'-ო; „id“:	
	ჭუნზიბ. ბუ-ღ'-ა-უ; „id“:	
	მუხად. ვო-ქ; „id“:	
	ბუღუხ. ვა-ქ. „id“	

2.4. „თავლა“ || „ბოსელი“ || „ბედელი“

დად. ხუნძ. ბო-ტ'ა;	ქართვ. ს./ქართვ. *ბე-ღ-ელ-ი
ანდ. ბე-ტ'ა;	ქართ. ბედ-ელ-ი „id“:
ხვარშ. ბუ-ღ'-ა-უ; „თავლა“	ზან. ბად-უ „id“:
არჩ. ნო-ტ'ა; „სახლი“	სვან. ბალ<*ბაღ-უ
(შდრ. გიგინეიშვილი,	< *ბედ-უ „id“:
1977 86) და სხვ.	იხ. აგრეთვე სვან. ბედ „რიტუ-

ალური ხორბლისა და ფქვილის
შესანახი კიღობანი“.


ქურდიანის წესის თანახმად შესატყვისობათა ამ რიგისათვის
უეჭველი მაგალითი იქნება აგრეთვე:

2.5. „კრავი“ || „მსხვერპლი“

დად.	ხუნდ. ტ'ემერ „კრავი“	ქართვ. სვ. ღუელ (< *ლოლ
	ახვ. ტ'ემე „id“:	< *ლოლ-ი) „მსხვერპლი“
	დიდ. ლ'ელი „id“:	(< „კრავი“)
	ლაკ. ჭი(<*კილ) „id“:	
	არჩ. ტ'ალ „id“:	
	თაბას. ჩილ (<*ჭილ) „id“:	
	უდ. ყალ-, „id“	

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სვანურის შესატყვისი მასალა
ჯერჯერობით დადასტურებული არ არის ქართულ, ე. ი. „სისინა“
ენაშიც და ამდენად ვერ ხერხდება მისი რეკონსტრუქცია საერთო-
ქართველურ დონეზე (სავარაუდო არქეტიპი *ლოლ-ი). მაგრამ რა-
იმე ანგარიშგასაწევი ფონეტიკური და სემანტიკური პრობლემები ამ
დაკავშირებას არ ახლავს.

სვ. *ლოლ-ი „კრავი“ სემანტიკურად ადვილად მოგვცემდა
„მსხვერპლს“, რადგან მსხვერპლად, ჩვეულებრივ, სწორედ კრავი (ან
ცხვარი) შეიწირებოდა. ამ სიტყვას სვანურში შემდეგი შინაარსობ-
რივი ტრანსფორმაცია უნდა განეცადა:



სვანური სუფიქსი -მაქ (-იმაქ, -მაქ, -აქ დიალექტების მიხედვით) ქართული სა—ე ცირკუმფიქსის ფუნქციით არის აღჭურვილი. ხოლო რაც შეეხება გადასვლას *„სა-მსხვერპლ-ე“ > „ცხვარი“ — ეს ისეთივე ბუნებრივია, როგორც ზემომოყვანილი, საწინააღმდეგო მიმართულების მაგალითი: *„კრავი“ > „მსხვერპლი“

სვანური ენა გამონაკლისი როდია, სადაც ასეთი სემანტიკური გადაწევები ხდება ან კრავიდან (ცხვირიდან) — მსხვერპლისკენ ან, პირიქით. არაბული კურბანი („მსხვერპლი“, „მსხვერპლშეწირვა“ გადატანითი მნიშვნელობა — „ზიარება“) თურქულ ენებში ასეთ ტრანსფორმაციას დაექვემდებარა: „მსხვერპლი“, „სამსხვერპლო ცხოველი“ > „ცხვარი“. საინტერესო სემანტიკური გადაწევა განიცადა სიტყვა „კრავმა“ ფრანგულშიც; „ის ფაქტი, რომ ფრანგ. *ouaille* წარმოსდგება ლათ. *ouicula* „კრავი“-სგან, არ კარგავს თავის დამაჯერებლობას, რომ თანამედროვე ფრანგულ ენაში ეს სიტყვა ნიშნავს „სულიერ შვილს || ძეს“ გარკვეული მღვდლისას. ამ სიტყვათა დაკავშირება გამართლებულია, რადგან, როგორც ცნობილია ქრისტიანული ეკლესიის მრევლს ხშირად უღარებენ ცხვრის ფარას, რომელ-


საც მწყემსავს მწყემსი — მღვდელი. ამასთანავე, ადგილობრივ ფრანგულ კილოებში სიტყვა *ouaille* ინარჩუნებს მნიშვნელობას „ცხვარი“, რაც საბოლოოდ ადასტურებს მოცემული ეტიმოლოგიის მნიშვნელობას“ (მეიე, 1954, 37).

სიტყვა **ღუელმაქ** || **ლოლმაქ** „ცხვარი“ სიმონ ჯანაშიას მიერ დაკავშირებული იყო ადიღურ **მელ** („ცხვარი“) სიტყვასთან (მელ > უელ > უელ-მაქ > ღუელ-მაქ) და მიიჩნეოდა ადიღურ ნასესხობად სვანურში (ჯანაშია, 1959, 109-110). თავის მხრივ ყაბ. **მალ** || ადიღ. **მალგ** „ნერბი“ მიჩნეულია ნასესხობად თურქულენოვანი სამყაროდან **mal** „საქონელი“, „ქონება“, „სიძლიდრე“ < არაბ. **māl** „id“; საკუთრივ „ნერბ“-ს, „ცხვარ“-ს **mal** ნიშნავს ყუმუხურში (შაგიროვი 1977, I 265). ს. ჯანაშიას თვალსაზრისი გაბატონებული იყო ქართველოლოგიაში, მაგრამ ალექსანდრე ონიანმა საფუძვლიანი ლინგვისტური ანალიზის შედეგად აჩვენა ასეთი დაკავშირების ფონეტიკური უსაფუძვლობა (ონიანი, 1989, 289-290). თუმცა საკუთრივ **ღუელმაქ**-ის საკითხი ღიად დარჩა. ასევე ფონეტიკურ დაბრკოლებას აწყდება სვანური **ღუელმაქ** || **ლოლმაქ** სიტყვის შესაძლო დაკავშირება სხვა თურქულენოვან სიტყვასთანაც: **oylak** „ნერბი“, „ცხვარი“.

ვფიქრობ, აქ წარმოდგენილმა ახალმა ეტიმოლოგიამ სვანური **ღუელმაქ**-ის, როგორც ქართველურ წარმოშობასთან, ასევე მის მორფოლოგიურ შედგენილობასა და ამოსავალ ფონეტიკურ ვითარებასთან (ლოლ-ი-მაქ > ღოლმაქ > ღუელმაქ > უელმაქ და არა პირიქით) დაკავშირებულ კითხვებზე გარკვეული პასუხი გასცა.


რაც შეეხება ქართველურ და დაღესტნურ ენებს, მათ შორის დადგენილი კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისობების უექველობას ადასტურებს მათი მკაცრი სისტემური ხასიათი: ხუნძურ-ანდიური **ტ** ინტენსიური გლოტალიზებული ლატერალური აფრიკატის შესატყვისად ქართველური ენები, ისევე როგორც ლა-

კურ-დარგული და ლეზგიური ენები, ავლენენ ორ რეფლექსს:



ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მკაცრი მოთხოვნაა შესატყვისობები არ იყოს იზოლირებული ანუ ისინი არ მოიცავდნენ რომელიმე რიგის, ვთქვათ ლატერალთა ან სიბილანტთა, მხოლოდ ერთ წევრს. ეს მოთხოვნა უკომპრომისოა და დადგენილ შესატყვისობათა ვერიფიკაციის სავალდებულო და ცალსახა საშუალებაა.

როგორი სისტემურიც და კომპარატივისტიკის პოზიციიდან თვითკმარიც არ უნდა იყოს ზემოთმოყვანილი შესატყვისობა



ის მაინც შეიძლება ტოვებდეს იზოლირებულის შთაბეჭდილებას. რაკი ქართველურ და დაღესტნურ ენებს შორის ლატერალთა რიგში ერთ წევრთან დადგინდა კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობა, მოსალოდნელი იყო ასეთივე კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისობის დადგენა იმავე რიგის სხვა წევრებთან.

*ტ' — არის გლოტალიზებული ლატერალური აფრიკატი. მას თავისსავე რიგში მოეპოვება მეწყვილე *ტ' — სუსტი გლოტალიზებული ლატერალური აფრიკატი, რომლის რეფლექსები დაღესტნის ისტორიულად დადატურებულ ენებში ასეთია:

- ხუნდ. ტ (ჰიდური დიალ. ტ') ანდ, ტ' ახვ. ტ' დიდ. ტ'
 დარგ. კ ლაკ. კ არჩ. კ ლეზგ. ყ თაბ. კ აღ. კ
 მუხად. ყ წებ. კ უდ. Ø / ყ ხინ. კ

საერთო-დაღესტნური *ტ' ლატერალის ბგერათშესატყვისობას ქართველურ ენებში წარმოადგენს დეცესიური ბგერათკომპლექსი B-სისტემისა *თხ.

შესატყვისობათა ეს რიგი ჰ. ფენრიხმა გამოავლინა ქართველურ და ხუნძურ-ანდიურ ენათა მონაცემების შედარებით (ფენრიხი 1973 257-258), ქვემოთ ჩემს მიერ მოხმობილია დაღესტნურ ენათა ყველა

ქვეგუფის მასალა, სისტემატიზებული და დაზუსტებულია ენობრივი მონაცემები და შემოთავაზებულია ახალი შეპირისპირებანი.

3.0. საერთო-დადესტნური *ტ' საერთო-ქართველური *თხ.

3.1. „თავი“ || „მწვერვალი“ || ზედა ნაწილი“ || სახურავი“

ს./დად. *ტ'

ს./ქართვ. *თხ-ამ-ი



„თავი“ ხუნდ. ბე-ტ-ერ „თავი“ დარგ. ბი-კ (ურახ.): ბე-კ (ალუშ.) „id“.: ლაკ. ბა-კ „id“ ლეზგ. ყ-ილ (<i>*ტი-ყ-ილ</i>) „id“.: უდ. ბულ (<i>*ბუ-ყ-ულ</i>) „id“ ხინ. მი-კ-ირ (<i>*ტი-კ-ირ</i>) „id“.: „ზემო“/„ზედა“/ „ზევით“ ხუნდ. ტ-ად „ზემოდან“ „ზევით“ ანდ. ჰი-ტ'-ა „id“ ახვ. ტ'-ად-ო „id“.: დიდ. ტ'-ოდ-ო „id“.: ლაკ. კ-ა „ის, ვინც ზემოთაა“	„სახურავი“ ხუნდ. (ჰიდ.) ტ'-ომ სახუ- რავი“ ანდ. ტ'-ომ „id“.: დიდ. ტ'-ო „id“.: ჰუნზ. ტ'-ამ-ე „id“.: ლაკ. ჭ-ამ-უ (<i>*კ-ამ-უ</i>) „თარო“ ლეზგ. ყ-ტან „საჩეხი“ დე- რეფნის პირის საჩრდილობელი ფიცარი (საბა), გადახურვის ტიპი.	„თავი“/„თხემი“ / „მწვერვალი“, „ზედეთი“ (საბა) ქართ. თხ-ემ-ი (<i>*თხამ-ი</i>) (აუე უძლალუ- ტით) „თხემი“, „მწვერვალნი“: სვან. თხ-უმ „თავი“, მა- თხ-ტმ-ი „მეთაური“ თხ-უმ (<i>*თხ-ამ</i>) (აუუ ბილაბია- ლური მ-ს წინ)
---	---	--


თაბ. კ-ან-უ
 „საწვიმარი
 მილი“
 მუხად. ყ-აუ (?)
 „სახურავი“

აქაც ერთი ძირეული მორფემა სხვადასხვა აფიქსალურ მორფემებთან კომბინაციის გზით გაფორმებულია სხვადასხვა ფუძეებად.


ამ მაგალითებში საყურადღებოა დეტერმინანტ სუფიქსთა მსგავსებაც მაგ. ქართვ. თხ — ამ და დალ. (ხუნძ.) ტ — ომ (ახვ.) ტ' — ამ და სხვ.

ეს ძირეული მორფემა საერთო-იბერიულ კავკასიურში ომონიმური ჩანს:

3.2. „თხელი“ || „სითხე“ || „თხევადი“ || „თხევა“ („ღვრა“) „კვდომა“



არჩ. კ-ალ-ა	„id“.: უდ. ა-ბ (<*ა-მყ)	(აკუმ.) „id“.:
ლეზგ. ყ-ელ-ე-ჰ	„id“.: „id“.:	ლაკ. იტ-ჰ-ან
თაბ. ჰ-ილ-ლი		(<*იტ-კ-ან) „id“.:
(<*კ-ილ-ლი)	„id“.:	შდრ. წარს. დრ.: იტ-კ-უნნი (ბ. გიგი- ნიშვილი)
აღ. კ-ილ-ე	„id“.:	არჩ. კ-ის „id“.: ლეზგ. ყ-ინ „id“.: თაბ. კ-უზ „id“.: აღ. კ-ეს „id“.: მუხად. მი-ყ-ინ „id“.: წახ. ვი-კ-ას „id“.: უდ. ბი-ესუნ (<*ბი-ყ-ესუნ) „id“ ხინ. კგ-ლი „id“
მუხად. ყ-ელ	„id“.:	
წახ. კ-იტ-ა	„id“	
ხინ. კ-გრ	„id“.:	



< თი-თხ-უ

< *დი-თხ-უ „id“:

სვან. დგ-თხ-ელ „id“.

მაგ. სულის დათხე-
ვა — ე.ი. სიკვდი-
ლი“

ზან.(ლაზ.) ო-^ნთხ-
ორ-უ „ღებინება“

სვან. ლი-თხ-უნ-ე
„ღებინება“,

ლი-თხ-რ-ე „სით-
ხიანი ჭურჭლის
გახეთქვა“ და ა.შ.

თხელის აღმნიშვნელ სიტყვაში საყურადღებოა ძირეულ და აფიქსალურ მორფემათა მსგავსი კომბინაციები, როგორც დეტერმინანტ სუფიქსთა თვალსაზრისით: ხუნძ. ტ-ერ-ენ; ლეზგ. ყ-ელ-ე-ჭ ქართ. თხ-ელ-ი, ასევე ფუძის სტრუქტურის პოზიციიდანაც — ანდ. ბე-ტ'-ერ-ა: სვან. დგ-თხ-ელ ზან. თი-თხ-უ < *დი-თხ-უ.

ამ შემთხვევაშიც ერთი ძირისეული მორფემა სხვადასხვა (ომონიმური წყვილიდან არა ზიარი) აფიქსალურ მორფემებთან კომბინაციის გზით ფორმდება სხვადასხვა ფუძეებად.

3. ფენრიხთან (ფენრიხი 1973 257) დამოწმებულია კიდევ ერთი მაგალითი ქართ. თხოვ- ზან. თხ(ვ)- და ახვანური ტ'ონე-ბოლ'ურულვა (ფენრიხისეული ტრანსკრიფციით Lonenbol'urul'a) „პატიება“ („verzeihen“). თუმცა ახვანური სიტყვის ცალსახა სემანტატიკა მასთან მოცემული არ არის.

ზემოთმოყვანილი მაგალითები დაღესტნურ-ქართველურ ბგერათ-შესატყვისობებისა ლატერალთა რიგში, როგორც საერთო-დაღესტნური *ტ' ასევე *ტ'-ს შემთხვევაში თვალსაჩინო სისტემურობით გამოირჩევა, რაც ზრდის მათ მტკიცებულობით ძალას.

ამჟამად არ ვეხები საერთო-დაღესტნური *ტ' — ლატერალის ბგერათშესატყვისობათა ორი რიგის არსებობის მიზეზს ლეზგიურ და ქართველურ ენებში ან საერთო-დაღესტნური *ტ' — ლატერალის შესატყვისობად B — ტიპის პარმონიული დეცესიური კომპლექსის (*თხ) პოვნიერების მიზეზს ქართველურ ენებში, მათი ახსნა ცალკე გამოკვლევის საგანია. ჩემი ამოცანა ამ ეტაპზე, როგორც ზემოთ ვთქვი იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისობების დადგენის გზით მათი ნათესაობის დამტკიცებაა და არა ფუძე-ენის ღონეზე არქეტიპების რეკონსტრუქცია.

თავსითავად იმაში, რომ საერთო-დაღესტნურ *ტ' ლატერალს ქართველურ ენებში *თხ პარმონიული თანხმოვანი კომპლექსი შეესატყვისება მოულოდნელი არაფერია, მით უმეტეს, რომ ასეთ შესატყვისობას პარალელები მოეპოვება სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში, მაგ.,

დაღესტნური	ნახური
ა) ანდ. ლ' : } დარგ. ჰ }	{ ჩეჩნ.-ინგ. ლხ ბაცბ. თხ
ბ) ხუნძ ტ'ა } ანდ. ლ'ა } დარგ. ც }	{ ჩეჩნ.-ინგ. ლხ ბაცბ. თხ

ცალი თანხმოვნის შესატყვისად თანხმოვანთკომპლექსის წარმოჩენა არც ინდო-ევროპული ენებისთვის არის უცხო, მაგ.: ი.-ე.*d̥d̥u სომხ. erku ანუ ს./ინდო-ევროპული *d/დ (გლოტალური

თეორიით *t' / ტ): ძვ. ინდ. d ბერძ. d ლათ. d გოთ. t ინგლ. t სომხ. *rk (მეიე 1954 14, 32-33; ჯაუკიანი 1978 129-140).

იმასლა დაეძენ, რომ საერთო-დაღესტნური *ტ' ლატერალის შესატყვისად მოხმობილ ყველა მაგალითში *თხ თავდაპირველი პარამონიული კომპლექსია და არა მეორადი ანუ CVC ტიპიდან რედუქციის თ V ხ > თხ ან კომბინატორული (რედუქციისა და რეგრესიული ასიმილაციის) დ V ხ > თხ გზით მიღებული.

აქვე თავს ვალდებულად ვთვლი კიდევ ერთხელ ხაზგასმით გავიმეორო, რომ წინამდებარე ნაშრომში ყურადღება საგანგებოდ არის გამახვილებული ე.წ. გადიფერენცირებულ შესატყვისობებზე, რომელთა მტკიცებულობითი ძალა აელმატება ე.წ. იდენტური შესატყვისობებისას, რათა იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის დასაბუთება ცალსახა მაგალითებით მოხდეს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ შესაღარებელი მასალის სეგმენტაცია, როგორც ეს ნაშრომის პირველ თავშია ნაჩვენები, ყოველთვის და ხაზგასმით კორექტულ ხასიათს ატარებს.

მე მესმის, რომ ამ თავში დადგენილ ბგერათშესატყვისობათა „სისუსტე“ ქართველურში მათი ე.წ. იდენტური ბგერათშესატყვისობებით ასახვაა, მაგრამ ამას ანაზღაურებს კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობათა პოვნეირება ფუძისეულ ხმოვანთა შორის.

ენათა ნათესაობა დამტკიცებულად რომ ჩათვალოს, ისტორიულ-შეღარებითი მეთოდის თანახმად, აუცილებელია: ა) შესატყვისობა არ იყოს იზოლირებული ე. ი. შესატყვისობა უნდა მოიცავდეს არა ერთ ფონემას, არამედ მთელ რიგს, კანონზომიერად; ბ) შესატყვისობის მაგალითთა რაოდენობა არ იყოს სამ ერთეულზე ეაკლები, ე. ი. შესატყვისობა უნდა იყოს რეგულარული.

2.1.2. დაღესტნურ-ქართველური ბგერათშესატყვისობები სიბილანტთა რიგში

კომპარატივისტიკის პოზიციიდან კიდე უფრო მნიშვნელოვანია რომ ბგერათშესატყვისობები მოიცავდნენ არა ერთ რიგს, არამედ პოვნიერნი იყვნენ ენათა ფონოლოგიური სისტემის სხვადასხვა რიგში. ქართველურ-დაღესტნური ბგერათშესატყვისობები ამ მოთხოვნასაც აკმაყოფილებენ და ლატერალთა რიგის გარდა სიბილანტთა (resp. სიბილანტურ აფრიკატთა) რიგსაც მოიცავენ.

ქართველურ-დაღესტნურ ბგერათშესატყვისობათა კანონზომიერი და რეგულარული ხასიათის საილუსტრაციოდ სიბილანტთა რიგში ჩემ მიერ წარმოდგენილი იქნება შემდეგი მაგალითი:

საერთოქართველური	საერთოდაღესტნური
* ძ * ძ ₁	* ც _ა
* ც * ც ₁	* ც
* წ * წ ₁	* ს

1.0. ს./ქართველური *ძ||ძ₁ საერთოდაღესტნური * ც_ა.

წარმოდგენილ ბგერათშესატყვისობათა არქტიპების ვერიფიკაციის ნათელსაყოფად პირველ რიგში წარმოვადგენ მათი რეკონსტრუქციის საფუძველს ქართველურ და დაღესტნურ ენებში:

ა) საერთოქართველური * ძ (წინასიბილანტური რიგის სისინა მქლერი აფრიკატი): ქართ. ძ ზან. ძ სვან. ძ;

საერთო-ქართველური ძ₁ (შუასიბილანტური რიგის სისინ-შიშინა მქლერი აფრიკატი): ქართვ. ძ ზან. ჯ სვან. ჯ.

ბ) საერთოდაღესტნური *ც_ა (ინტენსიური არაგლოტალიზებული პოსტდენტალური, სისინა, აფრიკატი): ხუნძ. ც_ა ანდ. ც_ა ახვ. ც_ა

დიდ. ს დარგ. ძ || ცა ლაკ. სო არჩ. ს/შ ლეზგ. ზ (|| ჟ || გ):
თაბ. ?/ჩ ალ. ც/ჩ რუთ. ?/შ წახ. ც/ჩ უდ. ?/ჩ ხინ. ცა

1.1. ს/ქართვ. *ჟე-ძი — „მი-
ნერალური წყალი“, „მინერა-
ლური წყარო“

ქართ. ვეძა „id“ ვეძის-ი (ტობ.)
ზან. მენჯ-ი < *ჟაჯ-ი (ტობ.) „id“

ს. /დაღესტნ. *ცა „წყარო“
ხუნდ. იცა „წყარო“
ანდ. ინცაი „id“

დარგ. შინიძ „id“
ხინ. მეცა „id“

1.2. ს/ქართვ. *ძ-ამ-ა „ძმა“

ქართ. ძ-ამა / ძმა „id“

ზან. ჭიმა || ჭუმა „id“

სვან. ჭგმ-ილ / ჭიმ-ილ „ძმა (დის-
თვის)“.

ს. /დაღ. *ცა „ძმა“ და „და“
ხუნდ. ჟა-ცა „ძმა“ — და-ცა
„და“

(დიალექტებსა და თქმებში
ჰიდურში ჟა-სა — და-სა; აულ
შულანიბში ვა-წა — და-წა (ჩი-
ქობავა 1979: 78, 81):

ტოხ. ვა-ც „ძმა“ — და-ც „და“;
ჭად. ვა-ც „ძმა“ — და-ც „და“;
ანდ. ჟო-ცა-ი „ძმა“ — დო-ცაი
„და“

ახვ. ჟა-ცა-ი „ძმა“ — და-ცა-ი
„და“

დიდ. ე-ს-იფუ „ძმა“ და „და“
დარგ. უძი || უცაი „ძმა“ —
რუძი || რუცაი „და“.

ლაკ. უსაუ „ძმა“ — საუ „და“;
არჩ. უშ-თაუ „ძმა“ —

დოშ-თაურ „და“:

თაბ. ჩუი || ჩუე (< *ცუი || *ცუე) „ძმა“ — ჩი (<*ჩიჩი < *ჩიცი) „და“:

ალულ. ჩუ (<*უჩუ) „ძმა“ — ჩი (<*ჩიჩი) „და“:

მუხად. შუ (<*უშუ) „ძმა“ — რიში „და“:

წახ. ჩოყ (<*უჩ-ოყ) „ძმა“ — ძიჩი „და“:

უდ. ვიჩი „ძმა“ — ხუნჩი „და“

ხინ. ცა || ცასჲ „ძმა“ — რგცაჲ „და“

1.3. ს/ქართვ. *ძარ — „ყინვა“, „სიცივე“

ქართ. ზრ-ობ-ა < *ძარ-ობ-ა „გაყინვა“, და-ა-ზრ-ო „გაყინა“

სვან. მე-ჭარ < *მე-ჭარ-ი „გაყინული თოვლი“, „ყინული“, ლგ-მე-ჭერ-ე || ლგ-მე-ჭარ-ე „გაყინული (თოვლი)“

ს. /დალესტნ. *ცაორ „ზამთარი“, „სიცივე“

ბოთლ. ციბ-ურუ „ზამთარი“

ახვ. ციბ-ერა „id“

დიდ. სები „შემოდგომა“

ჰუნზ. სიბ-არ

ლაკ. შოუც-თ;

არჩ. სო-თა-ივა:

ლეზგ. ზულ || ჟულ || გულ:

თაბ. ჩუელ (<*ცუელ)

წახ. ცუუ-ულ

ხინ. ცგვაჲ || ცსგვაჲ.

და სხვ.

ამ მაგალითში საყურადღებოა დეტერმინანტ სუფიქსთა მსგავსებაც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქ გვაქვს შესატყვისობა ფუძის დონეზე.

2.0. ს/ქართველური *ც ||*ცი საერთო დაღესტნური *ც

ა) საერთო ქართველური *ც (წინასიბილანტური რიგის, სისინა, ყრუ-ფშვინვეიერი აფრიკატი): ქართ. ც ზან. ც სვან. ც; საერთო-ქართველური *ცი (შუასიბილანტური რიგის, სისინ-შიშინა, ყრუ-ფშვინვეიერი აფრიკატი): ქართ. ც ზან. ჩ სვან. ჩ.

ბ) საერთო დაღესტნური *ც (არაგლოტალიზებული, ყრუ-ფშვინვეიერი, სისინა აფრიკატი): ხუნძ. ც ანდ. ს ახვ. ჩ დიდ. ს: დარგ. ც ლაკ. ც არჩ. ს ლეზგ. ს/ც თაბ. ს/ც: აღ. ს/ც: რუთ. ს/ც წახ. ს/ც უდ. ღ/ს ხინ. ც.

2.1. ს/ქართვ. *ტაცი-ი „მამალი რქოსანი ცხოველი“

ქართ. ვაცი-ი „მამალი თხა“
ზან. მეგრ. ოჩ-ი „id“ || ლაზ. ბოჩ-ი (<*ტოჩ-ი) / ოჩ-ი „მამალი ცხვარი“
სვან. ლტუშ <*ლტუჩ (<*ტაჩ-ი) „ჩიხვი“

ს. /დაღესტნ. *ტაც „ხარი“
ხუნძ. ოც „ხარი“
ანდ. უნსო „id“
ახვ. უჩა „id“
დიდ. ის „id“
დარგ. უნც „id“
ლაკ. ნიც „id“
არჩ. ანს „id“
ლეზგ. დაც „id“
თაბ. დაც „id“
აღულ. ტეც „id“
მუხად. დაც „id“
წახ. დაც „id“
უდ. უს „id“.

2.2. ს/ქართვ. *ჟერცხლ-ი
ქართ. ვერცხლ-ი
ზან. ვარჩხილი (<*ვარჩხლ-ი)
„id“.

ს. /დაღესტნ. *ჟარც
„ვერცხლი“
ხუნდ. შარაც „ვერცხლი“
ანდ. ორსი „id“
ახვ. აჩი „id“
დარგ. არც „id“
ლაკ. არცუ „id“
არჩ. არსი „id“
თაბ. არხ „id“
ალულ. არს „id“

2.3. ს/ქართვ. *ცელ-ი, *ცელ-ჟ-
ა
ქართ. ცელ-ი „სათიბი იარალი“,
ცელ-ვა „თიბვა“:
ზან. *ჩალ-ა „სათიბი იარალი“
(როგავა 1961, 163), ლაზ.
ჩალ-უფ-ს „ცელავს“
(შდრ.კლიმოვი 1964: 223)

ს. /დაღესტნ. *ც — „ცელვა“
ხუნდ. ბე-ც-იზე „ცელვა“
დარგ. [ბალკ]-ბურ-ც-ეს „id“
ლაკ. ბუ-ც-ან „გლეჯვა“
ლეზგ. *ბი-ც-ინ (სიტყვაში ბიჩ-
ინ-ჩი „მცელავი“ < *ბიციინჩი):
ალულ. უ-ც-ას
უდ. ცა-ფსუნ (ეტიმ. ცელვის
კეთება).

ქურდიანის წესის თანახმად აგრეთვე

2.4. დაღ. ხუნდ. ციტ'ჟუ ||
ცატ'ჟუ „კვერნა“
ანდ. სატ'ჟუ „id“

ს./ქართვ. *ციყუ-ი
ქართ. ციყვი
და სხვ.

ამ მაგალითში ყველა კანონზომიერი და რეგულარული ბგერათ-

შესატყვისობა როგორც ხმოვნებში ასევე თანხმოვნებში სრული და უგამონაკლისოა.

და სხვ.

3.0. ს/ქართველური *წ || *წ₁ საერთოდალესტნური *ხ

ა) საერთოქართველური *წ (წინა-სიბილანტური რიგის, სისინა, გლოტალიზებული აფრიკატი): ქართ. წ ზან. წ სვან წ;

საერთოქართველური *წ₁ (შუა-სიბილანტური რიგის, სისინ-ში-შინა, გლოტალიზებული აფრიკატი): ქართ. წ₁ ზან. ჭ სვან. ჭ.

ბ) საერთოდალესტნური *ხ (ყრუ-ფშვინვიერი სისინა სპირანტი) ხუნდ. ხ ანდ. ხ ახვ. შ დიდ. ზ დარგ. ხ ლაკ. ხ არჩ. ხ ლეზგ. ხ თაბ. ხ აღულ. ხ რუთ. ხ უდ. ხ ხინ. ხ.

3.1. ს/ქართვ. *წემ-ი „ბალახი“, ს. /დალესტნ. *ხამ || *ხტამ „ჩა-
„თივა“ ლა“, „ნამჯა“

ქართ. წამ-ი (სიტყვაში: ლერ- ხუნდ. ხუნ „ჩალა“, „ნამჯა“

წამ-ი<*ლელ-წემ-ი; წამ-ალ-ი ახვახ. შუმა „id“

ზან. მეგრ. ჭემ-ი < *ჭამ-ი „ბა- ლაკ. ხუნ „id“

ლახი“ (სიტყვაში ლარჭემ-ი ლეზგ. ხამ „id“

< *ლარ-ჭამ-ი „ლერწამი“) თაბ. შტამ (<*სტამ) „id“

იხ. ლაზ. ჭამ-ი „წამალი“: ხინ. ხამ „id“.

სვან. ჭემ < *ჭემ-ი „თივა“

ამ მაგალითშიც ყურადღებას დეტერმინანტ სუფიქსთა მსგავსება იქცევს ანუ აქაც გვაქვს შესატყვისობა ფუძის დონეზე.

3.2. ს/ქართვ. *წურ-ი „სითხე“, ს. /დალესტნ. *ხურ „თრთვილი“
„ღენა“

ქართ. წურ-წური (რედუბლიკაციით) „სითხის ღენა“	ანდ. ასორ „თრთვილი“ ახვახ. აშარ „id“
ზან. ჭურ-ჭული (<*ჭურ-ჭური) (რედუბლიკაციით) „id“.	დარგ. სირის „id“ ლაკ. სილ „id“ წახ. სგრ-სგრ (რედუბლიკაციით) „id“

ამ მაგალითშიც პოვნიერი დეტერმინანტ სუფიქსთა მსგავსება ანუ შესატყვისობა აქაც ფუძის დონეზეა.

3.3. ს/ქართვ. *წებ-ო	ს. /დაღესტნ. *ხ-ენ „წებო“:
ქართ. წებ-ო, წებ-ვა,	ხუნდ. სედ-ეზე < *ხენ-დ-ეზე „წებვა“
ზან. ჭაბ-უ „წებო“	ანდ. სინ-ოლ'ი „id“ (ნამყო
ჭაბ-უ-ა „წებვა“	დრო)
სვან. ლი-ჭებ-დე ლი-ჭბ-იდ-ე	ახვ. შინ-ორ-ულა „id“
„დამწყვედევა“, „დატყვევება“	ლაკ. სინა „წებო“
სემანტიკური გადახრა: „შეწებება“ > „შეკვრა“ > „შებოროკვა“	არჩ. ხანა „id“
> „დატყვევება“	

და სხვ.

ზემოთ ვთქვი, თუ ენათა ორ ჯგუფს შორის კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა სისტემა უკვე დადგენილია, რომელიმე სიტყვას ერთ-ერთი ჯგუფისას, მეორე ჯგუფის თუნდაც მხოლოდ ერთ ენაში პოვნიერ სიტყვასთან რომ აღმოაჩნდეს იგივე კანონზომიერი კორესპონდენციები, ამას მტკიცებულებითი ძალა ექნება-მეთქი. აქ მოვიტან ორ მაგალითს ს. ქართვ. *წ || *წ; ს. დაღესტნ. *ხ შესატყვისობისას, რომელიც სწორედ ასეთთა რიგს მიეკუთვნება:

3.4. ს/ქართვ. * მიწ-ა ან *მიწი-ა ს. /დაღესტნ. *მისა „ადგილი“
 ქართ. მიწა ხუნდ. მისა „ადგილი“
 ახვ. მიშა „id“
 დარგ. მუსა „id“
 თაბ. მუშუ „id“
 (სიტყვებში: მუშუა-ჰ „აქ“ = „ამ ადგილას“, მუშუ-ილ „იქ“ = „იმ ადგილას“)
 ალულ. მიშა-დი' „აქ“ (ეტიმოლოგიურად = „ამ ადგილას“).

ამ მაგალითში ყურადღებას იპყრობს პრეფიქსთა მსგავსება, ანუ აქაც შესატყვისობა ფუძის დონეზეა.

3.5. ს/ქართვ. *წინ ან *წინ ქართ. წინ, წინათ „ის რაც დროში ან სივრცეში აღრეა, უსწრებს, გასულია“ (გუშინ-წინ, შარშან-წინ, ამას წინათ, წინა-დღეს და ა. შ. ჩემ-წინ, სახლ-წინ და ა. შ.) ს. /დაღესტნ. *სენ ან *სან „გუშინ“, „გასულს“ < „წინ“
 ხუნდ. სონ „გუშინ“
 ანდ. სონ „გუშინ“
 ახვ. შუნი „id“
 არჩ. სან-ლი „id“
 ლეზგ. სენ „id“ (სიტყვაში სენ-ფიზ „გასულ ღამეს“)
 თაბ. სან „გასულ ღამეს“
 წახ. სან-ჯხა „გუშინ საღამოს“ (წუხელ)
 ხინ. სან „გუშინ ღამ“, „ღამე“

ამ მაგალითში საყურადღებოა დეტერმინანტ სუფიქსთა მსგავსება ანუ შესატყვისობა აქაც მთელ ფუძეს მოიცავს.

აკად. იან ბრაუნის იმ დაშვებიდან გამომდინარე, რომ საერთობასკურ-ქართველური ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე პოვნიერი იყო სიბილანტთა მხოლოდ ერთი რიგი — სისინა (ოპოზიციის სისინა შიშინა არქონის გამო უფრო კორექტული იქნება ეს რიგი დახასიათდეს, როგორც სისინ-შიშინა და არა როგორც სისინა, რადგან სისინად მისი მიჩნევა მხოლოდ შიშინა რიგის არსებობის ფონზე იქნებოდა შესაძლებელი) — ზემოთმოყვანილი მაგალითების რიგში უპრობლემოდ ეწერება შემდეგი მაგალითი:

ს./დალესტური *ს	ს./ქართველური *წ/*ჭ
ს.დალ. * მესედ (*მე-ს-ედ)	ს./ქართვ. *მეჭედი (*მე-ჭ-ედ-ი)
„ოქრო“	„ოქროს ბეჭედი“ < „ოქრო“
ხუნდ. მესედ „id“:	ქართ. ბეჭედი-ი
ანდ. მისიდი „id“:	< *მეჭედი-
ახვ. მიშიდი „id“:	„ბეჭედი“
დარგ. მუსი (წუდ.)	სვან. მგსკად
მურჭი (ურახ.) „id“:	< *მეწკად-ი „id“
ლაკ. მუსი „id“	ზან. მაწკინდ-ი (ლაზ.)
არჩ. მისირ-ტაუ	მარწკინდ-ი (მეგრ.)
< მისიდ-ტაუ „id“:	< *მაწკიდ-ი „id“
უდ. მის „სპილენძი“	
ხინ. მის „id“.	

(მდრ. გიგინეიშვილი 1977 26

სადაც ს./დალ. დონეზე რეკონსტრუირებულია: *მისიდ „ოქრო“)

გადიფერენცირებულ შესატყვისობათა (*ს *წ / ჭ) ფონზე

მტკიცებულებით ძალას იძენს ე.წ. იდენტური შესატყვისობები როგორც კონსონანტთა (*მ *მ, *ღ *ღ) ასევე ხმოვანთა (*ე *ე) რიგში.

აქვე დავძენ, რომ საერთო-სლავური **печатъ** „ბეჭედი“ და ქართული **ბეჭედი** ერთმანეთს მასალობრივად ან გენეტიურად არ უკავშირდება და მათი ბგერითი მხარის სიახლოვე თუ მნიშვნელობის თანხვედრა შემთხვევით ხასიათს ატარებს. სლავურ ენებში ეს სიტყვა საერთო-სლავურიდან არის ნამემკვიდრევი, საკუთრივ სლავური ოდენობაა (ძვ. სლავ. **печатъ**) და ივარაუდება მისი წარმოება ლექსემიდან **пекъ**, რაც „ნიშნის ამოსადაღავი იარაღი“-ს მნიშვნელობის მქონეა (ფასმერი 1971 255 და 227).

2.1.3. დაღესტნურ-ქართველური ბგერათშესატყვისობები დენტალურ ხშულთა რიგში

დენტალურ ხშულთა შესახებ ლაპარაკი ამ შემთხვევაში მხოლოდ ქართველურ ენათა პოზიციიდან შეიძლება, დაღესტნურ ენათა მხრიდან შესატყვისობებად სიბილანტური აფრიკატები გვევლინებიან. ქვემოთ ვნახავთ, რომ ასეთი კორესპონდენციები უნიკალურნი არ აღმოჩნდებიან და ქართველური ენების დენტალურ ხშულთა შესატყვისობების როლში აფხაზური და ბასკური ენებიც სიბილანტებს, უფრო ზუსტად, სიბილანტურ სპირანტებს გამოავლენენ.

1. ს./დაღესტნური *წ ს./ქართველური *თ $\left. \begin{array}{l} \text{||} \{ *სთ \\ \text{||} \{ *სო \end{array} \right\}$
საერთო-დაღესტნური *წ-ს რეფლექსებად ისტორიულად დადას-

ტურებულ დაღესტნურ ენებში დადასტურებულია: ხუნდ. წ ანდ.
წ ახვ. ჭ დიდ. წ დარგ. წ ლაკ. წ არჩ. წ ლეზგ. წ თაბ.
წ / ჭ (ჟ-ს წინ) აღ. წ მუხად. წ წახ. წ უდ. ღ | წ ხინ.
წ/ზ.

საერთო-ქართველური *თ | *ხთ | *სით-დან გადიფერენცირებულ
ლი შესატყვისობას მხოლოდ *სით იძლევა ისიც სვანურში
შტი<შდი*შთ-ს სახით.

1.1. „ათი“

ხუნდ. აწწ- „id“	ს./ქართვე. *ასით-ი
ანდ. ჰო-წო „id“:	ქართ. ათ-ი „id“:
ახვ. აჭ-ა „id“:	ზან. ვით-ი „id“:
დიდ. ოწ-ი „id“:	(<*ჟეთ-ი <*ოთ-ი უმლაუტით) „id“:
დარგ. ჟიწ „id“:	სვან. მეშდ (<*მეშთ) „id“:
ლაკ. აწ „id“:	
არჩ. ჟაწ-ა „id“:	
ლეზგ. წ-უ „id“:	
თაბ. მიწ-უ „id“:	
აღ. მიწ-უ „id“:	
მუხად. მიწ-უ „id“:	
წახ. მიწ „id“:	
უდ. ვიწ „id“:	
ხინ. მაზ „id“:	

ამ მაგალითებში არაიდენტური კონსონანტური შესატყვისობების
ფონზე, ყურადსაღებია ხმოვანთა და ფონეტიკურ პროცესთა თვალ-
საჩინო იდენტურობა დაღესტნურ და ქართველურ ენებს შორის.

1.2. „ცეცხლი“ || „ნათება“

ს.ქართვ. თ

ხუნდ. წ-ა „ცეცხლი“

ანდ. წ-ამ „id.“:

ახვ. ჭ-არი „id.“:

დიდ. წ-ი „id.“:

დარგ. წ-ა „id.“:

ლაკ. წ-უ „id.“:

(ნათ. ბრ. წ-არ-ალ):

არჩ. ო-წ „id.“:

ლეზგ. წ-ამ „id.“:

თაბ. წ-ამ „id.“:

აღ. წ-ა „id.“:

მუხად. წ-ამ „id.“:

წახ. წ-ა „id.“:

უდ. არ-უხ

(<*არ-წ-უხ) „id.“:

ხინ. ჭ-ჰ

(<*წ-ამ (?) „id.“:

ქართ. თ-ენ-ებ-ა: ქართ. ნა-თ-ებ-ა:

ზან. თ-ან-ათ-ა ზან. ნო-თ-ე

„თენება“, „სხივი“ (მეგრ.),

„ნათება“, „კვარი“ (ლაზ.),

„აღდგომა“

სპეციალურ ლიტერატურაში ცეცხლის აღმნიშვნელ ამ დელესტურ ძირს ჩვეულებრივ სხვა ქართველურ ძირებს უკავშირებენ — წვისა და წითლის აღმნიშვნელს. საერთო-ქართველური *წ და*წი ფონემების ბგერათმესატყვისობის შესახებ დალესტურ ენებში იხ. ზემოთ, სადაც ლაპარაკი დალესტურ-ქართველური ბგერათმესატყვისობების შესახებ სიბილანტთა რიგში.

1.3. „მგელი || „დათვი“

ხუნძ. ბა-წ „მგელი“	ს./ქართვ. *და*სით-ჟი „დათვი“:
ანდ. ბო-წ-ო „id.“:	ქართ. და-თ-ვი „id.“:
ახვ. ბა-ჭ-ა „id.“:	ზან. თუ-რ-თი
დიდ. ბო-წ-ი „id.“:	(<*დუ-თ-ი) „id.“:
დარგ. ბი-წ ბე-წ „id.“:	სვან. და-შდ-ჟ
ლაკ. ბა ^რ -წ „id“	(<*და-შთ-ჟ) „id.“

მგელი და დათვი რიტუალური ცხოველებია კავკასიელ აბორიგენტათვის და მათი სახელების მკაცრი გადიფერენცირებულობის პირობებში მონათესავე ენებში საერთო ძირის სიტყვის სხვადასხვა ფუნქციით აღნიშვნა თითქოს მოულოდნელი უნდა იყოს.

მაგრამ მოულოდნელი არ ნიშნავს შეუძლებელს. ძველ ინგლისურში ჩვენ გვხვდება დათვის აღმნიშვნელი სიტყვა Bēowulf, რაც სიტყვა-სიტყვით არის „ფუტკრების მგელი“ (გამყრელიძე, ივანოვი 1982 498).

ზემოთ უკვე ითქვა, რომ მონათესავე ენებმა შეიძლება და უნდა მოგვცენ კიდევ რეგულარული და კანონზომიერი ბგერათშესატყვისობანი ძირეული ლექსიკის ისტორიულ-შედარებითი მეთოდით კვლევისას ნებისმიერ ქრონოლოგიურ პერიოდში, და არა მარტო ერთი ჯგუფის შიგნით, არამედ ჯგუფებს შორისი შედარების დროსაც. ქართველურ და დაღესტნურ ენათა შორის გამოვლენილი სისტემური ხასიათი აქ წარმოდგენილი ბგერათშესატყვისობებისა ამისი კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა.

2.2. ქართველური და აფხაზური ენების ნათესაობის დასაბუთება

დალესტნური ენები იბერიულ-კავკასიური ენობრივი ოჯახის ნახურ-დალესტნურ ჯგუფს განეკუთვნება, მის ერთ-ერთ (ორიდან) ქვეჯგუფს წარმოადგენს. ცხადია, რომ თუ ერთ ქვეჯგუფს აქვს კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობები ამავე ოჯახის სხვა ჯგუფის წევრ ენებთან, შესაბამისი შესატყვისობები უეჭველად უნდა ჰქონდეს მეორე, ამ შემთხვევაში ნახურ ქვეჯგუფში შემავალ ენებსაც. ეს ასეც არის, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩემი ამოცანა იყო, ცალსახად მეჩვენებინა, რომ ენათა ნათესაობის დასადგენად, მეთოდის თვალსაზრისით, სრულიად კორექტული და საკმარისია ენათა შორის კანონზომიერ და რეგულარულ შესატყვისობათა დადგენა დამოუკიდებლად იმისგან, შესაძარებლად ერთ ოჯახს იღებ, ჯგუფს, ერთ ქვეჯგუფს თუ ა. შ.

ამ დებულების ქეშმარიტებას ცხადყოფს კიდევ ერთი უეჭველი მაგალითი კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა გამოვლენისა იბერიულ-კავკასიური ენობრივი ოჯახის ქართველურ ენათა ჯგუფის შედარების შედეგად ამავე ოჯახის აფხაზურ-ადიღურ ენათა ჯგუფის აფხაზურ (აფხაზურ-აბაზურ) ქვეჯგუფთან.

ენათმეცნიერების ინსტიტუტის VI (XII) სამეცნიერო სესიაზე (1955 წლის 10 და 11 ივნისი) ქეთევან ლომთათიძემ წაიკითხა მოხსენება „ბგერათა პროცესებისა და ბგერათა შესატყვისობის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში (ქართველურ-აფხაზურ-ადიღურ ენათა მასალაზე), სადაც მის მიერ წარმოდგენილი იყო შემდეგი შესატყვისობები:

I აფხ. (შ), შ° (აბაზ. შ, შ°,	ქართ., ადიღ. (უ), უ° აფხაზ. შ° > უ მ. ქ.)
II. აფხ. შ, შ° (აბაზ. შ, შ°,	ქართ., ადიღ. ლ, ლ° აფხაზ. შ° > უ, შ° > ა მ. ქ.)
III. აფხ. შ, შ° (აბაზ. შ, შ°,	ქართ. რ, რვ აფხაზ. შ° > უ, შ° > ა მ. ქ.)

ამ უკანასკნელი შესატყვისობის დადგენისათვის ამოსავალი იყო დებულება, რომ: „რ ყველა ამ ენაში მეორეული ჩანს. იგი მიღებული შ > (ღ) || ფ ბგერისაგან“ (ლომთათიძე 1955^ა 12.).

1957 წელს ქ. ლომთათიძემ ამავე თემის დაზუსტებას მიუძღვნა თავისი მორიგი მოხსენება ენათმეცნიერების ინსტიტუტის XVI სამეცნიერო სესიაზე: „ღ > რ ბგერათა მონაცვლეობისათვის ქართველურ ენათა ფუძეებში“ (წინასწარი ცნობა)“ (ლომთათიძე 1957 13).

პირველი და მეორე რიგის მაგალითთაგან ზოგიერთი ქვემოთ, სათანადო ადგილას მაქვს განხილული.

იმავე სესიაზე გ. როგავამ წაიკითხა მოხსენება: „ბგერათა ფარდობის ზოგი საკითხი ქართველურსა და ადიღურ ენებში“ აქ ტერმინი „ბგერათა ფარდობა“ (> „ბგერათფარდობა“) გამოყენებულ იქნა „ბგერათშესატყვისობათა“ ნაცვლად იმ მოტივით, რომ „სპირანტებსა და აფრიკატებში შიშინობისა და სისინობის მიხედვით ქართველურსა და ადიღურ ენებს შორის არ დასტურდება რეგულარული შესატყვისობა“ (როგავა 1955 13), მიუხედავად იმისა რომ ავტორისავე აზრით: ასეთი რეგულარული შესატყვისობა, როგორც ცნობილია, არც ქართველურ ენათა ფარგლებში ჩანს ყოველთვის“ (როგავა 1955 13), ამ ტერმინს „ბგერათფარდობა“,

ქართველური ენების მიმართ ჩვეულებრივ არ იყენებდნენ, განსხვავებით ქართველურ-აფხაზურ-ადიღურ ენათა შეპირისპირებათაგან.

რაც შეეხება გ. როგავას მიერ ქართველურ ენათა შორის არსებულ შესატყვისობათა არარეგულარული ხასიათის საილუსტრაციოდ მოყვანილ მაგალითებს, ისინი ე. წ. „ყბად აღებულ“ სისინა და შიშინა „ფენებს“ განეკუთვნებიან:

„ზოგჯერ შიშინა წრის ენები (ზანური და სვანური) ქართულის სისინა ბგერების შესატყვისად წარმოვიდგენს იმავე (სისინა) ბგერას: ქართ. სამ-ი ზან. სუმი ანდა, პირიქით, ზანურ-სვანური სისინა ბგერის შესატყვისად ქართულში გვაქვს შიშინა სახეობა: ზან. სი ქართ. შენ და სხვა“ (როგავა 1955 13-14).

ქართ. სამ-ი ზან. სუმი ტიპის მაგალითები მიგვიანებით უპრობლემოდ აიხსნა სამი სიბილანტური რიგის თეორიის ფარგლებში (გ. მაჭავარიანი 1960; გ. მაჭავარიანი 1965), ხოლო რაც შეეხება ზან. სი „შენ“ ნაცვალსახელს, ის უბრალოდ სხვა ძირი ჩანს (შდრ. ქართ. შენ-ი ზან. სქან-ი, სადაც დაცულია კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისი).

ანალოგიურ მოვლენასთან უნდა გვკონდეს საქმე სპირანტულ ბგერათშესატყვისობათა შემთხვევაშიც რომელიც გ. როგავას ამ ფუძემდებლურ ნაშრომში არის გამოვლენილი.

ქართ. ს ზან. შ სვან. შ (ს/ქ. *ს ₁ მ. ქ.)	{ ს' (ყაბ. ადიღ.) ფ (ყაბ.) ს' (ადიღ.)
--	--

ქართ. ზან. სვან. ს (ს/ქ. *ს მ. ქ.)	{ ს' (ყაბ.) შ (ადიღ.) ს (ყაბ.) ადიღ.)
---------------------------------------	--

ქართ. შ ზან. შქ/სქ
(ს/ქ. *შ მ. ქ.)

ყაბ. ს ადილ. შ

ამ მაგალითებიდან შეიძლება ბგერათშესატყვისობათა ერთი ასეთი რიგის დადგენა:

საერთო ქართვ. *ს₁

საერთო ადილ. *ს'

1. ქართ. ახ-ი

ყაბ. *ს'ვ „ასი“

სვან. აშ-ი'რ' „ასი“

ადილ. *ს'ვ „id.“

ზან. ოშ-ი „id.“

2. ქართ. სა-გუხს-ალ-ი „საქსოვი“

ყაბ. ს'ვწ „ქსოვა“

ქს-ოვ-ა

სვან. ლი-ჯიშ „id.“

ადილ. ს'ვწ „id.“

ზან. რშ-უ-ალ-ა || შ-უ-ალ-ა

|| ო-შვ-ალ-უ || ო შ-უ „id.“

და სხვ.

რომ არა განსხვავებული შესატყვისობები აფხაზურ-აბაზურში, შესაბამისად:

„ასი“ აფხ. შ°- (შ°-კვ) აბაზ. შ° (შ°-კვ);

„ქსოვა“ აფხ. ს'გ, ა-ს'რა (ბზიფ.); ა-სრა, ა-სგრა (აბუ.); აბაზ. სრა (შაგროვი 1977, II 145-146).

რაც შეეხება სვან. შდ < *შთ კომპლექსის ადილურ შესატყვისობებს ისინი ქვემოთ მაქვს გაანალიზებული შესაბამის აფხაზურ-აბაზურ მასალასთან ერთად.

2.2.1. აფხაზურ-ქართველური ბგერათშესატყვისობები დენტალურ ხშულთა რიგში

როგორც აღვნიშნე, ქალბატონ ქეთევან ლომთათიძის მიერ ჩერ კიდევ 1955 წელს დადგენილ იქნა ამგვარი შესატყვისობები ქართველურ და აფხაზურ-ადილური ენების ჯგუფის აფხაზურ (აფხაზურ-აბაზურ) ენათა ქვეჯგუფს შორის (ლომთათიძე, 1955, 79):

1.0. ს. ქართვ. *თ(თჷ)||სთ აფხაზურ-ადილური *ს'||ს (შ, შუ)

1.1. ქართვ.

აფხ. აფხ. ა-მ-შუ || ა-მ-ს'უ

ს./ქართ. *და-სთ-ჷ-ი

„დათვი“

„დათვი“

შღრ. ადილ. მგ-ს'ნ „id“

ქართ. და-თ-ჷ-ი;

უბიხ. მგ- ს'უ-ნ „id“

ზან. თუ'ნ'-თ-ი „id“

სვან. დნ'-შღ-ჷ „id“

1.2. ქართვ.

აფხ.

ს./ქართვ. *დუ-სთ-ე

აფხ. ა-ს'უ-ა-ნ'ა „ორშაბათი“

„თვე“, „მთვარე“

ძვ. ქართ. თ-თ-ჷე <*დ-თ-ჷე:

„თვე, მთვარე“:

ახ. ქართ. თვე „თვე“

ზან. თუ-თ-ა „მთვარე, თვე“:

თუ-თ-აშხა „ორშაბათი“

(სიტყვასიტყვით: „მთვარის
დღე“):

სვან. დო-შდ-ულ „მთვარე,
თვე“: დე-შდ-იშ „ორშა-
ბათი“ (სიტყვასიტყვით:
„მთვარისა“)

1.3. ქართვ.

ს./ქართვ. *თ-ელ-ი „გოჭი“
ძვ. ქართ. თ-ელ-ი „გოჭი“:
ზან. თ-უ^რლ^ე „id“

აფხ.

აფხ. რ^ა-ს^გ-ს^ე (|| რ^ა-სგ-ს)
„გოჭი“
(რედუქლიკაციით)

1.4. ქართვ.

ს.ქართვ. *სთ-ოჟ-ლ-ი
„თოვლი“
ქართ. თ-ოვ-ლ-ი „id“.
თ-ოვ-ა; თ-ოვ-ს „თოვლი მო-
დის“
ზან. თ-ირ-ი „id“ თ-უნ-ს
„თოვს“ „id“
სვან. შდ-უჟ-ე < * შთ-უჟ-ე
„თოვს“.

აფხ.

აფხ. ა-ს^გ (|| ა-სგ) „თოვლი“
შდრ. ადილ. უა-ს || უა-სგ „id“

და ა. შ.

1995 წლის 11 აპრილს „არნოლდ ჩიქობავას საკითხავების“ VI სესიაზე წაკითხულ მოხსენებაში ქ. ლომთათიძემ ამ შესატყვისობა-თა საილუსტრაციოდ დამატებით მაგალითები დაიმოწმა:

1.5. ქართვ.

ს./ქართ. (ძვ.) *სთჟ-ელ-ი
„შემოდ გომა“, „რთველი“

აფხ.

აფხ. ა-ს^გრა || ა-შ^გრა „შემო-
დგომა“

(<*,ჩამოკრეფა“)

ქართ. (ძვ.) სთჷ-ელ-ი „id“,

(ახ.)რთვ-ელ-ი „id“:

ზან. (ლაზ.) სთვ- „ჩამოცვენა,
ჩამოწყდომა“

1.6. ქართვ.

ს./ქართვ. *კით-ი „თითი“

ქართ. კით-ი „თითი“ ყურძნის
ჭიში, კინთ-ი „ბამბის საპენტავი
ჩხირი“ (<*,თი- თი“):

ზან. (ლაზ.) კით-ი „თითი“:

სვან. კინთ „ხის ლურსმანი“

(<*,თითი“), კინთაი „ორივე
მხრივ ყუნწიანი ხის როკი,
რომელშიაც გადის ძაფი და-
ხვევის დროს, ძაფსაწმენდი“
(<* „თითი“).

აფხ.

აფხ. კ̄ჯს / კ̄ჯს' „თითი“

აბაზ. კ̄ჯს „id“

ამ მაგალითში როგორც ქართველურში, ასევე აფხაზურში
გვაქვს CVC სტრუქტურის ძირი, რომელიც სრულად ავლენს ბგე-
რათმესატყვისობებს (შდრ. ჩიქობავა 1938 61)

1.7. ქართვ. ქართ. თქუნ

(<*თუნ?):

ზან. თქვა(ნ) „id“

აფხ. აფხ. ს'არა „თქვენ“

და სხვ.

ქურდიანის წესის თანახმად, უკვე აფხაზურ-ადიღური ჯგუფის ღონე-
ზე აქ ბგერათმესატყვისობის სხვა მაგალითის მოხმობაც შეიძლება:

ქართვ. სვან. შდიხჷ <*შთიხჷ
 „ჰიიპი“ ადიდ. ყაბ. ს'ახჷ „ბოქვენი“,
 „საზარღული“,
 „მუცლის ჰიპსჰვედა
 ნაწილი“
 ადიდ. შახ „id“

და სხვ.


თუმცა არსებობს მცდელობა ამ სვანური სიტყვის სხვაგვარი ეტიმოლოგიისა და მისი დაკავშირებისა ზან. (მეგრ.) ძირთან თუხ-უა „ართვა“ (არაბული 1985).

არსებობს განსხვავებული ადიდური (ჩერქეზული) ეტიმოლოგიაც (შაგიროვი 1977, II: 145).

ერთმნიშვნელოვნად დადგინდა კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისობა

ს.-ქართველური

აფხაზური (აფხაზურ-აბაზური)



ამ ბგერათშესატყვისობათა მტკიცებულებითი ძალა მათი ძირისეული ელემენტების სიმოკლისა, მიუხედავად მეიეს საგანგებო გაფრთხილებისა, დიდია, რადგან ის ეფუძნება სკრუპულოზურ ანალიზს აფხაზურ-აბაზური ძირებისას, მათი გაფორმების კანონზომიერებათა თუ ფუძის წარმომქმნელი მოდულების დადგენას და არქტიპების რეკონსტრუქციას კომპარატივისტული მეთოდის მკაცრი გამოყენებით (ლომთათიძე, 1976).

2.2.2. აფხაზურ-ქართველური ბგერათშესატყვისობები სიბილანტთა რიგში

ცხადია, ზემომოყვანილი მაგალითი ქართველურ ენათა ჯგუფსა და აფხაზურ-ადიღური ჯგუფის აფხაზურ ქვეჯგუფს შორის პოზიციური კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობებისა არც უნიკალურია და არც უპრეცედენტო.

1977 წელს ქ. ლომთათიძემ დაადგინა ქართველურსა და აფხაზურს შორის კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა კიდევ ერთი რიგი, რომელიც მოგვიანებით არაერთი მაგალითით შეივსო (ლომთათიძე 1977: 81-85; ლომთათიძე 1995 261-266):

- | | |
|--|---|
| 2.0. ქართვ. წ ₁ წ | აფხ. შა |
| 2.1. ქართვ. წ ₁ | აფხ. შა |
| 2.1.1. ქართ. ბერ-წ-ი
ზან. ბურ-ჭ-ი „id“ | აფხ. ა-წ-შა „ფური“
(ეტიმოლოგიურად: „ქვე-გამომშობი“).
აბაზ. ჭ-შა ა-რადარა
„უნაყოფო“ |
| 2.1.2. ქართ. წ-ულ-ი
ლი“
სვან. ჭუმ < *ჭულ-ი „ვაჟი“
(შდრ. ნა-ჭულ-აშ „საწული-
სი“ („ურვადი“). | აფხ. ახ-შაა'-რა „წული“, „ჩამო-
მავალი“
(ეტიმოლოგიურად:
„თავ(წარ)მონაშობი“) |

2.1.3. ქართ. წ-ენა || და-წ-ენა: აფხ. ᾑ-შაშა-რა „დაწენა“,
 წნ-ელ-ი, წნ-ული ა-შაშა „ლობე [წნული]“,
 ზან. ლაზ. ჳინ-უ || ჳუნ-უ, ა-შაა ||ა-შაა-ხა „თოკი“
 მეგრ. ჳინ-ი || ჳგნ-ი „წნე- შდრ. ყაბ. ხ^oგნ „წენა (წნელე-
 ლი“ ბისგან)“
 ადიღ. ჳინ „id“

2.1.4. ქართ. მ-წ-არ-ე აფხ. ა-შაა „მწარე“.
 ზან. მეგრ. გითო-ჳ-ორ-აფ-ა
 „სიმწარის მოშორება“
 ლაზ. გე-(ნ)ჳორ-უ „თევზისგან
 მარილის მოშორება“.
 და სხვ.

2.2. ს. ქართვ. წ აფხ. შა

2.2.1. ქართ. გან-წ-ილ-ვა აფხ. ᾑ-შაა-რა „განწილვა“
 „განყოფა“; მო-წ-ილ-ვა „მო-
 კრეფა“;
 ზან. მეგრ. წ-ილ-უ-ა ||
 ლაზ. ო-წილ-უ „მოკრეფა“.

2.2.2. ქართ. ს-წ-ორ-ი: აფხ. ᾑ-შაა-შაა „სწორი“
 ზან. წ-ორ-ო <წ-ორ-ოდ „სწო- შდრ. ყაბ. ზა-ხ^oწ „id“
 რად“. წურ-აფ-ა || გე-წურ- ადიღ. ზა-ჳწ „id“
 აფ-ა „სწორება“, „დამიზნე-
 ბა“

ჩემი მხრივ, ამ სიას რამდენიმე პრინციპული მნიშვნელობის მაგალითს დავუმატებდი:

2.1.5. ქართ. წუ-ა „წვა“, „ტკივილი“

ზან. ჳ-უ-ა „id“,

მეგრ. ჳ-უ-ალ-ა || ლაზ. ო-ჳ-უ „წვა, ცხობა“

სვან. ლი-ჳ-ი „ცხობა“

აფხ. შა(გ) „ცხელი“

აფხ. ა-შირა || აბაზ. შირა

„დუღილი“

აფხ. ა-შოტრა || აბაზ. შოტრა „სიცხე“, „ხვატი“

შდრ. ყაბ. ხ^აიბაზ „თბილი“, „სითბო“:

ადილ. ფაბზ „id“.

2.1.6. ქართ. წ-ელ-ი „ნაწლავი“

ზან. მეგრ. ჳ-ი/ჳ-გ < *ჳ-უ || ლაზ. ჳ-უ / მ-ჳ-უ „id“

სვან. ჳ-ინ — ჳ-ილ „id“.

აფხ. ა-შახტა „ძვლის ტვინი“

შდრ. ყაბ. ხ^აიბ „ძარღვი“, „მყესი“

ადილ. ფაზ „id“

და სხვ.

ზემომოყვანილ მაგალითებს ის მნიშვნელობაც აქვთ, რომ ისინი საფუძველს იძლევიან შორსმიმავალი დასკვნების გასაკეთებლად:

„ქართ. წ — აფხ. შა ბგერათშესატყვისობის კანონზომიერების ნათელყოფის შემდეგ ბუნებრივად დგება საკითხი ენობრივ ჯგუფთა-შორისი შესატყვისობისა. აქაც, ჩვენი დაკვირვებით, ვითარება საკმაოდ პერსპექტიულია. აქაც იკვეთება შესატყვისობების გარკვეული კანონზომიერება: ქართ. წ. — აფხ. შა — ყაბ. ხ^აი (ადილ. ფ)“ (ლომთათიძე 1995: 264).

მართლაც, ერთმნიშვნელოვნად დადგინდა კანონზომიერი და რე-

გულარული შესატყვისობა:

საერთო-ქართველური

აფხაზური (აფხაზურ-ადილური)

*წ₁ || *წ

შ_ა

რომელიც საშუალებას გვაძლევს ეს შესატყვისობები უკვე ენობრივ ჯგუფთა დონეზე ავიყვანოთ:

ს. ქართველური

აფხაზურ-ადილური

ქართ. წ < *წ
 *წ₁

აფხაზ. შ_ა

ზან. წ < *წ; ჰ < *წ₁

ყაბ. ხ₁o

სვან წ < *წ; ჰ < *წ₁

ადილ. ჟ

2.2.3. ქართველურ: აფხაზურ-ადილური

ბგერათშესატყვისობები ლატერალთა რიგში

საერთო-აფხაზურ-ადილური და საერთო-ქართველური ბგერათშესატყვისობების ნიმუშები აქ დამოწმებული მაგალითებით არ ამოიწურება.

აფხაზურ-აბაზურსა და ადილურ ენებს შორის გამოვლენილი შემდეგი კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობები:

საერთო-აფხაზურ-ადილური *ლ° აფხაზური შ°: ადილური ლ°. მაგ.:

1. „გზა“

ყაბარდ. ლ°აგ° „id“

აფხაზ. ა-მ-ჰ-ა

<*ა-მ-შ°-ა „id“

ზან. (მეგრ.) ღუ-ც-ი

<* ღუ-ჟ-ი

<* ღუ-ჟვ-ი

(ლან.) ღუ-ჟუ <* ღუ-ჟვ-ი

|| ღუ-რ-ჟუ <* ღუ-რ-ჟვ-ი

„id“

შდრ.:

აფხაზ. ა-ბა-ჟ „ძვალი“

აბაზ. ბ-შ-გ „id“

*ჟუ ძირი საერთო-ქართველურში აღნიშნავდა „ძვალს“ როგორც ზოგადად *ჟუ-ილ-ი, ასევე კერძოდ: *ღა-ჟუ-ი „მკლავის ძვალი“, *ბა-ჟუ-ი „თემოს ძვალი“.

საერთო-აფხაზურ-ადილურში ძირი *ღ ასევე აღნიშნავდა „ძვალს“, აქედან ადილ. ღა-ღ „იდაყვი“ და აფხაზ. ა-ბა-ჟ (<* ა-ბა-შ) „ძვალი“ < „თემოს ძვალი“, „ბაყვი“

სპეციალურ ლიტერატურაში იყო მცდელობა „ძვლის“ სემანტიკის მქონე ამ აფხაზური ძირის სხვადასხვა ადილურ ძირებთან დაკავშირებისა:

აკად. ქ. ლომთათიძე მას უკავშირებდა ადილურში რეკონსტრუირებულ ძირ *ჟ-(ა)-ს, ასევე რეკონსტრუირებული სემანტიკით: *„ძვალი“ რეკონსტრუქციის საფუძვლად იყო აღებული რთული სიტყვა ყაბ. ჟ-გ-ფს'ნა / ადილ. 'ჟ-გ-ფს'ნა (*„ძვალი“ + „თავი“).

პროფ. გ. როგავა და პროფ. გ. კლიმოვი კი ყაბ. ჰ-ჟ-გ / ადილ. ფ'ჟ-გ „კორპუსი“ || „ჩონჩხი“ || „კარკასი“ ძირებს (გ. კლიმოვი ამავდროულად ძირს უკავშირებდა ქართვ. *ფხა || *ფჟა ძირს, მნიშვნელობით „თევზის ძვალი“ (კლიმოვი 1964 194).

მაგრამ ცალსახად უნდა ითქვას, რომ არ არის პოზიტიური არცერთი უეჭველი შემთხვევა, რომ აბზ-აბაზ. შ° შეესატყვისებოდეს ადილურ ყ-ს ან ჟ°-ს

როგორც თავად ქართველურ და აფხაზურ „ძვლის“ აღმნიშვნელ

ლექსემებს შორის არსებული ბგერათშესატყვისობებს ასევე მათ მიმართებას დაღესტნურ მასალასთან პროფ. ტოგო გუდავამ მიაქცია ყურადღება და მიცა სათანადო კვალიფიკაცია.

ეგვევ ძირი უნდა გვქონდეს საერთო-აფხაზურ კომპოზიტიში აფხაზ. ა-ჟ°-ჟ-ა / აბაზ. ჟ°-ჟ°-ა „ფრთა“, „ბეჭი“, „ხელი“, რომლის პირველ ნაწილსაც ჟ° ამინ შაგიროვი უკავშირებს ყაბ. ბლჰ-ს (ბ-ლ-ჰ) „ხელის ნაწილი მხრიდან იდაყვამდე, მტევნამდე“, უშვებს რა ადილ. ლ აფხაზ. ჟ° შესიტყვებას დადასტურებული ლ ჟ° ბგერათშესატყვისობის ანალოგიით (?!). რაც შეეხება სიტყვის მეორე ნაწილს, ის უეჭველად „ძვლის აღმნიშვნელ სიტყვას უკავშირდება და ადილური ლ°-სა და ქართველური ყვ-ს შესატყვისობას წარმოადგენს.

შესაბამისად ძვლის აღმნიშვნელი ეს ძირი ისეთივე პროდუქტიულობას ავლენს აფხაზურ-ადილურ ენებში, როგორსაც ქართველურსა და დაღესტნურში.

ყურადსაღებია რომ, როგორც „იდაყვის“, ასევე „ბაყვის“ შემთხვევაში, ბგერათშესატყვისობა მოიცავს არა მხოლოდ ძირს, არამედ ფუძეს მთლიანად.

3.1.2. ს./ქართვ. *ტ-ყუ-ბ-ი

„წყვილი“, „ორი“

<*დ-ყუ-ბ-ი

„წყვილი“, „ტყუბი“

ქართ. ტყუბი „id“

ზან. ტყუბ-ი ||ტყუბ-ი

„id“

სვან. ტყუბი „id“

ს./აფხ.-ადილ. *დ-ღ°-გ-ბა

„წყვილი“, „ტყუბი“, „ორი“

ყაბ. ტუუ <*ტ-ჟ°-გ <*დ-ღ°-გ

„ორი“

შდრ. ლ°-გბ-ჟ „სამშაბათი“

სიტყვასიტყვით მეორე დღე

(დასვენების დღის — ორშაბათის შემდეგ)

ადილ. ტ°-გ <*ტ-ჟ°-გ <*ლ-ლ°-გ
„ორი“

მდრ. ლ°-გბ-ჟ „სამშაბათი“
აფხაზ. ჳ-ბა „ორი“

აბაზ. ზ°-ბა „id“

მდრ. აფხაზ. ჳ-გ-ჯ°-ა

აბაზ. ზ-გ-ჯ° „სამშაბათი“

ამ შემთხვევაშიც ბგერათშესატყვისობა სრულად მოიცავს ფუძეს.

3.1.3. ს./ქართვ. *ჟუ-ა

||*ჟუ-ა „კიდე“

ქართ. ჟუ-ა „id“

ზან. ჳვ-ა || > ცვ-ა

„შუბლი“

სვან. ჟუ-ა || ჟუ-ვ-ა

„ჟუა“, „კიდე“

ს./აფხ.-ადილ. *ლ°-გ

„კიდე“

ყაბ./ადილ. ბ-ლ°-გ „გვერდი“

<* „გვერდითა კიდე“, „კიდე“

ლ°-გ-ნა „კიდე“, „ნაპირი“,

„მიჯნა“ („საზღვარი“)

აფხ. ა-ჳ-ა-და „ზემოთ“

(აუსლაუტის და ლოკალურობის

გამომხატველი ელემენტი)


აბაზ. ზ°-გ-ნა „კიდე“, „ნაპირი“,

„მიჯნა“ („საზღვარი“)

„ბღვავილი“, „ყმუილი“

3.1.4. ს./ქართვ. *ჟუ||*ჟუ

ს./აფხ. ადილ. *ლ°-ა



*ჟუ-ილ-ი

*ჟუ-ირ-ებ-ა

ყაბ. ლ°-ნა „ბღვავილი“

*ყუ-ვ-ილ-ი	*ყუ--რ-ჟ-ა	ღ°-ოჟ „მაცნე“
„ყმუილი“	„ყმუილი“	(ამბის ყვირილით
ქართ. ყუ-ილ-ი	ქართ. ყვ-ირ-ილ-ი	შემტყობინებელი):
„ყმუილი“	„ძახილი“	ადილ. ღ°-ა-ჟგ „id“
სვან. ლი-ყჟ-ლ-ი	ყუ-რ-ყულ-ი	აბაზ. ზ°-ოჟ „id“
	რედუბლიკაციით	თუ ეს უკანასკნელი
„ყმუილი“,	„ყმუილი“	ნესესხები არ არის
„ყვირილი“;	„ყვირილი“	ყაბარდოულიდან
	ზან. ცჟ-რ-ჟ-ა	(შაგიროვი 1977, I: 136)
	<*ყუ-რ-ჟ-ა „id“	
	ცჟ-რ-აფ-ი	
	<*ყუ-რ-აფ-ი „id“	

ამავე ძირის უკვე ფუძე-ენის დონეზე დელაბიალიზებული ვარიანტები უნდა იყოს:

- ა) ს./ქართვ. *ყ-ი-ჟ-ილ-ი
 ქართ. ყ-ივ-ილ-ი
 „ყივილი“, „ყვირილი“
 ზან. (მეგრ.) ყ-ი-ონ-ი
 „ყივილი“
 (ლაზ.) ყ-ი-რ-ოლ-ი
 „id“

- ბ) ს./ქართვ. *ყ-მ-ჟ-ილ-ი
 ქართ. ყმუილ-ი
 „ძალღისებრთა გაბმული ხმა“

არსებობს სიტყვები, რომლებიც ამ ჯგუფთა შორის ბგერათმე-სატყვისობათა სისტემაში ჯდება, თუმცა ყველა ენაში არ არის პოვ-ნიერი.მაგ.:

3.1.5. ს./ქართვ. *ციჟუ-ი
ქართ. ციჟვი

ს./აფხაზ.-ადილ. *ცღლ°
„თავვი“

ყაბ. ძღლ°-ჰ
id°

ადილ. ცღლ°-ჰ
„id

(აფხაზ. ა-ცღლ „კვერნა“,
(ბზიფ.) ა-წჷ „id“ და სხვ.
ფუძე-ენიდან ვერ გამოიყვანება)

და სხვ.

შესავალში წამოყენებული დებულება, რომ, თუ ენები მონათესავენი არიან, ანუ ერთ ენობრივ ოჯახს ეკუთვნიან, ყველა შემთხვევაში უნდა ავლენდნენ კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობებს როგორც სინქრონიულ, ასევე დიაქრონიულ ჭრილში, დამოუკიდებლად იმისა, ერთ კონკრეტულ ენას ვადარებთ მისივე ქვეჯგუფის, ჯგუფის, ოჯახის ცოცხალ ან ისტორიულად დადასტურებულ მეორე ენას, თუ რომელიმე შუალედურ ფუძე-ენის ან სულაც საერთო ფუძე-ენის რეკონსტრუირებულ არქეტიპებს, ვფიქრობ, საკმარისად არის დასაბუთებული წარმოდგენილი მასალის ანალიზით.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა ისტორიულ-შედარებითი მეთოდის შუქზე

3.1. ქართველური და ბასკური ენების ნათესაობის დასაბუთება

აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა თავის სადისკუსიო წერილში „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ორი ძირითადი საკითხის შესახებ“ კატეგორიულად წერდა: „საკითხს ბასკურის კავშირის შესახებ იბერიულ-კავკასიურ ენებთან აქვს დადებითი გადაწყვეტა“ („Вопрос о связи баскского с иберийско-кавказскими языками имеет положительное решение“ (ჩიქობავა, 1955, 92). ამ წერილის მოგვიანო ქართულ თარგმანში რატომღაც ტონი ასეთი კატეგორიული უკვე არ არის:

„რაც შეეხება ბასკურის იბერიულ-კავკასიურ ენებთან კავშირს, ივარაუდება ამ საკითხის დადებითი გადაწყვეტა“ (ჩიქობავა, 1979, 305).

ქართველური და ბასკური ენების ნათესაობის ჰიპოთეზას, რომლის წინარემეცნიერული ისტორია ათასწლეულებს, ხოლო მეცნიერული ისტორია ლამის ორ საუკუნეს ითვლიდა, 1955 წლისთვის, როდესაც არნ. ჩიქობავას სადისკუსიო წერილი გამოქვეყნდა,

მართლაც უკვე ჰქონდა თავისი დადებითი გადაწყვეტა:

„რენე ლაფონმა 1948 წ. თავის ნაშრომში „ბასკურ-კავკასიური შესატყვისობანი, II. სისინა და შიშინა ბგერები ბასკურსა და კავკასიურ ენებში“ (Eusko-Jakintza, II, გვ. 362-367) დაადგინა ბასკურსა და კავკასიურ ენებს შორის რეგულარული შესატყვისობანი აფრიკატთა რიგში: ქართველურ ენათა ინფრაგლოტალურ აფრიკატებს (მჟღერებსა და ყრუებს) ბასკურში შეესატყვისება ყრუ სისინა აფრიკატები (აგრეთვე, მათგან ნაწარმოები სპირანტები), ხოლო ქართველურ ენათა სუპრაგლოტალურ აფრიკატებს — ყრუ ნახევრადშიშინა აფრიკატები (და მათგან ნაწარმოები სპირანტები) (ბრაუნი, 1998, 10).

ბგერათშესატყვისობათა ფორმულები დადგენილი იყო არა იზოლირებულად, არამედ სისტემურად:

ქართვ.	ბასკ.
*ძ *ძ ₁	ც / ს
*ც *ც ₁	ც / ს
*წ *წ ₁	ჩ / ზ

„ქართველურ ენებში ხშული თანხმოვნები და აფრიკატები ქმნიან სამეულთა სისტემას. ამ სისტემაში მჟღერ თანხმოვნებს ფონოლოგიურად უპირისპირდება ინფრაგლოტალური წარმოების ყრუ ფშვინვიერები და სუპრაგლოტალური წარმოების ყრუ აბრუპტივები. ზემოთ წარმოდგენილი ბასკურ-ქართველური ბგერათშესატყვისობანი, რომელიც დადგენილია რ. ლაფონის მიერ, ბუნებრივია, ვარაუდობს პროტობასკურ ენაში, მსგავსად ქართველურ ენათა უძველესი ფონოლოგიური სისტემისა, ხშულ თანხმოვანთა და აფრიკატთა სამეულთა სისტემას“ (ბრაუნი, 1998, 12-13).

ამ მაგალითზე საგანგებოდ გავამახვილე ყურადღება, რათა კიდევ ერთხელ გამესვა ხაზი პრინციპული დებულებისათვის: თუ

შესადარებელი ენები ერთ ენობრივ ოჯახს (და, მით უმეტეს, მის ერთსა და იმავე ჯგუფს) ეკთვნიან, მაშინ მათ შორის კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობანი პოვნიერი უნდა იქნენ მათი ფონოლოგიური სისტემების ისტორიული ტრანსფორმაციის ნებისმიერ ეტაპზე და ვარიანტში, რადგან ეს ტრანსფორმაცია, თავის მხრივ, ასევე სისტემური ხასიათისა იქნება.

არნ. ჩიქობავა ვარლამ თოფურიაზე დაყრდნობით წერს:

„ენის სისტემურობა შეიძლება თავისებურად აისახოს ისტორიაში (მაგალითად: სვანურში აფრიკატებს — **ჭ ჩ ჭ** — სპირანტები შეენაცვლენ; აფრიკატები ქმნიან სამეულებს, სპირანტები — წყვილულებს; შესაბამისად **ჯ — ყ, ჩ — შ, ჭ — ნული ჭ**-ს შესატყვისი არ აღმოაჩნდა“ (ჩიქობავა, 1979, 10).

ღეზაფრიკატიზაციისა და აფრიკატიზაციის პროცესები, მათი ფაქულტატური ხასიათის მიუხედავად, სვანურში იმ ფონეტიკურ პროცესთა რიგს განეკუთვნება, რომლებმაც ზანურ-სვანური ენობრივი ერთობის დაშლა და სვანური ენის ლინგვისტური სახის განსაზღვრა განაპირობეს.

რაც შეეხება აფრიკატთა შიშინა სამეულის შიშინა სპირანტებში გადასვლის პროცესს, აქ მეორე გზაც არის პოვნიერი:

I				II			
ს.ქ.	ქ.	ზ.	ს.	ს.ქ.	ქ.	ზ.	ს.
*ძ ₁	ძ	ჯ	ჯ ≥ უ	*ჭ	ჭ	ჯგ/ძგ	*ჭგ/ძგ > სგ
*ც ₁	ც	ჩ	ჩ ≥ შ	*ჩ ₁	ჩ	ჩქ/ცქ	*ჩქ/ძგ > შგ
*წ ₁	წ	ჭ	ჭ ≥ ღ	*ჭ ₁	ჭ	ჭკ/წკ	*ჭკ/წკ > შკ

იმას, რომ საერთო-ქართველურთან მიმართებაში სვან **ჯ** და **ჯგ/ძგ**; **ჩ** და ***ჩქ/ცქ** ან **ჭ** და **ჭკ/წკ** სხვადასხვა ფონემათა რე-

ფლექსებია, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს მათი ღეზაფრიკატი-ზაციის პროცესისთვის, რადგან შუალედური ფუძე-ენის (ზანურ-სვანური ენობრივი ერთობის) დონეზე, როგორც შიშინა აფრიკატები, ისინი უკვე არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან (კომბინატორული მომენტი აქ ანგარიშგასაწვევი არ არის).

მიუხედავად ბასკური ფონოლოგიური სისტემის დიაქრონიული ტრანსფორმაციისათვის თვალის გადავინების შეუძლებლობისა (ასეთი შესაძლებლობა XVI საუკუნიდან ჩნდება.

არის კიდევ რომის იმპერიის დროის I-IV საუკუნეების მწირი ეპიგრაფიკული მასალა აკვიტანურ ენაზე, სამხრეთ საფრანგეთში, რომელიც იმის სავარაუდოდ ჩანს საკმარისი, რომ ის ძველი ბასკურის ერთ-ერთ დიალექტად იქნეს მიჩნეული); მხოლოდ მის წერილობით ძეგლებსა და სინქრონიაში მოცემული ბასკური ენის 7 დიალექტის ჩვენებებზე დაყრდნობით მოხდა მისი შედარება რენე ლაფონის მიერ ქართველურ ენებთან, რამაც ამ ენათა ნათესაობასთან ერთად ცხადყო ის ისტორიული ფონეტიკური პროცესები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ბასკურ ენაში ბასკების მიერ სხვა ქართველურ ტომებთან კონტაქტის გაწყვეტის შემდეგ.

რენე ლაფონის შემდეგ ამ საკითხებს მეტ-ნაკლებად წარმატებით იკვლევდა კარლ ბოლდა, მოგვიანებით შაბიერ კინტანა და, განსაკუთრებით, იან ბრაუნი, რომლის შემაჯამებელი მონოგრაფია „Euscaro-Caucasica“ (ვარშავა დიალოგი, 1998, 152 გვ.) ეპოქალური მნიშვნელობისაა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების განვითარების თვალსაზრისით.

აქ მოვიყვან ქართველურ-ბასკურ შესატყვისობათა ერთ ნაწილს, რომლის ვერიფიკაციის საშუალებასაც ისტორიულ-შედარებითი მეტოდის ცოდნა ნებისმიერი ენის სპეციალისტს მისცემს.

ქართველური	ბასკური
1. 0. ს/ქართვ. *ძი *ძ	ბასკური ც ს (tz z)
1.1.1. ს/ქართვ. *ძარ-ი „გოდორი“ ქართ. ძარ-ი „დიდი კალათა“, „გოდორი“: სვან. ჳარ < *ჯარ-ი „ვარცლი“	ბასკ. სარი zarri (ტარნსკრ.: sari) „დიდი კალათა“
1.1.2. ს/ქართვ. *ძირ-ი ქართ. ძირ-ი „ძირი“, „ფესვი“ ზან.: მეგრ. ჳინჯ-ი < *ჯირ-ი ლაზ. ჳიჯი < *ჯირ-ი „id“	ბასკ. სირი ziri (ტარნსკრ.: siri) „სოლი“ უდრ.: ziri-tu „ყლორტის ამოყრა“
1.1.3. ს/ქართვ. *ძიშალ-ი ქართ. ძვალ-ი სვან. ჳიჯუ „id“	ბასკ. ასურ azur (ტარნსკრ.: asur) ა-სურ / a-zur-ში ა/a პროთეტული ხმოვანია.
1.1.4. ს/ქართვ. *სV-ძი-ე „რძე“ ქართ. ძვ. სძე აბ. რძე „id“ ზან.: მეგრ. რძე < *ჯა ლაზ რძე < *ჯა „id“	ბასკ. ესი ezi (ტარნსკრ.: esi) „წველა“

სვან. ლგჷე „id“

- 1.1.5. ს/ქართვ. *ძალალ-ი
ქართ. ძალლ-ი
ზან. ჯოლორ-ი „id“:
სვან. ეედ < *ჯალ-უ „id“.

ბასკ. ხაქურ | zakur
(ტრანსკრ.: sakur)
„ძალი“
მოეპოვება შიშინა ვარიან-
ტიც: ჩაქურ | txakur (ტრანსკრ.:
č'akur)

- 1.1.6. ს/ქართვ. *ძეუნ-ი
ქართ. ძეუნა „ტირიფი“,
„წნორი“
ზან. ზიჟონი
< *ჯიჟონ-ი, „id“

ბასკ. სუსუნ | zuzun
< *სუშუნ | *zusun
(ტრანსკრ.: susun)
„ვერხვი“

- 1.1.7. ს/ქართვ. *ძარლუ-ი
ქართ. ძარღვ-ი „id“.:
ზან. ჯერღუ-ი < *ჯორღუ-ი
„ძარღვი“:
სვან. ჯარღუ < *ჯარღუ-ი
„id“.

ბასკ. ი-სორაო | i-zorro
< *ი-სორგო | * i-zorgo
(ტრანსკრ.: i-sorǎo)
„ფესვი“
ი. ბრაუნის რეკონსტრუქცია
(ბრაუნი 1998 90)

და სხვ.

ბასკური ს/z შეესატყვისება აგრეთვე საერთო ქართველურ წი-
ნასიბილანტურ *ძ-საც:

- 1.1.8. ს/ქართვ. *ძიგურ-ი
ქართ. ძიგუ „ეკალი“

ბასკ. სიგორ | zigor
(ტრანსკრ.: sigor)

|| ძიგური „ეკალი“, ბოტ. „წკნელი“, „შოლტი“
 ძიგურა-ი „ეკალა“ (სემანტიკური გადახრა:
 ზან. ძიგირ-ი „ეკალი“ ეკალი>ეკლიანი წკნელი || >
 ძიგირ-ამ-ი „ეკლიანი“: წკნელი || შოლტი).
 სვან. ძგგერ/ძიგირ
 „ძეძვი“, „ეკალნარი“
 და სხვ.

1.2.1. ს/ქართვ. *ძელ-ი „ხე“ ბასკ. აცე | atze
 ქართ. ძელ-ი „ხე“: (ტრანსკრ.: ace)
 ზან. ჭა < *ჯალ „id“. „ხე“
 ა/ა პროთეტული ხმოვანია

1.2.2. ს/ქართვ. *-ძერ-||*-ძრ-ვ-|| ბასკ. ი-ცური / i-tzur-i
 *-ძერ-*ძრ- || *ნ-ძრ- (ტრანსკრ.: i-cur-i)
 ქართ. ძვ. ქართ. ძრ-ჟა; „არიდება“, „გაქცევა“
 ახ. ქართ. ძვრ-ა
 „ამოძრავება“,
 მო-ძრ-ა-ობ-ა, მო-ძრ-ავ-ი „ის
 რაც არ იძვრის“, გა-ი-ნძრ-ა
 „ამოძრავდა“. და-ძვრ-ა
 „რაიმეს ამოძრავება“.
 ი-ძვრ-ის „მოძრაობს“ და ა.შ.:
 სვან. ხ-ო-ჭჷირ (ზმნა) ||
 ლი-ჭჷირ (სახელი)
 „წაზბიძგება, „ხელის კვრა“,
 „გვერდზე გაწევა“,

გადატანითი მნიშვნელობით:
„დამცილება“

1.2.3. ს./ქართვ. *ნაძუ-ი
„ნაძვი“

ქართ. ნაძვი:

ზან. ნუძუ || ნუზუ „id“.

ბასკ. ელ-ცუნ | el-tzun

(ტრანსკრ.: el-cun)

„ოფი“

1.2.4. ს./ქართვ. *ძ-||*ძე-||*ძე-ტუ-

ქართვ. ძე-ს „ძევს“,

ს-ძე „სძევხარ“, მ-ი-ც<*მ-ი-ძ-ს

„მიძევს“, „მიღევს.

ახ. ძეგ-ს

ზან. ძე „ძევს“, ძუნ „ძევს“

ძგ-ღ-გ „იღო“

სვან. ზი||ზგ<*ძი||*ძგ „არის“

ხ-ო-ზ <*ხ-ო-ძ „უძევს“,

„უღევს“

ბასკ. ე-ცან/e-tza-n

(ტრანსკრ. e-ca-n)

„დაღება“

ღა სხვ.

ბასკური ც/tz შეესატყვისება საერთოქართველური ენის წინასი-
ბილანტური რიგის ძ-საც, ისევე როგორც მაგალითთა წინა რიგში
შუასიბილანტური რიგის ძ-ს.

ს./ქართვ. *ძ ბასკ. ც/z

2.0. ს./ქართვ. *ცი||*ც ბასკური *ცი||ს (tz||z)

2.1.1. ს./ქართვ. *ჟარცა-ლ-ი

ქართ. ვარც-ლ-ი:

ბასკ. ონცი/ontzi

(ტრანსკრ.: onci)

- სვან. ღჷარჩ-ინ < *ჷარჩ-ი
„ფჷვილის ასადები“, „ჩოგანი“
„ვარკლი“
- 2.1.2. ს./ქართვ. *ფურც-ელ-ი
ქართ. ფურც-ელ-ი
„ფურცელი“, „ფოთოლი“:
ზან. ფურჩ-ა „სიმიინდის
ნაქურჩალი“
ბასკ. ორჩი <*ორცი/orri
<*ortzi
(ტრანსკრ.: orai < *orci)
„ფურცელი“
ი. ბრაუნის რეკონსტრუქცია
(ბრაუნი 1998 72)
- 2.1.3. ს./ქართვ. *ტყორც-
„სროლა“, გადაგდება“
ქართ. ტყორცნ-ა“ „id“,
სა-ტყორცნ-ი „ის რითაც
(ან რასაც) ისვრიან:
ზან. (ლაზ.) ო-ტყორ-უ
<*ო-ტყორჩ-უ
„გადაგდება“, „ტყორცნა“,
ო-ტყორ-ე „სატყორცნი
იარაღი“, „არბალეტი“.
ბასკ. ე-გოც-ი/e-gotz-i
(ტრანსკრ.: e-goc-i)
„განგდება“, „გადაგდება“
- 2.1.4. ს./ქართვ. *ცუშალ||*ცუშლ-
ქართ. ცვლ-ა,
ნა-ცვალ-ი „შემცვლელი“,
სა-ცვალ-ი „გამოსაცვლელი“,
ი-ცვლ-ი-ს (ის მას ზმნ.),
ი-ცვალ-ა (მან ის ზმნ.):
ბასკ. ი-ცულ-ი/i-tzul-i
(ტრანსკრ.: i-cul-i)
„დაბრუნება“
„ამობრუნება /
გადაბრუნება“
„გადაყირაუება“

სვან. ა-რშუილ/ა-რშულ
„საცვალი“, „კურთა“.

2.1.5. ს./ქართვ. *ცალ-/ცალ-

ქართ.(ძვ.) ცალ-იერ-ი /
(ახ.) ცარ-იელ-ი „დაცლილი“
„თავისუფალი“; მო-ცალ-ე
„ცარიელი“, „მოცლილი“,
„თავისუფალი“;

ცლა- „დაცარიელება“;

ცლ-ი-ს (ის მას ზმნ.) „აცარიელებს“

და ა.შ.

ზან. ჩოლ-ამ-ა „ცლა“,
„თავისუფალი დროის ქონება“

ჩოლ-ირ-ი „დაცლილი“;

მო-ჩოლ-ამ-ა „მოცლა“ და ა. შ.

ბასკ. მა-ჩარ < *მა-ცარ /
ma-txar < *ma-tzar

(ტრანსკრ.: *ma-čar < *mcar)

„ცარიელი“

ი. ბრაუნის რეკონსტრუქცია (ბრაუნი 1998 72).

2.1.6. ხ. ქართვ. *ქერცლ-ი

ქართ. ქერცლ-ი „id“:

სვან. ქერჩ „id“.

ქერჩაღ „ქერცლიანი“.

და სხვ.

ბასკ. ქაჩალ / kaxal

|| ახალ / azal

< *ქარცალ / *kartzal

„ტყავი“, „ქერქი“

ქურდიანის წესის თანახმად, ამ ბგერათშესატყვისობათა რიგში უნდა ჩადგეს:

2.1.7. ს./ქართვ. *მა-რცუ-ალ-ი

ან მა-რცუ-ალ-ი

ბასკ.: მუჩურ < *მაცურ

/mutxur < *matzur

ქართ. მარცვალ-ი „id“.

(ტრანსკრ.: mučur < *macur)

„მარცვალი“

ი. ბრაუნის რეკონსტრუქცია
(ბრაუნი 1998 71)

2.1.8. ს./ქართვ. უ-რც-ინ-ი ან

* ურ-ც-ინ-ი „სინდიოფალა“

ბასკ.: ურჩინ-ჩ < *ურცინ-ც /

urtxin-tx <

ქართ. ვრცინ-ი/ქურცინ-ი/

*urtzin-tz

ქრცვინ-ი/ქრცუნ-ი/

(ტრანსკრ.: <*urcin-i)

ქრცუნა

„ციყვი“, „სინდიოფალა“

„დედოფალა“, „ყარყუმი“

რ. ლაფონის რეკონსტრუქცია

„თრია“, „თრითინა“ (ფშავ.)

(ლაფონი 1948 366)

უ/ურცინი > ქურცინი

ლაბიოველარიზაციის პროცესის
შედეგად.

და სხვ.

2.2.1. ს./ქართვ.: *ცურ-ჟ-ა

ბასკ. ი-სურაა / i-zurra

ქართ. ცურ-გ-ა

(ტრანსკრ.: i-sura)

ზან. მეგრ. ჩურ-ჟ-ა ||

„ნაოსნობა“

ლაზ. ო-ნ¹ჩურ-ჟ

სიტყვა დადასტურებულია
980 წელს.

„ცურვა“

ამჟამად: 1. igeriketa;

2. nabigazio;

3. flotazio.

3.0. ს./ქართვ. *წი||წ

ბასკური ჩი||შ (ts||s)/(tx||x)

- 3.1.1. ს./ქართვ.: *წაბ-ალ-ი
ქართ. წაბ-ლ-ი
ზან. ჰუბ-ურ-ი
||ჰუბ-რ-ი „id“.
სვან. ჰებ < *ჰაბ < *ჰაბ-ი
„ბალი“
- ბასკ. შაფარ / sapar
„ეკრინჩხი“

(ტრანსკრ.: šapar)
„ეკლიანი (ქაცვიანი) მცენარე“
ბასკ. ჩაფარ-ლო / txapar-do
(ტრანსკრ.: çapar-do)
„წაბლი“
- 3.1.2. ს./ქართვ.: *წემ-ალ-ი
ქართ. წამ-ალ-ი < *წემ-ალ-ი
წემ ბალახი“, „თივა“,
ლერ-წამ-ი < *ლელ-წემ-ი:
ზან.(მეგრ.) ჰემ-ი || რჰემ-ი
< *ჰამ-ი (სიტყვაში
ლარ-ჰემ-ი <
*ლარ-ჰამ-ი „ლერწამი“),
(ლაზ.)ჰამ-ი „წამალი“
„საწამლავეი“ (სიტყვაში
მთხოლა-მანჰამურე
„შხამიანი ხელიკი“)
სვან. ჰემ < * ჰემ-ი „თივა“
- ბასკ. შამარ / samar
(ტრანსკრ.: šamar)
„წველი“, „ბალახის ღერი“
შამა-ჩ / sama-ts
„გამხმარი ბალახი“
- 3.1.3. ს./ქართვ. *წიჟ-ა
ქართ. წვა
ზან. მეგრ. ჰუ-ა „წვა“,
„ტივილი“,
ჰუ-ალ-ა „წვა“, „ცხობა“,
- ბასკ. შუ / su
(ტრანსკრ.: šu)
„ეცხლი“

უ-ჭ-უ „შეუწვავი“,
 „გამოუმცხვარი“
 ლაზ. ო-ჭ-უ „წვა“,
 „გამოცხობა“
 ჰუ-ერ-ი „დამწვარი“ და ა. შ.:
 სვან. ლი-ჭ-ი „ცხობა“
 ლგ-ჭ-ე „გამომცხვარი“,
 მგ-ჭ-ი „მცხობელი“

3.1.4. ს./ქართვ. *ძეწი-ან-ი ბასკ. სუსუნ <*სუშუნ /
 ქართ. ძეწნა „ტირიფი“, zuzun<*zusun
 „წნორი“ (ტრანსკრ.: susun < *sušun)
 ზან. ზიჭონ-ი <*ჯიჭონ-ი „id.“ „ვერხვი“

3.1.5. ს./ქართვ. *წმას-ნ-ა ბასკ. შიმიც /simitz
 ქართ. წმას-ნ-ა „გრეხა“, (ტრანსკრ.: šimic)
 „დახვევა“ „წნული“
 ზან.: მეგრ. ჰიმოშ-უ-ა/
 ჰუმოშ-უ-ა „თამბაქოს
 ფოთლების დახვევა“
 ლაზ. ო-ჰიმოშ-უ „თოკის გრეხა“

3.1.6. ს./ქართვ. *წილ-ელ-უ-ა ბასკური: ი-შოლ / i-sol
 ქართ. წველ-ვა, წველ-ა (ტრანსკრ.: i-šol)
 „საზომი“: „თავსხმა“
 ზან. მეგრ. ჰუ-ალ-უ-ა „წველა“
 || ლაზ. ო-წილ-ელ-უ „id“

მეგრ. **ჰუ-ალ-ა** „წველა (საზომი)“.
და სხვ.

საერთოქართველურ შუასიბილანტურ *წ-ს, გარდა ბასკური შ/s-სა შეესატყვისება სარეთოქართველურ წინასიბილანტურ *წ-საც:

- 3.1.7. ს./ქართვ. *წ-ილ-ჰ-ა
ქართ. მო-წ-ილ-ვა „მოკრევა“,
გან-წ-ილ-ვა „განყოფა“,
ნა-წ-ილ-ი „გამოკერძილი“,
წ-ილ-ი „კერძი“
ზან. წ-ილ-ჰ-ა „კრევა“
ლაზ. ო-წილ-ჰ „id“
- ბასკური: ი-შილ / i-sil
(ტრანსკრ.: i-sil)
„იღუმალეზა“
„დუმილი“
„სიჩუმე“
სემანტიკური გადახრა:
„დუმილი“ <*„განმარტოება“
<*„განკერძოება“
- 3.1.8. ს./ქართვ. *წ-ოჰ-ა
*√ წოჰ || *წჰ || *წ
ქართ. წ-ოვ-ა
ზან. მეგრ. წუ-ალ-ა „წოვა“
ლაზ. ო-წ-ჰ „id“
მეგრ. წუნ-ს || ლაზ. წუფ-ს
სვან. ენ-წ-ობ-ე „მოსრუტა“,
„მოწრუტა“.
- ბასკური: უშ<* შჰ / us<*sw
„წოვა“
(ტრანსკრ.: uš < *šw)
e-ra-us-ki < *e-ra-sw-ki
„წოვა“
e-ra-us-tu < *e-ra-sw-tu
„წოვა“
- 3.1.9. ს./ქართვ. *წურ-ჰ-ა
ქართ. წურ-ვ-ა
ზან. წირ-ჰ-ა || წგრ-ჰ-ა
<*წურ-ჰ-ა „წურვა“
- ბასკური: ი-შურ-ი / i-sur-i
„დვრა“, „სხმა“
(ტრანსკრ.: i-sur-i)

სვან. ლი-წურ-ე „წურვა“,
ო-ხ-წურ-ე „გავწურე“
და სხვ.

წინამდებარე მაგალითთა უმრავლესობაში შესატყვისება პოვნის-
ერია არა მხოლოდ ძირის, არამედ ფუძის დონეზეც, რაც ასახულია
მათ სეგმენტაციაში და ამაზე ყურადღებას საგანგებოდ ამიტომ აღარ
ვამახვილებ.

ქურდიანის წესის თანახმად, ამ ბგერათშესატყვისობათა რიგში
უნდა ჩადგეს:

3.1.10. ს./ქართვ. *წალ-ი	ბასკური შარაი /sarri
ქართ. წალ-ი „წალმდის თიკანი“	„არჩვი“, „ფსიტი“ (ტრანსკრ.: šari)

იმას, რომ ამ ძირში საერთო-ქართველურის შუასიბილანტური
რიგის *წ-ს აღვადგენ და არა წინა-სიბილანტური რიგის *წ-ს, სა-
ფუძვლად აკად. ქ. ლომთათიძის არგუმენტირებული მოსაზრება უდევს.

სარეთო-ქართველური *წ- (ქ. ლომთათიძის ინტერპრეტაციით *წ, ის
პრინციპულად არ ასხვავებს სისინა სიბილანტთა ორ რიგს) ძირი მან
დაუკავშირა „გაჩენის“ სემანტიკას 1) ქართ. — წ-ულ-ი: სვან. ჭ-უმ < *ჭ-ულ-
ი „ნაშობი“; 2) ქართ. ბერ-წ-ი: ზან. ბურ-ჭ-ი „არამშობელი“ და სხვ.

„შესაძლებლად მიგვაჩნია, ამ კონტექსტში დაისვას საკითხი
ქართული წალ-ის რაობისა.

ზოგის მიერ იგი ჩათვლილია ხუნძური წე „თხის“ სახელიდან
მომდინარედ. ზოგი მას უკავშირებს სვანური „ვირის“ აღმნიშვნელ
წელ ფუძეს. საბას განმარტებით, წალი არის „წალმდის თიკანი“,
იქვე „თხა“ სიტყვასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: ეწოდება

„ჩჩვლსა თიკანსა ბატკი და წლამდე (წლის B) თიკანსა წალი“.

არის მისი განსხვავებული ინტერპრეტაციის საფუძველი. ალ. კინჭარაულის ხევსურულ მასალაში კვითხულობთ: „მეორეს წელში რო ჩადგების, სათხეს თიკანს წალ ხქვიანის, სავაცეს — ვაცუნი“. ამ კონტექსტში საგულისხმოა გიორგი ბოჭორიძის მიერ თუშეთში ჩაწერილი მეცხოველეობის მასალა. აქ კვითხულობთ: „დედალი თიკანი ერთი წლისა რომ გახდება, იქნება „წალი“. ის მოიგებს 1 ციკანს, იტყვიან „წალმა მოიგო“ (sic! ქლ.), უდროოდ ინერბება და უდროოდ იგებს, რადგანაც დედა მათ ერთ წლამდე არ იშორებს... მეორედ რომ მოიგებს, გახდება „შუნი“, მეორედ და შემდეგ ის სულ ორ-ორს იგებს“. თუ ამ კონტექსტს დავემყარებით, წალი შეიძლება გავიგოთ ისეთ თიკანად, რომელსაც უნარი აქვს „შობა-გაჩენისა“ და ამდენადვე, შესაძლოა, იგი ზემოთ დასახელებულ „გაჩენის“ წ ძირს დაკავშირებოდა“ (ლომთათიძე 1995 262). და სხვ

3.1.11. ქართ. წრდ-ოლ-ა
„დინება“

ბასკ. ი-შულდ-ი / i-suld-i
(ტრანსკრ.: i-šuld-i)
„ღერა“

არ არის გამორიცხული ქართ. წრდ-ოლ-ა უკავშირდებოდეს ქართ. წრ-ედ--ა > წრ-ეტ-ა ფუძეს (ზან. მეგრ.წირ-იდ-უ-ა „წრეტა“), რაც „სრულიად წარმოცლას“, „სრულობით დაცარიელებას“ (საბა) ნიშნავს. ფუძისეული ხმოვანი შეიძლება პროთეტულად მიგვეჩნია თუმცა მისი სხვაგვარი ახსნაც არ მიმაჩნია შეუძლებლად.

3.2.1. ს./ქართვე. *ანწი-ლ-ი
ქართ. ანწლ-ი

ბასკ. ინჩუ-შა / intsu-sa
(ტრანსკრ.: inču-ša)

ზან. ინჰირ-ი /ინჰერ-ი „id“ „ანწლი“
 სვან. განჰჷ „id“. კინტანას აზრით:
 intsu-sa < *ensu
 („კინტანა 1981 220)

3.2.2. ს./ქართვ. *ნე-რწყ-ჷ-ი ბასკ. ი-ნ-ორჩ-ი < *ი-ნორ
 „მედინი სითხე“ ჩ-ი ან < *ინე-ჩჷ-ი
 ქართ. ნე-რწყ-ვი „ფურთხი“ / i-nots-i < *i-norts-i ან
 რწყ-ვა — „წყლის მიშვება“, < *i-nvtsw-i
 „დასველება“, (ტრანსკრ.: i-noč-i < *i-norč-i
 რწყ-ევ-ა „ღებინება“ ან < *i-nv-čw-i)
 ზან. ლე-რჰჷ-ჷ-ი „ნერწყვი“ „წყაროსთვალი“, „ღენა
 სვან. ნა-შჷჷ „ფურთხი“. (სითხის)“.
 რეკონსტრუქცია: 1. მ. ქურდიანი
 2. ი. ბრაუნე (ბრაუნე 1998 74).


3.2.3. ს./ქართვ. *მარწყ-ჷ-ი ბასკ. მართუ-ჩ/შ < *მარჩუ-შ /
 ქართ. მარწყვი martu-ts/s < *martsu-s
 სვან. ბასჷ < *მასჷ-ი და მარჩუ-ქა / martsu-ka
 < *მარწყ-ჷ-ი `id~. (ტრანსკრ.: < *martu-č/š
 marču-š; და marču-ka)
 „თუთა“, „მაყვალ“

და სხვ.

შესატყვისობათა ზემომოყვანილმა მაგალითებმა, რომლებითაც ცალსახად, ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მკაცრი დაცვით, მტყიცდება ქართველური და ბასკური ენების ნათესაობა, იან ბრაუნს მისცა საფუძველი საერთო ბასკურ-ქართველური ენობრივი

ერთობის პოსტულირებასთან ერთად მოეხდინა ამ საერთო ფუძე-ენის, რომელსაც ის წინარექართველურს უწოდებს, სიბილანტთა სისტემის რეკონსტრუქცია და მასში სიბილანტთა ერთი, „სისინა“ რიგის დაშვებისა (ბრაუნი 1998 126).

ბასკურ-ქართველური ბგერათშესატყვისობების სისტემა სიბილანტურ აფრიკატთა რიგში შემდეგი სქემის სახით შეიძლება იქნეს წარმოდენილი:



შესატყვისობათა ამ სქემას ქართველურ-ნახურ-დაღესტნური (resp. აღმოსავლურ კავკასიური) და ქართველურ-აფხაზურ-ადიღური შესატყვისობების ვერიფიკაციისათვისაც აქვს მნიშვნელობა: რაკი იქაც შესატყვისობები სიბილანტთა ერთ რიგს გულისხმობს ამოსავლად

ანუ საერთო-ქართველური სიბილანტების სამივე რიგს ბასკურშიც და ჩრდილო კავკასიურის ორივე ჯგუფში ერთი რიგის შესატყვისობები მოეპოვება.

იან ბრაუნის „წინარე-ქართველურს“ წინამდებარე წიგნში შეესატყვისება ტერმინი „საერთო-ბასკურ-ქართველური“, ხოლო სიბილანტთა ერთ რიგს, რომელიც ბრაუნის კვალიფიკაციით „სისინა“ იყო, მე მოვიხსენიებ როგორც „სისინ-შიშინას“. საერთო-ბასკურ-ქართველური სიბილანტური რიგის „სისინად“ კვალიფიკაცია არაკორექტულია „შიშინა“ რიგთან ოპოზიციის უქონლობის გამო.

ქართველურ-ბასკური შესატყვისობები, ცხადია, მხოლოდ სიბილანტურ აფრიკატთა რიგით არ ამოიწურება, კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისობები პოვნიერია სიბილანტურ სპირანტთა რიგშიც:

4.0. ს./ქართვ. ს||ს| ბასკ. ს (z)

4.1.1. ს./ქართვ. *სურ-ი

ქართ. სურ-ო

ზან. სურჟ-ი <*სურ-ი „id“

(პალატალური აფრიკატი-

ზაციის პროცესის შედეგად).

ბასკ. სირ-ა / zir-a

(ტრანსკრ.: sira)

„სურო“

4.1.2. ს./ქართვ. *სთჳ-ელ-ი

„რთველი“

ქართ. ძვ. ქართ. სთჳ-ელ-ი

„რთველი“, სთჳ-ლ-ა „კრეფა“

ახ. ქართ. რთვ-ელ-ი

< სთჳ-ელ-ი,

ზან.(ლაზ.) დო-სთ-ჳ-ნ

„იგლიჯება“, წყდება“.

ბასკ. უ-სთარ-ო / u-ztar-o

(ტრანსკრ.: ustaro)

„რთველი“, „მოსავლის

აღება“

- 4.1.3. ს./ქართვ. *სარ||*სრ-უ-ა ბასკ. ი-სურა-ი / i-zurr-i
 ქართვ.ძვ. მო-ვ-სარ „მოვსპე“, (ტრანსკრ.: isurai)
 „ამოვწყვიტე“; მო-სრ-ვა „მოს- „პირი“, „ეპიდემია“
 პობა“, „ამოწყვეტა“
 ზან. ეკო-შირ-უ „ამოწყვეტა“
 დო-შირ-უ „დაილია“, „დასრულდა“
 ზანურში შირ < *შრ, არაკანონიკუ-
 რი კომპლექსის სუპერაციის გზით
 (CS>CVS) ან შირ
 < *შურ < *შორ (CVS)
 შედეგი ორივე შემთხვევაში
 იგივეა.

და სხვა.

მოვიყვან რამდენიმე მაგალითს ქართველურ ხშულთა კანონზომ-
 იერი და რეგულარული შესატყვისობებისას ბასკურში:

5.0. ს./ქართვ. *თ || *სთ ბასკ. ს (z)

- 5.1.1. ს./ქართვ. *თელ-ი ბასკ. სერაი / zerri
 „გოჭი“ (ტრანსკრ.: serai)
 ქართვ.ძვ. თელ-ი „გოჭი“ „ლორი“
 ზან. მეგრ. თ-უ||
 ლაზ. თ-ილ-ა „id“.
- 5.1.2. ს./ქართვ. *თალ-/*თლ-ა ბასკ. სალ-დუ / zal-du
 ქართ. თალ-ა (მან ის ზმნ.) (ტრანსკრ.: sal-du)

თლ-ა (თალ- ზმნით
გამოხატული
მოქმედების სახელი)
ზან. თოლ-უ-ა „თლა“
თოლ-ირ-ი „გათლილი“
სვან. თალ „სოლი“

„თრიმლვა“
სემანტიკური გადახრა:
თრიმლვა < მცენარის, თრიმ-
ლის, გათლა, მისი კანისა და
მერქნის ჩამოთლა, ცხოველის
ტყავის დამუშავების მიზნით.

5.1.3. ს./ქართვ. *-თ-/*-ით
მოქმედებითი ბრუნვის
(ინსტრუმენტალისის) ნიშანი
ქართ. კაც-ი კაც-ით, ხე ხ-ით
სურო სურო-თი, ქვა ქვ-ით,
რუ რუ-თ-ი და ა. შ.
ზან. კოჩი „კაცი“
კოჩ-ით(-ი) „კაცით“, ხე „ხელი“,
ხე-თ-ი „ხელით“,
ორო „ჩრდილი“
ორო-თ-ი „ჩრდილით“,
ქუა „ქვა“ ქუა-თ-ი „ქვით“,
რობუ „რუ“
რობუ-თ-ი „რუთი“ და ა. შ.

ბასკ. -ხ/-ეს /-z/-ez
ინსტრუმენტალისის (მოქ-
მედებითი ბრუნვის) ნიშანი
ბიჰოცა / bihotza „გული“
ბიჰოც-ეს / bihotz-ez „გულით“
არიმა / arima „სული“
არიმა-ხ / arima-z „სულით“

5.1.4. ს./ქართვ. *-თ-/*-სით
სუბიექტის მრავლობითი
რიცხვის ნიშანი
ქართ. -თ < *სთ
მივდივარ (მე) — მივდი-

ბასკ. -ხ / -z
სუბიექტის მრავლობითი
რიცხვის ნიშანი
ნოა / noa „მივდივარ“
გოა-ხ / goa-z „მივდივართ“;

ვარ-თ (ჩვენ); გიცნობს
(ის შენ) — გიცნობთ (ის
თქვენ); ვარ (მე) — ვარ-თ
(ჩვენ) და ა. შ.

ზან. თ<*შთ; მეგრ. ვ-ორ-ე-ქ
„ვარ“, ვ-ორ-ე-თ „ვართ“
ლაზ. ბო-ორ-ე <*ვ-ორ-ე-ქ
„ვარ“ ბ-ორ-ე-თ <*ვ-ორ-ე-თ
„ვართ“

სვან. შდ<*შთ

ხუ-ი „ვარ“

(ექსკლ.) ხუ-ი-შდ „ვართ“.

(ინკლ.) ლ-ი-შდ „ვართ“.

ჰასაგუ / hazagu „გიცნობს“
სასაგუ-ს / zazagu-z
„გიცნობთ“.

5.1.5. ს./ქართვ. *სთამ-ალ-ი „თმა“,
„მატყლი“ (კლიმოვი 1964 95)
ქართ. თმა<*თამა<*სთამ-ალ-ი
ძვ. ქართ. თმ-ა-დ
ზან. თომ-ა „თმა“, „ბეწვი“,
„ბალანი“, „მატყლი“
თომ-ა-ლ-ეფ-ი „თმები“
სვან. შდმ<*შდამ-ი<*შთამ-ი
„გამონაყარი“ (სხეულის ერთიანი
დაფარვა პატარა მუწუკებით).

ბასკ. სამარ / zamar
(ტრანსკრ.: samar)
„თმა“, „გაწეწილი
თმა“, „საწმისი“,
„მატყლი“, „ბეწვი“,
„ბალანი“, „ფაფარი“,
„ხშირი თმა“
(ჩახნაშვილი 1989
202-203).

- 5.1.6. ს./ქართვ. *სით-ოჲ
 ზმნ. *სით-ოჲ-ს
 სახ. *სით-ოჲ-ლ-ი
 ქართ. თოვ-ს, თოვ-ა, თოვ-ლ-ი
 ზან.მეგრ. თუნ-ს / ლაზ. მ-თუფ-ს
 „თოვს“,
 მეგრ. თუ-ალ-ა / ლაზ. ო-მ-თ-უ
 „თოვა“, თი-რ-ი „თოვლი“
 სვან. შდუჲ-ე, შდუჲ-ა, ლი-შდუჲ-ე,
 „თოვს“, „თოვა“, „გათოვება“
- 5.1.7. ს./ქართვ. *თ-ერ-ი
 „თეთრი
 ქართ. თეთრი < *თერ-თრ-ი
 < *თერ+თერ-ი
 (ი. ბრაუნის ეტიმოლოგიით
 თეთრი < *დე-თრ-ი)
 სვან. თერ „თვალი“,
 თერ-ა „ჩანს“

ბასკ. სური / zuri
 (ტრანსკრ.: სური)
 „თეთრი“

და სხვ.

6.0. ს./ქართვ. *თ||სით ბასკ. შ (s)

- 6.1.1. ს./ქართვ. *სითაგუ
 ქართ.ძვ. თაგჲ-ი, ახ. თაგვ-ი
 ზან. ლაზ. მ-თუგ-ი „თაგვი“
 სვან. შდუგჲ < *შთაგჲ „თაგვი“
- ბასკ. შაგუ / sagu
 (ტრანსკრ.: sagu)
 „თაგვი“

6.1.2. ს./ქართვ. *თაფ-ალ-ი	ბასკ. შაფარ / sapar
„თაფლი“	(ტრანსკრ.: šapar)
ქართ. თაფ-ლ-ი	„ცვილი“
ზან. თოფ-ურ-ი „თაფლი“	
სვან. თუ / თუ-ი „თაფლი“	

რაკი შესატყვისობათა ეს რიგი სავალდებულო სამზე ნაკლებ მაგალითს მოიცავდა, ის „ორ გამონაკლისად“ აღიქმებოდა და ითვლებოდა, რომ „ამ მაგალითებს ახსნა არ ეძებნება“ (ბრაუნი 1981 206; ბრაუნი 1998 14).

ჩემ მიერ გამოვლენილ იქნა მესამე მაგალითიც, რომელმაც შესატყვისობათა ამ რიგსაც კანონზომიერად რეგულარული ხასიათი მიანიჭა:

6.1.3. ს./ქართვ. *თოკ-ი	ბასკ. შოკა / soka
ქართ. თოკ-ი	(ტრანსკრ.: šoka)
ზან. თოკ-ი „id“	„თოკი“
სვან. თჷკუ < *თეკუ	
< *თუჷეკ < *თოკ-ი „id“	
(ქართ. თოკ-ი > ახ. სომხ. tok „id“).	

კანონზომიერი და რეგულარული რეფლექსებით არის წარმოდგენილი ფარინგალურ ხშულთა დეფექტური სამეულის ორივე ყრუ წევრი საერთოქართველურსა და ბასკურში, ფშვინვიერიცა და მკვეთრიც.

7.0. ს./ქართვ. ჯ ბასკური ჰ (h)

7.1.1. ს./ქართვ. *ჯარ-ი ბასკ. ჰარ / har
 „ხვადი“, „ხარი“ „ბულა“, „ხვადი“, მამრი“
 ქართ. ხარ-ი || < ჯარ-ი
 შდრ. ხარ-ირემი, ხარ-ჯიხვი და სხვ.:
 ზან. ხოჯ-ი < *ხორ-ი
 < *ჯორ-ი „ხარი“

ამ შეპირისპირებაში პრინციპული მნიშვნელობისაა ქართულსა და ბასკურში პონენიერი სიტყვები, რომლებიც ქართ. ჯარ>||ხარ და ბასკ. har ძირებიდან არის ნაწარმოები და გასაოცარ იზომორფიზმს ავლენენ:

ქართ. სა-ჯრ-ე>||სა-ხრ-ე ბასკ. საჰარო / zaharo
 <*სა-ჯარ-ე>||*სა-ხარ-ე (ტრანსკრ.: saharo)
 „ხარების გასარეკი შოლტი“ „შოლტი“

საერთოდაც უნდა ითქვას, რომ სა-/za- პრეფიქსის გაქვევებულ სახით გამოვლენა ბასკურში ცალკე ექსკურსის თემაა, აქ ამ საკითხზე აღარ შევჩერდებით.

7.1.2. ს./ქართვ. *ლოჯ-ი ბასკ. ლოჰი / lohi
 „ჰუჰჰი“ „ჰუჰჰი“
 ქართ. ლოხ-ი ||< ლოჯ-ი
 „ჰუჰჰი“ (მოხ.), „ძალიან
 ჰუჰჰიანი წყალი“ (მთიული)
 ზან. ლოხ-ი „ზუნზლი“
 ეკო-ლოხ-ილ-გ [კოჩ-ი]
 „მოზუნზლოლი [კაცი“

<p>7.1.3. ს./ქართვ. *ვობ-ი/ვჭაბ-ი „ორმო“, „ჩალრმავებული ადგილი“ ქართ. ვოფ-ი<*ვობ-ი ვოფ-ი „ორმო“ (მობ.), ვვაფ „ამოლრმავებული“ (ხეცს.) ვვაფ-ი „ჩალრმავებული ადგილი“ (თუშ.): ზან. ხობ-ი (ტოპონიმი) „ჩალრმავებული ადგილი“ და სხვ.</p>	<p>ბასკ. ჰობი / hobi „ორმო“, „თხრილი“, „საფლავი“.</p>
--	--

8.0. ს./ქართვ. *ყ ბასკური ლ (l)

<p>8.1.1. ს./ქართვ. *ყინ-ი, *ყინ-ელ-ი, *ყინ-ჭ-ა „სიცივე“, „ყინვა“, „ყინული“ ქართ. ყინ-ულ-ი, ყინ-ვა ზან. ყინ-ი / ცინ-ი (მეგრ.) „ყინ- ული“ (ლაზ.) „ცივი“; (მეგრ.) ცინ-უ-ა „ყინვა“ (ლაზ.) ო-ყინ-უ „id“ ცინ-ერ-ი / ყინ-ერ-ი (მეგრ.) „გაყინული“ (ლაზ.) „ყინული“ ინ-ვა < *ცინ-ვა (ლაზ.) „ზამთარი“.</p>	<p>ბასკ. ლინ / lin (ტრანსკრიფცია: lin) „ყინული“ სიტყვაში: ლინ-ათაში /lin-atasi „სეტყვა“, „ყინულის ნატეხი“.</p>
---	---

- 8.1.2. ს./ქართვ. *ყან-ა ბასკ. ლან / lan
ქართ. ყან-ა : „საველე (სამინდვრე)
ზან. ყონ-ა >/ ცონ-ა სამუშაოები“
„ყანა“ იხ. აგრეთვე:
ლანცარ / lantzar „ყამირი“
ლანდაცე / landatze „ნათესი“
ლანდა / landa „მინდორი“,
„ლია (გაშლილი) ადგილი“.
- 8.1.3. ს./ქართვ. *ყუარ- ბასკ. ლაროუ- / larru-
*ყუარ-ობა „სიყვარული“ (ტარნსკარ.: larau)
ქართ. ძვ. მი-ყუარ-ს / ლაროუა ეო / larrua jo
ახ. მი-ყვარ-ს, სი-ყვარ-ული-ი, (ვეულგ.) „კოიტუსი“;
სა-ყვარ-ელი-ი, ლაროუთან ეგინ /
ვ-ყვარ-ობ „მიყვარს“ larrutan egin
ზან. მი-ცორ-ს „მიყვარს“ (ვეულგ.) კოიტუსი“
ყორ-ოფ-ა>/ ცორ-ოფ-ა ბრაუნი 1998 93)
„სიყვარული (ყვარობა)“
(შდრ.: (მეგრ.) ყორ-ოფ-ილი-ი ||
(ლაზ.) ყორ-ოფ-ერი „საყვარელი“;
(ლაზ.) ვ-ყორ-ომ „ყვარობ“.
- 8.1.4. ს./ქართვ. *ყუ-ა ბასკ. ბე-ლარ/be-lar
„კიდე“: <*ბე-ლ-არ
ქართ. ყუ-ა „id.“ „შუბლი“
ზან. ყვ-ა || ცვ-ა
„შუბლი“

სვან. ყუ-ა || ყუ-ვ-ა
 „ყუა“, „კიდე“

და სხვ.

სემანტიკური გადახრა „კიდე“ > „შუბლი“ სვამს კითხვას „კიდე“ > „ყური“-ს ურთიერთმიმართების შესახებ:

ხომ არ არის ქართველური *ყურ-ი (< *ყუ-რ-ი) ნაწარმოები იმავე *ყუ-||*ყუ- („კიდე“) ძირიდან საიდანაც არის ნაწარმოები *ყუ-ა „შუბლი“ შდრ. ბასკური ბე-ლარ / be-lar „შუბლი“ და ბე-ლარი / be-lari „ყური“.

ასევე კანონზომიერი და რეგულარულია შესატყვისობები საერთო-ქართველური უკანაენისმიერი სპირანტებისა ბასკურში:

9.0. ს./ქართვ. *ღ ბასკური ჰ (h)

9.1.1. ს./ქართვ. *ღარ-ი

ქართ. ღარ-ი

ზან. ღოარ-ე „ღარი“

სვან. ღჳრ < *ღარ-ი „ხევი“

ბასკ. ჰარო / harro

(ტრანსკრ.: haro)

„ხერელი“, „ლიობი“,

„ცარიელი“

არო < *ჰარო / aro < *harro

(ტრანსკრ.: aro)

„ხევი“, „ხეობა“.

9.1.2. ს./ქართვ. *ღერ-ი||*ღერ-ო

ქართ. ღერ-ი || ღერ-ო:

სვან. ღერ „ღერო“.

ბასკ. ჰერო / herro

(ტრანსკრ.: hero)

„ფესვი“, „ძირი“,

„ფუძე“

9.1.3. ს./ქართვ. *უღელ-ი

ბასკ. უჰ-ალ / uh-al ||

ქართ. უღ-ელ-ი	უგ-ალ / ug-al
ზან. უღ-უ „id“	„ღვედი“, „ჭაპანი“
სვან. უღ-ჟ-ა „id“.	სემანტიკური გადახრა: „ღვედი“ < „ჭაპანი“ < „უღელი“.

9.1.4. ს./ქართვ. *ღუნ-ჟ-ა (ზმნ.)	ბასკ. ბიჰურაი / bihurri
*ღუნ-ლ-ი (სახ)	(ტრანსკრ.: bihurri)
„ღუნვა“ „მოღუნული“,	„დაგრეხილი“, „მრუდე“
„მოხრა“ „სადრეკელი“, „კლა- კნა“ „კლაკნილი“.	„აბურღული“, „მტყუანი“
ქართ. ღუნ-ვა / ბ-ღუნ-ვა;	
ღუნ-ლ-ი / მ-ღუნ-ლ-ი „ნამგალი“	
ზან. ღუნ-ა „მოღუნული“,	
„მრუდი“, „მტყუანი“	
სვან. ღუნ-ჟ-ჲ „მუხლი“ („სადრეკელი“)	

ბასკურმა ფორმამ ბიჰურაი / bihurri შეიძლება ანლაუტში პროტოქართველურ (საერთო-ბასკურ-ქართველურ) დონეზე დასაშვები გახადოს ბ-ს რეკონსტრუქცია:

ზმნაში — *ღუნ-ჟ-ა < *ბ-ღუნ-ჟ-ა

სახელში — *ღუნ-ლ-ი < *მ-ღუნ-ლ-ი < *ბ-ღუნ-ლ-ი

ქურდიანის წესის თანახმად, ბგერათმეცნიერების თანახმად, ბგერათმეცნიერების თანახმად, ამ რიგში უნდა ჩადგეს:

9.1.5. ს./ქართვ. *ღურ-ა *ღურ-ა	ბასკ. ჰურ / hur
„სითხის დენა“ / *ღურ-ი	„წყალი“
„სითხის ნაკადი“	

ქართ. ღვრ-ა
ღვარ-ი.

და სხვ.

ასევე რეგულარულად და კანონზომიერად შეესატყვისება საერთოქართველურ /*ღ/ ფონემას ბასკური * გ/გ.

პირველ რიგში, ეს არის ქართვ. ღ ბასკ. ჰ/h შესატყვისობის დუბლეტები, დაცული ბასკურ დიალექტებში.

9.2.1. ს./ქართვ. *ულ-ელ-ი

ქართ. ულ-ელ-ი

ზან. ულ-უ „id“

სვან. ულ-უ-ა „id“

ბასკ. უგ-ალ / ug-al ||

უჰ-ალ / uh-al „ღვედი“,
„ჭაპანი“

სემანტიკური გადახრა:

„ღვედი“ < „ჭაპანი“

< „ულელი“ (იხ. 9.1.3.).

9.2.2. ს./ქართვ. *ღუნ-ჟ-ა

(ზმნ.) || *ღუნ-ლ-ი

(სახ.)

„ღუნვა“ || „მოღუნული“,

„მოხრა“ || „სადრეკელი“,

„კლაკნა“ || „კლაკნილი“

ქართ. ღუნ-ვა / ბ-ღუნ-ვა;

ღუნ-ლ-ი / მ-ღუნ-ლ-ი „ნამგალი“

ზან. ღუნ-ა „მოღუნული“,

„მრუდი“, „მტყუანი“

სვან. ღუნ-ა-ღ „მუხლი (სადრეკელი“)

და სხვ.

ბასკ. ბიგურაი / bigurri

|| ბიჰურაი / bihurri

(ტრანსკრ.: bigurai||bihurai)

„დაგრეხილი“, „მრუდე“

„აბურდული“,

„მტყუანი“

(იხ. 9.1.4.)

მაგრამ გვაქვს ოდენ ლ გ/გ შესატყვისობის მაგალითებიც:

- 9.2.3. ს./ქართვ. *ღ-ღ-ი-ა||*ღ-ელ-ი-ა ბასკ. ე-გალ / e-gal
 „სახრელი“, „სადრეკელი“ || მა-გალ / ma-gal
 ქართ. ძვ. ღლია „ფრთა“
 ახ. იღლია
 ზან. რღია<*ღრია/*ღლია
 „იღლია“
 სუპერაციის წესით C+S>SC
 ან C+S>C+V+S
 იხ. აგრეთვე ლაზ. ღალ-ა
 -ჯიჯ-ი „ღლია“
 სვან. ლწ-ღლია-შ /
 ლწ-ღელია-შ /
 ნწ-ღლია-შ „იღლია“
 შდრ.: სვან. ღალე/
 ღწლე „ფრთა“.
- 9.2.4. ს./ქართვ. *ძარღუ-ი ბასკ. ი-სოროლ <*ი-სორგო /
 ქართ. ძვ. ძარღუ-ი i-zorro <*i-zorgo
 ახ. ძარღვი „id“: (ტრანსკრ.: i-soro<*i-sorgo)
 ზან. ჭერღვი<*ჯორღვი „ფეხვი“
 „ძარღვი“
 უმლაუტის გზით; მა-ჭერღვი-ი ი.ბრაუნის რეკონსტრუქცია.
 (ბოტ.) „მრავალძარღვა“ (ბრაუნი 1998 90)
 სვან. ჭწარღუ „ძარღვი“
 და სხვ.

9.2.5. ს./ქართვ. *ლეღ-ჟი

„ხორცი“

ქართ. ლეღ-ჟი

„ლეღვი“ < „რბილობი“

< *„ხორცი“

სვან. ლეღ-ჟი „ხორცი“

ბასკ. არაგი / aragi

„ხორცი“

დადასტურებულია 1140 წ.

(ტოვარი 1980 21)

ამჟამად ჰარაგი / haragi

ქურდიანის წესის თანახმად, ბგერათშესატყვისობათა ამ რიგში უნდა ჩადგეს.

9.2.6. ქართ. ახ. ნა-ღვ-ელ-ი

ძვ. ქართ. ნა-ჟღ-ელ-ი

< ნა-ღჟ-ელ-ი

მეტეფზისით

ბასკ. გიბელ<*გიჟელ /

gibel<*giwel

(ახალ ბასკურში w (ან v)

ფონემები არ მოიპოვება

ძველი ბასკურისაგან (აკვი-

ტანიურისაგან) განსხვავე-

ბით, სადაც w ფონემა იყო

პოვნიერი ამიტომ w>b)

„ღვიძლი“

და სხვ.

კანონზომიერებისა და რეგულარულობის თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა ქართველურ-ბასკური ბგერათშესატყვისობა, რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იქნეს როგორც ს./ქართვ. *რძ/*ძ||*რძი/*ძი ბასკ. რღ/ღ(rd/d).

ეს ბგერათშესატყვისობა საინტერესო იმითაა, რომ სავარაუდოდ პროტო-ქართველური (საერთო-ბასკურ-ქართველური) ენის ჩვენება ამ შემთხვევაში ბასკურს უფრო ადევკატურად აქვს დაცული, ვიდრე ქართველურს.

10.0. ს./ქართვ. *რძ/*ძ||*რძი/*ძი||*რჯ/*ჯ ბასკ. რღ/ღ(rd/d)

10.1.1. ს./ქართვ. *ჟერძი-ი ბასკ. არდი /ardi
„მამალი ცხვარი“ „ცხვარი“
ქართ. ვერძ-ი
„მამალი ცხვარი“
ზან. ერჯ-ი < *ჟარჯ-ი
„მამალი ცხვარი“
ერჯ-აკ-ა „ბატკანი“,
„პატარა ცხვარი“

10.1.2. ს./ქართვ. *ბრძი-ინ-ა||*ბურძი-ინ-ა ბასკ. ბურდინა/burdina
და *ბლენძი-ი „მეტალი“ „მეტალი“ „რკინა“
ქართ. 1) ბრძ-მ-ედ-ი < *ბრძ-ჟ-ედ-ი
ან *ბრძ-ნ-ედ-ი „ილეკროს სად-
ნობელი“ (საბა) / „მადნის სად-
ნობი ქურა“;
ბრძ-ჟ-ა || ბრძ-ოლ-ა ეტიმ.:
„შეტაკება მეტალის (ბრინჯაოს)
იარაღით“ შდრ.: რკინა „მეტალი“
და რკენა, შერკინება ეტიმ.
„შეტაკება რკინის იარაღით“,
მორკინალი ეტიმ. „რკინის
იარაღით მეომარი“.
2) სპილენძ-ი < *პილენძ-ი
< *ბილენძ-ი „სპილენძი“
ბილ > პილ (ლ-ს გავლენით)
ზან. 1) ბირინჯა < *ბურჯინა||

*ბურუნჯა „ბრინჯაო“;

ბურჯ-აფ-ი „რკენა“.

2) ლენჯი < *ბილანჯ-ი

„სპილენძი“ (უმლაუტის გზით)

სვან. 1) ბერეჟ < *ბირენჯ „რკინა“

2) სპელენჯ < სპილენჯ < *პილენჯ

(სპ < * პ ქართულთან კონტამინაციით)

„სპილენძი“

შღრ. შუმ. urudu (urud-ა სადაც -ა აქადურის სახელობითი ბრუნვის ნიშანი უნდა იყოს) < *urud < *burud „სპილენძი“. თავის მხრივ, შუმ. urud(u) > ინდო-ევროპული *r(e)ud[h] „სპილენძი“ (გამყრელიძე, ივანოვი 1984 712).

ბასკ. burdin-ის შესადარებლად სხვადასხვა ოჯახის ენებთან: იხ. ლოპელმანი 1968 238.

10.1.3. ს./ქართვ. *კერძ-ი ან კერძ-ი

„წილი“, „ნაწილი“:

ქართ. კერძ-ი „წილი“,

„ნაწილი“, ნახევარი“:

სვან.ჩოლ. ჭარჟ-ი < *კარჯ-ი

„დაძალეზა“, „მიკუთვნება“ /

„მიკერძება“ (ვინმესთვის რამისა

მისი ნების წინააღმდეგ).

ახსნას მოითხოვს ხმოვანთა შე-

სატყვისობის დარღვევა ქართ.

ე სვან. ა მოსალოდნელი

ბასკ. ერდი < *ქერდი/

erdi < *kerdi „ნახევარი“

ი.ბრაუნის რეკონსტრუქცია

(ბრაუნი 1998 87)

ქართ. ე სვან. ე-ს ნაცვლად.
 კ>ჭ აფრიკატიზაციით შდრ.
 (*კაჩ-ი „კაცი“ > ჭაჭი;
 *კუჩხ-ი „ფეხი“ > ჭიშხლა სხვ.);
 ჭ>ჭ დეზაფრიკატიზაციით შდრ.
 (*ჭალ-უ „ძალი“ > უელ <*უალ-უ,
 *ჯახ-ე „სახელი“ / „ჭქვია“ > უახ-ე და სხვ.).

10.1.4. ს./ქართვ. *ყურძენ-ი
 „ვაზის ნაყოფი“:

ქართ. ყურძენ-ი „ვაზის
 ნაყოფი“ ან „ვაზი“;
 შეიძლება ამ ძირს უკავშირ-
 დებოდეს ქართლ., მთ., ხვს., ფშ.
 ურძენი / ურძანი / ურძნი
 ქართლ. უზანი
 ქართლ., კახ., აჭ. უზნი.
 მეგრ. ლუზანა < *უზანა
 ლაბიოველარიზაციის გზით
 „Viburnum lantana L.“
 მცენარის ფაქტურიდან
 გამომდინარე
 ზან. ცურზენ-ი < ცურძენ-ი
 < ყურძენ-ი < *ყურძან-ი
 „ვაზის ნაყოფი“, „ვაზი“
 სვან. ყუნზ-ელ „ყურძენი“,
 ლე-ყუნზ-ელ-ა „ვენახი“.

ბასკ. არდო < *არდანო /
 ardo < *ardano
 „ღვინო“

შ.კინტანას რეკონსტრუქცია
 (კინტანა 1981 219)

შდრ. ურარტ. (GIS) **uldi** „ვენახი“, „ყურძენი“, „ღვინო“. არ არის გამორიცხული, რომ ქართველური ენების ყ ინიციალური ხმოვნის მაგარი შემართვის ასახვა იყოს.

10.1.5. ს./ქართვ. *მა-რჯ-ტ-ე /
 *მა-რჯ-ი / *მა-რჯუ-ენ-ე
 (ნ. მარსიელი სეგმენტაციით
 *მარ-ჯვენ-ე/ა
 შდრ.: *მარ-ცხენ-ე/ა
 სადაც *მარ=„ხელი“ (მარი, II,
 1936 137, 167 და სხვ.)
 ქართ. მა-რჯვ-ე „ძლიერი“
 გა-მა-რჯვ-ებ-ა „ძლიევამოსილება“
 მა-რჯვ-ენ-ა „ყოვლისმოქმედი,
 ყოვლისშემძლებელი“
 ზან. მო-რძგვ-ი „მარჯვე“
 გო-მო-რძგუ-ა „გამარჯვება“
 მა-რძგვ-ან-ი „მარჯვენა ხელი“ :ლოგია ასე შეიძლება
 სვან. ლა-რსგუ-ან „მარჯვენა ხელი“
 შდრ. ქართ. „მარდ-ი“ „კაცი
 სწრაფი, გინა სხვა რამ
 ცხოველი“ (საბა).

ბასკ. მარდო / mardo
 „ძლიერი“, „ღონიერი“
 შენიშვნა: ბასკურად
 „მარჯვენა ხელი“ არის
 ეშქუმაქო / eskumako
 და ეშქუმალდექო /
 eskumaldeko. ორივე სი-
 ტყვა კომპოზიტია და
 მათი პირველი ნაწილი
 არის ეშქუ / esku „ხე-
 ლი“, ხოლო ეშქუმალ-
 დექო-ს სავარაუდო სე-
 გმენტაცია და ეტიმო-
 იქნეს წარმოდგენილი:
 ეშქუ / esku — „ხელი“,
 მალდ / mald

< მარდ / mard —
 „მარჯვენა“
 -ქო/-ko — სადაურობის
 (resp. წარმომავლობის)
 მაწარმოებელი
 სუფიქსი.

2	ს./ქართ.	*ყარყატ-ი „წყლის ფრინველი“, „გედი“, „ბატი“ V		*ღარღად-ი V
	ქართ.	ყარყატ-ი / ყარყად-ი		ღერღედ-ი „ბატი“
	ზან.	-----		ღორღონჯ-ი <*ღორღოდ-ი „ბატი“
	სვან.	-----		ღარღად „ბატი“
3	ს/ქართვ.	*დოყ-არ-ი V „ნოყიერი“		*დოღ-არ-ი V
	ქართ.	იმერ. დოყრ-ო დოყ-ო „მსუქანი“ ქიზიყ. ინგილ. დოყ-ი „მსუქანი (ყლორტი)“		გურ. დოღრ-ი „მსუქანი“ „ზორბა“, „მოსული“
	ზან.	დოღორ-ე <*დოყორ-ე „მსუქანი“		-----

და სხვ.

ზემოქმულიდან გამომდინარე, ს./ქართველურშიც უნდა აღდგეს დუბლეტი ***ღუიძი-ლ-ი** || ***ყუიძი-ლ-ი**, როგორც ჩანს, **ღუიძი-ლ-ი** || **ყუიძი-ლ-ი** უკვე ფუძეა და მისი ძირი უნდა იყოს **ღუ-||ყუ-**, ეს უკანასკნელი კი პოვნეირი უნდა იყოს სიტყვაში ქართ. **ყუი-ით-ელ-ი** (= „ნაღვლის ფერმენტის ფერი“): ზან. **ყუი-თ-ა** „id“ და რაკი გამოირკვა, რომ ქართული (იხ. 9.2.5.), **ნაღუელ-ი** || **ნაღღელ-ი** ნასესხები არ არის თაბასარანული **nevq** || **nivq** „ცრემლი“ სიტყვიდან > **navyel** (გიგინეიშვილი 1977: 86), ან ლეზგიურიდან თუ მუხადურიდან **naɣw** „id“ > **naɣwel** და რაკი ასე სეგმანტირდება **ნა-ღუ-ელ-**, მაშინ მისი **ღუ-იძ-ლ-ი** და **ყუ-ით-ელ-ი** ფუძეების **ღუ-||ყუ** ძირთან დაკავშირება მოხდება.

დუბლეტების არსებობა ფუძე ენაში, მოწმობს გარკვეულ ფონე-

ტიკურ პროცესებზე, რომელსაც ადგილი უნდა ჰქონოდა ფუძე-ენის ფუნქციონირების ქრონოლოგიურ დონეზე (დუბლეტების შესახებ ფუძე-ენაში, დაღესტნური ენების მასალაზე, იხ. გიგინეიშვილი 1977 129-137).

ასეთ ფონეტიკურ პროცესად მიმაჩნია ხშულთა მეექვსე სამეულის მქდერი წევრის დაკარგვა:

***ფ *ვ *ყ > — *ვ *ყ**

და მისი შემცველი სიტყვების გადანაწილება, ერთი მხრივ, სამეულის ყრუ წევრებზე, მეორე მხრივ, მქდერ სპირანტ ლ-ზე.

ამ პროცესის ასახვად ვთვლი ლ/ყ მერყეობას ზემომოყვანილ მაგალითებში. საერთო-ქართველურში მისი დიფერენციაციისათვის ეს პროცესი დასრულებული ჩანს და მას კვალი უკვე დუბლეტების სახით აქვს დატოვებული, მაგრამ რაკი შესატყვისობა ბასკურშიაც დარღვეულია, შესაძლებელი ხდება რელატიური ქრონოლოგიის დადგენა: ქართველურ-ბასკური ენობრივი ერთობის დაშლის მომენტისათვის /*ფ/ ამ ენობრივი ერთობის ფონოლოგიური სისტემის წევრი ჯერ კიდევ, იყო თუმცა უკვე ლაბილური პოზიციით.

გ. მაჭავარიანი წერდა: „საერთო-ქართველური /*ლ/ (იგულისხმება /*ფ/ მ. ქ.) ფონემის პოსტულირება შეიძლება მხოლოდ შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდით. შედარება ამ ფონემის ალდგენისათვის არაფერს არ გვაძლევს. ამდენად, არა გვაქვს საკმარისი საფუძველი ვივარაუდოთ მისი არსებობა გვიანდელ საერთო-ქართველურ დონეზე, თუმცა არც საწინააღმდეგოს მტკიცებისთვის მოგვეპოვება გადამწყვეტი არგუმენტები“ (მაჭავარიანი 1965 71).

გ. როგავა მქდერი ფარინგალური ხშულის ალდგენას ანალოგიის მეთოდზე დაყრდნობით თვლიდა შესაძლებლად:

„მქდერ ფარინგალურ ხშულს /ფ-ს/ შეიძლებოდა შენაცვლებოდა ლ მქდერი სპირანტის პარალელურად მქდერი ხშული გ, რამდენადაც ფ ფარინგალური რიგის აბრუტივ ყ-ს, როგორც ზემოთ

ვნახეთ: შენაცვლებია, ც-ს პარალელურად, აბრუტივი კ (გ-ს რიგის), ანდა ფშვინვიერ ფარინგალურ ჳ-ს, ხ-ს პარალელურად, შენაცვლებია ქ (იმავე გ-ს რიგისა): $\varphi \text{ გ} = \psi \text{ კ ან ჳ ქ}$.

საბოლოოდ, ფარინგალურ ხშულთა სამეულის რეფლექსებად ქართველურ ენებში უნდა მივიჩნიოთ:

$\psi \rightarrow \text{ც} \parallel \text{კ}$

$\text{ჳ} \rightarrow \text{ხ} \parallel \text{ქ}$

$\varphi \rightarrow \text{ღ} \parallel \text{გ}^{\text{“}}$ (როგავა 1946 5).

ჩემი პოზიცია * $\varphi > \text{ღ} \parallel \psi$ ზემოთ დავაფიქსირე სათანადო მაგალითებზე დაყრდნობით, რაც შეეხება * φ -ს რეკონსტრუქციას ლ||გ მონაცვლეობის საფუძველზე, ჩემთვის ამ რეფლექსთა არც ერთი სანდო და უდავო მაგალითი არ არის ცნობილი. აქვე დავძენ, რომ სამეულებრივ სისტემაში მჟღერიც და ყრუ მკვეთრიც მარკირებულნი არიან და დაკარგული მარკირებული, ამ შემთხვევაში მჟღერი ფარინგალური ხშული ფონემის ფუნქციის გადანაწილება ასევე მარკირებულ, ამ შემთხვევაში მკვეთრ ფარინგალურ, ხშულზე (უკანანისმიერი მჟღერი სპირანტის პარალელურად) სრულიად ბუნებრივად და უპრობლემოდ მესახება.

და სხვ.

ქურდიანის წესის თანახმად, ბგერათშესატყვისობათა ამ რიგში უნდა ჩადგეს:

10.1.6. ქართ. ლერძი

ბასკ. არდაც < *ჰარდ-ა-ც

/ardatz < *hard-a-tz/

(ტარნსკრ.: ardac < *hard-a-c)

„ლერძი“

ი. ბრაუნის რეკონსტრუქცია

(ბრაუნი 1998 90)

ვფიქრობთ, ეტიმოლოგიურად ღერძი-ს დაკავშირება შეიძლება ღერ-ი || ღერ-ო-სთან:

ღერ-ძ-ი < * ღერ-დ-ი

1. საერთო-ქართველური ენის ქრონოლოგიურ დონეზე რეკონსტრუირდება -დ (||-ედ) სუფიქსი (ჩიქობავა 1942 99).

1.1. ს./ქართვ. *შუილ-დ-ი

ქართ. შუშვილ-დ-ი

შდრ. მ-შუილ-ვა

„სროლა“, „ტყორცნა“

ზან. შქვილ-დ-ი;

შდრ. პარალელური ფორმა

შქვილ-ი

ზმნა. შქვილ-ან-ს

„ბამბას ჯოხით პენტავს“,

„მშვილდავს“

1.2. ს./ქართ. *ფერ-დ-ი

„არა წინა მხარე“

ქართ. ფერ-დ-ი

„ფერდი“, „გვერდითა მხარე“,

„ფერდობი“

ზან. ფარ-ი „ფერდობი“

„კალთა (მთის)“.

ო-ფარ-ე „ზურგი“

ფარ-დ-ულ-ი „დამრეცი“

სვან. ფელ-დ / > ფელ-ტ

„ფერდობი“, „დაქანება“.

ამ ძირს ე. წ. „იდენტური“ ფონეტიკური შესატყვისობა აქვს ბასკურში:

ბასკ. ი-ფერდი / i-perdi

„anus“

სემანტიკური გადახრა ადვილად ასახსნელია: უკანა მხარე > უკანალი.

ამავე სტრუქტურის (-დ) სუფიქსიანი ძირები უნდა იყოს

1.3. ს./ქართვ. *ბარდ-ი (*ბარ-დ-ი?)

„ეკლიანი ბუჩქი“

ქართ. ბარდ-ი

„ეკლიანი ბუჩქი“, „მაყვლის ბუჩქი“

ზან. ბურდ-ი „ბარდი“

სვან. ბარდ < *ბარდ-ი

„სურო“, „ბარდი“

„ხვიარა მცენარის ღერო“.

ამ ძირსაც აქვს ბასკურში ე. წ. „იდენტური“ ფონეტიკური შესატყვისობა:

ბასკ. ბარდა / barda

„კვრინჩხი“, „შტოები ხის ტოტებზე“

ეს სიტყვა ანალოგიური ფორმითა და მნიშვნელობით (barda „კვრინჩხი“ ბასკურიდან შესულად ითვლება კასტილიურში (resp. ესპანურში), ხოლო გასკონურში (gascon- <*vasc — ლაბიოველარიზაციის გზით) ის პოვნიერია barta (ბართა) ფორმით და ნიშნავს „კუნელს“.

1.4. ს./ქართვ. *გუარდ-ი (*გუარ-დ-ი?)

„გვერდი“, „ფერდი“

ქართ. გვერდ-ი „id“

ზან. გორდ-ა „ირიბი“.

და სხვ.

ქართველურ ენებში შეუძლებელი არც დ-ს გადასვლაა ძ-ში:

1. ქართ. ძეგ-ლ-ი < *ღეგ-ლ-ი (ღეგ- „ღგომა“ ძირიდან. ყ. მი-ქაილოვის დაკავშირება).

შდრ. ს./ქართვ. *ღეგ-/ღგ-

ქართ. ღგ-ომ-ა; ღგ-ა-ს;

ღა-ვ-ღეგ (> ღა-ვ-ღეჟ)....

ზან. ღგ-უნ „ღგას“

ღგ-უმ-ა „ღგომა“

ქო-ღო-ღგ-უ „დაღგა“

2. ს./ქართვ. *ძეჴ- < *ღეჴ-

ქართ. ძეგ-ს

„ღევს“

ზან. ძჴ-ნ

„ღევს“;

ძგ-ღ-გ < ძჴ-ღ-ჴ

„იღო“

სვან. ზგ „არის“ < *ძეჴ

<

ქართ. ღევ-ს;

ი-ღვ-ა;

ზან. მეგრ. ღვ-ალ-ა ||

ლაზ. ღო-ღჴ-აფ-ჴ

„დაღება“

სვან. ღი-ღ-ი < *ღი-ღჴ-ი

„დაღება“

თუმცა არ არის გამოორიციხული ეს, მეორე მაგალითი ფუძე-ენა-ში არსებული ღუბლეტის (*ძეჴ-||*ღეჴ-) ასახვას წარმოადგენდეს და არა *ძეჴ-<*ღეჴ პროცესისას.

და სხვ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ბასკურის ჩვენების საფუძველზე (რომელსაც მხარს უჭერენ შუმერულსა და ურარ-ტულში პოვნიერი ფორმები) პროტოქართველურისათვის (resp. ბასკურ-ქართველური ფუძე-ენისთვის) შეიძლება შემდეგი არქეტიპების

რეკონსტრუქცია:

- * შერ-დ-ი ან * შერ-დ'-ი „ვერძი“;
- * ბურ-დ-ინ-ა ან * ბურ-დ'-ინ-ა „მეტალი“ („სპილენძი“, „თუთია“, „ბრინჯაო“);
- * კერ-დ-ი ან * კერ-დ'-ი „წილი“, „ნაწილი“;
- * 'ყ'ურ-დ-ენ-ი ან * 'ყ'ურ-დ'-ენ-ი „ვაზის ნაყოფი“;
- * მა-რ-დ-უ-ე ან * მა-რ-დ'-უ-ე „მარჯვე“;
- * ფუი-დ-ლ-ი ან * ფუი-დ'-ლ-ი „ღვიძლი“;
- * ღერ-დ-ი ან * ღერ-დ'-ი „ღერძი“

და სხვ.

(/*დ'/-ს რეკონსტრუქციისათვის ფუძეენის ფონოლოგიურ სისტემაში იხ. ქვემოთ):

3.2. ბასკური ენის ადგილი იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში

ისტორიულ-შედარებითი მეთოდი ბგერათშესატყვისობებზე დაყრდნობით წყვეტს არა მხოლოდ ენათა ნათესაობის, ანუ მათი ერთი ენობრივი ოჯახისადმი კუთვნილების, პრობლემას, არამედ განსაზღვრავს კიდევ ამა თუ იმ ენის ადგილს მონათესავე ენათა შორის — რომელ ჯგუფსა თუ ქვეჯგუფს ეკუთვნის, რომელი შუალედური ფუძე-ენის დიფერენციაციის შედეგად წარმოიშვა ის.

რენე ლაფონის ხსოვნისადმი მიძღვნილ სტატიაში (რომელიც 1975 წელს ფრანგულად გამოქვეყნდა, 1976 წელს კი ქართულად) არნოლდ ჩიქობავა, მიმოიხილავს რა ლაფონამდელ მდგომარეობას ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზისას, ასე ახასიათებს ე. დიუმეზილის

პოზიციას: „უ. დიუმეზილის მონოგრაფია „შესავალი ჩრდილო-კავკასიურ ენათა შედარებით გრამატიკაში“ განიხილავს საკითხს „ჩრდილო-კავკასიური ენები და ბასკური“. ესაა ბოლო, მეხუთე თავი, გვ. 123-149.

უ. დიუმეზილი წერს: ბასკურის შეხვედრები სამხრულ კავკასიურ (resp. ქართველურ მ. ქ.) ენებთან მეტად ფრაგმენტულია (trop fragmentaires), ჩრდილო-კავკასიურ ენებთან შეხვედრები კი ყველა მნიშვნელოვან პუნქტში თითქმის სრულია (la coïncidence est sur tous les points importants presque complete, გვ. 124)“ (ჩიქობავა 1976 100).

ასეთი იყო ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზის მდგომარეობა 1948 წლამდე, ვიდრე რენე ლაფონმა არ მოახდინა არსებითი გარდატეხა ბასკურსა და ქართველურ (სწორედ სამხრეთ კავკასიურ) ენებს შორის ბგერათშესატყვისობათა დადგენით, რითაც მან ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა ბასკურ-კავკასიურ თეორიად აქცია და საფუძველი ჩაუყარა ბასკურ-კავკასიურ ენათმეცნიერებას.

რენე ლაფონის ფუძემდებლური ნაშრომების წყალობით გაირკვა, რომ ბასკური ენა კანონზომიერ და რეგულარულ შესატყვისობათა სისტემას იბერიულ-კავკასიური ენებიდან, პირველ რიგში, სწორედ ქართველურ ენათა ჯგუფებთან ავლენდა.

იან ბრაუნის მიერ ბასკური განისაზღვრა, როგორც ერთ-ერთი ენა, რომელიც პრაქართველური ენობრივი ერთობის დაშლის შედეგად არის წარმოშობილი. თავის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში „Euscario-Caucasica“ მას შეტანილი აქვს სპეციალური თავი, მიძღვნილი ამ საკითხისადმი, სათაურით: „როდის დაკარგეს ბასკებმა კონტაქტი დანარჩენ ქართველურ ტომებთან“ (ბრაუნი 1998 125-135).

იან ბრაუნი არ იზიარებს რენე ლაფონის აზრს, რომ ბასკთა მიგრაციას კავკასიიდან ადგილი ჰქონდა ძველი წელთაღრიცხვის მესა-

მე ათასწლეულის მეორე ნახევარში (ლაფონი 1949 193-207) შემდეგ არგუმენტზე დაყრდნობით: „ამ ეპოქაში ბალკანეთის ნახევარკუნძული, ანატოლიის დასავლეთი და სამხრეთი ნაწილი, და, აგრეთვე, ეგვიპ, უკვე დასახლებული იყო ინდო-ევროპელი ტომებით“ (ბრაუნი 1998 135) და თვითონ აბსოლუტური ქრონოლოგიის განსასაზღვრად გეთავაზობს ორ თარიღს, თითოეულს — დაფუძნებულს სათანადო მეთოდოლოგიაზე: ა) მ. სვოდემის გლოტო-ქრონოლოგიური ანუ ლექსიკო-სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით 100 — სიტყვიანი საკონტროლო სიის საფუძველზე: „ჩვენ ვიღებთ მიახლოებით თარიღს მათ შორის (ბასკებსა და ქართველებს შორის მ. ქ.) უშუალო კონტაქტის დაკარგვისა, რაც შეიძლება მიესადაგოს ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე ათასწლეულის მეორე ნახევარს“ (ბრაუნი 1998 134). ბ) ლინგვისტური პალეონტოლოგიის მეთოდის გამოყენებით კი, რომელიც ეყრდნობა ფუძე-ენაში ქრონოლოგიურ დონეზე რეკონსტრუირებად ე. წ. კულტურულ ლექსიკას (ბასკურ-ქართველურის შემთხვევაში ბგერათშესატყვისობათა საფუძველზე პრაქართველურ ენაში რეკონსტრუირებულ ისეთ კულტურულ რეალიებს, როგორცაა მეტალთან და ბორბლიან ტრანსპორტთან დაკავშირებულ ტექნიკურ ტერმინთა პოზიციება): „ყველაზე სავარაუდოდ ჩანს დასავლეთისაკენ ბასკთა მიგრაციის დათარიღება 5000-3000 წლებით ჩვენს ერამდე“ (ბრაუნი 1998 135).

ბასკურ-ქართველური და ინდო-ევროპული ფუძე-ენების არსებობის რელატიური ქრონოლოგიიდან, მათი ენობრივი კონტაქტებიდან გამომდინარე და არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით ამ თარიღის მეტი სანდოობით დაზუსტება შეუძლებელი არ ჩანს და სავარაუდოდ ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე ათასწლეულით უნდა იქნეს განსაზღვრული.

საერთოდ, ფუძე-ენათა დიფერენციაციის, მათი ფონოლოგიური

სისტემების თუ გრამატიკული სტრუქტურების ცვალებადობის თუ ენობრივი კონტაქტების რელატიური ქრონოლოგიის განსაზღვრა კომპარატივისტიკის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას შეადგენს. მეტიც, ბენვენისტის თქმით, „შეიძლება საბოლოო ანგარიშით გამოირკვეს, რომ კომპარატივისტიკის მთავარ ამოცანად უნდა იქცეს სწორედ ქრონოლოგიის დადგენა“ (ბენვენისტი 1955 26).

ბასკურ-ქართველური და შემდეგ საერთო-ქართველური ფუძენების დიფერენციაციის თანამიმდევრობასა და ამ თანამიმდევრობის ვერიფიკაციაზე ენობრივი კონტაქტების მეშვეობით ქვემოთ საგანგებოდ მექნება მსჯელობა, აქ კი აუცილებელია ორი არსებითი მომენტის განსაზღვრა: პირველი ტერმინოლოგიურია:

რენე ლაფონი და აკად. არნ. ჩიქობავა იყენებდნენ ტერმინს **ბასკურ-კავკასიური** || **ეუსკარო-კავკასიური** ენები (ლაფონი 1976 73; ჩიქობავა 1976 108). ეს ტერმინი შეიძლება მარჯვეც ყოფილიყო, ვიდრე დაზუსტდებოდა ბასკური ენის ადგილი იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის, მაგრამ მას შემდეგ, რაც საბოლოოდ დადგინდა, რომ ბასკური ერთ-ერთი ქართველური ანუ „იბერიული“ ენაა, ტერმინი ბასკურ-კავკასიური || ეუსკარო-კავკასიური უკვე არაადეკვატურად ასახავს ბასკური ენის ადგილს ენათა იბერიულ-კავკასიურ ოჯახში. ამდენად, ის უარსაყოფია როგორც კლასიფიკაციასთან შეუსაბამო.

აკად. იან ბრაუნი იყენებს ტერმინს **პრაქართველური** მაგ. მცდელობისას განსაზღვროს: „აბსოლუტური ქრონოლოგია პრაქართველური ენობრივი ერთობის დაშლისა ორ უფრო გვიანდელ შტოდ — სამხრეთკავკასიურად და ბასკურად“ (ბრაუნი 1998 134).

პრა-ქართველური (წინარექართველური) უეჭველად მისაღები ტერმინი იქნებოდა, ერთი უხერხულობა რომ არა: ქართველური ენები საყოველთაოდ გავრცელებული და დამკვიდრებული ტერმინია და

ის სამ ქართველურ ენას გულისხმობს — ქართულს, ზანურსა და სვანურს. ტერმინში პრაქართველური სხვა, მეოთხე ენა — ბასკური, რომლის გამოყოფის შედეგად მივიღეთ საერთო-ქართველური ენა, არც აღნიშნულია და არც მისი იქ გულისხმობა არის თავისთავად ცხადი.

თითქოს იდეალური ტერმინი უნდა ყოფილიყო იბერიულ-კავკასიური ენათა ოჯახის ამ ჯგუფისათვის ტერმინი „იბერიული“, რადგან: ა) ეს ტერმინი ცალ-ცალკე გამოიყენებოდა როგორც ქართველური ენების (ზოგადად ფ. ბოპი, ა. ცაგარელი... თუ კერძოდ V ქართულისათვის — კ. დოდაშვილი... ზანურისა — ნ. მარი 1910 წლამდე, თუ მისი დიალექტის — მეგრულისათვის: ნ. მარი, ი. ყიფშიძე...) ასევე საკუთრივ ბასკურის (ვ. ფონ ჰუმბოლდტი, ი. კარსტი...) აღსანიშნავად.

მაგრამ აქაც არსებობს ერთი სერიოზული პრობლემა, კერძოდ, ის, რომ როგორც ქართველური, ასევე ბასკური ენებისა და ხალხების აღსანიშნავად გამოყენებული ტერმინი იბერიული (resp. ივერიული) თუ იბერები (resp. ივერები) შემთხვევით ხასიათს ატარებს და ამ ხალხებისა და ენებისათვის სრულიად უცხოა. მეტიც, იბერები საკუთრივ ბასკების სახელიც კი არასოდეს ყოფილა. ბასკებისა და პირინეელი იბერიელების ურთიერთმიმართების შესახებ პროფ. ანტონიო ტოვარი წერს: „არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ბასკები იბერიელები არ არიან, არც კულტურის მხრივ ყოფილან ისინი „იბერიზებულნი“: თუმცა კი ისტორიული ეპოქის დასაწყისში ბოსკოები (Boscós) არაგონზე ესაზღვრებოდნენ იბერიელებს. საერთო სუბსტრატები და მოსაზღვრე ენათა ურთიერთგავლენა — რაც, ჩვეულებრივ, ძლიერი იყო პრეისტორიული ტიპის კულტურებში — სავსებით საკმარისია ზემოაღნიშნული და სხვა ყველა იმ დამთხვევის ასახსნელად, რაც მათს ლექსიკაშია შემჩნეული“ (ტოვარი 1980 39). ასეთივე შემთხვევითი ხასიათისაა პირინეისა და კავ-

კასიის იბერების სახელთა დამთხვევაც და ის ამ ხალხთა და ენათა „ნათესაობას“ არაფრით უკავშირდება.

საქართველოში ეს სახელი უნდა მოჰყოლოდა ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორ II-ის (ძვ. წ. 604-562) მიერ იერუსალიმის მეორედ აღების შემდეგ (ძვ. წ. 587-586) დევნილი ებრაელების პირველ ტალდას.

‘ibri ყიბრი უფრო სწორად ყიბრი ებრაულში ნიშნავს: 1. მსხემს, მდგმურს, ხიზანს; 2. იქითა მხარელს, გაღმელს.


აბრაჰამი ყიბრად „ხიზნად“ არის მოხსენიებული ქანაანის მიწაზე. მისი შთამომავლობაც ყიბრი-ა „ხიზანი“.

ბერძნულ და ლათინურ წყაროებში საქართველოს რომ იბერად მოიხსენებდნენ, არაერთი მეცნიერი მას სწორედ ზემოხსენებული ებრაულ სიტყვას უკავშირებდა, მნიშვნელობით „იქითა მხარელი“, „გაღმელი“ (იხ. იოსელიანი 1846 23-24; ხახანაშვილი 1903 31). ალ. სარჯველაძის აზრითაც ტერმინი „იბერია“ ფინიკიურია (ფინიკიური ებრაულთან ერთად ერთი ქანაანური ენის დიალექტია; იხ. გრანდე 1972 23-31, მ. ქ.) და აღნიშნავდა ზღვის ან მთის გადაღმა არსებულ ქვეყანას და ეს სახელწოდება სწორედ ფინიკიურის გავლენით დამკვიდრდა ბერძნულში ანუ ამოსავალი ამ სახელისთვის არის ფინიკიურ-ებრაული ‘ებერ||ყებერ-ი, რაც „მხარეს, იქითა მხარეს“ ნიშნავს (სარჯველაძე 1989 118-123) და ზღვაოსანმა ფინიკელებმა ერთი და იმავე სახელით აღნიშნეს პირინეისა და კავკასიის ხალხები, რომლებიც მათთვის ზღვის გადაღმა უკიდურეს დასავლეთსა და უკიდურეს აღმოსავლეთში ცხოვრობდნენ (ცხადია, მათ შორის ნათესაობის არსებობა-არარსებობისაგან სრულიად დამოუკიდებლად). ალ. სარჯველაძეს მის ქართულ ანალოგად „იმერი“ („იმერეთი“) მოაქვს.

ესპანეთის იბერიის შემთხვევაში ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ,

ვთვლი, რომ საქართველოში მოსული, ნაბუქოდონოსორ II-ისაგან დევნილი ებრაელების სახელი **ციბრი / ცებერი**, მნიშვნელობით „ზიზანი“, დაედო საფუძვლად უცხოენოვან სამყაროში საქართველოს აღმნიშვნელ ტერმინს **იბერია**.

ბერძნულში ეს სახელი იწერება როგორც **iberia**; ლათინურში როგორც **Hiberia**, ბერძნულში **Ἰ**-ს ლათინურში კი **H**-ს პოვნიერება ანლაუტში მეტყველებს იმაზე, რომ იმ ენაში, საიდანაც მათ შეითვისეს ეს სიტყვა ინიციალურ ხმოვანს მაგარი შემართვა ჰქონდა. ებრაული (**צ**) სწორედ ასეთად უნდა აღქმულიყო ხმოვნის წინ. შესაბამისად:



მსოფლიო ისტორიიდან არაერთი შემთხვევაა ცნობილი, როდესაც დამპყრობელი, დაპყრობილი ან ზიზანი ხალხის სახელი ქცეულიყო ზოგიერთი მეზობლისათვის ავტოქთონთა ან მათი სახელმწიფოს აღმნიშვნელ ტერმინად. მაგ. ძველ სამყაროში ხეთების (ცალსახად დღემდე არაა გარკვეული, ვინ იყო დამხვდური და ვინ მოსული ამ ტერიტორიაზე, ხათები თუ ნესიტები), შუა საუკუნეებში — ბოლგარების და სხვ. ისიც ანგარიშგასაწევაა, რომ თავად ქართველებისათვის **იბერია** > **ივერია** ყოველთვის უცხოენოვან სახელად აღიქმებოდა და მხოლოდ XVIII საუკუნეში (1790 წ.) იქნა გამოყენებული ერთადერთ დოკუმენტში (აქ ანგარიშში ჩასაგდება არ არის ვახუშტის მეცნიერული ნაშრომი, სადაც, სხვათა შორის, ამ ტერმინის არამეცნიერული ეტიმოლოგიაა მოწოდებული): „ტრახტატი ივ-

ერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული“...

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ამ სიტყვის ორივე ფორმაა დადასტურებული, როგორც ძველი (ძვ. წ. VI საუკუნემდელი) **უი-ბრი** ანუ ბაგისმიერი მეღერი ხშულით, რომლის სპირანტიზაცია პალესტინის ებრაულში ძვ. წ. V საუკუნეში უკვე ფაქტია, ასევე ახალი (ძვ. წ. VI საუკუნის შემდგომდროინდელი) **უივრი** > **უიური** ანუ სპირანტიზებული ვარიანტი, რომელიც საქართველოში ებრაელ ხიზანთა მეორე ტალდას უნდა მოეტანა. ეს ტალდა ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნის 70-იან წლებში რომის იმპერატორ ტიტუს ფლავიუს ვესპასიანეს (რომის იმპერატორი 69-79 წ.წ.) მიერ, მისივე ძის ტიტუს ფლავიუსის მთავარსარდლობით 70 წელს იერუსალიმის აღებისა და ტაძრის საბოლოო დანგრევის შემდეგ მოსულად ითვლება საქართველოში.

ასე რომ, ამ ტერმინს არც ქართველებისა და არც ბასკების ეთნიკურ ისტორიასთან და, მით უმეტეს, მათ ენებთან საერთო არაფერი აქვს.

ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი თავის წიგნებში „Ankündigung einer Schrift über die Vaskische Sprache und Nation, nebst Angabe des Gesichtspunktes und Inhalts derselben (1812)“ და „Prüfung der Untersvchungen über die Urbewohner Hispaniens vermittelt de Vaskuschen Sprache“, (1821, ამ ნაშრომის ესპანური თარგმანი 1935 წელს გამოქვეყნდა სან-სებასტიანში) იზიარებს აზრს ბასკური და ე. წ. იბერიული ენების ნათესაობის შესახებ.

ამჟამად ე. წ. „ბასკო-იბერიონიზმის“ ჰიპოთეზას მომხრეები ნაკლებად ჰყავს (ტოვარი 1980 27-28, 38-39), მაგრამ მომავალში ბასკური და იბერიული, შესაბამისად — ქართველური და იბერიული, ენების ნათესაობა რომც დამტკიცდეს, ის არც სახელწოდება


„იბერია“-სთან იქნება კავშირში, ვერც ორი იბერიის არსებობას ახსნის ევროპის დასავლეთსა და აღმოსავლეთის უკიდურეს წერტილებში, და, ამდენად, ვერც ტერმინ „იბერიულის“ გამოყენებას გამართლებს ენათა ამ ჯგუფისათვის.

ვფიქრობ, ყველაზე ადეკვატური და იმავდროულად მოხერხებული ტერმინი **ბასკურ-ქართველური** იქნება, გარდა იმისა რომ ის ზუსტად ასახავს ენობრივი ჯგუფის შემადგენლობას; თავისი სტრუქტურითაც ორგანულად ეწერება იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფებისათვის მიღებულ ტერმინოლოგიაში:

- ა) აფხაზურ-ადიღური;
- ბ) ბასკურ-ქართველური;
- გ) ნახურ-დაღესტნური.

მეორე არსებითი მომენტი ბასკური ენის ადგილის განსაზღვრაა ბასკურ-ქართველურ ენათა ჯგუფში.

აკად. იან ბრაუნის კვალდაკვალ საერთო-ბასკურ-ქართველური ენის დიფერენციაციისა და ბასკურ-ქართველურ ენათა ურთიერთმიმართების სქემა შეიძლება ასეთი სახით იქნეს წარმოდგენილი:



- სადაც: *ა — საერთო-ბასკურ-ქართველური ენაა;
 *აბ — ბასკური;

- *ა*გ — საერთო-ქართველური;
- *გ*დ — საერთო-სვანურ-ზანური;
- *დე — სვანური;
- *ღვ — ზანური;
- *გზ — ქართული;

სქემაზე რეკონსტრუირებადი ენობრივი ერთეულები, როგორც წინარე ფუძე-ენა (საერთო-ბასკურ-ქართველური), ასევე შუალედური ფუძე-ენები (საერთო-ქართველური და საერთო-სვანურ-ზანური) აღნიშნულია ვარსკვლავით.

3.3. საერთო-ბასკურ-ქართველური ენის კონსონანტური სისტემა

საერთო-ქართველური და ბასკური ბგერათშესატყვისობების ბაზაზე აღდგება საერთო-ბასკურ-ქართველური ენის კონსონანტური სისტემა, რომელიც შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგი ცხრილის სახით:

წარმოების გვარი	ხშულები			აფრიკატები			სპირანტები		სონორები		
	მჟღერი	ყრუ		მჟღერი	ყრუ		მჟღერი	ყრუ	ხშული	ლატენტური	ვიზანტი
		ფშინიერი	მკვეთი		ფშინიერი	მკვეთი					
წარმოების ადგილი	მჟღერი	ფშინიერი	მკვეთი	მჟღერი	ფშინიერი	მკვეთი	მჟღერი	ყრუ	ხშული	ლატენტური	ვიზანტი
ლაბიალური	*ბ *ხ	*ფ *პ	*პ *პ				*ტ *ვ		*მ *მ		
ალვეო-	*დ	*თ	*ტ	*ძ	*ც	*წ	*ზ	*ს	*ნ	*ლ	*რ

დენტალური	*d	*l	*l	*z	*c	*c	*z	*s	*n	*l	*r
ველარული	*g	*k	*k	*d'	*t'	*t'	*l	*b			
	*g	*k	*k	*d	*l'	*l'	*y	*x			
ფარინგალური	*g	*k	*y					*k			
	*g'	*g	*g					*h			

წარმოდგენილი ცხრილი ზოგ განმარტებას მოითხოვს:

სამი ლატერალური აფრიკატის *დ', *თ', *ტ' რეკონსტრუქცია საერთო-ბასკურ-ქართველური ენის ქრონოლოგიურ დონეზე ემყარება შემდეგ შესატყვისობათა პოვნირებას:

*დ' — მჟღერი ლატერალური აფრიკატი:

საერთოქართველური *d d _l	ბასკური დ
ს.ქართ.: *ფერძ-ი	ბასკ. არდი
„მამალი ცხვარი“	„ცხვარი“
*კერძ-ი	ერდი < *ქერდი
„ნაწილი“	„ნახევარი“
*ყურძენ-ი	არდო < *არდანო
	„ღვინო“

და სხვ.

*თ' — ყრუ ლატერალური აფრიკატი:

ქართ. სა-რტყ-ელ-ი	} ბასკ. ს	
ზან. ო-რტყ-აფ-უ „id“:		სა-პარო
სვან. ლა-რტყ „id“		„სახრე“

და სხვა

ამ ტიპის შემთხვევებში საერთო-ქართველურში ლატერალური არქეტიპის ვარაუდის შესახებ იხ. შმიდტი 1962 79; ასეთ საერ-

თო-ქართველურ ლატერალად ჰ. ფენრიხი აღადგენს ლ'-ს (ფენრიხი 1998 104-105).

*ტ' – მკვეთრი ლატერალური აფრიკატი:

საერთო-ქართველური *ყ ბასკური ლ

ს./ქართვ. *ყინ-ი
„ყინვა“ / „ყინული“

ბასკ. ლინ

„ყინული“

(სიტყვაში ლინ-ათაში

„სეტყვა“, „ყინულის ნატეხი“)

*ყან-ა

ლან

„საველე (სამინდვრე) სამუშაოები)

(სიტყვაში ლან-და „მინდორი“,

„გაშლილი ადგილი“)

*ყუარ-

ლარაუ-

„სიყვარული

(სიტყვაში: ლარაუა მო

(ვულგ. „კოიტუსი“)

და სხვ.

შდრ. ფენრიხი 1992 140-141, სადაც საერთო-ქართველურ დონეზე აღადგენს ტ' ლატერალს შემდეგი რიგის ბგერათმე-სატყვისობებზე დაყრდნობით: ქართ. წ ზან. ჯ სვან. ჰ (რომლის სხვაგვარი ინტერპრეტაციებისათვის იხ. თოფური 1960 154-155 და მაჭავარიანი 1965 37-38).

*ფ მკლერი ფარინგალური ხშულის აღდგენისათვის ბგერათ-შესატყვისობათა ჩვენება მოცემული მაქვს ამ თავის პირველ ქვე-თავში.

ტრადიციის საპირისპიროდ *ჰ შეტანილია არა ლარინგალურ რიგში, არამედ ფარინგალურში. ეს დიდ ცოდვად არ უნდა ჩამთ-ვალოს:

„საერთო-ქართველური *3/ ფონემის შეტანა ლარინგალურ რიგში პირობთია. შესაძლოა მისთვის ფარინგალური არტიკულაცია იყოს დამახასიათებელი. თუმცა, რამდენადაც საერთო-ქართველურში „ჰ-ს ტიპის“ მხოლოდ ერთი ფონემა ივარაუდება, ფონოლოგიური პარადიგმატიკის თვალსაზრისით არაარსებითია ლარინგალური იყო მისი რეალიზაცია, თუ — ფარინგალური“ (მაჭავარიანი 1965, 13).

ამ დახასიათებას ძალა აქვს საერთო-ბასკურ-ქართველური *ჰ-სთვისაც.

შდრ.: საერთო-ბასკურ-ქართველური (პრაქართველური) ფუძე-ენის ფონოლოგიური სისტემის ი. ბრაუნისეული ინტერპრეტაცია:

ხმოვნები

ა, ე, ი, ო, უ

„ნახევარხმოვნები“

მ, უ

თანხმოვნები

ბ, ფ, პ, მ

დ, თ, ტ, ნ, ლ, რ

ძ, ც, წ, ზ, ს

გ, ქ, კ, ღ, ხ

ყ, პ, ყ

ჰ

ი. ბრაუნის აზრით, იწყებს ფორმირებას ოთხწევრიანი ჯგუფი მარცვლისშემქმნელი თანხმოვნებისა (სონანტების), რომელშიაც შედიან ბ, ლ, ნ და მ (ბრაუნი 1998 126).

2.3.1. საერთო-ბასკურ-ქართველური კონსონანტური სისტემის ტრანსფორმაცია ბასკურში

საერთო-ბასკურ-ქართველური		ბასკური
*ბ / *b	—————	ბ / b
*ფ / *p	—————	ფ / p
*პ / *p	—————	
*ღ / *d	—————	ღ / d
*თ / *t	—————	თ / t ს / s
*ტ / *t	—————	
*გ / *g'	—————	გ / g
*ქ / *k	—————	ქ / k
*კ / *k	—————	
*ფ / *g'	—————	∅
*წ / *q	—————	ქ / k
*ყ / *q	—————	
*ძ / *ჭ	—————	ს / s ც c
*ც / *c	—————	
*წ / *c	—————	შ / š ჩ / č
*ღ' / *d'	—————	ღ / d
*თ' / *t'	—————	ს / s
*ტ' / *t'	—————	ლ / l

*ჟ / *w	—————	ბ / b
*ზ / *z	—————	ს / s
*ხ / *s	—————	
*ღ / *r	—————	გ / g ჰ / h
*ხ / *x	—————	
*მ / *m	—————	მ / m
*ნ / *n	—————	ნ / n
*ლ / *l	—————	ლ / l
*რ / *r	—————	რ / r

ხშულთა სამეულებრივი სისტემის და ლატერალთა მოშლის თუ სხვა ფონეტიკურ პროცესთა გამო, შესაბამისად, ბასკური ფონემების უმრავლესობა ფუძე-ენის სხვადასხვა ფონემათა შესატყვისებად ავლენს თავს, მაგ.:

*ბ / *b	—————	ბ / b
*ჟ / *w	—————	
*თ / *t	} *ხ / *s	
*ტ / *t		
*ძ / *z		
*ც / *c		
*თ' / *t'		
*ზ / *z		
*ხ / *s		

და ა. შ.

საკუთრივ ბასკურში იჩინა თავი თანხმოვანთა ოპოზიციამ:

მაგარი: რბილი (ბრაუნი 1998 133)

დ / d : დ' / d' (ბასკური ორთოგრაფიით dd
ძალიან იშვიათია)

თ / t : თ' / t' (ბასკური ორთოგრაფიით tt)

ლ / l : ლ' / l' (ბასკური ორთოგრაფიით ll)

ნ / n : ნ' / n' (ბასკური ორთოგრაფიით ñ)

შ / š : შ' / š' (ბასკური ორთოგრაფიით
„მაგარი“ s „რბილი“ x)

ჩ / č : ჩ' / č' (ბასკური ორთოგრაფიით
„მაგარი“ ts „რბილი“ tx)

გაჩნდა ყრუ ბაგისმიერი (resp. წყვილბაგისმიერი) f.

გაჩნდა ოპოზიცია რ / r რა / რა (ბასკური ორთოგრაფიით რა ტრანსკრიფციით r) მარტივ რ-სა და მის გემინირებულ ალოფონს შორის, რომლის წარმოშობის მექანიზმი როგორც ჩანს კომბინატორულია.

ხმოვანთა სისტემაზე არ ვამახვილებ ყურადღებას, რადგან ფუძე-ენის ვოკალიზმი, ფონოლოგიური თვალსაზრისით, უცვლელად აისახა ბასკურში.

*ა / *a ————— ა / a

*ე / *e ————— ე / e

*ი / *i ————— ი / i

*ო / *o ————— ო / o

*უ / *u ————— უ / u

(არქაული ბასკური კონსონანტიზმის შესახებ შდრ.: მიჩელენა 1995 101-132).

2.3.2. საერთო-ბასკურ-ქართველური კონსონანტური სისტემის ტრანსფორმაცია საერთო-ქართველურში

საერთო-ბასკურ-ქართველური

საერთო-ქართველური

*ბ / *b ————— *ბ / *b

*ფ / *p ————— *ფ / *p

*პ / *p ————— *პ / *p

*ღ / *d ————— *ღ / *d

*თ / *t ————— *თ / *t

*ტ / *t ————— *ტ / *t

*გ / *g ————— *გ / *g


*ქ / *k ————— *ქ / *k


*კ / *k ————— *კ / *k


*ყ / *g' ————— *ც / *g' (ლაბილურად)

*წ / *q ————— *წ / *q

*ყ / *q ————— *ყ / *q

*ძ / *z  *d
*ძ_i
*ჯ

*ც / *c  *ც
*ცი_i
*ჩ

*წ / *ç  *წ
*წი_i
*ჭ

*დ' / *d' ————— *ძ / *ჟ
 *თ' / *t' ————— *თ' / * t' (ლაბილურად)
 *ტ' / *t' ————— *ყ / *გ || *ღ / *ყ

*უ / *w ————— *უ / *w

*ზ / *z ————— *ზ / *z
 *ზ₁ / *z₁
 *ე / *z

*ს / *s ————— *ს / *s
 *ს₁ / *s₁
 *უ / *ს

*ღ / *ყ ————— *ღ / *ყ

*ხ / *x ————— *ხ / *x

*მ / *m ————— *მ / *m


*ნ / *n ————— *ნ / *n

*ლ / *l ————— *ლ / *l

*რ / *r ————— *რ / *r

ლატერალთა სისტემის შერყევის თუ, სულაც, მოშლის გამო საერთო-ქართველურ ფუძე ენაში ერთმანეთს დაემთხვა ლატერალთა ხშულთა და აფრიკატთა ზოგი რეფლექსი, მაგ.:

*ძ / *ჟ
 *დ' / *d' ————— *ძ / *ჟ



და ა. შ.

ხმოვანთა სისტემას არ ვეხები, რადგან ის საერთო-ბასკურ-ქართველურიდან საერთო-ქართველურში გადიფერენცირებული სახით არ ასახულა:

*ა / *a		*ა / *a
*ე / *e		*ე / *e
*ი / *i		*ი / *i
*ო / *o		*ო / *o
*უ / *u		*უ / *u

თავი მეოთხე

იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის დასაბუთებათა დამატებითი ვერიფიკაცია

თავიდანვე უნდა მოხდეს „დამატებითი ვერიფიკაციის“ განმარტება, რომელიც ad hoc არ არის ტერმინი ამ სიტყვის მკაცრი გაგებით, რადგან ისტორიულ-შედარებითი მეთოდით კვლევა თავის თავში შეიცავს ვერიფიცირებად მტკიცებულებებს — ეს ბგერათშესატყვისობათა არაიზოლირებული ხასიათია, ანუ — მათი რეგულარულობა და კანონზომიერება.

შესაბამისად, ორ ენას შორის რეგულარულ და კანონზომიერ ბგერათშესატყვისობათა სისტემის დადგენა უკვე თავისთავად ნიშნავს მათი ნათესაობის დამტკიცებას.

მე შემოთ ცალსახად ვაჩვენე, ერთი მხრივ, ქართველურ და დაღესტნურ, მეორე მხრივ, კი ქართველურ და აფხაზურ ენათა შორის არსებული რეგულარული და კანონზომიერი ბგერათშესატყვისობათა სისტემები; იმავდროულად ასეთივე სისტემა იქნა წარმოდგენილი ქართველურ და ბასკურ ენებს შორის, რის შედეგადაც თავ-თავის მხრივ საბოლოოდ და უეჭველად დამტკიცდა ნათესაობა ქართველურსა და დაღესტნურ, ქართველურსა და აფხაზურ, ქარ-

თველურსა და ბასკურს შორის.

იმავედროულად მე განვაცხადე, რომ თუ ორი ენა ერთმანეთის ნათესავია, მაშინ მათ ერთმანეთის მიმართ ბგერათშესატყვისობები უნდა გამოავლინონ ნებისმიერი შედარების შემთხვევაში, დამოუკიდებლად იმისა, დარდება ერთმანეთს ერთი ენობრივი ოჯახის ცოცხალი ენები (ერთი და იმავე თუ სხვადასხვა ჯგუფისა), თუ ეს ენები დარდება ამავე ოჯახის მკვდარ, მაგრამ წერილობით დადასტურებულ ენას, ანდა სულაც რეკონსტრუირებულ ენობრივ ერთეულს არის შედარებული.

ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ქართველური და დაღესტნური, ქართველური და აფხაზური, ქართველური და ბასკური ენების ნათესაობა წინა თავებში ცალ-ცალკე დამტკიცებულია კომპარატივისტული მეთოდის მკაცრი დაცვით, ამ მტკიცებულებათა შემოწმება ანუ ვერიფიკაცია უნდა მოხდეს უკვე კრებხითად (ერთობლივად) და ბგერათშესატყვისობათა დადგენილი სისტემები უნდა აღმოჩნდნენ ურთიერთშეთავსებადნი — ამას გულისხმობს „დამატებითი“ ვერიფიკაცია. ამდენად, ის „დამატებითი“ მხოლოდ ენობრივ ჯგუფებს შორის დადგენილი შესატყვისობებისათვის მათი მტკიცებულებითი ძალის პოზიციიდან, თორემ სავალდებულო და აუცილებელია ენობრივი ოჯახის თვალსაზრისით.

ენათა იბერიულ-კავკასიური ოჯახი (როგორც ეს ზემოთ ცალსახად დავამტკიცე) ამჟამად სამ უეჭველ ჯგუფს მოიცავს: 1). აფხაზურ-ადიღურს, 2). ბასკურ-ქართველურსა და 3). ნახურ-დაღესტნურს. დადგენილ ბგერათშესატყვისობათა ვერიფიკაციაც ამ სამ ჯგუფს შორის მოხდება შემდეგი პრინციპით: ნებისმიერი ჩრდილო-კავკასიური ჯგუფის (მთლიანად თუ მისი თუნდაც ერთი წარმომადგენლის) დიფერენცირებული ბგერათშესატყვისობის გამოვლენა სა-

მხრეთ-კავკასიურ ანუ ბასკურ-ქართველურ ჯგუფთან საკმარისი პირობა იქნება ასეთი ფონემით შედგენილი ლექსემის ფორმალური თუ სემანტიკური რეკონსტრუქციისათვის საერთო იბერიულ-კავკასიური ენის ქრონოლოგიურ დონეზე.

4.1. დაღესტნურ-ქართველური და ბასკურ-ქართველური ბგერათშესატყვისობების ურთიერთვერიფიკაცია ლატერალთა რიგში

ლატერალების პოზიტივობა ჩრდილოკავკასიური ენების უმრავლესობაში და მათ რეკონსტრუირებადობა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ყველა ცნობილ შუალედურ ფუძე-ენაში — აფხაზურადილურში, ბასკურ-ქართველურში, ნახურ-დაღესტნურში — სვამს საკითხს საერთო იბერიულ-კავკასიურ ფუძე-ენაში მათი რეკონსტრუირებული არქეტიპების რაოდენობისა და თვისებების (resp. მახასიათებლების) შესახებ.

იაკობუს ვან-გინეკენმა 1938 წელს ამსტერდამში გამოაქვეყნა „ნარკვევი კავკასიურ ენათა შედარებითი გრამატიკისა“, რომელშიც სხვა დებულებათა შორის ნიშანდობლივია ორი: ა) ლატერალები თანხმოვანთა არქაული ფორმაციის სერიაა კავკასიურ ენებში; ბ) ლატერალები მოგვეპოვებოდა ქართველურ (სამხრეთკავკასიურ) ენებშიც.

ვან-გინეკენის ეს დებულება არ იქნა შეწყნარებული იბერიულ-კავკასიური ენების ქართველი მკვლევარების მიერ:

„რაგვარიც არ უნდა იყოს ლატერალებისათვის ამოსავალი თან-

ხმოვნები, ლატერალების მეორეულობა სადაო არ უნდა იყოს. ვან-გინეკენი ვარაუდობდა, რომ ლატერალური თანხმოვნები გვქონდა ყველა იბერიულ-კავკასიურ ენაში (მათ შორის ქართველურში). მეტი კიდევ: ლატერალები ამ ენებში იყო ამოსავალი საერთოდ კონსონანტური სისტემისა — მათი რიცხვი 40-ს აღწევდაო. ასეთი ვარაუდი უფრო თეორიულ ზოგად ენათმეცნიერულ მოსაზრებებს ემყარება, ვინემ იბერიულ-კავკასიურ ენათა ფაქტობრივ მონაცემებს“ (ჩიქობავა 1979 66).

და კიდევ:

„ლატერალები რომ თანხმოვანთა ძველისძველ სერიას წარმოადგენს კავკასიურ ენებში, სარწმუნო არ ჩანს.

ორმოცი ლატერალი რომ ივარაუდა ვან-გინეკენმა კავკასიურ ენებში, ეს გამომდინარეობს მისი ზოგადი ვარაუდიდან: კაცობრიობის მეტყველებაში ამ რიგის თანხმოვნები ძველისძველიაო.

იბერიულ-კავკასიურ ენათა კონსონანტიზმის ისტორია ასეთ ვარაუდს არ ამართლებს“ (ჩიქობავა 1979 75, იხ. აგრეთვე: ჩიქობავა 1981 3-5).

თანამედროვე კომპარატივისტიკის პოზიციიდან:

უეჭველია ი. ვან-გინეკენის პირველი დებულების სისწორე, რომ ლატერალები არქაული ფორმაციის სერიაა კავკასიურ ენებში.

ამ დებულების საწინააღმდეგო განცხადებები: თითქოს: „ლატერალები რომ თანხმოვანთა ძველისძველ სერიას წარმოადგენს კავკასიურ ენებში, სარწმუნო არ ჩანს“. ან „რავგარიც არ უნდა იყოს ლატერალებისათვის ამოსავალი თანხმოვნები, ლატერალების მეორეულობა სადაო არ უნდა იყოს“, თავად არიან სადავონი და გამომდინარეობს უფრო ავტორის ზოგადი დედუქციური ვარაუდიდან „ვინემ იბერიულ-კავკასიურ ენათა ფაქტობრივი მონაცემებიდან“.

ჭერ ერთი: რას ნიშნავს ძველისძველი?

კომპარატივისტიკის ენაზე ეს ნიშნავს საერთო ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე რეკონსტრუირებადს, ანუ იმ ფუძე-ენის დონეზე, რომლის დროში წინმსწრობი ფუძე-ენის რეკონსტრუქცია მკაცრი მეცნიერული მეთოდებით აღარ ხერხდება.

ამ თვალსაზრისით იბერიულ-კავკასიური ენებისათვის ლატერალურ თანხმოვანთა სერია ნამდვილად და სარწმუნოდ ძველისძველია:

ა) ლატერალები სრული უეჭველობით აღდგება საერთო-დაღესტნურ ფუძე-ენაში (გიგინეიშვილი 1977);

ბ) ლატერალები სრული უეჭველობით აღდგება საერთო-ნახურ-დაღესტნურ ფუძე-ენაში (იმნაიშვილი 1977 194-199; ბოკარიოვი 1981 30-32);

გ) ლატერალები სრული უეჭველობით აღდგება საერთო-ადილურ ფუძე-ენაში (კუმახოვი 1981: 211-215)...

ამის წინარე ფუძე-ენის ფონოლოგიური სისტემის რეკონსტრუქცია იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების მორიგი ამოცანაა და ამ ეტაპზე განხორციელებული არ არის.

შესაბამისად საერთო ნახურ-დაღესტნური და აფხაზურ-ადილური ფუძე-ენების ქრონოლოგიურ დონეზე ისინი თანხმოვანთა ძველისძველ სერიას წარმოადგენს.

მეორე: რას ნიშნავს მეორეული?

კომპარატივისტიკის ენაზე ეს ნიშნავს საერთო-ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე რეკონსტრუირებული არქიფონემის ტრანსფორმაციის შედეგად მიღებულ ფონემას რომელიმე შუალედურ ფუძე-ენაში ან ისტორიულად დადასტურებულ ენაში (resp. ენებში). აკად. არნ. ჩიქობავა წერს: „რაგვარიც არ უნდა იყოს ლატერალები-

სათვის ამოსავალი თანხმონები, ლატერალების მეორეულობა სადავო არ უნდა იყოს“.

სად უნდა იყვნენ ამოსავალი თანხმონები ანუ არქიფონემები? ცხადია საერთო ფუძე-ენაში.

საერთო ნახურ-დაღესტნურ ფუძე-ენაში ლატერალების რეკონსტრუქცია, როგორც ვთქვი, ხდება სრული უეჭველობით. ანუ ისინი უკვე თავად წარმოდგენენ არქიფონემებს. მაშ, საიდან მტკიცდება მათი უდავო „მეორეულობა“. რომელი ისეთი ფუძე-ენა არის აღდგენილი, რომლის არქიფონემათა ტრანსფორმაციასაც ისინი წარმოდგენენ.

სადამდეც ვახერხებთ ჩასვლას ისტორიულ-შედარებითი მეთოდის დახმარებით დაღესტნური თუ ნახურ-დაღესტნური ენების კვლევაში — ყველა დონეზე ლატერალები პირველადი ფორმაციის ფონემებად გვევლინება.

როგორც ზემოთ, ვთქვი, პროფ. ტოგო გუდავამ 1954 წელს გამოქვეყნა იბერიულ-კავკასიური ენების კომპარატივისტული კვლევისათვის ფუძემდებლური გამოკვლევა „ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ტა ლატერალის გენეზისისა და ქართველურ ენებში მისი ფონეტიკური შესატყვისის შესახებ“, როგორც სათაურიდანვე ჩანს, ნაშრომში ავტორი ორ მიზანს ისახავდა: ა) გაერკვია ტა ლატერალის წარმომავლობა და ბ) გამოევლინა მისი კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისი ქართველურ ენებში.

მეორე საკითხთან დაკავშირებით ქართველურ-დაღესტნურ ბგერათმესატყვისობებთან დაკავშირებით უკვე იყო ლაპარაკი; ახლა შევხები პირველ საკითხს, რომლის კვლევამ ტ. გუდავა მიიყვანა დასკვნამდე, რომ ტა ლატერალი მიღებული უნდა ყოფილიყო უკანაენისმიერი კ-ს რიგის ბგერადან.

ტ. გუდავას ეს დასკვნა თეორიული თვალსაზრისით ეყრდნობა

ნ. ტრუბეცკოს ვარაუდს ლატერალების უკანაენისმიერთაგან წარმოშობის შესახებ (ტრუბეცკო 1987 233-246) და ამ ვარაუდის მართებულობას იგი მის მიერ ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა ტ^ა ლატერალის შესატყვისად ქართველურ ენებში ყოველგვარად გამოვლენით განამტკიცებდა. ლეზგიურ ენათა ჯგუფის არჩიბულ ენაში პოვნიერ ლატერალთა თავისებურებებზე დაყრდნობით ო. კახაძეც ამ თვალსაზრისს უმაგრებს მხარს (კახაძე 1958 339-344 და კახაძე 1959 303-312).

მტკიცებულებათა უქონლობის გამო ვერ გამოვრიცხავ, რომ რომელიმე წინარე ფუძე-ენაში ასეთ პროცესს მართლაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ მას ადგილი არ ჰქონია და არც შეიძლება ჰქონოდა ისტორიულად დადასტურებულ დაღესტნურ ენებში, რადგან ის აღდება არა მარტო საერთო-ხუნძურ-ანდიურ-დილოური ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე, არამედ საერთო-დაღესტნური ფუძე-ენის დონეზე, და აღდება არა უკანაენისმიერი კ-ს რიგის ბგერის, არამედ უკვე და სწორედ *ტ^ა-ს, ანუ ინტენსიური გლოტალიზებული ლატერალური აფრიკატის სახით ე. ი. ის პირველადი ფონემაა ამ ენებისთვის და არა მეორეული. ეგვევ ითქმის სხვა ლატერალთა შესახებაც.

ასეთია დასკვნა, რომელიც ემყარება „იბერიულ-კავკასიურ ენათა ფაქტობრივ მონაცემებს“ და არა „ზოგად ვარაუდს“.

რაც შეეხება იმას, „ორმოცი ლატერალი რომ ივარაუდა ვან-გინეენმა კავკასიურ ენებში“ — კომპარატივისტიკის პოზიციიდან ესეც დედუქციური დასკვნაა, ლატერალთა ამ რაოდენობის რეკონსტრუქციას ფუძე-ენაში მართლაც არ უჭერს მხარს „იბერიულ-კავკასიურ ენათა ფაქტობრივი მონაცემები“.

ი. ვან-გინეენის მეორე დებულების, რომ ლატერალები მოგვეპოვებოდა ქართველურ (სამხრეთ-კავკასიურ) ენებში, სიმცდარე ჩემ-

თვის უეჭველია: როგორც ისტორიულად დადასტურებულ ქართველურ ენებში, ასევე მათი შედარების გზით რეკონსტრუირებად საერთო-ქართველურ ენაში ლატერალები აღარ მოიპოვება.

ი. ვან-გინეკის კვალდაკვალ, მაგრამ არა „ზოგადი ვარაუდის“, არამედ ბგერათა რეფლექსების საფუძველზე, საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონეზე ლატერალების რეკონსტრუქციას ახდენენ კ. ჰ. შმიდტი (შმიდტი 1962 79) და ჰ. ფენრიხი (ფენრიხი 1992 21-23 და ფენრიხი 1998 20-21).

ვთვლი, რომ იმ რიგის შესატყვისობანი, რომელთა ასახსნელად საერთო-ქართველურ ფუძე-ენაში ლატერალების არსებობაა დაშვებული, უპრობლემოდ იხსნება მათი პოსტულირების გარეშეც (მაჭავარიანი 1965).

საერთო-ბასკურ-ქართველურ დონეზე მეც მოვახდინე ლატერალების რეკონსტრუქცია, წარმოვადგინე რა წინამდებარე მონოგრაფიის მეორე თავში მათი რეკონსტრუქციისთვის აუცილებელი მასალაც და არგუმენტაციაც.

ახლა მივმართავთ ამ რეკონსტრუქციის ვერიფიკაციას იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის დამატებითი ვერიფიკაციის ფარგლებში და მის პარალელურად.

3.1.1. ს./დაღესტნური *ტა ს./ქართველური *ყ ბასკური ლ


1. ხუნდ. ტაინ „ზამთარი“	ს/ქართვ. *ყინ-ელ-ი *ყინ-უ-ა	ბასკ. ლინ „ყინული“
ანდ. ტაინუ :	ქართ. ყინ-ულ-ი	სიტყვაში ლინ-
ჰუნზიბ. ლაინნ „id“	ყინ-ვ-ა	ათაში „სეტყვა“,
კაპუქ. ლინე „id“	ზან. ცინ-ი < ყინ-ი	„ყინულის ნა-
ლაკ. კინ-თ „id“	„ცივი“	ტეხი“
დარგ. მინი „id“	მეგრ. ცინ-უ-ა	
ხინ. კინ-აუ „id“	ლაზ.ო-ყინ-უ	

- და ა. შ. „ყინვა“
 ლაზ. ინ-ვა < ყინ-ვა
 „ზამთარი“
2. ხუნდ. რატ'ა
 „მიწა“
 დიდ. რილ'უ „id“
 ლეზგ. ნაყვ „id“
 ბუღლუხ. ნოყ „id“
 წახ. ნწყუ „id“
 და ა. შ.
- ს/ქართვ. *ყან-ა
 „მიწა“ || „ნიადაგი“
 ქართ. ყან-ა
 ზან. ყონ-ა / ცონ-ა
 „id“
- ბასკ. ლან
 „საველე (სამინ-
 დვრე) სამუშაო-
 ები“
 იხ. აგრეთვე:
 ლანცარ
 „ყამირი“
 ლანდაცე
 „ნათესი“
 ლანდა
 „მინდორი“
3. ხუნდ. ბოტ'ა-იზე
 „ნდომა“ || „სიყვარულ-
 ლი“:
 არჩ. ტ'ან-ქეს
 „id“
 უდ. ბუ-ყ-სუნ „id“
 და ა. შ.
- ს/ქართვ. *ყუარ-
 *ყუარ-ობ-ა
 „სიყვარული“
 ქართ. მი-ყვარ-ს
 სი-ყვარ-ული-
 ვ-ყვარ-ობ
 „მიყვარს“
 ზან. მი-ცორ-ს
 „მიყვარს“
 ყორ-ოფ-ა > / ცორ-ოფ-ა
 „სიყვარული
 (ყვარობა)“
 ლაზ. ვ-ცორ-ომ
 „ყვარობ“
- ბასკ. ლაროუ-
 ლაროუა დო
 (ვეულგ. „კოიტუ-
 სი“)
 ლაროუთან ეგინ
 (ვეულგ. „კოიტუ-
 სი“)
 შდრ. ბრაუნნი:
 ლერა
 „ვენება“

ქართველური ყიჟვე ბასკური ლ შესატყვისობა, როგორც უკვე ვთქვი, საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ ლატერალების არსებობა საერთო-ბასკურ-ქართველური ენის ფონოლოგიურ სისტემაში მისი რეკონსტრუქციისას და ტ. გუდავასაგან განსხვავებით თვით საერთო იბერიულ-კავკასიურ ფუძე-ენაშიც.

ამჯერად თავს ვიკავებ საერთო იბერიულ-კავკასიური ფუძე-ენაში ამოსავალი ლატერალის (არქეტიპის) ცალსახა კვალიფიკაციისაგან და შემოთავაზებულ სქემაში მას პირობითად გლოტალიზებულ „ლატერალად“ მოვიხსენიებ.

საერთო იბერიულ-კავკასიური
 *[გლოტალიზებული ლატერალი]



4.1.2. ხსენებულ სტატიაში ტ. გუდავამ გამოთქვა კიდევ ერთი საყურადღებო მოსაზრება იმის შესახებ, რომ „როგორც ჩანს, ქართველური ენები ტ^ა-ს შესატყვისობების მიხედვით არსებითად დალესტნის ისეთ ენათა რიგში ღებებიან, როგორცაა, მაგალითად, ლაკურ-დარგული და ლეზგიური ენები“.

ხსენებულ ენებს კი, როგორც სათანადო ადგილას ვაჩვენე, ტ^ა ლატერალის შესატყვისობათა ორი რიგი ახასიათებთ.

ამ მიმართულებით კვლევამ დაადასტურა ტ. გუდავას მოსაზრება და გამოავლინა, ისევე როგორც ლეზგიურ ენებში, ტ^ა ლატერალის მეორე შესატყვისობაც ქართველურ ენებში: ღ (მ. ქურდიანი 1986), რამაც ტ. გუდავას მიერ დადგენილ იზოლირებულ ბგერათ-შესატყვისობას მკაცრი სისტემური ხასიათი მისცა:

საერთო-დალესტნური ტ^ა-ს შესატყვისად გამოვლენილ საერთო-ქართველურ ღ-ს აქვს თავისი კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისობა ბასკურშიც გ||ჭ, რაც ე. წ. „დამატებითი“ ვერიფიკაციის საშუალებას იძლევა ქართველურ და დალესტნურ ენებს შორის დადგენილი შესატყვისობების მართებულობისა.

4.1.1. ს./დალესტნური *ტ^ა ს./ქართველურ *ღ ბასკური გ||ჭ

1. ხუნდ. რუტ ^ა	ს/ქართვ. *უღ-ელ-ი	ბასკ. უგ-ალ
„უღელი“	ქართ. უღ-ელ-ი:	უჭ-ალ
ანდ. რუტ ^ა ო „id“:	ზან. უღ-უ „id“	„ღვედი“
ანგ. რუტ ^ა ე „id“:	სვან უღ-შ-ა „id“	„ჭაპანი“
ლაკ. რუკ „id“:		სემანტიკური გადა-
ლეზგ. უიქ-თ „id“:		ხრა: „უღელი“ >
თაბას. ძურქაღ „id“:		„ჭაპანი“ > „ღვედი“
არჩ. ოტ ^ა „id“:		
უღ. ოყ „id“:		
და ა. შ.		

2. ანდ. რიტ'ი	ს./ქართვ. *ლეღ-ჟ-ი	ბასკ. არაჯი
„ხორცი“	„ხორცი“	„ხორცი“
ბოთლიხ. რიტ'ი	ქართ. ლეღ-ჟ-ი	დადასტურებულია
„id“:	„ლეღვი“ < „რბილობი“	1140 წელს
დიდ. რელ'ა	< * „ხორცი“	(ტოვარი 1980:21)
ხვარშ. ლილ'ა	სვან. ლეღ-ჟ	ამჟამად: ჰარაჯი
დარგ. დიგ	„ხორცი“	
ლაკ. დიკ		
ლეზგ. მაქ		
არჩ. ატ'ა		
უღ. მეჟ		
	და ა. შ.	

საერთო-დაღესტნური ტ'ა ლატერალის შესატყვისად ქართველურში ღ-ს წარმოჩენა სრულიად კანონზომიერია, ღ-ს დაკავშირება ლატერალებთან ი. ვან-გინეკენმაც სცადა:

„ლატერალების კვალს ქართულში ვან-გინეკენი ხედავს თანხმოვანთა კომპლექსებში, როგორცაა ადგილი, დგრიალი, მატყლი, წყალი, რწყილი... (ზოგი ცალკეული თანხმოვანიც, მაგ., ღ სიტყვაში „უღელი“ — თურმე მჟღერ ლატერალურ სპირანტს უღრის!)“ (ჩიქობავა 1979 75)

ვან-გინეკენის „მჟღერი ლატერალური სპირანტის“ ნაცვლად, იმ ფონემის არქეტყად, რომლის რეფლექსად ღ გვევლინება, მე გლოტალიზებული ლატერალური აფრიკატის აღდგენას ვუჭერ მხარს, რაკილა მისი მეორე კანონზომიერი რეფლექსი ყ-ა.

ღ-ს ლატერალიდან მომდინარეობის შესახებ ლაპარაკობს ნ. ტრუბეცკოი არა მხოლოდ ჩინურ-ლეზგიურ (resp. ნახურ-დაღესტნურ) ენებში, არამედ სომხურშიც:

„ყოველივეს შემდეგ, რაც ჩვენ დავადგინეთ ჩეჩნურ-ლეზგიური ენებისთვის, სრულიად ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ კლას. სომხ. ჰ იცვალა Ⴆ-დ მედერი ლატერალური სპირანტის *ჰ -ს შუალედური ეტაპის გავლით და რომ ეს მოხდა რომელიღაც აღმოსავლურკავკასიური ენის გავლენით — შეიძლება — ალვანურის, უეკველად, დაღესტნის თანამედროვე ენების მონათესავის“ (ტრუბეცკოი 1983 246. ქართულად იხ. ტრუბეცკოი 1972 279).

ყოველივე ზემოთქმული კიდევ უფრო განამტკიცებს ჩემს აზრს საერთო-ბასკურ-ქართველურში ლატერალთა რეკონსტრუქციის მართებულობის შესახებ. საერთო-ქართველური ტ^ა ლატერალი აისახა ორი რეფლექსის სახით — ერთი, რომელიც დაემთხვა *ჟ-ს რეფლექსს, მეორე კი ასევე საერთო-ბასკურ-ქართველურის *ღ-ს რეფლექსს. ბასკურში პირველი რიგის რეფლექსები საერთო-ბასკურ-ქართველურის *ღ- რეფლექსებს დაემთხვა, მეორე კი ფუძე-ენის *ღ-სას.

გრაფიკულად საერთო იბერიულ-კავკასიური ენის „გლოტალიზებული ლატერალი“ მეორე შესატყვისი საერთო-დაღესტნურსა და საერთო-ქართველურში ასე შეიძლება იყოს წარმოდგენილი:

საერთო იბერიულ-კავკასიური
*[გლოტალიზებული ლატერალი]

საერთო-ნახურ-დაღესტნური
*[გლოტალიზებული ლატერალი]

საერთო-ბასკურ-ქართველური

საერთო-დაღესტნური

ტ^ა

(ინტენსიური გლოტალიზებული ლატერალული აფრიკატი)

*ტ^ა

საერთო-ქართველური ბასკური

*ღ

ჰ||ღ

დალესტნური ენებიდან საერთო-დალესტნური ფუძე-ენის ტ^ა ლატერალი იდენტური რეფლექსის სახით მხოლოდ ხუნძურ-ანდიურ ენებსა და ლეზგიური ჯგუფის ოდენ არჩიბულ ენას შემორჩა (ისიც შესატყვისობათა ერთი რიგისათვის), დანარჩენ ენებში კი ის სხვადასხვა რეფლექსებით არის წარმოდგენილი.

ლეზგიურ ენებში (უდიურის გარდა) მას ორ-ორი რეფლექსი აქვს, მათ შორის არჩიბულშიც: ერთი, როგორც ვთქვი, ტ^ა და მეორე — ყ.

ასევე ორ-ორი რეფლექსით არის წარმოდგენილი ფუძე-ენის გლოტალიზებული ლატერალური აფრიკატი ბასკურ-ქართველური ჯგუფის ენებშიც.


და, რაც უაღრესად პრინციპული მნიშვნელობისაა ბასკურ-ქართველური და დალესტნური ენების ნათესაობის ცალსახა მტკიცებისათვის, ეს რეფლექსები მკაცრად არის ერთმანეთისაგან გამიჯნული და ერთმანეთში არასოდეს ირევა:

როდესაც ხუნძურ-ანდიური ტ^ა ლატერალის შესატყვისად ლეზგიურ ენებში გვაქვს (ენათა მიხედვით) ქ ქ^ა ტ^ა, ბასკურ-ქართველურ ენებში ასევე უგამონაკლისოდ გვაქვს ლ ჭ^ა;

ხოლო როცა ტ^ა ლატერალს ლეზგიურ ენებში შესატყვისება ყ, ბასკურ-ქართველურ ენებში ასევე უგამონაკლისოდ გვაქვს ყ^ა ლ.

გამონაკლისი ლეზგიური ენებიდან მხოლოდ უდიურია, რომელიც ხუნძურ-ანდიური ენების ტ^ა ლატერალის შესატყვისად ორივე რიგში მხოლოდ ყ-ს ავლენს.

ენათა ნათესაობის მტკიცებისათვის აქ გამოვლენილი სისტემა იდეალურს უახლოვდება. იხ. სქემა:



4.2. დაღესტნურ-ქართველური და ბასკურ-ქართველური
ბგერათშესატყვისობების ურთიერთვერიფიკაცია
სიბილანტურ აფრიკატთა რიგში

წინამდებარე ნაშრომში, ერთი მხრივ, ქართველურ და დაღესტნურ ენებს შორის დადგინდა კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისობა სიბილანტურ აფრიკატთა რიგში — ს./ქართვ. *წ||*წ| ს./დაღ. *ხ, მეორე მხრივ, ქართველურ და ბასკურ ენებს შორის დადგინდა ამავე რიგში შემდეგი კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისობა ს./ქართვ. *წ||*წ| ბასკ. შ.


ასეთ შემთხვევაში ქართველურისათვის დაღესტნურსა და ბასკურში ცალ-ცალკე დადგენილ კანონზომიერ და რეგულარულ შესატყვისობათა რეალიზაციის მაგალითებს შორის, ვფიქრობთ, ერთი საერთო ლექსემის გამოვლენაც სრულიად საკმარისია მათი ისტორიულ-გენეტიკური ურთიერთობის ნათელსაყოფად.

ს./დაღესტნური *ხ	ს./ქართველური *წ *წ	ბასკური შ
ს./დაღ. *სამ *სჷამ „ჩალა“, „ნამჷა“	ს./ქართ. წემ-ი „ბალახი“, „თივა“	ბასკ. შამარ „ბალახის ღერო“,
ხუნდ. სუნ „id.“:	ქართ. წამ-ი (სიტყვა- ში: ლერ-წამ-ი	„წველი“ შამა-ჩ
ახვახ. შუმა „id.“:	*ლელ-წემ-ი)	„გამხმარი ბალახი“
ლაკ. ხუნ „id.“:	წამ-ალ-ი	
ლეზგ. სამ „id.“:	ზან.მეგრ. ჳემ-ი	
თაბ. შჷამ (< სჷამ) „id.“:	<*ჳამ-ი „ბალახი“	
ხინ. სამ „id.“:	(სიტყვაში: ლარ-ჳემ-ი	
და ა. შ.	<*ლარ-ჳამ-ი „ლერწამი“)	

ლახ. ჳამ-ი „წამალი“
 „საწამლავე“ (სიტყვა-
 ში მთხოლა-მანჳამურე
 „შხამიანი ხელიცი“):
 სვან. თჳემჳ-ჳემჳ-ი
 „თივა“

აქ წარმოდგენილი ერთი მაგალითი დადგენურ-ქართველური და ბასკურ-ქართველური შესატყვისობების დანატყებითი ვერიფიკაციისათვის იმიტომ არის საკმარისი, რომ ის აერთებს ცალ-ცალკე, მეთოდის მკაცრი გამოყენებით, დადგენულ ბგერათშესატყვისობათა სისტემებს და ურთიერთშეთავსებადს ხდის მათ.

ეს შეთავსებადობა შემდეგი სახით შეიძლება იქნეს წარმოდგენილი: იბერიულ-კავკასიური



4.3. აფხაზურ-ქართველური და ბასკურ-ქართველური ბგერათ-შესატყვისობების ურთიერთვერიფიკაცია დენტალურ ხშულთა რიგში

ერთი მხრივ, ქართველურსა და აფხაზურს შორის დენტალურ ხშულთა რიგში, კერძოდ, თ-სთვის აკად. ქ. ლომთათიძის მიერ დადგენილია კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისობები:

ს./ქართვ. *თ < $\begin{matrix} *სთ \\ *სით \end{matrix}$ || *თჷ < $\begin{matrix} *სთჷ \\ *სით \end{matrix}$ ს./აფხ. *ს' || *ს'ი.

მეორე მხრივ, ქართველურსა და ბასკურს შორის დადგენილია ასევე კანონზომიერი და რეგულარული შესიტყვებები:

ს./ქართვ. *თ || *სით ბასკ. ს/z || შ/s.

ცალ-ცალკე დადგენილ ამ შესატყვისობებს აქვთ საერთო მაგალითები, რომლებიც ცალსახად ამტკიცებენ არა მარტო გამოვლენილ შესატყვისობათა კანონზომიერებასა და მართებულობას, არამედ შესადარებელ ენათა ახლო ნათესაობასაც.

ს./აფხ. *ს' || *ს'ი ს./ქართ. *თ < $\begin{matrix} *სთ \\ *სით \end{matrix}$ || *თჷ < $\begin{matrix} *სთჷ \\ *სითჷ \end{matrix}$ ბასკ. ს/z||შ/s

<p>1. აფხაზ. ა-ს'გ-ს' (ა-სგ-ს) „გოჭი“</p>	<p>ს./ქართ. *თ-ელ-ი „გოჭი“ ქართ. თ-ელ-ი „id“ ზან. თ-უ'ლ' „id“.</p>	<p>ბასკ. სეროი „ლორი“</p>
<p>2. აფხ. ა-ს'გ (ა-სგ) „თოვლი“</p>	<p>ს./ქართვ. *ს თ-ოტ-ლ-ი *ს თ-ოტ-ს ქართ. თ-ოვ-ლ-ი თ-ოვ-ს ზან. თ-ირ-ი „თოვლი“ თ-უნ-ს „თოვს“ სვან. შდ-უტ-ე „თოვს“</p>	<p>ბასკ. ა-სოროი „წყალვა“ „წვიმების სეზონი“, „ავდარი“</p>
<p>შდრ. ადილ. უნ-ს'გ „id“</p>		
<p>3. აფხ. ა-ს'ირა აშორა „შემოდგომა“</p>	<p>ს./ქართვ. *ს თჟ-ელ-ი „შემოდგომა“ „რთველი“ (<*„ჩამოკრეფა“) ქართ. სთვ-ელ-ი „რთველი“ სთვლისა „ოქტომბერი“ ზან.ლაზ. სთვ- „ჩამოცვენა“, „ჩამოწყდომა“ სთვ-ელ-ი<*სთვ-ალ-ი „კრეფის დრო“, „რთველი“ „შემოდგომა“</p>	<p>ბასკ. უსთარო „რთველი“ „მო- სავლის დრო“ უსთაილ- „ივლისი“ (მოსავლის აღე- ბის დრო) უსთა „კეა“ „მოსავლის აღება“ რთველი“ და სხვ.</p>

ბოლო მაგალითში სემანტიკური გადახრა ადვილი ასახსნელია: მევენახეობა, ყურძნის კრეფა პირინის მთიანეთში აღარ არის მეურნეობის დომინანტური დარგი, შესაბამისად, იქ პურეულის აღება აღიქმება როგორც. ეს კი უკვე ზაფხულში (ივლისში) ხდება და არა შემოდგომაზე (ოქტომბერში).

ახსნას მოითხოვს სთ კომპლექსის შენარჩუნების საკითხი ბასკურში.

საერთო-ბასკურ-ქართველური ფუძე-ენიდან ნამემკვიდრევი ეს კომპლექსი თავის ლაბილურ ბუნებას უკვე საერთო-ქართველურში იჩენს და ტარნსფორმაციის რამდენიმე ვარიანტს ავლენს:

ს./ქართ.:	ქართ.	ზან.:	სვან.:	ბასკ.
*სთ	სთ> რთ	სთ> რთ	სთ> ლთ	სთ>ს
*სთჷ-ელ-ი	სთჷ-ელ-ი	სთვ-ელ-ი	—	უსთარო
	> რთვ-ელ-ი	<*სთვ-ალ-ი		
*სთ-ჷა	სთ-ვ-ა > რთ-ვ-ა		ლი-ლთ-ე „რთვა“	
ს./ქართვ.:	ქართ.:	ზან.:	სვან.:	ბასკ.
*სთ	სთ> რთ	რთ< *შთ	შლ< *შთ	ს შ
	სთ>თ	სთ<*შთ	რთ<*შთ	
		თ<შთ		
*სითაგ-უ	თაგ-უ	მ-თუგ-ი	შლუგ-ჷ	შაგუ
*სით-ოჷ-ს	თ-ოგ-ს	თ-უნ-ს	შლ-უჷ-ე	—

*სით-ოჲ-ლ-ი	თ-ოვ-ლ-ი	თ-ირ-ი	—	ა-სორაი
*სითირ-	თირ	სთირ-	ლილ-შდირ-ი	—
	და-თირ-ებ-ა	<*შთირ-		
„თამაში“	„გართობა“	„თამაში“	„თავის შექცევა“	
	„თამაში“	სიტყვაში	„თამაში“	
		ვ-ი-სთირ-ა		
		„ვითამაშო“		
		და სხვ.		

*სით კომპლექსი მხოლოდ თითო-ორიჯერ შემთხვევაში არის გადარჩენილი ქართულში, ზანურსა და ბასკურში, სვანურისაგან განსხვავებით, და ჩემთვის ცნობილ ყველა შემთხვევას ერთი და იგივე ახსნა ეძებნება:

ს./ქართვ. *სია-სითაჲ-ულ-ი

ქართ. სა-სთავ-ულ-ი შდრ. ქართ. თავ სვან. შდა თავთავი“

ს./ქართვ. *სია-სითუმ-ელ-ი

ქართ. სა-სთუმ-ალ-ი შდრ. სვან. შდიმ „ყური“

< *სა-სთუმ-ელ-ი

ორივე შემთხვევაში სთ კომპლექსის შენარჩუნების მიზეზი ქართულში მისი „არასწორი“ დამარცვლაა (სეგმენტაცია):

სას-თავ-ულ-ი ნაცვლად სა-სთავ-ულ-ი-სა

სას-თუმ-ალ-ი ნაცვლად სა-სთუმ-ალ-ი-სა

სთ კომპლექსი ორივე შემთხვევაში გაიყო, აღმოჩნდა მორფემა-თა ზღვარზე, რამაც მისი შენარჩუნება გამოიწვია; მაგ.: ზანურში, სადაც ეს კომპლექსი (სით > შთ) სიტყვის დამარცვლის დროს არ გაიყო, ანუ „სწორად“ დაიმარცვლა, ის რთ-ში გადავიდა ზან.მეგრ. ო-რთუმ-ალ-ე „სასთუმალი“.

სამაგიეროდ, ზანურშივე, სადაც ეს კომპლექსი „არასწორად“ დამარცვლა ის გადარჩა:

ზან.ლაზ. ვ-ი-სთირ-ა <* ვ-ი-შთირ-ა „ვითამაშო“

დამარცვლა: ვის-თირ-ა ნაცვლად ვი-სთირ-ა-სი

(შთ კომპლექსის შენარჩუნების სხვა მაგალითი ან ფორმა ზანურში ჩემთვის უცნობია).

ანალოგიური მიზეზი, „არასწორი“ დამარცვლა, უნდა იყოს ბასკურში სთ კომპლექსის გადარჩენის მიზეზი ჩემთვის ცნობილ სიტყვებში:

უსთა / uzta უს-თა და არა უ-სთა და ა.შ.
„მკა“

უსთაი / uztai უს-თა-ი და არა უ-სთა-ი
„რკალი“, „უღელი“

უსთაითუ / uztaitu უს-თა-ით-უ და არა უ-სთა-ითუ
„მორკალვა“

უსთაილ / uztail. უს-თა-ილ და არა უ-სთა-ილ
„ივლისი“

უსთაო / uztao უს-თა-ო და არა უ-სთა-ო
„მჟაუნა“

უსთარო / uztao უს-თარ-ო და არა უ-სთარ-ო
„რთველი“

უსთონდო / uztondo უს-თონ-დო და არა უ-სთონ-დო
„მომკილი ადგილი“

და ა. შ.

აგრეთვე:

ისოსთე / izozte ის-ოს-თე და არა ისო-სთე
„არხილი“

სისტა / zizta სის-თა და არა სი-სთა
 „შოლტი“

და სხვ.

იგივე უნდა ითქვას ბასკური შთ/st კომპლექსის (<*სთ/*zt საერთო-ბასკურ-ქართველური კომპლექსიდან) შესახებაც:


აშთიგარ / astigar „ნეკერჩხალი“	აშ-თი-გა	და არა	აშთ-იგ-არ ან ა-შთიგ-არ
ოშთეან / ostean „შორელე“	ოშ-თე-ან	და არა	ო-შთე-ან ან ოშთ-ე-ან
ოშთოჩ / ostots „ქუხილი“	ოშ-თოჩ	და არა	ოშთ-ოჩ ან ო-შთოჩ
უშთელ / ustel „დამპალი“	უშ-თელ	და არა	უშთ-ელ ან უ-შთელ

და სხვ.


ამ „არასწორი“ დამარცვლის გამო უნდა დაბრკოლებულიყო, რიგ შემთხვევებში, *სთ>ს პროცესის განხორციელება ბასკურში.

თუმცა არსებობს სხვა გზაც, კერძოდ სუპერაციის და ასეთ შემთხვევაში სთ/zt (და შთ/st) კომპლექსების ბასკურში შენარჩუნების მიზეზი უნდა ვეძებოთ პროთეტული ხმოვნის გაჩენაში.

ბასკური საერთო-ბასკურ-ქართველური საერთო-ქართველური



*სთ კომპლექსს *რთ ვარიანტი უკვე საერთო-ქართველურ ქრონოლოგიურ დონეზე უნდა მოეცა, რასაც დუბლეტების გაჩენა უნდა გამოეწვია ფუძე-ენაში:



<p>სვანური ქაშდ ფორმა ბიბლიაშია დადასტურებული: ურ-ქაშდ-იმ (ქაშდების ქალაქი) ებრაულ ქაშდ-იმ-ში -იმ მრავლობითის ნიშანია. (შდრ. მარი 1908 და ჯავახიშვილი 1913).</p>	<p>ქართ > ჩართ ქართ-უ-ელ > ჩართ-უ-ელ (გვარში — ჩართოლან <ჩართუელან <*ქართველან.</p>	<p>ქორთ-ულ-ი „ქართული“ — ქართ-ულ-ი</p>	<p>ქართ-უ-ელ-ი ქართ-ლ-ი ქართ-ლ-ელ-ი ქართ-ულ-ი</p>
	<p>იხ. ოსიძე 1997)</p>		

კარდუ (kardu) > ქართუ პროცესის შესახებ, დისიმილაციით რ სონანტთან დ-ს მეზობლობის გამო (ლომთათიძე 1996), ჩემი აზრით კი, აქ ამოსავალი ქართუ უნდა იყოს, რომლიდანაც ან რ სონანტთან თ-ს ასიმილაციით არის მიღებული: ქართუ > ქარდუ > გარდუ (გრაფიკულად: გარდუ = კარდუ), ან ქ. ლომთათიძის იმავე წესის თანახმად: ქართუ > ქარტუ > კარტუ (გრაფიკულად ასევე

გარდუ || კარდუ), ანდა კარდუ (kardu) უბრალოდ ასახავს ბერძნულის მიერ ქართ. თ-ს ასახვას მთელ რიგ ნასესხობებში ნ-თი: თელ-ო > ძελλი-ა; ასფოთელ-ა > ἀσφὸδελ-ος და სხვ.

მაგრამ არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ *სთ > *რთ პროცესი დაწყებული იყო ჭერ კიდევ საერთო-ბასკურ-ქართველური ფუძე-ენის დონეზე:

პირინეის ნახევარკუნძულზე დადასტურებულია ეთნონიმთა ერთი რიგი, რომელიც სუფიქსაციის ორი ვარიანტით არის გაფორმებული (ზიცარი 1955 57), მათ შორის:

ueski || ueski-tani

აქ tani (tan) ქამიტურ ენებისათვის დამახასიათებელი მავთონი-ნიმბელი სუფიქსია. მაგრამ ძირი, ცხადია, ბასკებს || ვასკებს უკავშირდება. ამავე ქამიტური სუფიქსით არის გაფორმებული ეთნონიმი:

kar-pe-tani < *kar-te-tani

რომელსაც ზიცარი ეთნონიმს kart-u-el-i უკავშირებს (მცდარი სეგმენტაციით: — kar-tveli იხ. ზიცარი 1955 57). მაშასადამე: karte-tani-ში შემონახულად ივარაუდება ქართთა თვითსახელწოდება ქართ-ი, რომელიც ამ შემთხვევაში საერთო ბასკურ-ქართველური ფუძე-ენის ქრონოლოგიური დონის ოდენობა გამოდის. თუ ეს დაკავშირება სწორია, მაშინ:

საერთო-ბასკურ-ქართველური

*სთ->||*რთ-

ბასკური


ბასკური

სთ>||ს

*რთ

ყოველ შემთხვევაში, აფხაზურ-ქართველური და ბასკურ-ქართვე-

ლური შესატყვისობების ურთიერთშეთავსებადობა შემდეგი სქემის სახით შეიძლება იქნეს წარმოდგენილი:



4.4. აფხაზურ-ქართველური და ბასკურ-ქართველური
ბგერათშესატყვისობების ურთიერთვერიფიკაცია
სიბილანტურ აფრიკატთა რიგში

სიბილანტურ აფრიკატთა რიგში ცალსახად არის დადგენილი შემდეგი კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისობანი, ერთი მხრივ, ს./ქართვ. *წ||*წი ს./აფხაზ. * შა, მეორე მხრივ, ს./ქართვ. *წ||*წი ბასკ. შ.

ქართველურ-აფხაზურსა და ქართველურ-ბასკურისათვის ცალ-ცალკე დადგენილ ამ შესატყვისობებსაც აქვთ საერთო მაგალითები:

ს./აფხაზური შა	ს./ქართველური *წ *წი	ბასკური შ
1. აფხ. (ა)-შაა-რა „განწილვა“	ს./ქართ. *წ-ილ-უა *წ-ილ-ი ქართ. გან-წ-ილ-ვა „განყოფა“ მო-წ-ილ-ვა „მოკრეფა“ წ-ილ-ი „კერძი“ ნა-წ-ილ-ი „გამოკერძილი“ ზან.მეგრ. წილ-ჟ-ა ლაზ. ო-წილ-უ „მოკრეფა“	ი-შილ / i-sil „იდუმალება“ „დუმილი“ „სიჩუმე“ სემანტიკური გადახრა: „დუმილი“ <*, „განკერძება“ „განცალკეება“

2. აფხ. ში(გ) „ცხელი“ აფხ. ა-შირა აბაზ. შირა „დუღილი“ აფხ. ა-შოტრა აბაზ. შიგტარა „სიცხე“, „ხვატი“ მდრ.: ყაბ. წ-იაბზ „თბილი“, „სითბო“ ადილ. ტაბზ „id“	ს./ქართ. წი-ჟ-ა „წვა“, „ტკივილი“ ქართ. წვა „id“: ზან. ჭ-ჟ-ა „id“. მეგრ. ჭ-ჟ-ალ-ა ლაზ. ო-ჭ-ჟ „წვა“, „ცხობა“ უ-ჭ-ჟ „შეუწვავი“, „გამომცხვარი“ ჭ-ჟ-ერ-ი „დამწვარი“: სვან. ლი-ჭ-ი „ცხობა“ ლგ-ჭ-ე „გამომცხვარი“ მგ-ჭ-ი „მცხობელი“	ბასკ. შუ/su „ცეცხლი“
--	---	-------------------------


შესატყვისობა ს./აფხაზ *ში ს./ქართ.*წ||წი ბასკური შ იმით არის გამორჩეული, რომ ის მთლიანად მოიცავს იბერიულ-კავკასიური ენათა ოჯახის ორ ჯგუფს აფხაზურ-ადილურსა და ბასკურ-ქართველურს, რადგან აფხაზური ში-ს აქვს კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისობა ადილურ ქვეჯგუფში — ადილ. ტ ყაბ. წ-ი.

თავისთავად ცხადია, რომ ამ ტიპის კანონზომიერ და რეგულარულ შესიტყვებათა გამოვლენა ერთი ოჯახის ორ ენობრივ ჯგუფს შორის განსაკუთრებული მტკიცებულებითი ძალის მატარებელია, მით უმეტეს, იმისი გათვალისწინებით, რომ შესატყვისობა დიფერენცირებულია და არა იდენტური.

აქ კიდევ ერთხელ იჩენს თავს არქეტიპის რეკონსტრუქციის პრობლემა საერთო-იბერიულ-კავკასიური ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე.

ამოსავალი სიბილანტის სრული უეჭველობით დადგენა ამ ეტაპზე შესაძლებლად არ მესახება. არ არის გამორიცხული, რომ ის სისინა (resp. სისინ-შიშინა) გლოტალიზებული აფრიკატი ყოფილიყო. მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდია.

რაც შეეხება აფხაზურ-ქართველურ და ბასკურ-ქართველურ შესატყვისობებს, მათი შეთავსებადობა შემდეგი სქემის სახით შეიძლება იქნეს წარმოდგენილი:



4.5. აფხაზურ-ქართველური და ბასკურ-ქართველური ბგერათშესატყვისობების ურთიერთვერიფიკაცია კანონზომიერებულობის თვალსაზრისით

ბგერათშესატყვისობათა რეგულარულობა შესადაარებელ ენებში ფუძე-ენის არქიფონემის რეფლექსების შემცველი ძირეული თუ აფიქსალური მორფემების კომბინაციით შედგენილი ლექსემების რაოდენობაზეა დამოკიდებული.

რაც შეეხება ბგერათშესატყვისობათა კანონზომიერებას ეს უკვე ფუძე-ენის არქიფონემის დიფერენციაციის შედეგად მიღებული რეფლექსების „გამოყვანადობის“ ფონეტიკური კანონებით ახსნაზეა დამოკიდებული.

იმას, რომ, ერთი მხრივ, აფხაზურსა და ქართველურს, მეორე მხრივ კი, ბასკურსა და ქართველურს შორის დადგენილი შესატყვისობები არა მარტო რეგულარულია არამედ კანონზომიერიც მეტყველებს ის, რომ ქართველურ *თ / *სით||*სთ-ს ორივე ენაში სიბილანტური სპირანტები შეესატყვისება — როგორც ბასკურში ს||*z და შ||*s (სისინა და შიშინა), ასევე აფხაზურში ს'||ს (სისინა-შიშინა), ხოლო წ||*წ-ს ორივე ენაში შიშინა-სიბილანტური სპირანტები — ბასკურში შ/s, ხოლო აფხაზურში შა.

ამ უკანასკნელი მაგალითის კანონზომიერებულობას კიდევ უფრო განამტკიცებს მისი შესატყვისობის პოვნეირება საერთო-დადესტურ ფუძე-ენაში სისინა სიბილანტური სპირანტის ს-ს სახით, რომელიც ისტორიულად დადასტურებულ დადესტურ ენებში იძლევა რეფლექსებს ენათა მიხედვით — სისინა ს ან შიშინა შ სიბილანტური სპირანტის სახით.

იბერიულ-კავკასიური ენებისთვის გამოვლენილი ამ შესატყვისობების კანონზომიერებას ტპოლოგიური პარალელებიც უჭერენ მხარს, სადაც დენტალური ხშულები (დ, თ, ტ) ასევე ავლენენ შესატყვისობებს სიბილანტებთან ან ფუძე-ენისეული დენტალური ხშულები მემკვიდრე ენებში სიბილანტური რიგის რეფლექსებს იძლევიან. მაგ.:

სემიტური ენები

ს./სემიტ.	არაბ.	ეთიოპ.	ქანან.	არამეულ	აქადური
*t	t	s	š	t	š
*d	d	z	z	d	z
*t	z	š	š	t/š	š
*d	d	d	š	t/š	š

და სხვ.

ინდო-ევროპული ენები


ს./ინდო-ევროპული	ანატოლ.	თოხარ.	ბერძნ.	გერმ
*t'	s	š	d	t
*t ^h	c	c	t	θ

და სხვ.

ზემოთ აგრეთვე ცალსახად იქნა ნაჩვენები, რომ, საერთო-ქართველური ფუძე-ენის *თ/*სით || *სთ-ის ისევე როგორც ბასკურ-სა და აფხაზურში, დაღესტნურშიც სიბილანტი შეესატყვისება, ოღონდ ამჯერად არა სიბილანტური სპირანტი არამედ აფრიკატი.

ამ შესატყვისობათა კანონზომიერი ხასიათი უემდეგი სქემის

სახით შეიძლება იქნეს გამოსახული:



4.6. ბგერათშესატყვისობათა ვერიფიკაცია ენათა იბერიულ-კავკასიური ოჯახის სამივე ჯგუფის მასალაზე ლატერალთა რიგში

როგორც, უკვე არაერთხელ ვთქვი თუ ენები ერთმანეთის მონათესავენი არიან მათ ერთმანეთის მიმართ კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობები უნდა გამოავლინონ ნებისმიერი ჯგუფის ნებისმიერი ენის ნებისმიერი ქრონოლოგიური დონის მონაცემების ერთმანეთთან კომპარატივისტული მეთოდის მთელი სიმკაცრით დაცვით შედარებისას.

ზემოთ ქართველურ-აფხაზური და ქართველურ-დაღესტნური

ბგერათშესატყვისობები ვერიფიცირებული იქნენ ქართველურ-ბასკური ბგერათ შესატყვისობების გამოყენებით, რამაც ცხადყო კიდეც დადგენილ შესატყვისობათა კანონზომიერი ხასიათი.

ახლა წარმოდგენილი იქნება ცალკეულ-ჯგუფებს შორის გამოვლენილი ბგერათშესატყვისობების ვერიფიკაციის პროცედურა სამივე ენობრივი ჯგუფის აფხაზურ-ადიღურის, ბასკურ-ქართველურისა და ნახურ-დაღესტნურის იმ მასალის მიხედვით, რომლის ბგერათშესატყვისობათა კანონზომიერებაცა და რეგულარულობაც დადგენილი იქნა ჯერ ქვეჯგუფების, შემდეგ ჯგუფების და ბოლოს ჯგუფთაშორისი შედარებით.

შესატყვისობათა ეს მაგალითი წარმოდგენილი იქნება თეორიულად დასაბუთებული და კორექტულად სეგმენტირებული ლექსიკური ერთეულების სახით, რომლის შემადგენელი ძირეული და აფიქსალური მორფემებიდან ბგერათშესატყვისობა მოიცავს როგორც ძირს ასევე არაიშვიათად სიტყვათწარმოების მთელ კომბინაციასაც.

საერთო-იბერიულ-კავკასიური ფუძე-ენის დონეზე რეკონსტრუირებად ძირებს წარმოადგენენ „ძვალი“ და მისგან წარმოებული ფუძეები „იდაყვის“ („მკლავის ძვლისა“) და „ბაყვის“ („თეძოს ძვლის“) აღსანიშნავად.

1.1. „ძვალი“

საერთო-
აფხაზურ-ადიღური
*ღ°
ადიღ. ღ°-
აფხ. ჳ-ა < *ზ°-ა
„ძვალი“

საერთო-
ქართველური
*ყუ
ს./ქართვ.*ყუ-ილ-ი
„id.“
ქართ. ყვ-ილ-ი

საერთო-
დაღესტნური
*ტ°ა
ხუნდ. რა-ტ°ა-ა „id.“
ანდ. რო-ტ°ა-ი „id.“
ახვ. რა-ტ°ა-ი „id.“

სიტყვაში: ა-ჟ-ზ-ა „ხელი“	ყვ-ლ-იე-ი „id.“	კაბ. ლ'ბ-ორ-ა < *რო-ლ'ბ-ა „id.“
< *„ხელის ძვალი“	ზან. (ლაზ.)	თაბ. დი-რ-ქა „id.“
აბაზ. ვ ⁰ -ა „id.“	ყვ-ილ-ი „id.“ (მეგრ.) ცვ-ილ-ი < *ყვ-ილ-ი „ძვალი“, „მკლავი“	ალ. ი-რ-ქა-ი „id.“ ულ. უო-ყ-ე-ენ „id.“ ხინ. მი-კ „id.“

1.1.1. „იდაყვი“
(„მკლავის ძვალი“)

აფხაზურ-ადიღური ს./აფხაზ.-ადიღ. *და-ღ ⁰ „id.“ ყაბარდ. (დიალ.) ცნ-ნ-და-ღ ⁰ -გფჷ „id.“ ადიღ. ცნ-ნ-ტა-ღ ⁰ „id.“	ქართველური ს./ქართველური *და-ყჷ- „id“ ქართ. (დიალ. მოხ.) და-ყვ-ი ი-და-ყვ-ი ნი-და-ყვ-ი „id.“ ზან. (ლაზ.) ღუ-ყუ <*ღუ-ყვ-ი ღუ-რ-ყუ „id.“ (მეგრ.) ღუ-ჟ-ი <* ღუ-ჟვ-ი <*ღუ-ყვ-ი „id.“	დაღესტნური ხუნდ. რუ-ტ'ა „id.“
--	---	-------------------------------------

1.1.2. „ბაყვი“
(„თედოს ძვალი“)

აფხაზურ-ადიღური	ქართველური	დალესტნური
ს./აფხაზ.-ადიღ.	ს./ქართველური	
*ბა-ღ°	*ბა-ყჷ-ი „id.“	ხუნდ. ტ'ჰან
„id.“	ქართ. ბა-ყვი	„id.“
აფხ. ა-ბა-ჰ	„id.“	
<*ა-შ°-გ	ზან. ბო-ყჷ-ი	
„ძვალი“	„id.“	
<*,თედოს ძვალი“:		
აბაზ. ბ-შ°-გ		
„id.“		


ბოლო ორ მაგალითში როგორც ზემოთაც ვთქვი ბგერათშესატყვისობა აფხაზურ-ადიღურსა და ქართველურს შორის მოიცავს სრულ ფუძეს. ასევე სრულ ფუძეს (უფრო ზუსტად CVC ტიპის ძირს) მოიცავს აფხაზურ-ადიღური, ქართველური და დალესტნური ბგერათშესატყვისობები შემდეგ სიტყვაში:

2.1. „ციყვი“

აფხაზურ-ადიღური	ქართველური	დალესტნური
ს./აფხაზ.-ადიღ.	ს./ქართველური	ს./დალესტნური
*ცგღ°	*ციყჷ-ი	*ცატ'ჷუ
„თაგვი“	„ციყვი“	„კვერნა“

ყაბარდ. ძღღ°-ჰ „id.“	ქართ. ციყვი-ი „id.“	ხუნძ. ცატ'ჰუ ციტ'ჰუ „id.“
ადილ. ცღღ°-ა „id.“		ანდ. სატ'ჰუ „id.“

ამ შემთხვევაში სემანტიკური რეკონსტრუქციისას უპირატესობა ენიჭება ქართველურ ენათა ჩვენებას, რადაც სემანტიკური გადახრის უპრობლემო ახსნა ორივე მიმართულებით სწორედ მის საფუძველზე ხერხდება:



საერთოქართველურ და აფხაზურ-ადილურ ენობრივ ჯგუფთა შორის დადგენილ ბგერათშესატყვისობათა ურთიერთვერიფიკაცია ბასკურის ჩვენებითაც არის შესაძლებელი:

საერთო აფხაზურ-ადილური *ღ°	საერთოქართველური *ჟჟ	ბასკური ლ
ს./აფხ.-ადილ. ღ°-გ „კიღე“	ს./ქართვ. *ჟჟ-ა „კიღე“	ბე-ლარ <*ბე-ლ-არ
ყაბ.-ადილ. ბ-ღ°-გ „გვერდი“	ქართ. ჟჟ-ა „id.“ ზან. ჟვა ცვა „შუბლი“	„შუბლი“

დ⁰-გ-ნ-წ
 „კიდე“, „ნაპირი“
 აფხ. ა-ჰ-ა „ზემოთ“
 აბაზ. მ⁰-გ-ნა „კიდე“,
 „ნაპირი“.

სვან. ყუა||ყუვა
 „ყუა“, „კიდე“.

თავისთავად ცხადია ზემოთმოყვანილი მაგალითები ბგერათშესატყვისობებისა, რომლებიც მოიცავენ იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის სამივე ჯგუფს ურთიერთვერიფიკაციის თვალსაზრისით ადასტურებენ მკაცრი კომპარატივისტული მეთოდის გამოყენების შედეგად თითოეული ჯგუფის შიგნით გამოვლენილი ბგერათშესატყვისობების კანონზომიერებასა და მათი მეშვეობით ცალ-ცალკე დადგენილი ჯგუფთაშორისი ნათესაობის ფაქტს ახლა უკვე ოჯახის დონეზე.


ბგერათშესატყვისობათა ჯგუფთაშორისი ურთიერთვერიფიკაცია გამორიცხავს მათ შემთხვევით ხასიათს.

შეიძლება ბგერათშესატყვისობების ილუზია გამოიწვიოს ნასესხობების შემთხვევაში არაიდენტურ ბგერათა განმეორებადობამ შესადარებელი ორი ენის ლექსიკურ ერთეულებში, როდესაც მსესხებელი ენა ცდილობს თავისი ფონოლოგიური სისტემის შესაძლებლობებითა და ფონოტაქტიკის წესებით ასახოს გამსესხებელი ენის ამა თუ ის ლექსემის ფონემატური შედგენილობა და სტრუქტურა, მაგრამ ეს ილუზია ჯგუფში და შედარებების დროსვე ქარწყლდება. ამიტომ ოჯახის შემადგენელ ყველა ჯგუფს შორის დადასტურებული და ვერიფიცირებადი კორესპონდენციები მაღალი მტკიცებულებითი ძალით არიან აღჭურვილნი.

რაც შეეხება იბერიულ-კავკასიურ ენათა ბგერათშესატყვისობების სისტემას გლოტალიზებულ ლატერალთა რიგში, ის შეიძლება

შემდეგი სქემის სახით იქნეს წარმოდგენილი:

საერთო-იბერიულ-კავკასიური
[*გლოტალიზებული ლატერალი]



4.7. ერთი სიბილანტური ბგერათშესატყვისობის
მაგალითი იბერიულ-კავკასიურ ენებში

იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახისათვის უკვე ამჟამად დადგენილია სიბილანტურ აფრიკატთა რიგში ისეთი კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობანი, რომლებიც მოიცავენ ოჯახის სამივე ცნობილ ჯგუფს:


აფხაზურ-ადიღურს,
ბასკურ-ქართველურსა და
ნახურ-დაღესტნურს.

ასეთი ბგერათშესატყვისობების არსებობა ენათა ოჯახის სამ ჯგუფს შორის, როდესაც თითოეული ამ ჯგუფთაგანი შედგება მინიმუმ სამი ერთეული და მაქსიმუმ სამი ათეული ენისაგან, ხოლო ბგერათშესატყვისობანი ამ სამ ჯგუფს შორის არის კანონზომიერი და რეგულარული, ისევე როგორც ბგერათშესატყვისობანი თითოეული ამ ჯგუფის შიგნით, სრულიად გამორიცხავს დადგენილ ბგერათშესატყვისობათა შემთხვევით ხასიათს.

გარდა ამისა, ბგერათშესატყვისობებს აქვთ მაღალი მტკიცებულებითი ღირებულება, რადგან ისინი დიფერენცირებულნი არიან და არა იდენტურნი, რაც, თავის მხრივ, უკვე მათს ურთიერთ ან უცხოენოვანი გარემოდან სესხებას გამორიცხავს, თუნდაც ერთ-ერთი შუალედური ფუძე-ენის დონეზე — რაკი ისინი სამივე ჯგუფის ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე სრული უეჭველობით რეკონსტრუირდებიან და შესაბამისად თავისი არქეტიპის რეკონსტრუქციის საფუძველს იძლევიან ენობრივი ოჯახის ფუძე-ენის დონეზე.

ამგვარი ბგერათშესატყვისობების არსებობა, რომლებიც ვერიფიცირდება ენობრივი ოჯახის ყველა ცნობილი ენობრივი ჯგუფის მასალით — ერთმნიშვნელოვნად ამტკიცებენ ამ ენათა ურთიერთნათესაობას და შესაბამისად მათ კუთვნილებას ერთი ენობრივი ოჯახისადმი.

ყოველივე ზემოთქმულის თანახმად, იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში შემავალ, როგორც ჯგუფებს, ისე ცალკეული ჯგუფების ცოცხალ ენებს შორის გამოვლენილი კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობების ურთიერთშეთავსებადობა შედმევი სქემის სახით შეიძლება იქნეს წარმოდგენილი.



ხოლო ამ კონკრეტული ბგერათმეცნიერების საფუძველზე შეიძლება შედგენილ იქნეს ცხრილიც, რომელიც საშუალებას იძლევა თვალსაჩინოდ წარმოჩინდეს საერთო-იბერიულ-კავკასიური ფუძეენის არქიფონემის რეფლექსთა ურთიერთმიმართება როგორც სინქრონიაში არსებულ ენებს შორის, ასევე დიაქრონიაში რეკონსტრუირებად შეაღებულ (მაგ. ჯგუფურ) ფუძე-ენებთანაც.

იბერიულ-კავკასიურ ენათა ბგერათმეცნიერების ცხრილი საერთო-ბასკურ-ქართველური *წ-ს მიმართ ერთვის წიგნს.

**4.8. იბერიულ-კავკასიურ ბგერათშესატყვისობათა
ვერიფიკაცია ძირეულ და აფიქსალურ მორფემათა
კომბინაციაში შემავალ ელემენტთა
რაოდენობის მიხედვით**

როგორც შესავალში აღვნიშნე, ანტუან მეიე ისტორიულ-შედარებითი მეთოდით სარგებლობისას მკვლევარებს აფრთხილებდა:

„თუ მსგავსი შედარებისას აღმოჩნდება არა ოთხი ბგერითი ელემენტი, რომლებსაც აქვს ზუსტი შესატყვისობები, არამედ მხოლოდ სამი, მაშინ მტკიცებულება იქნება ნაკლებ დამაჯერებელი, მხოლოდღა ორი ელემენტის პოვნეირებისას იგი გახდება არამყარი, ხოლო თუ მკვლევრის განკარგულებაში აღმოჩნდება შესატყვისობის მქონე მხოლოდ ერთი ბგერა, შესატყვისობათა სანდოობა თითქმის არარამდე დავა“ (მეიე 1954 36).

ზემოთ, როდესაც პირველად მოვიხმე მისი ეს სიტყვები, ვაჩვენე მათი არა აბსოლუტური ხასიათი და აგრეთვე ის „განსაკუთრებული გარემოებანი“, რომლებიც მამტკიცებელ ძალას ანიჭებენ ორ ან სულაც, ერთ თანხმომიან ძირთა შეპირისპირებას.

ეს არის ისეთი რეგულარული და კანონზომიერი ბგერათშესატყვისობების პოვნეირება ორ და ცალთანხმომიან ძირებში, რომელთა მტკიცებულებითი ძალა უკვე შემოწმებულია ოთხ და სამ ბგერითელემენტიან სიტყვებზე.

ახლა მოვახდენ იბერიულ-კავკასიური ენებისათვის დადგენილი ბგერათშესატყვისობების ვერიფიკაციას ძირეულ და აფიქსალურ მორფემათა კომბინაციაში შემავალი ელემენტების რაოდენობის მიხედვით:

5 ელემენტი

1. ს./ქართვ. *ძიგურ-ი „ეკალი“

ბასკ. სიგორ „წკნელი“ <*„ეკლიანი წკნელი“

ბგერათმესატყვისობები:

ს./ქართვ. ბასკ.

*ძ ს

*ი ი

*გ ბ

*უ ო

*რ რ

2. ს./ქართვ. *ურცინ-ი „სინდიოფალა“, თრითინა“

ბასკ. *ურცინ-ც „სინდიოფალა“, „ციყვი“

ბგერათმესატყვისობები:

ს./ქართვ. ბასკ.

*უ უ

*რ რ

*ც ც

*ი ი

*ნ ნ

3. ს./ქართვ. *წი-აბ-ალ-ი „წაბლი“

ბასკ. შაფარ „კვრინჩხი“ <* ეკლიანი მცენარე

ჩაფარ-დო „წაბლი“

ბგერათმესატყვისობები:

ს./ქართვ.	ბასკ.
*წი	ური
*ა	ა
*ბ	ფ
*ა	ა
*ლ	რ

4. ს./ქართვ. *წიემ-ალ-ი „ბალახისგან დამზადებული“
 ბასკ. შამარ „ბალახის ღერო“

ბგერათშესატყვისობები:

ს./ქართ.	ბასკ.
*წი	უ
*ე/*ა	ა
*მ	მ
*ა	ა
*ლ	რ

5. ს./ქართვ. *თაფ-ალ-ი „თაფლი“
 ბასკ. შაფარ „ცვილი“

ბგერათშესატყვისობები:

ს./ქართ	ბასკ.
*თ	უ
*ა	ა
*ფ	ფ
*ა	ა
*ლ	რ

6. ს./ქართვ. *ლარმა „ლრმა“, „ხეობა“

ბასკ. *ჰარმ/ნა „ხეობა“.

ბგერათშესატყვისობები:

ს./ქართ	ბასკ.
*ლ	*ჰ
*ა	*ა
*რ	*რ
*მ	*მ/ნ
*ა	*ა

და სხვ.

7. ს./ქართვ. *მეჰედ-ი (*მე-ჰ-ედ-ი) „ოქროსგან გამოჰედილი“

ს./დალ. *მესედ (*მე-ს-ედ) „ოქრო“

ს./ქართ	ს./დალ.
*მ	*მ
*ე	*ე
*ჰ	*ს
*ე	*ე
*დ	*დ

და სხვ.

4 ელემენტი

1. ს./ქართვ. *ძარ-ი „დიდი კალთა“, „გოდორი“

ბასკ. ხაროი „დიდი კალათა“

ბგერათშესატყვისობები:

ს./ქართვ.	ბასკ.
*d _l	ს
*ა	ა
*რ	რ _ა
*ი	ი

2. ს./ქართვ. *ლოჯ-ი „ქუჭყი“

ბასკ. ლოჰი „id“

ბგერათშესატყვისობები:

ს./ქართვ.	ბასკ.
*ლ	ლ
*ო	ო
*ჯ	ჰ
*ი	ი

3. ს./ქართვ. *ჯობ-ი „რომო“, „ჩაღრმავებული ადგილი“

ბასკ. ჰობი „რომო“, „თხრილი“, „საფლავი“

ბგერათშესატყვისობები:

ს./ქართ	ბასკ.
*ჯ	ჰ
*ო	ო
*ბ	ბ
*ი	ი

შენიშვნა: ზემოთმოყვანილ მაგალითში ს./ქართვ. -ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია, ეგევე -ი რეკონსტრუირდება ი. ბრაუ-

ნის მიხედვით ბასკურშიც არტიკლის ფუნქციით (ბრაუნი 1998 95-99), დღეს ის გაქვევებული სახით არის პოზიტიური ბასკურში. აქ მსგავსი მაგალითები მხოლოდ იმ თვალსაზრისით არის მოყვანილი რომ გათვალსაზრისოდეს შესადარებელ სიტყვათა შესატყვისობა გრამატიკული ინვენტარის ჩაველით.

4. ს./ქართვ. *ულ-ელ-ი „ულელი“

ბასკ. უგ-ალ || უჰ-ალ „ღველი“ <*„კაპანი“ <*„ულელი“

ბგერათშესატყვისობები:

ს./ქართ	ბასკ.
*უ	უ
*ღ	ჰ/გ
*ე	ა
*ლ	ლ

5. ს./ქართვ. *თელ-ი „გოკი“

ბასკ. სერაი „ლორი“

ბგერათშესატყვისობები:

ს./ქართ	ბასკ.
*თ	ს
*ე	ე
*ლ	რა
*ო	ო

6. ს./ქართვ. *სთაგუ „თაგვი“

ბასკ. შაგუ „id“

ბგერათშესატყვისობები:

ს./ქართ ბასკ.

*სო უ

*ა ა

*ბ ბ

*უ უ

და სხვ.

7. ს./ქართვ. *შიწა

ს./დალ. *მისა „id“

ბგერათშესატყვისობები:

ს./ქართვ. ს./დალ.

*მ *მ

*ი *ი

*წ/წ' *ხ

*ა *ა

8. ს./ქართვ. *წერცხ-ლ-ი

ს./დალ. *წარც „id“

ბგერათშესატყვისობები:

ს./ქართ ს./დალ.

*წ *წ

*ე *ა

*რ *რ

*ც'ხ' *ც

9. ს./ქართვ. *სი-ტყ-ჟ-ა „სიტყვა“

ს./დალ. *ჰიტ'ჟუ „თქვა“

ბგერათმესატყვისობები:

ს./ქართ

ს./დალ.

*ს

*ჰ

*ი

*ი

*ტ'ყ'

*ტ'ა

*ჟ

*ჟ

და სხვ.

3 ელემენტი

1. ს./ქართვ. *ცყვ-ი

ს./აფხ.-აღილ. *ცჟღ° „თავი“

ს./დალ. *ცატ'ჟუ „კვერნა“

ბგერათმესატყვისობები:

ს./ქართვ.

ს./აფხ.-აღილ.

ს./დალ.

*ც

ც

*ც

*ი

ჟ

*აჩ

*ყჟ

ღ°

*ტ'ჟუ

და სხვ.

2. ს./ქართვ. *ღაყჟ-ი

ს./აფხ.-აღილ. *ღაღ°

ბგერათმესატყვისობები:

ს./ქართ	ს./აფხ.-ადილ.
*ღ	ღ
*ა	ა
*ყჴ	ღ°
	და სხვ.

3. ს./ქართვ. *კით-ი „თითი“
ს./აფხზ. *კ'გს' „id“

ბგერათშესატყვისობები:

ს./ქართვ.	ს./აფხზ.
*კ	კ'
*ი	ზ
*თ	ს'/ს

და სხვ.

4. ს./ქართვ. *შაცი-ი „მამალი რქოსანი ცხოველი“
ს./დალ. *შაც „ხარი“

ბგერათშესატყვისობები:

ს./ქართ	ს./დალ.
*ჴ	*ჴ
*ა	*ა
*ცი	*ც

და სხვ.

5. ს./ქართვ. *ყინ-ი „ყინვა“,
ბასკ. ლინ- „ყინული“

ს./დალ. *ტ'აინ „ზამთარი“

ბგერათშესატყვისობები:

ს./ქართვ.	ბასკ.	ს./დალ.
*ყ	ლ	*ტ'ა
*ი	ი	*ი
*ნ	ნ	*ნ

და სხვ.

ყველა ბგერათშესატყვისობა იბერიულ-კავკასიურ ენებში დადგენილია მათი კანონზომიერებისა და რეგულარულობის გათვალისწინებით და, ამდენად, მათ პოვნეობას ერთ ან ორ ელემენტიან ძირებში ისეთივე მტკიცებულებითი ძალა აქვს ენათმეცნიერების თვალსაზრისით, როგორც მრავალელემენტიან (5, 4 ან 3 ბგერიან) სიტყვებში — რადგან მას შემდეგ, რაც ბგერათშესატყვისობათა სისტემა იქნება მიკვლეული, სულერთია, რამდენ ელემენტიან კომბინაციაში გამოავლენს ის თავის კანონზომიერებას.

მთავარია, ეს კანონზომიერება მთელს კომბინაციას უგამონაკლისოდ მოიცავდეს, ან მისი რომელიმე ელემენტის გადახრა კანონზომიერებიდან სხვა ფონეტიკური (პოზიციური თუ კომბინატორული) კანონით იხსნებოდეს.

თავი მეშუთე

ლექსიკურ სესხებათა მიმართულების დადგენისათვის ფუძე-ენათა ქრონოლოგიურ დონეზე

საერთო-ქართველური, საერთოინდო-ევროპული და საერთო-სემიტური ენები თანაარსებობდნენ ღროსა და სივრცეში. სამივე ფუძე-ენაზე მეტყველი ეთნოსები, როგორც ჩანს, ცივილიზაციის თანაბარ დონეზე იდგნენ, როგორც ეს ცალსახად ჩანს რეკონსტრუირებული ლექსიკური არქეტიპების სემანტიკური ანალიზიდან (სემიტურისთვის იხ. ფრონძაროლი 1964-1971; ინდო-ევროპულისთვის — გამყრელიძე, ივანოვი 1984).

ეს სამი ცივილიზაცია ერთმანეთთან, ისევე, როგორც მათ თანამედროვე შუმერულ და ეგვიპტურ ცივილიზაციებთან. მეტნაკლები კონტაქტების ფონზე ვითარდებოდა. ეს კონტაქტები ინტენსიურ ენობრივ ხასიათსაც ატარებდნენ, რისი კვალიც ფუძე-ენებში პოვნიერია, ძირითადად, ლექსიკურ ნასესხობათა სახით.

ფუძე-ენათა ერთ სინქრონიულ კრილში თანაარსებობის ერთ-ერთი უეჭველი დასტური ის არის, რომ შესაძარბებელ ფუძე-ენათა დონეზე რეკონსტრუირებული არქეტიპები (resp. პრაფორმები) ფონეტიკურად უფრო ახლოს არიან ერთმანეთთან (მსგავსნი ან

სულაც იდენტურნი), ვიდრე მათი დიფერენციაციის შედეგად წარმოქმნილ ენებში დადასტურებული სიტყვა-ფორმები. ამ ფაქტორის გათვალისწინება აუცილებელია ნასესხობათა (და თვით ფუძე-ენათა ფუნქციონირების) რელატიური ქრონოლოგიის დადგენისას.

ნასესხობათა მიმართულების განსაზღვრა სერიოზულ დაბრკოლებებს აწყდება, რადგან ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე ნასესხები ლექსიკა არ განსხვავდება ძირეული ლექსიკისაგან ფუძე-ენის დიფერენციაციის შედეგად წარმოშობილ ენათა შორის დამყარებული ფონემათშესატყვისობათა სისტემის თვალსაზრისით.

ამიტომ ფუძეენათა ქრონოლოგიურ დონეზე მომხდარი სესხების მიმართულების დადგენა აქამდე ძირითადად ხდება ან აპრიორული დაშვებით სესხების დომინანტური მიმართულებისა, რაკილა ორივე ოჯახის ენებში ლექსემა წარმოდგენილია კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისობებით, ან საკითხს წყვეტენ იმ ფუძეენის სასარგებლოდ, რომლის საფუძველზე ხერხდება სიტყვის მეტ-ნაკლები დამაჯერებლობით ეტიმოლოგიზირება, ან ე. წ. შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდის გამოყენებით, ვთქვათ, ფუძეენაში ძირის ფონეტიკური სტრუქტურის გათვალისწინებით: თუ ძირის ფონემატური სტრუქტურის ტიპი ნორმატიულია ერთი ფუძე-ენისთვის და ანომალიურია მეორე ფუძე-ენისთვის, სესხების მიმართულებაში უპირატესობა ენიჭება იმ ფუძეენას, რომლისთვისაც მოცემული ძირის ფონემატური სტრუქტურა ნორმატიულია.

მაგ. ინდო-ევროპული *-tēp- / *tēp- (ჩვენი ტრანსკრიფციით *tēp- / *tēp-, ი. პოკორნისთან *-tep-) „თბობა“, „თბილი“, რომელიც ძირის აგებულების თვალსაზრისით, „გლოტალური თეორიის“ თანახმად, ანომალიურად არის ჩათვლილი ინდო-ევროპულისათვის და მიიჩნევა ნასესხებად საერთოქართველურიდან (გამყარელიძე, ივანოვი 1984 879. შდრ. კლიმოვი 1994 139-143, რომელიც

არცთუ უსაფუძვლოდ თვლის, რომ ამ ძირის სტრუქტურა, პირიქით, ანომალიურია სწორედ ქართველური ენებისათვის).

დედუქციური მიდგომის გარდა, რომელიც ყველაზე მეტად არის გავრცელებული და აპრიორულად და, შესაბამისად, ტენდენციურად წყვეტს სესხების მიმართულების საკითხს ფუძეენებს შორის, დანარჩენ ორ მიდგომას — ეტიმოლოგიურსა და სტრუქტურულს — აქვთ გარკვეული მტკიცებულებითი ძალა, მაგრამ არა იმდენი, რომ საკითხი საბოლოოდ და უდავოდ გადაწყვიტონ.

ზემოთ მე მოვიყვანე იმისი მაგალითი, რომ ძირის ანომალიურმა სტრუქტურამ ვერ მოხსნა **-tɛp-* / **-tɪp-* ძირის ინდო-ევროპულისადმი კუთვნილების საკითხი. ეს მაგალითი მსგავსი მიდგომისთვის ტიპიურია.

ქვემოთ მე ვაჩვენებ, იმას, რომ ვერც ეტიმოლოგიური მიდგომა გამოდგება სესხების მიმართულების საკითხის საბოლოო გადაწყვეტისათვის.

„პოვნეირია სესხების საპირისპირო მიმართულებაც — ინდო-ევროპულიდან სემიტურში. ასეთი ნასესხობების რიცხვს, უწინარეს ყოვლისა, უნდა მივაკუთვნოთ სემ. **korn-* „რქა“ აქად. *koru-* უგარ. *km*, ძვ. ებრ. *keren*, არაბ. *korn-*, რომელიც იმეორებს ინდო-ევროპულ ნაწარმოებ ფუძეს **R^hɪ-n-* „რქა“: ლათ. *cornú*, გოთ. *haurn*, ძვ. ინგლ. *hornu*, (ინგლ. *horn*), ძვ. ზ. გერმ. *horn* (გერმ. *Horn*), შდრ. აგრეთვე ლატვ. *sirna* „ქურციკი“, „შველი“, ძვ. ინდ. *śingra* „რქა“. მოცემული სემიტური სიტყვის ინდოევროპულ წარმოშობაზე (და არა პირიქით), შეიძლება დავასკვნათ მოცემული ინდო-ევროპული ფუძის წარმოებულ ხასიათის საფუძველზე ინდო-ევროპული ძირიდან **R^her-* „მწვერვალი, „თავი“, ბერძნ. *κῆρ* და *κῆρ*“ (გამყრელიძე, ივანოვი 1984, 2 876).

ამ მოსაზრების საპირისპიროდ საულ ლევინი ამტკიცებს სიტყვის სესხების საპირისპირო მიმართულებას სემიტურიდან ინდო-ევროპულში (ლევინი 1995 29-34).

მან: ა) პროფ. ალან ქორის გამოუქვეყნებელ ნაშრომზე დაყრდნობით აჩვენა ანომალიურობა ამ ძირის ლათინურ გახმოვანებაში, ბ) აჩვენა, რომ ეს ძირი უცხოა სხვა ინდო-ევროპული ენებისათვის, ლათინურისა და ზოგიერთი კელტური ენის გარდა (ანუ გარდა ინდო-ევროპულ ენათა კელტურ-იტალიკური ქვეჯგუფისა) (ლევინი 1995 34) და, რაც მთავარია, მან სარწმუნო საკუთრივ სემიტური ეტიმოლოგია მოუძებნა აუსლაუტის -n-ს, რომლითაც ხდებოდა *k^[h]er- ძირიდან ფუძის წარმოებულობის მტკიცება ინდო-ევროპულში (ლევინი 1995 34-44).

მაგრამ, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, გადამწყვეტად და მტკიცებისათვის ფაქტი უნდა მივიჩნიოთ, კერძოდ, ამ ძირის პოზიტივობა საერთო-სემიტურ ფუძე-ენასთან შედარებით, უწინარეს დროში საერთო-სემიტურისა და საერთო-ინდო-ევროპულის წინმსწრებ საერთო-სემიტურ-ჰამიტურ (resp. საერთო-აფრ.-აზიურ) ფუძე-ენაში: *kVr.

ეს ძირი ფორმით kr'ty „რქები“ დაფიქსირებულია ძველ ეგვიპტურში (თუმცა „ახალი“ სამეფოს ძვ. წ. 1500 წ. შემდგომ), სადაც -ty მდებარეობითი ორობითის დაბოლოებაა, ხოლო ფორმით qorṣ' „რქა“ — ერთ-ერთ ყუმიტურ ენა კათა-ში.

ხსენებულ ჰამიტურ ენებში აუსლაუტის -n არ მოიპოვება (საძიებელი ძირები აქ ბიკონსონანტურია), რადგან -n საკუთრივ სემიტურის მაკლასიფიცირებული სუფიქსია (CLASSIFYING suffix) (ლევინი 1995 34-35), მაგრამ ძირის რეკონსტრუირება საერთო-სემიტურ-ჰამიტურ ფუძე-ენაში ერთხელ და საბოლოოდ აუქმებს საკითხს მისი ინდო-ევროპული წარმოშობის შესახებ.

ჯერჯერობით ერთადერთი უექველი კრიტერიუმი, რომლის დადგენაც ხერხდება ფუძე-ენათა ქრონოლოგიურ დონეზე სესხებათა მიმართულების განსასაზღვრად, შემდეგია: თუ ლექსიკურ ერთეულს მოუპოვება თავისი კანონზომიერი და რეგულარული ბგერათმესატყვისობები რომელიმე ფუძე-ენის მონათესავე წინარე ფუძე-ენაში (resp. პროტო ენაში), ვთქვათ, საერთო-სემიტურში პოვნიერ სიტყვას საერთო-სემიტურ-ქამიტურში, სწორედ ის უნდა გამოცხადდეს სესხების წყაროდ.

საერთო-ქართველურისა და საერთო ინდო-ევროპულისათვის ნასესხობათა მიმართულების განსასაზღვრავად ვარგისი ასეთი ფუძე-ენა ორია, საერთო იბერიულ-კავკასიური და საერთო-ბასკურ-ქართველური.

რაკი საერთო ინდო-ევროპული და საერთო-ქართველური ფუძე-ენები თანაარსებობდნენ დროში, ცხადია, ის ფუძე-ენები, რომელთა დიფერენციაციის შედეგად იქნა მიღებული საერთო-ქართველური, დროში უსწრებდნენ მასაც და ინდო-ევროპულსაც.

ამიტომ, თუ რომელიმე ლექსემას, პოვნიერს საერთო-ინდო-ევროპულსა და საერთო-ქართველურში, აღმოაჩნდება კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისობები საერთო-ბასკურ-ქართველურში ან საერთო-იბერიულ-კავკასიურში, ანუ დროში წინმსწრებ თავისავე ოჯახის (ე.ი. მონათესავე) ფუძე-ენაში, სესხების მიმართულების განსაზღვრა ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ქართველურიდან ინდო-ევროპულში.

ხოლო თვით საერთო-ქართველური და საერთო-ინდო-ევროპული ამ შემთხვევაში, როგორც დროში თანამოარსებე ფუძე-ენები, თავთავისი ჩვენებით გადამწყვეტ არგუმენტს ვერ მოგვცემენ სესხების მიმართულების განსასაზღვრავად.

თუმცა, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ვინც კი აქამდე შეხებია

საერთო-ქართველურ და საერთო-ინდო-ევროპულ ფუძე-ენათა დონეზე სიტყვათა სესხების საკითხებს, ყველა აპრიორულად თვლიდა, რომ ეს სესხება ძირითადად ერთი მიმართულებით ხორციელდებოდა — ინდო-ევროპულიდან ქართველურში (იხ. გ. მელიქიშვილი 1965 203-246; ჯაუკიანი 1967 54-100; გამყრელიძე, ივანოვი 1984, 2 877-880; კლიმოვი 1994 და სხვ.).

მას შემდეგ, რაც საბოლოოდ დამტკიცდა ქართველური (resp. სამხრეთ კავკასიური) ენების ნათესაობა ჩრდილოკავკასიურ ენებთან, გაჩნდა კრიტიციზმიც, რომლითაც შესაძლებელი ხდება ამ ნასესხობათა მიმართულების ვერიფიკაცია. ქვემოთ მე ვეცდები ჩავატარო ასეთი ვერიფიკაცია.

საერთო-იბერიულ-კავკასიური ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე სიტყვის რეკონსტრუქციისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მისი პოვნირება ოჯახის შემადგენელი სამი ენობრივი ჯგუფიდან ორში, რომელთაგან ერთი აუცილებლად სამხრეთ-კავკასიური (resp. ბასკურ-ქართველური, ბასკური ან ქართველური) უნდა იყოს.

მეორე აუცილებელი პირობაა, რომ ეს სიტყვა არ უნდა წარმოადგენდეს ოდენ იდენტური ბგერათმესატყვისობების შემცველი ძირეული და აფიქსალური მორფემების კომბინაციას.

იმისათვის, რომ მკითხველმა თავად „გადართოს“, გნებავთ „გადაწეროს“ ინდო-ევროპული მაგალითები რეკონსტრუირებული ფუძე-ენის დონეზე, ჩაწერილი ხშულთა ინტერპრეტაციის ტრადიციული ე. წ. კლასიკური სისტემით (მაგ. ი. პოკორნის „ინდო-ევროპულის ეტიმოლოგიური ლექსიკონი“) ამავე ხშულთა ახალი ე. წ. გლოტალური თერიით პოსტულირებულ სისტემაზე (მაგ. თ. გამყრელიძისა და ვიპ. ივანოვის „ინდო-ევროპული ენა და ინდო-ევროპელები“) ან პირიქით, მოვიყვან ამ სისტემებს:

ტრადიციული სისტემა			—————→	ახალი სისტემა		
I	II	III		I	II	III
(b)	b ^h	p		(p')	b ^h /b	p ^h /p
d	dh	t		t'	d ^h /d	t ^h /t
g	g ^h	k		k'	G ^h /G	K ^h /K

შესაბისად გვექნება:

პოკორნისთან გამყრელიძე—ივანოვთან

* *jug-om*

* *juk'om*

„უღელი“

„უღელი“

5.1.1. სიტყვა **უღ-ელ-ი* საერთო-ქართველურში საერთო-ინდო-ევროპულიდან ნასესხებად ითვლება.

ე. ი. * *jug-om* (პოკორნი 1959 508) / * *juk'om* (გამყრელიძე, ივანოვი 1984, 2 721).

ხეთ. *jukan* „უღელი“, ძვ. ინდ. *yugá* „უღელი“, „წყვილი“, ბერძნ. *ζυγόν*, ლათ. *iūgum* „უღელი“, გოთ. *juk* „უღელი“, ძვ. ისლ. *ok* „უღელი“, ძვ. ზ. გერმ. *juch, joch* „უღელი“, ლიტ. *jungas* „უღელი“, უელს. *iau* „უღელი“, სომხ. *luc* „უღელი“.

ს-ქ. **უღ-ელ-ი*

ქართ. *უღ-ელ-ი*, სვან. *ჟღ-ჟა* „უღელი“, ზან. *უღ-უ* „უღელი“.

ი.-ე სიტყვა ითვლება ეტიმოლოგიზირებულად, მის ეტიმონად მიჩნეულია ძირი **ieu-g* (ტრადიციული სისტემით) / **ieu-k'* (გლოტალური თეორიით), რომლის მნიშვნელობაა „შეკვრა“, „შეერთება“, „შებმა“ ძვ. ინდ. *yunákti* „შებმა“, „შეკვრა“, ავესტ. *yaō-*, *ya-* — „შებმა“, ბერძნ. *ζύνυμι* „კვრავ“, „ვაბამ“, ლათ. *iungō* „კვრავ“, ლიტ. *jungin* „კვრავ“ და სხვ. (გამყრელიძე, ივანოვი 1984, 2 721).

სიტყვის ინდო-ევროპულიდან საერთო-ქართველურში ნასესხობის

მომხრეებს მიაჩნიათ, რომ: „სუფიქსი *-el ფორმაში *uy-el „უღელი“ შეიძლება გადაიხადოს საკუთრივ ქართველურის ნიადაგზე, შდრ., თუმცა ინდო-ევროპული ფორმები ამ ძირისაგან სუფიქსით -el ძვ. ინდ. *yugálá* — „წყვილი“, ბერძნ. ჰომ. *ζεύγη* „ყდა, ტყავის ფენა, რომელიც ედება ცხოველის კისერს, რათა უღელმა არ უხეხოს“, ლათ. *Iugula* „ორმაგი უღელი, როგორც თანავარსკვლავედ ორიონის ხატი“ (Scherer 1953 222), რომელთა არქეტიპი შეიძლება გამხდარიყო წყარო ქართველური *uy-el — „უღელი“-სთვის“ (გამყრელიძე, ივანოვი 1984, 2 723).


მართლაც, ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე სესხების შემთხვევაში ი.-ე. სუფიქსი -el გაუთანაბრდებოდა ს.-ქ. -ელ სუფიქსს და ფუძე-ენის დიფერენციაციისას კანონზომიერად მოგვეცემა ზანურში უ-ს (შდრ. ქართ. თ-ელ-ი „გოჭი“ ზან. თ-უ „id“, ქართ. ვ-ელ-ი „ხელი“ ზან. ხ-უ „მუჭი“, ქართ. წნ-ელ-ი ზან. ჭინ-უ „id“, ქართ. წ-ელ-ი „ნაწლავი“ ზან. ჭ-უ „id“ და ა. შ. ანალოგიურად ქართ. უღ-ელ-ი ზან. უღ-უ).

მიუხედავად ზემოთხსენილი არგუმენტების საკმაოდ დამაჯერებლობისა, სესხების მიმართულება რადიკალურად უნდა გადაისინჯოს, რადგან საერთო-ქართველურ *უღ-ელ სიტყვას მოეპოვება შესატყვისობები დაღესტნურ ენებში:

- | | |
|--------|-----------------|
| ხუნდ. | რუტა „უღელი“: |
| ანდ. | რუტაო „id.“: |
| ახვ. | რუტაე „id.“: |
| ლაკ. | რუკ „id.“: |
| ლეზგ. | რუქ „id.“: |
| თაბას. | მურქა-ად „id.“: |
| არჩ. | რტა „id.“: |
| უღ. | რუ „id.“: |

და სხვ.

ეს შესატყვისობები კანონზომიერი და რეგულარულია. მათ მკაცრად სისტემური ხასიათი აქვთ. გავიშვორებ შესატყვისობათა სქემას:



საერთო-ქართველური და საერთო-ინდო-ევროპული, როგორც ეს ფუძე-ენათა დონეზე მათი ურთიერთ ნასესხობებიდან ჩანს, თანაარსებობდნენ დროსა და სივრცეში.

იბერიულ-კავკასიური ენობრივი ერთობა, რომლის დიფერენციაციის შედეგად მივიღეთ, ერთი მხრივ, ქართველური, მეორე მხრივ, კი — დაღესტნური (resp. ნახურ-დაღესტნური) ენები, დროში წინ უსწრებდა ინდო-ევროპულ ფუძე-ენას.

შესაბამისად, ქართველურ და დაღესტნურ ენებს შორის პოვნური შესატყვისობები გამორიცხავენ სესხების წყაროდ ინდოევროპულის მიჩნევას.

ს.დაღ. *რ-უტ'ა, სადაც *რ არაპიროვნების გრამატიკული კლასის ნიშანია, ხოლო უტ'ა ძირი.

თავის მხრივ, საერთო-ქართველურიდან ინდო-ევროპულ ფუძე-ენაში სიტყვა *ულ-ელ-ის სესხებას არანაირი, მათ შორის არც ფონეტიკური, წინააღმდეგობა არ ხვდება: გ. კლიმოვი სვანურის ინიციალური ხმოვნის სიგრძის ახსნას დასაშვებად თვლის დაკარგული თანხმოვნის კომპენსაციით $\bar{m}ywa < jywa$ (?) (კლიმოვი 1964 186), მე მაინც უფრო ლოგიკურად მეჩვენება ინდოევროპულში ქ-თი საერთო-ქართველურის ინიციალური ხმოვნის მაგარი შემართვის ასახვის დაშვება.

საერთო-ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის შემდგომ საკუთრივ ქართული ენიდან (ან ბასკურიდან *ugal*) ხელახლა უნდა იყოს ნასესხები სიტყვა ულ-ელ-ი ინდო-ევროპულ დიალექტთა ერთი წრის მიერ უკვე „გუთნის“/„სახენელის“ მნიშვნელობით: *jog[h]oni < *uy-el-i (შდრ. გამყრელიძე, ივანოვი 1984 689-690).

ამ სემანტიკური გადაწევის ახსნა არ უნდა გაჭირდეს იმისი გათვალისწინებით, რომ „გუთანი“ / „სახენელი“ უღელში შებმულ

ხარს სწორედ უღელზე უმაგრდებოდა.

საერთო-ბასკურ-ქართველური (პრაქართველური) ენის დიფერენციაციის შედეგად უნდა იყოს ბასკური *uhal* || *ugal* „ღველი“ საერთო-ქართველური ***ულ-ელ-** კანონზომიერი და რეგულარული ბგერათმესატყვისობით ბასკ. *a* ს./ქართვ. ***e**, ბასკ. *h/g* ს./ქართვ. ***γ**. სემანტიკური გადაწევა აქაც ადვილად იხსნება, როგორც ბერძნულში, სადაც „უღლის“ სემანტიკური გადაწევით განვითარებულ იქნა სიტყვა ტყავის ფენის აღსანიშნად, კისერზე რომ აფენენ ცხოველს უღლის ხახუნისაგან დასაცავად (თვითონ იან ბრაუნი ღვედის აღმნიშვნელ ბასკურ სიტყვას ქართულ სიტყვა ღვედ-ს უკავშირებს. ბრაუნი 1998 89-90).

5.2.1. საერთო-ქართველური ***ჯარ-**ი „ხარი“ სიტყვის სესხებით უნდა იყოს მიღებული საერთო-ინდო-ევროპულში ***Har-** სიტყვა, რომლის მნიშვნელობაც არის „მიწის დამუშავება“, „ხენა“.

ი.-ე. ***Har-** „მიწის დამუშავება“, „ხენა“ ხეთ. *ħarš* „მიწის დამუშავება დასათესად“, თობ. *A, B āre* „გუთანა“, ბერძნ. *ἀρά / ἄρα* „ვხნავ“, ლათ. *aro* „ვხნავ, მიწას ვამუშავებ“, ძვ.-ირლ. *airim* „ვხნავ“, გოთ. *arjah* „ხენა“, ძვ.-ისლ. *eria*, ძვ. ზ.-გერმ. *erran* „ხენა“, ლიტ. *árti* „ხენა“, ლატ. *ar̃t* „ხენა“, ძვ. სლავ. *orjo* „ვხნავ“, *orati* „ხენა“.

ამავე ***Har-** ძირისთვის, სხვადასხვა, ძირეული თუ აფიქსალური მორფემების დართვით იწარმოება გუთანის აღმნიშვნელი ლექსემები ინდო-ევროპულ დიალექტში (გამყარელიძე, ივანოვი 1984 : 687-688).

საერთო-ქართველურში ეს ძირი სახელური და ზმნური ალტერნატივის სახით არის პოვნიერი:

სახ. ს./ქ. ***ჯარ-**ი „ხარი“ ქართ. ძვ. ქართ. **ჯარ-**ი, ახ. ქართ.

ლიტ. ხარ-ი, დიალექტ. ხარ-ი / ვარ-ი ზან. ხოჯ-ი „ხარი.
ზმნ. ს./ქ. *ვან-/*ვან- *ვან-ჟ-ა || *ვან-ჟ-ა ქართ. ძვ. ქართ. ვნ-ვ-ა,
ახ. ქართ. ლიტ. ხვან სვან. ლი-ვან-ი „ხვანა“, ვან „ხარი“
ზან. ხონ-ჟ-ა „ხვანა“.

*ვარ-ი „ხარი და *ვან- „ხვანა“ ძირები უკვე საერთო-ქართველურში იძლეოდნენ მათი მონაცვლეობის საფუძველს. იხ. სვან. ვან „ხარი“ < *ვან-ი, სადაც ზმნური ძირი სახელად არის გაფორმებული (არაბული 1997).

საერთო-ქართველურიდან ამ ძირის ინდო-ევროპულის მიერ სესხებას მხარს ისიც უნდა უჭერდეს, რომ იგივე ძირის ზმნური ალტერნატი აღდგება საერთო-ნახურ-დაღესტნურში:

საერთო-ნახურ-დაღესტნური *ვან- „თხრა“ ს.ქ. *ვან- „ხვანა“; ხოლო საერთო-იბერიულ-კავკასიური ენის დიფერენციაცია, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, წინ უსწრებდა საერთო-ინდო-ევროპულის არსებობის ეპოქას.

საერთო-ბასკურ-ქართველურის (წინარე ქართველურის) ბასკურად და საერთო-ქართველურად დიფერენციაციის შედეგად ისტორიულად დადასტურებულ ენებში პოვნიერია შემდეგი კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისობები:

ბასკ. har „ხარი“ ქართ. ძვ. ქართ. ვარ-ი, ახ. ქართ.

ლიტ. ხარ-ი < ვარ-ი

ზან. ხოჯ-ი < *ხორ-ი < *ვორ-ი „ხარი“


თავისთავად ეს ფაქტიც იძლევა სიტყვა Har-ის სესხების მიმართულების ცალსახა კვალიფიკაციის საფუძველს.

თუმცა, აქვე იმასაც დავძენ, რომ, იმისაგან დამოუკიდებლად, რომელი ენიდან ისესხებდა ამ სიტყვას საერთო-ინდო-ევროპული ენა საერთო-ქართველურიდან თუ ბასკურიდან, შედეგი აბსოლუტურად ერთნაირი იქნებოდა.

საერთო-ბასკურ-ქართველურის თუ არა საერთო-ბასკურის ან საერთო-ქართველურის *ჯარ-ს უნდა უკავშირდებოდეს აგრეთვე შემერთული ხარ „ხარი“ (შდრ. მ. წერეთელი 1957 88).

ზემოთ ვთქვი, რომ ვერც ძირისა თუ ფუძის სტრუქტურა და ვერც ეტიმოლოგია ცალსახად ვერ წყვეტენ სინქრონიში თანაარსებულ ფუძე-ენათა კონტაქტის შედეგად გაჩენილ ნასესხობათა მიმართულებას და ეს ასეც არის. მაგრამ მას შემდეგ, რაც საერთო-ქართველური და საერთო-ინდო-ევროპული ფუძე-ენების დროში წინსმწარები ფუძე-ენის (საერთო-ბასკურ-ქართველურის) ჩვენებით გაირკვა ინდო-ევროპული *Har- „მიწის დამუშავება“, „ხვნა“ სიტყვის სესხების მიმართულება საერთო-ქართველურიდან (ან ბასკურიდან), საერთო-ინდო-ევროპულში, მინდა აქვე შევეხო ამ სიტყვის სემანტიკას, რომელმაც შეიძლება მოგვცეს მისი ფორმის წარმოქმნის რელატიური ქრონოლოგიის დასაზუსტებლად გამოსადეგი არგუმენტები.

ავთანდილ არაბულის ალტერნაციული თეორიის მიხედვით გვაქვს CVS ძირის ფუძედ გარდაქმნის ალტერნაციული მოდელი ძირის აუსლაუტური სონორის ნ (ზმნური) რ (სახელური) მონაცვლეობით. ამ კონკრეტულ მაგალითში:



ა. არაბულის თანახმად: „სახელდების მომენტი საგნობრივია, მაგრამ ზმნური შინაარსისა“ (არაბული 1997 45) და მას სვანურ ჰან < *ჰან-ი „ხარი“ ფორმამ, დაყრდნობით ჰან ზმნის ძირთან სა-

ზიარო სახელური ფუძის პირვანდელი რეალიზაციის ფორმად“ მი-
აჩნია (არაბული 1997 10), შესაბამისად ვარ < ვან ძირის ნ რ
ალტერნაციით სახელურ ფუძედ გარდაქმნის შედეგად მოიაზრებს.

ალტერნაციის გზით ძირის ფუძედ გარდაქმნის მექანიზმის აღ-
მოჩენა და მისი მწყობრ, არაწინააღმდეგობრივ თეორიად ჩამოყალი-
ბება ა. არაბულის მნიშვნელოვანი დამსახურებაა არა მხოლოდ ქარ-
თველოლოგიის, არამედ თეორიული ლინგვისტიკის წინაშეც, მაგრამ
ზემოთმოყვანილი მაგალითები საერთო-ქართველური და ბასკური
კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობებისა, რომ-
ლებზე დაყრდნობითაც *ვარ- ძირის რეკონსტრუქცია საერთო-ბას-
კურ-ქართველური ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე ხდება შესაძ-
ლებელი, სვამს კითხვას ალტერნაციის მექანიზმის წარმოშობის რე-
ლათიური ქრონოლოგიის შესახებ.

აქ ზოგიერთი ფაქტის გამეორება მომიწევს:

ზემოთ საერთო-ქართველური და საერთო-ნახურ-დაღესტნური
ხმოვანთშესატყვისობების კანონზომიერი და რეგულარული ხასია-
თის დემონსტრირებისას სხვა მაგალითთა შორის მე მოვიყვანე ეს
ძირიც:

ს./ნახ.-დაღ.

ს./ქართვ.

*ვან

*ვან-

„თხრა“

„ხნა“, „თხრა“

ეს დაკავშირება, რეკონსტრუირებადი საერთო-იბერიულ-კავკასი-
ური ფუძე ენის დონეზე, ნ აუსლაუტიანი ძირის პირველადობის
თვალსაზრისს უნდა უჭერდეს მხარს და არა მარტო ფორმალური,
არამედ სემანტიკური მხრითაც, და, ალბათ, ასეც არის, მაგრამ ქარ-
თველური და ბასკური ენების ჩვენება რ აუსლაუტიანი ფორმის
არსებობას ადასტურებენ, როგორც მინიმუმ საერთო-ბასკურ-ქარ-
თველური ფუძე-ენის დონეზე და თანაც უკვე წმინდა სახელური
შინაარსით:

ს./ქართვ.	ბასკ.
*ჯარ-ი	*ჰარ / *har
„ხარი“, „მამრი“	„ხარი“, „მამრი“
(იხ. ვარ-ირემი, ვარ-ჯიჯვი და სხვ.)	

საერთო-ინდო-ევროპულმაც სწორედ ეს, ალტერანციის გზით წარმოქმნილი ძირ-ფუძე ისესხა, მაგრამ ს./ინდო-ევროპულში რეკონსტრუირებული *Har სიტყვას, რომელიც ფორმალურ მსგავსებას ს./ქართველურ და ბასკურ ლექსებებთან ავლენს მეტად, ვიდრე მისი დიფერენციაციის შედეგად წარმოქმნილ ენებში დაფიქსირებული ლექსებები, აქვს არა *ჯარ-ის, ანუ თავისი სესხების წყაროს ფორმალური არქეტიპის შინაარსი — „ხარი“ („მიწათმოქმედი“), არამედ მისი ალტერნატის *ჯან-ისა „ხვანა“ („მიწათმოქმედება“), რაც ძნელი ასახსნელია, *ჯარ- ალტერნატს ს./ქართველურში (ან ბასკურში) ფაკულტატურად ასეთი სემანტიკური დატვირთვაც რომ არ ჰქონოდა.

*ჯარ- სახელური ფუძის სიძველის სასარგებლოდ ენობრივი კონტაქტის სხვა მაგალითიც, კერძოდ შუმერული ენის ჩვენებაც მეტყველებს, სადაც har სწორედ „ხარია“-ა (წერეთელი 1959 88) ფორმალურადაც და სემანტიკურადაც ამ ჩვენებას *ჯარ- ძირ-ფუძის წარმოქმნის რელატიური ქრონოლოგიისათვისთვის აქვს მნიშვნელობა.

იმისი თქმა მინდა, რომ *ჯან-/ჯარ- ალტერანცია და საერთოდ ალტერანციის მექანიზმის უფრო ძველი, ვფიქრობ, საერთო-იბერიულ-კავკასიური ფუძე-ენის ქრონოლოგიური დონის მოვლენა უნდა იყოს, ვიდრე ამას ა. არაბულის თეორია უშვებს. თუმცა ამაზე საბოლოო პასუხს ალბათ შემდგომი კვლევა-ძიება გასცემს.

5.3.1. საერთო-ქართველურში ინდო-ევროპულიდან ნასესხებად ცხადდება სიტყვა: * თ-ელ-ი „გოკი“.

საერთო-ქართველურშიც კი არა, გ. კლიმოვის აზრით, ეს სიტყვა ინდო-ევროპულიდან ნასესხებია მის მიერვე პოსტულირებულ ქართულ-ზანური ერთობის ქრონოლოგიური დონის ლექსიკურ ფონდში (კლიმოვი 1994 112-114).

გ. კლიმოვი წერს:

„ქართველური ფორმები შეიძლება შეპირისპირებულ იქნან კულტურული ნასესხობის უფლებით ინდო-ევროპულ ლექსემასთან *tel-, ხბოს სახელად რომ იყო ხმარებული, რომლის გაგრძელებებიც თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი აღმ.-ლიტვურში *tēlias*, სლავ. **telę* „ხბო“ („теленок“ [Mann 1986 col. 1375-1376] ან ი.-ე. **tāl*, (<**teHI* -?) „ახალგაზრდა ცხოველი ან მცენარე“ [Pokorny 1959 : 1055].

ქართველურ ენებში სიტყვას თელ-ი კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისობები აქვს:

ს./ქართვ. ***თ-ელ-ი** „გოჭი“

ქართ. **თ-ელ-ი** „id“

ზან. მეგრ. **თ-უ** „id“, **თულ-ეფ-ი** „გოჭები“.

ლაზ. **თ-ილ-ა** < ***თულ-** „id“

მაგრამ ამ სიტყვის სესხება საერთო-ინდო-ევროპულიდან თუ მისი დიფერენციაციის შემდგომი რომელიმე შუალედური ფუძენიდან (მაგ. ბალტო-სლავურიდან) თუ კონკრეტული ენიდან რომ გამორიცხულია, ამას ამტკიცებს სიტყვა თელი-ს კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობით ფუნქციონირება ბასკურ ენაში:

ბასკ. **ხერაი** / **zerri** „ლორი“

ბგერათშესატყვისობები იდეალურად არის დაცული: ს./ქართვ. ***თ**

ბასკ. ს, ს./ქართვ. *ე ბასკ. ე, ს./ქართვ. ლ ბასკ. რა (ი ხმოვნის წინ აუსლაუტში), ს./ქართვ. ი ბასკ. ი.

რაც იძლევა საერთო-ქართველური *თ-ელ-ი-ს რეკონსტრუქციის საფუძველს უკვე საერთო-ბასკურ-ქართველური ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე, რომელიც, თავის მხრივ, დროში უსწრებდა წინ სინქრონიაში თანაარსებულ საერთო-ქართველურ და საერთო-ინდო-ევროპულ ფუძე-ენებს.

მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს სიტყვა კიდევ უფრო ძველია და მისი აყვანა ხერხდება საერთო-იბერიულ-კავკასიური ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონემდე.

საერთო-ქართველური *თ-ელ-ი ავლენს კანონზომიერ და რეგულარულ შესატყვისობებს აფხაზურ სიტყვასთან ა-ს'გ-ს' (|| ა-სგ-ს) „გოჭი“.

აქაც ბევრათშესატყვისობები რეგულარული და კანონზომიერია ს./ქართვ. *თ აფხაზ. ს'; ს./ქართვ. *ე აფხაზ. გ.

ზემოთქმულის შემდეგ აზრსა და ძალას კარგავს გ. კლიმოვის რამდენიმე დებულება: ა) გოჭის აღმნიშვნელი თ-ელ- ლექსემის ნასესხობის შესახებ ინდო-ევროპულიდან; ბ) ამ „ნასესხობის“ რელატიური ქრონოლოგიის განსაზღვრა „ქართულ-ზანური ერთობის ქრონოლოგიური დონით“, რაკილა სიტყვა აღდგა არა თუ საერთო-ქართველურ დონეზე, არამედ საერთო-ბასკურ-ქართველური ფუძე-ენისა და, სულაც, საერთო-იბერიულ-კავკასიური ფუძე-ენის დონეზე; გ) ქართველთა მიერ მეღორეობის, როგორც მეურნეობის დარგის შემოღების რელატიური ქრონოლოგიის განსაზღვრა გვიანდელი ეპოქით: „თვით რეალიის ისტორიასთან დაკავშირებით, საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ მეღორეობის დასაწყისი ქართველებთან განეკუთვნება უეჭველად გვიანდელ დროს, ვიდრე ინდო-ევროპელებთან...“ (კლიმოვი 1994 114). ამავ ე აზრს ის შემდგომ ლექსემა ღორ-ზე მსჯელობისას კიდევ უფრო დაბეჭითებით იმეო-

რებს და ცდილობს მის გამაგრებას კულტურულ-ისტორიული არ-
გუმენტებით (კლიმოვი 1994 151).

ინდო-ევროპულში ამ სიტყვის ნასესხობის ფონეტიკური იერსახე
ექვს არ ტოვებს, რომ სესხების წყარო საერთო-ქართველურია (და
არა, ვთქვათ, ბასკური ან აფხაზურ-ადილური), მნიშვნელობის
გადაწვევაც ბუნებრივია 'ლორის' ნაშეირი > ახალგაზრდა ცხოველი
'ან მცენარე'. ნასესხობის სემანტიკაც ქართველურ წყაროს გულისხ-
მობს (და არა, ვთქვათ, ბასკურს, სადაც ის ზრდასრულ ცხოველს
აღნიშნავს).

სიტყვა თელი საკუთრივ ქართულიდან არის ნასესხები
ბერძნულში ბῆλις „(ახალგაზრდა) დედალი ღორი“ (ფურნეე
1979 44).

რახეც მეტყველებს ბერძნულის ფონოტაქტიკა, რომელიც ქარ-
თული თ-ს შემცველ სიტყვებს მთელ რიგ ნასესხობებში ასახავდა
როგორც ბ (დ)-ს. მაგ.:

ქართული	ბერძნული
ქართუ-	καρδιν-χ-οι
ასფოთელ-	ἀσφῶδελ-οσ
	და სხვ.

ამ უკანასკნელ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება რელატიური
ქრონოლოგიის დადგენაც — ბერძნულმა ქართული სიტყვა ისესხა
როდესაც ქართულში უკვე მოშლილი იყო სთ კომპლექსი: ფოთ-
ელ- < *ფოსთ-ელ- შდრ. სვან. ფოშდ-ელ (რაც საერთო-ქართვე-
ლურში *ფოსთ-ელ არქეტიპის აღდგენის საფუძველს იძლევა).

ასფოთელა (ასფოთოლა) ქართულში კომპოზიტია და ასფურ-
ცელას უდრის. ბერძნულმა სწორედ ეს მზა კომპოზიტი ისესხა.

5.3.2. მეცნიერები, ჩვეულებისამებრ, ინდო-ევროპულიდან შე-

თვისებულად თვლიან სიტყვას *ლორ-ი (ბოისაკი 1950 1065; მელიქიშვილი 1965 210; გამყრელიძე, ივანოვი 1984, 2 877; კლიმოვი 1994 150-151 და სხვ.), თუმცა არსებობს სესხების საპირისპირო მიმართულების მომხრე თვალსაზრისებიც (მარი 1910 154-159; ეიხბერგი 1959 63-64; გორდეზიანი 1985 88).

აკად. ნიკო მარს მიაჩნდა რომ ბერძნული χολῆος „გოჭი“ ე. წ. „ევროპული იაფეტური (resp. ქართველური მ. ქ.) სიტყვა“ იყო.

გ. კლიმოვი ფიქრობს, რომ სიტყვა ინდო-ევროპულიდან არის ნასესხები, მაგრამ რაკი ბერძნული χ ქართველურში არასოდეს გადმოიღება ღ-დ, ამიტომ განსახილველი ლექსემა უფრო ადრეულია, ვიდრე ძველი ბერძნული, „დიალექტურ“ ინდო-ევროპულ (<*ǵ^hōrio-ამდე, რისი გაგრძელებაც არის როგორც ბერძნული სიტყვა, ასევე ალბანური **derr** „ლორი“ (<*ǵhōr-n-)“ (კლიმოვი 1994 151). გ. კლიმოვის ეს აზრი სიტყვა-სიტყვით ემთხვევა გამყრელიძე-ივანოვის ვარაუდს, რომელთაც დამატებით მოაქვთ ასევე ალბანური **derkuc** „გოჭი“ (<*ǵ^hōl-n-k^h-, პოკორნი 1959 445) (გამყრელიძე, ივანოვი 1984 877).


გ. კლიმოვის ეს პოზიცია შეუწყინარებელია მისივე თვალსაზრისიდან გამომდინარე შემდეგ გარმობათა გამო:

ა) გ. კლიმოვი თვლის, რომ სიტყვა ღორ-ი ქართულ-ზანური ფონდის კუთვნილებაა და ქრონოლოგიურად ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის დონეს განეკუთვნება, ანუ ნასესხებია საერთო-ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის შემდგომ (კლიმოვის მიხედვით, ეს ნიშნავს საერთო-ქართველური ფუძე-ენის გაყოფას სვანურად და საერთოქართულ-ზანურად). იმავდროულად მას მიაჩნია, რომ ღორ- ლექსემა ნასესხებია არა ძველი ბერძნულიდან, არამედ უფრო ადრინდელი ინდო-ევროპული „დიალექტიდან“.

ახლა ვნახოთ, რა ძველბერძნულამდელ ინდოევროპულ „დიალე-

ქტზეა“ ლაპარაკი:

ქრონოლოგიური 1 2-3
დონეები



საერთო-ინდო-ევროპული ენობრივი ერთობის დანაწევრებისა და ისტორიული დიალექტების ჩამოყალიბების აქ წარმოდგენილი დერეგაციულ-სივრცითი მოდელი ეკუთვნის თ. გამყრელიძესა და ვიან. ივანოვს (გამყრელიძე, ივანოვი 1984, 1 415).

რაკი სიტყვა **ღორი** „ქართულ-ზანურში“ ნასესხებია უფრო ადრეული ენობრივი ერთეულიდან, ინდო-ევროპული „დიალექტიდან“, ვიდრე ეს საკუთრივ ბერძნულია (resp. ძველი ბერძნული), ე. ი. სესხება უნდა მომხდარიყო მეექვსე ქრონოლოგიურ დონეზე ადრე მეხუთე ან მეოთხე დონეზე.

პირველი ქრონოლოგიური დონე: საერთო-ქართველურსა და საერთო-ინდო-ევროპულს ზიარი აქვს, მეორე ქრონოლოგიურ დონეზე, საერთო-ინდო-ევროპულში მხოლოდ **A** და **B** დიალექტური ზონების მონიშვნა ხდება, ფუძე-ენა ჯერ კიდევ არ არის გადიფერენცირებული, მესამე ქრონოლოგიურ დონეზე **A** დიალექტურ ზონას გამოეყოფა ანატოლიური ენობრივი ერთობა და მხოლოდ მეოთხე ქრონოლოგიურ დონეზე გაიყოფა საერთო-ინდო-ევროპული ფუძე-ენა ორ შუალედურ ფუძეენად რომელთაგან ერთი (**A**) საერთო-თოხარულ-კელტურ-იტალიკურია, მეორე (**B**) კი — სერთო-არიულ-ბერძნულ-სომხურ-ბალტო-სლავურ-გერმანული.

პირველი ქრონოლოგიური დონე საერთო-ქართველურსა და საერთო-ინდო-ევროპულს, როგორც ვთქვი, ზიარი აქვს. რომელ ქრონოლოგიურ დონეზე მოხდა ჯანაშვილ — დეეტერს — კლიმოვის მიხედვით საერთო-ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაცია სვანურად და ქართულ-ზანურად — მესამეზე?! მეოთხეზე?! მეხუთეზე?!

გ. კლიმოვი თვლის, რომ ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის ეპოქა ემთხვევა პერიოდს არა უგვიანეს ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისა (კლიმოვი 1994 84).

შემდეგ ის სრული დაუქვევლობით აცხადებს:

„ქართველური მხარე გამოდის მსესხებლად მეცნიერებისათვის ცნობილი კულტურულ-ისტორიული მონაცემების შუქზეც. როგორც ცნობილია, ღორის დომესტიკაციას ინდო-ევროპელებთან აქვს ძალიან ღრმა ფესვები. ამგვარად, დაფიქსირებული ჯერ კიდევ ხეთურ და მიკენურ ბერძნულ წერილობით ძეგლებში განტოტვილი ტერმინოლოგია, მელორეობას რომ ეხება, ითვლება შესაბამისი საერთო-ინდო-ევროპული ტრადიციის ამსახველად (გამყრელიძე, ივანოვი 1984 594-596). იმავდროულად მტკვარ-არაქსის კულტურის ტომებისათვის, როგორც მოწმობს არქეოლოგია, მელორეობა სულაც არ იყო დამახასიათებელი (გამონაკლისს წარმოადგენს მტკვარ-ალაზნის აუზის მცირე (ჩრდილო კავკასიასთან მოსაზღვრე ნაწილი)“ (კლიმოვი 1994 151).

ის ხეთური წერილობითი ძეგლები რომელთა შესახებაც აქ არის ლაპარაკი, განეკუთვნება ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის I ნახევარს (გამყრელიძე, ივანოვი 1984 XLVI), ხოლო მიკენური (resp. კრეტულ-მიკენური) — ძვ. წ. XV-XIII საუკუნეებს (გამყრელიძე, ივანოვი 1984 XLIX).

რაც შეეხება მტკვარ-არაქსის კულტურას, ის ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულს განეკუთვნება (მელიქიშვილი 1965 103-118), ანუ ბევრად უსწრებს წინ ხეთურ და კრეტა-მიკენურ წერილობით ძეგლებს და მელორეობა რომ მტკვარ-არაქსის კულტურის თუნდაც ერთ, მცირე ნაწილში ყოფილიყო განვითარებული, შესაბამისი ტერმინოლოგია რაღაც ფორმით იქ მაინც ხომ იარსებებდა.

თანაც მნიშვნელოვანია, რომ ეს ტერიტორია სწორედ ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიას ესაზღვრებოდა, ანუ საერთო-ნახურ-დალესტნური ენის გავრცელების არეს.

ქართველურ ენებში დადასტურებულ ღორ-ის აღმნიშვნელ სახელს კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისობები ამ რეგიონის, კერძოდ, დაღესტნურ ენებში მოეპოვება:

ს./ქართველური ღ

ს. ქართვ. *ღ-ორ-ი

ქართ. ღორ-ი (<*ღ-ორ-ი)

ზან. ღეჯ-ი (<*ღ-ეჯ-ი)

ს./დაღესტნური ტ^ა

ს./დაღ. *ბ-V-ტ^ა

„ღორი“

დიდ. ბ-ე-ღ^ა-ო „id“.

ჰინუხ. ბ-ო-ღ^ა-ო „id“.

ჰუნზიბ. ბ-უ-ღ^ა-უ „id“.

ლაკ. ბ-ურ-კ „id“

ლეზგ. ტ-ა-ქ „id“.

არჩ. ბ-ო-ტ^ა „id“.

მუხად. ვ-ო-ქ „id“.

ბუღუხ. ვ-ა-ქ „id“.

უღ. ბ-ო-ყ „id“.

და ა.შ.

ღორ- სიტყვის არნ. ჩიქობავასეულ სემანტატიკის (ღ- ძირისეული მორფემა, — ორ აფიქსალური (ზანურში -ეჯ) (ჩიქობავა 1938 82 და ჩიქობავა 1942 82) მეცნიერებაში მხარდაჭერის გარეშე დარჩენილს („не поддержанная в науке“) უწოდებს გ. კლიმოვი (1994 151), ხოლო ჩრდილო-კავკასიურთან, მისი აზრით, „არსებითად განსხვავებულ მასალასთან“, მისი შედარების მცდელობებს, ამდენადვე — „დაუჭერებელს“ (კლიმოვი 1994 151).

დაღესტნურ ენებში კლასის ნიშნისა და პროთეტული ხმოვნის ჩამოცილების შემდეგ — ცალთანხმოვნისა და ძირი რჩება, რომელიც

კანონზომიერ და რეგულარულ შესატყვისობათა სისტემაში ჯდება საერთო-ქართველურ და საერთო-დაღესტნურ ენათა შორის.

ამდენად, რაკი საერთო-იბერიულ-კავკასიური ფუძე-ენა დროში უსწრებდა საერთო-ინდო-ევროპულს, ნასესხობის მიმართულებაც უნდა განისაზღვროს როგორც: საერთო-ქართველურიდან საერთო-ინდო-ევროპულში.

5.4.1. გ. კლიმოვი ქართველურ სიტყვას ღრმა „თხრილი“, „ორმო“, „ჩაღრმავება“ თვის ნასესხებად ინდო-ევროპული დიალექტური სიტყვიდან *r(u)ghma (კლიმოვი 1994 152-154).

ქართველური სიტყვის არქეტიპს აღადგენენ როგორც: *ღორმან resp. *ღურ-მან (მარი 1936 147; კლიმოვთან შეცდომით 1936 146) და ღრმა „ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის“ (კლიმოვი 1964 207; ფენრიხი, სარჯველაძე 1990 355).

გ. კლიმოვის მსჯელობა ასე ვითარდება:

„ქართველურ ნიადაგზე ეს სიტყვა, რამდენადმე უჩვეულო ფონოლოგიური და გაურკვეველი სიტყვაწარმოებითი სტრუქტურის მქონე, არ ეტიმოლოგიზირდება. თავისი ბგეროტიპით ის ეწინააღმდეგება ფონეტიკურ შესაბამისობათა ფორმულებსაც, ნოსტრატული ენებისათვის მონიშნულს როგორც ვ. მ. ილიჩ-სვიტიჩის, ისე ა. ბომჰარდის მიერაც (? მ. ქ.).

მაცთუნებელია ქართული არქეტიპის შეპირისპირება ი.-ე (დიალექტურ) *r(u)ghma-სთან „ორმო, თხრილი“, რომელიც დევს ამავე სემანტიკის ბერძნულ ῥαγμα-ს ფუძეში, *rough ფუძეზე რომ ეყრდნობა და რომელიც ინდოევროპეისტიკაში განიმარტება წარმოებულად *reu(ə)- რუ „თხრა; გლეჯა“ ზმნური ბაზიდან (შდრ. პოკორნი 159 869),“ (კლიმოვი 1994 154).

მეცნიერების გარეთმდგომ მსჯელობას თავი რომ დავანებოთ

„ნოსტრატული ენებისათვის მონიშნული ფონეტიკურ შესაბამისობათა ფორმულებთან“ ქართველური ენების მასალის „ბგეროტიპის“ წინააღმდეგობაში ყოფნის შესახებ, საინტერესოა, რატომ უნდა გამოირიცხოს ამ სიტყვის ეტიმოლოგიზება ქართველურ ნიადაგზე, ან რატომ აქვს მას „უჩვეულო ფონოლოგიური და გაურკვეველი სიტყვაწარმოებითი სტრუქტურა“.

ფიქრობ, არ უნდა იყოს გამოირიცხული ღრმა სიტყვის დაკავშირება ასევე საერთო-ქართველურ სიტყვასთან ღარ-ი.

ს./ქართვ. *ღარ-ი

ქართ. ღარ-ი

ზან. ღორ-ე < * ღორ-ი „ღარი“

სვან. ღწარ < * ღარ-ი „ხევი“

ეს სიტყვა პოენიერია ბასკურშიც:

ჰარო / harro „ცარიელი“,

„ხვრელი“,

„უფსკრული“,

„ღრმა-ხევი“.

და შესაბამისად რეკონსტრუირდება საერთო-ბასკურ-ქართველურ დონეზე:

*ღარ-ი

„ღარი“, „ხევი“

ღრმა ფორმალურადაც და სემანტიკურადაც გამოიყვანება ამ სიტყვიდან.

ს./ქართვ. *ღარ-მ-ა

ქართ. ღრმა < * ღარმა

ღარმ-ულ-ი

ზან. მეგრ. ენო-რლომა < * ღორმა „ჩალრმავებული ადგილი“
ლაზ. ღორმა „ხერელი“

ამ სიტყვასაც აქვს კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისობა ბასკურში:

ჰარან / haran (< *ჰარამ < *ჰარმა)

„ხეობა (resp. ხევი) რომელშიც მდინარე მიედინება“
„მდინარის აუზი“, „ღელე“

ბგერათშესატყვისობები:

ს./ქართვ.	ბასკ.
*ღ	*ჰ
*ა	*ა
*რ	*რ
*მ	*მ/ნ
*ა	*ა

ის, რომ პირველ შემთხვევაში ჰარაო / harro ინტენსიური რა არის სიტყვაში, მეორეში კი — სადა რ, ბასკურის თავისებურებაა:

როდესაც რ-ზე დამთავრებულ სიტყვებს დაერთვის ხმოვანზე დაწყებული სუფიქსი (მაგ. არტიკლი და სხვ.). ის ინტენსიურად წარმოითქმის, რაც ჩვეულებრივ, აისახება ხოლმე გრაფიკულადაც. მეორე შემთხვევაში რ-ს ასეთი პოზიცია არ ჰქონდა და ის გაინტენსიურებას ასცდა.

რაც შეეხება აუსლაუტში მ-ს გადასვლას, ნ-ში ბასკურის ნიადაგზე, თუ ს./ქართვ. მ ბასკ. ნ შესატყვისობას, ორივეს მაგალითები საკმარისად არსებობს, ამჯერად მე მხოლოდ ამ უკანასკნელის

მაგალითებს მოვიყვან:

ს./ქართვ. *მ

*წუიმ-ა

ბასკ. ნ

ოშინ < * შუინ

„თოელის ქარბუქი“

*გუემ-ა

„ტანჯვა“, „ცემა“

ომენ < * გუენ

„შეურაცხყოფა“, „დაზარალება“, „ვენების მიყენება“

*მ-რწემ-ი

„უმცროსი“

შეპი

შეინ

> * შენი

„აღზრდილი“, „ბავშვი“

„მსახური“

და სხვ.

საერთო-ბასკურ-ქართველურ დონეზე არქეტიპად აღდგება:

*ლარ-მ-ა

„უფსკრული“, „ხევი“

„არხი“ („ლარი“)

ამდენად, ეს სიტყვაც დროში უსწრებს საერთო-ინდო-ევროპული ენის არსებობას და სესხების მიმართულება უნდა განისაზღვროს — საერთო-ქართველურიდან ინდო-ევროპულში.

4.5.1. ინდო-ევროპული ენებიდან ნასესხობად არის გამოცხადებული სიტყვა ვერძ-ი (ანდრონიკაშვილი 1966: 86; კლიმოვი 1994: 108-110).

კლიმოვი მას თელის ინდო-ევროპულიდან გვიანდელ, ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის ქრონოლოგიურ დონეზე ნასესხობად.

ი.-ე. **yers-* „ხვადი შინაური ცხოველისა“ ლათ. *versēs* „ტახი“, ლიტ. *vēršis* „ხბო“, ლატვ. *vērsis* „ხარი“ ("Ochs", "Rind") (პოკორნი 1959 81).

ვ. ეულერზე დაყრდნობით გ. კლიმოვი წერს:

„ინდო-ევროპულ მასალაში სიტყვას აქვს ეტიმოლოგია: ეს — სახელური ფუძე წარმოებულია ზმნური ბაზიდან **yers-* „მორწყვა, დატენიანება, დათესლვა“. (კლიმოვი 1994 110).

მიუხედავად წარმოდგენილი ეტიმოლოგიისა, ეს სიტყვა ინდო-ევროპული არ უნდა იყოს.

გარდა იმისა, რომ ის აღდგება საერთო-ქართველური ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე:

ს./ქართვ. * *ყერძი*-ი

„მამალი ცხვარი“

ქართ. ვერძ-ი „id“:

ზან. ერჯ-ი < **ყარჯი*-ი „id“.

ერჯ-აკ-ა „ბატკანი“

მას აქვს ბგერათშესატყვისობა ბასკურში:

ბასკ. არდი / *ardi*

„ცხვარი“

ეს შესატყვისობა რეგულარული და კანონზომიერია:

ს./ქართვ.

რძი*||რძი*

**კერძი*-ი

**ყურძი*-ენ-ი

**ღერძი*- ი

ბასკ.

რდ / *rd*

ერდი < **ქერდი* „ნახევარი“

არდო < **არდანო* „ღვინო“

არდ-აც < **ჰარდ-ა-ც* „ღერძი“

და სხვ.

ბგერათშესატყვისობა ს.ქართვ. *ე:ბასკ. ა/ა ასევე კანონზომიერი და რეგულარულია, რაში დასარწმუნებლად აქ მოყვანილი მაგალითებიც იკმარებდა; დამატებით შეიძლება შემდეგი ნიმუშების მოხმობა:

ს./ქართვ. *ე	ბასკ. ა
*ვერძ-ი	არდი „ცხვარი“
ღერძ-ი	არდ-აც < ჰარდ-ა-ც „ღერძი“
*პერ -ი	ა-ფარ
„ღუფი“, „ქაფი“	„id“.
*ქერ-ი	გარი
	„ხორბალი“
	დაფიქსირებულია 1140 წ.
	(ტოვარი 1980 21).

და სხვ.

ზემოთქმული გამორიცხავს ვერძ- სიტყვის სესხების დაშვებას საერთო-ქართველურში შესაბამისად ვერძი საერთო-ქართველურიდან შესულად უნდა იქნეს მიჩნეული ინდო-ევროპულში.

5.6.1. იმის სასარგებლოდ, რომ **ხპილენძი** ინდო-ევროპული ნასესხობაა ქართულში, გ. კლიმოვს ორი არგუმენტი მოჰყავს (კლიმოვი 1994 130-134):

პირველი არგუმენტი იმას ემსახურება, რომ დამატკიცოს, სიტყვა წარმოშობით არ არის ქართველური, რადგან:

ა) „ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმის თავკიდურა S-ს თან ჭავახური დიალექტი ინარჩუნებს უსიბილანტო ფორმას. რადგან უკანასკნელის გვიანდელი განვითარება შეიმჩნევა p-ს ანლაუტიან სხვა ნასესხობათა რიგშიც, ძნელია მისი ჩათვლა სიტყვის ისტორიულ კუთვნილებად (ასეთი დანამატი წარმოადგენს ქართველურ ენათა ფონემური სინტაგმატიკისათვის არადამახასიათებელი, თავკი-

დურა აბრუპტივის სუპერაციის ხერხს)“ (კლიმოვი 1994 131).

ბ) „ხასიათდება რა თავდაპირველი მასალისათვის უჩვეულო ფონოლოგიური სტრუქტურით, ლექსემა იზოლირებულად დგას ქართველურ ძირეულ სიტყვებში და არ ეტიმოლოგიზირდება“ (კლიმოვი 1994 132).

მეორე არგუმენტი უკვე იმას ემსახურება, რომ დაამტკიცოს სიტყვის უეჭველი ინდო-ევროპულობა, მისთვის ინდო-ევროპული ეტიმოლოგიის გამოძებნით:

„ამჟამად (იგულისხმება, რომ ავტორი ადრე სხვაგვარად ფიქრობდა, იხ. კლიმოვი 1964 153. მ. ქ.) არის ახალი ჰიპოთეზის შემოთავაზების საშუალება, ქართული მასალის შეპირისპირებით ინდო-ევროპულ ზმნურ ფუძესთან *(s)plēnd-, *(s)plənd- „ბრწყინვა“, „ელვარება“, რომელიც ასახულია თავის ისეთ გაგრძელებებში, როგორცაა ლათ. splendēre, ლიტ. splendėti „ნათება“, „ბრწყინვა“ და სხვ. [Pokomy 1959 : 987]“ (კლიმოვი 1994 133).

ჯერ ერთი, რატომ არის არადაამახასიათებელი თავკიდურა აბრუპტივი, ამ შემთხვევაში ბ, ქართველურ ენათა ფონემური სინტაგმატიკისათვის და რატომ გახდა აუცილებელი მისი სუპერაცია (ბ > სპ)?!

საერთო-ქართველური მასალიდან, ყოველგვარი სუპერაციის გარეშე, არის პოვნეირი აბრუპტივი ბ შემდეგ მაგალითებში:

1. ს./ქართვ. * პერ-ი

„დუჟი“, „ქაფი“

ქართ. პერ-ი „id“.:

ზან.ლაზ. პაჟ-ი < *პარ-ი „ქაფი“

სვან. პერ „დუჟი“

2. ს./ქართვ. * პურ-ი

ქართ. პურ-ი „ხორბალი“, „პური“

ზან. პოშ-ოლ-ა „ხორბალი“, „პური“

სვან. პუშ „ხორბალი“

3. ს./ქართვ. * პირ-ი

ქართ. პირ-ი „პირი“; „სახე“

ზან. პიჯ-ი < * პირ-ი „პირი“, „სახე“, „ნაპირი“

სვან. პილ „ტუჩი“, „ნაპირი“

და სხვ.

შესატყვისობისთვის ქართ. რ სვან. შ იხ. აგრეთვე:

ქართ.

სვან.

კვერ-ი

კუნშ-ი < * კუნშ-ი „მჭადის კოკორი“

„მრგვალი რიტუალური

(შდრ. კლიმოვი 1994 118-119)

პური“

ზან. კვარ-ი „მრგვალი პური“

ქართ. კერ-ი

კერ||კეშ „დაუყოღავი მამალი

(კერ-ატ-ი)

ლორი“

და სხვ.

იხ. აგრეთვე პირ- ძირიდან ნაწარმოები სიტყვები: პირველი, პირობა, პირადი, პირდაპირი, პირშუო, პირისპირ, პირუტყვი და ა.შ.

ასე რომ, თუ ამოვალთ CVS მოდელიდან: აბრუპტივი-ვოკალი-სონორი პილ-ენძ-ი არ ხასიათდება თავდაპირველი მასალისათვის უჩვეულო ფონოლოგიური სტრუქტურით.

მეორეც, რა ეშველება ინდო-ევროპულის თავკიდურა S-ს, რომელიც რეკონსტრუირებულ არქტიპებში ფრჩხილებით არის გამოყოფილი: *(s)plēnd-, *(s)plənd-.

თუ ეს სიტყვა საერთო-ქართველურში ნასესხებია, მაშინ მასში ს სუპერაციის მიზნით კი არ გაჩენილა, არამედ იმთავითვეა სავარაუდებელი, რაკი მას საერთოინდო-ევროპულში აღადგენენ და

მაგრამ, რაც მთავარია, ამ სიტყვის სესხების გზას საერთო-ქართველურიდან საერთო-ინდო-ევროპულში მხარს უჭერს მისი პონიერება ბასკურში. რაც გულისხმობს საერთო-ინდო-ევროპული ფუძენის ქრონოლოგიური დონის წინმსწრებ საერთო-ბასკურ-ქართველურ ფუძენაში მის არსებობას.

რაც შეეხება გ. მელიქიშვილის, გ. ჯაპუიანის, თ. გამყრელიძე — ვ. ივანოვის, გ. კლიმოვის და სხვათა მცდელობებს ინდო-ევროპულ ნასესხობებად გამოაცხადოს:

ა) ოდენ იდენტური ბგერათმესატყვისობების შემცველი სიტყვები:

ს./ქართვ. ს./ინდო-ევროპული

*გუგა *gugā
„ნაყოფის გული“

*დიღომ *dheḡom- (*d^(h)eḡ^(h)om-)
„შაემიწა ნიადაგი“

*ღუედ *(H)uēdh
„სართყელი“, „ღვედი“

*გუდა *guda (დიალ.)
„ტიკი“, „ჩანთა“

*დოლა *dolo (დიალ.)
„ურქო (ხარი)“

*ოფოფ-ი *opop- (დიალ.)
„ოფოფი“

*ფოლო *pōslo (დიალ.)
 „ჩლიქი“, „ფეხის ქვედა ნაწილი“

*ლოლო *ǧhoghu, *ǧhǧǧ^h-
 „ზაქი“

და: ა. შ.: და ა. ა.

ბ) პოვნიერი და შესატყვისობების მქონე ცალ-ცალკე საერთო-ინდო-ევროპულსა და საერთო-ქართველურში, მაგრამ არა რომელიმე წინმსწრებ ფუძე-ენაში — სიტყვები და ძირები:

1. ს./ქართვ. *კუენრა

ქართ. კვერნა / კვენრა

ზან.-ლაზ. კვარნა

სვან. რკუენ

ს./ინდო-ევროპ. *k'wenr

ლიტვ. kiaunė:

ლატვ. caūna

ძვ. რუს. кына

(აქ ხშირად შეცდომით იმოწმებენ

ზან.-მეგრ. კვინორ-ი, ლაზ. კვენურ-ი,

რაც სინამდვილეში კვერნას ტაბუი-

რებული სახელია და ნიშნავს კვერ-

იან-ს ანუ ნიშას — კვერნის ყელის

ღია შეფერილობის გამო იხ. ქერქაძე 1974 83).

2. ს./ქართვ. *კაკაბ-ი

ქართ. კაკაბ-ი

ზან. კოკობ-ე >*კოკობ-ი

ს./ინდო-ევროპ. *kākab

ბერძნ. kakkáβη

ხეთ. kakkapa

სომხ. kākav

სპარს. kabk

და სხვ.

3. ს./ქართვ. *წერ-ო
ქართ. წერ-ო „წერო“
ზან. ჭარ-ო „მეთევზე
ფრინველი“

ს./ინდო-ევროპ. *ger(ō)-/*k'ér-
ბერძნ. γερῶνος
ლათ. grūs
ლიტ. gérve
ლატვ. dzēzve,
ძვ. რუს. жеравль
და სხვ.

4. ს./ქართვ. *ძიხ-ე/*ციხ-ე
ქართ. ციხ-ე
ზან. ჭიხ-ა / ჩიხ-ა

ს./ინდო-ევროპ. *dheigʰ
„კედლის აგება (თიხისაგან)“
ბერძნ. σείχος
„კედელი“
ძვ. ინდ. dēhi
„ღამბა“, „კაშხალი“

და ა. შ. და ა. ა.

არანაირი მტკიცებულებითი ძალა არ გააჩნია:

ა) თავისი ოჯახის ენებში ოდენ იდენტურ შესატყვისობათა მქონე სიტყვებზე დაყრდნობით იმისი სრული უეპველობით დამტკიცებაც კი არ მოხერხდება, რომ ისინი ფუძე-ენის საკუთრებას წარმოადგენენ და კანონზომიერად აისახნენ მისი დიფერენციაციის შედეგად წარმოქმნილ სიტყვებში და არ წარმოადგენენ ნასესხობებს (ერთი-მეორედან, საერთო წყაროდან და სხვ.).

ბ) თავისი ოჯახის ენებში დიფერენცირებული ბგერათშესატყვი-სობების შემკველ სიტყვებზე დაყრდნობით მხოლოდ იმისი კონსტა-ტირება შეიძლება, რომ რაკი კანონზომიერი და რეგულარული შე-სატყვისობებით არიან წარმოდგენილი, ე. ი. ფუძე-ენათა დონემდე აიყვანებიან და შესაძლებელია მათი არქეტიპების რეკონსტრუქციაც

(რომლებიც, სხვათა შორის, ერთმანეთის მიმართ, რაკი სხვადასხვა ოჯახებს ეკუთვნიან, კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობებს არ გამოავლენენ), მაგრამ იმისი დამტკიცება, რომ ეს სიტყვები მათ მემკვიდრეობით მიიღეს კიდევ უფრო წინარე ჰიპოთეტური ფუძე-ენიდან, ერთდროულად ისესხეს სინქრონიაში არსებული რომელიმე სხვა ენიდან ან ფუძე-ენიდან, თუ ისესხეს ერთიმეორისაგან, მით უმეტეს, რომელმა რომლისგან, სრული უეჭველობით კი არა, მეტ-ნაკლებად სანდოდაც კი ვერ დამტკიცდება და ასეთი ცდა მკაცრი მეცნიერული კრიტერიუმების არქონის გამო ყოველთვის იქნება აპრიორული, ტენდენციური და საბოლოო ჯამში კვაზიმეცნიერული.

სწორედ კვაზიმეცნიერულია მსჯელობა ე. წ. ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის ქრონოლოგიური ეპოქის შესაბამისი საერთო-ინდო-ევროპული ფუძე-ენის დროინდელი ნასესხობების გამოვლენისა.

აქ აშკარა ქრონოლოგიურ შეუსაბამობას აქვს ადგილი:

საერთო-ინდო-ევროპული და ე. წ. „საერთო ქართულ-ზანური“ ერთი ქრონოლოგიური დონის მოვლენები არ არიან და როდესაც ადგილი აქვს მათ შორის ლამის იდენტური სიტყვათ-ფორმების გამოვლენას, ეს უნდობლობის სერიოზულ საფუძველს იძლევა. ამას ხვდება კლიმოვიც და ცდილობს ე. წ. ქართულ-ზანური ერთიანობის დონეზე ნასესხები ინდო-ევროპული მასალა წარმოადგინოს ხოლმე როგორც დიალექტური, ანუ ისეთი, რომელიც შეიძლება ნასესხები იყოს არა უშუალოდ ინდო-ევროპული ფუძეენიდან, რომელიც თეორიულად პოსტულირებული ქართულ-ზანურის დროს აღარ არსებობს, არამედ მისი დიფერენციაციის შედეგად მიღებული დიალექტებიდან, რომლებიც შეიძლება „ქართულ-ზანურის“ სინქრონულნი იყვნენ.

მას მოაქვს 40 ინდო-ევროპული ნასესხობა „ქართულ-ზანური

ქრონოლოგიური დონისა“ და მათგან 11 დიალექტურად არის მიჩნეული; ეს კი მეოთხედზე ოდნავ მეტია, რაც, ცხადია, საქმეს ვერ შეველის და ანაქრონიზმს ვერ ასწორებს.

გარდა ამისა, როგორც ზემოთაც ვთქვი, ე. წ. „ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის“ გამოყოფის ერთადერთი „კომპარატივისტული“ კრიტერიუმი სვანურში შესაბამისი ძირეული თუ აფიქსალური მორფემების \pm პოვნიერებაა; აქედან — რეკონსტრუქციის ორი დონეც: იპოვეს ძირი და აფიქსები სვანურში, რეკონსტრუქცია საერთო-ქართველურ დონეზე მოხდება, თუ მართო ძირი იპოვეს სვანურში, ძირის რეკონსტრუქციას საერთო-ქართველურ დონეზე მოახდენენ, აფიქსებისას კი მხოლოდ ქართულ-ზანურ დონეზე, თუ არც ძირი და არც აფიქსი არ აღმოჩნდა სვანურში, მის რეკონსტრუქციას ქართულ-ზანური ერთობის დონეზე მოახდენენ.

მაგ. გ. კლიმოვი „ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის ქრონოლოგიურ დონეზე“ აღადგენს ფუძეს *გუალ- და უდარებს მას ინდო-ევროპულ დიალექტურ *gual-ს:

„ფუძე წარმოადგენს ქართულ-ზანურ საკუთრებას.

ქართ. გვალ- „დგომა (გვალვის, სიცხის)“

მეგრ. გოლ- იგივე

ლაზურსა და სვანურ ენებში ექვივალენტები არ არის დამოწმებული. პირველში ასეთი, როგორც ჩანს, გამოძევებულია თურქიზმით. იმავე დროს მოყვანილი ერთ-ერთ ნაშრომში სვანური სუბსტანტივი na-gʷal-eč- „სიმშრალე“ (Schmilt 1962 100), როგორც უჩვენებს მისი სიტყვაწარმოებელი სტრუქტურა, არის აშკარა ქართველიზმი“ (კლიმოვი 1994 95-96).

ზემოთქმული მოწმობს, რომ გ. კლიმოვისთვის უცნობი იყო სვანური სიტყვა გუწლი „გვალვა“, (გადატანითი მნიშვნელობით „უღრუბლო ცა“, ე. ი. ცა, რომელსაც საწვიმარი პირი არ უჩანს), თორემ ამ ლექსემას უეჭველად საერთო-ქართველურ დონეზე აღადგენდა.

მაშინ კი ახალი პრობლემა, საპირისპირო, იჩენდა თავს — თუ ლექსემა საერთო-ქართველურია, რატომ არის ის ინდო-ევროპულში დიალექტური? სანამ „ქართულ-ზანური“ იყო ეს, ჩანდა ბუნებრივი ქართვ. (დიალ.) ე. ი. „ქართულ-ზანური“ ინდ.-ევრ. (დიალ.), მაგრამ რაკი ლექსემა საერთო-ქართველური აღმოჩნდა, მასთან შესადარებელი სიტყვაც ხომ საერთო-ინდო-ევროპული უნდა აღმოჩენილიყო.

იქნებ მის საერთოინდო-ევროპულ დონეზე რეკონსტრუქციას ის უშლის ხელს რომ საერთო-ინდო-ევროპული ენის მხოლოდ ერთ-ერთ დიალექტურ წრეში შემორჩა მისი რეფლექსები — A-ში ან B-ში?

არამც და არამც — ეს სიტყვა საერთოინდო-ევროპული ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე აღდგება, რადგან:

ის არის დადასტურებული როგორც A დიალექტური წრის ენაში — ძვ. ირლანდიურში **gūal* ნახშირი“, ასევე B დიალექტური წრის ენებში: ძვ. ზემო გერმანულსა *kol, kolo* „იდ“ და ძვ. ინდურში *jvalati* „ანთია“, „იწვის“ (კლიმოვი 1994 97).

ისევ სინქრონიაში თანაარსებულ ფუძე-ენებამდე მივიდა საქმე; აქ კი სესხების მიმართულების ცალსახა განსაზღვრა რომელიმე მათგანის რეკონსტრუირებად წინარე ფუძე-ენის მოწმობის გარეშე, როგორც ვთქვი, მეცნიერების მკაცრი მეთოდებიდან გაუსვლელად ვერ ხერხდება.

გ. კლიმოვს რომ წინასწარაკვიატებული აქვს აზრი სესხების ცალმხრივი მიმართულების შესახებ საერთო-ინდო-ევროპული ფუძე-ენიდან საერთო-ქართველურში და „ინდო-ევროპული დიალექტე-

ბიდან“ „ქართურ-ზანურ“ ენობრივ კონტინუუმში ამისი თვალსაჩინო გამოვლინებაა მისი ოპუსი სიტყვა „დრო“-ს შესახებ:

„ქართ. დრო-, მეგრ. რდო- „დრო, ვადა“

~ ი. -ე. (დიალ.) * რთუ- (*rtu-)

ლექსემა ცნობილია ქართულში, ასევე მეგრულში. ის გვხვდება ძველქართულ ძეგლებშიც, სადაც მოეპოვება სემანტიკა, უფრო მი-ახლოებული მის ინდოევროპულ ანტიცედეტთან: შდრ. მიგცემ შენ დროსა სამ დღე „მოგცემ შენ ვადას სამ დღეს“ სინ. მრავ. 11:01. აქვე აღნიშნულია მისგან წარმოებულთა რიგიც, რომელთა შორისაა დროება- „დაგვიანება“ და მიდროება „დაყოვნება“...

სიტყვის მეგრული ფორმა, ინდოევროპულ ანალოგთან მისი მეტი გარეგნული სიახლოვის მიუხედავად, მეორეულად უნდა იქნეს მიჩნეული, რამდენადაც ის ასახავს შედეგს დამახასიათებელს ამ ენისთვის კომპლექსში თანხმოვნის მეტათეზისისას, დადასტურებულს საკმაოდ ფართო ფაქტობრივ მასალაზე და კერძოდ სხვა ნას-ესხობებში (შდრ. მეგრ. ორქო- „ოქრო“ ქართ. ოქრო-სთან, რომელიც აღის ბერძნ. χρῆμα) სვან. დროჲ „დრო“, როგორც აჩვენებს მისი აუსლაუტი, მომდინარეობს ძველი ქართულიდან.

ქართველური ლექსემები შეპირისპირებადია ინდოირანულ ფორმებთან ძვ.-ინდ. რთუ-ჰ (rú-h) „დრო, პერიოდი; წესრიგი, წესი“, ავესტ. რათუ (ratu) „პერიოდი, დრო“ ტიპისა (დაახლოება ეკუთვნის კ. ბოუდას...) და ახდენს დემონსტრირებას სიტყვისას, რომელიც საკრალურ ლექსიკას განეკუთვნება...

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია ცდა ამ სიტყვასთან ქართ. ადრე და მეგრ. ორდო — „დილა“ დაკავშირებისა (იედლიჩკა...), რომელთა სტრუქტურა არცთუ მთლად ნათელი რჩება“ (კლი-მოვი 1994 176-177).

არცთუ მთლად ნათელი და პრობლემური აქ მართლაც ბევრი რამ არის, მაგ. თუ საერთო-ქართველური ქრონოლოგიური დონის არქეტიპთან *დრო- ქართული ფორმა დრო- უფრო ახლოა და მეგრული ფორმა მიღებულია მეგრულისათვის არაკანონიკური სუპერატივის გზით CS > SC (დრო > რდო) რატომ არის ეს ფორმა უფრო ახლოს ინდო-ევროპულთან (*რთუ) ვიდრე ქართული, მით უმეტეს თუ სესხებას ინდო-ირანულიდან ჰიპოთეტური „ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის“ ქრონოლოგიურ დონეზე ჰქონდა ადგილი, როგორ და რატომ, რა ფონეტიკური კანონზომიერებით მივიღეთ სესხების პროცესში ი.-ე რთუ-დან ქართული (ან ქართულ-ზანური): დრო- (<*დრო-) > ზან. რდო-?!

სანამ ამ კითხვებს სარწმუნო პასუხი არ გაეცემა მანამდე უნდა ვალიაოთ რომ ისეთი ცალსახა და შორს მიმავალი დასკვნებისთვის, როგორსაც აკეთებს გ. კლიმოვი, არანაირი საფუძველი არ არსებობს.

მე იარომირ იედლიჩკასეული დაკავშირება ძირ-ფუძეებისა დრო და აღრ-ე ლოგიკურად მიმაჩნია, როგორც ფორმის ასევე შინაარსის თვალსაზრისით:

დრო	აღრე
ქართ. ძვ. დრო-მ, ახ. დრო, ვადა“	ქართ. აღრ-ე
„ხანგრძლივობის მონაკვეთი“	ძვ. მალე“, „სწრაფად“
ძვ. დროება / დროება-მ „დაგვიანება“, „დაყოვნება“, „ვადის მიცემა“	„ხვალ“
ახ. ეპოქა“, „ხანა“, „დრო“	ახ. „განკუთვნილი ან დათქმული დრომდე“, „დილას“
„დროდადრო“ „ხანდახან“, „ზოგჯერ“ და სხვ.	და სხვ.
ზან. რდო „დრო“, „ვადა“, და სხვ.	ზან. (მეგრ.) ორდ-ო „დილა“
	(ლაზ.) ოდრ-ო

ორდ-ო, „მალე“,
„ჩქარა“
და სხვ.

ორივე სიტყვა ერთ სემანტიკურ ველს — „დრო“-ისას განეკუთვნება, რაც შეეხება მასალობრივ და სტრუქტურულ დაკავშირებას აქ ამგვარი სიტუაციაა:

დრო
ს./ქართვ. *დრო
ქართ. დრო
ზან. რდო < *დრო-

ადრე
ს./ქართვ. *ადრ-ე
ქართ. ადრ-ე
(შდრ. მალ-ე, ხვალ-ე, ზეგ-ე..)
ზან. ოდრ-ო / ორდ-ო
< *ოდრ-ოთ < * *ოდრ-ოდ
= ქართ. ადრ-ად
(ფენრიხი, სარჯველაძე 1990
32-33).

ქართველურ ენებში ამ სიტყვათაგან არც ერთის სემანტიკისათვის: დრ-ო და ა-დრ- რაიმე საფუძველი არ არსებობს, თუ რატომ უნდა ადრ-ე-ში ნებისმიერად არ გამოვყოფთ ა სიტუაციათსაწარმოებელ აფიქსს ა- (ს./ქართვ. *ა- ქართ. ა- სვან. ა- ფენრიხი, სარჯველაძე 1990 28), რომლის კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათ მიჩნეული ზანური ფორმის ანლაუტის ო- ა- აფიქსის გამოყოფის შემთხვევაში ქართველურ ენებში ვიღებთ ოდენიდენტურიშესატყვისობის შემცველ ძირს, დრ რომლის დასაბამიერობის მტკიცება ამ ენათათვის შეუძლებელი ხდება ოდენიდენტურ ბგერათშესატყვისობათა მტკიცებულობითი ძალის არქონის გამო.

მაგრამ არსებობს ერთი ძალიან ანგარიშგასაწვევი მომენტი, რაც ბასკური ენის მონაცემებს უკავშირდება:

ბასკ. **ორდუ** / **ordu** „საათი“;
ორდუ-ან / **ordu-an** „მაშინ“, „მას შემდეგ“;
ორდუ-ქო / **ordu-ko** „მაშინდელი“, „მანამდე“
 და სხვ.

ბასკური ენის ფონოტაქტიკის თანახმად **რ** / **r** (ისევე როგორც **რა** / **ř**) სიტყვის თავში არ გვხვდება (თუ რამდენიმე უახლეს ნასესხობას არ ჩავთვლით) და სუპერაციის მიზნით მას შეიძლება წაემძღვაროს პროთეტული ხმოვანი, მით უმეტეს თუ საქმე კომპლექსის (ამ შემთხვევაში: **რდ** / **rd**) დაძლევის ეხება. ამ გზით მოხდა ინიციალური **რ** / **r**-ს შენარჩუნება დასაბამიერ სიტყვაში, მათ შორის **ორდუ** / **ordu**-ში.

შესაბამისად:

ო-რდუ / **o-rdu**

ახლა დაეუბრუნდეთ ინდო-ევროპულ დიალექტურ ფორმას:


***რთუ-** / ***rtu-**

და დავსვათ კითხვა: თუ ქართველურ ენებში **დრო** ნასესხებია ინდო-ირანული ენებიდან „ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის“ ეპოქაში, საიდან არის ნასესხები ***რდუ** ბასკურში, რომელსაც ინდო-ევროპული ფუძე-ენის დაშლის შედეგად წარმოშობილ ინდო-ირანულ ენებთან კონტაქტი არ ჰქონია და რატომ ავლენს ბასკური ფორმა ასეთ სტრუქტურულ სიახლოვეს ერთი მხრივ ინდო-ირანულ ***რთუ-**სთან, მეორე მხრივ კი ზანურ ***რდო-**სთან რომელიც მიჩნეულია მეორეულად: **დრო**-ს მეტათეზისის შედეგად?! ზანური ენის ფონოტაქტიკის გათვალისწინებითა და ტიპოლოგიურ მონაცემებზე

დაყრდნობით ამავე ძირთან ი. ელიჩკას მიერ იდენტიფიცირებული ლაზ. **ოდრო** / **ოდრო** ფორმათა თანაარსებობის ფაქტიც თითქოს ამ აზრს უნდა უჭერდეს მხარს.

ვფიქრობ მაინც სხვანაირად უნდა იქნეს წარმოდგენილი ამ ძირის ისტორია:

საერთო-ბასკურ-ქართველური



ასეთ შემთხვევაში ზანურში შენარჩუნებულად და არა მიღებულად, უნდა ჩაითვალოს SC კომპლექსი, რომელიც დაემთხვა შემდგომში კანონიკურად ქცეულს. მეტათეზისი მომხდარი უნდა იყოს საკუთრივ ქართულში რისი მიზეზიც მოვლის ცალსახა ახსნას.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი რომ ბასკურსა და ქართველურში კომპლექსის ორივე წევრი მქლერია **რდ /დრ**, ინდო-ირანულში კი ხშული ყრუა **რთ/რთ** (ავესტურში კომპლექსიც კი აღარ იპოვება: **რათუ**, სუპერაციის შედეგად რაც სონანტის მარცვლოვანი რეალიზაციით თუ პროთეტული ხმოვნის ჩართვით განხორციელდა). ცხადია კომპლექსის ხშული წევრის დაყრუება ინდო-ირანულში უფრო ადვილი სავარაუდოა ვიდრე მისი გამჟღერება ცალკე ქართველურსა და ცალკე ბასკურში მით უმეტეს, რომ **რთ / თრ** კომპლექსები ქართველურში კანონიკურია და არც ბასკურშია იშვიათი.

ყოველ შემთხვევაში ბასკურ-ქართველური ნათესაობის გადიფერენცირებული კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობების სისტემის გამოვლენის გზით დამტკიცების ფონზე, ზემოთმოყვანილი ოდენიდენტურ ბგერათშესატყვისობათა შემცველი სიტყვა, პოვნიერი ბასკური და ქართველურ ენებში გამორიცხავს მის ნასესხობას ქართველურ ენებში არა მარტო საერთო-ინდო-ირანული ფუძე-ენიდან არამედ მისი წინმსწრები ფუძე-ენებიდანაც საერთო-ინდო-ევროპულის ჩათვლით.

საერთო-ქართველური ფუძე-ენის ჩვენებას ***გვალ-**ის შემთხვევაშიც წინმსწრები ფუძე-ენა, საერთო-ბასკურ-ქართველური ამაგრებს: ბასკურში გვაქვს **agorraldi (a-gorr-aldi)** „გვალვა“, რომელშიც **gorr (გორა)** იგივე ძირი ჩანს რაც ქართველური ***გოლ-||*გუალ-** და მასაც უნდა მოეპოვებოდეს პარალელური ფორმა **o-garr-i (ogarri) < *o-gwarr-i (*ogwarri)** „ძალიან ცხელი დღე“, ძირეული თანხმოვნის ლაბიალიზებული ელემენტის ანტიციფაციით.

თავს ვალდებულად ვთვლი აქვე შევებო ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე ნასესხობების საკითხსაც, რაკი მათ ხშირად არაკო-

რექტულად იყენებენ როგორც ნასესხობათა მიმართულების განსაზღვრისას, ასევე ფუძე-ენათა რელატიური ქრონოლოგიის დასადგენადაც.

მაგ. როგორც ქართველურ, ასევე ინდო-ევროპულ ენებშიც, კერძოდ, არიულ ქვეჯგუფში, პოვნიერია კაც-ის აღმნიშვნელი სიტყვა, რომელიც განსაცვიფრებელ ფონეტიკურ ერთგვაროვნებას ავლენს:

ს./ქართვ. *კაცი-ი „კაცი“, „ადამიანი ქართ. კაც-ი „id“
სვან. ჳაშ < *კაჩ-ი „ქმარი“, ზან. კოჩ-ი „კაცი“.

ს./არიული: * kási „კაცი“ ძვ. ინდ. kás „id“, ძვ. სპარს. kash (=kaš) „id“, ავესტ. kas „id“, ფაზენდ. kas || kasi „id“, ქურთ. kes || kesek „id“, ავღ. kas „id“, ბელუჯ. kas „id“

ამ შემთხვევაში ნასესხობის მიმართულების დადგენა არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს, რადგან საერთო-ქართველური ისევე, როგორც საერთო-ინდო-ევროპული პირველი ქრონოლოგიური დონის ფუძე-ენაა, ხოლო საერთო-არიული (resp. ინდო-ირანული) ფუძე-ენა მხოლოდ მეშვიდე ქრონოლოგიური დონისა. ასე რომ, სრულიად გამორიცხულია დროში წინმსწრებ საერთო-ქართველურ ფუძე-ენას ესესხა ეს სიტყვა საერთო-არიულიდან.

მით უმეტეს, ითქმის ეს კიდევ უფრო გვიანდელი, მერვე ქრონოლოგიური დონის საერთო-ირანული ფუძე-ენიდან საერთო-ქართველურის მიერ სიტყვათა სესხების ჰიპოთეზის შესახებ, რომელსაც ისტორიულ-შედარებითი მეთოდისადმი ნიპილისტურად განწყობილი თუ კომპარატივისტიკაში სულაც გათვითცნობიერებულ მკვლევართა შორის დღესაც მოეპოვება არა ერთი ადვოკატი.

მათ რიგს, ცხადია არ განეკუთვნება პროფ. მზია ანდრონიკაშვილი, მაგრამ XX საუკუნის სამოციან წლებში ჯერ კიდევ ავტორიტეტულმა თვალსაზრისმა საერთო-ქართველური ფუძე-ენის ლამის ისტორიულ ეპოქაში დიფერენციაციის შესახებ მასაც წამოაყენებინა რამდენიმე ჰიპოთეზა, ქართველურ ენათა შორის კანონზომიერი და რეგულარული ბგერათმესატყვისობის მქონე რამდენიმე სიტყვის ირანული ენებიდან სესხების თაობაზე.

მათ შორის მოხვდა ისეთი საერთო-ქართველური ფუძე-ენის ქრონოლოგიური დონის კომპოზიტი, როგორიცაა:

ს./ქართვ. *ზა-თ-არ-ი „ზამთარი“ ქართ. **ზამთარი** „id“
ზან. **ზოთონჯი**-ი „id“.

რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „წელი თოვლიანი“ (resp. „ნალექიანი“) **ზა**-ი (= წელი) + **თ-არ**-ი (= თოვლიანი), ეს კი, თავის მხრივ, წლის სეზონებად დაყოფისთვის მესაქონლის თვალსაზრისის საფუძვლად დადებას ნიშნავს, რადგან, მიწათმოქმედისაგან განსხვავებით, რომელიც წელიწადს ოთხ სეზონად ყოფს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების გათვალისწინებით, მესაქონლე (მეცხოველე) წელიწადს სულ ორ ნაწილად, ორ წლად ყოფს: წლის უნალექო დრო (**ზა-ფხ-ულ**-ი) და წლის ნალექიანი დრო (**ზა-მ-თ-არ**-ი), ე. ი. მშრალი წელი და ნალექიანი წელი.

პროფ. ანდრონიკაშვილი ამ სიტყვას საერთო-ირანულის, საერთო-არიულის (ინდო-ირანული) და რუსულის (resp. სლავურის) მოშველებით ლამის საერთო-ინდო-ევროპულის **B** დიალექტურ წრის ქრონოლოგიურ დონემდე უქებნის ეტიმოლოგიას (ანდრონიკაშვილი 1966 321-322).

თუმცა ეს **B** დიალექტური წრეც უფრო გვიანდელი ქრონოლოგიური დონისაა, ვიდრე საერთო-ქართველური ფუძე-ენა და სესხე-

ბის მიმართულება ამ შემთხვევაშიც უნდა განისაზღვროს როგორც ქართველური ენებიდან > ინდო-ევროპულში და სესხების საეარაუდო წყაროდ საკუთრივ ქართული ენა უნდა იქნეს მიჩნეული.

მაგრამ წინამდებარე ნაშრომის მიზანია საერთო-ქართველურ და საერთო-ინდოევროპულ ფუძე ენებზე უფრო ადრეული ფუძე ენების ჩვენების გათვალისწინებაა სესხების მიმართულების დადგენისას და მეც ამ რიგის რამდენიმე მაგალითს მოვიხმობ.

პროფ. შხია ანდრონიკაშვილი წერს არჯ- ძირის შესახებ:

„არჯ — წარმოდგენილია სიტყვებში მ-არჯ-უ-ე, მ-არჯ-ულ, უ-მ-არჯ-უ, მ-არჯ-უ-ენ-ე და სხვ. ჩვენი ფიქრით, ეს ფუძე შეიძლება დაუკავშირდეს ძვ. ირ. ფუძეს arg- || arj-, რომელიც წარმოდგენილია სიტყვებში: ავ. arajah-, სანსკრ. argha, arghya, ფალ. arǰ, arǰ, ახ. სპ. arj და სხვ...“

საფიქრებელია, ირანულ arj-ს „ღირსი, მნიშვნელოვანი, ფასეული“ ეყრდნობა აგრეთვე სომხური աջ-იც „მარჯვენა“ (r-ს დაკარგვის ტენდენცია ჯ, ჰ-სა და h-ს წინ სომხურში ძლიერია...).

ნ. მარი სიტყვებში მარჯვენა და მარცხენა გამოჰყოფდა ელემენტს მარ-, რომელიც მას ხელის აღმნიშვნელ სიტყვად მიაჩნდა, ხოლო სომხურ სათანადო ცნების აღმნიშვნელ ტერმინებთან აკავშირებდა მარჯვენაში ჯ-სა და მარცხენაში ცხ- ელემენტებს. შდრ. სომხ. աջ და ձախ. ჩვენი ფიქრით: ამოსავალი მნიშვნელობა ქართული მ-არჯ-ისა უნდა ყოფილიყო „მნიშვნელოვანი, ღირსეული, მართალი“, მარჯ-უ-ენ-ე (ხელის აღმნიშვნელი) უფრო გვიანდელი წარმოება ჩანს. შდრ. რუსული правый, правая рука (ძველად მას ერქვა десница), მარჯვენა „მოხერხებული, სწორი“, გამარჯვება „მარჯვედ ყოფნა“ (ანდრონიკაშვილი 1966 27-28).

ამჟერად თავს შევიკავებ ცდუნებისაგან, ქართული მარცხენა ნ. მარისეული ეტიმოლოგიით მარ-ცხ-ენ-ა დაფუძავშირო ბასკურ ე-სქერ / e-zker-ს „მარცხენა“ (მარი, II, 1936 137-138) და ე-სქერთი / e-zkert-ის „ცაცია“ (ნ. მარს ავე მოაქვს სიტყვა ე-სქელ-ა / e-zkel-a „ჩრდილო-აღმოსავლეთი“ < „ჩრდილოეთი“ და იმავდროულად „ელა-მი“, რომელსაც ეტიმოლოგიურად უ. ვან-ეისის კვალდაკვალ e-zker-„მარცხენა“-ს უკავშირებს. ამავე ბასკური სიტყვიდან ნასესხებად მიიჩნევს იგი კასტილიურ (resp. ესპანურ) სიტყვებს e-squer-ი და i-zquier-do „მარცხენა“), რადგან ეს მოითხოვს ისეთი კარდინალური საკითხის ცალსახა გადაწყვეტას, როგორცაა საერთო-ბასკურ-ქართველურში დეცესიური ჰარმონიული კომპლექსების არსებობის დასაბუთება და, შესაბამისად, მათი უეჭველი რეფლექსების გამოვლენა ბასკურში. ეს პრობლემა ამჟამად კვლევის სტადიაშია და ამ ეტაპზე არ ჩანს საფუძველს მოკლებული მისი დადებითი გადაწყვეტა (შდრ. ბრაუნი 1998^ა 148-150).

აქვე ვიტყვი რომ არის ბასკური ესქერ/ezker „მარცხენა ხელი“-ს სხვა ეტიმოლოგიებიც. მაგ.:

1) ესქერ/ezker < *ეს-გერ/ez-ger „არა ცუდი“ ე. ი. „არაცუდი ხელი“, რისი მიზეზიც შეიძლება ტაბუირება იყოს (ახსნა ეკუთვნის ხ. გოროჩაიშვილის);

2) *ეშქუ-გერ/esku-ger „ცუდი ხელი“ > *ეშქერ/esker > ესქერ/ezker, შიშინა ფორმის გასისინების პოზიციური ან კომბინატორული პირობის არარსებობის გამო, მიზეზად შეიძლება მიჩნეულ იქნას სიბილანტის არარეგულარული (resp. ფაკულტატური) განვითარება ან შეიძლება მოხდა სიბილანტის შეგნებული დეფორმაცია (resp. ტრანსფორმაცია) ისევ და ისევ ტაბუირების მიზნით (რ. ლ. თრასქის ვერსია). ორივე ეტიმოლოგია ხ. ლაკარას აქვს მოხმობილი

(ლაკარა 1995 193). ამ ეტიმოლოგიათაგან რომელიმეს სისწორის შემთხვევაში, (რაშიც მე ეჭვი მეპარება) სქ / zk დეცესიური კომპლექსი აღმოჩნდება არა დასაბამიერი, არამედ წარმოქმნილი მორფემათა მიჯნაზე.


მაგრამ მარჯ- ფუძის თუ არჯ- ძირის სესხებას ირანული ან, თუნდაც, არიული (ინდო-ირანული) ენებიდან ქართველურ ენებში გამორიცხავს არა მარტო მისი რეკონსტრუქცია საერთო-ქართველური ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე, რაკილა ის წარმოდგენილია ქართველურ ენებში კანონზომიერი და რეგულარული თანაც არაიდენტური ბგერათშესატყვისობებით:

- ს./ქართვ. * მა-რჯ-ჟ-ე / * მა-რჯ-ი / *მა-რჯ-ჟ-ენ-ი
 ქართ. მა-რჯ-ე „ძლიერი“,
 გა-მა-რჯ-ე-ბ-ა „ძლევამოსილება“,
 მა-რჯ-ენ-ა „მარჯვენა ხელი“
 ზან. მო-რძგვ-ი „მარჯვე“
 გო-მო-რძგუ-ა „გამარჯვება“
 მა-რძგვ-ან-ი „მარჯვენა ხელი“
 სვან. ლა-რსგჟ-ან „მარჯვენა ხელი“

არამედ ისიც, რომ ბასკურშიც არის ამ სიტყვის ანალოგი წარმოდგენილი კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობით:

ბასკ. მარდო / mardo
 „ძლიერი“, „ღონიერი“

ეს ბგერათშესატყვისობა ასეთია:



შდრ. ქართ. მარდ-ი „სწრაფი“, „მოხერხებული“

ამ (მარდო / mardo) ფუძისად მესახება მარჯვენა ხელის აღმნიშვნელი ბასკური კომპოზიტი: ეშქუმალდექო / eskumaldeko, შემდეგი სავარაუდო სეგმენტაციით: ეშქუ-მალდ-ე-ქო / esku-mald-e-ko, სადაც ეშქუ / esku „ხელი“, მალდ / mald < მარდ / mard = „ძლიერი“, „ლონიერი“, „მარჯვენა“, ქო/ko სადაურობის მაწარმოებელი სუფიქსი.

მეორე ასეთივე ფონეტიკური სტრუქტურის სიტყვა, რომელსაც ირანული ენებიდან ნასესხებად მიიჩნევს პროფ. მ. ანდრონიკაშვილი, არის კერძო.

იგი წერს:

„კერძო — „მხარე, ნახევარი“, თანდებული „-კენ“, „წილი, ნაწილი, ხვედრი...“

ჩვენ ვფიქრობთ, ქართული სიტყვისათვის კერძო ამოსავალია „ცნება ჰრისა, კვეთისა“, რომელიც წარმოდგენილია ოსურ ზმნაში: **kærdyn** : **karst** / **kærdun** : **karst** „ჰრა, კვეთა, ხევა, კუწვა“ და სხვ. ირ. **kart-** ე. ***k_oert-** ***(s)k_oer** — „ჰრა“ + t დეტერმინანტი), ავ. **karət-**: **kərəsta** „ჰრა“, ძვ. ინდ. **k_or̥t-** (**k_or̥ntati**), ავლ. **škaštəl skan**

(> uz-k_ornt „მოჭრა“) და სხვ....

ქართული კერძ- ფუძისათვის ამოსავალია ალბათ ფორმა kærd „ნაჭერი, ნაკვეთი“, „ნახევარი, მხარე“ (ანდრონიკაშვილი 1966 92-93).

სინამდვილეში ეს სიტყვა რეკონსტრუირდება საერთო-ინდო-ევროპული ფუძე-ენის დროში წინმსწრებ საერთო-ბასკურ-ქართველურ ფუძე-ენაზე:

ს./ბასკურ-ქართველური * კერდ-ი „ნაწილი“, „ნახევარი ბასკ. ერდი / erdi < *ქერდი / *kerdi „ნახევარი“ ს./ქართვ. *კერძი-ი „წილი“, „ნაწილი“ ქართ. კერძი-ი „წილი“, „ნაწილი“, „ნახევარი“, სვან. ჭართი < *კარჯი-ი „მიწილადება“, „მიკერძება“


რაც გამორიცხავს სიტყვის სესხებას როგორც საერთო-ინდო-ევროპული ფუძე-ენიდან, ისე, ცხადია, საერთო-არიულიდანაც, მით უმეტეს — საერთო-ირანულიდან, საკუთრივ ოსურზე რომ აღარაფერი ვთქვა.

სიტყვის სესხების ერთადერთი შესაძლო მიმართულება ამ შემთხვევაშიც საერთო-ქართველურიდან ან საერთო-ბასკურიდანაა ინდო-ევროპულში.

და ბოლოს, კიდევ ერთი ანალოგიური მაგალითის შესახებ, როდესაც სესხების მიმართულება ქართველურთან შედარებით ინდო-ევროპულის უმეტესი სიძველის აპრიორული დაშვებით განისაზღვრება.

აკად. აკაკი შანიძე თვლიდა, რომ ქართ. თით-ი და მეგრ.-ჭან. კით-ი ლათინური ენიდან იყო ნასესხები შემდეგი ტრანსფორმაციით:

ლათ. **digitus / dicitus**



(შანიძე 1976 23)

არსებობს ამ სიტყვის სხვა ეტიმოლოგიაც, რომელიც აკად. არნ. ჩიქობავას ეკუთვნის:

„ძირეულია -თ-; მეორდება ქართულში; ჰანურში, მეგრულში მას წინ უძღვის სხვა ძირი, საფიქრებელია იგივე, რაც აკა-ში გვაქვს: აკა — ერთი (აფხაზ. აკგ — ერთი Услар, Абх. яз., გვ. 141, 77); კითი-ერთი „თი-თი(?)“ (ჩიქობავა 1938 61).

კარლ ჰორსტ შმიდტისთვის ამოსავალი ფორმაა კით-ი და ქართული თით-ი კითისგან ასიმილაციით მიღებულად მიაჩნია (შმიდტი 1962 114). მე ეს აზრი ანგარიშგასაწევად მეჩვენება.

კით-ი რომ არც ლათინური ნასესხობაა ქართველურ ენაში და არც აფხაზურ-ქართველური კომპოზიტი, ამაზე მეტყველებს მისი რეკონსტრუქციის შესაძლებლობა საერთო-იბერიულ-კავკასიური ფუძე ენის ქრონოლოგიურ დონეზე:

ს./ქართვ. * კით-ი

აფხაზ. ა-კ'გს'

კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობის ფონზე:

ს./ქართვ. *თ // *სთ აფხზ. ს' / ს'ო
 // *სო

სრული სახით:

ს./ქართვ.	აფხზ.
*კ	კ'
*ო	გ
*თ	ს'

ჩვეულებრივ გვხვდება კ'გს ფორმით, მაგ.: სიტყვაში ანაცკ'გს / მაცკ'ს „ნეკი“ (მღრ. ანაცვ'ანს / მაცვ'ანს „ცერი“), სადაც კ'გს თითს.

მსგავსი მაგალითების რიცხვის გაზრდა პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ ჩემი დებულების დამტკიცებისათვის, რომ სესხების მიმართულების განსაზღვრისათვის დროში წინმსწრები ფუძენების ჩვენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ზემოთმოყვანილი მაგალითები, ვფიქრობ, სრულიად საკმარისია.

იმის ნათელსაყოფად თუ რა გადაულახავ წინააღმდეგობას შეიძლება წააწყდეს ოდენიდენტურ შესატყვისობათა შემცველი მასალის შედარება ეტიმოლოგიზირება თუ სესხების მიმართულების განსაზღვრა მოვიყვან ერთ მაგალითს:

ქართ. სკა

„ფუტკრის სახლი“ წნელით წნულსა ეწოდების

სკა, ხოლო როგო და ფუკა- ხის გამოთლილსა“ (საბა)

ზან. მეგრ. სკა > || სქა „ფუტკარი“

ლაზ. მსქა > || მცქა „სკა“

მიუხედავად იმისა, რომ ქართველურ ენებში ამ სიტყვას აქვს ოდენ იდენტური შესატყვისობები როგორც თანხმოვანთა ასევე ხმოვანთა რიგში, რაც გამორიცხავს მის ცალსახა კვალიფიკაციას, გ. მაჭავარიანი მას აღადგენს საერთო-ქართველური ენის ქრონოლოგიურ დონეზე (გ. მაჭავარიანი 1965 89).

არსებობს აგრეთვე თვალსაზრისი, რომ სიტყვა „სკა“ ნასესხებია ბერძნულიდან VIA Armenika-თი:

ბერძნ. σκαφίς / skaphis „კალათი“, „წნული“ > სომხ. სკაპ / *ՄԿԱԷ* „თასი“, „კათხა“ > ქართ. სკა > ზან. სკა || სქა „ფუტკარი“ || ლაზ. *სქა > მსქა > მცქა „სკა“ (ანდრონიკაშვილი 1970, აგრეთვე: მელიქიშვილი 1980 51-52, შდრ. აჭარიანი, IV, 1979 225-226).

ბერძნულ სიტყვას არ მოეპოვება არც კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობები სხვა ინდო-ევროპულ ენებში (შესაბამისად არ რეკონსტრუირდება ფუძე-ენის დონეზე) და არც სანდო ეტიმოლოგია საკუთრივ ბერძნულის ნიადაგზე.

ასეთი ეტიმოლოგია სკა-ს შეიძლებოდა გამოვლენოდა ქართველურ ენების საფუძველზე:

ქართ. სკ-ულ-ი „საკვრელი“; ნა-სკუ

ზან. მეგრ. სკულა-ა „შეკვრა“; სკვ-ირ-ი || სქვ-ირ-ი „შეკრული“, სქუ-აფ-ა „შებმა“... (ლაზ.) ო-სკვ-უ „შებმა“.

სვან. ლე-სკჷ-ერ „თოკი“.

სემანტიკური დაკავშირება: სკვნილი || წნული > სკა- „ფუტკრის წნული სახლი“ უპრობლემოა, მაგრამ კვლავ ოდენ იდენტურ

შესატყვისობათა პოვნიერება ქართველურ მასალაში პრობლემურს ხდის მისი არქექტიპის რეკონსტრუქციის სანდოობას (შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 1990 272-273).


ქართველურ სკა მკვიდრად არის დაკავშირებული ფუტკართან — ის ან „ფუტკარის სახლია“ (ქართული და ზანურის ლაზური დიალექტური წრე) ან თავად „ფუტკარი“ (ზანურის მეგრული დიალექტური წრე) — მაშინ როდესაც ბერძნულსა და სომხურში ამგვარი კავშირი არ ვლინდება.

ქართველურ ენათა მონაცემები მასალობრივად და სემანტიკურად ვერ დაშორდება ბასკური ესქო / ezko „ცვილი“, „თაფლის სანთელი“, სადაც ე/ე პროთეტული ხმოვანი უნდა იყოს, ხოლო ოც*უ /ოც*უ ლაბიალიზაციის ნაშთი (ქართველურში ძირის სრული დელაბიალიზაციაა სავარაუდებელი).

უშუალოდ ბერძნული ენიდან ან სომხურის მეშვეობით ამ სიტყვის ბასკურში მოხვედრის დაშვებას არანაირი საფუძველი არ უჩანს, მით უმეტეს, რომ, ისევე როგორც ქართველურ ენებში, ბასკურშიც ეს სიტყვა „ფუტკარის“ სემანტიკურ ველს უკავშირდება.

ბგერათშესატყვისობებიც ქართველურ ენებსა და ბასკურს შორის კანონზომიერ და რეგულარულ ხასიათს ატარებს, მაგრამ ეს ოდენ იდენტური ბგერათშესატყვისობანია და, შესაბამისად, მათ არანაირი მტკიცებულებითი ძალა არ გააჩნია. ამდენად ვერც საერთო-ბასკურ-ქართველური ფუძე-ენის დონეზე მოხდება მისი არქექტიპის რეკონსტრუქცია და ვერც მისი სესხების მიმართულების ცალსახა დადგენა იქნება შესაძლებელი, თუმცა ლოგიკურად სესხების საპირისპირო გზა ქართულიდან (ან ბასკურიდან) ბერძნულში (და სომხურში) იქნებოდა სავარაუდო.

სემანტიკური გადახრა:




ეს მაგალითი, იმავდროულად აყენებს საკითხს ბასკურში საერთო-ბასკურ-ქართველურიდან ნამემკვიდრევი ჰარმონიული კომპლექსების პოვნისა (შდრ. ბრაუნი 1998² 148-150).

არ არის გამორიცხული საერთო-ინდო-ევროპულისთვისაც იქნეს ნავარაუდები წინსმწრები ფუძე-ენა საერთო-ბასკურ-ქართველური ფუძე-ენის ქრონოლოგიური დონისა. ასეთი შეიძლება იყოს საერთო ხეთურ-ინდური (resp. საერთო-ანატოლიურ-ინდო-ევროპული) ფუძე-ენა რომლის პოსტულირებაც მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში მოახდინა ედგარ სტარტევანტმა (Sturtevant 1933).

მიუხედავად იმისა, რომ ამ თვალსაზრისს თანამედროვე ინდო-ევროპეისტა უმრავლესობა არ იზიარებს და მას შეუწყნარებლად თუ არა მცდარად მაინც მიიჩნევს, მაგ.: ვიჩხესლავ ივანოვი თავის „ხეთურ ენაში“, ასეთ ანოტაციას უკეთებს სტარტევანტის მონოგრაფიას „ხეთური ენის შედარებითი გრამატიკა“ თითქოს ის „...გამომდინარეა მცდარი ვარაუდიდან ოდესღაც (в древности) ინდო-ხეთური პრაენის არსებობისა, რომლიდანაც განვითარდა ერთი მხრივ, ხეთური, მეორე მხრივ — ინდოევროპული“ (ივანოვი 1963 221). ეს სულაც ან ჯერ კიდევ არ წარმოადგენს საკითხის ცალსახა და საბოლოო გადაწყვეტას და ეჭვი არ მეპარება რომ კომპარატივისტიკაში მომავალში არაერთხელ დაუბრუნდებიან სტარტევანტის ხეთურ-ინდური პრა-ენის ჰიპოთეზას და არაერთი უცნობი ფაქტით ან ცნობილი ფაქტების ახლებური ინტერპრეტაციით თუ ახალი


არგუმენტებით ეცდებიან მის რეანიმაციას.

ხეთური (resp. ანატოლიური) ენების განსაკუთრებული და განკერძოებული მდგომარეობა ინდო-ევროპულ ენათა ოჯახში, თვალსაჩინო, თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის კაპიტალურ მონოგრაფიაში „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“ წარმოდგენილი მასალის მიხედვითაც კი, ავტორებისეული ინტერპრეტაციებისა და მიზანსწრაფულობის მიუხედავად, ტოვებენ საფუძველს ვარაუდისთვის, რომ ანატოლიური ენები მათეული სქემის თანახმად კი არ გამოეყვნენ საერთო-ინდო-ევროპულ ფუძე-ენას:



(გამყრელიძე, ივანოვი 1984, I 399)

არამედ შემდეგ მიმართებას ავლენენ საერთო-ინდო-ევროპულთან:



ამ სქემაში, ასევე წინასწარ ანალიზზე დაყრდნობით, ანატოლიური A (ლუვიური) და ანატოლიური B (ხეთური) საერთო ანატოლიური ფუძე-ენის ორ შუალედურ A და B ფუძე-ენებად დიფერენციაციის შედეგად არის წარმოშობილი, ანუ ისინი არ წარმოადგენენ საერთო-ანატოლიური ფუძე-ენის დიფერენციაციის უშუალო შედეგს და საერთო-ანატოლიურამდე სხვადასხვა შუალედური ფუძე-ენის მეშვეობით აიყვანებიან.

ამ მსჯელობის მიზანი, როგორც ვთქვით, მხოლოდ საერთო-ინდო-ევროპული ფუძე-ენის წინმსწრები ენობრივი ოჯახის (და არა, ვთქვათ, ბორეული ან ნოსტრატული ფილუმის) ფუძე-ენის ვარაუდის არგამოსარიცხობის დაშვებაა.

თუ ეს ვარაუდი ოდესმე დასაბუთდება (მისი მტკიცებისა თუ ვერიფიკაციების ამოცანა სცილდება წინამდებარე მონოგრაფიის მიზნებს და ცალკე გამოკვლევის საგანს წარმოადგენს), მაშინ საერთო-ანატოლიური ფუძე-ენა განხილულ უნდა იქნეს იმავე ქრონოლოგიურ კრილში, რომელშიც განიხილება საერთო-ინდო-ევროპული, საერთო-ქართველური და საერთო-ბასკური, ხოლო საერთო-ანატოლიურ-ინდო-ევროპული ფუძე-ენა იმავე ქრონოლოგიურ კრილში, რომელშიც მოიაზრება საერთო-ბასკურ-ქართველური, აქედან გამომდინარე ყველა შესაძლებელი კომპარატივისტული შედეგით, სიტყვათა სესხების მიმართულების დადგენის ჩათვლით.

თავი მეექვსე

იბერიულ-კავკასიურ ენათა შედარებითი ლექსიკონები

წინამდებარე მონოგრაფიაში წარმოდგენილია შედარებითი ლექსიკონის ორი განსხვავებული ტიპი — 1. **სემანტიკური** და 2. **ეტიმოლოგიური**.

განსხვავებულია როგორც მათი შედგენის მიზნები და მეთოდები, ასევე მათში მასალის განაწილების პრინციპებიც.

სემანტიკური ლექსიკონი დგება იმ ენათათვის, რომელთა ნათესაობა უკვე დადგენილია ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით.

სემანტიკური ლექსიკონი სულაც არ ისახავს მიზნად ფუძე-ენის ქრონოლოგიური დონის არქეტიპების რეკონსტრუქციას, თუმცა უპრობლემოდ ოპერირებს რეკონსტრუქციული ფორმებით ასეთთა პოვნისთვის შემთხვევაში. სემანტიკური ლექსიკონის მიზანი ენობრივი ოჯახის ფუძე-ენის ქრონოლოგიური დონის **სემანტიკების** რეკონსტრუქციაა — ეს არის ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი ლექსიკა, ადამიანის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი ლექსიკა, ფლორისა და ფაუნის აღმნიშვნელი ლექსიკა, ბუნებრივი გარემოს

აღმნიშვნელი ლექსიკა, კულტურული ლექსიკა და ა. შ. შეიძლება ამ ლექსიკის არქეტიპები რეკონსტრუირებული იყოს ენობრივი ოჯახის ან მასში შემავალი ყველა ენობრივი ჯგუფების ფუძე-ენათა ქრონოლოგიურ დონეზე, ან მხოლოდ ზოგიერთი ჯგუფის ფუძე-ენის დონეზე, ამას არა აქვს სემანტიემის რეკონსტრუქციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარია დადგენილი იყოს ბგერათშესატყვისობები ენობრივი ოჯახის შემადგენელ ჯგუფთა შორის და ამ ბგერათშესატყვისობების შემცველ ლექსემათა მნიშვნელობები, რომ შესაძლებელი გახდეს ფუძე-ენის დონის სემანტიკური რეკონსტრუქციების ჩატარება.

სემანტიკურ რეკონსტრუქციებს თავისი მეთოდოლოგია და თანდაყოლილი პრობლემები აქვთ.

მეთოდოლოგია მარტივია და ტრადიციული, აგებული „სიტყვისა“ და „საგნის“ ურთიერთმიმართებათა დადგენაზე: რამდენად ვართ დაზღვეულნი იმისაგან რომ ამა თუ იმ სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობა ან ჩვენი ამჟამინდელი წარმოდგენები სიტყვასა და მის მიერ აღნიშნულ საგანზე არ გადაგვაქვს პრეისტორიულ წარსულში, რომლის ქრონოლოგიურ დონეზეც ჩვენს მიერ რეკონსტრუირებული აღმნიშვნელით აღსანიშნი საგანი იმგვარი, როგორც ის ჩვენს წარმოსახვაშია, არც არქეოლოგიურად არის დადასტურებული და თეორიულადაც მისი არსებობის დაშვება ფუძე-ენის ფუნქციონირების სინქრონიული კრილისათვის ანაქრონიზმად შეიძლება იქნეს კვალიფიცირებული.

დროთა განმავლობაში სიტყვები იცვლიან მნიშვნელობებს, იცვლება სიტყვით აღნიშნული საგნის რაობაც და ჩვეულებრივ უფრო სწრაფად ვიდრე სიტყვა. ეს განსაკუთრებით ეხება მატერიალური კულტურას და უპირველეს ყოვლისა ე. წ. დარგობრივ ლექსიკას, დარგობრივ ლექსიკაში კი სახელდობრივ სწრაფადგანვითარებადი ტექნიკის სფეროს, ეს არანაკლებ ეხება სოციალურ ურთიერთობათა

ამსახველ ტერმინებსაც და ა. შ.

ერთადერთი დამხმარე ფუძე-ენის ქრონოლოგიური დონის სემანტიკების რეკონსტრუქციისას, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ისევ იმისი დაშვებაა, რომ ენობრივი ოჯახის ფუძე-ენის დიფერენციაციის შედეგად წარმოშობილ შუალედურ ფუძე-ენებსა თუ ცალკეულ ენებში სიტყვათა მნიშვნელობის ცვლა ანუ აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ურთიერთმიმბმულობის ტრანფორმაციები თუ მოდიფიკაციები ერთნაირი მიმართულებითა და ტემპებით არ იწარმოება, რაც ამ ენებში დაფიქსირებული მნიშვნელობების გათვალისწინებითა და ურთიერთშეპირისპირების გზით ოჯახის ფუძე-ენის ქრონოლოგიური დონის რეკონსტრუქციას მეტ-ნაკლები სანდოობის ხარისხით გახდის შესაძლებელს. ეს, რაც შეეხება სემანტიკურ რეკონსტრუქციას მეთოდოლოგიურ პრობლემებს.

ახლა კი სემანტიკურ რეკონსტრუქციასთან დაყოლილი პრობლემების შესახებ:

ენობრივი ოჯახის ფუძე-ენა ცოცხალი ენა იყო და მისი ლექსიკური ფონდის შემადგენელ სიტყვებს ახასიათებდა ისეთივე „ველები“, როგორც ამჟამად ფუნქციონირებადი ენების ლექსიკას — ჩვენთვის რეკონსტრუირებულ სემანტიკათა მთელი პოლისემიური, ნიუანსური თუ სტილისტური მახასიათებლების არც ცოდნა და კონტექსტთა დაუფიქსირებლობის გამო არც წარმოდგენა არ შეგვიძლია, ვერაფერს ვიტყვივით მათ სინტაგმატურ კომბინაციურ მოდელებზე, მხოლოდ ვარაუდით შეგვიძლია მსჯელობა მათ სინონიმურ თუ ანტონიმურ წყვილებზე, მათი გამოყენების მარკირებულობაზე და ა.შ.

შემდეგი პრობლემა თვით ენობრივი ოჯახის ფუძე-ენის არსებობის ფორმა — ამ ენათა არსებობის ფორმა დიალექტები იყო, დიალექტებში კი როგორც ცნობილია არსებობენ სიტყვათა როგორც

ფონეტიკური ვარიანტები, რომლებიც ფუძე-ენის ქრონოლოგიური დონის რეკონსტრუქციების დროს ე. წ. ფონეტიკურ დუბლეტებს იძლევიან ანუ განაპირობებენ გარკვეული დარღვევების ან პარალელური განშტოებების თუ ქვესისტემების არსებობას კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობის სისტემათა ფონზე, ასევე სემანტიკური ვარიანტები, რომლებიც იძლევიან განსხვავებებს შუალედურ ფუძე-ენებსა თუ ცალკეულ ენებში, რაც კიდევ უფრო ღრმავდება შუალედურ ფუძე-ენათა დონეზე და აისახება უკვე მათი დიფერენციაციის შედეგად წარმოშობილ ენებში — რაც აძნელებს სემანტემათა უეჭველ რეკონსტრუქციას ენობრივი ოჯახის ფუძე-ენის დონეზე.

კიდევ ერთი პრობლემა კი უკვე ენობრივი ოჯახის ფუძე-ენაზე მეტყველი ხალხის კულტურას უკავშირდება. ჩვენ ამ კულტურაზე წარმოდგენას ჩვენს მიერ რეკონსტრუირებული ლექსიკით ვიქმნით. რათქმა უნდა ის რისი რეკონსტრუქციაც კანონზომიერი და რეგულარულ ბგერათშესატყვისობაზე დაყრდნობით განხორციელდა ნამდვილად არსებობდა ფუძე-ენაზე მეტყველთა ცხოვრებაში, მაგრამ ყველაფერი რააც არსებობდა ხომ არ დაექვემდებარა რეკონსტრუქციას, მათი აღმნიშვნელი სიტყვების გამოუვლინებლობის გამო. ანუ წინასწარ ვიცით, რომ ჩვენს მიერ რეკონსტრუირებული სურათი ფუძე-ენაზე მეტყველი საზოგადოების კულტურისა დეფექტურია და ფრაგმენტული. მასში ლაკუნა მეტია ვიდრე შევსებული უჭრა. რამდენად უფლებამოსილნი ვართ ამ დეფექტური და ფრაგმენტული წარმოდგენებით, კულტურული კონტექსტის არცოდნის პირობებში, ვიმსჯელოთ ჩვენს მიერ რეკონსტრუირებული სემანტების კულტურულ პარადიგმატიკასა და სინტაგმატიკაზე? ეს რიტორიკული კითხვაა. ნებისმიერი ენობრივი ოჯახის ფუძე-ენის ქრონოლოგიური დონისათვის შექმნილი სემანტიკური ლექსიკონი

ასახავს ჩვენს ამჟამინდელ მეცნიერულ ცოდნასა და მეტ-ნაკლებად არგუმენტირებულ წარმოდგენებს რეკონსტრუირებადი პრეისტორიული ეპოქის შესახებ და არა თვით პრეისტორიული ეპოქის რეალური სამყაროს და ეს ანგარიშგასაწვევი მომენტია.

ყოველი უცნობი მკვდარი ენობრივი ჯგუფისა თუ ენის წერილობითი ძეგლების აღმოჩენა და მათსა და რომელიმე ცნობილ ენობრივ ოჯახს შორის ნათესაობის დადგენა, ან ამ ოჯახსა და რომელიმე ცოცხალ ენობრივ ჯგუფსა თუ ცალკეულ ენას შორის კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობების გამოვლენა, მნიშვნელოვნად თუ რადიკალურად არა შეცვლის ჩვენს წარმოდგენებს ამ ენობრივი ოჯახის ფუძე-ენის ფონოლოგიური სისტემის, გრამატიკისა თუ ლექსიკური ფონდის შესახებ და რაც მთავარია გამოიწვევს საფუძვლიან რევიზიას მანამდე რეკონსტრუირებული არქეტიპებისა (პრაფორმების) თუ სემანტიკური რეკონსტრუქციებისას, როგორც ეს მოხდა მაგ. ინდო-ევროპეისტიკაში ანატოლიური ენების (ხეთურ-ნესიტურისა და სხვ.) აღმოჩენის შემდეგ და ეს ცვლილებები თავის ასახვას უეჭველად ჰპოვებენ შემდეგდროინდელ შედარებით ლექსიკონებში, როგორც სემანტიკურში ასევე ეტიმოლოგიურში.

ასევე თვალსაჩინო ცვლილებების გამოწვევა შეუძლია რეკონსტრუირებული არქეტიპების თვალსაზრისით ენობრივი ოჯახის ფუძე-ენის ფონოლოგიური სისტემის რეინტერპრეტაციებსაც და სხვ.

სემანტიკურ ლექსიკონში მასალის განაწილება სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი სემანტიკური (შინაარსობრივი) ჯგუფების მიხედვით ხდება.

ადამიანი ენობრივი არსებაა და ის ცხოვრობს მისი ენით აგებულ სამყაროში. ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი წერდა: „ადამიანი უპირატესად — მეტიც, უგამონაკლისოდაც კი, რამდენადაც მისი

აღქმა და ქმედება დამოკიდებულია მის წარმოდგენებზე, — ცხოვრობს საგნებთან ისე, როგორც მათ ენა აწვდის მას“ (ჰუმბოლდტი 1984 80) და ვინაიდან, ჰუმბოლდტისავე სიტყვებით: „ენა — ეს სამყაროა, რომელიც ძვეს გარეგან მოვლენათა სამყაროსა და ადამიანის შინაგან სამყაროს შორის“ (ჰუმბოლდტი 1984 304) ამა თუ იმ ფუძე-ენის სემანტიკური ლექსიკონის მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია წარმოდგენა შევიქმნათ რამდენიმე ათასი წლის წინ მცხოვრები ადამიანების არა თუ წინარე-სამშობლოსა და ყოფით რეალიებზე, არამედ მათ ენობრივ მსოფლხედვაზეც. და რაც უფრო ვრცელი იქნება ლექსიკონი, მით უფრო სრული იქნება ჩვენი წარმოდგენა ფუძე-ენაზე მეტყველი ეთნოსის შესახებ.

ეტიმოლოგიური ლექსიკონი განსხვავებულ მეთოდოლოგიას ეფუძნება და მიზანიც სხვა აქვს დასახული. ეტიმოლოგიური ლექსიკონის მიზანი არქეტიპთა რეკონსტრუქცია და ეტიმონთა დადგენაა. ამ მიზნის მისაღწევად ისტორიულ-შედარებითი მეთოდი გამოიყენება, რომლის მეშვეობითაც ხდება: 1) ენათა ნათესაობის დადგენა, 2) ენათა ნათესაობის ხარისხის განსაზღვრა, 3) არქეტიპების ანუ პრაფორმების რეკონსტრუქცია, 4) ფუძეთქმნადობის კანონიკური მოდელების რეკონსტრუქცია, 5) ეტიმონთა დადგენა, 6) რელატიური თუ აბსოლიტური ქრონოლოგიის დადგენა, 7) ფუძე-ენის ქრონოლოგიური დონის ნასესხობათა განსაზღვრა და ა. შ.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდით შესაძლებელია ფუძე-ენის ფონოლოგიური სისტემის, ფონეტიკური პროცესების, გრამატიკისა და ლექსიკის რეკონსტრუქცია, იმ მომენტში რომელიც უშუალოდ უსწრებდა წინ მის დიფერენციაციას მონათესავე ენებად, მეტიც შესაძლებელია მისი დესკრიფციაც კი მსგავსად ცოცხალი ენებისა. შესაძლებელია თვალის გადევნება ოჯახის ფუძე-ენიდან, ჯგუფებისა და ქვეჯგუფების ე. წ. შუალედური ფუძე-ენათა ეტაპებიდან ისტო-

რიულად დადასტურებული ენათა ფორმების მთელი პროცესისათვის და სხვ. თმცა ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის ცხადია უპირველეს ყოვლისა ინტერესს სწორედ მონათესავე ენათა ფუძე-ენიდან ნამემკვიდრევი ლექსიკა წარმოადგენს.

ეტიმოლოგიურ ლექსიკონში ჩვეულებრივ, რეკონსტრუირებულია არა მხოლოდ სემანტემები როგორც ეს ხდება სემანტიკურ ლექსიკონში, არამედ მათი არქეტიპებიც, აი ეტიმონების გამოყოფა კი სამწუხაროდ არცთუ ყოველთვის არის შესაძლებელი და სრული უეჭველობით ხომ მით უმეტესს.

აკად. არნ. ჩიქობავა წერდა შედარებითი და ეტიმოლოგიური ლექსიკონების ურთიერთმიმართების საკითხებისადმი მიძღვნილ საგანგებო სტატიაში:

„ეტიმოლოგიური და შედარებითი ლექსიკონების ურთიერთკავშირი განისაზღვრება მეცნიერული ეტიმოლოგიისა და ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ურთიერთობით.

შედარება — ისტორიის დამხმარე საშუალებაა: შედარებითი ლექსიკონი არ შეიძლება არ იყოს ისტორიული (იმავე სტატიაში, სხვაგან არნ. ჩიქობავა აზუსტებს: „შედარებითი ლექსიკონი შესაძლებელია შედგეს მხოლოდ მონათესავე ენებისათვის. მასში სიტყვები შეპირისპირებულია საერთო ფუძეების მიხედვით...“ მ.ქ.).

სიტყვის ეტიმოლოგია იგება სიტყვის ისტორიაზე წერილობითი ძეგლების დოკუმენტირებული მონაცემებისათვის თვალის გადევნებით. შედარებითი ანალიზის მეშვეობით და შინაგანი რეკონსტრუქციის გზით (ბუნებრივია სამივე შესაძლებლობის კომპლექსური გამოყენება).

როდსეაც ლათ. meridies „შუადღე“ იაყვანება medi-die-სთან (დისიმილაციით d-d → r-d medi-die → meri-die). მაშინ აქ საქმე გვაქვს შინაგანი რეკონსტრუქციის გზით სიტყვის ისტორიის აღ-

დგენასთან და იმავდროულად მის ეტიმოლოგიურ გააზრებასთან“ (ჩიქობავა 1997 184).

იქვე არნ. ჩიქობავა გამოთქვამს მეტად საგულისხმო აზრს:

„სიტყვის ეტიმოლოგიისთვის საჭიროა არა მარტო სიტყვის ისტორიის ცოდნა, არამედ საგნის ისტორიის ცოდნაც. რეალების ისტორიის, რის გაუთვალისწინებლად სიტყვის ისტორია ყოველთვის ვერ იქნება ჭეროვნად გაგებული“ (ჩიქობავა, 1997 185).

საგანთა ისტორია სამწუხაროდ როგორც უკვე აღვნიშნე, ყოველთვის ვერ არის ხოლმე სათანადოდ გათვალისწინებული როგორც არქეტიპის ისე სემანტების რეკონტსრუქციის დროს. ბევრი ცდის მიუხედავად ამ ნაკლს ვერც აქ წარმოდგენილი ლექსიკონები ასცდებოდნენ.

ეტიმოლოგიურ ლექსიკონში მასალის განლაგება როგორც წესი ანბანთრიგის მიხედვით ხდება და ჩვეულებრივ, თუ საქმე ეხება ფუძე-ენის ქრონოლოგიური დონის მასალას სალექსიკონო ერთეულად გამოაქვთ ძირები ან ფუძეები, ხოლო თუ ეტიმოლოგიური ლექსიკონი ცოცხალი ან ისტორიულად დადასტურებული ენისთვის კეთდება — სალექსიკონო ერთეულად სიტყვებია გამოტანილი.

სემანტიკური ტიპის შედარებითი ლექსიკონებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ლექსიკონები, რომლებიც ამა თუ იმ ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეს ასახავენ.

სემიტური ენებისთვის ასეთია პ. ფრონძაროლის (P. Fronzaroli) „გამოკვლევები საერთო სემიტური ლექსიკიდან“ („Studi sul lessico Comune Sevilico“, I-VII, 1964-1971).

ინდოევროპული ენებისთვის თ. გამყრელიძისა და ვიაჩ. ივანოვის (Вяч. Вс. Иванов) „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“ („Индоевропейский Язык и индоевропейцы“, I-II 1984), რომლის მეორე ნაწილს ეწოდება: „სემანტიკური ლექსიკონი საერთოინდო-

ევროპული ენის და ინდოევროპული პროტოკულტურის რეკონსტრუქცია“ („Семантический ловар общиндоевропейского языка и реконструкция индоевропейской протокультуры“) (ინგლისურენოვანი ვერსია: „Indo-European and the Indo-Europeans,“ 1-2, 1995).

ქართველური ენებისთვის არნ. ჩიქობავას „ქანური-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“ (1938), რომელსაც თუმცა შედარებითი ეწოდება, მაგრამ სინამდვილეში ისტორიულ-შედარებითია.

ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, საპირისპიროდ გავრცელებული მოსაზრებისა, თითქოს აკად. არნ. ჩიქობავა ამ ლექსიკონში არ მიმართავს არქეტეპთა რეკონსტრუქციას, უნდა ითქვას რომ სინამდვილეში ლექსიკონში შეტანილი თითქმის ყველა სიტყვის არქეტეპი განსაზღვრულია, თუმცა ყველა მათგანი „ვარსკვლავიანი“ ფორმების სახით არ არის გამოტანილი. არქეტეპების დადგენას აკად. არნ. ჩიქობავა ახდენს შემდეგნაირად, რაკი მისთვის „ამოსავალი“ ქართული ენაა, შესაბამისად ქართული ფორმები ემთხვევა არქეტეპს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზანური (მეგრულ-ლაზური) ფორმები ქართულთან შედარებით სრულხმოვანებას ავლენენ, ასეთ მაგალითების მიხედვით საერთო-ქართველურ არქეტეპში (resp. ქართულ ფორმაში) ხდება რედუცირებული ხმოვნის რეკონსტრუქცია და ა. შ.

რაც შეეხება ეტიმოლოგიურ ლექსიკონებს, ინდო-ევროპული ფუძე-ენისათვის არსებობს ორი კაპიტალური ლექსიკონი ერთი ი. პოკორნის (J. Pokorny) „ინდო-გერმანულის ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ („Indogermanisches Etimologisches Wörterbuch“, I-II, 1959) და სტ. ე. მანის (St. E. Mann) „ინდო-ევროპული შედარებითი ლექსიკონი“ („An Indo-European Comparative Dictionary“, 1-10, 1984-1986).

სამწუხაროდ არ მოიპოვება ეტიმოლოგიური ლექსიკონები არა თუ სემიტურ-ჰამიტური ენობრივი ოჯახისათვის, არამედ არც ცალ-

ცალკე, სემიტური და ქამიტური ენებრივი ჯგუფებისათვის. რა თქმა უნდა აქ ანგარიშში ჩასაგდები არ არის ვლადიმირ ორიოლისა და ოლგა სტოლბოვას სემიტურ-ქამიტურ (resp. აფრ-აზიურ) ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი (Hamito-Semitic Etymological Dictionary, Leiden: E. J. Brill. 1995). რომელიც ტოლს არ უდებს ს. ნიკოლაევისა და ს. სტაროსტინის ჩრდილოკავკასიურ ეტიმოლოგიურ ლექსიკონს რეკონსტრუირებულ არქეტიპთა ნებისმიერობითა და ფანტასტიკურობით (გამანადგურებელი რეცენზია ორიოლისა და სტოლბოვას ლექსიკონზე იხ, ქეიე 1997 107-113).

დრავიდული ენებისათვის თ. ბაროუსა (T. Burrow) და მ. ემენეუს (M. B. Emeneau) „დრავიდულის ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ („A dravidian Etymological Dictionary“, 1961).

თურქული (ალთაური) ფუძე-ენისათვის ე. სეკორთიანის (E. Севортян) „თურქულ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ („Этимологический словарь тюркских языков“, I-III, 1974 -).

ეტიმოლოგიური ლექსიკონები არსებობს ენობრივი ჯგუფებისათვისაც, მაგ., ქართველური ფუძე-ენისთვის გ. კლიმოვის (Г. А. Климов) „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ („Этимологический словарь картвельских языков“, 1964; ინგლისურენოვანი შეესებულებული ვერსია: „Etimological Dictionary of the Kartvelian Languages“, 1998) და ჰ. ფენრიხისა (H. Fähnrich) და ზ. სარჯველადის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“, 1990 (გერმანულენოვანი ვერსია: Etymologisches Wörterbuch der Kartwel-Sprachen, 1995), ან ინდო-ევროპული ენათა ოჯახის ინდო-ირანული ჯგუფის ენათათვის რ. ტარნერი (R.. Turner) „ინდო-ირანულ ენათა შედარებითი ლექსიკონი“ („A comparative dictionary of the Indo-Iranian Languages“, 1966), სლავური ენების ჯგუფისთვის ო ტრუბაჩოვის (O. H.

Трубачев) „სლავური ენების ეტიმოლოგიური ლექსიკონი. პრასლავური ლექსიკური ფონდი“ („Этимологический словарь славянских языков. Праславянский лексический фонд“ 1-13, 1974) და სხვ.

არსებობს ეტიმოლოგიური ლექსიკონები ე. წ. შუალედური ფუძე-ენებისათვის, მაგ., იბერიულ-კავკასიური ენობრივი ოჯახის, აფხაზურ-ადიღური ენათა ჯგუფის, ადიღური ქვეჯგუფისათვის, ეს არის ა. შაგიროვის (А. К. Шагиров) „ადიღური (ჩერქეზული) ენების ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ („Этимологический словарь адыгских (черкесских) языков“, I-II, 1977).

შექმნილია ეტიმოლოგიური ლექსიკონები ცალკეული ენებისთვისაც, რომელთაგან ჩემთვის განსაკუთრებით საყურადღებოა იმ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონები, რომელთა გაერთიანებაც ერთი ენობრივი ოჯახის შიგნით რომელიმე ჯგუფში სადავოა ან რომლის მიკუთვნებაც ამა თუ იმ ოჯახისათვის პრობლემატური. მაგ.:

ინდო-ევროპული ენებიდან ბერძნულის: ე. ბოისაკი (E. Boisacq, "Dictionnaire étymologique de la langue grecque", 1916 (2^{me} éd — 1923), ჰ. ფრისკი (H. Frisk "Griechisches etymologisches Wörterbuch:", 1954). ლათინურის: ა. ერნო და ა. მეიე (A. Ernout, A. Meillet, "Dictionnaire étymologique de la langue latine", 4^e éd, 1967), ან სომხურის ჰ. აჭარიანი („სომხური ენის ძირთა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“, I-IV, 1971-1979, სომხურ ენაზე)...

ზოგიერთი ცალკეული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი თავისი მოცულობითა და შინაარსით არა მარტო ლინგვისტური, არამედ ეთნო-კულტურული ღირებულებების შემცველია. მაგ.: ოსურის ვ. აბაევი (В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка, I-V, 1958-1995), რუსულის: მ. ფასმერი (М. Фасмер, Этимологический словарь русского языка. Перевод с немецкого и

дополнения О. Н. Трубачева, I-IV, 1964-1973) და სხვ.

იბერიულ-კავკასიურ ენათაგან, ბასკურის: მ. ლოპელმანი (M. Löpelman — "Etimologisches Wörterbuch der baskischen Sprache", I, Berlin: de Gruyter, 1968); მ. აგული და ა. ტოვარი (Diccionario etimológico vasco, Donostia — San Sebastian: Diputacion de Gipuzkoa, 1989).

ასეთი ლექსიკონებისადმი განსაკუთრებული ინტერესი გამოწვეულია უპირველეს ყოვლისა ისტორიულ-შედარებითი და შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდების პარალელური გამოყენებისა და მიღებული შედეგების ვერიფიკაციისათვის. მაგ. ძველ ბერძნულში, სადაც ინდო-ევროპული ფუძე-ენიდან ნამემკვიდრევი ლექსიკისა და საკუთრივ ბერძნული ინოვაციების გვერდით, პოვნიერია სხვადასხვა ქრონოლოგიური დონის ნასესხობები როგორც სხვა ინდო-ევროპული ენებიდან, ასევე უცხო ენობრივი ოჯახების წარმომადგენელი ენებიდან. თუ პირველი ე. ი. ინდო-ევროპულიდან ნამემკვიდრევი და ნასესხები ლექსიკის ანალიზისათვის სრულიად საკმარისია კომპარატივისტული მეთოდი, საკუთრივ ბერძნული ინოვაციებითა კვალიფიკაციისთვის მიზანშეწონილია შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდის გამოყენება. ამგვარივე სიტუაცია გვაქვს იმავე სომხურ და ლათინურ ენებთან დაკავშირებით. რაც შეეხება ბასკურ ენას, აქ ბოლო დრომდე არქეტიპთა რეკონსტრუქციის ძირითადი საშუალება სწორედ შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდი იყო დიალექტთა ჩვენებაზე დაყრდნობით. რენე ლაფონის, კარლ ბოუდას, იან ბრაუნის, შაბიერ კინტანას და სხვათა, მათ შორის ამ სტრიქონების ავტორის ძალისხმევითა შედეგად უკვე შეიძლება საერთო-ბასკურ-ქართველური დონის პრაფორმების აღდენა, რისი პირველი ცდაც წინამდებარე ნაშრომში არის მოცემული.

ცოცხალ ენათა აქ ჩამოთვლილ ეტიმოლოგიურ ლექსიკონთა ერთი ნაწილი იმდენად ისტორიულ-შედარებითი არ არის რამდენადაც ისტორიულ-ეტიმოლოგიური, ანუ მათი ინტერესის სფეროში

შემოდის არა მხოლოდ ენობრივი ოჯახის თუ ჯგუფის ფუძე-ენიდან ნამეშვიდრევი ლექსიკა, არამედ ამ ენაში პოვნიერი ნებისმიერი სიტყვა ნასესხობების ჩათვლით, იხ. ასეთი ტიპის ლექსიკონის კლასიკურ ნიმუშებად მიჩნეული ვასილ აბაევის „ოსური ენის ისტორიულ-შედარებითი ლექსიკონი“ ხუთ ტომად (ტ. I — 1958, ტ. II — 1973, ტ. III — 1979, ტ. IV — 1989, ტ. V — 1995) და მ. ფასპერის „რუსული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ ოთხ ტომად (ტ. I - 1964, ტ. II - 1967, ტ. III — 1971, ტ. IV - 1973).

როგორც ვთქვი „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლებში“ წარმოდგენილია შედარებითი ლექსიკონის ორი ტიპი **სემანტიკური** და **ეტიმოლოგიური** ორივე ამ ლექსიკონს იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ისტორიაში პრეცედენტი არ მოეპოვება და როგორც ამგვართა შექმნის პირველ ცდას არც სისრულეზე აქვს პრეტენზია და არც უნაკლობაზე.

ერთი მათგანი „იბერიულ-კავკასიური ენის სემანტიკური ლექსიკონია“ — რომელშიც თავმოყრილია საერთო-იბერიულ-კავკასიური ენის სემანტების ის ნაწილი, რომელთა მატერიალური (მასალობრივი) ჰომოგენურობა დამტკიცებულია ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მკაცრი დაცვით. სემანტიკურ ლექსიკონში არ არის მოცემული რეკონსტრუირებული არქეტიპები (პრაფორმები), ეს იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების თანამედროვე ეტაპზე არც შესაძლებელია და ლექსიკონის ტიპიდან გამომდინარე არც აუცილებელია და, მით უმეტეს, არც სავალდებულო.

მეორე, „ბასკურ-ქართველური ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ იძლევა საერთო-ბასკურ-ქართველური ქრონოლოგიური დონის არქეტიპების რეკონსტრუქციას, რაც იბერიულ-კავკასიურ ენათა ერთი, მთელი ენობრივი ჯგუფის მასშტაბით პირველად არის რეალიზებული.

მიუხედავად იმისა რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეტიმოლოგი-

ურ ლექსიკონებში ეტიმონების გამოყოფა ყოველთვის დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული და გამონაკლისი არც წინამდებარე ლექსიკონია, საერთო-ბასკურ-ქართველური რეკონსტრუქციები, ძირეულ და აფიქსალურ მორფემათა კომბინატორული მოდელების ცვალებით გამოწვეული შინაარსის ცვლილებისთვისაც ხერხდება თვალის მიდევნება.

ორივე ლექსიკონის მოცულობა იმთავითვე იქნა შეზღუდული ავტორის მიერ არჩეული პრინციპით მონოგრაფიის როგორც ანალიტიკურ ასევე სალექსიკონო ნაწილში წარმოდგენილი ყოფილიყო მხოლოდ ე. წ. გადიფერენცირებული ბგერათმესატყვისობების შემცველი მასალა.

6.1. იბერიულ-კავკასიური ენის სემანტიკური ლექსიკონი

იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახი რამდენიმე ენობრივი ჯგუფისაგან შედგებოდა, მათგან სამი წინამდებარე ნაშრომში სრული უეჭველობით არის დადგენილი: აფხაზურ-ადილური, ბასკურ-ქართველური და ნახურ-დაღესტნური.

სამივე დასახელებული ენობრივი ჯგუფი ერთმანეთთან თანაბარ სიანლოვეს ავლენს — საყოველთაოდ მიღებული აზრის საპირისპიროდ უნდა ითქვას რომ ე. წ. ჩრდილოკავკასიური ენები — ჩრდილო-დასავლური ანუ აფხაზურ-ადილური და ჩრდილო-აღმოსავლური ანუ ნახურ-დაღესტნური არ ავლენენ ერთმანეთის მიმართ მეტ სიანლოვეს ვიდრე თითოეული მათგანი სამხრეთ-კავკასიურთან ანუ ქართველურთან, ახლა უკვე ბასკურ-ქართველურთან.

აქედან გამომდინარე საერთო-იბერიულ-კავკასიური ენის ქრონოლოგიური დონის სემანტიკების რეკონსტრუქციისათვის საკმარისია ამ სემის აღმნიშვნელი და კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობების მქონე ლექსიკური ენთეულის პოზიტივობა იბერიულ-კავკასიურ ენათა სამი ჯგუფიდან ნებისმიერ ორში.

წინამდებარე ლექსიკონში შესულია ვერიფიცირებული მასალა ერთის მხრივ ბასკურ-ქართველური და ნახურ-დაღესტნურ ენათა, მეორეს მხრივ კი ბასკურ-ქართველურ და აფხაზურ-ადილურ ენათა შორის გამოვლენილი ბგერათშესატყვისობების შემცველი, რაც შეხება ნახურ-დაღესტნურ და აფხაზურ-ადილურს მათი საერთო მასალა ბგერათშესატყვისობების ვერიფიკაციის პროცესშია და აქ მისი წარმოდგენა ვერ მოესწრო.

1. ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი ლექსიკა

1.1. „დედმამიშვილი“

ს. ლალესტნ. *ცა „ძმა“ და „და“

ხუნდ. უა-ცა „ძმა“ —

და-ცა „და“

ხუნძურის დიალექტებსა და
თქმებში, შესაბამისად გვაქვს:

ჰიდურში. უა-სა — და-სა.

აულ შულანიბში ვა-წა — და-წა

(ჩიქობავა 1979: 78, 81):

ანდ. უო-ცა-ი „ძმა“ —

და-ცა-ი „და“

ახვ. უა-ცა-ი „ძმა“ —

და-ცა-ი „და“

დიდ. ე-ს-იჟუ „ძმა“ და „და“

დარგ. უძი || უცაი „ძმა“ —

რუძი || რუცაი „და“

ლაკ. უსაჟ „ძმა“ —

საჟ „და“

არჩ. უშ-თაჟ „ძმა“ —

დოშ-თაჟ „და“:

თაბ. ჩჷი || ჩჷე (< *ცჷი || *ცჷე)

„ძმა“ —

ჩი (< *ჩიჩი < *ჩიცი) „და“:

ალულ. ჩჷ (< *უჩჷ) „ძმა“ —

ს ქართვ. *ძ-ამ-ა „ძმა“

ქართ. ძ-ამა / ძმა „id“

ზან. ჯიმა || ჯჷმა „id“

სვან. ჯგმ-ილ / ჯიმ-ილ „ძმა

(დისთვის)“

ქართველურ ენათა მასა-
ლა შეაპირისპირეს გ. როზე-
მა (ქართულ-ზანური — 1845)
და ნ. მარმა (ქართულ-
სვანური — 1912).

- ჩი (<*ჩი) „და“:
 მუხად. შუ (<*შუ) „ძმა“ —
 რიში „და“:
 წახ. ჩოუ (<*ჩო-ოუ) „ძმა“ —
 ძი „და“:
 უდ. ვიჩი „ძმა“ —
 ხუნჩი „და“:
 ხინ. ცა || ცჳ „ძმა“ —
 რგცჳ „და“

დალესტნური და ქართველური ენების მასალა შეაპირისპირა და კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობა დაადგინა მ. ქურდიანმა.

1.2. „თქვენ“

- აფხ. აფხ. ს'არა „თქვენ“ ს. ქართვ. *თქვენ
 ქართ. თქვენ (<*თვენ(?)):
 ზან. თქვა(ნ) „id“.

აფხაზურ და ქართველურ ენათა მასალა შეაპირისპირა ქ. ლომთათიძემ.

1.3. „ნაშიერი“

- აფხ. ან-შაა'-რა „წული“, „ჩამომა- ს./ქართვ.*წი-ულ-ი „ნაშიერი“,
 ვალი“ (ეტიმოლოგიურად: „თავ- „შვილი“
 (წარ)მონაშობი“)
 ქართ. წ-ულ-ი „შვილი“

სვან. ჭუმ < *ჭულ-ი „ვაეი“
(მდრ. ნა-ჭულ-ამ „საწუ-
ლისი“ („ურვადი“).

აფხაზურ და ქართველურ ენათა მასალა შეაპირისპირა ქ.
ლომთათიძემ (1995).

2. სომატური ლექსიკა

2.1. „ძვალი“

დად. ხუნდ. რა-ტ'ა; ა;
ანდ. რო-ტ'აი; „id“;
ახვ. რა-ტ'აი; „id“;
კაპუჭ. ლ'აორა
(<*როლ'ა); „id“;
თაბ. დი-რ-ქა „id“;
აღ. ი-რ-ქა „id“;
უღ. უყუენ; „id“;
ხინ. ინ-კ; „id“

ს.ქართვ. *ყუ-ილ-ივ
ქართვ. ქართ. ყვლ-ივ-ი < ყულ-
ივ-ი „[მვრის] ძვალი“;
ზან. ყუილ-ი||ცუილი „ძვალი“ ||
„მკლავი“

ქართველურ ენათა მასალა
შეაპირისპირა აღ. ცაგარელმა
(1880)

ხუნძურ-ანდიურ-დიდოური და ქართველური მასალა შეაპირის-
პირა ტ. გულავამ (1954). დანარჩენ დაღესტნურ ენათა მასალა მო-
იხმომ ქურდიანმა.

2.2. „ბაყვი“ (თემოს ძვალი)

დად. ხუნდ. ტ-ან „ბაყვი“

ს.ქართვ. *ბა-ყ-უ-ი

(-ან დეტერმინანტი
სუფიქსია)

ქართ. ბაყუ-ი „მუხლის ზეი-
თი“ (ს.ს. ორბელიანი)
ზან. ბოყვ-ი „id“

2.3. „იდაყვი“

დად.

ხუნძ. რუ-ტ'ა
„იდაყვი“

ს. ქართვ. *და-ყუ-ი

ქართ. ი-და-ყვ-ი || ნი-და-
ყვ-ი:

ზან.(ლაზ.) დუ-ყუ || დუ-
რ-ყუ

< *დუ-რ-ყვ-ი „id“:

(მეგრ.) დუ-ყ-ი

< *დუ-ყ-ი

< *დუ-ყვ-ი „id“:

ქართველურ ენათა მასალა
შეაპირისპირა გ. დეეტ-
ერსმა (1927).

ს. აფხაზურ-ადილ.

*ღ° „ძვალი“

ს./აფხაზ.-ადილური

*და-ღ°

ყაბარდ.(დიალ.) ცა-

ნ-და-ღ°-გვზ

„იდაყვი“ „იდაყვი“ ||

„ნი-და-ყვი“

ადილ. ცა-ნ-ტა-ღ°

„id“

შდრ.:

აფხაზ. ა-ბა-ჟ

„ძვალი“

აბაზ. ბ-შ°-გ „id“

აფხაზურ-ადილურ და ქართველურ ენათა მასალა
შეაპირისპირა და კანონზომიერი და რეგულა-
რული ბგერათმესატყვისობები დაადგინა მ.
ქურდიანმა.

დაღესტნურ, აფხაზურ-ადიღურ და ქართველურ ენათა მასალა შეაპირისპირა და კანონზომიერი და რეგულარული ბგერათ შესატყვისობა დაადგინა მ. ქურდიანმა.

2. 4. „ხორცი“

<p>დაღ. ანდ. რიტ'ჰი; დიდ. რელ'ჰ; „id“; ლაკ. დიკ; „id“; ლეზგ. მაქ; „id“; თაბას. მიქჰ; „id“; არჩ. ატ'ჰ; „id“; უღ. მეჟ; „id“;</p> <p>აგრეთვე: ბოთლის რიტ'ჰი; „id“; ხვარშ. ლილ'ჰ; „id“; დარგ. დიგ; „id“; აღულ. მაქჰ; „id“; მუხად. მაქ. „id“; ბუღუხ. მექ; „id“; ხინ. ლაქჰა „id“.</p>	<p>ქართვ. ს.ქართვ. *ლე-ღ-ჟი-ი „ხორცი“</p> <p>ქართ. ლელ-ჟი-ი „ღელვი, „რბილობი“, *„ხორცი“; სვან. ლელ-ჟი „ხორცი“ ზან. ლულ-ი<*ლაღ-ჟი-ი „ღელვი“, „რბილობი“</p> <p>ბასკ. არაგი /aragi „ხორცი“ დადასტურებულია 1140 წ. (ტოვარი 1980 21) ამ- ჟამად haragi (ინიციალურ- რი — პროთეტული ხმოვ- ნის მაგარი შემართვის ას- ახვით).</p>
---	---

*ა-რაგ-ი

ქართველურ და ბასკურ-
ქართველურ ენათა მასალა
შეაპირისპირა მ. ქურდიანმა

დადესტნური და ბასკურ-ქართველური მასალა შეაპირისპირა და კანონზომიერი და რეგულარული ბგერათ შესატყვისობა დაადგინა მ. ქურდიანმა.

2.5. „თავი“ (|| „მწვერვალი“ || „ზედა ნაწილი“ || „სახურავი“)

ს./დალ. *ტ'	ს./ქართვ. *თხ-ამ-ი
„თავი“	„სახურავი“
ხუნდ. ბე-ტ-ერ	ხუნდ. (პიდ.)
„თავი“	ტ'-ომ სახუ-
დარგ. ბი-კ	რავი“
(ურახ.):	ანდ. ტ'-ომ
ბე-კ (ალუმ.)	„id“.:
„id“.:	დიდ. ტ'-ო
ლაკ. ბა-კ „id“.:	„id“.:
ლეზგ. ყ-ილ	ჰუნზ. ტ'-ამ-ე
(* <u>ა</u> ყ-ყ-ილ)	„id“.:
„id“.:	ლაკ. ჭ-ამ-უ
უდ. ბულ	(* <u>კ</u> -ამ-უ)
(* <u>ბ</u> უ-ყ-ულ)	„თარო“
„id“.:	ლეზგ. ყ-ტან
ხინ. მი-კ-ირ	„საჩეხი“ დერე-
(<u>ა</u> ყი-კ-ირ)	ფნის პირის საჩ-
„id“.:	რდილობელი
	„თავი“/„თხემი“
	/ „მწვერვალი“
	„ზედეთი“
	(საბა)
	ქართ. თხ-ემ-ი
	(* <u>ა</u> თხამ-ი)
	(აუ უმლაუტით
	„თხემი“,
	„მწვერვალი“
	სვან. თხ-უმ
	„თავი“ მა-
	თხ-უმ-ი
	„მეთაური“
	თხ-უმ
	(* <u>ა</u> თხ-ამ)
	(აუ ბილაბია-
	ლური მ-ს წინ)

ფიცარი (საბა), ქართველურ
გადახურვის ენათა მასალა
ტიპი. შეაპირისპირა
თაბ. კ-ან-უ მ. ჯანაშვილმა
„საწვიმარი (1895)
მილი“
მუხად. ყ-აჲ (?)
„სახურავი“

ხუნძურ-ანდიურ და ქართველურ ენათა მასალა შეაპირისპირა პ.
ფენრიხმა (1973), დანარჩენი დალესტნური ენების მასალა მოიხმო
მ. ქურდიანმა.

2.6. „თითი“

აფხ. აფხ. კ'გს' || კ'გს „თითი“
აბაზ. კ'გს „id“
(ქ. ლომთათიძის სეგმენტაციით
ა-კ'გ-ს' || კ'-გს)

ს.ქართვე. *კით-ი „თითი“
ქართ. კით-ი „თითი“ ყურძნის
ჯიში;
კინთ-ი „ბამბის საპენტავი
ჩხირი“ (< *„თითი“);
ზან. (ლაზ.) კით-ი „თითი“
სვან. კინთ „ხის ლურსმანი“
(< *„თითი“);
კინთაი „ორივე მხრივ ყუნ-
წიანი ხის როკი, რომელ-
შიაც გადის ძაფი დახვევის
დროს, ძაფსაწმენდი“
(< * „თითი“).

ამ შემთხვევაში აფხაზურში, ისევე როგორც ქართველურ ენა-
რბში, საქმე გვაქვს CVC სტრუქტურის ძირთან, რომელიც სრულად
ავლენს შესატყვისობას.

აფხაზურ-ადილურ და ქართველურ ენათა მასალა შეაპირისპირა
ქ. ლომთათიძემ (1995).

2.7. „ჭიპი“ || „ბოქვენი“

ადილ. ყაბ. ს'ახწ „ბოქვენი“, ქართვ. სვან. შღიხტუ <*შთიხტუ
„საზარდული“, „მუცლის კიპ- „ჭიპი“
სქვედა ნაწილი“
ადილ. შ'ახ „id“

ადილურ და ქართველურ ენათა მასალა შეაპირისპირა
მ. ქურდიანმა.

2.8. „ნაწლავი“ || „მყესი“ || „ძარღვი“

აფხ. ა-შახტუა „ძვლის ტვინი“	სქართვ. *წი-ელ-ი „ნაწლავი“
შღრ. ყაბ. ხ'იწ „ძარღვი“,	ქართ. წ-ელ-ი „ნაწლავი“
„მყესი“	ზან. მეგრ. ჳ-ი/ჳ-ღ
ადილ. ძწ „id“	ლაზ. ჳ-უ / მ-ჳ-უ „id“
	სვან. ჳ-ინ / ჳ-ილ „id“.

აფხაზურ-ადილურ და ქართველურ ენათა მასალა შეაპირისპირა
მ. ქურდიანმა.

3. ფაუნის აღმნიშვნელი ლექსიკა

3.0. ზოგადი

3.0.1. „მამალი რქოსანი ცხოველი“

ს. ლაღესტნ. *ტაც „ხარი“

ხუნდ. ოც „ხარი“

ანდ. უნსო „id“

ახვ. უჩა „id“

დიდ. ის „id“

დარგ. უნც „id“

ლაკ. ნიც „id“

არჩ. ანს „id“

ლეზგ. დაც „id“

თაბ. დაც „id“

აღულ. უეც „id“

მუხად. დაც „id“

წახ. დაც „id“

უდ. უს „id“

ს ქართვ. *ტაცი-ი „მამალი

რქოსანი ცხოველი“

ქართ. ვაცი-ი „მამალი თხა“

ზან. მეგრ. ოჩ-ი „id“ ||

ლაზ. ბოჩ-ი (<*ტოჩ-ი) /

ოჩ-ი „მამალი ცხვარი“

სვან. ლტჷშ (< *ლტჷჩ <*ტაჩ-ი)

„ჩიხვი“.

ქართველურ ენათა მასალა
შეაპირისპირეს ა. ცაგარელმა
(ქართულ-ზანური — 1880) და
ვ. თოფურიამ (ქართულ-სვანუ-
რი — 1940).

დაღესტნურ და ქართველურ ენათა მასალა შეაპირისპირა მ.
ქურდიანმა.

3.0.2. „ბერწი“

აფხ. ა-წ-შაა „ფური“ (ეტიმო- ს. ქართვ. *ბერ-წი-ი

ლოგიურად: „ქვე-გამომშობი“). ქართ. ბერ-წი

აბაზ. ვ-შა-რადარა „უნაყოფო“ ზან. ბურ-ჭ-ი „id“

აფხაზურ და ქართველურ ენათა მასალა შეაპირისპირა ქ. ლომთათიძემ (1995).

3.1. გარეული ფაუნის აღმნიშვნელი ლექსიკა

3.1.1. „მგელი || „დათვი“

დად. *ბა-წ-უ „მგელი“	ს. ქართვ. *და-ს თ-ჴ-ი „დათვი“	აფხ. აფხ. ა-მ-შო ა-მ-ს'ო
ხუნდ. ბა-წ „id.“:	ქართ. და-თ-ვი „id.“	„დათვი“
ანდ. ბო-წ-ო „id.“:	ზან. თუ-რ-თ-ი	შდრ. ადილ. მგ-ს'ა
ახვ. ბა-ჭ-ა „id.“:	(<*დლუ-თ-ი) „id.“:	„id“
დიდ. ბო-წ-ი „id.“:	სევან. და-შდ-ჴ	უბიხ. მგ- ს'ო-ა „id“
ღარგ. ბი-წ ბე-წ „id.“:	(<*და-შთ-ჴ) „id.“	
ლაკ. ბა'რ'-წ „id“	ქართველურ ენათა მასალა შეაპირისპირეს გ. როზენმა (ქართულ-ზანური — 1845) და ა. გრენმა (ქართულ-სევანური — 1890).	

აფხაზურ-ადილურ და ქართველურ ენათა მასალა შეაპირისპირა ქ. ლომთათიძემ (1955).

დალესტნურ, ქართველურ და აფხაზურ-ადილურ ენათა მასალა შეაპირისპირა მ. ქურდიანმა.

3.1.2. „ციყვი“

აფხაზურ-ადიღური	ქართველური	დაღესტნური
ს. ლაღესტნური	ს. ქართველური	ს. აფხაზ.-ადიდ.
*ცატ'ჲუ	*ციყჴ-ი	*ცღლ°
„კვერნა“	„ციყვი“	„თაგვი“
ხუნდ. ცატ'ჲუ	ქართ. ციყვი-ი	ყაბარდ. ძღლ°-ჲ
ციტ'ჲუ	„id“	„id“
„id“		
ანდ. სატ'ჲუ		ადიდ. ცღლ°-ა
„id“		„id“

დაღესტნურ, ქართველურ და აფხაზურ-ადიღურ ენათა მასალა შეაპირისპირეს ტ. გუდავამ და მ. ქურდიანმა.

3.2. შინაური ფაუნის აღმნიშვნელი ლექსიკა

3.2.1. „კრავი“ || „მსხვერპლი“

დად.	ხუნდ. ტ'ემერ „კრავი“	ქართვ. სვ. ღუელ (< *ღოლ
	ახვ. ტ'ემე „id“:	< *ღოლ-ი) „მსხვერპლი“
	დიდ. ლ'ელი „id“:	(< „კრავი“)
	ლაკ. ჭი(<*ჟილ) „id“:	
	არჩ. ტ'ალ „id“:	
	თაბას. ჩილ (<*ჟილ) „id“:	
	უდ. ყალ-, „id“.	

3.2.2. „ლორი“

დად.	დიდ. ბელ'ო;	ქართვ. ს./ქართვ. *ღ-ორ-ი
	ლაკ. ბურკ; „id“:	ქართ. ღორ-ი; „id“:
	ლეზგ. უაქ; „id“:	ზან. დეჭ-ი
აგრეთვე:	არჩ. ბოტ'ე; „id“:	< *ლოჯ-ი
	უდ. ბოჟ; „id“:	< *ღორ-ი „id“.
	პინუხ. ბოლ'ო; „id“:	
	ჰუნზიბ. ბულ'უ; „id“:	ქართველურ ენათა მასალა შე-
	მუხად. ვოქ; „id“:	აპირისპირა მ. ბროსემ (1849).
	ბუღუხ. ვაქ. „id“.	

3.2.3. „გოჭი“

ს. ქართვ. *თ-ელ-ი „გოჭი“	აფხ. აფხ. რ'ა-ს'გ-ს' (რ'ა-სგ-ს) <
ძვ. ქართ. თ-ელ-ი „id“:	*რ'ა-ს'გ-ს'გ (*რ'ა-სგ-სგ)
ზან.მეგრ. თ-უ'ლ'	„გოჭი“
ლაზ. თ-ილ-ა „id“	
ბასკ. სერაი / zerri	
(ტრანსკრ.: serai)	
„ლორი“	

აფხაზურ-ადილურ და ქართველურ ენათა მასალა შეაპირისპირა ქ. ლომთათიძემ (1955). ბასკურ-ქართველური შეპირისპირება იხ. ი. ბრაუნი (1998). აფხაზურ-ადილურ და ბასკურ-ქართველურ ენათა მასალა შეაპირისპირა მ. ჟურდიანმა.

4. ფლორის აღმნიშვნელი ლექსიკა

4.1. ველური ფლორის აღმნიშვნელი ლექსიკა

4.1.1. „ბალახი“ || „თივა“

ს. ლადესტნ. *სამ || *სტამ
„ჩალა“, „ნამჯა“
ხუნდ. სუნ „ჩალა“, „ნამჯა“
ახვახ. შუმა „id“
ლაკ. სუნ „id“
ლეზგ. სამ „id“
თაბ. შტამ (<*სტამ) „id“
ხინ. სამ „id“.

სქართვ. *წემ-ი „ბალახი“, „თივა“:
ქართ. წამ-ი (სიტყვაში: ღერ-
წამ-ი<*ლეღ-წემ-ი; წამ-ალი)
ზან. მეგრ. ჭემ-ი < *ჭამ-ი „ბა-
ლახი“ (სიტყვაში ლარჭემ-ი <
*ლარ-ჭამ-ი „ლერწამი“); იხ. ლაზ.
ჭამ-ი „წამალი“ / „საწამლავი“
(სიტყვაში მთხოლა-მანჭამურე ||
მთხოლა-მანჭამულე „შხამიანი
ხვლიკი“ სიტყვა-სიტყვით, „ხვლიკი
მწამვლელი“)

სვან. ჭემ < *ჭემ-ი „თივა“

ბასკ. შამარ / samar

(ტრანსკრ.: šamar)

„წველი“, „ბალახის ღერი“

შამა-ჩ / sama-ts

„გამხმარი ბალახი“

ქართველურ ენათა მასალა შეაპირი-
რისპირა გ. როგავამ (1945).

ქართველურ ენათა და ბასკურის
მონაცემები შეაპირისპირა ი. ბრა-
უნმა (1998).

დალესტნური და ბასკურ-ქართველური ენათა მასალა შეაპირის-
პირა მ. ქურდიანმა.

4.2. კულტურული ფლორის აღმნიშვნელი ლექსიკა

5. გეოგრაფიული გარემოსა და კლიმატის

აღმნიშვნელი ლექსიკა

5.1. „სიცივე“ || „ზამთარი“

დად.

ხუნდ. ტ'ინ; „id“:

ანდ. ტ'ინუ; „id“:

ჰუნ. ლ'ინნ; „id“:

დარგ. ცინი

(ურახ. დიალ) „id“:

ლაკ. კინთ; „id“:

ხინ. კინ-აჟ; „id“:

დიდ. ელ'ანუ; „id“

ჰინუხ. ელ'ანი; „id“:

ხვარშ. ელ'ანუ; „id“:

კაპუჭ. ლ'ინე; „id“

(ლეზგიური ჯგუფის მასალასთან დაკავშირებით იხ. გიგინეიშვილი 1977 111).

ს.ქართვ. *ყინ-უ-ა

ქართ. ყინ-ვა:

ზან. ყინ-ი ||

ცინ-ი „ცივი“, ო-ყინ-უ ||

ცინ-უ-ა „ყინვა“, ინუ-ვა

< *ყინუ-ვა „ზამთარი“

(ლაზ. დიალ.).

ქართველურ ენათა მასალა

შეაპირისპირეს გ. როზენმა

(1845) და მ. ბროსემ (1849).

დალესტნურ და ქართველურ ენათა მასალა შეაპირისპირეს ტ. გუდავამ (1954) და მ. ქურდიანმა.

5.2. „ყინული“

დად.	ს.ქართვ. *ყინ-ელ-ი *ყინ-ულ-ი
დარგ. მი-ც (ურახ.)	ქართ. ყინ-ელ (ძვ.)
მი-გ (წუდახ.)	ყინ-ულ (ახ.):
„id“	ზან. ყინ-ურ-ი ცინ-ერ-ი „id“.
ლაკ. მი-კ „id“	ბასკ. ლინ / lin
არჩ. მუ-ტ'-	(ტრანსკრიფცია: lin) „ყინული“
(სიტყვაში მუ-ტ'ს „მყინ-	სიტყვაში: ლინ-ათაში / lin-atasi
ვარი“ სიტყვა-სიტყვით: „ყი-	„სეტყვა“, „ყინულის ნატეხი“.
ნულ-ხორცი“, „ყინულის მასა“?	
(იხ. გიგინეიშვილი 1977 110)	ქართველურ ენათა მასალა შეა-
ლეზგ. მურ-ჭ	პირისპირეს გ. როზენმა (1845)
(ერგ. ბრ. მურ-ჭ-ჟადი)	და მ. ბროსემ (1849).
„id“:	
თაბ. მე-რ-ჭი „id“:	ქართველურ-ბასკური შეპირის-
ად. მე-რ-ჭი „სეტყვა“:	პირება იხ. ბრაუნი (1998)
მუხად. მგ-ჭ „ყინული“:	
წახ. მგ-ჭ „id“:	
ხინ. მი-კ „id“	

დადესტნურ და ქართველურ ენათა მასალა შეაპირისპირეს ტ. გუდავამ (1954) და მ. ქურდიანმა (დადესტნურ:ბასკურ-ქართველური).

5.3. „მიწა“ || „ნიადაგი“

დად.	ხუნდ. რატ'ს „მიწა“;	ს.ქართვ. *ყ-ან-ა „მიწა“
დიდ. რილ'ყუ „მიწა“;		ქართ. ყანა ძვ. ქართ. „მიწა,

მდლო, ველი“;
 ლეზგ. ნაყვ „მიწა“;
 ბულგ. ნოყ „ნიადაგი,
 თიხა“;

აგარაკი, ველი, ყანო-ბირი“; ახ.
 ქართ. „თავთავიანი კულტურე-
 ბის ან სიმინდის ნათესი“;

ზან. ყონა||ჯონა „სახნავ-სა-
 თესი მიწა ნათესი“;

ბასკ. ლან / lan „საველე
 (სამინდვრე) სამუშაოები“ იხ.
 აგრეთვე:

ლანცარ / lantzar „ყამირი“

ლანდაცე / landatze „ნათესი“

ლანდა / landa „მინდორი“,
 ღია (გაშლილი) ადგილი.

ქართველურ ენათა მასალა
 შეაპირისპირა ნ. მარმა (1909).

ქართველურ-ბასკური შეპი-
 რისპირება იხ. ბრაუნე (1998)

დალესტნურ და ქართველურ ენათა მასალა შეაპირისპირეს ტ.
 გუდავამ (1954) და მ. ქურდიანმა (დალესტნურ-ბასკურ-ქართველური).

5.4. „მინერალური წყარო“

ს. ლალესტნ. *ცა „წყარო“

ხუნდ. იცა „წყარო“

ანდ. ინცაი „id“

დარგ. შინიდ „id“

ხინ. მცა „id“

ს ქართვ. *ჟე-ძი — „მინერალუ-
 რი წყალი“, „მინერალური
 წყარო“.

ქართ. ვეძა „id“ ვეძ-ის-ი (ტოპ.)

ზან. მენჯ-ი < *ჟაჯ-ი (ტოპ.) „id“

ქართველურ ენათა მასალა
 შეაპირისპირა ტ. გუდავამ.

დაღესტნურ და ქართველურ ენათა მასალა შეაპირისპირა და კანონზომიერი და რეგულარული ბგერათმესატყვისობა დაადგინა მ. ქურდიანმა.

5.5 „ცეცხლი“ || „ნათება“

ს.ქართვ. *თ

ხუნდ. წ-ა „ცეცხლი“	ქართ. თ-ენ-ებ-ა	ქართ. ნა-თ-ებ-ა
ანდ. წ-ამ „id.“:	ზან. თ-ან-აფ-ა	ზან. ნო-თ-ე
ახვ. ჭ-არი „id.“:	„თენება“	„სხივი“ (მეგრ.)
დიდ. წ-ი „id.“:	„ნათება“	„კვარი“ (ლაზ.)
დარგ. წ-ა „id.“:	„აღდგომა“	
ლაკ. წ-უ „id.“:		ქართველურ
(ნათ. ბრ. წ-არ-ალ):	ქართველურ ენა-	ენათა მასალა
არჩ. ო-წ „id.“:	თა მასალა შეა-	შეაპირისპირა
ლეზგ. წ-ამ „id.“:	პირისპირა ი.	კ.პ. შმიდტმა
თაბ. წ-ამ „id.“:	ყიფშიძემ (1914)	(1962)
აღ. წ-ა „id.“:		
მუხად. წ-ამ „id.“:		
წახ. წ-ა „id.“:		
უდ. არ-უხ		
(<*არ-წ-უხ) „id.“:		
ხინ. ჭ-ჲ		
(<*წ-ამ (?)) „id.“:		

დაღესტნურ და ქართველურ ენათა მასალა შეაპირისპირა მ. ქურდიანმა.

5.6. „ყინვა“ || „სიცივე“

ს. ლალესტნ. *ცაორ „ზამთარი“,
 „სიცივე“
 ბოთლ. ცაიბ-ურუ „ზამთარი“
 ახვ. ცაიბ-ერა „id“
 დიდ. სები „შემოდგომა“
 ჰუნზ. სიბ-არ
 ლაკ. შაუე-თ;
 არჩ. სო-თა-იჯა:
 ლეზგ. ზულ || ჟულ || გულ:
 თაბ. ჩუულ (<*ტუულ)
 წახ. ცუშ-ულ
 ხინ. ცეკაუ || ცსეკაუ.

ს ქართვ. *ძარ- „ყინვა“, „სი-
 ცივე“
 ქართ. ზრ-ობ-ა < *ძარ-ობ-ა
 „გაყინვა“, და-ა-ზრ-ო
 „გაყინა“
 სევან. მე-ჭარ < *მე-ჭარ-ი „გაყ-
 ინული თოვლი“, „ყი-
 ნული“, ლგ-მე-ჭერ-ე || ლგ-
 მე-ჭარ-ე „გაყინული
 (თოვლი)“
 ქართველურ ენათა მასალა შე-
 აპირისპირა მ. ქურდიანმა.

ლალესტნურ და ქართველურ ენათა მასალა შეაპირისპირა მ. ქურდიანმა.

5.7. „მიწა“ || „ადგილი“

ს. ლალესტნ. *მისა „ადგილი“
 ხუნდ. მისა „ადგილი“
 ახვ. მიშა „id“
 დარგ. მუსა „id“
 თაბ. მუშუ „id“
 (სიტყვებში: მუშუა-ჰ „აქ“ =
 „ამ ადგილას“, მუშუ-ილ „იქ“

ს ქართვ. * მიწ-ა ან *მიწ-ა
 ქართ. მიწა

„იმ ადგილას“)

აღულ. მიშა-დი' „აქ“ (ეტი-
მოლოგიურად = „ამ ადგილას“).

დალესტნურ ენათა მასალა
შეაპირისპირა ბ. გიგინეიშვილმა
(1977).

დალესტნურ და ქართველურ ენათა მასალა შეაპირისპირა მ.
ქურდიანმა.

5.8. „თოვლი“

აფხ. აფხ. ა-ს'ჯ (||ა-სჯ) „თოვ-
ლი“

შდრ. ადიღ. უა-ს || უა-სჯ
„id“

ს.ქართვ. *სით-ოჷ-ა || *სით-ოჷ-ლ-ი
ქართ. თ-ოვ-ლ-ი „თოვლი“

თ-ოვ-ს

ზან. თ-ირ-ი „თოვლი“

თ-უ-ნ-ს „თოვს“

სვან. შდ-უჷ-ე < *შთ-უჷ-ე „თოვს“

ბასკ. ა-სორაი / a-zorri (ტრანსკრ.: —
a-sorai) *„წყალვა“, „წვიმების სე-
ზონი“, „აგდარი“

აფხაზურ-ადიღურ და ქართველურ ენათა მასალა შეაპირის-
პირა ქ. ლომთათიძემ (1995), ბასკურ და ქართველურ ენათა მა-
სალის შეპირისპირების შესახებ იხ. ი. ბრაუნი (1998), აფხაზურ-
ადიღური და ბასკურ-ქართველური შესატყვისობები დააკავშირა
მ. ქურდიანმა.

5.9. „რთველი“ || „შემოდგომა“

აფხ. აფხ. ა-ს^არა || აშ^არა „შემოდგომა“

ს.ქართვ. *სთჷ-ელ-ი „შემოდგომა“, „რთველი“
(<*„ჩამოკრეფა“):

ქართ. სთვ-ელ-ი || რთველი „id.“;

ზან. (ლაზ.) სთვ- „ჩამოცვენა, ჩამოწყდომა“, დო-სთ-უ-ნ „იგლიჯება“, „წყდება“.

ბასკ. *უ-სთარ-ო / uztaro (ტრანსკრ.: ustaro) „რთველი“, „მოსავლის აღება“

ამ შემთხვევაში ქართულ-აფხაზური შესატყვისობა ფუძის დონეზეა C(თ) + S(ა)

აფხაზურ-ადიღურ და ქართველურ ენათა მასალა შეაპირისპირა ქ.ლომთათიძემ (1995), ბასკურ და ქართველურ ენათა მასალის შეპირისპირების შესახებ იხ. ი.ბრაუნი (1998), აფხაზურ-ადიღური და ბასკურ-ქართველური შესატყვისობები დააკავშირა მ. ქურდიანმა.

5.10. „ცეცხლი“ || „წვა“ || ცხელი“

აფხ. შ(გ) „ცხელი“
აფხ. ა-შრა || აბაზ. შრა

ს.ქართვ. *წუჷ-ა „ცხელისაგან წვის/შეწვის პროცესი“

„დუდილი“
 აფხ. ა- შოტრა || აბაზ. შგტარა
 „სიცხე“, „ხვატი“
 შდრ. ყაბ. ხ¹იაბჷ „თბილი“,
 „სითბო“:
 ადიღ. ფაბჷ „id“.

ქართ. წჷ-ა „წვა“, „ტყვილი“
 ზან. ჭ-უ-ა „id“,
 მეგრ. ჭ-უ-ალ-ა || ლაზ. ო-ჭ-უ
 „წვა, ცხოზა“
 სვან. ლი-ჭ-ი „ცხოზა“
 ლგ-ჭ-ე „გამომცხვარი“
 ბასკ. შუ / su
 (ტრანსკრ.: šu) „ცეცხლი“

ბასკურისა და ქართველურ
 ენათა მასალა შეაპირისპირა და
 კანონზომიერი და რეგულარუ-
 ლი შესატყვისობა დაადგინა რ.
 ლაფონმა

აფხაზურ-ადიღურ და ბასკურ-ქართველურ ენათა მასალა შეაპირისპირა მ. ქურდიანმა.

ბ. ასტრონომიული და ქრონოგრაფიული ლექსიკა

ბ.1. „წინ“

ს. ჭალესტნ. *სენ ან *სან
 „გუშინ“, „გასულს“ <
 „წინ“
 ხუნძ. სონ „გუშინ“
 ანდ. სონ „გუშინ“
 ახვ. შუნი „id“
 არჩ. სან-ლი „id“

ს. ქართვ. *წინ ან *წინ
 ქართ. წინ, წინათ „იმ რაც
 დროში ან სივრცეში
 აღრეა, უსწრებს, გასულია“
 (გუშინ-წინ, შარშან-წინ, ამას
 წინათ, წინა-დღეს და ა. შ.
 ჩემწინ, ცხვირწინ და ა. შ.)

ლეზგ. სენ „id“ (სიტყვაში სენ-
 ფიზ „გასულ ღამეს“)

თაბ. სან „გასულ ღამეს“

წახ. სან-გხ^ა „გუშინ საღამოს“
 (წუხელ)

ხინ. სან „გუშინ ღამ“, „ღამე“

დალესტნურ და ქართველურ ენათა მასალა შუაპირისპირა მ.
 ქურდიანმა.

6.2. „მთვარე“ || „თვე“

ს. ქართვ. *ღუ-სით-ე
 „მთვარე“ „თვე“

აფხ. აფხ. ას^ა-ხ^ა „ორშაბათი“
 (ეტიმ. „მთვარის დღე“)

ძვ. ქართ. თ-თ-ჴე <*ღ-თ-ჴე:
 „თვე, მთვარე“:

ზან. თუ-თ-ა „მთვარე, თვე“:
 თუ-თ-აშხა „ორშაბათი“
 (სიტყვასიტყვით: „მთვარის
 დღე“):

სვან. დო-შღ-ულ „მთვარე,
 თვე“: დე-შღ-იშ „ორშა-
 ბათი“ (სიტყვასიტყვით:
 „მთვარისა“).

აფხაზურ-ადიღურ და ქართველურ ენათა მასალა შუაპირისპირა
 ქ. ლომთათიძემ (1955).

7. მატერიალური კულტურის აღმნიშვნელი ლექსიკა

7.1. „უღელი“

Zur Erschließung der Lautentsprechungen zwischen zwei oder mehreren Gruppen einer Sprachfamilie ist es obligatorisch, dass ausschließlich jener Teil der Basislexik verglichen wird, dessen gesetz- und regelmäßige Lautentsprechungen innerhalb dieser Gruppen bereits nachgewiesen sind. Zur Verleihung des hohen Beweiskraftes den bereits erschlossenen Entsprechungen ist es allerdings nötig, den differenzierten Entsprechungen und ihren Kombinationen gegenüber den bloß „identischen“ Entsprechungen Vorzug zu geben, denn ihre eindeutige Interpretation und Abgrenzung von den Entlehnungen sowie die Festlegung ihrer Differenzierungschronologie scheint unmöglich zu sein. Jedes zweifelhafte Beispiel solcher Art sollte beim Nachweis der Sprachverwandtschaft vermieden werden.

Das ist beim Vergleich derjenigen Sprachen besonders wichtig, deren Verwandtschaft mittels der historisch-vergleichenden Methode zum ersten Mal nachgewiesen wird, was bei den iberisch-kaukasischen Sprachen durchaus der Fall ist.

3. In der vorliegenden Arbeit sind die gesetz- und regelmäßigen Entsprechungen in allen drei Gruppen der iberisch-kaukasischen Sprachen erschlossen. Diese Gruppen sind:

1. abchasisch-adygeische;
2. baskisch- kartwelische;

3. nachisch-dagestanische.

Das in der Arbeit angeführte Material teilt nicht die traditionelle Einteilung der iberisch-kaukasischen Sprachen in südkaukasische (kartwelische) und nordkaukasische (abchasisch-adygeische und nachisch-dagestanische) Sprachen. Diese zwei Sprachgruppen, die geographisch als nordkaukasisch zu betrachten sind, weisen in linguistischer Hinsicht keinesfalls mehr Ähnlichkeit mit einander auf als jede einzelne mit der südkaukasischen Gruppe.


Für den Vergleich wurde jeweils eine Untergruppe der drei Gruppen der iberisch-kaukasischen Sprachfamilie genommen (jede dieser Gruppen besteht aus zwei Untergruppen): von den abchasisch-adygeischen Sprachen — das Abchasische, von den baskisch-kartwelischen Sprachen — das Kartwelische und von den nachisch-dagestanischen Sprachen — das Dagestanische. Mittels der strengen Anwendung von historisch-vergleichender Methode sind zwischen ihnen die gesetz- und regelmäßigen Lautentsprechungen festgestellt, (das nur aus identischen Entsprechungen bestehende Material wird ausgeschlossen) die Verifikation dieser Entsprechungen ist jedoch unter Berücksichtigung des Materials der ganzen Gruppe durchgeführt worden, indem die Gruppen mit einander verglichen wurden.

Zur Festlegung der Lautentsprechungen und zur Einhaltung der Korrektheit beim Vergleich der Wörter und der Formen ist die richtige Segmentierung der zu vergleichenden Wörter notwendig. Unter diesem Gesichtspunkt sind die Struktur der Stämme des Dagestanischen, des Apchasisch-Adygeischen und des Baskisch-Kartwelischen, sowie die stammbildenden Modelle (kanonische Kombinationen der Grund- und affixalen Morpheme) im Lichte der von M. Kurdiani formulierten morphematischen Theorie des sprachlichen Zeichens analysiert.

In dieser Arbeit sind alle drei Stufen der Verifikation von erzielten Ergebnissen (erschlossener Lautentsprechungen) verwendet: Verifikation mit Material, Verifikation auf Anforderungen des Systems und Verifikation mit Typologie.

4.1. Der Nachweis der kartwelischen und dagestanischen

Lautensprechungen in der Reihe der Laterale basiert auf den von Prof. Togo Gudava und Prof. M. Kurdiani erschlossenen phonologischen Gesetzmäßigkeiten:



Außer ihrem gesetz- und regelmäßigen Charakter spricht für die Zweifellosigkeit dieser Entsprechungen auch ihr streng systemhafter Charakter: entsprechend dem intensiven glottalen Lateralaffrikat der hunzibisch-andischen Sprachen zeigen kartwelische und lesgische (sowie dargwische) Sprachen zwei Reflexe. Bei der Verifikation werden die kartwelischen Sprachen vom Baskischen und Abchasisch-Adygeischen unterstützt.

4.2. Unter Berücksichtigung der Arbeit von Prof. Heinz Fähnrich (1973) wird von M. Kurdiani in seiner Arbeit auch die Entsprechung des gesamt dagestanischen intensiven nichtglottalen Lateralaffrikats und seiner gesetz- und regelmäßigen Reflexe in dagestanischen Sprachen auch in kartwelischen Sprachen nachgewiesen.

gesamt dagestanisch	gesamtkartwelisch
*tʰ	*tɰ


5. In der Arbeit sind außerdem kartwelisch-dagestanische gesetz- und regelmäßige Lautentsprechungen in der Reihe der Sibilantaffrikaten nachgewiesen:

gesamtkartwelisch	gesamt dagestanisch
*ʒ *ʒɪ	*ʒə
*c *cɪ	*c
*ç *çɪ	*s


6. In der Arbeit werden darüber hinaus von M. Kurdiani auch dagestanisch-kartwelische Entsprechungen in der Reihe der dentalen Verschlusslaute festgelegt.

gesamt dagestanisch	gesamtkartwelisch				
*ç	*t				
	<table style="border: none; vertical-align: middle;"> <tr> <td style="font-size: 3em; vertical-align: middle;">{</td> <td style="padding-left: 0.5em;">*sɪt</td> </tr> <tr> <td style="font-size: 3em; vertical-align: middle;">}</td> <td style="padding-left: 0.5em;">*st</td> </tr> </table>	{	*sɪt	}	*st
{	*sɪt				
}	*st				


7.1. In der Arbeit sind kartwelische und abchasische Lautsprechungen sowohl in der Reihe der dentalen Verschlusslaute, als auch in der der Sibilantaffrikate auf der Grundlage der von K. Lomtadse erschlossenen Gesetzmäßigkeiten festgestellt worden. In der Reihe der dentalen Verschlusslaute wurden von K. Lomtadse folgende gesetz- und regelmäßige Entsprechungen nachgewiesen:



7.2. In der Reihe der Sibilantaffrikaten hat K. Lomtadse folgende gesetz- und regelmäßige Entsprechungen nachgewiesen:



Die Berücksichtigung des von M. Kurdiani zusätzlich erworbenen Materials betreffend der Sibilantaffrikate bietet die Möglichkeit es mit absoluter Sicherheit auf der Ebene der Sprachgruppen zu postulieren, was Akad. K. Lomtadse auch vermutet hat.



Diese Entsprechungen werden auch durch die Verifikation mit dem Material des Baskischen unterstützt.

8. In der vorliegenden Arbeit sind von M. Kurdiani kartwelische und abchasisch-adygeische Entsprechungen in der Reihe der Laterale nachgewiesen.

gesamtkartwelisch	abchasisch
*qʷ	*ɣ°
georg. qv	adyg. ɣ°
san. 'v / qv	abchas. ω°
swan. qv	abas. ω°

Die Zweifellosigkeit dieser Entsprechungen wird durch die Verifikation mit dem Material der dagestanischen Sprache unterstützt.

9. 1948 hat Prof. Rene Lafon nachgewiesen, dass den kartwelischen infraglottalen Affrikaten (sowohl den stimmhaften als auch den stimmlosen) die baskischen stimmlosen Sibilantaffrikaten (und von ihnen abgeleitete Spiranten) entsprechen, während den kartwelischen supraglottalen Affrikaten die stimmlosen halbzischenden Affrikaten (und von ihnen abgeleitete Spiranten) entsprechen:

gesamtkartwelisch	baskisch
*ʒ *ʒʰ	c / s
*c *cʰ	c / s
*ç *çʰ	č / š

In der Arbeit angestellte Untersuchungen haben mit Hilfe des Zusatzmaterials diese Vermutung eindeutig bestätigt.

10. Dank Prof. Jan Braun wurden Beispiele der gesetz- und regelmäßigen Entsprechungen auch in anderen Konsonantreihen erschlossen (das von M. Kurdiani herausgefundene Zusatzmaterial hat den gesetz- und regelmäßigen Charakter dieser Lautentsprechungen offenbart oder bekräftigt):

gesamtkartwelisch	baskisch
*s *s ₁	s
*t *st ₁	s š (M. Kurdiani)
*ç *ç ₁	č / š
*q	h
*q̄	l
*γ	h / g


11. Prof. Jan Braun und Akad. Sch. Kintana haben den gesetz- und regelmäßigen Charakter folgender Entsprechung erschlossen:

gesamtkartwelisch	baskisch
*r ₃ / *ʒ	rd / d
*r ₃ ₁ / *ʒ ₁	
*r _{3̃} / *ʒ̃	


In dieser Reihe der Entsprechungen hat M. Kurdiani neue Materialien erworben und auf Grund ihrer Interpretation die Existenz des stimmhaften Lateralaffrikats bzw. seiner stimmlosen Korrelate auf der Ebene der gesamtbaskisch-kartwelischen Ursprache angenommen.

12. Die Arbeit hat die Auffassung von Prof. Jan Braun bestätigt, dass es in der gesamtbaskisch-kartwelischen Ursprache nur eine Zischreihe der Sibilanten zu vermuten sei:

baskisch gesamtbaskisch-kartwelisch gesamtkartwelisch georgisch




13. In der Arbeit ist die Stelle des Baskischen in der iberisch-kaukasischen Sprachfamilie und zwar, in der baskisch-kartwelischen Gruppe geklärt. Das Differenzierungsschema der baskisch-kartwelischen Gesamtheit stellt man folgenderweise vor:



14. Basierend auf den Lautentsprechungen ist das mutmaßliche Konsonantensystem der gesamt-baskisch-kartwelischen Sprache rekonstruiert und seine Transformation im Baskischen und Kartwelischen gezeigt.

15. In der Arbeit ist die gegenseitige Verifikation der gesetz- und regelmäßigen Entsprechungen der kartwelisch-dagestanischen, kartwelisch-abchasischen und kartwelisch-baskischen Sprachen in etlichen Konsonantenreihen, wo diese Entsprechungen nur vorhanden sind, durchgeführt worden.

16.1. Gegenseitige Verifikation der kartwelisch-baskischen und kartwelisch-dagestanischen Lautentsprechungen in der Reihe der Lateralen:



16.2. In der Reihe der Lateralen ist die Verifikation der gesamt-abchasisch-adygeischen, gesamt-baskisch-kartwelischen und gesamt-dagestanischen Lautentsprechungen mit absoluter Genauigkeit möglich:

gesamt-abchasisch-adygeisch	gesamt-kartwelisch	baskisch	gesamt-dagestanisch
*γ ^o	*qw	*l	*t' ^h

17. Gegenseitige Verifikation der kartwelisch-baskischen und kartwelisch-dagestanischen Lautentsprechungen in der Reihe der Sibilanten:

gesamt- dagestanisch	gesamtbaskisch- kartwelisch	baskisch	gesamtkartwelisch
*s	*ç	š	*ç *ç ₁


18. Gegenseitige Verifikation der abchasisch-kartwelischen und baskisch-kartwelischen Lautentsprechungen in der Reihe der dentalen Verschlusslaute:

abchasisch	gesamtbaskisch- kartwelisch	baskisch	gesamtkartwelisch
s' s'°	*t / *st	s	$ \begin{array}{c} *st \\ \swarrow \quad \searrow \\ *t \quad \quad *st \\ \parallel \\ *tw \quad \quad *st \\ \swarrow \quad \searrow \\ *st \quad \quad *st \\ \quad \quad \quad \searrow \\ \quad \quad \quad *st \\ \quad \quad \quad \swarrow \\ \quad \quad \quad *st \end{array} $

19. Gegenseitige Verifikation der abchasisch-kartwelischen und baskisch-kartwelischen Lautentsprechungen in der Reihe der Sibilanten:

abchasisch-adygeisch	baskisch-kartwelisch														
<table style="border-collapse: collapse;"> <tr> <td style="padding-right: 10px;">abchas.</td> <td style="padding-right: 10px;">š°</td> <td rowspan="3" style="font-size: 3em; vertical-align: middle;">}</td> </tr> <tr> <td>Kab.</td> <td>x°</td> </tr> <tr> <td>adyg.</td> <td>ç</td> </tr> </table>	abchas.	š°	}	Kab.	x°	adyg.	ç	<table style="border-collapse: collapse;"> <tr> <td rowspan="3" style="font-size: 3em; vertical-align: middle;">{</td> <td style="padding-right: 10px;">bask.</td> <td style="padding-left: 10px;">*š</td> </tr> <tr> <td style="padding-right: 10px;">gemein- kartw.</td> <td style="padding-left: 10px;">*ç</td> </tr> <tr> <td></td> <td style="padding-left: 10px;">*ç₁</td> </tr> </table>	{	bask.	*š	gemein- kartw.	*ç		*ç ₁
abchas.	š°	}													
Kab.	x°														
adyg.	ç														
{	bask.	*š													
	gemein- kartw.	*ç													
		*ç ₁													

20. In der Arbeit ist die gesamtiberisch-kaukasische Entsprechung in der Reihe der Sibilanten nachgewiesen:



21. Es sind außerdem Lautentsprechungen in der Lateralenreihe in allen drei Sprachgruppen der iberisch-kaukasischen Sprachfamilie erschlossen und verifiziert worden:

g./ abch.- adyg.
*γ^o

g./ bask.- kartw.
*[lat.]


g./dag.
*ʃ̣^o

adyg. γ ^o } abch. ω ^o }	{ bask. l kartw. q qw }	{ avar. ʃ̣ ^o did. ḷ ^o lesg. q }
--	----------------------------------	---

22. In der Arbeit ist außerdem die Verifikation der iberisch-kaukasischen Lautentsprechungen nach der Zahl der in die Kombination

der Grund- und affixalen Morpheme eingehenden Elemente durchgeführt worden.

23. In der Arbeit ist ein Kriterium der Bestimmung der Richtung von lexikalischen Entlehnungen auf der chronologischen Ebene der Grundsprachen erarbeitet worden. Als solches wird die Rekonstruierbarkeit einer lexikalischen Einheit auf der chronologischen Ebene jener Ursprache angesehen, die allen synchronisch mitexistierenden Ursprachen vorausging.



24. In der Arbeit wird nachgewiesen, dass es für die Rekonstruktion eines Wortes (einer Form, einer Semantik) auf der chronologischen Ebene

der gesamtiberisch-kaukasischen Sprache sein Vorhandensein als einer gesetz- und regelmäßigen Lautentsprechung in jeweils zwei von drei sprachlichen Untergruppen als ausreichend angesehen werden kann.

25. In der Arbeit wird versucht, ein Muster des semantischen Wörterbuches der iberisch-kaukasischen Sprache und des etymologischen Wörterbuches der baskisch-kartwelischen Sprache zu erarbeiten.

26. Die Verwandtschaft der iberisch-kaukasischen Sprachen wird in der vorliegenden Monographie durch strenge Anwendung der historisch-vergleichenden Methode und durch Berücksichtigung aller möglichen Mechanismen begründet.

ბოლო სიტყვა

წინამდებარე მონოგრაფიას „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები“ დავარქვი, რასაც უფრო სერიოზული არგუმენტი სჭირდება, ვიდრე ტრადიციისადმი ერთგულება.

იბერიულ-კავკასიური ენებისა და მათი შემსწავლელი დისციპლინის აღსანიშნავად არაერთი ტერმინია სამეცნიერო მიმოქცევაში:

1. „კავკასიური ენები“ || „კავკასიური ენათმეცნიერება“

ერთი შეხედვით ეს ყველაზე ბუნებრივი და მარჯვე ტერმინი ჩანს და ამიტომ უცხოელი მკვლევრები სწორედ მას ანიჭებენ უპირატესობას: ადოლფ დირი „შესავალი კავკასიურ ენათა შესწავლაში“ (ლაიპციგი, 1928); კარლ ბოუდა „შესავალი კავკასიურ ენათმეცნიერებაში“ (სალამანკა, 1960); გეორგი კლიმოვი „შესავალი კავკასიურ ენათმეცნიერებაში“ (მოსკოვი, 1986) და სხვ.

მაგრამ ამ ტერმინს ერთი ანგარიშგასაწევი უხერხულობა ახლდა, რაც ასე დაახასიათა აკად. არნ. ჩიქობავამ:

„კავკასიური ენები“ ყველაზე გავრცელებული ტერმინი იყო და ახლაც ხშირად ხმარობენ. სათანადო ენები ამჟამად თითქმის მხოლოდ კავკასიაში იხმარება; ეს საკმაო საფუძველს შექმნიდა იმისათვის, რომ ტერმინი „კავკასიური ენები“ მიგვეჩნია შესაფერის ტერმინად, — ერთი გარემოება რომ არა: კავკასიაში სხვა ენებიც

არის გავრცელებული (ინდო-ევროპული: სომხური, ოსური, თალიშური, ქურთული; თურქული: აზერბაიჯანული, ყუმიკური, ბალყარულ-ყარაჩაული...). „კავკასიური ენების გამიჯვნა „კავკასიის“ ენებისაგან ძნელდება, გარჩევა კი საჭირო არის“ (ჩიქობავა 1979 23).

ამ უხერხულობას ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გრძნობდა რიხარდ ერკერთი, რომელმაც ყოველგვარი ორაზროვნებისა და გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით თავისი წიგნი ასე დაასათაურა „კავკასიური ძირის ენები“ (ვენა, 1895).

კარგი მიგნებაა, მაგრამ ტერმინად მისი გამოყენება შეუძლებელია, მით უმეტეს — ამ ენათა შემსწავლელი დისციპლინის აღსანიშნავად.

მას შემდეგ რაც ერთმნიშვნელოვნად დამტკიცდა ქართველური და ბასკური ენების ნათესაობა და კუთვნილება კავკასიურ ენათა ოჯახის ერთი და იმავე ჯგუფისადმი, კავკასიური ენების გეოგრაფია გაფართოვდა და ახლა მისი დახასიათება ამ რეგიონალური ტერმინით სიზუსტეს ამ მხრივაც იქნება მოკლებული, რაც, ზემოხსენებულთან ერთად, ანგარიშგასაწევი ახალი არგუმენტია ტერმინ „კავკასიური ენების“ გამოყენებისათვის თავის არიდების სასარგებლოდ.

2. „პალეო-კავკასიური ენები“ || „პალეო-კავკასიური ენათმეცნიერება“

ამ ტერმინის გაჩენის მიზეზი ტერმინ „კავკასიური ენების“ თანდაყოლილი ორაზროვნებისათვის თავის არიდება იყო, ხოლო ავტორი — კარლ ულენბეკი.

არნოლდ ჩიქობავა ასეთ შეფასებას აძლევს მას:

„ტერმინი „პალეო-კავკასიური“ გულისხმობს, რომ სათანადო ენები კავკასიის სხვა ენებთან (ინდო-ევროპულ და თურქულ ენებთან) შედარებით უფრო ძველია კავკასიის მიწაწყალზე; თუ ასე გავიგებთ, „პალეო-კავკასიური“ მართებული ტერმინია. მაგრამ თუ მას გავიგებთ, როგორც კავკასიის **ენდოგენური** მოსახლეობის ენებს, ზუსტი არ იქნებოდა: „ძველი კავკასიური“ კიდევ არ ნიშნავს „კავკასიაში წარმოქმნილს“ (ჩიქობავა 1979 24).

არნოლდ ჩიქობავას ეს არგუმენტი ტერმინ „პალეო-კავკასიურის“ წინააღმდეგ ეფუძნება გარკვეულ თვალსაზრისს კავკასიურ ენებზე მეტყველი ტომების მიგრაციის შესახებ სამხრეთიდან დღევანდელი კავკასიის ტერიტორიაზე. ეს თვალსაზრისი იმთავითვე უფრო მეტად პიროვნული ავტორიტეტებით (ილია ჭავჭავაძე, ივანე ჭავჭავიძე...) იყო გამაგრებული, ვიდრე მეცნიერულად სანდო ფაქტებით. დღეს კავკასიელთა ავტოქტონობა უკვე ეჭვგარეშეა (ო. ჭავჭავიძე) და მათი ექსპანსიის მიმართულებაც კავკასიიდან სამხრეთისკენ ივარაუდება და არა — პირიქით.

მაგრამ ეს ვერ უშველის ტერმინს, მით უმეტეს, რომ სინტაგმაში „პალეო-კავკასიური ენათმეცნიერება“ ის საერთოდ არაადეკვატურად აღიქმება.

3. „იაფეტური ენები“ || „იაფეტური ენათმეცნიერება“

|| „იაფეტიდოლოგია“

ეს ტერმინი, რომლის დანერგვა აკად. ნიკო მარის სახელს უკავშირდება, ყველაზე არაერთაზროვანი და გამოუსადეგარია კავკასიურ ენათა აღსანიშნავად ოდესმე გამოყენებულ ტერმინთა შორის:

ჯერ ერთი — ტერმინით „იაფეტური ენები“ XVII-XVIII საუკუნეებ-

ში აღინიშნებოდა ინდო-ევროპული (resp. ინდო-გერმანული) ენები — ასე უწოდებდა მათ გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცი (1646-1716).

მეორე — ნიკო მარმა ტერმინი იაფეტური გამოიყენა იმიტომ, რომ დარწმუნებული იყო ენათა ნოეტური ოჯახის არსებობაში, რომელშიც სემიტურ და ქამიტურ ენებთან ერთად იაფეტური (ამ შემთხვევაში — ქართველური) ენებიც შედიოდა.

ამ მიზნით აიღო მან, ნოეს შვილების — სემისა და ქამის — სახელების ანალოგიით, რომლებიც უკვე იყო გამოყენებული ლინგვისტიკაში სემიტურ-ქამიტური ოჯახის აღსანიშნავად, ქართველური ენებისთვის ნოეს მესამე შვილის — იაფეტის, ხოლო მთელი მაკრო — ოჯახისთვის — თავად ნოეს სახელები.

მაგრამ ნიკო მარის ეს თეორია სემიტური და ქართველური ენების ნათესაობის შესახებ არ გამართლდა და, შესაბამისად, ტერმინ „იაფეტურის“ გამოყენებამაც ყოველგვარი აზრი დაკარგა. ამავ მიზეზით ვერ მოიკიდა ფეხი ტერმინმა „იაფეტური“ ინდო-ევროპულ ენათა აღსანიშნავად.

მესამე — ტერმინს „იაფეტური ენები“ და „იაფეტური ენათმეცნიერება“ ნიკო მარი თავადვე სხვადასხვა მნიშვნელობით იყენებდა თავისი მოღვაწეობის სხვადასხვა ეტაპზე.

პირველი ეტაპის (1908-1928) საფეხურებზე:

1908-1915 წწ. ეს ტერმინი მოიცავდა მხოლოდ ქართველურ ენებს, რომელთა ნათესაობა სემიტურ-ქამიტურთან უდავოდ იყო მიჩნეული (და კიდევ — 1910 წლიდან ე. წ. „ენათა ამოუცნობ ჯგუფს“, რომელშიც, უპირველეს ყოვლისა, ელამური იგულისხმებოდა).

1915-1920 წწ. ეს ტერმინი ქართველურთან ერთად მოიცავდა ჩრდილო-კავკასიელ ავტოქტონთა ენებსაც.

1920-1923 წწ. ეს ტერმინი ქართველურ და ჩრდილო-კავკასიელ ავტოქტონთა ენებთან ერთად მოიცავდა ბასკურს, ე.წ. მედიტერანულ ენებსა და ახლო აღმოსავლეთის ყველა არასემიტურ თუ არაინდოევროპულ ენას (ამ უკანასკნელთა შესახებ ის გაკვირით ჯერ კიდევ 1910 წელს ლაპარაკობდა).

მეორე ეტაპზე:

1923-1934 წწ. ეს ტერმინი აღარ წარმოადგენს გენეალოგიური კლასიფიკაციის ცნებას და ხდება ტიპოლოგიური კლასიფიკაციის ცნება — ამ ტერმინში იგულისხმება ენათა გარკვეული სისტემა (resp. მორფოლოგიური ტიპი), რომელიც შეესატყვისება ენათა განვითარების გარკვეულ სტადიას (resp. საფეხურს).

არნ. ჩიქობავა სამართლიანად შენიშნავს:

„ამრიგად, ცნებას „იაფეტური ენები“ განსხვავებული, ზოგჯერ სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. ეს გარემოება აძნელებს ხსენებული ტერმინის გამოყენებას“ (ჩიქობავა 1979 24).

4. „ქართულ-შარომატული ენები“ || „ქართულ-შარომატული ენათმეცნიერება“

ეს ტერმინი 1937 წელს შექმნა ივანე ჯავახიშვილმა თავის კაპიტალურ, 754 - გვერდიან მონოგრაფიაში „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ (თბილისი, 1937).

ქართული აქ ქართველურს გულისხმობს, შარომატული (resp. სარმატული) კი — ჩრდილო-კავკასიურს.

ივანე ჯავახიშვილის მოწაფეთა და მიმდევართა მრავალრიცხოვ-

ნების მიუხედავად, ტერმინმა ფეხი ვერ მოიკიდა, რისი ერთ-ერთი მიზეზი ალბათ ტერმინ „სარმატის“ ირანულენოვანი, ე.ი. ინდო-ევროპული სამყაროსადმი ალბათობის მაღალი ხარისხით კუთვნილებაც უნდა ყოფილიყო.

5. „ეუსკარო-კავკასიური ენები“ || „ეუსკარო-კავკასიური ენათმეცნიერება“

ამ ტერმინს იყენებდნენ ჟ. დიუმეზილი, რ. ლაფონი, კ. ულენბეკი, კ. ბოულა... ის არნოლდ ჩიქობავასთანაც კი გვხვდება (ბასკურ-კავკასიურის პარალელურად) (ჩიქობავა 1976 108).

მას შემდეგ, რაც ქართველურ ენებთან ერთად, დამტკიცდა ბასკურის კუთვნილება კავკასიური ენების ბასკურ-ქართველური ჯგუფისადმი, მისი ცალკე გამოყოფა და დაპირისპირება კავკასიური ენებისათვის, რომელთა შორის ერთად მოიაზრებიან ჩრდილოკავკასიური (აფხაზურ-ადიღური და ნახურ-დაღესტნური) და სამხრეთ-კავკასიური (ქართველური) ენები, აღარც ადეკვატურია და აღარც კორექტული. ბასკურისათვის ადგილი ქართველურ ენათა გვერდით არის მისაჩენი.

6. „იბერიულ-კავკასიური ენები“ || „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“

ეს ტერმინი, რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, ორჯერ იქნა მეტ-ნაკლებად განსხვავებული შინაარსითა და სხვადასხვა გზით შემოტანილი ენათმეცნიერებაში.

პირველად ტერმინი „იბერიულ-კავკასიური ენები“ 1934 წელს იოზეფ კარსტის მიერ იქნა გამოყენებული ლაიფციგში გამოცემულ

წიგნში: „იბერიულ-კავკასიური ენების შედარებითი გრამატიკის საფუძვლები“ (ლაიფციგი, 1934).

ამ ვერსიაში „იბერიული“ გულისხმობდა პირინეის ნახევარკუნძულის ენებს — იბერიულსა და ბასკურს, ხოლო „კავკასიური“ — კავკასიის ავტოქტონთა ენებს: აფხაზურ-ადიღურს, ქართველურსა და ნახურ-დაღესტნურს.

რაკი ბასკური და ქართველური (resp. კავკასიური) ენების ნათესაობა მაშინ ჯერ კიდევ არ იყო დასაბუთებული (საკუთრივ იბერიულისა და ბასკურის ნათესაობა ღღემდე არ არის დამტკიცებული) და, მით უმეტეს, დაუდგენელი იყო ბასკურისა და ქართველურის კუთვნილების ფაქტი ერთი ენობრივი ჯგუფისადმი, არნ. ჩიქობავა წერდა:

„ამ შემთხვევაში იბერიულ-კავკასიური ძველისძველი ჰიპოთეზური ენობრივი წრის „მაკროსამყაროს“ გულისხმობს.

„იბერიულ-კავკასიური ენები“, როგორც რეალური „მიკროწრე“ ამჟამად არსებული ენებისა და ჰიპოთეზური ენების „მაკროსამყაროს“ არსებობას არ გამოორიცხავს“ (ჩიქობავა 1979 25).

ამჟამად ბასკური უკვე კავკასიურ ენათა რეალური „მიკროწრის“ სრულუფლებიანი წევრია.

მეორედ ტერმინი „იბერიულ-კავკასიური ენები“ 1945 წელს იქნა გამოყენებული არნოლდ ჩიქობავას მიერ მოხსენებაში: „ერთი ძველი საერთო იბერიულ-კავკასიური ფუძის შესახებ მევენახეობის ტერმინში“ (მოხსენების თეზისები. — ენის ინსტიტუტის მე-2 სამეცნიერო სესია 1945 წლის 27 და 28 ნოემბერს. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა 8-9).

თუმცა თავად არნოლდ ჩიქობავას მიხედვით:

„ტერმინი „იბერიულ-კავკასიური ენები“ შემოღებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ 1946 წელს“ (ჩიქობავა 1979 23).

სადისკუსიო სტატიაში ის კიდევ ერთ, განსხვავებულ თარიღს ასახელებს:

„განმარტებას საჭიროებს თვით ტერმინი „იბერიულ-კავკასიური ენები“. ლამის 1948 წლამდე ჩვენ ვხმარობდით ტერმინს „კავკასიური ენები“ (ჩიქობავა 1955 76).

ამ ვერსიაში „იბერიული“ გულისხმობდა სამხრეთ-კავკასიურ ანუ ქართველურ ენათა ჯგუფს, ხოლო „კავკასიური“ — ჩრდილო-კავკასიურ ანუ აფხაზურ-ადიღურ და ნახურ-დაღესტნურ ენათა ჯგუფებს.

მიუხედავად ზოგიერთი წინააღმდეგობისა (მაგ. კაკაბაძე 1955 69), ეს ტერმინი ჩიქობავასეული ინტერპრეტაციით დამკვიდრდა და არა მარტო ქართულ ენათმეცნიერებაში:

1946 წლიდან გამოდის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ორგანო: „**იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება**“ (1998 წლისთვის გამოცემულია 33 ტომი).

1974 წლიდან გამოდის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო ორგანო: „**იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელაწდელი**“ (1998 წლისთვის გამოცემულია 21 ტომი).

1967 წელს სსრ ხალხთა ენები-ს ზეთტომეულის მეოთხე ტომი გამოიცა სახელწოდებით „**იბერიულ-კავკასიური ენები**“ (მოსკოვი „ნაუკა“ 712).

1965 წელს გამოვიდა არნ. ჩიქობავას საუნევერსიტეტო სახელმძღვანელო — „**იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია**“ (თბილისი „განათლება“ XV + 412).

1979 წელს არნ. ჩიქობავას კიდევ ერთი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო გამოიცა — „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“ (თბილისი თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 324) და ა.შ. და ა. შ.

ტერმინისადმი „იბერიული“ ჩემი დამოკიდებულება სათანადო ადგილას, სადაც მსჯელობა ეხებოდა ბასკურ-ქართველური ჯგუფისათვის სახელის შერჩევას, ვფიქრობ, ცალსახად და არგუმენტირებულად წარმოვაჩინე.

რაც შეეხება კავკასიელ ავტოქტონთა ენობრივი ოჯახის სახელწოდებას, აქ მე ტერმინ „იბერიულ-კავკასიურის“ გამოყენება შესაწყნარებლად მიმაჩნია იმის გამო, რომ აქ ის ფიგურირებს როგორც გეოგრაფიული ტერმინი და არა ეთნიკური (ეთნიკურად, როგორც აღენიშნე, ის თანაბრად უცხოა როგორც ბასკთათვის, ასევე ქართველთათვის).

გეოგრაფიულად პირინეის ნახევარკუნძულიც იბერიაა და სამხრეთ კავკასიაც ძველი ბერძნებისა და რომაელთათვის, მათგან გამომდინარე კი — არაერთი სხვა ხალხისთვის. გეოგრაფიული ტერმინისთვის კი სახელწოდების ეტიმოლოგიას, მისი გაჩენისა და გავრცელების მიზეზებსა თუ ისტორიას და ა.შ. არანაირი პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს.

შესაბამისად, „იბერიულ-კავკასიური ენები“ უნდა აღქმულ იქნეს, როგორც ამ ენათა გავრცელების ორი უკიდურესი გეოგრაფიული წერტილის დაფიქსირების მცდელობა:

პირინეის ნახევარკუნძული და კავკასია, ინდო-ევროპული ენების სახელწოდების ანალოგიით, სადაც ინდოეთი და ევროპა აღიქმება როგორც ორი უკიდურესი გეოგრაფიული წერტილი ძველ სამყაროში (ამერიკის აღმოჩენამდე) მათი განფენისა.

ამ თვალსაზრისით იბერიულ-კავკასიური საკმაოდ მარჯვე ტერმინია და მეც მის გამოყენებას სწორედ ასეთი ინტერპრეტაციით ვუჭერ მხარს.

თავს მოვალედ ვთვლი აქვე შევებო რამდენიმე ტერმინს, რომლებიც გამოყენებული იყვნენ იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის შემცველი ფილუმის (მაკრო-ოჯახის) აღსანიშნავად:

1. „ალაროდიული ენები“

ეს ტერმინი 1889 წელს შეიქმნა, იგი ფრიც ჰომელს ეკუთვნის და მასში ის მოიაზრებდა კავკასიის, ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის არაინდო-ევროპელი და არასემიტი მოსახლეობის ენებს:

„მცირე აზია ოდესღაც თითქმის მთლიანად დასახლებული იყო ერებით, რომლებიც ერთ ჯგუფს შეადგენდნენ ხეთებთან (იგულისხმებიან არაინდოევროპელი ხათები ანუ პროტო-ხეთები — მ. ქ.) ერთად და, მაშასადამე, ახლო ენათესავებოდნენ უკანასკნელებს. ამ ალაროდიულ ერთა ოჯახს ეკუთვნიან აღმოსავლეთით ა) ელამიტები და კოსეები; ბ) ძველი სომხეთის მცხოვრებნი (ე.ი. ნამდვილი ალაროდიელები), ე.ი. ურარტუს (ბიბლიური არარატის) მცხოვრებნი, რომელთა შთამომავლებად უნდა ჩავთვალოთ ქართველები, მეგრელები, ჭანები (ლაზები) და სვანები; გ) მცირე აზიის მცხოვრებნი, ვიდრე არიელები შემოესეოდნენ თრაკიიდან; დ) ძალიან საფიქრებელია პელასგები და ეტრუსკები; ე) ალბათ იბერები (ესპანისა), რომელთა ნამსხვრევებსაც ამჟამად ბასკები წარმოადგენენ; ვ) აფრიკის ლიბიელები, რომლებიც, ალბათ, ესპანეთის იბერთა ნამსხვრევებს წარმოადგენენ (6. Fr. Hommel, Abriss der Geschichte Vorderasiens, გვ. 58. შენიშ. 2, [1889], (სვანიძე 1936 3 და სვანიძე 1937 1).

ამავე მნიშვნელობით ფრ. ჰომელი ზოგჯერ იყენებდა აგრეთვე ტერმინებს: **ალაროდული-პელაზგური** და **ხეთურ-პელაზგური**, მაგრამ არც ეს ტერმინები დამკვიდრდა.

2. „იაფეტური ენები“

აკად. ნიკო მარის მიერ 1908 წელს შემოღებული ეს ტერმინი თავისი განვითარების პირველი ეტაპის მესამე საფეხურზე (1920-1923) ფაქტობრივად ემთხვეოდა ფრ. ჰომელის „ალაროდულ ენებს“, თუმცა, როგორც აღვნიშნე, ტერმინის განვითარების პირველივე ეტაპზე (1910 წლიდან) ქართველურ ენებთან ერთად (ქართველურში ნ. მარი გულისხმობდა როგორც „არიელობამდელ ჰაიურს“ / „доарийский хайский“, ასევე „არიელობამდელ სომხურს“ / „доарийский армянский“) ივარაუდებოდა მასში ე.წ. „ამოუცნობ ენათა ჯგუფის“ არსებობა: „იგულისხმებიან ენები ძველი საქართველოს და ძველი არიელობამდელი სომხეთის საზღვრებს გარეთ, რომელთა შესახებ ჭერჭერობით არსებობს მხოლოდ მეტ-ნაკლებად საფუძვლიანი პრეზუმპცია მათი იაფეტურებთან ნათესაობის სასარგებლოდ, როგორცია სუზური (ელამური — მ. ქ.) ლურსმულ წარწერებში და სხვ.“ (მარი 1933 48). 1912 წელს მან საგანგებო მოხსენება მიუძღვნა ამ საკითხს, რომელიც 1914 წელს გამოქვეყნდა (მარი 1914 31-106).

3. „ხეთურ-იბერიული ენები“

ტერმინი „ხეთურ-იბერიული ენები“ (და „ხეთურ-იბერიული ხალხები“) რამდენადაც ჩემთვის ცნობილია აკად. ს. ჯანაშიას ეკუთვნის, წინააზიის უძველესი მოსახლეობის შესახებ ის წერდა: „ხალხთა ამ გვარტომობას ჩვენ ხეთურ-იბერიულს ვუწოდებთ, ვინაიდან მისი მთავარი წარმომადგენლებია: მცირე აზიაში — ხეთები (იგულისხმებიან ხათები ანუ პროტო-ხეთები მ. ქ.),

ევროპაში — იბერები დამესოპოტამიიდან კავკასიამდე — იბერ-სუბარები“ (ბერძენიშვილი, ჯავახიშვილი, ჯანაშია 1948 20).

ეს ტერმინი, რომელიც თბილისის საენათმეცნიერო სკოლაში იყო მიღებული ორიოდ ათწლეულის განმავლობაში, ნელ-ნელა გამოვიდა ხმარებიდან და დავიწყებას მიეცა კავკასიოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილი საენათმეცნიერო დისკუსიის (1954-1956) შემდეგ, გულისხმობდა იმავე ენებს, რასაც „ალაროდული ენები“ და „იაფეტური ენები“ (ტერმინის განვითარების მესამე სტადიაზე).

ცალსახად უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით იბერიულ-კავკასიურ ენათა გარე ნათესაობის პრობლემის დამუშავება, სამწუხაროდ, არ მიმდინარეობს მკაცრი მეცნიერული მეთოდების შესაბამისად და, ამდენად, ის რჩება უკიდურესად ჰიპოთეტურ პოსტულატად. აქედან გამომდინარე, ამ ეტაპზე როგორც ზემოხსნებული ტერმინების გამოყენების, ასევე ანალოგიური დანიშნულების რაიმე სხვა ტერმინების შექმნის (მაგ., აზიანურ-კავკასიური, კავკასიურ-მედიტერანული და ა.შ.) არც საფუძველი არსებობს და არც საჭიროება.

მაგრამ არნოდლ ჩიქობავას სამართლიანი შენიშვნით:

„წინა აზიის ძველი არაინდოევროპული და არასემიტური ენების იბერიულ-კავკასიურ ენებთან კავშირის პრობლემა — მეცნიერული პრობლემაა, თანაც დიდად აქტუალური. ეს პრობლემა შეიძლება გადაწყდეს, და უნდა გადაწყდეს კიდევ, ძალისხმევის იმისკენ მიმართვით, როგორ ვქნათ, რომ გადაწყვეტა იყოს მეცნიერულად დასაბუთებული, დამაჯერებელი“ (ჩიქობავა 1955 79).


პრობლემის მეცნიერულად დასაბუთებული და დამაჯერებელი გადაწყვეტა კი ლინგვისტიკაში მხოლოდ ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მკაცრი და კონკრეტული გამოყენებით არის შესაძლებელი.

წინამდებარე მონოგრაფიაში იბერიულ-კავკასიურ ენათა შიდა ნათესაობის დასაბუთების პრობლემა ამ გზით არის გადაწყვეტილი.

წინამდებარე მონოგრაფიაში პირველად ენათმეცნიერების ისტორიაში ენათა ნათესაობის ერთადერთი უეჭველი კრიტერიუმით — შესადარებელ ენათა შორის კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობათა პოვნისგან დასაწყისში იბერიულ-კავკასიურ ენათა კუთვნილება ერთი ენობრივი ოჯახისადმი ანუ ის, რომ ტერმინი „იბერიულ-კავკასიური ენები“ წარმოადგენს ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის ცნებას და არა, ვთქვათ, არეალური ან ტიპოლოგიური კლასიფიკაციების ცნებას.

იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის დასაბუთება, რასაც მიეძღვნა წინამდებარე მონოგრაფია, წარმოადგენს იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძველს.

ბერძულ-კავკასიურ ენათა ოჯახი
ვერიფიცირებადი გენეალოგიური სქემა



დასაბუთი

იბერიულ-კავკასიურ ენათა შედარებითი შესწავლის ისტორია თავის უმთავრეს მომენტებში

იბერიულ-კავკასიურ ენათა შედარებითი შესწავლის ისტორიის საგანს არ წარმოადგენს იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის მთელი ისტორია, რომელიც მოიცავს:

ა) რომელიმე ცალკეული კავკასიური ენის სინქრონიული აღწერის წინარემეცნიერულ ეტაპს, რომელიც ეყრდნობოდა დიონისე თრაკიელიდან უშუალოდ ან რაიმე შუალედური წყაროს მეშვეობით ათვისებულ ლოგიკურ-გრამატიკულ „უნივერსალებს“ და არა მეთოდოლოგიური იმანენტის პრინციპს (მაგ., ანტონ პირველისეული „ქართული ღრამატიკა“ 1753 და 1767 წლებისა და ა. შ. და ა. ა.).

ბ) რომელიმე ცალკეული კავკასიური ენის სინქრონიულ დესკრიფციას დაფუძნებულს მეთოდოლოგიური იმანენტის პრინციპებზე (მაგ., ნ. მარის „ქანური (ლაზური) ენის გრამატიკა“ — 1910 წ.; ი. ყიფშიძის „მეგრული (ივერიული) ენის გრამატიკა“ — 1914 წ.);

ა. შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, — 1953 წ.; არნ. ჩიქობავასა და ი. ცერცვაძის „ხუნძური ენა“ — 1963; ევგ. ჯივარანიშვილის „უდიური ენა“ — 1971; ალ. მაჰომეტოვის „თაბასარანული ენა“ — 1965 და ა. შ. და ა. ა .).

გ) ენათა იბერიულ-კავკასიურ ოჯახში შემავალ ჯგუფთა და ქვეჯგუფთა შიდა და გარე შედარებები, რომლებიც არ არის დაფუძნებული ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მკაცრ და მართლზომიერ გამოყენებაზე (მაგ., ვ. ილიჩ-სვიტიჩის „ნოსტრატულ ენათა შედარების მცდელობა“ — 1971-1984; ს. ნიკოლაევისა და ს. სტაროსტინის „ჩრდილოკავკასიური ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ — 1994 და ა. შ. და ა. ა.)

დ) იბერიულ-კავკასიურ ენათა ტიპოლოგიური კვლევის ეტაპები (მაგ., გ. კლიმოვისა და მ. ალექსეევის „კავკასიურ ენათა ტიპოლოგია“ — 1983 და ა. შ. და ა. ა.) და სხვ.

იბერიულ-კავკასიურ ენათა შედარებითი შესწავლის ისტორიის საგანს შეადგენს ამ ენობრივი ოჯახის თითოეულ ჯგუფში შემავალ ენებს შორის კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა დადგენის წარმატებული მცდელობები, ფუძე-ენის ფონოლოგიური სისტემის, მორფოლოგიური ინვენტარისა და სიტყვა-ფორმათა არქეტაპების ვერიფიცირებადი რეკონსტრუქციები და სარწმუნო ეტიმოლოგიები, სხვაგვარად რომ ვთქვათ — იბერიულ-კავკასიურ ენათა შედარებითი შესწავლის საეტაპო და ეპოქალური მონაპოვრები.

საეტაპო ის მონაპოვარია, რომელსაც შემდეგში დაეფუძნება რა-

ოდნობრივად ახალი ეტაპი, ეპოქალური კი — ის, რომელსაც თვისობრივი სიახლე შემოაქვს კვლევის გარკვეულ ეტაპზე და საბოლოოდ და პრინციპულად წყვეტს ამა თუ იმ ენათა ან ენობრივ ჯგუფთა ნათესაობის საკითხს ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით.

ასეთი ტიპის ნაშრომების შემდეგ კლავინდებურად ულვეი სამუშაო რჩება შესასრულებელი, საჭიროა ბევრი რამის დაზუსტება, დახვეწა, ახალი მასალისა და ახალი შეპირისპირებების გამოვლენა, შესატყვისობათა დადგენილი სისტემის რეინტერპრეტაციის პრობლემები და სხვ. მაგრამ უმთავრესი პრობლემა უკვე გადაწყვეტილია — ენათა ნათესაობის დამტკიცების საკითხი მოხსნილია — ის უკვე დამტკიცებულია და ეს მტკიცება ვერიფიცირებადია.

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შედარებითი შესწავლის ისტორიოგრაფია

პირველი (და მრავალმხრივ) საეტაპო ნაშრომი იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში იყო აკადემიკოს ივანე ჭავჭავაძის მონოგრაფია:

„ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“, თბილისი : სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, 1937 : XVIII+759.

წინამდებარე გამოკვლევისათვის მისი მნიშვნელობა განსაკუთრებულია, რადგან მასში პირველად არის მოცემული იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, რომელიც ივანე ჭავჭავაძის კაპიტალური მონოგრაფიის პირველ კარს შეადგენს, სათაურით:

„ქართულ-ქართველურისა და ე. წ. კავკასიის ენების შესახები მწერლობის მოკლე მიმოხილვა“ (ჯავახიშვილი 1937 3-91). ეს მიმოხილვა არც ისეთი მოკლეა, როგორი შთაბეჭდილებაც შეიძლება შექმნას მის სათაურში გამოტანილმა ამ „მოკლე“ სიტყვამ.

აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ კომპაქტურად დაწერილ, მაგრამ საკითხის სრულად მომცველ ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს აკად. ნ. მარის მოღვაწეობას კავკასიოლოგიის დარგში (ჯავახიშვილი 1937 9-13, 49-78) და იგი შეფასებულია (resp. გაკრიტიკებულია) ისტორიულ-შედარებითი მეთოდის პოზიციიდან.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მოთხოვნები ივანე ჯავახიშვილის მიერაც არ არის ზუსტად დაცული, მაგრამ ამისი მიზეზი არც უარყოფთა კომპარატივისტიკისა და არც იგნორირება.

ივანე ჯავახიშვილი იბერიულ-კავკასიური ენების შესწავლის ისტორიისადმი მიძღვნილ კარს შემდეგი სიტყვებით ამთავრებს:

„არც ერთ მეცნიერს, რომელსაც კი მეცნიერების წინაშე თავისი თავის პასუხისმგებლობა ესმის, უფლება არა აქვს სთქვას, რომ კავკასიური ენების ნათესაობის ჰიპოთეზისთვის ჭერ-ჭერობით ოდნავად მაინც დამაჯერებელი არამც თუ საფუძველი, არამედ დებულებაც-კი არსებობდეს. ამიტომ ეს აზრი უფრო რწმენას მიაგავს, ვიდრე სამეცნიერო, თუნდაც სამუშაო, ჰიპოთეზას“ (ჯავახიშვილი 1937 91).

ხოლო თავისი ექვსკარიანი მონოგრაფიისათვის დართულ დასკვნაში, საკუთარი ნაღვაწის შეფასებისას, წერს:

„... აქამდე გაწეული შრომა, დაკვირვება და ანალიზი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქართველთა, სინდ-ლილღ-ლეგ-ალბანელების შორეული წინაპრები ღვიძლი მოძმე ტომები ყოფილან, რომელთაც მონათესავე და თავდაპირველად ერთი ენაც-კი უნდა ჰქო-

ნოდათ“ (ჯავახიშვილი 1937 622).

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ივანე ჯავახიშვილი თვლიდა, რომ მიუხედავად მისი მონოგრაფიის არაერთი ხარვეზისა, მან განსხვავებით თავის წინამორბედთაგან, ვისი ნაშრომებიც მან განიხილა და გაანალიზა ნაშრომის ისტორიოგრაფიულ ნაწილში, პირველმა შეძლო დაემტკიცებინა „ქართულ-ქართველურ და ე. წ. კავკასიურ ენათა“ ურთიერთნათესაობა.

შესაბამისად, ივანე ჯავახიშვილის ხსენებულ მონოგრაფიამდე გამოცემული თუ გამოქვეყნებული ნაშრომების განხილვის აუცილებლობა არ არსებობს — მათ არა აქვთ კავშირი იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის შედარებით კვლევასთან.

რაც შეეხება საკუთრივ ჯავახიშვილისეულ მონოგრაფიას, მასში იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისობები დადგენილი არ არის და ამდენად მასში არც იბერიულ-კავკასიურ ენათა ურთიერთნათესაობა არ არის დამტკიცებული.

აკად. ივანე ჯავახიშვილმა, ცხადა, სრული უეჭველობით იცოდა, რომ ენათა ნათესაობის დადგენის გზა ისტორიულ-შედარებით ფონეტიკაზე გადიოდა და მას ამდაგვარი წინასწარი სამუშაოც ჰქონდა ჩატარებული, თუმცა შემდგომ გარკვეულმა მოსაზრებებმა მეცნიერს ხელი ააღებინა აღნიშნული მონოგრაფიისთვის ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკის ნარკვევის წამძღვარებაზე და ეს საქმე შემდეგი პერიოდისათვის გადადო. ამასთან დაკავშირებით ის წიგნის წინასიტყვაობაში წერს:

„ენათმეცნიერული თვალსაზრისით დაწერილს ასეთ გამოკვლევას, რასაკვირველია, უნდა წინ ქართველური და კავკასიური ენების ფონეტიკა ჰქონოდა წაძლოლილი. თავდაპირველად ასეც მქონდა

განზრახული და ამისთვის მასალებიც დამზადებული მაქვს, მაგრამ დასაბეჭდავად წიგნის საბოლოოდ დამუშავების წინ, გადავწყვიტე, რომ მხოლოდ ცალკეული დებულებისთვის აუცილებლად საჭირო ფონეტიკური მაგალითების მოყვანით დავკმაყოფილებულიყავი.

ორმა მოსაზრებამ მაიძულა ამ გადაწყვეტილებას დავდგომოდი: მეტად მძიმე ტვირთად აწვებოდა ისედაც უალრესად ძნელ წასაკითხ წიგნს, რომ კიდევ ისეთი მშრალი მასალა დართოდა ცალკეულ კარად! მაგრამ მაინც უმთავრესად კვლევა-ძიების პროცესში ახლად გამორკვეულმა მნიშვნელოვანმა პრინციპულმა გარემოებამ გადამადგმევინა ეს ნაბიჯი. რაც უფრო წინ მიდიოდა სიტყვათა ანალიზი და მათი თავდაპირველი აღნაგობის მიგნება ხერხდებოდა, სულ უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი, რომ წინათ წმინდა ფონეტიკურ მოვლენად მისაჩნევი, ბევრ შემთხვევაში ნამდვილად მორფოლოგიური მოვლენის ანარეკლი ყფილა. თუმცა ეს ერთი შეხედვით თითქოს პარადოქსულს შთაბეჭდილებას ახდენდა, მაგრამ თანდათან დავრწმუნდი, რომ ისევე, როგორც მორფოლოგიის გამოსაკვლევად ფონეტიკაა საჭირო, შეუძლებელი ფონეტიკის შექმნაც მორფოლოგიის გაუთვალისწინებელივ შეუძლებელი ყოფილა. ქართველურ-კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნების საკითხის გადასაჭრელადკი უმთავრესი მნიშვნელობა მორფოლოგიური აღნაგობის გამორკვევას აქვს, რომლის მიგნების შემდეგაც ფონეტიკური მოვლენებიც ბევრჯელ სულ სხვანაირად წარმოგვიდგება“ (ჯავახიშვილი 1937 XV-XVI).

წიგნმა საეტაპო მნიშვნელობა შეიძინა მესამე კარის „კავკასიური ენებისა და ქართულ-ქართველური მორფოლოგიის ძირითადი საკითხების“ პირველი (resp. ერთადერთი), ცხრამეტთავიანი, ნაწილით „გრამატიკული სქეს-კატეგორიების საკითხი კავკასიურ ენებსა

და ქართულში“ (ჯავახიშვილი 1937 135-257) — თანამედროვე ტერმინოლოგიით ეს გრამატიკული კლას-კატეგორიებია, რომელთა კვლევა სწორედ ივანე ჯავახიშვილის ხსენებული მონოგრაფიიდან იღებს სათავეს.

თუმცა ცხადია მიზეზი, რის გამოც აკად. ივანე ჯავახიშვილის ეს კაპიტალური და ფუნდამენტური (კლას-კატეგორიათა კვლევის თვალსაზრისით) ნაშრომი მოხვდა წინამდებარე მიმოხილვაში — ეს მისი ისტორიოგრაფიული ნაწილია.

აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამ იბერიულ-კავკასიურ ენებსა და მათი შესწავლის ისტორიას ორნაწილიანი კაპიტალური სახელმძღვანელო-მონოგრაფია მიუძღვნა:

1) იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბილისი : „განათლება“, 1965 XV+412.

2) იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი : თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1979 : 324.

ვიდრე „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“ დაერქმეოდა, ამ წიგნის სავარაუდო სათაური იყო ხან „იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-მედარებითი შესწავლის შესავალი“ (ჩიქობავა 1965 VII), ხან კი — „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის შესავალი“ (შარაძენიძე 1979 5). ამ სახელწოდების კურსის პროგრამაც აქვს გამოცემული არნ. ჩიქობავას რუსულ ენაზე ჭერ კიდევ 1953 წელს (Программа курса "Введение в изучение иберийско-кавказских языков". Для студентов IV курса отделения кавказских языков, Тбилиси : Издательство Тбилисского Университета, 1953 : 6).

1965 წელს გამოცემულ მონოგრაფია-სახელმძღვანელოში არნ. ჩიქობავა წერს იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიისა და შესავლის შესახებ:

„ორივე ეს კურსი პირველად თბილისის უნივერსიტეტში იყო

შემოღებული (ჩვენი ინიციატივით). საბჭოთა კავშირის სხვა უნივერსიტეტებში არც კავკასიურ ენათა სპეციალობა არსებობდა და არც ხსენებული კურსები იკითხებოდა.

ამჟამად იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია იკითხება დალესტნის ენათა სპეციალობაზე — დალესტნის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც, რომელიც 1958 წელს დაარსდა“ (ჩიქობავა, 1965 VII).

ჩემ მიერ ზემოთ გამოყენებულ წინააღმდეგობრივად კომპოზიტურ ტერმინს — „მონოგრაფია-სახელმძღვანელო“ — აქვს თავისი გამართლება არნოლდ ჩიქობავას და, საერთოდ, ყველა თვითმყოფადი მეცნიერის შემთხვევაში. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ წინასიტყვაში არნოლდ ჩიქობავა განმარტავდა:

„ცხადია, „შესავალი“ მხოლოდ დადგენილის გადმოცემით ვერ შემოიფარგლებოდა; ავტორი სადაო საკითხებს თავს არ არიდებდა; პირიქით, ცდილობდა ნათლად ჩამოეყალიბებინა ეს სადაო, გაერკვია მისი სათავე და დაესახა მისი გადაწყვეტის გზები“ (ჩიქობავა 1979 6).

ამავე პრინციპით არის შექმნილი „ისტორიაც“ — ამიტომ ვუწოდებ მათ „მონოგრაფია-სახელმძღვანელოებს“.

„იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია“ კონცეპტუალური ნაშრომია, ამითი ის პრინციპულად განსხვავდებოდა ივანე ჭავჭავაძის მიერ დაწერილ ნაშრომისაგან. ამ განსხვავების მიზეზი ავტორთა განსხვავებულ მიზანშია საძიებელი. ივანე ჭავჭავაძის ამოცანა იყო სისტემურად და ქრონოლოგიურად მიმოეხილა იბერიულ-კავკასიურ ენათა შესახებ არსებული მთელი (resp. მისთვის ხელმისაწვდომი) სამეცნიერო ლიტერატურა, არნოლდ ჩიქობავა კი წერს:

„ჩვენი მიზანი იყო, აღგვეჩვენა ყველაფერი, რამაც კვალი და-

ტოვა შემდგომს განვითარებაში და გვეჩვენებინა, რა გავლენაც — დადებითი თუ უარყოფითი — მოახდინა შრომამ, მკვლევარმა, მიმართულებამ — და რატომ“ (ჩიქობავა 1965 XV).

„იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“ ერთგვარად აგრძელებს „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიას“, მხედველობაში მაქვს მისი მეორე პარაგრაფი „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ახლანდელი ვითარება“ (ჩიქობავა 1979 12-23) და ეს გამომდინარეობს ავტორის პოზიციიდან:

„უკანასკნელი 40 წლის კავკასიოლოგიური ლიტერატურა, ჩვენის აზრით, ისტორია აღარ არის, იგი თანამედროვეობას ეკუთვნის; მისი ანალიზი „იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლის შესავალში“ ივარაუდება“ (ჩიქობავა 1964 XV).

ერთადერთი, რაც მოულოდნელია როგორც „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიაში“, ასევე „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალში“, ეს — ბასკური ენის შესწავლისა და ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზის ისტორიათათვის სათანადო და საკადრისი ადგილის მიუჩენლობაა, მეტიც — მისი ფაქტობრივად იგნორირებაა სხვა კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიათა გვერდით, იმის გათვალისწინებით, რომ არნოლდ ჩიქობავას ეჭვი არასოდეს ეპარებოდა „ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზის“ პოზიტიურ გადაწყვეტაში (ჩიქობავა 1976 8; ჩიქობავა 1979 302, 305 და სხვ.).

1986 წელს მოსკოვში რუსულ ენაზე გამოიცა „შესავალი კავკასიურ ენათმეცნიერებაში“:

Г. А. Климов, Введение в кавказское языкознание, Москва : "Наука", 1986 : 208.

წიგნის სტრუქტურა ასეთია:

შესავალი (გვ. 3-5), თავი პირველი — კავკასიური ენათმეცნიერ-

რების საგნისა და ისტორიის შესახებ (გვ. 5-29), თავი მეორე — აფხაზურ-ადიღური ენები (გვ. 29-55), თავი მესამე — ქართველური ენები (გვ. 55-81), თავი მეოთხე — ნახურ-დაღესტნური ენები (გვ. 81-108), თავი მეხუთე — კავკასიურ ენათა გენეტიკური ურთიერთმიმართებანი (გვ. 109-141), თავი მეექვსე — კავკასიურ ენათა ტიპოლოგიური ურთიერთმიმართებანი (გვ. 141-171), თავი მეშვიდე — კავკასიურ ენათა არეალური ურთიერთმიმართებანი (გვ. 171-202), დასკვნა (გვ. 203-207).

სარჩევის მიხედვითაც ჩანს, რომ იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიას უმნიშვნელო ადგილი უჭირავს წიგნში. რაც შეეხება მის შინაარსობრივ მხარეს, ის არ გამოირჩევა არც ინფორმაციის სიუხვით, არც ანალიზის სიღრმით, არც კონცეპტუალური მიდგომით, ამ უკანასკნელის დეფიციტს ავტორის ტენდენციურობა ანაზღაურებს — ნაშრომში ან იგნორირებულია ან არაკორექტულად და არაადეკვატურად არის წარმოდგენილი კავკასიურ ენათა შედარებითი კვლევის ეტაპები და იმდროისთვის რეალურად არსებული მონაპოვრები.

ინფორმაციის სისრულისათვის აღვნიშნავ რომ ხელნაბეჭდი სახით არსებობს აკად. ნიკო მარის მოწადის, პროფ. კარპეზ დონდუას მიერ 1939 წელს ლენინგრადში შექმნილი 172 გვერდიანი ლექციების კურსი „კავკასთმცოდნეობის შესავალი“:

Введение в кавказоведение. Курс лекции, 1939. Машинопись: 172 (დონდუა 1975: 315).

კ. დონდუას ხელნაბეჭდ შრომას სტუდენტობისას გავეცანი. სამწუხაროა რომ ის თავის დროზე წიგნად არ გამოცემულა. ამჟამად მას ძირითადად ისტორიული ფაქტის მნიშვნელობა აქვს.

არსებობს კიდევ მიხაილ ნემიროვსკის ორნაკვეთიანი ნაშრომი, რუსულად დაწერილი და გამოცემული მეოცე საუკუნის ოცდაათი-

ნი წლების დასაწყისში:

1) "Из прошлого и настоящего кавказской лингвистики", Вып. I. Владикавказ, 1928 : 55.

2) "К современному состоянию кавказской лингвистики", Владикавказ, 1930 : 25.

არნოლდ ჩიქობავა მათი ავტორის შესახებ წერს:

„კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტი მიხ. ნემიროვსკი ორჯონიკიძეში (კავკაზში) მუშაობდა (პედაგ. ინსტიტუტში), მაგრამ კავკასიურ ენებს სპეციალურად არ იკვლევდა (აქვს კი წერილი გრამატიკულ კლასთა შესახებ, როგორც მიმოხილვა, საინტერესო) (ჩიქობავა 1965 XI).

ბატონი არნოლდის ამ შენიშვნის შემდეგ დავინტერესდი მიხ. ნემიროვსკის პიროვნებით და გაირკვა, რომ ის სწორედაც რომ სპეციალურად იკვლევდა კავკასიურ ენებს. მე ხელი მიმიწვდა მის შემდეგ კავკასიოლოგიურ ნარკვევებზე:

1) Хеттский язык как проблема индоевропейской, кавказской и общей лингвистики ("Сборник научного общества этнографии, языка и литературы при Горском пединституте. Вып. I. Владикавказ, 1929).

2) Некоторые явления чеченско-дагестанских языков в свете общей лингвистики ("Горский пединститут", т. VII, Владикавказ, 1930).

3) К научной постановке исследования чеченской группы севернокавказских языков ("Известия Ингушского Научно-Исследовательского Института Краеведения", т. II-III, Владикавказ, 1930).

4) Заметки по морфологии яфетических языков кавказа. I. К вопросу о деривации имен существительных в современных яфетических языках Северного Кавказа (Сб. "АН СССР академику Н. Я. Марру". XLI, Москва-Ленинград, 1935).

5) Japhetica-Africana. Несколько параллельных явления в яфетических (кавказских) и африканских языках (Лингвистические заметки). ("Известия Северо-Кавказского пединститута", т. XII, Орджоникидзе, 1935).

6) **Артикль в горских кавказских языках ("Сообщения АН Грузинской ССР", т. VII, №6, Тбилиси, 1946).**

იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიისადმი მიძღვნილი მ. ნემიროვსკის ორი წიგნის დასახელების შემდეგ არნ. ჩიქობავა სქოლიოში შენიშნავს:

„მ. ნემიროვსკის ეკუთვნის ბროშურა: "Ад. Дирр и кавказская лингвистика", Владикав., 1930 (17 გვ.)" (ჩიქობავა 1965 XI).

ადოლფ (მისი სახელი სრული ფორმით აწერია ბროშურას) დირისადმი მიძღვნილი ბროშურის გარდა, მე კიდევ ორი ბროშურა შემხვდა მიძღვნილი კავკასიური ენების უცხოელი მკვლევრებისადმი:

1) "Гуго Шухардт. Творческий путь Г Шухардта и его работа по кавказской лингвистике", Владикавказ, 1929.

2) "Альфред Тромбетти, его жизнь и научные труды по сравнительному языковедению, по общей и кавказской лингвистике", Владикавказ, 1930.

ყოველივე ამაზე ყურადღება იმიტომ გავამახვილე, რომ მეჩვენებინა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მ. ნემიროვსკი სულაც არ ყოფილა შემთხვევითი და დროებითი პირი არც კავკასიურ ენათა და არც მათი შესწავლის ისტორიის კვლევის საქმეში.

ამის მიუხედავად მის წიგნებს: „**კავკასიური ენათმეცნიერების წარსულიდან და აწმყოდან**“ (რომელიც მოიცავს XVIII-XX საუკუნეების ავტორებს: ი. გიულდენშტედტი, ი. კლაპროთი, მ. ბროსე, გ. როზენი, ა. შიფნერი, პ. უსლარი, ფ. მიულერი, რ. ერკერტი, პ. შუხარდტი, პ. ვინკლერი, ა. დირი, ნ. მარი, ნ. ტრუბეცკოი, ფ. ფინკი, ა. ტრომბეტი) და „**კავკასიური ენათმეცნიერების თანამედროვე მდგომარეობა**“ (რომელიც მოიცავს XX საუკუნის პირველი მეოთხედის ავტორებს: კ. დონდუა, ა. გენკო, ნ. იაკოვლევი, ლ. ჟირკოვი, რ. შორი, რ. ლაფონი და კვლავ ნ. ტრუბეცკოი) დღეისათვის მხო-

ლოდ და მხოლოდ საკუთარი რარიტეტული ღირებულება აქვს და არა — შემეცნებითი, XVIII-XX საუკუნეების კავკასიური ენათმეცნიერება მათში წარმოდგენილია არა მარტო ნარატიულად და ზედაპირულად, არამედ ისტორიულ-შედარებითი მეთოდისადმი იაფეტოდოლოგიური ნიჰილიზმის პოზიციიდანაც:

„კავკასიურ ენათა შედარებითი შესწავლა დასავლეთში დაიყვანება ფორმალისტურ კომპარატივისტიკამდე (წინარე ენის ფაქტების რეკონსტრუქციით). საბჭოთა კავშირში კი ენობრივი ფაქტები შეისწავლება არა გამხოლოებულად და არა ფორმალისტურად, არამედ მატერიალური კულტურის ისტორიასთან, საზოგადოებრივ-სამეურნეო ფორმების ისტორიასთან კავშირში“ (ნემიროვსკი 1930 23-24, დამოწმებულია წიგნიდან ჩიქობავა: 1965 XI).

ასე რომ, იბერიულ-კავკასიური ენების შედარებითი კვლევის ისტორიის წინამდებარე ცდა პირველია როგორც ფაქტობრივად, ასევე კონცეპტუალური თვალსაზრისითაც — ამითი განპირობებული ყველა შესაძლებელი შედეგით.

**აფხაზურ-ადიღური და ნახურ-დაღესტნური
(resp. ჩრდილოკავკასიური) ენების შედარებითი
შესწავლის მცდელობები**

აფხაზურ-ადიღური და ნახურ-დაღესტნური (resp. ჩრდილოკავკასიური) ენების შედარებითი შესწავლის მცდელობებს ჩვეულებრივ ნ. ტრუბეტკოის სახელს უკავშირებენ, და, კერძოდ, მის შემდეგ შრომებს:

1) Studien auf dem Gebiete der vergleichenden Lautlehre der Nordkaukasischen Sprachen. I ("Caucasica", fasc. 3. Leipzig, 1926 7-36), (რუსული თარგმანი ტრუბეცკოი 1987 247-270).

2) "Les consonnes latérales des langues Caucasiques-Septentrionales" ("Bulletin de la Société de Linguistique". t. 23. № 27, Paris, 1922 : 184-204) (ქართული თარგმანი ტრუბეცკოი 1972 263-279; რუსული თარგმანი ტრუბეცკოი 1987 233-246).

მათგან მეორე ჩრდილოკავკასიური ენების ფონოლოგიური სისტემის მხოლოდ ერთ თავისებურებას — ლატერალური თანხმოვნების პოზიციურებას ეხება, თუმცა თავისი მნიშვნელობით ეს ნაშრომი აღემატება ნ. ტრუბეცკოის ყველა სხვა კავკასიოლოგიურ ნარკვევს, რადგან მასში (ნაწილი IV) დადგენილია კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობანი ნახურ-დაღესტნურ და აფხაზურ-ადიღურ (ტრუბეცკოისეული ტერმინოლოგიით: ჩეჩენო-ლეზგიურ და აბაზგო-კერკეტულ) ენებს შორის ლატერალთა რიგში. თუმცა, ცხადია, ეს ნარკვევი, მისი ეპოქალურობის მიუხედავად, ისევე ვერ გასწევს ნახურ-დაღესტნურ და აფხაზურ-ადიღურ ენათა შედარებითი ფონეტიკის მაგივრობას, როგორც კონგენიალური ნარკვევი ტოგო გუდავასი, რომელშიც დადგენილია კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობები ასევე ლატერალთა რიგში ამჭერად დაღესტნურ და ქართველურ ენებს შორის (გუდავა 1954 55-65).

რაც შეეხება „გამოკვლევას ჩრდილოკავკასიურ ენათა შედარებითი ფონეტიკის სფეროში“, I, ის ეხება: „მოკლე“ და „გემინირებულ“ თანხმოვნებს ხუნძურ-ანდიური ენებისას“ (სინამდვილეში — ხუნძურ-ანდიურ-დიღორი ენებისას) და ვერ ჩაითვლება არათუ გამოკვლევად ჩრდილოკავკასიურ ენათა შედარებითი ფონეტიკის სფეროში, არამედ ჩრდილო-აღმოსავლურკავკასიურ ენათა შედარებითი ფონეტიკის ნარკვევადაც კი: მასში არ არის გათვალისწინებული

ერთი მხრივ, დაღესტნურ ენათაგან ლაკურ-დარგულისა და ლეზ-გიურის, მეორე მხრივ, ნახური ქვეჯგუფის მასალა.

შეიძლება ავტორი ნარკვევის მომდევნო ნაწილებში აპირებდა ყველა ჩრდილოკავკასიური ენის მასალათა შედარებით ანალიზს, მაგრამ თუ ვენდობით მისი ფილოლოგიური შრომების ბიბლიოგრაფიას (ტრუბეცკოი 1987 520-524), მას ამ გამოკვლევის სხვა ნაწილები არ გამოუქვეყნებია.

ნიკოლაი ტრუბეცკოის ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული ნაშრომი ჩრდილოკავკასიურ ენათა შედარებითი შესწავლის სფეროში 1930 წელს გამოქვეყნდა გერმანულ ენაზე კენაში:

"Nordkaukasische Wortgleichungen" ("Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes". Bd. XXXVII, Heft 2, Wien, 1930 : 76-92) (რუსული თარგმანი: ტრუბეცკოი 1987 271-282).

ამ ნაშრომის ობიექტური შეფასება ეკუთვნის გ. დეეტერსს:

„ნ. ტრუბეცკოიმ დაადგინა 100-ზე მეტი (სინამდვილეში მათი რაოდენობა ამ ნაშრომში ზუსტად ასია მ. ქ.) ფარდობა აღმოსავლურ- და დასავლურ-კავკასიურს შორის, რომელიც მოიცავს აგრეთვე რიცხვით სახელებს, პირისა და ჩვენებით ნაცვალსახელებს, მაგრამ ბგერათშესატყვისობა უმეტეს შემთხვევაში ცხადი არ არის“ (დეეტერსი 1963 41).

ნიკოლაი ტრუბეცკოის ამ ნაშრომში წარმოდგენილი ჩრდილოკავკასიური სალექსიკონო შეპირისპირებების შესახებ ს. სტაროსტინი წერს:

„ნ. ს. ტრუბეცკოის მიერ შემოთავაზებული 100 სალექსიკონო დაკავშირებიდან სრულიად სარწმუნოდ შეიძლება იქნეს ცნობილი 60 (თუმცა ზოგიერთი მათგანი შესწორებებითა და დაზუსტებებით“) (ტრუბეცკოი 1987 465).

ამ რიცხვს უნდა გამოაკლდეს აგრეთვე ოდენ იდენტურ შე-

სატყვისობათა, რომელთაც არანაირი მტკიცებულებითი ძალა არ გააჩნიათ, შემცველი მაგალითებიც და ცხადი გახდება ნ. ტრუბეცკოის ზემოხსენებული სტატიის რეალური ღირებულება ჩრდილო-კავკასიურ ენათა შედარებითი შესწავლისათვის.

ჩრდილოკავკასიურ ენათა შედარებითი გრამატიკისადმი მიძღვნილი პირველი მეცნიერული ნაშრომი ფრანგულ ენაზე გამოიცა პარიზში 1933 წელს:

G. Dumézil, Introduction a la Grammaire comparée des langues caucasiennes du Nord. Paris, 1933 : 150.

უორუ დიუმეზილის ეს, ხუთი თავისაგან შემდგარი მონოგრაფია მიუხედავად იმისა, რომ არაერთ საინტერესო ფაქტსა თუ მოსაზრებას შეიცავს, შედარებით გრამატიკას მაინც არ წარმოადგენს ამ ტერმინის მეთოდოლოგიური დატვირთვით.

შედარება მოიცავს გრამატიკულ კლასებს (თავი პირველი); ნაცვალსახელურ ფუძეებს (თავი მეორე); სახელთა ბრუნებას (თავი მესამე); ზმნათა დროებს (თავი მეოთხე); ჩრდილოკავკასიურსა და ბასკურს (თავი მეხუთე), მაგრამ არა ფონოლოგიურ სისტემებს, რაც მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, როდესაც ამ ენობრივ ჯგუფთა შორის კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობები უკვე დადგენილია.

აფხაზურ-ადიღურ და ნახურ-დაღესტნურ ენებს შორის კი კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობების სისტემა ჭერ კიდევ არ იყო გამოვლენილი, არაფერი რომ არ ეთქვათ ბასკური ენისა და ჩრდილოკავკასიური ენების ურთიერთმიმართებაზე, სადაც ბგერათშესატყვისობათა პოენიერების საკითხი იმხანად არც იდგა დღის წესრიგში და ის არც დიუმეზილს დაუყენებია თავის მონოგრაფიაში.

1981 წელს ნალჩიკში რუსულ ენაზე გამოიცა აფხაზურ-

ადილური და ნახურ-დაღესტნური ენების ისტორიულ-შედარებითი მორფოლოგიის შესავალი:

Абдоков А. И., Введение в сравнительно-историческую морфологию абхазо-адыгских и нахско-дагестанских языков, Нальчик : Кабардино-Балкарский государственный университет, 1981.

თავისთავად ცხადია, მონათესავე ენათა ისტორიულ-შედარებითი მორფოლოგიის შექმნას მაშინ აქვს აზრი, თუ ამ ენათა ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკა არსებობს, ანუ თუ მათი ნათესაობა ცალსახად არის დამტკიცებული კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობების სისტემის გამოვლენის სახით.

ამ მხრივ ცალ-ცალკე, როგორც აფხაზურ-ადილურ ენათა, ასევე ნახურ-დაღესტნურ ენათა ჯგუფებს შიგნით, ბგერათშესატყვისობათა კანონზომიერებულობისა და რეგულარულობის თვალსაზრისით სერიოზული პრობლემები არსებობდა, ეს პრობლემები კიდევ უფრო თვალსაჩინო იყო ჯგუფთაშორისი შედარების მცდელობათა ფონზე.

ვიდრე ჩრდილოკავკასიურ ენათა ისტორიულ-შედარებითი მორფოლოგიის შესავლის წერას დაიწყებდა, აბდოკოვმა საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა აფხაზურ-ადილური და ნახურ-დაღესტნური ენების ნათესაობის პრობლემას:

К вопросу о генетическом родстве абхазо-адыгских и нахско-дагестанских языков, Нальчик : "Ельбрус", 1976.

სადაც მან სცადა მისთვის ხელმისაწვდომი ყველა შესაძლებელი არგუმენტი მოეხმო ჩრდილოკავკასიურ ენათა ნათესაობის სასარგებლოდ და მიიჩნია რა თეზისი ჩრდილოკავკასიურ ენათა ორ ჯგუფს შორის ნათესაობის შესახებ დამტკიცებულად, მათი ისტორიულ-შედარებითი მორფოლოგიის შესავლის დაწერის ამოცანა დაისახა.

„შესავალმა“ კი კიდევ ერთხელ ნათელყო სამეცნიერო მიმოქცე-

ვაში მყოფ იმ ფაქტთა და არგუმენტთა უკმარისობა, რომლებიც მოიხმობოდა აფხაზურ-ადიღური და ნახურ-დაღესტნური ენების ნათესაობის დასამტკიცებლად: მთავარ დაბრკოლებად კვლავ ბგერათშესატყვისობათა კანონზომიერებისა და რეგულარულობის გადაუჭრელობა რჩებოდა.

ა. აბდოკოვს ესმოდა რა, რომ სერიოზული სირთულეების წინაშე იდგა, მან სცადა თავისი ისტორიულ-შედარებითი მორფოლოგიის შესავლის გამართლება შედარებითი ფონეტიკისა და ლექსიკისადმი მიძღვნილი ახალი გამოკვლევით:

О звуковых и словарных соответствиях северокавказских языков, Нальчик : "Ельбрус", 1983.

ამ ნაშრომში პოენიერია რამდენიმე საინტერესო მახვილგონივრული და სარწმუნო დაკავშირება, თუმცა კვლავინდებურად არასაკმარისი ჩრდილოკავკასიურ ენათა ორი ჯგუფის ურთიერთნათესაობის პრობლემის ცალსახა გადაწყვეტისათვის.

რაც შეეხება ჩრდილოკავკასიურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონს:

Nikolayev S. L., Starostin S. A., A North Caucasian Etymological Dictionary, Edited by S. A. Starostin, Moscow: "Asterisk Publishers", 1994 : 1406.

მასზე, როგორც მეცნიერებისაგან განსმდგომ მოვლენაზე, საეტაპო სამეცნიერო შრომებისადმი მიძღვნილ ნარკვევში მსჯელობის ადგილი არ არის.

ახლა თვით პრობლემასთან დაკავშირებით — ჩრდილოკავკასიურ (აფხაზურ-ადიღურ და ნახურ-დაღესტნურ) ენებს უპირისპირებენ სამხრეთკავკასიურ (ქართველურ) ენებს იმ მოსაზრებით, ვითომდა მათი ურთიერთნათესაობა უფრო სარწმუნოა ან სულაც დამტკიცებულია (?!), ვიდრე მათი ნათესაობა სამხრეთკავკასიურ ენებთან.

ვეიქრობ, წინამდებარე მონოგრაფიაში ცალსახად დავამტკიცე, რომ ჩრდილოკავკასიური (აფხაზურ-ადიღური და ნახურ-დაღესტნური) არ არიან ერთმანეთთან გენეტურად უფრო ახლოს, ვიდრე თითოეული მათგანი სამხრეთკავკასიურ (ბასკურ-ქართველურ) ენებთან.

**აფხაზურ-ადიღურ და ბასკურ-ქართველურ ენათა
შედარებითი შესწავლის ისტორია**

1912 წელს სანკტ-პეტერბურგში ნიკო მარის წინასიტყვაობითა და რედაქციით, რუსულ ენაზე, გამოიცა პეტრე ჭარაიას მონოგრაფია აფხაზური ენის მიმართების შესახებ ქართველურ ენებთან:

П. Чарая, Об отношении абхазского языка к яфетическим, "Материалы по яфетическому языкознанию", IV, Саткт-Петербург, 1912 : VIII+82.

ამ ნაშრომში იყო რამდენიმე საინტერესო დაკავშირება, რომელთა კანონზომიერება მოგვიანებით გაიკვავა, მაგრამ წიგნის ისტორიული მნიშვნელობა უფრო საკითხის დაყენებაშია, ვიდრე მის გადაწყვეტაში, თუმცა თავისთავად საკითხის სწორად დაყენება მისი გადაჭრის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა.

კონკრეტულად კი ქართველურ და აფხაზურ-ადიღურ ენებს შორის კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისობების დადგენა არის პროფ. გიორგი როგავასა (ადიღურთან) და აკად. ქეთევან ლომთათიძის (აფხაზურთან) დამსახურება და 1955 წლიდან იღებს სათავეს. იმ წელს გ. როგავამ თბილისში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის VI(XII) სამეცნიერო სესიაზე 10 ივნისს წაიკითხა მოხსენება: „ბგერათფარლობის ზოგი საკითხი ქართველურსა და ადიღურ ენებში“ (მოხსენების თეზი-

სები იხ. როგავა 1955 12-14, რუსული ტექსტი 36-37), ხოლო ქ. ლომთათიძემ იმავე სამეცნიერო სესიაზე წაიკითხა მოხსენება: „ბგერათა პროცესებისა და ბგერათა შესატყვისობის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში (ქართველურ-აფხაზურ-ადიღურ ენათა მასალაზე)“ (მოხსენების თეზისები იხ. ლომთათიძე 1955 11-12, რუსული ტექსტი 34-35).

მოვიყვან პროფ. გ. როგავას თეზისებიდან ერთი რიგის შესატყვისობათა მაგალითებს, რადგან ისინი ცალსახად უჩვენებენ არა მხოლოდ იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფებს შორის ბგერათმესატყვისობათა დადგენის პროცესის რეალურ სირთულეს, ასევე მეთოდოლოგიურ სირთულეს, გამოწვეულს თბილისური ლინგვისტური სკოლის იმდროინდელი კომპარატივისტული განწყობით (установка).

გ. როგავას თანახმად:

„2. სპირანტებში დასტურდება შემდეგი სახის ბგერათმიმართება:

ქართ. ს — ას-ი ზან. შ — ოშ-ი სვან. შ — ა-შ-ირ ადიღ-ყაბ. ს₁ — ს₁ „ასი“;

ქართ. ს — სამ-ი ზან. ს — სუმ-ი სვან. ს — სემ-ი ადიღ. შ — შგ ყაბ. ს₁ — ს₁ „სამი“;

ქართ. ს — ხად ზან. ს — სოდე? „სად“? ადიღ. ს — სდ(ვ)? || ს₁ — ს₁დ(ვ) ყაბ. ს — სგ? „რა“?

ქართ. სვ — სვამს ზან. შვ — შუნს ადიღ. ს₁ — ძვ-ს₁ძ ყაბ. ძ — ძძძ „სვამს“;

ქართ. ს — ქსოვს ზან. შ — შუნს ყაბ. ს₁ — ძვ-ს₁ძ „ქსოვს“;

ქართ. შ — ეშინია ზან. შქ — ოშქურუნ || სქ — ორსქინანს „ემუქრება“ ადიღ. შ — შაშთან ყაბ. ს₁ — ს₁ოს₁თან „დაშინება“

3. რიგს შემთხვევაში სვანურის შდ-ს, რომელსაც ქართულსა და ზანურში შეესატყვისება თ (ვ. თოფურია), ადილურ ენებში შეეფარდება სპირანტები — ს₁ ან ს₂:

სვან. შდ — დაშდვ ქართ. თ — დათვი ზან. თ — თუნთი ადილ.-ყაბ. ს₁ — მეს₁ „დათვი“;

სვან. შდ — შდღე ქართ. თ — თოვს ზან. თ — თუნს ადილ.-ყაბ. ს — ჯჲსგ „თოვს“ (როგავე 1955 12-13).

შემდეგ მას მოაქვს ბგერათშესატყვისობათა (მასთან ბგერათში-მართებათა) მაგალითები აფრიკატთა რიგში და ასკვნის:

„5. როგორც აქ წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, სპირანტებსა და აფრიკატებში შიშინობისა და სისინობის მიხედვით ქართველურსა და ადილურ ენებს შორის არ დასტურდება რეგულარული შესატყვისობა. ასეთი რეგულარული სახის შესატყვისობა, როგორც ცნობილია, არც ქართველურ ენათა ფარგლებში ჩანს ყოველთვის, ზოგჯერ შიშინა წრის ენები (ზანური და სვანური) ქართულის სისინა ბგერების შესატყვისად წარმოგვიდგენს იმავე (სისინა) ბგერას: ქართ. სამ-ი ზან. სუმ-ი; ანდა პირიქით, ზანურ-სვანური სისინა ბგერის შესატყვისად ქართულში გვაქვს შიშინა სახეობა: ზან. სი ქართ. შენ და სხვა.

6. აფრიკატებსა და სპირანტებში შიშინობისა და სისინობის მიხედვით შეფარდებათა კანონზომიერების ასეთი არათანამიმდევრული ხასიათი უნდა მიეწერებოდეს იმას, რომ დასახელებულ ენებში ადგილი აქვს სისინა სპირანტებისა და აფრიკატების შიშინად ქცევის ერთიან პროცესს. ეს პროცესი არათანაბარი ტემპით მიმდინარეობს ცალკეულ ამ ენაში“ (როგავე 1955 13-14).

პროფ. გ. მაჭავარიანის მიერ საერთო-ქართველური ფუძე-ენის-

თვის სიბილანტთა სამი რიგის პოსტულირება, რასაც საფუძვლად ქართველურ ენათა შორის არსებული ბერათშესატყვისობების სისტემის ინდუქციური გზით დაზუსტება ედო, პროფ. გ. როგავას ზემოხსენებული თეზისების გამოქვეყნებიდან რამდენიმე წლის შემდეგ მოხდა და მან ცალსახად ახსნა ქართველურ ენათა ე. წ. სისინა და შიშინა წრის ენათა შორის არსებულ შესატყვისობათა დარღვევის შემთხვევებად მიჩნეულ მაგალითთა კანონზომიერი და რეგულარული ხასიათი.

რაც შეეხება ზემოთ მოყვანილ მაგალითებს, ქართველურ და დაღესტნურ ენათა შორის ბერათშესატყვისობის კანონზომიერთითქოსდა არარეგულარულ ხასიათს, მათი ახსნა უპრობლემოდ ხერხდება პროფ. ი. ბრაუნის მიერ საერთო-ბასკურ-ქართველური ფუძე-ენისათვის პოსტულირებულ სიბილანტთა ერთი — სისინა (ჩემი ინტერპრეტაციით „სისინ-შიშინა“) რიგის თეორიის ფარგლებში.

ქ. ლომთათიძის მიერ დასახელებულ ნაშრომში დადგენილი იყო შემდეგი ბერათშესატყვისობები:

- I. აფხ. (შ), ში ქართ., ადიღ. (ჟ), ჟო
- II. აფხ. შ, ში ქართ., ადიღ. ლ, ლო
- III. აფხ. შ, ში ქართ. რ, რვ (ლომთათიძე 1955 11-12).

იმავე (1955) წელს ქ. ლომთათიძემ იბერიულ-კავკასიური ენების შიდა და გარე ნათესაობისადმი მიძღვნილი დისკუსიის ფარგლებში, ჟურნალში "Вопросы языкознания" (№ 4) გამოქვეყნებულ სტატიის მიხედვით ქართველურ და აფხაზურ-ადიღურ ენებს შორის იმ დროისათვის გამოვლენილი ბერათშესატყვისობების მაგალითები.

დროთა განმავლობაში ხდებოდა ამ მაგალითთა რაოდენობრივი ზრდა, აფხაზურ-ადიღურსა და ქართველურ ენებს შორის პოვნისიერი

კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისობები სისტემის სახით პირველად „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლებში“ არის მოცემული.

ვ. ჩირიკბას ნაშრომზე (ჩირიკბა 1985), რომელშიც აფხაზურ-ადიღურ (resp. ჩრდილოდასავლურკავკასიურ) ენებთან ბასკურის ნათესაობის მტკიცების მცდელობაა მოცემული, ჩემი აზრი ბასკურის შედარებით შესწავლის საკითხთან მაქვს გამოთქმული.

აფხაზურ-ადიღური ენების შედარებითი შესწავლის ისტორია

აფხაზურ-ადიღური ენების შედარებითი შესწავლის მთავარი პრობლემა მათ შორის კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათმესატყვისობათა დადგენა იყო, თუმცა ამის გარეშეც იბერიულ-კავკასიურ ენათა ამ ენობრივი ჯგუფის ორ ქვეჯგუფში შემავალ ენათა ურთიერთნათესაობაში ეჭვი მათ მკვლევრებს არასდროს შეჰპარვიათ.

აფხაზურ-ადიღურ ენათა ქვეჯგუფებს შორის ბგერათმესატყვისობების დადგენასა და ფუძე-ენიდან ნამემკვიდრევი ლექსიკის გამოვლენას ცდილობდნენ როგორც სოხუმში:

Шакрыл К. С. Некоторые лексические и звуковые соответствия в абхазско-адыгских языках, Сухуми: "Алашара", 1968.

ასევე ნალჩიკში:

Абдоков А. И. Фонетические и лексические паралели абхазско-адыгских языков, Нальчик, 1973 და სხვ.

1979 წელს ნალჩიკში რუსულ ენაზე გამოიცა წიგნი, რომელმაც თავი მოუყარა აფხაზურ-ადიღური ენათმეცნიერების მთელ პრობლემატიკას:

Балкаров Б. Х. Введение в абхазо-адыгское языкознание, Нальчик, 1979.

1996 წელს კი ლეიდენში ინგლისურ ენაზე გამოიცა:

Chirikba V. A., Common West Caucasian. The Reconstruction of its Phonological System and Parts of its Lexicon and Morphology, Leiden: Research School CNWS.

სამწუხაროდ, ვიჩესლავ ა. ჩირიკბა არ მიეკუთვნება ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მკაცრი დამცველების კატეგორიას, რაც აისახა კიდევ საერთო-დასავლურკავკასიური ფონოლოგიური სისტემის მისეულ რეკონსტრუქციაში.

ადიღური (ჩერქეზული) ენების შედარებითი შესწავლის ისტორია

ადიღურ ენათა კვლევისას ისტორიულ-შედარებითი მეთოდი პირველად პროფ. გიორგი როგავამ გამოიყენა (კერაშევა 1994 233, 244).

ადიღურ ენათა ისტორიულ-შედარებითი მეთოდით მონოგრაფიული შესწავლის პირველი მცდელობაც უაღრესად წარმატებული აღმოჩნდა. მოსკოვში რუსულ ენაზე გამოიცა როგორც ადიღურ (ჩერქეზულ) ენათა ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკა (1981), ასევე ადიღურ (ჩერქეზულ) ენათა ისტორიულ შედარებითი გრამატიკა (1989):

М. А. Кумахов, Сравнительно-историческая фонетика адыгских (черкесских) языков, Москва : "Наука", 1981 : 288;

М. А. Кумахов, Сравнительно-историческая грамматика адыгских (черкесских) языков, Москва : "Наука", 1989 : 384.

ეს ფაქტობრივად ერთი, ორნაწილიანი, მონოგრაფიაა, რომლის 672 გვერდზე განხილული და გაანალიზებულია ადიღურ ენათა შედარებითი ფონეტიკის, მორფონოლოგიის, მორფოლოგიის და სინტაქსის ყველა პრინციპული საკითხი და არა მხოლოდ ადიღურ ენათა მ. კუმახოვი განიხილავს აგრეთვე დასავლურკავკასიურ ენათა დანაწევრების საკითხებს (კუმახოვი 1981 7-21, სადაც დამაჯერებლად ამტკიცებს საერთო-აფხაზურ-ადიღური ფუძე-ენის დიფერენციაციის პროცესის შედეგად ორი ენობრივი ერთობის წარმოქმნას: ერთი მხრივ, აფხაზურ-აბაზურის, მეორე მხრივ კი, ადიღურ-უბიხურის) და ძირის სტრუქტურას როგორც საერთო ადიღურში, ასევე დასავლურკავკასიურში (კუმახოვი 1981 256-267).

მუჰადინ კუმახოვი არა მარტო უთვალსაჩინოესი მკვლევარია ადიღური (და უბიხური) ენებისა (სინქრონიულ თუ დიაქრონიულ ჭრილში), არამედ ანგარიშგასაწევი თეორეტიკოსიც, რაც სათანადოდ აისახა კიდევ ზემოთ დასახელებულ ორტომეულში, რომელიც იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საეტაპო მიღწევათა რიცხვს განეკუთვნება.

აქვე მინდა დავასახელო კიდევ ერთი საყურადღებო მონოგრაფია ადიღურ ენათა შედარებით ფონეტიკაში:

Балкаров Б. Х. Фонетика адыгских языков (Синхронно-диахронное исследование), Нальчик : "Эльбрус", 1970.

ამ ნაშრომში ადიღურ ენათა ფონოლოგიური სისტემებისა და ფონეტიკური პროცესების სინქრონიული და დიაქრონიული ანალიზის გარდა წარმოდგენილია ავტორის თვალსაზრისი ადიღური ენების ძირის სტრუქტურისა და წინარე-ადიღური ენის ფონოლოგიური სისტემის შესახებ.

გავიხსენებ ერთ კომპაქტურ სტატიასაც, რომელიც თავისი შინაარსითა და მნიშვნელობით მონოგრაფიათა ტოლფასია:

Kuipers A. H. Proto-Circassian Phonology : an essay in reconstruction ("Studia Caucasica", nr. 1. 1963 : 56-92).

**ადიღურ (ჩერქეზულ) ენათა ეტიმოლოგიური
ლექსიკონები**

ადიღურ (ჩერქეზულ) ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი 1977 წელს გამოიცა მოსკოვში, ორ ტომად, რუსულ ენაზე:

Амин Шаги́ров, Этимологический словарь адыгских (черкесских) языков, т. 1. (А-Н) 292; т. 2. (П-1): 224, Москва : "Наука", 1977.

სპეციალისტების მიერ (ვ. შენგელია) არაერთხელ აღნიშნულა, რომ ადიღელთა (ჩერქეზთა) ღვაწლი საკუთარი ენის შესწავლაში განსაკუთრებულია და სანიმუშო, მათ პირველებმა ჩრდილოკავკასიულ ხალხთაგან შექმნეს თავიანთი ენებისთვის სრული ლინგვისტური კორპუსი:

ა) განმარტებითი ლექსიკონი: **А. А. Хатанов, З. И. Керешева, Толковый словарь адыгейского языка, Москва, 1960.**

ბ) ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკა: **М. А. Кумахов, Сравнительно-историческая фонетика адыгских (черкесских) языков, Москва : "Наука": 1981 : 288.**

გ) ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა: **М. А. Кумахов, Сравнительно-историческая грамматика адыгских (черкесских) языков, Москва : "Наука": 1989 : 384.**

ა. შაგიროვის ზემოხსენებული ეტიმოლოგიური ლექსიკონიც ამ თანამედროვე მეცნიერების დონის შესატყვისი, ლინგვისტური კორ-

პუსის ერთი უმთავრესი შემადგენელთაგანია.

ადილურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის ავტორი ამ ენათა ჰომოგენური ლექსიკის გარდა აანალიზებს ნასესხებ ლექსიკასაც, ნასესხებს როგორც მონათესავე, ასევე სხვა ენობრივი ოჯახების წევრი ენებიდან.

ეტიმოლოგიურ ლექსიკონში გაანალიზებული მასალა (სიტყვები) ანბანის რიგზეა გაწყობილი.

ამ ეტიმოლოგიური ლექსიკონის მნიშვნელობა ადილურ ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევისათვის მდგომარეობს იმაში, რომ მასში თითქმის სრულად არის წარმოდგენილი ადილურ ენათა შორის არსებული კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობების შემცველი მასალა უბიხური და აფხაზურ-აბაზური პარალელებით, რაც აფხაზურ-ადილური ჯგუფის ადილური ქვეჯგუფის ენებისათვის შედგენილ ეტიმოლოგიურ ლექსიკონს მთელი ენობრივი ჯგუფის მასშტაბით ანიჭებს ღირებულებას.

ამინ შაგიროვმა მოგვიანებით სცადა საფუძველი ჩაეყარა აფხაზურ-ადილურ ენათა მომავალი ეტიმოლოგიური ლექსიკონისთვისაც და თავისი იმჟამინდელი კვლევის შედეგები გამოსცა სათაურით:

Материальные и структурные общности лексики абхазо-адыгских языков, Москва : "Наука", 1982.

თუმცა ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ ა. შაგიროვის ეს მცდელობა ნაკლებ წარმატებული აღმოჩნდა, რადგან აფხაზურ და ადილურ ენებს შორის კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა ცალსახა სისტემის დადგენასთან დაკავშირებულ სიძნელეებს რაიმე თვისობრივი გარღვევა არ მოჰყოლია და საბოლოოდ არც აფხაზურ-ადილურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის იდეას შესხმია ხორცი.

ამინ შაგიროვი ცდას არ აკლებს არა მარტო პრაქტიკულად იზ-

რუნოს ეტიმოლოგიური ლექსიკონების შედგენაზე, არამედ საკუთარი თეორიული თვალსაზრისი გამოიმუშაოს. იხ. მისი:

"К методике восстановления утерянных лексических единиц (На матеряле абхазо-адыгских языков)" (შაგიროვი 1963);

"К реконструкции утраченных единиц лексической системы языка" (შაგიროვი 1968);

"О принципах составления этимологического словаря адыгских (черкесских) языков" (შაგიროვი 1992 457-466);

ისტორიულ-შედარებითი და რამდენაღმე ეტიმოლოგიური ხასიათის კიდევ ერთი ლექსიკონია შედგენილი ადიღური (resp. ჩერქეზული) ენებისათვის, ეს პროტო-ადიღურ ძირთა ლექსიკონია:

Kuipers A. H. A Dictionary of Proto-Ciscassian Roots, Lisse : Peter de Ridder, 1975.

ამ ლექსიკონის ავტორის თვალსაზრისზე საერთო-ადიღური ძირის სტრუქტურის შესახებ ზემოთ, შესაბამის ადგილზე უკვე მაქვს აზრი გამოთქმული.

აფხაზურ-აბაზური ენების შედარებითი შესწავლის ისტორია

აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი კვლევისადმი მიძღვნილი მონოგრაფია 1976 წელს გამოიცა თბილისში, ქართულ ენაზე:

ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, I, ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები, თბილისი „მეცნიერება“, 1976 344.

მონოგრაფია ორ წიგნად იყო ჩაფიქრებული — მეორე წიგნი

უნდა დასთმობოდა აფხაზური და აბაზური ენების გრამატიკული წყობის საკითხებს (ლომთათიძე 1976 3).

მონოგრაფიის შეპირებული მეორე წიგნი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის გამოცემული და, ამდენად, აფხაზურ-აბაზურის ისტორიულ-შედარებითი გრამატიკაც არ მოგვეპოვება. არადა, ქ. ლომთათიძის გამოკვლევის სრული სახით გამოცემას ის განსაკუთრებული მნიშვნელობაც ექნებოდა, რომ რაკი აფხაზური და აბაზური ფაქტობრივად ერთი ენის ორი დიალექტია, მათი ისტორიულ-შედარებითი ანალიზი დიალექტთა ისტორიულ-შედარებითი მეთოდით კვლევის ესოდენ იშვიათ და სასურველ ნიმუშად მოგვევლინებოდა იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში.

დიალექტთა ისტორიულ-შედარებითი კვლევის მაგალითად იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში, ჩვეულებრივ, ასახელებენ პროფესორ შიხაბუდინ მიქაილოვის მონოგრაფიებს:

Сравнительно-историческая фонетика аварских диалектов, Махачкала, 1958 : 160;

Сравнительно-историческая морфология аварских диалектов, Махачкала, 1964 : 172.

მაგრამ ეს, თავისთავად შესანიშნავი, მონოგრაფიები სინამდვილეში ჩემი თვალსაზრისის სისწორეს ადასტურებენ ხუნძური დიალექტების უმრავლესობისათვის ენის კვალიფიკაციის მიცემისთვის საკმარისი ლინგვისტური საფუძვლების არსებობის შესახებ.

მართალია, არსებობს კიდევ ვ. ი. ვან ეისის წიგნი ბასკური დიალექტების შედარებითი გრამატიკის შესახებ, გამოცემული XIX საუკუნეში:

Van Eys W. J., Grammaire comparét des dialects basques, Paris, 1879.

მაგრამ ეს ნაშრომი ისტორიულ-შედარებითი მეთოდის პრინცი-

პებსა და მოთხოვნებს ნაკლებად შეესაბამება.

რაც შეეხება აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძის მონოგრაფიის პირველ, გამოცემულ, ტომს მასში წარმოდგენილი ისტორიულ-მედარეობითი ანალიზი აფხაზურ-აბაზური ენის აფხაზურ და აბაზურ დიალექტურ წრეთა მოიცავს მათ ვოკალურ სისტემას, ფონეტიკურ პროცესებს ხმოვნებსა და დიფთონგებში, მახვილს, კონსონანტურ სისტემას, ფონეტიკურ პროცესებს თანხმოვნებში, თანხმოვანთკომპლექსებს სინქრონიასა და დიაქრონიამი და აფხაზურ-აბაზურ ძირთა და ფორმანტა ამოსავალი ტიპის დადგენის მცდელობას და იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-მედარეობითი შესწავლის საერთაპო ნიშანსვეტთა რიცხვს მიეკუთვნება. არნ. ჩიქობავა სამართლიანად ახასიათებდა ქ. ლომთათიძის ხსენებულ მონოგრაფიას, როგორც „ვრცელ, სისტემურ, მასთან ღრმა კვლევა-ძიების ნიმუშს...“ (ჩიქობავა 1979 18).

სისრულისათვის აქვე დავასახელებ კიდევ ერთ ნაშრომს: აფხაზურ-აბაზური დიალექტოლოგიის მიხედვით საერთო-აფხაზური ფუძე ენის ფონემური სისტემის რეკონსტრუქცია სცადა ვიაჩესლავ ჩირიკბამ 1994 წელს დაბეჭდილ სტატიაში:

В. А. Чирикба, Абхазо-абазинская диалектология и реконструкция праабхазской фонемной системы (В сб.: "Нартский эпос и кавказское языкознания", Маикоп, 1994 : 331-342).

ეს ნაშრომი, საზოგადოდ, ავტორის სხვა შრომებთან შედარებით უფრო შესაწყნარებელ შთაბეჭდილებას ახდენს წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით, ოღონდ მხოლოდ ფონეტიკურ ნაწილში, რაც შეეხება დაშლის რელატიურ ქრონოლოგიას, ამ ქრონოლოგიის დადგენის მეთოდს (ლექსიკოსტატისტიკურს) და პრა-აფხაზურის დივერგენციის გამოწვევი მიგრაციული ტალღების მიმართულებას, ეს უკვე არამეცნიერული ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება:

„წინასწარი ლექსიკოსტატისტიკური გათვლები ძირითადი ლექსემების სიის საფუძველზე აჩვენებს ძალიან დიდი პროცენტი მსგავსებისა ტაპანთურსა და ბზიფურს (აფხაზურ დიალექტთა წარმომადგენლად აღებული) შორის. ამ მონაცემთა ერთობლიობა იმისი თქმის უფლებას იძლევა, რომ ტაპანთური დიალექტის გამოყოფა საერთო-აფხაზურიდან მოხდა, როგორც ჩანს, დაახლოებით 500 წლის წინ. ამ დივერგენციისთვის სათავეს დადება შეეძლო ტაპანთურ დიალექტზე მეტყველთა წინაპრების მიგრაციის ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიიდან ჩრდილო კავკასიაში, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონოდა მე-15 საუკუნემდეც“ (ჩირიკბა 1994 341).

პრა-აფხაზური ფონემური სისტემის რეკონსტრუქციაზე უფრო საყურადღებო ვ. ჩირიკბას ნაშრომში აფხაზურ-აბაზური ენობრივი ერთობის დახასიათებისა ტრადიციულად განხილვადი ოთხი დიალექტის (ბზიფური, აბჟუური, აშხარული და ტაპანთური) გვერდით მებუთე — საძური დიალექტის „აღმოჩენა“ (?!), რომელიც დღეს მხოლოდ თურქეთშია წარმოდგენილი და რომელიც ადგილზე შეუსწავლია ავტორს (ჩირიკბა 1994 336) ისევე შეუსწავლია აფხაზურის ორი თქმაც (ოთხიდან) ასევე მხოლოდ თურქეთის ტერიტორიაზე პოვნიერი. მათი მოკლე და ამდენადვე ნაკლოვანი დახასიათებიდან (resp. კვალიფიკაციიდან) ჩანს, რომ ჩირიკბას, როგორც ლინგვისტის ძლიერ მხარეს, დიაქრონიულთან ერთად არც სინქრონიული მეთოდების ფლობა არ წარმოადგენს.

ბასკურ-ქართველური ენების შედარებითი შესწავლის ისტორია

ბასკურ-ქართველურ ენათა შედარებითი შესწავლის ათვლის წერტილი ცნობილია: 1948 წელი, როდესაც გამოქვეყნდა რენე ლაფონის

"Correspondances basque-caucasiques, II Siffilantes et chuintantes en basque et dans les langues caucasiques" (Eusko-Jakintza II : 362-367).

ამ ნაშრომში პირველად იქნა დადგენილი კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისობები ბასკურსა და ქართველურ ენებს შორის სიბილანტთა რიგში. მაგ.:

ქართველური	ბასკური
ძ	ც/ს
ც	ც/ს
წ	ჩ/შ

ქართველურ-ბასკური ბგერათშესატყვისობების სისტემის შემდგომი შეესება და დაზუსტება უკავშირდება კარლ ბოუდას, შაბიერ კინტანასა და იან ბრაუნის სახელებს.

ქართველურ-ბასკური ენების ისტორიულ-შედარებითი მეთოდით ნახევარსაუკუნოვანი კვლევის შედეგები თავმოყრილია იან ბრაუნის მულტილინგვურ მონოგრაფიაში, რომელიც 1998 წელს გამოიცა ვარშავაში:

Jan Braun, EUSCARO-CAUCASICA, Historical and Comparative Studies on Kartvelian and Basque, Warszawa : "DIALOG", 1998 : 149.

ეს არის ერთიანი გეგმით შექმნილი მონოგრაფია, რომლის თავები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ენაზე ქვეყნდება და ამავე თანამიმდევრობითა და სახით არის თავმოყრილი წიგნში, რომლის შინაარსიც ამგვარია:

1. შესავალი (ინგლისურ ენაზე) 5-7;
2. Euscaro-Caucasica (ესპანურ ენაზე. ბასკური 16-17, ინგლისური 17 და ფრანგული 17-18 რეზიუმეებით) 9-18; პირველი პუბლიკაცია — 1981;
3. აფრიკატები ქართველურ ენებში და მათი რეგულარული შესატყვისობები ბასკურში (ესპანურ ენაზე) 19-27;
4. ველარული, ფარინგალური და ლარინგალური თანხმოვნები ქართველურ ენებში და მათი რეგულარული შესატყვისობები ბასკურში (ესპანურ ენაზე) 29-42;
5. რეგულარული ფონემატური შესატყვისობები რომლებიც პოენიერია ქართველურ ენებსა და ბასკურს შორის (ესპანურ ენაზე) 43-45;
6. დადგენილ შესატყვისობათა მაგალითები (ესპანურ ენაზე) 47-93;
7. არტიკლის გრამატიკული კატეგორია ქართველურსა და ბასკურში. კომპარატივისტული გამოკვლევა (ინგლისურ ენაზე) 95-99; პირველი პუბლიკაცია — 1988;
8. პროტო-ქართველური ბრუნება და მისი განვითარება (ინგლისურ ენაზე) 101-104; პირველი პუბლიკაცია — 1991-1992;
9. ზმნის სტრუქტურისა და მექანიზმის შესახებ ძველ ქართულში (ესპანურ ენაზე. ფრანგული რეზიუმე: 108-109) 105-109
10. კაუზატივის უძველესი ფორმები ქართველურ ენებსა და ბასკურში (რუსულ ენაზე) 111-115; პირველი პუბლიკაცია — 1988;

11. ნაზმნარი სახელები ქართველურ ენებსა და ბასკურში (ესპანურ ენაზე) 117-123; პირველი პუბლიკაცია — 1988;
12. როდის დაკარგეს ბასკებმა კონტაქტი დანარჩენ ქართველურ ტომებთან (რუსულ ენაზე) 125-135 პირველი პუბლიკაცია — 1993;
13. მწერთა სახელები ქართველურ ენებსა და ბასკურში (ესპანურ ენაზე. ფრანგული რეზიუმე 142) 137-142; პირველი პუბლიკაცია — 1994;
14. ცეცხლი... წყალი (რუსულ ენაზე) 143-146; პირველი პუბლიკაცია — 1997;

Euscario-Caucasica-ს ამავე სახელწოდების თავი თარგმნილი და გამოქვეყნებულია „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადეულის“ VIII ტომში (1981) ქართულ (203-208) და რუსულ (208-214) ენებზე, ინგლისური რეზიუმეით (214-215).

რაც შეეხება თავს „დადგენილ შესატყვისობათა მაგალითები“ — ის ფაქტობრივად წარმოადგენს ბასკურ-ქართველურ ენათა ერთგვარ შედარებით ლექსიკონს, გაწყობილს არა ანბანის ან სემანტიკური ჯგუფების თანახმად, არამედ შესადარებელ სიტყვებში შემავალი ხმოვნებისა და თანხმოვნების ლოკალური რიგების მიხედვით.

იან ბრაუნის უდავო დამსახურებათა რიცხვს განეკუთვნება ბასკური ენის კონკრეტული ადგილის განსაზღვრა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში.

იან ბრაუნამდე ბასკური სისტემურად თუ უსისტემოდ დარჩებოდა ზოგადად და ერთობლივად ყველა იბერიულ კავკასიურ ენას (მაგ., ერთი ბასკური სიტყვა აფხაზურს, მეორე — ადიღურს, მესა-

მე — ქართულს, მეოთხე — ზანურს, მეხუთე — ბაცბურს, — მეექვსე — ჩეჩნურს, მეშვიდე — ხუნძურს და ა. შ.) და თანაც ის, რომ თვით ამ სიტყვათა კავკასიური წარმოშობა დადასტურებული არ იყო კომპარატივისტული მეთოდით. ბასკურს ადარებდნენ აგრეთვე ამ ოჯახის ცალკეულ ჯგუფთა (აფხაზურ-ადიღურის, ქართველურის, ნახურ-დაღესტნურის) ენებს კრებსითად თუ ცალ-ცალკე (მაგ., ჩემთვის ცნობილი უკანასკნელი ასეთი ცდა ეკუთვნის ვ. ჩირიკბას, რომელმაც სცადა თავი მოეყარა ყველა მანამდე არსებული ბასკურ-აფხაზურ-ადიღური დაკავშირებისათვის, რომლებიც ულენბეკს, დიუმეზილს, ლაფონსა და ბოუდას ეკუთვნოდა და უკვე უარყოფილი იყო ლ. მიჩელენას მიერ, და დაამატა თავისი, კიდევ უფრო საექვო, შეპირისპირებანი ჩირიკბა 1985 95-105) და ა. შ.

იან ბრაუნის გამოკვლევების შემდეგ დღის წესრიგიდან მოიხსნა საკითხი ბასკური ენის მონაცემების პირდაპირი შედარებისა იბერიულ-კავკასიურ ენათა სხვა ჯგუფებთან გარდა ქართველურისა, რომელთანაც გამოვლინდა ბასკურის უახლოესი ნათესაობა რეკონსტრუირებადი საერთო-ბასკურ-ქართველური ფუძე-ენის ჩათვლით. შესაბამისად, ბასკური ენის მასალა შეიძლება შედარებულ იქნეს აფხაზურ-ადიღური და ნახურ-დაღესტნური ენების მასალასთან, მხოლოდ ბასკურ-ქართველური ჯგუფის (resp. ფუძე-ენის) პოზიციიდან.

უკვე თავისთავად ის ფაქტი, რომ იან ბრაუნმა განსაზღვრა ბასკური ენის ადგილი იბერიულ-კავკასიურ ენათა პროტო-ქართველურ (resp. ბასკურ-ქართველურ) ენათა ჯგუფში, სახავს სრულიად ახალ პერსპექტივებს საკვლევო პრობლემის თვალსაზრისით.

როგორც წიგნის თავთა დასათაურებიდანაც ჩანს, იგი მოიცავს ბასკურ-ქართველური ენების არა მხოლოდ შედარებითი ფონეტიკის, არამედ მორფოლოგიისა და ლექსიკის არსებით საკითხებსაც, სადაც

ერთობა როგორც სტრუქტურულად, ასევე მასალობრივად დასტურდება — ამ მხრივ ის ბასკურ-ქართველური ენების ვრცელი შედარებითი გრამატიკის წინამორბედი და საიმედო საძირკველია.

იან ბრაუნის როგორც მკვლევრის თავისებურებას წარმოადგენს ბასკურ-ქართველურ შესატყვისობათა დადგენისას ძველ ქართულზე ორიენტირება და სხვა ქართველური ენების მასალის მოხმობა ოდენ საილუტსრაციო ფუნქციით და ეს ავტორის პოზიციით, მისი მიმხრობით გარკვეული ლინგვისტური თვალსაზრისისადმი არის განპირობებული.

არნოლდ ჩიქობავას მიერ 1948 წელს წამოყენებული ამ თვალსაზრისის თანახმად, ისტორიულად დადასტურებული ქართული ენა უშუალო ანუ პირდაპირი გაგრძელებაა ისტორიამდელი ასევე ქართული ენისა და ამასთანავე დაცული აქვს ამოსავალი ფონოლოგიური სისტემა და გრამატიკული ტიპი. ზანური (მეგრულ-ჭანური) ამ ქართული ენის ერთგვარ ტრანსფორმაციას წარმოადგენს, ხოლო სვანური, თავის მხრივ, გარკვეული „აგრეგატია“ ზანურისა და ადიღური ენების კომბინირებით მიღებული (ჩიქობავა 1948 255-275). არნოლდ ჩიქობავას ეს თვალსაზრისი არასოდეს შეუცვლია, მაგალითად, ის 1965 წელსაც ამასვე წერდა: „... ისტორიულ თვალსაზრისზე მდგომი მკვლევარი **ჭანურს, მეგრულსა და ქართულს** ერთ სიბრტყეზე ვერ დააყენებს. **ჭანური და მეგრული იბერიულ-ქართულის** გამონაყოფია და ამოსავალ ვითარებაში ცალკე ერთეულს (მით უფრო — ორს) ვერ შექმნის ქართულის გვერდით (ჩიქობავა 1965 343).

მეორე თვალსაზრისის თანახმად, საერთო-ქართველური ფუძე-ენის კონსონანტური სისტემა უცვლელად არ ასახულა არცერთ ისტორიულად დადასტურებულ ქართველურ ენაში და მან სრუ-

ლიად სხვადასხვა ტიპის მოდიფიკაციები განიცადა დასავლურ (სვანურ-ზანურ) და აღმოსავლურ (ქართულ) არეალებში, რასაც მოჰყვა კიდევ ფუძე-ენის დიფერენციაცია სწორედ მოდიფიკაციათა ტიპების მიხედვით.

ამ მეორე თვალსაზრისის ავტორი გივი მაჭავარიანია და მან იგი 1960 წელს წამოაყენა აღმოსავლეთმცოდნეთა XXV საერთაშორისო კონგრესზე. მოხსენების ტექსტი ბროშურებად იქნა გამოცემული რუსულ ("О трех рядах Сибилянтых спирантов и аффрикат в картвельских языках", Москва, 1960 : 11) და ინგლისურ ("Three Series of Sibilant Spirants and Affricates in Kartvelian Languages", Moscow, 1960 : 12) ენებზე, 1965 წელს კი მონოგრაფიის სახით გამოიცა ქართულად —

„საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა“, თბილისი თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1965 136).

როგორც ერთ, ასევე მეორე თვალსაზრისს ჰყავს თავისი მომხრეები. პროფესორი იან ბრაუნი, როგორც ვთქვი, არნოლდ ჩიქობავას თვალსაზრისს იზიარებს და ძველი ქართულის ჩვენებას ამიტომაც ანიჭებს უპირატესობას.

ძველ ქართულზე ორიენტაცია იმ შემთხვევაში იქცევა ხოლმე სერიოზულ დაბრკოლებად, როდესაც მის ჩვენებებს სხვა ქართველურ ენათა მონაცემები არ უჭერს მხარს და, შესაბამისად არა თუ არქეტიპის რეკონსტრუქცია, არამედ თვით ქართულ-ბასკური მასალის შედარების კანონზომიერება ხდება პრობლემური და ზოგჯერ საეჭვო ან სულაც მცდარი, მაგრამ ჩვენ უსაზღვროდ მაღლიერნი უნდა ვიყოთ მისი ავტორის, რადგან მის მიერ მოხმობილი მასალის გაცნობის და დაზუსტების შემდეგ, კომპარატივისტული მეთოდის მკაცრი გამოყენებით, ჩვენ გვრჩება კანონზომიერ და რეგულარულ

შესატყვისობათა მთელი სისტემა ქართველურსა და ბასკურს შორის, რომელიც სრული უეჭველობით ამტკიცებს ამ ენათა ნათესაობას.

სწორედ ამიტომ იან ბრაუნის „Euscaro-Caucasica“-ს მნიშვნელობა ბევრად მეტია, ვიდრე საეტაპო ნაშრომისა, ის ეპოქალურ მიღწევათა რიგს განეკუთვნება.

და ბოლოს, არა მხოლოდ ბასკურ-ქართველური, არამედ საერთოდ იბერიულ-კავკასიური ენების ისტორიულ-შედარებითი შესწავლისათვის უაღრესად პროდუქტიული აღმოჩნდა საერთო-ბასკურ-ქართველურისათვის დადგენილ შესატყვისობათა ინტერპრეტაციის საფუძველზე პოსტულირებული, სიბილანტურ აფრიკატთა და სპირანტთა ერთი რიგის თეორია, რომელმაც კანონზომიერად რეგულარული ხასიათი მისცა მანამდე კანონზომიერად, მაგრამ არარეგულარულად მიჩნეულ კორესპოდენციათა მნიშვნელოვან ნაწილს.

სიბილანტურ აფრიკატთა და სპირანტთა ეს ერთი რიგი პროფ. იან ბრაუნის მიერ დახასიათებულთა როგორც **სისინა**, რაც სრულ შესაბამისობაში, ე. წ. უნივერსალიათა მოთხოვნებთან და თავისი ტიპოლოგიური პარალელი აქვს ინდო-ევროპული ფუძემდების რეკონსტრუირებულ სისტემასთან (გამყარელიძე, ივანოვი 1984, I 116-134).

მაგრამ, მეორე მხრივ, თუ დიქტომიური ფონოლოგიის პოზიციიდან მივუდგებით სიბილანტურ აფრიკატთა და სპირანტთა ერთი რიგი პრინციპულად არ შეიძლება როგორც **სისინა**, თუ მას არა აქვს ოპოზიცია **შიშინა** რიგის სახით, რადგან **სისინად** და **შიშინად** ესა თუ ის რიგი შეიძლება იყოს კვალიფიცირებული მხოლოდ ერთმანეთთან მიმართებაში, ორივეს ერთდროული პოვნეიერების შემთხვევაში.

ამიტომ საერთო-ბასკურ-ქართველური ფუძემდების ქრონოლოგი-

ურ დონეზე რეკონსტრუირებად სიბილანტურ აფრიკატთა და სპირანტთა ერთ (resp. ერთადერთ) რიგს მე პირობითად მოვიხსენიებ როგორც „სისინ-შიშინა“-ს და ad hoc ეს ტერმინი სულაც არ არის იდენტური აფხაზურ-აბაზური ენებისთვის სპეციფიკური სისინ-შიშინა სიბილანტებისა თუ საერთო-ქართველური ფუძე-ენისათვის პოსტულირებული შუა-სიბილანტური რიგისა.

**ქართველური ენების შედარებითი
შესწავლის ისტორია**

ქართველურ ენათა შედარებითი შესწავლის მეცნიერული ისტორია პროფესორ ალექსანდრე ცაგარლის (1844-1929) შრომებით იწყება, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავენ ივ. ჯავახიშვილი (1937 7) და არნ. ჩიქობავა (1965 301. შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 1990 6), მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი:

1) Сравнительный обзор морфологии иберийской группы кавказских языков, Санкт-Петербург, 1872 49. ლითოგრაფიული გამოცემა, მეორე, ბეჭდური გამოცემა Тбилиси Издательство тбилисского университета, 1957.

2) Мингрельские этюды. Вып. 2 Опыт фонетики мингрельского языка, Санкт-Петербург Типография Императорской Академии Наук, 1980 : VIII+92.

დღეს ამ წიგნებს მნიშვნელობა მხოლოდ ქართველურ ენათა შედარებითი შესწავლის ისტორიის თვალსაზრისითღა აქვს, მაგრამ ეს ისტორიული მნიშვნელობა თუ ღირებულება განსაკუთრებულია

და საეტაპო ალექსანდრე ცაგარელი მკაცრი მეცნიერული მეთოდების მომხრე იყო და შეძლებისდაგვარად ცდილობდა ამ მეთოდების მთელი სიმკაცრით დაცვას, სხვა საკითხია, ყოველთვის და რამდენად წარმატებული იყო ხოლმე ეს მცდელობა.

ყველაზე მთავარი და იმავდროულად სამწუხარო არის ის ფაქტი, რომ „მეგრული ეტიუდების“ გამო ალექსანდრე ცაგარელი იძულებული გახდა 36 წლის ასაკში სამუდამოდ ჩამოშორებოდა არა მარტო ქართველურ ენათა შედარებით კვლევას, არამედ ფაქტობრივად მიმდინარე პროცესებს ქართველოლოგიაში და მხოლოდ უნივერსიტეტში ლექციების კითხვით დაკმაყოფილებულიყო.

ამის მიზეზად იქცა ის შეუწყნარებელი, აღმშფოთებელი და აგრესიული რეაქცია, რაც ა. ცაგარლის მეგრული ეტიუდების ორწიგნეულის გამოცემას მოჰყვა ავტორის სამშობლოში, სადაც ეს ნაშრომი აღქმული იყო რუსეთის იმპერიის უკომპრომისო რუსიფიკატორული პოლიტიკის (რომელიც ცდილობდა ერთიანი ქართველი ერის დაშლას მის შემადგენელ ეთნოგრაფიულ ჯგუფებად, უპირველეს ყოვლისა, უმწერლობო ქართველური ენებისთვის „დამწერლობების“ შექმნით) ფონზე და კონტექსტში (იხ. აგრეთვე ჭავჭავაძის 1937 7-8).

როგორც დროისა და მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ აჩვენა, ალექსანდრე ცაგარლის მეცნიერულ გამოკვლევებს არანაირი ბზარი არ გაუჩენია ქართველთა ეროვნულ ცნობიერებაში, ხოლო რაც შეეხება სასოწარკვეთაში სიტუაციის არაადეკვატურად ჩავარდნილი თანამემამულეების მხრიდან არაკორექტული ზეწოლის გამო, მისი მეცნიერული მოღვაწეობის შეწყვეტას და თვითიზოლირებას, ეს ძალიან ძვირად დაუჯდა ქართველოლოგიას.

ეს ეხება არა მარტო ქართველურ ენათა შედარებითი კვლევის შეწყვეტასა და რამდენიმეწლიან ჩავარდნას ამ სფეროში, გამოწვეულს მაღალნიჭიერი პროფესიონალი ენათმეცნიერის განდგომით, არამედ შემდგომ პერიოდსაც, როდესაც ნიკო მარის იაფეტური თეორიის პირველ, ე. წ. ქართველოლოგიურ ეტაპს, რომელიც სემიტური და ქართველური ენების ნათესაობის ჰიპოთეზას ეყრდნობოდა, ფაქტობრივად არავისი მხრიდან არ მოჰყოლია მარის მიერ „დადგენილი“ ბგერათშესატყვისობების კომპარატივისტული ვერიფიკაცია, რისი გაკეთებაც იმ დროს ალბათ ყველაზე კარგად ალექსანდრე ცაგარელს ხელეწიფებოდა — ქართველურთან ერთად სემიტური ენების საფუძვლიანად მცოდნეს.

რაც შეეხება საკუთრივ მონოგრაფიას „მეგრული ეტიუდები“, II, მასში პირველად ქართველოლოგიის ისტორიაში არის ჩამოყალიბებული ქართულსა და მეგრულს შორის პოზიციური კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისობების სრული სისტემა. ქართულ-ზანურ ბგერათშესატყვისობათა დადგენის ისტორია ალ. ცაგარლით არ დაწყებულა, მას ჰყავდა წინამორბედები გ. როზენისა (1820-1891) და მარი ბროსეს (1802-1880) სახით, მაგრამ მათი უაღრესად მნიშვნელოვანი ცალკეული შეპირისპირებანი და შენიშნული ბგერათშესატყვისობანი სწორედ ალ. ცაგარელმა, საკუთარ მიგნებებთან ერთად, აქცია ერთი მთლიანი სისტემის წევრებად.

ცხადია, ალ. ცაგარლის ნაშრომში არაერთი უზუსტობა და ხარვეზი შეინიშნება, მაგრამ მთლიანობაში მისი ღირსებები განუზომლად აღემატება მისივე ნაკლს.

ალექსანდრე ცაგარლის შემდეგ, ჩვეულებრივ, ასახელებენ აკადემიკოს ნიკო მარს, როგორც ეპოქის შემქმნელს ქართველურ ენათა შედარებითი შესწავლის სფეროში (ჯავახიშვილი 1937 9;

ჩიქობავა 1965 324), მაგრამ მე მომიწევს ამ ტრადიციული სქემის შეცვლა და პროფესორ ა. ცაგარლის შემდეგ მასწავლებელ პეტრე ჭარაიას (1861-1919) დამსახურების აღნიშვნა ქართველოლოგიის კვლევის საქმეში, რომელსაც თუმცა, ნიკო მარისაგან განსხვავებით, ახალი ეპოქა არ შეუქმნია ქართველოლოგიაში, მაგრამ კვალი კი მნიშვნელოვანი დატოვა.

პეტრე ჭარაიამ შექმნა ორი უალრესად საყურადღებო ნაშრომი შედარებით ქართველოლოგიაში, რომლებიც წიგნად სამწუხაროდ დღემდე არ არის გამოცემული:

1) „მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან (მასალა)“ (ჟურნალი „მოამბე“, 1895, X და XII, 1986, I.)

2) „ქართულ-მეგრული და მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი (მასალები იაფეტურ ენების მკვლევართათვის), 1918, ტფილისი (ხელნაწერი)

პირველ ნაშრომთან, უფრო სწორად, მის სათაურთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მისი პარადოქსულობა, რა დიალექტია ასეთი, რომლის ნათესაობრივ დამოკიდებულებასაც საკუთარ ენასთან დამტკიცება სჭირდება, იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში არსებული იმ ფსიქოლოგიური განწყობით აიხსნება, რომელმაც ალექსანდრე ცაგარელს ხელი ააღებინა შემდგომ სამეცნიერო მუშაობაზე.

ეს ნაშრომი შედარებითია და მასში: „პ. ჭარაია ცდილობს დააზუსტოს ქართულისა და მეგრულის ბგერათშესატყვისობანი. საყურადღებოა მის მიერ პირველად წამოყენებული შეპირისპირებანი, რომელთა საკმაო ნაწილი ეჭვს არ იწვევს...“ (ფენრიხი, სარჯველაძე 1990 7).

რაც შეეხება მეორე წიგნს, მას ყველა შანსი ჰქონდა ყოფი-

ლიყო ქართველურ ენათა პირველი შედარებითი ლექსიკონი, მაგრამ მისი გამოცემის ვერგანხორციელების გამო ეს შანსი გამოუყენებელი დარჩა.

პეტრე ჭარაიას პროფესიული ლინგვისტური განათლება არ მიუღია, მით უმეტეს არ გაუვლია სპეციალური კომპარატივისტული მომზადება, მაგრამ თანდაყოლი ნიჭიერების, გონიერებისა და შრომისმოყვარეობის წყალობით შექმნა ნაშრომები, რომლებმაც პოზიტიური როლი შეასრულეს როგორც ქართველურ ენათა, ასევე ზოგადად იბერიულ-კავკასიური ენების შედარებითი შესწავლის საქმეში.

როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, აკადემიკოს ნიკო მარს (1863-1934), რომლის სახელსაც უკავშირდება ასეულობით წარმატებული შეპირისპირება ქართველურ, ქართველურ-ბასკურ, ქართველურ-აფხაზურ, ქართველურ-დაღესტნურ ენებს შორის, ათეულობით ორიგინალური და დამაჯერებელი ეტიმოლოგია და სხვ., არ დაუტოვებია არც ერთი მონოგრაფიული ნაშრომი იაფეტურ (resp. ქართველურ, ბასკურ და კავკასიურ) ენათა შედარებითი შესწავლის სფეროში და ყოვლად უსისტემოდ გაფანტული მისი წარმატებული თუ წარუმატებელი კომპარატივისტული ფრაგმენტების მისაკვლევად მისი ყველა გამოქვეყნებული (ი. მეგრელიძის თანახმად, მათი რიცხვია 575, მეგრელიძე 1964 243-249) ნაშრომის მოხმობა ხდება საჭირო.

აკად. არნოლდ ჩიქობავას (1898 -1985) კომპარატივისტული ხასიათის ნაშრომებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია:

სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1948: XXXVI + 344,

რომელიც წინამდებარე მონოგრაფიაში სათანადო ადგილას

მაქვს განხილული და მასზე აქ სიტყვას არ გავაგრძელებ.

ქართველურ ენათა ისტორიული და შედარებითი ფონეტიკის კვლევის სფეროში თვისობრივი გარღვევა მოხდა 1960 წელს, როდესაც აღმოსავლეთმცოდნეთა XXV საერთაშორისო კონგრესისთვის მოსკოვში გამოიცა გ. მაჭავარიანის მოხსენება: „სიბილანტურ სპირანტთა და აფრიკატთა სამი რიგის შესახებ ქართველურ ენებში“ რუსულ (11 გვ.) და ინგლისურ (12 გვ.) ენებზე, ხოლო საბოლოო სახით ეს თეორია ჩამოყალიბდა მონოგრაფიაში:

საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1965: 136).

ნაშრომი შედგება წინასიტყვაობის (გვ. 5-7), შესავლისა (პარაგრაფები 1-2, გვ. 9-10) და სამი ნაწილისგან: ნაწილი I, თანხმოვან ფონემათა პარადიგმატული სისტემა (გვ. 11-77), რომელშიც ორი თავია: 1. სისტემის სინქრონიული აღწერა (პარაგრაფები 3-4, გვ. 11-14), 2. რეკონსტრუქციის პროცედურა (პარაგრაფები 5-18, გვ. 14-77); ნაწილი II. კონსონანტური ჯგუფები (გვ. 77-101), რომელშიც სამი თავია: 3(1). წინასწარი შენიშვნები (პარაგრაფები 19-20, გვ. 77-80), 4(2). ჰარმონიული ჯგუფები (პარაგრაფები 21-29, გვ. 81-96), 5(3). არაჰარმონიული ჯგუფები (პარაგრაფები 30-32, გვ. 96-101); ნაწილი III. ტიპოლოგიური პარალელები და საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემის დიალექტური მოდიფიკაციები (პარაგრაფები 33-34, გვ. 101-117).

ამ ნაშრომის, რომლის ძირითადი დებულებები დღემდე არ არის გაზიარებული ან გააზრებული ქართველოლოგთა ერთი ნაწილის მიერ, მნიშვნელობა ეპოქალური ხასიათისაა და სრული პასუხისმგებლობით უნდა ვთქვა, რომ ისტორიულ-შედარებითი კვლევის (resp. დიაქრონიული ფონოლოგიის) სფეროში, მთელს იბერიულ-კავ-

კასიურ ენათმეცნიერებაში, გვი მაჭავარიანის მონოგრაფიის გვერდით უშეღავათოდ მხოლოდ ბასკურის ისტორიული ფონეტიკის შესახებ ლუის (კოლდო) მიჩელენას (მიჩელენა 1961) და დალესტნურ ენათა შედარებითი ფონეტიკის შესახებ ბაქარ გიგინეიშვილის (გიგინეიშვილი 1977) მიერ დაწერილი მონოგრაფიები თუ დადგებიან.

გ. მაჭავარიანის (1927-1968) ამ წიგნს მიეძღვნა სულ რამდენიმე რეცენზია:

Г. Климов, Мачавариани Г. И. Общекартвельская консонантная система ("Известия Академии Наук СССР", том. 27, №1, 1968: 72-75;

Мачавариани М., Сорлович И., Г. И. Мачавариани, общекартвельская консонантная система ("Мимомхилвели" №6-9, ТГУ, 1972: 449-453 (რუსულად; 453-458 ინგლისურად)...

ქართველურ (resp. სამხრეთკავკასიურ) ენათა ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკის საკითხებს ეხებოდა კარლ-ჰორსტ შმიდტის უაღრესად საყურადღებო მონოგრაფია (კ.-პ. შმიდტი 1962: 160), რომელიც სასწრაფოდ ითარგმნა ქართულად (კ.-პ. შმიდტი 1964: 1-91) და რომელსაც ქართველოლოგთა შორის გამოუჩნდა როგორც კრიტიკოსები (გ. მაჭავარიან 1964 და 1965: 56-59), ასევე მხარდამჭერები (ი. მელიქიშვილი 1980: 46-57).

რაც შეეხება ქართველ ენათა შედარებით გრამატიკას, ის სრული სახით არ არის გამოცემული, თუმცა არსებობს ლინგვისტიკის თანამედროვე დონის შესატყვისი მონოგრაფიები, რომლებიც მიძღვნილია ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის საკვანძო საკითხებისადმი:

1. G. Deeters, *Das Kharthwelische Verbum, Vergleichende Darstellung des Verbalbaus der südkaukasischen Sprachen*, Laipzig: "Markert und Petters", 1930: 258.

2. თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბილის-

სი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1959 : 88.

3. არ. მარტიროსოვი, ნაცვალსახელი ქართველურ ენებში. ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1964: XI+404.

4. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. საერთო-ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია. გ. წერეთლის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბილისი: „მეცნიერება“, 1965: 060+512 (გერმანული თარგმანი: Tübingen: "Günter Narr Verlag", 1982). ამ წიგნის შესახებ გ. მაჭავარიანი „საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემის“ წინასიტყვაობაში წერდა: „წინამდებარე გამოკვლევა წარმოადგენს ნაწილს პროგრამისას, რომლის განხორციელებასაც შედეგად უნდა მოჰყვეს ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის სრული კურსის ჩამოყალიბება. აღნიშნული პროგრამის პირველი და ყველაზე არსებითი ნაწილი უკვე შესრულებულია და წარმოდგენილია კოლექტიური მონოგრაფიის სახით“ (გ. მაჭავარიანი 1965: 5).

5. ჰ. ფენრიხი, ენათა გენეტური ნათესაობის დასაბუთების კრიტერიუმები და ადრინდელი საერთო-ქართველური ფუძეების ძირეულ მორფემათა სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1978: 140.

6. ა. ონიანი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები. ზმნის პირი, რიცხვი, ინკლუზივ-ექსკლუზივი, თბილისი: „განათლება“, 1978: 248; მისივე, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები (სახელთა მორფოლოგია), თბილისი: „განათლება“, 1989: 320.

ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხებს ეხებოდა არაერთი სადოქტორო თუ საკანდიდატო დისერტაცია, მათგან ფუძემდებლური მნიშვნელობისა:

ავთანდილ არაბულის „სახელისა და ზმნის დერივაციის ურთიერთმიმართების საკითხები ქართველურ ენებში“ (სადოქტორო

დისერტაცია. 1997), მასზე სათანადო ადგილას არის მსჯელობა წინამდებარე მონოგრაფიაში.

აღსანიშნავია აგრეთვე:

გ. მაკავარიანი, ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში. ნაწილი I. (საკანდიდატო დისერტაცია. 1953),

თ. ზურაბიშვილი, ხარისხი ქართველურ ენებში (საკანდიდატო დისერტაცია. 1956),

ლ. სანიკიძე, რედუქციაცია ქართველურ ენებში (საკანდიდატო დისერტაცია. 1968),

რ. შეროზია, პოტენციალისის კატეგორია ქართველურ ენებში (საკანდიდატო დისერტაცია. 1985),

მ. ნაჭყებია, მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსური ურთიერთობა ქართველურ ენებში (საკანდიდატო დისერტაცია. 1987),

კ. გაბუნია, სივრცულ და დროულ მიმართებათა ასახვის ძირითადი თავისებურებანი ქართველურ ენებში (საკანდიდატო დისერტაცია. 1989), მისივე, ბრუნვათა სისტემები ქართველურ ენებში, დიაქრონიული ანალიზი (სადოქტორო დისერტაცია. 1998) და სხვ.

ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი და ეტიმოლოგიური კვლევის არაერთი პრინციპული საკითხი არის გადაწყვეტილი სხვადასხვა თაობის თვალსაჩინო ქართველოლოგთა — აკაკი შანიძის, იოსებ ყიფშიძის, გიორგი ახვლედიანის, კარპეზ ღონდუას, ვარლამ თოფურიას, გიორგი როგავას, სერგი ჟღენტის, ქეთევან ლომთათიძის, ტოგო გუდავას, მზექალა შანიძის, ნათელა ქუთელიას, გიორგი კლიმოვის, ბაქარ გიგინეიშვილის, ვაჟა შენგელიას, მურმან სუხიშვილის, ბესარიონ ჯორბენაძის, და სხვათა ნაშრომებში.

ქართველურ ენათა გამოცემული შედარებითი გრამატიკები

ქართველურ ენათა მთლიანი და სისტემური შედარებითი გრამატიკა სრული სახით დღემდე არ არის გამოცემული, თუმცა ის სალექციო კურსის სახით იკითხებოდა სანკტ-პეტერბურგისა (resp. ლენინგრადის) (ნ. მარი) და თბილისის (ა. შანიძე, გ. მაჭავარიანი) უნივერსიტეტებში.

აკად. ნ. მარი 1926 წელს წერდა:

„... ძირითადი შრომები „შედარებითი გრამატიკა იაფეტური ენებისა სემიტურებთან“, „შედარებითი გრამატიკა სიბილანტური შტოს იაფეტური ენებისა“ და მ. შ., ასევე „მეტყველების პალეონტოლოგია“ საერთოდ არ ყოფილა გამოქვეყნებული სრული სახით. სრული სახით ისინი მხოლოდ იკითხებოდნენ როგორც კურსები ლენინგრადის უნივერსიტეტში“ (მარი 1933, I: 226-227).

აქ „შედარებითი გრამატიკა სიბილანტური შტოს იაფეტური ენებისა“ უდრის „ქართველურ ენათა შედარებით გრამატიკა“-ს, უარეს შემთხვევაში „ქართულ-ზანურის შედარებით გრამატიკა“-ს.

აკად. ნიკო მარის ხელნაწერთა ფონდში, სტუდენტობის დროს მე, მისი რჩეული შრომების I ტომში მოხსენიებული ხელნაწერი შედარებითი გრამატიკების:

"Marr N. Я. – Сравнительная грамматика яфетических языков с семитическими [рукопись]

Marr N. Я. – Сравнительная грамматика яфетических языков сибилантный ветви [рукопись]"

(მარი 1933, I 351)

ძეზნისას წავაწყდი პირველი მათგანის არაერთ კონსპექტს და ფრაგმენტს მათ შორის: А 905 ("Сравнительная грамматика

яфетических и семитических языков", 1902 წლის საუნივერსიტეტო ლექსიკები გვიანდელი, 1927 წლის ჩათვლით, დამატებებითა და შესწორებებით) და А 1800 ("Сравнительная грамматика яфетическо-семитическая") – 1926/1927 წლებში უნივერსიტეტში წაკითხული ლექციების ტექსტი).

ხოლო მეტ-ნაკლებად სრული ან გამართული ტექსტი მეორისა არ შემხვედრია, ვნახე მხოლოდ ორი ფრაგმენტი: А 1183 ("Грамматика сванского языка сравнительно с языками сибирянской группы" — 1912 წლის მასალები გრამატიკისათვის, გვიანდელი, 1929 წლის ჩათვლით, დამატებებით) და А 1271 ("Языки мингрельский (иверский) и лазский (чанский)" – материалы для Сравнительной грамматики свистящей и шипящей групп, 1906 წლისა).

აკად. აკაკი შანიძის (გ. მაჭავარიანი 1965 45) შემდეგ, რომოცდაათიანი წლების დასასრულსა და სამოციანი წლების პირველ ნახევარში თბილისის უნივერსიტეტში პროფ. გივი მაჭავარიანი (1927-1968) კითხულობდა კურსს: „ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა“ (გამოცემულია მისი პროგრამა, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1962 წ.).

პროფ. გივი მაჭავარიანის ნაბეჭდი და ხელნაწერი შრომების ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაში (მ. მაჭავარიანი 1972 503-533) „ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის“ კურსის ხელნაწერი არ იხსენება, სამაგიეროდ მასში მოხსენიებულია 300 გვერდიანი ხელნაწერი მონოგრაფია „ქართველურ ენათა შედარებითი მორფოლოგია. ნაწილი I“ (მ. მაჭავარიანი 1972 511-512).

ქართველურ ენათა შედარებითი და ეტიმოლოგიური ლექსიკონები

1.1. ქართველურ ენათა პირველი შედარებითი ლექსიკონი 1938 წელს გამოიცა:

არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, 1938 : XIX+510.

მიუხედავად იმისა, რომ ლექსიკონის სათაურად ჭანურ-მეგრულ-ქართულია გამოტანილი, ის ფაქტობრივად ყველა ქართველური ენის მასალას შეიცავს (მასში 121 სვანური სიტყვა-ფორმაცაა დამოწმებული).

ლექსიკონში სულ 638 შესადარებელი ერთეულია (მათგან 347 სახელია, 291 ზმნა).

ჭანურ-მეგრულ-ქართულ შედარებით ლექსიკონში მოხმობილი მასალა შეზღუდულია შედგენის პრინციპიდან გამომდინარე: ა) მასში მხოლოდ ის სიტყვებია შეტანილი, რომლებიც ჭანური ტექსტების იმჟამამდელ, მათ შორის თვით არნ. ჩიქობავასეულ გამოცემებში იყო პოვნირი და ბ) შესადარებელი ერთეულები საერთო წარმომავლობისანი უნდა ყოფილიყვნენ (ერთი ავტორისეული დაზუსტებით: შედარებითი ლექსიკონის ობიექტს მარტოოდენ დიფერენცირებული მასალა წარმოადგენს...:

კაც-ი — კოჩ-ი... ძმ-ა — ჯუმ-ა (ჭან.), ჯიმ-ა (მეგრ.).

ბელელ-ი — ბალ-უ...

ჩვენ კი შეტანილი გვაქვს საერთო ლექსიკური მონაცემიც: ისეთი ფუძეები და ძირები, რომლებიც მეორდება ჭანურში, მეგრულში, ქართულში და არ არის უცხო ენობრივი სამყაროდან შე-

თვისებული“ (ჩიქობავა 1938 IX).

არნოლდ ჩიქობავას შედარებით ლექსიკონში ხშირად არ გვხვდება ვარსკვლავიანი არქეტები, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის იშვიათად მიმართავს რეკონსტრუქციებს.

არნ. ჩიქობავას მიერ: „ზანური (ქანურ-მეგრული) მიჩნეულია ქართულის (ავტორისავე შენიშვნით: „ზუსტად რომ ვთქვათ, იმ ენის, რომლის გაგრძელებასაც ისტორიულად ცნობილი ქართული წარმოადგენს“) დიფერენციაციის შედეგად (და არა დიფუზიური ბგერების მქონე რალაც x მეტყველების დიფერენციაციის შედეგად); ამ ქართულს ჩამოყალიბებული სახით უკვე გააჩნდა ყველა ის ფონემა, რაც მასში დღეს მოგვეპოება (რ, ჰ და ს-ს გარდა).

დიფერენციაცია სიამ ხმოვნისა, წინაენისმიერი აფრიკატებისა და სპირანტების ცვლაში გამოიხატა“ (ჩიქობავა, 1938 XII).

შესაბამისად შედარებითი ლექსიკონის ავტორს ფონეტიკურ არქეტებზედ ქართული ფორმები მიაჩნია:

კაც-ი > კოჩ-ი

და რაკი ისინი უცვლელად არის დაცული ქართულში, მათთვის რეკონსტრუქციულობის მაუწყებელი ვარსკვლავის დართვის აუცილებლობაც არ არსებობს.

მაგრამ რაკი არნ. ჩიქობავა ზანურისთვის დამახასიათებელ სრულხმოვანებას ამოსავალი ვითარების ასახვად მიიჩნევს, დიფერენციაციამდელი ქართულის ქრონოლოგიურ დონეზე, ამ. რედუქციის შედეგად დაკარგული, ხმოვნის აღდგენა იგულისხმება და ასეთ შემთხვევაში ყოველთვის ვარსკვლავიანი არქეტებიც გვაქვს. მაგ.:

„ქან. ქომ-ოჯ-ი || ქიმ-ოჯ-ი ქმარი, муж

მეგრ. ქომ-ონჯ-ი

ქართ. ქმ-არ-ი < * ქამ-არ-ი

ქიმოჯ-ქომოჯ: ამგვარად მეგრულსა და ჰანურში საერთოა ძირი ქომ-;

ძირი ქომ- ჰანურისა და მეგრულისა გვავარაუდებინებს ქართულში ქამ-ს; ძირეული ა-ს დაკარგვა გამოწვეულია -არ სუფიქსის დართვით“ (ჩიქობავა 1938: 34) და სხვ.

არნ. ჩიქობავა შედარებით ლექსიკონში შესადარებელი მასალიდან: „სახელები დალაგებულია ფუძეების მიხედვით ბუნებრივ სემასიოლოგიურ ჯგუფებად“, ხოლო ზმნა ანბანის რიგზეა გაწყობილი ძირების მიხედვით, რაკი მათი „სემასიოლოგიურ ჯგუფებად დაყოფა შეუძლებელი იყო: ფუძე კიდევ ზმნას ეცვლება დროთა, ქცევათა, გვართა მიხედვით: ერთ ზმნას ათეული ფუძე აღმოაჩნდება (მეტადრე, თუ პრევერბებსაც ანგარიშს გავუწევთ)“ (ჩიქობავა, 1938 X II).

ავტორს გაცნობიერებული აქვს ლექსიკონში შესადარებელი მასალის ასეთი განლაგების სირთულეები:

ზმნის შემთხვევაში: ძირის თარგმნა ჰირს: ერთი და იგივე ძირი სხვადასხვა ფუძეში თვალსაჩინოდ იცვლის მნიშვნელობას.

ამიტომ, რომ ზმნა ხშირად თარგმნილია რამდენიმე სიტყვით (და ეს მაინც არ ამოსწურავს ზმნის ყველა ფუძის მნიშვნელობას)“ (ჩიქობავა, 1938 XIII).

სახელის შემთხვევაში: „სახელების დაჯგუფება სემასიოლოგიური ნიშნის მიხედვით აადვილებს ცალკე დარგების ლექსიკის გათვალისწინებას, მაგრამ სიტყვის დაძებნა ჰირს.

ბოლოს დართული „საძიებელი სიტყვებისა, ფუძეებისა და ძირებისა“ ამ უხერხულობას ნაწილობრივ მაინც აბათილებს“ (ჩიქობავა 1938 XIII).

საძიებელმა სიტყვების პოვნა გაადვილა, მაგრამ ავტორი სახელთა სემასიოლოგიურ ჯგუფებში განაწილებისას გარკვეულ პრობლემებს წააწყდა: „გაჰირდა ადგილის მიჩენა ზოგი სახელისათვის (მაგ. „გულა“ „შეშა“ „ცეცხლი“ და მაგვარ. პირობითაა მოქცეული სათანადო ჯგუფებში)“ (ჩიქობავა 1938 XII).

„ჭანურ-მეგრულ-ქართულ შედარებით ლექსიკონში“ მასალა შემდეგნაირად არის განაწილებული სემასიოლოგიურ ჯგუფებში:

- I. ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი სახელები — 12 ერთეული.
- II. ადამიანის სხეულის ნაწილთა სახელები — 48 ერთეული.
- III. ცხოველების, ფრინველების, ქვეწარმავალთა და სხვ. სახელები — 72 ერთეული
- IV. მცენარეულობა (ხეები... ყანა... ბოსტანი...) — 56 ერთეული
- V. შენობები... სამუშაო იარაღები... ჭურჭლეულობა... საქმელები... ტანისამოსი... — 56 ერთეული
- VI. წყალი... ზღვა... მიწა... ქვა... თოვლი... წვიმა... — 14 ერთეული.
- VII. დღე... ღამე... ცა... მნათობები... დღეების სახელები — 20 ერთეული
- VIII. რიცხვის სახელები — 12 ერთეული.
- IX. ნაცვალსახელები და წარმოების მიხედვით მათთან დაკავშირებული სიტყვები — 21 ერთეული
- X. ატრიბუტივები (ზედსართავი სახელები) — 29 ერთეული.
- ლექსიკონის XI ჯგუფში გაერთიანებულია ზმნები — 291 ერთეული.

„ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“ ეპოქალური ნიშანსვეტი იყო იბერიულ-კავკასიური ენების და კერძოდ ბასკურ-ქართველური ჯგუფის ქართველური ქვეჯგუფის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ისტორიაში არა მარტო იმ ფაქტის გამო რომ იმ პირველი შედარებითი ლექსიკონი იყო ამ ენებისათვის, არამედ და უპირველეს ყოვლისა ისტორიულ-შედარებით მეთოდის თანამიმდევრული გამოყენების წყალობით მიღებული შედეგების მნიშვნელობითაც.

ამ ლექსიკონში არნ. ჩიქობავამ მოახდინა ალექსანდრე ცაგარლისა და ნიკო მარის მიერ ქართულსა და ზანურ ენებს შორის დადგენილი კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობების სისტემატიზირება და წამოაყენა და გამოიყენა ორიგინალური დებულება, რომ სიტყვის ძირში კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისობის პოვნეირება არ გულისხმობს კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისობის პოვნეირებას იმავე სიტყვის აფიქსებში, რადგან მონათესავე ენებში ერთი და იგივე ძირი შეიძლება გაფორმებული აღმოჩნდეს სხვადასხვა მორფოლოგიური ინვენტარით.

ეს უკანასკნელი დებულება შემდეგში საფუძვლად დაედო არნოლდ ჩიქობავას მონოგრაფიას „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“, რომლის უპრეცედენტო გავლენის შესახებ იბერიულ-კავკასიური ენების ფუძის სტრუქტურის კვლევის თვალსაზრისებზე სათანადო ადგილას უკვე მქონდა ლაპარაკი.

არნოლდ ჩიქობავამ თეორიული ხასიათის წერილიც მიუძღვნა შედარებითი და ეტიმოლოგიური ლექსიკონების საკითხს:

"К вопросу о взаимоотношении этимологического и сравнительного словарей" ("Лексикографический сборник", вып. 6. Москва, 1963: 24-29. ქართული ვერსია იხ. „ეტიმოლოგიური ძიებანი“, VI თბილისი: „მეცნიერება“ 1997: 178-189).

2.1. ქართველურ ენათა პირველი ეტიმოლოგიური ლექსიკონი 1964 წელს გამოიცა რუსულ ენაზე:

Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва: Издательство Академии Наук СССР, 1964: 307.

ამავე ლექსიკონის მეორე, შევსებული გამოცემა, უკვე ინგლისურ ენაზე გამოიცა:

Etimological Dictionary of the Kartvelian Languages (Trends in Linguistics 16), Berlin/New York: "Mouton de Gruyter", 1998: XIII, 505.

იმ ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში რომელიც პროფ. გ. კლიმოვის ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის პირველ და მეორე გამოცემებს აშორებს ერთმანეთისგან დიდი და სერიოზული ცვლილებები მოხდა ზოგადად ენათმეცნიერებაში და კერძოდ ქართველოლოგიაში.

ქართველოლოგიაში ეს ცვლილებები უპირველეს ყოვლისა სვანური ენის კვლევის ინტენსივობის ზრდას უკავშირდება რამაც თავის მხრივ ექვეყნულ დასაყენა გ. კლიმოვის ეტიმოლოგიური ლექსიკონის ფუძემდებლური დებულება საერთო-ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის შესახებ სვანურ ენად და ქართულ-ზანურ ენობრივ ერთობად რაც მან გ. დეეტერსისი თვალსაზრისზე (დეეტერსი 1930 3) დაყრდნობით წამოაყენა და სცადა რა სათანადო მასალით მისი დასაბუთება იგი „თანამედროვე ქართველისტიკის მყარ მონაპოვრად“ გამოაცხადა (კლიმოვი 1964 17).

მკაცრი მეცნიერული მეთოდების მომხრედ აღიარებული გ. კლიმოვის ეს დებულება რეკონსტრუქციის ორი დროითი სიბრტყის საერთო-ქართველურისა და ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის დაშვების შესახებ გაპირობებული იყო არა რაიმე ლინგვისტური კრიტერიუმით არამედ, როგორ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, მხო-

ლოდ ლექსიკოგრაფის იმჟამინდელი კომპეტენციის ხარისხით ქართველურ ენათა მასალის ფლობაში.

მაგალითად თუ ავტორისთვის ცნობილი იყო შესადარებელი ძირეული ან აფიქსალური მორფემის არსებობა ქართულსა და ზანურში ან სვანურსა და ზანურში, იგი მას საერთო-ქართველურ დონეზე აღადგენდა, ხოლო თუ ასეთი შესადარებელი ოდენობის არსებობა მისთვის ცნობილი იქნებოდა მხოლოდ ქართულსა და ზანურში, მაშინ იგი ამ ოდენობას ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის დონეზე აღადგენდა.

კიდევ უფრო ადვილდებოდა საქმე თუ რომელიმე ძირეული მორფემა პოვნიერი აღმოჩნდებოდა სამივე ქართველურ ენაში — 1964 წელს გ. კლიმოვი სულ სამი ქართველური ენის ქართულის, ზანურის (მეგრულ-ჭანურის) და სვანურის არსებობას აღიარებდა (კლიმოვი 1964 3), მაგრამ ფუძედ გაფორმებულნი აღმოჩნდებოდნენ სხვადასხვა აფიქსალურ მორფემებთან კომბინაციით — თუ სვანურსა და ქართულს ან სვანურსა და ზანურს აღმოაჩნდებოდა იდენტური კომბინაცია მაშინ ფუძე, რეკონსტრუირდებოდა საერთო-ქართველურ დონეზე, ხოლო თუ ქართულსა და ზანურს, მაშინ ძირი რეკონსტრუირდებოდა საერთო-ქართველურ დონეზე, ხოლო ფუძე ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის ქრონოლოგიურ დონეზე, დამოუკიდებლად იმისაგან ეს აფიქსალური მორფემა პოვნიერიც რომ ყოფილიყო სვანურში სხვა ძირებთან კომბინაციაში.

ეტიმოლოგიური ლექსიკონის ავტორის მიერ შესადარებელ ენათა მასალის ფლობის დონე არ შეიძლება იყოს რეკონსტრუირებულ ერთეულთა რელატიური ქრონოლოგიის დადგენის კრიტერიუმი.

არნ. ჩიქობავას შედარებითი ლექსიკონისგან განსხვავებით გ. კლიმოვის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში რამდენიმე ახალი და ძალიან

მნიშვნელოვანი მომენტია წარმოჩენილი:

ა) ერთმანეთს შედარებულია არა მხოლოდ ლექსიკური ერთეულები, ფუძეები ან ძირეული მორფემები არამედ აფიქსალური მორფემებიც;

ბ) დაშვებულია, გ. მაქავარიანის კვალდაკვალ, საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონეზე შუა-სიბილანტური ე. წ. სისინ-შიშინა რიგის არსებობა, რამაც სარწმუნოდ ახსნა ზანურსა და სვანურში ქართული სისინა სიბილანტთა შესატყვისად შიშინა სიბილანტთა გვერდით სისნა სიბილანტთა რიგის არსებობა.

გ) გათვალისწინებულია ზოგიერთი არქეოლოგიური, ისტორიული თუ სხვა ექსტრალინგვისტური მონაცემი, როგორც კომპარატივისტული გზით ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე რეკონსტრუირებადი ლექსიკური ერთეულით აღნიშნული საგნისა თუ მოვლენის რეალურობის ვერიფიკაციის საშუალება.

დ) გაანალიზებულ მასალაზე დაყრდნობით განხილულია ქართველთა პირველსაცხოვრისის პრობლემა და წამოყენებულია, ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე რეკონსტრუირებად რეალიებზე დაყრდნობით, თვალსაზრისი საერთო-ქართველური ეთნოსის აბორიგენობის (resp. ავტოქტონობის) შესახებ კავკასიაში და სხვ.

ლექსიკონში მასალა (ძირები, აფიქსები, ფუძეები) გაწყობილი იყო ქართულ ანბანურ რიგზე.

გ. კლიმოვის ლექსიკონის პირველი გამოცემა შეესაბამებოდა მისი თანამედროვე, სამოციანი წლების ეტიმოლოგიური ლექსიკოგრაფიის დონეს და ალბათ უფრო მეტადაც, ვიდრე ამავე ლექსიკონის მეორე გამოცემა დღევანდელს, XX საუკუნის დასაბოლოებისას და ამას თავისი ახსნა მოეპოვება: გ. კლიმოვმა ლექსიკონის პირველი გამოცემა ძირითადად ააგო იმ ახალ თვალსაზრისებზე საერთო-ქართველურად.

ლური ფუძე-ენის ფონოლოგიური, სისტემისა და მორფონოლოგიური თუ მორფოლოგიური სტრუქტურის შესახებ რომლებიც ლექსიკონის შედგენის პერიოდში ყველაზე უფრო ნოვატორულად აღიქმებოდნენ ქართველოლოგიაში, მაგ. სონანტთა სისტემისა და აბლაუტის თეორია (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი) და სხვ. სამოციანი წლების ეს, დღეისათვის არცთუ უდავო, ზოგჯერ კი უკვე ყავლაგასული თვალსაზრისები ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის მეორე, ინგლისური გამოცემაშიც არის შენარჩუნებული და მთავარი თუ ერთადერთი სიახლე მასში, ცხადია ახალი დაკავშირებების გარდა, სემანტიკურ რეკონსტრუქციათა მეთოდოლოგიისადმი პრიორიტეტული ყურადღებაა.

პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ გ. კლმოვის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში **ეტიმონთა** გამოყოფას არა სისტემური, არამედ ოდენ შემთხვევითი ხასიათი აქვს.

იმავდროულად გ. კლიმოვი ქმნიდა თეორიული ხასიათის ნაშრომებს მიძღვნილს ისტორიულ-შედარებითი მეთოდის ფუნდამენტური პრობლემატიკისადმი:

"Вопросы методики сравнительно-генетических исследований", ленинград: "Наука", 1971;

"Основы лингвистической компаративистики", Москва: "Наука", 1990.

ამ ნაშრომებში ის გამოდიოდა კომპარატივისტული მეთოდის მკაცრ დამცველად, რაც ქართველური და მთის კავკასიური ენების არმცოდნე ენათმეცნიერთა თვალში ავტორიტეტულობას ჰმატებდა ამ ენათა მცოდნე პროფ. გ. კლიმოვის განცხადებებს — ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის არსებობისა თუ ქართველურ ენებსა და მთის კავკასიურ ენათა შორის ნათესაობის დაუმტკიცებლობის შესახებ.

გ. კლიმოვის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის“ ორივე გამოცემა, რუსულიცა და ინგლისურიც, მნიშვნელოვან და საეტაპო მოვლენას წარმოადგენს ქართველოლოგიაში. განსაკუთრებით ეს ითქმის ლექსიკონის პირველ გამოცემაზე, რომელიც მისი ავტორის ზოგიერთი სადავო თვალსაზრისის მიუხედავად თუ სწორედ მათი წყალობით სერიოზულ სტიმულად იქცა შემდგომი ეტიმოლოგიური კვლევა-ძიებისათვის ქართველურ ენათმეცნიერებაში.

2.2. ქართველურ ენათა მეორე ეტიმოლოგიური ლექსიკონი 1990 წელს გამოიცა:

ჭაინც ფენრიხი, ზურაბ სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი: თბილისისი უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1990: 620.

ამავე ლექსიკონის მეორე, შეესებული გამოცემა გერმანულ ენაზე გამოვიდა 1995 წელს:

Etymologisches Wörterbuch der kartwek-Sprachen, Leiden/ New York / Köln: "Brill".

ეს სადღეისოდ ქართველურ ენათა ყველაზე სრული ეტიმოლოგიური ლექსიკონია, რომელშიც თავმოყრილია როგორც მანამდე არსებულ ფასეულ დაკავშირებათა უმრავლესობა, ასევე ავტორთა მიერ გამოვლენილი ახალი შეპირისპირებანი.

ლექსიკონში მასალა (ძირები, აფქვები, ფუძეები) ქართული ანბანის რიგზეა გაწყობილი.

მიუხედავად ზოგიერთი არცთუ უეჭველი თვალსაზრისის დომინირებისა თუ ნაკლისა:

ა) გ. კლიმოვის კვალდაკვალ ჰ. ფენრიხი და ზ. სარჯველაძე უშვებენ ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის არსებობას როგორც შუალედური ფუძე-ენისას საერთო-ქართველური ფუძე-ენიდან სვა-

ნურის გამოყოფის შემდეგ, და არქეტიპებსაც ცხადია ამ ორი ქრონოლოგიური დონისათვის აღადგენენ.

ბ) მეგრულსა და ლაზურს (resp. ჭანურს) ორ სხვადასხვა ენად მიიჩნევენ და არა ერთი ენის ორ დიალექტად. თუმცა ამ საკითხში ბოლომდე თანამიმდევრულნი არ არიან: თუ ოთხი ქართველური ენა არსებობს უნდა არსებობდეს ბგერათშესატყვისობა ოთხი სისტემაც, შესაბამისად ნებისმიერი ორი ენა ამ ოთხიდან ერთმანეთის მიმართ კანონზომიერ და რეგულარულ შესატყვისობას უნდა ავლენდეს და იძლეოდეს თუ საერთო-ქართველური ფუძე-ენის არა რომელიმე შუალედური ფუძე-ენის (მაგ. საერთო-ქართულ-ზანურის ან საერთო-სვანურ-ზანურის) რეკონსტრუქციის საშუალებას უნდა იძლეოდეს: თუ მეგრული და ლაზური ორი სხვადასხვა ენაა მაშინ რომელიმე ლექსემის, ძირეული ან აფიქსალური მორფემის რეკონსტრუქციისთვის ოდენ მათი ჩვენებაც (ქართული და სვანური მასალის გარეშე) საკმარისი უნდა იყოს რეკონსტრუქციისთვის — ლექსიკონში კი ერთი ასეთი მაგალითიც არ არის, რადგან ავტორები თუმცა აცხადებენ მეგრულსა და ლაზურს ერთ ენად შესანიშნავად იციან რომ ისინი ერთი და იმავე შესატყვისობების სისტემით (resp. პარადიგმით) უპირისპირდებიან ერთის მხრივ ქართულს და მეორეს მხრივ სვანურს და ამიტომ მეგრულისა და ლაზურის ჩვენებას ქართულთან და სვანურთან, ან რომელიმე მათგანთან უპირისპირების გარეშე მნიშვნელობას არ ანიჭებენ და ამდენად ცალკე არც იმოწმებენ.

გ) ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის ლექსიკონში ოდენ იდენტური შესატყვისობების შემცველ უპირისპირობებს საგრძნობი ადგილი უჭირავს, თუმცა ოდენ იდენტური ბგერათშესატყვისობებს არანაირი მტკიცებულებითი ძალა არ გააჩნია და სხვ.

გ. კლიმოვის კვალადკვალ — ეტიმონებს საგანგებოდ და სისტემურად არც პ. ფენრიხი და ზ. სარჯველაძე გამოყოფენ, მათი პოზიციერება ატიმოლოგიურ ლექსიკონში იშვიათობაა.

პ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის ეტიმოლოგიური ლექსიკონი ზემოთქმულის მიუხედავად, კიდევ ერთი საეტაპო და ერთგვარად შემაჯამებელი მნიშვნელობის ნაშრომია ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი მეთოდით კვლევის ისტორიაში.

ქართველურ ენათა პირველი შედარებითი ლექსიკონი, როგორც ვთქვი, ჯერ კიდევ 1918 წელს შეიძღებოდა გამოცემულიყო — ეს არის პეტრე ჭარაიას „ქართულ-მეგრული და მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი (მასალები იაფეტური ენების მკვლევართათვის,“ რომლის ხელნაწერი ავტორმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირა. ეს ლექსიკონი, რომელსაც აქტუალობა აქამდე არ დაუკარგვას დღესაც არ არის გამოცემული.

ბასკური ენის შედარებითი შესწავლის ისტორია

ბასკური ენის შედარებითი კვლევის ყველაზე ათვისებული სფერო ფონეტიკაა, 1961 წელს დონოსტია — სან სებასტიანში, ესპანურ ენაზე გამოიცა ლუის (კოლდო) მიჩელენას ეპოქალური მნიშვნელობის მონოგრაფია:

Michelena Luis, Fonética histórica vasca. Donostia-San Sebastián de Guipúzcoa Publicaciones del Seminario de Filología Vasca 'Julio de Urquiji, 1961.

ამ მონოგრაფიის მეორე, შევსებული გამოცემა გამოვიდა 1977

წელს: მესამე გამოცემა კი 1985 წელს.

ეს ნამდვილი ისტორიული ფონეტიკაა, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა ბასკური დიალექტის მონაცემები და რაც მთავარია რეკონსტრუირებულია ძველი, საერთო-ბასკური ფონოლოგიური სისტემა, რისი საინტერესო მცდელობა მას ჯერ კიდევ 1957 წელს ჰქონდა: "Las antiguas consonantes vascas" ("Mescelanea homenaje a André Martinet, La laguna, Tenerife, I, 1957: 113-157). ინგლისური თარგმანი (მიჩელენა 1995 101-135). გამოქვეყნებიდან ოცდათვრამეტი წლის შემდეგ შესრულებული თარგმანი, მეტყველებს რომ ნაშრომს ამ ხნის განმავლობაში არ დაუკარგავს აქტუალობა. ეს ნაშრომი 1988 წელს შევიდა ლუის (კოლდო) მიჩელენას ორტომიან კრებულში „ბასკური ენის ისტორიის შესახებ“: **Sobre historia de la lengua vasca (supplements of Anuario de del Seminario Filologia Vasca "Julio de Urquijo", 10), Donostia - San Sebastian: Diputacion Foral de Guipuzcoa, 2 vol. vol. I: 166-189).**

რენე ლაფონი თვლის რომ: „ლ. მიჩელენას „ბასკურის ისტორიული ფონეტიკა“ ორ მნიშვნელოვან სიახლეს შეიცავს: მასში ბასკურისადმი მთლიანად ფონოლოგიური მიდგომააა განხორციელებული; გათვალისწინებულია ბასკური ენის უძველესი ფორმები (აკვიტანური და ბასკონური ენები, შუა საუკუნეების ბასკური). ავტორი იყენებს ყველა ადრინდელ მნიშვნელოვან შრომას. იგი არ ცდილობს შეცვალოს ულენბეკის გამოკვლევა ან გაველის ნაშრომი ("Eléments de phonétique basque, Paris, 1920: 543. მ. ქ.), მაგრამ ამ ღირსშესანიშნავი წიგნის ავტორი მაინც მათზე შორს მიდის, რამდენადაც ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხს განიხილავს ფონოლოგიური პრინციპების თვალსაზრისით. წიგნი ასახავს და ერთმანეთისაგან განასხვავებს ფონოლოგიის სინქრონიულ და დიაქრონიულ ასპექტებს“ (ლაფონი 1976 23-24).

ლაფონის მიერ ნახსენებ ქრისტიან ულენბეკის გამოკვლევაში იგულისხმება:

Uhlenbeck Christian Cornelius, Beiträge zu einer vergleichenden Lautlehre der Baskische Dialekt, Amsterdam: J. Müller, 1903 და მისი შესწორებანი გამოცემული 20 წლის შემდეგ: **zur vergleichenden Lautlehre der baskischen Dialekte Berichtigungen, VKNA XXIV/I: 11.**

ულენბეკის მონოგრაფია ჟოზე ლაკომბმა თარგმნა ფრანგულად (ულენბეკი 1909-1910), რაც მეტყველებს ამ ნაშრომის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მაშინდელი ბასკოლოგიისათვის, თუმცა დღეისათვის ამ ნაშრომს ძირითადად ისტორიული ღირებულება გააჩნია: ის არ იყო უნაკლო არც დესკრიფციული და არც კომპარატივისტული მეთოდოლოგიის თვალსაზრისით.

ლუის (კოლდო) მიჩელენას კაპიტალური ნაშრომის მიმართ კი ძალაში რჩება რენე ლაფონის განცხადება: ბასკურის „დიაქრონიული ფონოლოგიის ნებისმიერი საკითხის შესახებ მკითხველმა (resp. მკვლევარმა მ.ქ.) უნდა მიმართოს მიჩელენას „ფონეტიკას“ (ლაფონი 1976 : 29).

ბასკური ენის (resp. დიალექტების) შედარებითი გრამატიკა ამჟამად არ არსებობს, მაგრამ ჩემთვის ცნობილია შ. ართიგოითიას გამოკვლევა მარცვლის (resp. ძირის) სტრუქტურის შესახებ თანამედროვე ბასკურსა და პროტო-ბასკურში: **Syllable Structure in Modern Basque and in Proto-Basque ("Generative Studies in Basque Linguistics", Amsterdam/Philadelphia: John Benjamins Publishing Company: 263-287)**, აგრეთვე რობერტ ლ. თრასქის (სასექსის უნივერსიტეტი) რამდენიმე ნაშრომი პრაბასკურის შესახებ, როგორც ფონოლოგიაში: **On the reconstruction of Pre-Basque Phonology ("Symbolae Ludovico Mitxelena septvagenario oblatae", II, Vitoria-**

Gasteiz: Univ. del Pais Vasco, 1985: 885-891). ასევე გრამატიკაში: **On the History of the Non-Finite Verb Forms in Basque ("Towards a History of the Basque Language", Amsterdam/Philadelphia: John Benjamins Publishing Company, 1995 : 207-234)** და ხოსება (იოსება) ა. ლაკარას (ბასკეთის ქვეყნის უნივერსიტეტი) ასევე რამდენიმე ნაშრომი როგორც პრე-პროტო-ბასკურის (მისი ტერმინია) ფონოლოგიაში (resp. მორფოლოგიაში) **"Reconstructing the Pre-Proto-basque Root ("Towards a History of the Basque Language", Amsterdam/Philadelphia: John Benjamins Publishing Company, 1995 189-206)** და მორფოლოგიაში „**Existia la categoria de adjetivo en pre-protovasco?**" (Ms., Univ-del Pais Vasc, Vitoria-Gasteiz, 1993), ვიცი რომ მზადდებოდა გამოსაქვეყნებლად როგორც რ. ლ. თრასქის, ასევე ხ. ა. ლაკარას კიდევ რამდენიმე ნაშრომი მაგ. ლაკარას „პროტო-ბასკური და პრე-პროტო-ბასკურის ფონოლოგიის რეკონსტრუქციის შესახებ“ (**"Sobre la reconstruccion fonologica del protovasco y del pie-protovasco"**), რომლებზეც ამ წიგნის წერის პროცესში, სამწუხაროდ, ხელი აღარ მიმიწვდა, თუმცა ავტორთა ამჟამინდელი პოზიციებიდან გამომდინარე შეუძლებელი არ არის მათი კვლევის შედეგების წინასწარ განკვერტა.

მთავარი მაინც ის არის, რომ ორივე ეს ავტორი ცდილობს საერთო-ბასკური და წინარე-ბასკური ქრონოლოგიური დონის რეკონსტრუქციების მოხდენას როგორც ფონოლოგიასა და მორფოლოგიაში, ასევე მორფოლოგიის სფეროში და ფაქტობრივად პრეისტორიული ბასკურის გრამატიკის საკუთარი ვერსიების შექმნაზე ზრუნავენ.

აქვე ვიტყვი რომ ლუის (კოლდო) მიჩელენა, რომელიც უაღრესად ყურადღებიანი იყო ბასკურთან რომელიმე ენის ნათესაობის შესახებ გამოთქმული ნებისმიერი ვარაუდისადმი და ცდილობდა ამ

ვარაუდთა ვერიფიცირებას მკაცრი მეცნიერული მეთოდებით, კრიტიკულად იყო განწყობილი ზოგადად ბასკურ-კავკასიური და კერძოდ ბასკურ-ქართველური ჰიპოთეზის მიმართ და ამისი სერიოზული საფუძველიც ჰქონდა.

დავიწყოთ იქიდან, რომ ლუის (კოლდო) მიჩელენას ანალიზისა და შეფასების გარეშე არ დაუტოვებია კარლ ბოუდას ნაშრომები: "Baskisch-Kaukasische Etymologien". Heidelberg: Carl Winter მან შეაფასა რეცენზიით "De etimologia vasca" ("Emerita" 18, 1950: 193-203), ხოლო "Neue baskisch-kaukasische Etymologien" ("Acta Salmanticensia, Filosofia y Letras 5(4) 1952 3-16) რეცენზიით Review of Bouda 1952 ("Boletin de la Real Socoedad vascongada de los Amigos del Pais", 9, 1953 141-144). ამას გარდა ბასკურ-ქართველურ ეტიმოლოგიებს ეხებოდა მისი სტატიაც: "Notas etimológicas vascas" ("Emerita 18, 1950 : 467-481) და სხვ.

კომპარატივისტული მეთოდის მკაცრ მოთხოვნებს დაუქვემდებარებელმა ამ ცდებმა საკმაოდ გაუწიბილეს მოლოდინი ლუის (კოლდო) მიჩელენას და სკეფსისი გრძნობა გაუჩინეს ბასკურისა და კავკასიური ენების გენეტური კავშირის ჰიპოთეზისადმი (იხ. მისი "Sobre el pasado de la lengua vasca", Donostia- San Sebastian: Auñamendi, 1964).

ამ ორი ობიექტური მომენტია გასათვალისწინებელი, პირველი ის რომ ბასკურ ლინგვისტიკაში ჯერ არ იყო დაწყებული „მიჩელენას ეპოქა“ და შესაბამისად არ არსებობდა მეცნიერული საფუძველი ბასკური სიტყვების არქეტიპების რეკონსტრუქციისა და შედარება ხდებოდა ბასკურ სიტყვათა ისტორიის გაუთვალისწინებლად, მეორე ის, რომ თვით ეს შედარებები ხდებოდა მკაცრი მეცნიერული მეთოდების დაცვის გარეშე, მათ შორის ბასკურ და მეორე

მხრივ სხვადასხვა ჯგუფისა თუ ქვეჯგუფის კავკასიური და კავკასიურ სიტყვათა ნებისმიერი (resp. არაკორექტული) სეგმენტაციით და სხვ. ერთმანეთს დარდებოდა ერთი მხრივ ბასკური ენების სიტყვები, რომელთა ისტორია და პრაფორმა ყოველთვის არც იყო დადგენილი.

ასეთ პირობებში შედარებას შეეძლო სახელი გაეტეხა სერიოზული მეცნიერული პრობლემისათვის და გაუტეხა კიდევ — ევროპულ ენათმეცნიერებაში ამ წარუმატებელმა ცდებმა ნიპილიზმი გამოიწვიეს ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზისადმი. მით უმეტეს რომ ამ ნიპილიზმს ზემოთქმული მიზეზების გამო საძიკველს ლუის (კოლდო) მიჩელენას უდიდესი ავტორიტეტიც უმაგრებდა.

ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა დღესაც არაპოპულარულია ევროპულ ბასკოლოგებს შორის და მათაც საკმარისი საფუძველი აქვთ საამისოდ — გრძელდება კვაზიმეცნიერული ცდები ბასკური და კავკასიური ენების ნათესაობის დამტკიცებისა კომპარატივისტული მეთოდის არაკორექტული და არაადეკვატური გამოყენებით.

მოვიყვან ორ ტიპურ მაგალითს:

1985 წელს ვიაჩესლავ ა. ჩირიკბამ გამოაქვეყნა სტატია: "Баскский и северокавказские языки" ("Древняя анатолія", Москва: "Наука", 1985 95-105), რომელიც სასტიკად, თუმცა ობიექტურად იქნა გაკრიტიკებული და მიკუთვნებული ფანტასტიკის სფეროს (თრასქი 1995 81-86).

კიდევ უფრო ფანტასტიკურია ჯონ ბენგსტონისა და მერიტ რულენის ცდები ბასკურის დაკავშირებისა ე. წ. დენე-კავკასიურთან (თრასქი 1995 90-91) და სხვ. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ თეორიის წინააღმდეგ თრასქი საგანგებო წერილსაც ამზადებდა სათაურით: „ბასკური და დენე-კავკასიური: კრიტიკა ბასკურის მხრი-

დან“ (“Basque and Dene-Caucasian: a critique from Basque side”).

რა გასაკვირია რომ ჩირიკბას, ბენგსტონის, რულენისა თუ სტაროსტინის (მერიტ რულენმა და სერგეი სტაროსტინმა, როგორც მოსალოდნელი იყო ერთმანეთი იპოვეს და 1994 წელს ერთობლივი სტატიაც გამოაქვეყნეს „პროტო-ენისეური რეკონსტრუქციები, ექსტრაენისეური შედარებებით“) კვაზიმეცნიერული „ნაშრომების“ გადამკიდე თრასქსა და მის კოლეგებს, რომლებიც ვერ ფლობენ კავკასიურ და კერძოდ ქართველურ მასალას და ვერც დამოუკიდებლად ახერხებენ ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მკაცრი დაცვით ბასკურისა და ქართველური ენების შედარებას და არც ამ სფეროში პოვნიერ მცირერიცხოვან კომპარატივისტულ გამოკვლევებზე მიუწვდებათ ხელი, აბსოლუტურად უარყოფითი დამოკიდებულება რომ ჰქონოდათ ბასკური და ქართველური ენების ნათესაობის პრობლემისადმი.

ბასკოლოგისთვის შეუწყნარებელი ერთ-ერთი მაგალითი ქართული ენისადმი დამოკიდებულებისა არის ის, რომ ვთქვათ რ. ლ. თრასქი თბილისში, თბილისის უნივერსიტეტის მიერ არნ. ჩიქობავას წინასიტყვაობითა და რედაქციით 1976 წელს ქართულ ენაზე გამოცემულ: რენე ლაფონის წიგნს „ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა, რუსულ ენაზე გამოცემულად მოიხსენიებს (თრასქი 1995 84) და დამოწმებული ლიტერატურის სიაშიც რუსულენოვანი სათაურით შეაქვს (თრასქი 1995 95).

ბასკური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონები

ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონებისაგან გასხვავებით ბასკური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონები არ წარმოადგენენ იმავდრულად შედარებით ლექსიკონებს რაც სრულიად ბუნებრივია ერთი ენის მასალის ეტიმოლოგიზირების შემთხვევაში, მით უმეტეს თუ ჭერ კიდევ ძალაშია თეზისი ამ ენის იზოლირებულობის შესახებ:

„რომ ბასკური, და არა ნორვეგიული, გახდა საგანი ესოდენი კომპარატივისტული ყურადღებისა სხვა არაფერზე მეტყველებს თუ არა ბასკურის იზოლირებულ სტატუსზე. მაგრამ ყველა ამ გმირულმა ძალისხმევამ ვერ შეცვალა ეს იზოლირებულობის სტატუსი: აქამდე როგორც მე ვხედავ ბასკური დღესაც რჩება ისევე იზოლირებულად როგორც ეს აქამდე იყო“ (თრასქი 1995 92).

მეორე მხრივ, თუმცა ბასკური ერთი ენაა, მაგრამ ორ ათეულზე მეტი დიალექტისგან შემდგარი და თანაც, სპეციალისტთა აღიარებით:

„ამ დიალექტთა თავისებურებებს ჩვენ იმდენად კარგად არ ვიცნობთ, რომ დავადგინოთ, წარმოადგენენ ისინი სავარაუდოდ „საერთო ბასკურის“ დიფერენციაციის შედეგს თუ პირიქით, დღევანდელი დიალექტები მომდინარეობს უძველესი, ერთმანეთის მონათესავე, მაგრამ განსხვავებული ენებისაგან. ზოგი სპეციალისტი (მაგალითად, ლაკომბი) აღნიშნავს, რომ ბისკაიურის განსაკუთრებული ადგილი სხვა დიალექტებს შორის მიგვიითიებებს იმაზე, რომ ბისკაიური ვერ დაიყვანება სავარაუდოდ უძველეს ბასკურ საერთო ენაზე. მეორე მხრივ, ლაფონი უფრო მეტი სიფრთხილით ცდილობს დაამტკიცოს, რომ ის საგრძნობი დამთხვევები, რომელთაც ადგილი აქვს უკიდურ-

რესი დასავლეთით მდებარე ბისკაიურსა და ბასკეთის ტერიტორიის აღმოსავლეთ საზღვარზე მდებარე სულეტურს შორის, მეტყველებს ამ ენათა უძველეს ერთიანობაზე, რამაც განაპირა არეალებში იჩინა თავი, კარო ბაროხას თვალსაზრისით კი, თანამედროვე დიალექტების გავრცელების არეალები შეესაბამება ამ რაიონებში მცხოვრები უძველესი მოსახლეობის განლაგებას: კერძოდ ბისკაიური, მისი ვარუდით, წარმოადგენს ბარდულების ენის გავრცელებას, ნავარული და სულეტური დიალექტები კი უძველესი გასკონიელების ენისგან მომდინარეობს“ (ტოვარი 1980 შდრ. ჰაგნს ფოგტი: „ბასკური დიალექტების პირველადი ერთიანობა არ იწვევს არავითარ ეჭვს...“ ფოგტი 1968 288).

ზემოთქმულიდან გამომდინარე სასურველი იქნებოდა გვეჩვენა ბასკურ დიალექტთა შედარებითი ლექსიკონი რომელიც მოგვეცემდა ცალსახა კვალიფიკაციის მიცემის საშუალებას ბასკური ენის დიალექტებში პოვნიერი დივერგენციისა თუ კონვერგენციის პროცესების ნაშთისათვის და მათი ურთიერთმიმართების სუბსტრატული, ადსტრატული თუ სუპერსტრატული ელემენტებისათვის.

სამწუხაროდ ასეთი შედარებითი ლექსიკონი ბასკური დიალექტებისათვის არ მოიპოვება და მის მაგივრობას ვერ გასწევს ბასკური ენის ყველაზე სრული განმარტებითი ან თარგმნითი ლექსიკონები თუნდაც მათში ბასკურის ყველა დიალექტის ლექსიკური მონაცემები მაქსიმალური სისრულითა და სიზუსტით იყოს აღნუსხული — აღნუსხვა, განმარტება და თარგმანი ვერასოდეს ვერ ჩაენაცვლება მეცნიერულ შედარებას, ვერ გასწევს მის მაგივრობას.

რაც შეეხება ბასკური ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონებს ისინი იმავე ტიპის ლექსიკონები არიან როგორც არსებობს სხვადასხვა ცალკეული ენისათვის — ისინი მოიცავენ ენის მთელ ლექსიკურ

ფონდს ნასესხობათა ჩათვლით — სალექსიკონო სტატიაში ლექსიკური ერთეულია სესხების წყარო-ენის, ფორმის (სიტყვის ზეპირი თუ მწიგნობრული ფორმა), გზის (უშუალო თუ რომელიმე სხვა ენის მეშვეობით), დროისა და ა. შ. მითითებით.

ბასკური ენის პირველი ეტიმოლოგიური ლექსიკონი, რამდენადაც ჩემთვის უცნობილია, 1968 წელს გამოიცა, გერმანულ ენაზე, ბერლინში:

Martin Löpelmann, Etimologisches Wörterbuch der baskischen Sprache, B. I, Berlin: Walter de Gruyter.

ბასკური ენის მეორე ეტიმოლოგიური ლექსიკონის გამოცემა 1989 წელს დაიწყო, ესპანურ ენაზე, დონოსტია-სან სებასტიანში:

Manuel Agud; Antonio Tovar, Diccionario etimológico vasco, Donostia-San Sebastian: Diputacion de Gipuzkoa.

ამ ეტიმოლოგიური ლექსიკონების მნიშვნელობა აღემატება მათთვის შემდგენელთა მიერ დასახულ მიზანს, რადგან ის დამატებით იძლევა ბასკურ-ქართველური შედარებითი კვლევისათვის ვარგისი მასალის გაცხრილვის საშუალებას.

აქვე დავძენ რომ ენათმეცნიერებაში იყო საინტერესო მცდელობა ე. წ. იზოლირებულ ენათა, ასეთად იყო მიჩნეული ბასკურიც, ბასკურ-კავკასიური ნათესაობის თუ სხვა ჰიპოთეზების დამტკიცების წარუმატებელი ცდებიდან გამომდინარე ის დღემდე ასეთად მიაჩნია რ. ლ. თრასქს (თრასქი 1995 92), რეკონსტრუქციის შესაძლებლობის დასაბუთებისა: **Климов Г. А., Эдельман Д. И., К перспективам реконструкции изолированного языка (на материале языка бурушаски) (ВОПРОСЫ ЯЗЫКОЗНАНИЯ, 1995, №5 : 27-93).** ეს ცდა იმით არის საინტერესო, ბასკურისთვის, რომ დამოუკიდებლად მისი ნათესაობისგან ქართველურ ენებთან, იძლევა უკვე არსებული ბასკური რეკონსტრუქციების ვერიფიკაციის კიდევ

ერთ საფეხურს, მიჩვენასეული ისტორიული და შედარებითი რეკონსტრუქციებისა და ბასკურ-ქართველური ისტორიული-შედარებითი რეკონსტრუქციების ბრაუნისა თუ ჩემული ცდების გვერდით.

ბასკურ-ქართველურ და ნახურ-დაღესტნურ ენათა შედარებითი შესწავლის ისტორია

ბასკურ-ქართველურ და ნახურ-დაღესტნურ ენათა ჯგუფების, უფრო ზუსტად კი მათი ორი ქვეჯგუფის — ქართველურისა და დაღესტნურის, შედარებითი შესწავლა პროფ. ტ. გუდავას სახელს უკავშირდება რომელმაც 1954 წელს „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ VI ტომში დაბეჭდა ტექსტი, მის მიერ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის IV (X) სამეცნიერო სესიაზე, 1953 წლის 13 ივნისს წაკითხული მოხსენებისა „ტო ლატერალის გენეზისისათვის ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში“, სათაურით: „ხუნძურ-ანდიური დილოურ ენათა ტო ლატერალის გენეზისისა და ქართველურ ენებში მისი ფონეტიკური შესატყვისის შესახებ“.

1957 წლის 13 ივნისს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XIV სამეცნიერო სესიაზე პროფ. ვეგენი ჭეირანაშვილმა წაიკითხა მოხსენება: „უღური და ქართული ენის ლექსიკური ურთიერთობიდან. II უღურ-ქართული ბგერათშესატყვისობის კანონზომიერების საკითხისათვის“, რომელშიც მან სცადა დაედგინა კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობები ქართველურ ენათაგან ქართულსა და დაღესტნურ ენათა ლეზგიური ქვეჯგუფის ენათაგან უღურს შორის:

„ბგერათშესატყვისობა (გაანალიზებული 55 ფუძის მიხედვით) გვაძლევს შემდეგ სურათს:

1. ქართ. ს — უდ. შ
ზ ე

2. ქართ. ძ — უდ. ჯ
ც ჩ
წ ჰ“

(ჩეირანიშვილი 1957 20)

ავტორმა სამართლიანად აღნიშნა ამ ბგერათშესატყვისობათა მსგავსება ქართულ: ზანურ ბგერათშესატყვისობებთან და სცადა უდიურში შიშინა ფონემების გენეზისის ახსნა ფონეტიკური პროცესებით. თუმცა მას ამ შესატყვისობათა თითო მაგალითით ილუსტრირებაც კი არ უცდია. ამისი აუცილებლობა არც იყო უდიური ენის ნებისმიერი სპეციალისტს შეეძლო ბგერათშესატყვისობათა წარმოდგენილი ფორმულების შესაბამისი მასალით უზრუნველყოფა.

სამწუხაროდ ავტორს შემდგომში აღარ უცდია მის მიერ დადგენილი ქართულ უდიური ბგერათშესატყვისობების ვერიფიკაცია არა თუ საერთო-ნახურ-დაღესტნური ან საერთო-დაღესტნური ფუძე-ენების არამედ თვით საერთო-ლეზგიური ფუძე-ენის დონეზეც კი.

შემდგომში ქართველურ და დაღესტნურ ენებს შორის კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობების გამოვლენაზე მუშაობდნენ ჰ. ფენრიხი (ფენრიხი 1972ა: 669-573 და ფენრიხი 1973 246-259) და მ. ქურდიანი (ქურდიანი 1986 19-20, ქურდიანი 1998ა: 8-10 და სხვ.).

ქართველურ და დაღესტნურ ენებს შორის პოვნეირი კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისობების სისტემური ხასიათი პირველად „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლებში“ არის მოცემული.

**ნახურ-დაღესტნურ ენათა შედარებითი
შესწავლის ისტორია**

ნახურ-დაღესტნურ (resp. აღმოსავლურკავკასიურ) ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლის მცდელობა ფონეტიკას არ გასცილებია და ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომი ამ სფეროში 1981 წელს გამოიცა მოსკოვში, რუსულ ენაზე, მისი ავტორის გარდაცვალებიდან 10 წლის შემდეგ:

Е. А. Бокарев, Сравнительно-историческая фонетика восточнокавказских языков, Москва: "Наука", 1981: 140.

ევენი ბოკარიოვის (1904-1971) ხელნაწერი დასაბეჭდად მოამზადეს მ. ალექსეევმა და გ. კლიმოვმა (ბოკარიოვი 1981 4). გამოცემის პასუხისმგებელი რედაქტორი იყო ს. ხაიდაკოვი.

მონოგრაფიას უძღვის შესავალი „აღმოსავლურკავკასიური ენები“ (გვ. 5-17), რომელშიც მოკლედ არის მიმოხილული ეს ენები და მათი შესწავლის ისტორია შემდეგი თანამიმდევრობით: „დაღესტნური ენები“ (გვ. 5-14) და „ნახური ენები“ (გვ. 14-17).

შემდეგ ნაშრომში არის მცდელობა დადგენილ იქნეს:

1) ნახურ-დაღესტნური (resp. აღმოსავლურკავკასიური) ფუძეენის ბგერითი სისტემა (გვ. 17-37; მათგან: კონსონანტიზმი გვ. 17-34, ვოკალიზმი გვ. 34-37. ამ უკანასკნელში ნახური მასალა გათვალისწინებული არ არის).

2) ისტორიული ცვლილებები ფონეტიკის სფეროში: ა) ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში (გვ. 37-54), ლაკურში (გვ. 54-56), დარგულში (გვ. 56-58) ლეზგიურ ენებში (გვ. 58-138, მათ შორის საერთო-ლეზგიური ფუძე-ენის ფონეტიკური სისტემა გვ. 58-94 და მისი ტრანსფორმაციები ლეზგიური ქვეჯგუფის ცალკეულ ენებში

გვ. 95-138) საერთო-ნახურ-დაღესტნური ფუძე-ენის ფონეტიკური სისტემის ტრანსფორმაცია საერთო-ნახურად და შემდეგ მისგან ცალკეულ ნახურ ენათა ფონეტიკური სისტემების გამოყვანებადობა მონოგრაფიაში ნაჩვენები არ არის.

ამდენად მიუხედავად წიგნის სათაურის პრეტენზიისა სრულად მოიცავს იბერიულ-კავკასიურ ენათა ნახურ-დაღესტნური ჯგუფი, ის მაინც ძირითადად ამ ჯგუფის დაღესტნურ ქვეჯგუფს მოიცავს (საერთო-ნახურ-დაღესტნური ფუძე-ენის თანხმობანთა სისტემის რეკონსტრუქციის პროცესშიც ნახური მასალა, როგორც წესი ჩეჩნური, სათანადო სისრულით არ არის მოხმობილი).

საკუთრივ დაღესტნური მასალაც ზოგჯერ კორექტულად არ არის მოყვანილი და შედარებული: შესაბამისად რეკონსტრუქციებიც ფუძე-ენის ფონემებისა თუ ძირ-ფუძეთა არქეტიპებისა ყოველთვის როდია ადეკვატური.

ზემოთქმულ ნაკლთაგან ზოგი ავტორის გარდაცვალების მიზეზით მონოგრაფიის ხელნაწერის დაუსრულებლობას უნდა მიეწეროს (მაგ. შედარებისას ნახური მასალის უკმარისობა თუ საერთო-ნახურ-დაღესტნური ფუძე-ენის ფონეტიკური სისტემის ჯერ საერთო-ნახურ ფონეტიკურ სისტემად შემდეგ კი ისტორიულად დადსტურებულ ნახურ ენათა ფონეტიკურ სისტემად ტრანსფორმაციის პროცესისა და მექანიზმების აღწერის არ არსებობა), ზოგი ავტორის მიერ კომპარატივისტული მეთოდისადმი არასაკმარისად მკაცრ მიდგომას.

ევგენი ბოკარიოვის ამ მონოგრაფიას, მის კრიტიკულად გამოყენების შემთხვევაში, ზემოთდასახელებულ ნაკლოვანებათა მიუხედავად, შეუძლია პოზიტიური როლი შეასრულოს ნახურ-დაღესტნურ ენათა შედარებითი კვლევის საქმეში, ხოლო როგორც იბერი-

ულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ერთ-ერთი ჯგუფის პირველ ისტორიულ-შედარებით ფონეტიკას მას უზრუნველყოფილი აქვს ადგილი იბერიულ-კავკასიური ენათა შედარებითი შესწავლის ისტორიაში.

ევგენი ბოკარიოვის ზემოხსენებულ ნაშრომს დროში წინ უსწრებს ნიკოლაი ტრუბეტკოის ნაშრომი თანხმოვანთა სისტემების შესახებ აღმოსავლურკავკასიურ (resp. ნახურ-დეღსტნურ) ენებში:

N. S. Trubetzkoy, Die Konsonantsysteme der ostkaukasischen Sprachen ("Caucasica, fask. 8, 1931 1-52) (რუსული თარგმანი: ტრუბეტკოი 1987: 283-323).

ნაშრომის სტრუქტურა ასეთია:

I. შესავალი; II. ზოგადი სტრუქტურა აღმოსავლეთკავკასიურ თანხმოვანთა სისტემებისა: 1. ძირითადი თანხმოვნები, 2. მეორადი კორელაციური დაპირისპირებანი, 3. ტრანსკრიფცია; III. ცალკეულ აღმოსავლურკავკასიურ ენათა თანხმოვანთა სისტემები: 1. რუთულური, 2. ლეზგიური. 3. თაბასარანული, 4. აღულური, 5. ყუბაჩური, 6. ლაკური, 7. დარგულური, 8. ხუნძური, 9. ანდიური, 10. არჩიბული, 11. წახურული, 12. ჩეჩნური, 13. ბაცბური (თუშური), 14. უდიური; IV. დასკვნები და შეჯამებანი.

ნაშრომი საყურადღებოა როგორც თვალსაზრისი მაგრამ არა როგორც გამოკვლევა: მასში არ არის მოცემული არც რეკონსტრუქციის პროცესი, ესოდენ აუცილებელი ნებისმიერი კომპარატივისტული ანალიზისათვის და არც შედეგი — რეკონსტრუირებული პრადაღმოსავლურკავკასიური კონსონანტური სისტემის სახით, აქედან გამომდინარე კი შეუძლებელი ხდება ავტორის თვალსაზრისის ვერიფიცირება და მხოლოდ სიტყვაზე უნდა ერწმუნო მას, რომ:

აღმოსავლურკავკასიურ თანხმოვანთა სისტემების ამოსავალი წერტილი — პრადაღმოსავლურკავკასიური თანხმოვანთა სისტემა —

მკვეთრად განსხვავდებოდა ყველა თანამედროვე სისტემისგან, და ცვლილებანი, რომელთაც დაექვემდებარა მემკვიდრე-ენებში, ვარი-რებდნენ ენიდან ენისკენ. და თუ, მიუხედავად ამისა, განვითარების შედეგები ესოდენ გვანან ერთმანეთს და ესოდენ "ჰარმონიულად არიან განაწილებულნი გეოგრაფიულად, ეს შეიძლება აიხსნებოდეს მხოლოდ საერთო ამოცანებითა და განვითარების საერთო მიმარ-თულებით" (ტრუბეცკოი 1987 323).

ზემოთქმული საკმარისი უნდა იყო იმის ასახსნელად რატომ არ მივიჩნევ ნ. ტრუბეცკოის ამ ნაშრომს ნახურ-დაღესტნური ენების პირველ შედარებით ფონეტიკად.

ნახური ენების შედარებითი შესწავლის ისტორია

პირველი ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა იბერიულ-კავკასი-ურ ენათა ოჯახის წევრებიდან ნახურ-დაღესტრუნ ენათა ჯგუფის ნახურ ენათა ქვეჯგუფისთვის იქნა შედგენილი და 1963 წელს გამოი-ცა ქალაქ გროზნოში რუსულ ენაზე:

Проф. Ю. Д. Дешериев, Сравнительно-историческая грамматика нахских языков и проблемы происхождения и исторического развития горских кавказских народов, Грозный: Чечено-ингушское книжное издательство, 1963: 556.

იუნუს დეშერიევის ეს კაპიტალური მონოგრაფია არა თუ საე-ტაპო, არამედ ეპოქალურ მოვლენას წარმოადგენს ნახურ ენათა შე-დარებითი კვლევის ისტორიაში და არა მარტო იმიტომ, რომ მასში

ნახური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზის არც ერთი არსებითი საკითხი არ არის უყურადღებოდ დატოვებული" (ჩიქობა-ვა 1979 21) და ზღვრული სისავსითა და სიღრმით არის განხი-

ლული, არამედ იმიტომაც, რომ მასში პირველად იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ისტორიაში არის ქვეული ფუძე-ენა, ამ შემთხვევაში საერთო-ნახური ენა, ლინგვისტური აღწერის ობიექტად (დემერიევი 1963 517-531). თვრამეტი წლით გვიან, 1980 წელს, ვიან. ვს. ივანოვი ეცდება თეორიული საფუძველი მოუძებნოს ფუძე-ენათა ლინგვისტური აღწერის აუცილებლობას (ივანოვი 1980 181-207).

ნაშრომი შედგება წინასიტყვაობისა (გვ. 3-4) და ოთხი თავისაგან:

— მთის კავკასიელი ხალხებისა და მათი ენების წარმოშობისა და ისტორიული განვითარების პრობლემები (გვ. 7-79);

— ნახურ ენათა ისტორიული განვითარების გზები და მათ შესწავლაში ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენების საკითხები (გვ. 83-171);

— ნახურ ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა (გვ. 175-543) რომელიც ოთხ ქვეთავს მოიცავს: ფონეტიკა (გვ. 175-370), მორფოლოგია (გვ. 371-490), სინტაქსი (გვ. 491-513);

— საერთო-ნახური ენა (გვ. 517-534).

მიუხედავად არაერთი სადავო თეორიული დებულებისა თუ არაცალსახა რეკონსტრუქციის პოვნეირებისა იუნუს დემერიევის მონოგრაფია წარმოადგენს მასალობრივად უაღრესად სანდო და მეთოდოლოგიურად საკმარისად კორექტულ გამოკვლევას, რომელსაც აბსოლუტური სისრულისათვის ნახურ ენათა შედარებითი ან ეტიმოლოგიური ლექსიკონი აკლია მხოლოდ.

საეტაპო ნაშრომს წარმოადგენს „ნახურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი ანალიზი“ რომელიც 1977 წელს გამოიცა თბილისში რუსულ ენაზე:

Д. С. Имнайшвили, Историко-сравнительный анализ фоне-

ტიკი ნახსკნის ენების, Тбилиსი: "Мецნიერება", 1977: 300.

ნაშრომი ორი ნაწილისგან შედგება:

ნაწილი პირველი: „ხმოვანთა სისტემა და ხმოვანთა ფონეტიკური პროცესები ნახურ ენებში“ (გვ. 12-172, ეს ნაწილი 6 (I-VI) თავისაგან შედგება);

ნაწილი მეორე: „თანხმოვანთა სისტემა და თანხმოვანთა ფონეტიკური პროცესები ნახურ ენებში“ (გვ. 173-280, ეს ნაწილი ასევე 6 (VII-XII) თავისაგან შედგება).

ავტორის მიერ ფონოლოგიური სისტემის მთელი პრობლემატიკა და ყველა ფონეტიკური პროცესი ნახური ენებისა აღწერილი და გაანალიზებულია ზღვრული კორექტულობითა და ადეკვატურობით, როგორც სინქრონიულ ასევე დიაქრონიულ კრილში, ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მართლზომიერი გამოყენებით.

დ. იმნაიშვილის მონოგრაფია იმითაც არის საინტერესო, რომ ეს „ნაშრომი ეყრდნობა საკუთარ მასალებს, მოგროვილს ავტორის მიერ ადგილებზე რამდენიმე წლის განმავლობაში ნახური ჯგუფის ენებისა და მათი დიალექტების შესწავლისას“ (იმნაიშვილი 1977 გ).

დავით იმნაიშვილი (1914-1978) იყო პირველხარისხოვანი სპეციალისტი ნახური (1940 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ძირითადი და თანდებულებიანი ბრუნვები ინგუშურში და ჩეჩნურში“) და დაღესტნური (1963 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „დიდოური ენა ჰინუხურ და ზვარშიულ ენებთან შედარებით“) ენებისა, რომელთაგან არაერთს ის პრაქტიკულად ფლობდა და რომელთა ფონეტიკის, მორფოლოგიის, თუ შედარებითი კვლევის საკვანძო საკითხებს რამდენიმე ათეული სტატია მიუძღვნა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი ვრცელი სტატიების ციკლი ნახური ენების შედარებითი მორფოლოგიიდან, გამოქვეყნებული 1948-1979 წლებში.

ნახური ენების ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი ანალიზისადმი მიძღვნილ მონოგრაფიას დ. იმნაიშვილი შემდეგი ფრაზით ასრულებს:

„მთის სხვა იბერიულ-კავკასიური ენების მონაცემებთან შედარებით ნახური ენების კონსონანტიზმის საკითხის შესწავლა — მომავლის საქმეა“ (იმნაიშვილი 1977 280).

დასანანია, რომ დ. იმნაიშვილს აღარ დასცალდა დაეწერა ნახურ-დაღესტნური ენების ფონეტიკის ისტორიულ შედარებითი ანალიზისადმი მიძღვნილი მონოგრაფია და ის ზემოთმოყვანილი ფრაზის გამოქვეყნებიდან რამდენიმე თვეში გარდაიცვალა 1978 წელს.

ნახური ენების შედარებითი ლექსიკონი

ნახურ ენათა არც შედარებითი და არც ეტიმოლოგიური ლექსიკონები ჭერ-ჭერობით არ მოგვეპოვება.

1970 წელს თბილისში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში ი. ალიროევმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემზე "Сравнительно-сопоставительная лексика нахских языков", რასაც ლოგიკურად უნდა მოჰყოლოდ თვით ლექსიკონიც თუ ისტორიულ-შედარებითი ან ეტიმოლოგიური არა შედარებით-შეპირისპირებითი მაინც, დაღესტნური ენებისთვის ს. ხაიდაკოვის მიერ შედგენილის მაგვარი, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს შესაძლებლობა დღემდე არ არის რეალიზებული, გამოიცა მხოლოდ ჩეჩნურ-ინგუშური ენების (resp. ენის) და დიალექტების შედარებით-შეპირისპირებითი დარგობრივი ლექსიკონი:

И. Ю. Алироев, Сравнительно-сопоставительный словарь отраслевой лексики чеченского и ингушского языков и диалектов, Махачкала, 1975.

რაც, ცხადია, ნახურ ენათა შედარებითი ლექსიკონის მაგივრობას ვერანაირად ვერ გასწევს.

დაღესტნური ენების შედარებითი შესწავლის ისტორია

ნახურ-დაღესტნურ ენათა ჯგუფის დაღესტნური ქვეჯგუფის ისტორიულ-შედარებითი მეთოდით კვლევის საქმეში რეალური მიღწევები მხოლოდ შედარებითი ფონეტიკის სფეროს უკავშირდება.

ბედის ირონიით დაღესტნურ ენათა შედარებითი შესწავლის პიონერად მოგვევლინა პროფ. ევგენი ბოკარიოვი (მის გვარს საქართველოში ჩვეულებრივ ასე წერდნენ — ბოკარევი ე. ი. ივულისხმებოდა რომ რუსულში მახვილი პირველ ხმოვანზე მოიდიოდა — Бокарев. თუმცა ჩემი უფროსი კოლეგები რუსულად გამოთქვამენ ასე — Бокарёв). ეს ის ბოკარიოვია, რომლის სტატიითაც დაიწყო ჟურნალ „Вопросы языкознания“-ს ფურცლებზე ცნობილი დისკუსია (1954-1956) იბერიულ-კავკასიურ ენათა შინა და გარე ნათესაობის თაობაზე, ინსპირირებული იმპერიული წრეების მიერ იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების დისკრედიტაციის მიზნით.

დისკუსიის აღსაძრავ სტატიაში ევგენი ბოკარიოვი არა მარტო ნიპილისტურ განწყობილებას ავლენდა იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის მიმართ ძველი აღმოსავლეთისა თუ ევროპის არა ინდოევროპულ და არა სემიტო-ჰამიტურ ენებიან, არამედ თვით იბერიულ-კავკასიური ოჯახის შემადგენელი ენობრივი ჯგუფების ურთიერთ

ნათესაობის მიმართაც. მეტიც, ის ერთგვარ ექვსაც თესავდა დაღესტნურ ენათა (იგულისხმება დაღესტნის არა ინდო-ევროპული და არა თურანულ-მონღოლური ენები) შინა ნათესაობის მიმართ:

„ამ ენათა ფაქტების ისტორიულ-შედარებითი ახსნის მცდელობებს ჩვენ ვხედავთ ნ. ი. მართან, ნ. ს. ტრუბეცკოსთან, ა. ს. ჩიქობავასთან და ახალგაზრდა ქართველ მკვლევართა (იგულისხმებიან, ტ. გულდავა, დ. იმნაიშვილი, ე. ლომთაძე, ზ. მაჰომედბეკოვა, ი. ცერცვაძე, შ. გაფრინდაშვილი — მ. ქ.) რიგ შრომებში.

თუმცაღა დაღესტნურ ენათა შესწავლის სფეროში საჭიროა ჯერ კიდევ ძალიან დიდი მუშაობა ამ ენათა და დიალექტთა ასაღწერად, ცალკეულ ქვეჯგუფთა ისტორიულ-შედარებით გრამატიკათა, ვიდრე შესაძლებელი გახდება შედგომა განსაზოგადოებელი გამოკვლევისა დაღესტნურ ენათა მთელი ერთობლიობის გენეტიკური ერთიანობის შესახებ და მათი სხვა კავასიური ენებისადმი ურთიერთობის პრობლემის გადაწყვეტისადმი“ (ბოკარიოვი 1954 43).

მაგრამ, ზემოხსენებული დისკუსიის დაწყებით, „მოქალაქეობრივი“ ვალის მოხდის შემდეგ, ევგ. ბოკარიოვი დაუბრუნდა თავის პროფესიულ მოვალეობებს და ისე, რომ არ დალოდებია დაღესტნურ ენათა და დიალექტთა მეცნიერული აღწერის დასრულებასა და ცალკეული ქვეჯგუფების ისტორიულ-შედარებითი გრამატიკების შედგენას, პირდაპირ შეუდგა განსაზოგადებელი გამოკვლევების წერას დაღესტნურ (შემდეგ კი ნახურ-დაღესტნურ) ენათა მთელი ერთობლიობის გენეტიკური ერთიანობის შესახებ:

უკვე 1958 წელს (sic.), იმავე ჟურნალში, რომელშიც თავისი სადისკუსიო სტატია ჰქონდა გამოქვეყნებული, მან დაბეჭდა: *Смычно-гортанные аффрикаты прадагестанского языка (ВОПРОСЫ ЯЗЫКОЗНАНИЯ, №4 : 3-11)*, მიაქციეთ ყურადღება სათაურში გამოტანილ ტერმინს **პრადღესტნური**, რომლის დაშვებაც კი შეუძლებელი ჩანდა ავტორის სადისკუსიო სტატიის სულისკვეთებიდან გამო-

მდინარე.

1961 წელს კი ევგენი ალექსევიჩ ბოკარიოვი სცემს წიგნს:

Введение в сравнительное изучение дагестанских языков. Материалы к курсу, Махачкала, 1961: 100.

ეს ნაშრომი მკაცრად, მაგრამ ობიექტურად აქვს შეფასებული პროფ. ბაქარ გიგინეიშვილს:

„1961 წელს ე. ა. ბოკარიოვმა გამოაქვეყნა შედარებითი ნარკვევი დაღესტნურ ენათა შესახებ. მითითებული ნარკვევი შეიცავს მხოლოდ ფონეტიკას. წიგნის დასაწყისში ავტორი იძლევა ზოგად ცნობებს დაღესტნური ენების შესახებ, მათი შესწავლის მოკლე ისტორიას, მაგრამ როგორც უცნაურიც არ უნდა იყოს, ერთი სიტყვითაც არ ახსენებს ნ. ტრუბეცკოის. არ იხსენიება ნ. ტრუბეცკოი წიგნის სხვა ნაწილებშიც, მაშინ როდესაც, მხოლოდ ნ. ტრუბეცკოის შრომების წყალობით გახდა შესაძლებელი მითითებული წიგნის შექმნა. წიგნის ძირითად ნაწილს წარმოადგენს IV თავი, რომელშიც ავტორი ცდილობს აღადგინოს საერთო-დაღესტნური ენის ბგერითი სისტემა. უნდა აღიარებულ იქნეს, რომ ამ ნაწილში ბევრი ხარვეზია. ავტორი ხშირად სათანადო მასალის, რომელიც მისცემდა ამა თუ იმ ფონემის პოსტულირებისა, არქონის მიუხედავად, მაინც უშვებს მისი პოვნეირების შესაძლებლობას ფუძე-ენაში, არცთუ იშვიათად ბგერათშესატყვისობები არასწორადაა ახსნილი, და კიდევ უფრო ხშირად არ გამოირჩევიან სიზუსტით. ეტიმოლოგიური შეპირისპირებანი ხშირ შემთხვევაში ნაკლებდასაბუთებულია და არ არიან დაფუძნებულნი ბგერათშესატყვისობათა მკაფიო ფორმულებზე. მთლიანობაში წიგნი, არის რა პირველი განმაზოგადებელი ნაშრომი ამ სფეროში, მაინც დიდად ფასეულია: ის შეიცავს მეტ მასალას, ვიდრე ნ. ტრუბეცკოის სტატია, და აგრეთვე არც თუ მცირე ახალ ეტიმოლოგიურ შეპირისპირებას“ (გიგინეიშვილი 1977 15).

ნამდვილად საეტაპო, მეტიც ეპოქალური, ნაშრომი დალესტნურ ენათა შედარებით ფონეტიკაში შექმნა თვით ბაქარ გიგინეიშვილმა და ის 1977 წელს გამოიცა თბილისში რუსულ ენაზე:

Б. К. Гигинейшвили, Сравнительная фонетика дагестанских языков, Тбилиси: Издательство тбилисского университета, 1977: 167.

ეს წიგნი, რომელიც ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მკაცრ გამოყენებაზე არის დაფუძნებული, ერთ-ერთი სანიმუშოა იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიაში.

ნაშრომი შესავლისა, რომელშიც მოცემული საკითხის შესწავლის მოკლე ისტორია და გაცხადებულია კვლევის პრინციპები (გვ. 13-26), და სამი ნაწილისგან შედგება:

ნაწილი პირველი — დალესტნურ ენათა კონსონანტური სისტემები (გვ. 27-65);

ნაწილი მეორე — საერთო-დალესტნური ენის თანხმოვან ფონემათა სისტემა (გვ. 66-160);

ნაწილი მესამე — საერთო-დალესტნური კონსონანტური სისტემის ტრანსფორმაცია ცალკეული დალესტნურ ენათა სისტემებად (142-160).

ნაშრომის მეორე ნაწილს პრინციპული მნიშვნელობა აქვს კომპარატივისტიკის ზოგადი თეორიის თვალსაზრისითაც:

მასში ნაჩვენებია საერთო-დალესტნურ ფუძე-ენის თანხმოვანთა სისტემის „რეკონსტრუქციის პროცედურა“ (თავი I: 67-129), წამოყენებული და დამტკიცებულია დებულება „ფუძე-ენაში ღებულეტური ფორმების პოვნეირების შესახებ“ (თავი III: 137-139), გამოკვლეულია საკითხი „თანხმოვანთა კომპლექსების შესახებ საერთო-დალესტნურ ფუძე-ენაში“ (თავი IV: 140-141).

პროფესორ ბაქარ გიგინეიშვილის მონოგრაფია, როგორც ვთქვი,

ერთ-ერთი ეპოქალური მიღწევაა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ისტორიაში, მას გვერდს ვერასოდეს აუვლის ვერც ამ ენათა მკვლევარი კომპარატივისტი და ვერც კომპარატივისტული კვლევის ისტორიკოსი.

ნაშრომი დაზღვეულია ყველა იმ ნაკლისაგან რომელიც ევგ. ბოკარიოვის ნაშრომისთვის იყო დამახასიათებელი და უაღრესად მნიშვნელოვანია არა მარტო კვლევის შედეგების თვალსაზრისით არამედ იმ პერსპექტივების თვალსაზრისითაც, რომელსაც ის ხსნის დაღესტნური ენების შედარებითი შესწავლის საქმეში და უპირველეს ყოვლისა დაღესტნურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის შექმნისათვის, რაზედაც ბ. გიგინეიშვილის კვლევის შედეგების გათვალისწინებით ამჟამად მუშაობს ამ სტრიქონების ავტორი.

დაღესტნურ ენათა შედარებითი ლექსიკონი

დაღესტნურ ენათა შედარებითი (resp. ისტორიულ-შედარებითი) ან ეტიმოლოგიური ლექსიკონი დღემდე არ არსებობს, თუმცა 1973 წელს, მოსკოვში, რუსულ ენაზე გამოიცა დაღესტნურ ენათა შედარებით-შეპირისპირებითი ლექსიკონი:

С. М. Хаидаков, Сравнительно-сопоставительный словарь дагестанских языков, Москва: "Наука", 1973: 180.

მიუხედავად არაერთი საინტერესო და სარწმუნო შეპირისპირებისა, ეს ლექსიკონი ვერც შედარებითი (resp. ისტორიულ-შედარებითი) და ვერც ეტიმოლოგიური ლექსიკონების მაგვირობას ვერ გასწევს როგორც შედგენის პრინციპების ასევე მეთოდოლოგიური

თვალსაზრისით — მასში მოხმობილი მასალა შეპირისპირებულია და არა შედარებული, ის არ ემყარება კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობებს, არ იძლევა ფუძე-ენობრივი დონის არქეტიპების რეკონსტრუქციის საფუძველს, არ ახლავს ეტიმონთა გამოყოფისათვის აუცილებელი ძირისა და ფუძის სტრუქტურული მოდელების ანალიზი და ა. შ.

ს. ხაიდაკოვის ლექსიკონი მორფოლოგიურ-სემანტიკურია:

ლექსიკონში სიტყვები დალაგებულია მორფოლოგიური პრინციპით — არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა; ხოლო მათ შიგნით სემანტიკური ჯგუფებია გამოყოფილი, მაგ. არსებით სახელში — ცხოველთა სამყარო (:10-51), კვების პროდუქტები (:51-53), მცენარეული სამყარო (:53-65), სხვა თემატური ჯგუფები (:65-103).

თითოეული ეს ჯგუფი თავის მხრივ იყოფა სემანტიკურ ქვეჯგუფებად მაგ. ცხოველთა სამყარო: ველური ცხოველები, ველური ფრინველები, მწერები, შინაური ცხოველები და ფრინველები, სხეულის ნაწილები, თმიანი საფარველი, წარმონაქმნები სხეულზე, ორგანიზმიდან გამონაყოფი.

ზედსართავი სახელებიც ასევე თემატურ ჯგუფებად არის დაყოფილი: ფერი, სხვადასხვა სიტყვები. თუმცა სემანტიკური კლასიფიკაციის პრინციპები ყოველთვის არ არის ცხადი და ცალსახა.

ს. ხაიდაკოვის მიერ მოხმობილია სულ 13 დაღესტნური (როგორც სამწერლობო ასევე უმწერლობო) და მათი დიალექტების მასალა — დასაბამიერიცა და ნასესხებიც.

როგორც ვთქვი — დასაბამიერი მასალა წარმოდგენილია ბგერათშესატყვისობათა ფორმულებისა და არქეტიპების რეკონსტრუქციის გარეშე (რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს შესადარებლად ლექსემების აღებისას მათი სემანტიკური მხარის პრიორიტეტს ფორმალურთან შედარებით), ხოლო „შედარებისათვის მოხმობლია გენეტი-

კურად მონათესავე ნახური, აფხაზურ-ადიღური და ქართველური ენები და აგრეთვე სხვა სისტემათა ენები“ (ხაიდაკოვი 1973:4).

სალექსიკონო სიტყვა სტატიებს ერთვის ლინგვისტური კომენტა-რები.

ყოველივე ზემოთქმული თავად ლექსიკონის ავტორისთვისაც წი-ნასწარ იყო ცნობილი და თავის ლექსიკონს შესაბამისი სათაურიც ამიტომ შეურჩია.

დასკვნა

იბერიულ-კავკასიურ ენათა შედარებითი შესწავლის ისტორია თავის უმთავრეს მომენტებში უკავშირდება ამ ოჯახის შემადგენელ ჯგუფთა შიგნით და ჯგუფთაშორისი ნათესაობის დადგენის ფაქტებს მათ შორის კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობე-ბის გამოვლენის ფორმით, რაც ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მკაცრი გამოყენების შედეგად იქნა მიღწეული.

წინამდებარე მონოგრაფია წარმოადგენს პირველ მცდელობას კომპარატივისტულ მეთოდზე დაყრდნობით დაამტკიცოს ენათა იბე-რიულ-კავკასიური ოჯახის გამოყოფის მართლზომიერება მის ყველა ჯგუფს შორის არსებული კანონზომიერი და რეგულარული ბგერათ-შესატყვისობების დადგენის გზით.

შესაბამისად ის ერთგვარად ასრულებს და აჯამებს იბერიულ-კავკასიური ენების შედარებითი კვლევის ერთ, თუმცა უმნიშვნელო-ვანეს ეტაპს, რომლის მიზანსაც და ამოცანასაც წარმოადგენდა და-ემტკიცებინა რომ იბერიულ-კავკასიური ენების ოჯახი არის ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის ცნება.

ბიბლიოგრაფია

BIBLIOGRAPHIE

ბიბლიოგრაფია

აბაივი ზ. (АБАЕВ В. И.)

1949. Осетинский язык и фольклор, I, Москва-Ленинград : Издательство АН СССР.
1952. О принципах этимологического словаря (ВОПРОСЫ ЯЗЫКОЗНАНИЯ, № 5).
- 1958-1995. Историко-этимологический словарь осетинского языка т. I (А-К'), Москва-Ленинград Издательство Академии Наук СССР, 1958; т. II (L-R), 1973; т. III (S-T'), 1979; т. IV (V-Z), 1989, Ленинград : "Наука"; т. V (указатель), Москва, 1995.
- 1990-1995. Избранные труды, тт. I-II Владикавказ "Ир". т. I-1990, т. II-1995.

აბდოკოვი ა. (АБДОКОВ А. И.)

1973. Фонетические и лексические параллели абхазско-адыгских языков, Нальчик.
1976. К вопросу о генетическом родстве абхазо-адыгских и нахско-дагестанских языков, Нальчик : "Ельбрус".
1981. Введение в сравнительно-историческую морфологию абхазо-адыгских и нахско-дагестанских языков, Нальчик: Кабардино-Балкарский государственный университет.

1983. О звуковых и словарных соответствиях северокавказских языков, Нальчик: "Ельбрус".

აბულაძე ი.

1973. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მასალები, თბილისი: „მეტ-ნიერება“

1998. სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“, თბილისი: „მერანი“.

აბუღი მ., ტოვარი ა.

(AGUD M., TOVAR A.).

1989. Diccionario etimologico vasco, Donostia _ San Sebastian: Diputacion de Gipuzkoa.

ათაევი ბ. (АТАЕВ Б. М.)

1998. Из Опыта реконструкции и внутренней классификации аваро-андо-цезских языков (Материалы международного симпозиума посвященного 100-летию со дня рождения Арнольда Степановича Чикобава, Тбилиси "Картули Эна" 136-138).

ალენი ვ. ს. (ALLEN W. S.)

1965. On one - vowel systems (LINGUA, v. 13, № 2).

ალექსეევი მ. (АЛЕКСЕЕВ М. Е.)

1998. К реконструкции восточнокавказской глагольной категории класса (Материалы международного симпозиума посвященного 100-летию со дня рождения Арнольда Степановича Чикобава, Тбилиси : "Картули Эна" : 128-129).

ალექსეევი მ. ათაევი ბ.

(АЛЕКСЕЕВ М. Е. АТАЕВ Б. М.)

1998. Аварский язык, Москва: "Academia" (ყდაზე: 1997)

ალექსეევი მ., ტესტელეცი ი.

(АЛЕКСЕЕВ М. Е., ТЕСТЕЛЕЦ Я. Г.)

1996. "Севернокавказский этимологический словарь" и перспективы кавказской компаративистики ("Известия Академии Наук. Серия литературы и языка", т. 55. №5 : 3-18).

ალიერესი ჟ. (ALLIERES J.)

1986. Les Basques, Paris.

ალიროევი ი. (АЛИРОЕВ И. Ю.)

1972. Сравнительно-сопоставительная лексика нахских языков (Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора филологических наук) Грозный.
1978. Нахские языки и культура, Грозный.

ამერმანი ა. ჯ., კავალი – სფორცა ლ. ლ.

(AMMERMAN A. J., CAVALLI – SFORZA L. L.)

1984. The Neolithic Transition and the Genetics of Populations in Europe, Princeton.

ანდრეევი ნ. (АНДРЕЕВ Н. Д.)

1986. Раннеиндоевропейский язык, Ленинград: "Наука".

ანდრონიკაშვილი მ.

- 1966-1996. ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, ტ. I, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1966; ტ. II ნაწ. I. თბილისი „ირმისა“, 1996.
1970. ეტიმოლოგიური შენიშვნები მეფუტკრეობის ლექსიკონიდან (სკა, ფუტკარი, ფიჭა, პურები), (თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის XIV სამეცნიერო სესია, 14-19 დეკემბერი, 1970).

ანდრონოვი მ. (АНДРОНОВ М. С.)

1982. Из истории классификации дравидских языков (сб.: Теоретические основы классификации языков мира. Проблемы родства, Москва: "Наука").

ანდლულაძე ნ.

1968. კლასოვანი და პიროვანი უღვლილების ისტორიის ზოგადი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბილისი: „მეცნიერება“

ანტილა რ. (ANTTILA R.)

1989. Historical and Comparative Linguistics (2th edn.), Amsterdam: "John Benjamins".

ანტონ I

1885. ქართული ღრამმატიკა შედგენილი ანტონ I-ის მიერ, ტფილისი.
1997. ქართული ღრამმატიკა (მეორე რედაქცია — 1767), ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ელენე ბაბუნაშვილმა, ნარგიზა გოგუაძემ, ლია კიკნაძემ. ლექსიკონი დაურთო ელენე ბაბუნაშვილმა, თბილისი.

არაბული ა.

1989. ა- (ვსება) ზმნური ძირის ისტორიისათვის („ეტიმოლოგიური ძიებანი“ 1989, თბილისი „მეცნიერება“ 3-11).
1997. სახელისა და ზმნის დერივაციის ურთიერთმიმართების საკითხები ქართველურ ენებში (ფოლოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი), თბილისი.
- 1997a. Wechselbeziehung von der nominalen und verbalen derivationen in den kartwelischen sprachen (Avtoreferat) Tbilissi.

1997^b სახელურ და ზმნურ ფუძეთა ისტორიული ურთიერთმიმართებისათვის („ეტიმოლოგიური ძიებანი“ VI, თბილისი „მეცნიერება“ 7-19).

არტიაგოითია უ. (ARTIAGOITIA X.)

1993. Syllable structure in modern Basque and in Proto-Basque ("Generative Studies in Basque Linguistics", Amsterdam / Philadelphia: John Benjamins Publishing Company: 263-287).

არისტოტელე (ARISTOTELES)

1978. Сочинения в четырех томах, т. 2, Москва: "Мысль".

ასათიანი ლ.

1978. ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა ქართულში, თბილისი: "მეცნიერება".

ასკუე რ. მ. დე (AZKUE, R. M. de)

1919. Fonetica vasca, Bilbao.

1925. Morfologia vasca, Bilbao.

1949. El vascuence y varias lenguas cultas, Estudio comparativo, Bilbao

1969. Diccionario vasco-español-francés. 1-2, Bilbao : Editorial la gran enciclopedia vasca.

ასტარლოა პ. პ. დე (ASTARLOA P. P. de)

